



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

რიჩარდ ჯაში  
ჰოლანჯა

დაგვიანებული  
წერილები



თბილისი 2018

რიჩარდ ჯაში  
ჭოლა ჯაში

# დეგვიანებული წერილები

თბილისი 2018

საქართველოში 2015 წლის გაზაფხულზე შედგა ფილმის „ვინ მოკლა ილია...“ ჩვენება. ამ ფილმის ჩვენებამ ბიძგი მისცა წინამდებარე წიგნის შექმნას. წიგნის ავტორებმა ფილმის „ვინ მოკლა ილია...“ შემოქმედებითი ჯგუფის წევრების მისამართით შედგენილი წერილებით, რომლებიც წიგნშია მოტანილი, გამოხატეს აზრი ფილმში დიმიტრი ჯაშის შესახებ რამდენიმე დოკუმენტის არასწორი ინტერპრეტაციისა და ცილისწამების გამო, რითაც ჯაშთან დაკავშირებით მათგან შეცდომამი შეყვანა შეძლეს.

წიგნში, ფართოდ განხილულია ილიას მკვლელობის გარემოებების სამართლებრივი და სამეცნიერო კვლევები, რომლებიც მეცნიერების უმეტესმა ნაწილმა ქართულ საზოგადოებას თავიანთი შრომებით წარმოუდგინეს. მათ შორის იმ ავტორების, რომლებიც კრიტიკულად იხილავენ ილიას მკვლელობის საბჭოურ-„ოხრანკისეულ“- ვერსიას.

წიგნის ავტორების - დიმიტრი ჯაშის შვილიშვილების- აზრით, ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით 1941-1942 წლებში გამართული საბჭოთა სასამართლოს მიერ 1942 წლის 5 იანვარს გამოტანილ განაჩენში დიმიტრი ჯაშის შესახებ გაკეთებული ჩანაწერი წინააღმდეგობაშია იმ დროს მოქმედი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან და კონსტიტუციასთან. ავტორთა აზრი ეფუძნება ქართველ მეცნიერთა კვლევებს. შესაბამისად, წიგნში მოტანილია მეცნიერთა შრომებიდან ამონარიდები, რაც ავტორებმა მიიჩნიეს არგუმენტებად.

წიგნში განხილულია ილიას მკვლელობის გარემოებების შესახებ ოცდამეერთე საუკუნეში გამოცემული მონოგრაფიები, რომლებიც ამ წიგნის ავტორთა აზრით საბჭოთა სასამართლოს 1942 წლის 5 იანვრის განაჩენის თანამედროვე გამოვლენაა, რასაც დაემატა განცხადება იმის შესახებ, რომ ილიას მკვლელობაში მეფის „ოხრანკასთან“ ერთად, მონაწილეობდა სოციალ-დემოკრატების მემარცხენე ნაწილი, ბოლშევიკები.

წიგნის ავტორებს მიაჩნიათ, რომ 1987 წელს, ილიას მკვლელობის ნამდვილი გარემოებების დადგენის მიზნით, საქართველოში სპეციალური სახელმწიფო კომისიის შექმნის ფაქტით, ქართულმა საზოგადოებამ აღიარა, რომ 1942 წლის სასამართლო განაჩენში გაკეთებული ჩანაწერი სიმართლეს არ შეესაბამება.

დანართების სახით წარმოგიდგენილია დოკუმენტური მასალა - 1904-1908 წლებში ქართულ გაზეთებში და 1914-1916 წლების გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტი“-ს ფურცლებზე „ქუჩუქის“ ფსევდონიმით დაბეჭდილი დიმიტრი ჯაშის სტატიების ფოტოასლები, რომელიც ავტორებმა მოიპოვეს.

რედაქტორი: ლევან თაქთაქიშვილი

ISBN 978-9941-8-0384-0

© რიჩარდ ჯაში

© ჭოლა ჯაში

„კარგია, რომ არც ძალიან გემინოდეს უსამართლო ბრალდებებისა, მაგრამ არც სრულიად უგულვებელს ყოფდე მათ“.

წმინდა იოანე ოქროპირი



გუძღვნით ჩვენი მშობლების -  
მერი და იური ჯაშების ნათელ სსოვნას.

## შესავალი

საქართველოში 2015 წლის გაზაფხულზე შედგა ფილმის „ვინ მოკლა ილია...“ ჩვენება. ფილმი მოგვითხრობს ილია ჭავჭავაძის მკვლელობისა და მის მიერ საგურამომდე განვლილი უკანასკნელი გზის შესახებ.

ფილმის სცენარს საფუძვლად დაედო ილიას მკვლელობის ფაქტზე მეცნიერი ისტორიკოსისა და მკვლევრების მიერ აქამდე უცნობი, ახალი გარემოებების აღმოჩენა. ფილმის გადაღებამდე ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით, არქივებში, მხოლოდ, ორი ვერსია არსებობდა. პირველი — მეფის რუსეთის 1907-1908 წლების გამოძიებისა და სასამართლოს; მეორე — 1941-1942 წლების საბჭოთა გამოძიებისა და სასამართლოსი. ფილმისეული ვერსია განსხვავებულია უპირველესად იმით, რომ ფილმის შემქნელებმა წარმოგვიდგინეს, მათი აზრით, ილია ჭავჭავაძის უშუალო მკვლელი — ილარიონ (ილიკო) იმერლიშვილი. ჩვენი დაკვირვებით, ფილმისეული ვერსია იმითაც განსხვავდება, რომ ფილმის შემქნელებმა პირდაპირ არ გაიზიარეს სასამართლოს 1942 წლის 5 იანვრის განაჩენში დიმიტრი ჯაშის შესახებ გაკეთებული ჩანაწერი, მაგრამ ფილმის ავტორებს დიმიტრი ჯაში 1907 წლის ტრაგედიის მთავარ ფიგურანტად მიაჩნიათ და ამ მიზეზით, ფილმის წამყვანს, დიმიტრი ჯაშის ბრალდებაზე ალაპარაკებენ. ქვემოთ წიგნში მოტანილ წერილებს ბიძგი მისცა არა იმ გარემოებამ, რომ ფილმში დიმიტრი ჯაში მკვეთრად ტენდენციურად წარმოაჩინეს, არამედ იმ ფაქტმა, რომ ჯაშთან დაკავშირებით რამდენიმე დოკუმენტის არასწორი ინტერპრეტაციით მაყურებლის შეცდომაში შეყვანა შეძლეს.

წინამდებარე წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში სამი წერილია. პირველი - 2015 წლის 23 ოქტომბერს გაეგზავნა ფილმის „ვინ მოკლა ილია...“ რეჟისორს მიხეილ ბერინაშვილს, მეორე წერილით, მივმართავთ ფილმის "ვინ მოკლა ილია..." შემოქმედებითი ჯგუფის წევრს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თენგიზ სიმაშვილს. წერილში განხილულია ის მოძიებული დოკუმენტური მასალა, რომლის საფუძველზე მეცნიერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დიმიტრი ჯაში ილიასთან შეგზავნილი მოურავი იყო და ამასთან არა „ოხრანკის“ მიერ, არამედ სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. კონკრეტულად, იგი ასრულებდა ტერორისტული ილიკო იმერლიშვილის დავალებას. სიმაშვილის მოძიებული დოკუმენტები ჩვენც გავაანალიზედ და მეცნიერის დასკვნებზე წარმოვადგინეთ ჩვენი ხედვა. მესამე მოკლე ბარათი, მიუხედავად იმისა, რომ წერილები საზოგადო ფორმით დაიწერა, ამავე ფილმის მაყურებლისა და, ზოგადად, ილიას ტრაგიკული მკვლელობის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის არის განკუთვნილი.

წიგნის მეორე ნაწილში მკითხველთა განსახილველად წარმოვადგინეთ ზოგიერთი ავტორის ნაწერი, რომლებიც 1930-იან წლებში ილიას მკვლელობის გარემოე-

ბების შესახებ წერდნენ და ამ საქმეში მიუთითებდნენ დიმიტრი ჯაშის როლზე. მოტანილია მეცნიერებისა და მწერლების შრომები, რომლებიც XX საუკუნის მეორე ნახევარში იზიარებდნენ ილის მკვლელობის საბჭოურ ვერსიას. 1990-იან წლებში, საბჭოთა სახელმწიფოს ნგრევის პირობებში, ილიას მკვლელობის გარემოებებთან დაკავშირებით სხვა ხედვა გაჩნდა: მკვლელობა სოციალ-დემოკრატებს დაბრალდა, ამასთან, დიმიტრი ჯაში ისევ „შეგზავნილი“ მოურავია. წიგნის მერე ნაწილში განხილულია XXI საუკუნეში გამოცემული ორი მონოგრაფია, რომელთა ავტორები მკითხველს არწმუნებენ, რომ ილიას მკვლელობა მეფის რუსეთის ხელისუფლების და ქართველი სოციალ-დემოკრატების ერთობლივი ნამოქმედარია და ამ ერთობლივ ტერაქტში, 1930-იან წლებში შექმნილ ცრუ ჩვენებებზე დაყრდნობით, ისევ, ჯაშის როლს ხედავენ.

წიგნს თანდართული აქვს დიმიტრი ჯაშის მიერ საუკუნის წინ გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები.

რა საერთო გვაქვს წინამდებარე წიგნის ავტორებს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებებთან?

ისტორიული ტრაგიკული ფაქტია ის, რომ 1907 წლის 30 აგვისტოს ვერაგულად მოკლეს დიდი ილია ჭავჭავაძე. 1907 წლის 19 ივნისიდან 30 აგვისტომდე, ილია ჭავჭავაძესთან, საგურამოს მამულების მოურავად დიმიტრი ჯაში - ჩვენი ბაბუა - მსახურობდა.

დიმიტრი ჯაშმა თავისი ხანმოკლე ცხოვრება დაუკავშირა ილია ჭავჭავაძეს, როცა გაზეთ „ივერიის“ რედაქტორმა, ჯერ კიდევ 11-12 წლის ასაკში, იგი სტამბის ასოთამწყობის შეგირდად აიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ დიმიტრი „ივერიაში“ მუშაობდა, უშუალოდ ილია ჭავჭავაძესთან, როგორც მის ბოლო მოურავს, მხოლოდ, 1907 წლის ზაფხულის 70 დღე აკავშირებს. ვცდილობთ, თითოეული დღის მოვლენებში გავერკვეთ, დავინახოთ მისი ქცევების მოტივაცია. თითქმის მთლიანად შევისწავლეთ დიმიტრი ჯაშის ცხოვრება. მოურავობის შემდეგ, 1909-1911 წლებში, იგი საიდუმლო პოლიციის „ოხრანკის“ აგენტი გამხდარა, რის შესახებ საზოგადოებამ 1917 წლის მარტში შეიტყო.

კარგად ვაცნობიერებთ, რომ „ოხრანკასთან“ თანამშრომლობით დიმიტრი ჯაშმა მთამომავლებს მორალურად რთულად გადასალახი სიძნელეები დაუტოვა, მაგრამ, მხოლოდ ის ფაქტი, რომ საბჭოთა მართლმსაჯულებამ „ოხრანკასთან“ მისი თანამშრომლობა გამოიყენა, რათა მისთვის გადაებრალებინა ილიას მკვლელობის ხელმძღვანელობა (რაც, ჩვენი აზრით, სიყალბეა), გვაძლევს მორალურ უფლებას - ვიყოთ ამ წიგნის ავტორები, რომლებიც ორმოცდაათ წელზე მეტია, მოწმენი ვართ ილიას ბოლო მოურავთან დაკავშირებული პერიპეტეიების. ჩვენი მიზანია, დიმიტრი ჯაშის ბიოგრაფიაში ერთმანეთისაგან განცალკევებით განვიხილოთ „ოხრანკის“ თანამშრომლობა და მისთვის დაბრალებული ილიას მკვლელობის ხელმძღვანელობა, რადგან პირველი შემდგარი ფაქტია და ჩვენთვის მორალურად გადაუღალახავი

სირთულე, რომლის გამოც შესაძლებელი გახდა მისთვის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ხელმძღვანელობაში ცილისწამება. საბჭოთა ხელისუფლებამ ეს იმისათვის გააკეთა, რომ საზოგადოებისათვის დაემალა ჭავჭავაძის მკვლელობის ნამდვილი ორგანიზატორები.

ილიას მკვლელობის 1907-1908 წლებში ჩატარებული გამოძიებით დადგენილ იქნა, რომ მკვლელობაში მონაწილეობდნენ თედო ლაბაური, ივანე ინაშვილი, გიგლა ბერბიჭაშვილი, პავლე ფშავლიშვილი (აფციაური), გიგოლა მოძღვრიშვილი, გიორგი ხიზანიშვილი და ვიდაც „იმერელი“. 1908 წლის 14 დეკემბერს დააკავეს მიმალვაში მყოფი ვანო ინაშვილი. ხოლო 17 დეკემბერს პოლიციასთან შეტაკების დროს მოკლეს ციხიდან გაქცეული პავლე ფშავლიშვილი (აფციაური). 1909 წლის 8 ივნისს დამატებითი გამოძიება დამთავრდა და 15 ივლისს კავკასიის ოლქის ჯარების მთავარსარდალმა თედო ლაბაურის, გიგოლა მოძღვრიშვილის და გიორგი ხიზანიშვილის საქმე განსახილველად გადასცა კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს. გიორგი ბერბიჭაშვილის მიმართ საქმის წარმოება შეჩერდა მის დაძებნამდე ან ნებაყოფილებით გამოცხადებამდე, პავლე ფშავლიშვილის (აფციაური) საქმე შეწყდა პოლიციასთან შეტაკებისას მისი სიკვდილის გამო. აგრეთვე, შეწყდა საქმე გიგოლა მოძღვრიშვილის მიმართ, მეტეხის ციხეში ავადმყოფობით გარდაცვალების გამო. ვიდაც „იმერელის“ ვინაობა გამოძიებას არ დაუდგენია. მეფის რუსეთის კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს 1909 წლის 21 აგვისტოს განაჩენით ილიას მკვლელებს: თედო ლაბაურს, გიორგი ხიზანიშვილს და ივანე ინაშვილს, მიესაჯა ჩამოხრჩობა. განაჩენი აღსრულდა 1909 წლის 21 აგვისტოს.

საარქივო დოკუმენტების კვლევით, მკვლევართა გარკვეული ჯგუფი დარწმუნდა, რომ „იმერელი“ - სოცდემოკრატი ილიკო იმერლიშვილია.<sup>1</sup> დოკუმენტებით ისიც დაგვანახეს, რომ ჟანდარმერია ცდილობდა იმერლიშვილი შეეპყრო ან მოეკლა, მაგრამ ვერ შეძლეს. იგი 1914 წელს თავისსავე ყუმბარაზე აფეთქდა.

რატომ, გაჩნდა არქივებში ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით ორი სხვადასხვა ვერსია?

თავდაპირველი — მეფის რუსეთის დროს ჩატარებული გამოძიებითა და სასამართლო პროცესით დადგენილი ვერსია გამოირჩევა ნაკლოვანებებით, მაგრამ სიმართლესთან ახლოს არის. საბჭოთა გამოძიებისა და სასამართლოს მიერ შექმნილი ვერსია ქართული საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ, მიჩნეულია იქნა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ცრუ ვერსიად.

რატომ და როდის დაიწყო ილიას მკვლელობის გარემოებათა გაყალბება? ილია ჭავჭავაძის, როგორც მემამულისა და ქართული ნაციონალიზმის ქომავის კრიტიკა ბოლშევიკებმა საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც გააგრძელეს. საბჭოთა საქართველოში 1934 წლამდე ილია ჭავჭავაძის დადებით კონტექსტში ხსენება

---

<sup>1</sup> ნ. გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“, 2010 წ. თბილისი;

აკრძალული იყო. მხოლოდ 1934 წლის 18 აგვისტოს, საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველ ყრილობაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელის გამოსვლის შემდეგ, რომლის მოხსენების შინაარსი, მომხსენებლის გამოსვლამდე, სტალინის დავალებით შეიცვალა, სოციალ-დემოკრატების - მენშევიკების და ბოლშევიკების მიერ უარყოფილი თავადი ილია ჭავჭავაძე საბჭოთა კავშირში მთელი სიდიადით წარმოჩინდა.

სტალინმა მომხსენებელს მკაცრად მიუთითა: „მოხსენება უნდა დაიწყოს შოთა რუსთაველიდან... რუსთაველზე, დაე, გაიგოს ყველამ ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც, როგორი ღირებულების კულტურული განძი შეუქმნია ქართველ ხალხს ოქტომბრის რევოლუციამდე. შემდეგ გადმოხვალთ უფრო ახლო საუკუნეებზე და ილაპარაკეთ სულხან-საბა ორბელიანზე, დავით გურამიშვილზე... ვრცლად უნდა ილაპარაკოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაზე. აი, როგორი დიდი პოეტი წარმოუშვია საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, როცა იგი მეფის რუსეთის მიერ დამონებულ კოლონიად იყო ქცეული. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარზე რომ გადახვალთ, დაწვრილებით უნდა ილაპარაკოთ ილია ჭავჭავაძის შესახებ, შემდეგ აკაკი წერეთელსაც თავისი უნდა მიუბღოთ და ვაჟასაც.“<sup>1</sup> ყრილობის შემდეგ, 1936 წლის 4 სექტემბერს გაზეთმა „პრავდამ“ გამოაქვეყნა მასალა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე და მას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის „უპოპულარესი მოღვაწე“ უწოდა.

1937 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები „შოთა რუსთაველის 750 წლისთავის აღსანიშნავად“ და „ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან მე-100 წლის იუბილის და გარდაცვალებიდან 30-ე წლის აღნიშვნის შესახებ“.

როგორც ჩანს, სტალინმა ბერიას დაავალა: ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან მე-100 და მკვლელობიდან 30-ე წლისთავის აღნიშვნამდე, 1937 წლამდე, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში შეექმნა ისეთი იდეოლოგიური ატმოსფერო, რომელიც საზოგადოებას დაარწმუნებდა, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა განაზოგადოებდა მეფის „ოხრანკამ“. მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ ილიას სახელი თავის იდეოლოგიას მიუსადაგა, დღის წესრიგში დადგა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საბჭოური ვერსიით გამოძიება და გადაწყდა, ამ ვერსიაზე აგებული სცენარის შესაბამისად, ილიას მკვლელობის ცოცხალი მონაწილის - გიგლა ბერბიჭაშვილის გასამართლება. 1907-1908 წლებში ჩატარებული ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიებისა და სასამართლოს დოკუმენტები საბჭოთა მართლმსაჯულების მხრიდან გარკვეულ რევიზიას დაექვემდებარა, მათთვის საინტერესო ფაქტებს საბჭოური ინტერპრეტაცია

---

<sup>1</sup> გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 31. 03. 20014 წ., „როგორ დაუბრუნა სტალინმა საქართველოს უძველესი სიწმინდეები“, თბილისი;

მისცეს. ილიას ბოლო მოურავის დიმიტრი ჯაშის 1909-1911 წლებში „ოხრანკის“ აგენტობა კარგი საბაზი გახდა იმისთვის, რომ ილიას მკვლელობა დაბრალდებოდა მეფის „ოხრანკას“; 1935-1937 წლებში ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა წერილები ილიას ვერაგული მკვლელობის შესახებ, მათ შორის, მოგონებები ილიას ბოლო მოურავზე, რომლის თანახმადაც, საზოგადოებას არწმუნებდნენ, რომ ილიასთან მოურავად იგი „ოხრანკამ“ შეაგზავნა. გარდა ამისა, ამ მოგონებებში დიმიტრი ჯაშზე წერდნენ, როგორც ფიზიკურად და მორალურად მახინჯ ადამიანზე და ქართველ საზოგადოებაში მის მიერ ჩადენილი ქმედებების საბჭოური აღწერით, მისდამი სიძულვილს ნერგავდნენ. ილიაზე თავდასხმის ცოცხალი მონაწილე გიგლა ბერბიჭაშვილი ილიას მკვლელობიდან 34 წლის შემდეგ დააპატიმრეს. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ 1942 წლის 5 იანვრის განაჩენით დაადგინა: „ბერბიჭაშვილი ცნობილი იქნეს დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 50-<sup>13</sup> მუხლით და აერჩიოს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეგა“<sup>1</sup>. ამავე განაჩენში ჩანერეს: „ილიას მკვლელობა მონწყობილია მეფის ოხრანკის მიერ დაქირავებული აგენტის, ილიას ყოფილი მოურავის დიმიტრი ჯაშის ხელმძღვანელობით“.<sup>2</sup> 20 წლის გარდაცვლილ დიმიტრი ჯაშს, გამოძიების გარეშე, მხოლოდ ერთი მოწმისა და თვით ბრალდებულის ყალბი ჩვენებით, დაბრალდა ილიას მკვლელობის ხელმძღვანელობა. ამით შეინიღბა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ნამდვილი ხელმძღვანელები.

ჩვენმა მშობლებმა სწორედ იმ წელს იქორწინეს.

ილიას მკვლელობის ხელმძღვანელობის ბრალდებით დიმიტრი ჯაში სისხლის სამართლის პასუხისგებაში თავის სიცოცხლეში არასოდეს მიუციათ, არც გაუსამართლებიათ. 1942 წლის 5 იანვრის განაჩენში ჯაშის მიმართ ცილისმწამებლურ ჩანაწერს დიმიტრი ჯაშის ოჯახი, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, სხვა დასხვა ინსტანციაში ასაჩივრებდა. 1963 წლის 8 ოქტომბრის N13/733101 წერილით სსრკ პროკურატურამ ჯაშის ოჯახს აცნობა: „...1942 წლის საქმის შემოწმებით, რომლის მიხედვითაც გასამართლებული იყო გ. პ. ბერბიჭაშვილი, დიმიტრი სოფრომის ძე ჯაში გასამართლებულად არ ითვლება და პასუხისგებაში არ ყოფილა მიცემული“.

1964 წლის იანვარში საქართველოს სსრ პროკურატურამ შემდეგი შინაარსის წერილი შექმნა: „...საქმეში, რომლის მიხედვითაც ოდიშვილის თავმჯდომარეობით გასამართლებული იქნა გ.პ. ბერბიჭაშვილი, როგორც ი.ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილე, დ.ს. ჯაში სრულიად არ გადის“.

ამ წერილებით ოჯახმა მიიღო ორაზროვანი შინაარსის დოკუმენტები: ერთი მხრივ, დაადასტურეს, რომ 1942 წლის საქმით, რომლის მიხედვითაც გასამართლებული იყო გ. პ. ბერბიჭაშვილი, დიმიტრი ჯაში გასამართლებულად არ ითვლება და პასუხისგებაში არ ყოფილა მიცემული, მაგრამ არაფერი თქვას, თუ რატომ ჩაიწერა

<sup>1</sup> ალ. შუმნაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ 1996 წ. თბილისი;

<sup>2</sup> ალ. შუმნაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ 1996 წ. თბილისი;

ამ სასამართლოს განაჩენში, რომ „ილიას მკვლელობა მოწყობილია მეფის „ოხრანკის“ მიერ დაქირავებული აგენტის, ილიას ყოფილი მოურავის - დიმიტრი ჯაშის ხელმძღვანელობით“.

საქართველოს სსრ პროკურატურიდანაც წერილობით დაადასტურეს, რომ საქმეში, რომლის მიხედვითაც გასამართლებული იქნა გ.პ. ბერბიჭაშვილი, როგორც ი. ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილე, დიმიტრი ჯაში სრულიად არ გადის. აქაც გაუგებარი დარჩა: თუ დიმიტრი ჯაში სრულიად არ გადის ი. ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილის საქმეში, მაშ რატომ მიაწერეს იმავე სასამართლოს განაჩენით დიმიტრი ჯაშს ილიას მკვლელობის ხელმძღვანელობა. საბჭოთა პროკურატურამ 1963-1964 წლების წერილებით ოფიციალურად არ აღიარა 1942 წლის 5 იანვრის სასამართლო განაჩენში ჯაშის შესახებ გაკეთებული ჩანაწერი, თუმცა, არაფერი თქვა იმის შესახებ, თუ რატომ დააბრალეს 20 წლის წინ გარდაცვლილ დიმიტრი ჯაშს ილიას მკვლელობის ხელმძღვანელობა.

ალექსანდრე შუშანაშვილი 2000 წელს გამოცემულ წიგნში „წინამურის ტრაგედია“ წერს: „... სასამართლომ დიმიტრი ჯაშის ბრალეულობის საკითხიც გამოიკვლია და სამართლებრივი შეფასება მისცა, რითაც უხეშად დაარღვია იმ დროს მოქმედი სქართველოს სსრ 1923 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის დევნა არ შეიძლება აღრძული იქნას, ხოლო აღრძული დევნა არ შეიძლება განგრძობი იქნას და უნდა მოისპოს პროცესის რა სტადიაშიც უნდა იყოს საქმე. უკეთეს ბრალდებული გარდაიცვალა. გარდაცვალებულის მიმართ სქმის წარმოება მაშინაც და ახლაც დასაშვებია იყო და არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა მისი რეაბილიტაციისათვის.“<sup>1</sup>

დიმიტრი ჯაშის მიმართ 1942 წლის 5 იანვრის განაჩენში არსებული ჩანაწერი არ შეცვლილა. დიმიტრის შვილი იური ჯაში 1963 წლიდან ელოდა სასამართლო განაჩენში ცვლილებებს, მიუხედავად ამისა, კომუნისტური პარტოკრატის დავალებით, არა მარტო 1950-1960-იან წლებში, არამედ 1970-1980-იან წლებშიც, დიმიტრი ჯაშის, როგორც ილიას მკვლელობის ხელმძღვანელის, სახელი აქტიურად მოიხსენიებოდა როგორც რადიო-ტელევიზიით, ისე ჟურნალ-გაზეთებსა თუ სხვა გამოცემებში.

ამაოდ ეძებდა სამართალს იური ჯაში - დიმიტრის ვაჟიშვილი. ჩვენს მშობლებს მრავალი სიძნელისა და მორალური ტკივილების გადალახვა მოუხდათ, ამის მოწმე შვილებიც ვიყავით. დოკუმენტურ-მხატვრულ ფილმში „ვინ მოკლა ილია...“ ჩვენი აზრით, კვლავ იჩინა თავი დიმიტრი ჯაშის მიმართ ძველმა ინერციამ - ცილისწამება.

ქართული საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც უზრუნველყო 1942 წლის სასამართლო ფაბრიკაცია (რის შედეგად, განაჩენში დღემდე მყარად არის ჩაწერილი:

---

<sup>1</sup> ალ. შუშანაშვილი, „წინამურის ტრაგედია“, გვ. 77, „ორიონი“ 2000 წ. თბილისი;

ჯამი, როგორც ილიას მკვლელობის ხელმძღვანელი), 50 წელი არ აღიარებდა, რომ ჯამს ილიას მკვლელობის ხელმძღვანელობა შეგნებულად დაბრალდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და მწერალთა კავშირის წევრებმა 1987 წელს, ილიას მკვლელობის ნამდვილი გარემოებების დადგენის მიზნით, სპეციალური სახელმწიფო კომისიის შექმნის ფაქტით, აღიარეს, რომ 1942 წლის სასამართლო განაჩენში გაკეთებული ჩანაწერი სიმართლე არ იყო. სიმართლე რომ ყოფილიყო, 1987 წელს 23 წევრის შემადგენლობით ასეთი კომისიის შესაქმნელად არავინ გაირჩეობდა. იმავე 1987 წელს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა განიხილა ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ერისა და ეკლესიის წინაშე და განაჩინა: „ილია ჭავჭავაძე შერაცხილ იქნას წმიდანად და ეწოდოს მას ილია მართალი“. ქართველი ხალხის ინტერესია - გაიგოს სიმართლე: ვინ იყვნენ ილიას მკვლელობის ნამდვილი ორგანიზატორები, ვინ იყო მკვლელების მიერ გამოძიებისათვის დასახელებული „იმერელი“. პროფესორი თენგიზ სიმამიშვილი უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მუშაობდა საარქივო მასალებზე და დღესაც განაგრძობს კვლევას იმის დასამტკიცებლად, რომ დიმიტრი ჯამი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) დავალებით შეგზავნილი მოურავი იყო. მკვლევარს სჯერა, რომ ამ სავარაუდო ბრალდებაში საზოგადოების დასარწმუნებლად უტყუარი დოკუმენტები მოიპოვა და გამოაქვეყნა. გავეცანით თითქმის ყველა იმ დოკუმენტს, რასაც იგი ეყრდნობა და ვფიქრობთ, მათზე დაყრდნობით მკვლევრის დასკვნები უსაფუძვლოა, რის დასაბუთებასაც შევეცდებით. საკითხის მიმართ დიდი ინტერესის გამო, გავეცანით მეოცე საუკუნის ბოლოს და ოცდამეერთე საუკუნეში ილიას მკვლელობასთან დაკავშირებულ არაერთ გამოცემას. მათზე ჩვენს მოსაზრებას წინამდებარე წერილებში გაგაცნობთ. მიუხედავად იმისა, რომ დიმიტრი ჯამის ოჯახი თითქმის 50 წელი ცდილობდა ყალბი ბრალდებებისაგან მის დაცვას, რაშიც მკითხველიც დარწმუნდება, ვფიქრობთ, წიგნის სათაური - „დაგვიანებული წერილები“ - შეესაბამება საკითხთან დაკავშირებულ რეალობას. ჩვენი წერილები, არსებული ფონის გათვალისწინებით, უთუოდ დაგვიანებულია, მაგრამ ისიც ამკარაა, რომ ამ საქმეზე ჩატარებულმა გამოძიებებმა და სასამართლოებმა ვერ შეძლეს მტკიცებულებებით და არა ყალბი ჩვენებებით, დაედასტურებინათ ილიას მკვლელობაში დიმიტრი ჯამის მონაწილეობა. საბჭოთა მართლმსაჯულება „ონრანკასთან“ თანამშრომლობის საბაბით შეეცადა მისთვის მოერგო ქართველი ერის ისტორიაში ჩადენილი ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაული. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ მათ ეს არ გამოუვიდათ.

XX და XXI საუკუნეებში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ შექმნილ შრომებში, ავტორთა უმრავლესობა ილიას მკვლელობის ხელმძღვანელად მიიჩნევენ ილიას ბოლო მოურავს დიმიტრი ჯამს. გამონაკლისია რამდენიმე ავტორი, რომელთა აზრით, დიმიტრი ჯამი, ილიას მკვლელობის საქმეში უდანაშაულოა. ჩვენს წერილებში და წიგნში მოტანილ თავებში, შევეცდებით, გავერკვეთ, თუ ვინ ცდი-

ლობდა დიმიტრი ჯაშისთვი თავს მოეხვია ცრუ ბარალდება, შევეცდებით, სავარაუდოთ, დავადგინოთ თუ ვინ შეიძლება ყოფილიყვნენ ილიას მკვლელობის ხელმძღვანელები. ამ საქმისათვის კი გამოვიყენებთ ალექსანდრე შუმანაშვილის, ოთარ ბაღრიძის, შალვა მარკოზაშვილის და ნოდარ გრიგალაშვილის მიერ საქართველოს ბიბლიოგრაფიაში სამუდამოდ დამკვიდრებულ წიგნებს, ასევე, ჩვენი ბების - დარია კობლატაძე-ჯაშის 1963-1965 წლებში დაბეჭდილ მოგონებებს. მათი საშუალებით, გვსურს, მკითხველს წავაკითხოთ სიმართლე დიმიტრი ჯაშის შესახებ.

პროფესიონალ მკვლევრებს, რომლებიც ისტორიული ფაქტების წყაროდ საარქივო დოკუმენტებს იყენებენ, დავუპირისპირებთ პროფესიონალ მკვლევრებს, რომლებიც დიმიტრი ჯაშის მხარეს იხრებიან და მათი შექმნილი შრომებით დიმიტრი ჯაშის შთამომავლები, ანუ დაინტერესებული პირები წარმოვადგენთ ჩვენს მოსაზრებებსაც. კრიტიკული ოპონირების მიზეზი იქნება მიკვლევითი დოკუმენტებისა და ისტორიული ფაქტების ანალიზზე დაფუძნებული, ჩვენი რწმენით, მხოლოდ, მცდარი დასკვნები და მათზე წინასწარ გათვლილი, საზოგადოებისთვის თავს მოხვეული აზრები. ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, საუკუნეზე მეტი გადასახედიდან გავერკვეთ, მის მიმართ წაყენებულ უსამართლო ბრალდებებში. ცხადია, ყველა სავარაუდო ბრალდებას ფრთხილად უნდა მივუდგეთ, რათა დიმიტრი ჯაშის დასაცავი არგუმენტების მოყვანისას არ დაგვძლიოს შთამომავლის ინსტინქტმა და უსაფუძვლოდ არავის შევეკამათოთ. ამავე დროს, სავარაუდო, მაგრამ საეჭვო, შეუსაბამო დოკუმენტებით და არალოგიკური დასკვნებით მისი ბრალეულობის მტკიცებისას, უფლებას ვიტოვებთ შევაფასოთ იგი, როგორც დაუსაბუთებელი.

ერთია მეცნიერული კვლევა, ხოლო სულ სხვაა მოკვლეულის სამართლებრივად განხილვა. აუცილებელია, მოძიებული დოკუმენტების საფუძველზე ილიას მკვლელობაში დიმიტრი ჯაშის მონაწილეობის ჩამოყალიბებულ ვარაუდებზე ჩატარდეს სათანადო გამოძიება, სასამართლო განხილვა და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, რომელიც დაადგენს ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მის ბრალეულობას, ან სასამართლო მიიჩნევს მას უდანაშაულოდ. სხვაგვარად - მეცნიერმა თავისი ვარაუდით გამოაცხადოს ის ბოლშევიკების მიერ შეგზავნილ მოურავად და საქვეყნოდ შერაცხოს მკვლელობაში დადასტურებულ დამნაშავედ (როგორც პროფესორმა სიმამვილმა გააკეთა) - მკვლევარს ამის უფლებას მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი არ აძლევს. მეცნიერი ვალდებულია, ვარაუდებით დამნაშავედ შერაცხულის მიმართ ისე წეროს, რომ ადამიანი, რომელიც სამართლიან სასამართლოს არ გაუსამართლებია, საზოგადოებას არ წარუდგინოს დადასტურებულ დამნაშავედ.

ინფორმაციას, რომელიც დამყარებულია მოვლენებისა და ფაქტების არაზუსტ ან არალოგიკურ წყობაზე, მიყვავართ შეცდომამდე. შეცდომა სინამდვილეს არ შეესაბამება - ის სიცრუეა. საბჭოთა ტოტალიტარულ სახელმწიფოში სიცრუეს ხშირად ქმმარობდა მეტი ძალა ჰქონდა. სამწუხაროდ, ტყუილი დღესაც ახერხებს გავრცელებას და მოქმედებს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. უდავოდ, დღევან-

დელ საქართველოში მდგომარეობა შეიცვალა, რეალურ გარემოსაც აღვიქვამთ, მაგრამ მკვლევრები, რომლებიც წერდნენ ილიას მკვლელობაზე და ავრცელებდნენ „ერთადერთ და ჭეშმარიტ აზრს“ - ტყუილს და ამისთვის სათანადო რეგალიებიც მიიღეს, უკან არ იხევენ და არ სურთ აღიარონ, რომ მათ „მეცნიერულ“ შრომებს სასიცოცხლო საყრდენი გამოეცალა. მათ მიერ აღზრდილ მეცნიერთა ახალი თაობა, ზოგჯერ, ახალი ვერსიებით ისეთ სიმართლეს ამტკიცებს, რომელიც თითქოს საარქივო დოკუმენტებს ემყარება, მაგრამ დოკუმენტები ხშირად ისტორიული ფაქტების თანხვდენილი არ არის, ხოლო კვლევის ანალიზი და დასკვნები არაობიექტური, არალოგიკური და შესაბამისად, მცდარია.

ამ წერილებით შევეცდებით ეს დავასაბუთოთ.

# I ნაწილი

## წერილი პირველი ფილმის - „ვინ მოკლა ილია...“ - რეჟისორს, მიხეილ ბერინაშვილს

ამ ფილმის გადაღების იდეა როცა გაცხადდა, საზოგადოებამ იგი მიიღო, როგორც საშური საქმე. ამ განწყობას ჩვენც ვიზიარებდით. ვნახეთ ფილმი. მსახიობებმა შესრულებული როლებით დაამახსოვრეს თავი მაყურებელს. ფილმი საინტერესო გამოვიდა. ჩვენ, დიმიტრი ჯაშის შთამომავალებს, დაგვეფლა განსაკუთრებული ემოციები.

ფილმში დიმიტრი ჯაში, ჩვენი აზრით, ტენდენციურად წარმოაჩინეს და მასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რამდენიმე დოკუმენტის არასწორი ინტერპრეტაციით მაყურებელი შეცდომაში შეიყვანეს.

ფილმი პირველი საუკეთესო მცდელობაა - წარმოაჩინოს დიდი ილიას სიცოცხლის ბოლო დღე. თუ ერთი პირის მიმართ ტენდენციურობა დავინახეთ და, ამასთან, არქივის დოკუმენტების შინაარსი მაყურებელს წარმოუდგინეს თავიანთი ინტერპრეტაციით, რის გამოც დიმიტრი ჯაშის მიმართ ტყუილი და ცილისწამებაც გაჟღერდა, ამ მიზეზით არ ვფიქრობთ, რომ ფილმმა დაკარგა თავისი ღირებულება. შემოქმედებითი კოლექტივის პროფესიონალიზმი ჩვენგან მოითხოვს ფაქტებითა და დოკუმენტებით დავადასტუროთ, სად შეცდენენ ფილმის შემქმნელები. ფილმის წამყვანი გვიყვება ამბავს, რომელსაც ეკრანზე გამოტანილი საარქივო დოკუმენტებით „ამყარებს“. მივყვით ფილმში მოყვანილ ტექსტს, რომელიც უშუალოდ დიმიტრი ჯაშს ეხება.<sup>1</sup>

1. „...მესამე და მთავარი საკმაოდ საეჭვო სუბიექტი გამოჩნდა - დიმიტრი ჯაში...“

ფილმში დიმიტრი ჯაშის ხსენება ამ სიტყვებით იწყება. მაინც რატომ „მთავარი“? ფილმის ავტორებს დიმიტრი ჯაში 1907 წლის ტრაგედიის მთავარ ფიგურანტად მიაჩნიათ. ილიას მკვლელობის გამოძიებისას, რომელსაც მეფის რუსეთი აწარმოებდა, იყო მესამე პირი, რომელზეც ეჭვი მიიტანეს და ადმინისტრაციული წესით დააპატიმრეს. იგი ბრალდებულად პასუხისგებაში არ მიუციათ, სამი თვის შემდეგ გათავისუფლდა. ილიას მკვლელობაში მთავარ პერსონად დიმიტრი ჯაში საბჭოთა სასამართლომ, 1942 წელს გამოიყვანა. თუ საბჭოთა სასამართლოს განაჩენს ეყრდნობიან, ჯაში მესამე რატომ არის? იქ ის პირველი და მთავარია - ყველა დამნაშავეს თავში ჩაუყენეს.

<sup>1</sup> რეჟისორი მ. ბერინაშვილი, დოკუმენტურ-მხატვრული ფილმი - „ვინ მოკლა ილია...“ - 2014 წ. თბ.;

ფილმის ავტორები 1942 წლის სასამართლო პროცესს „ფარსად“ მიიჩნევენ. ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე ისევ ვიკითხავთ: რატომ მესამე და მთავარი?

ამ კითხვის პასუხი ასეთია: ფილმის შემქმნელები წინ უსწრებენ მკვლევლობის შემდეგ მომხდარ ფაქტებს, ეყრდნობიან 1942 წლის სასამართლოზე გამოთქმულ სიცრუეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს სასამართლო თავადვე ფარსად მიაჩნიათ. ფაქტების მიმართ წინმსწრები მიდგომით, დიმიტრი ჯაშს 1907-1909 წლების გამოძიებისა და სასამართლოს დოკუმენტებში მთავარ მოქმედ პირად ხედავენ, რაც სინამდვილეს არ შეუფერება. ფაქტების მანიპულირებით ეს ეპიზოდი ტენდენციურია.

2. „...მრავალმხრივი აგენტი...“

მრავალმხრივი აგენტობა რით საბუთდება? გასაგებია, რომ 1909-1911 წლებში დიმიტრი ჯაში იყო მეფის „ოხრანკის“ აგენტი, 1916 წლიდან კავკასიის კონტრდაზვერვაში მსახურობდა. ორივე შემთხვევაში იგი მეფის რუსეთის სამსახურშია. ვიცით, რას ნიშნავს „ორმაგი“ აგენტი: ორი ერთმანეთის მიმართ მტრული ქვეყნის აგენტობას. ასეთი საბუთი არ არსებობს, მით უფრო, „მრავალმხრივი აგენტის“, ანუ მრავალი სახელმწიფოს აგენტობის დამადასტურებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას გამოაქვეყნებდნენ. ტენდენციურად ნათქვამი სიტყვებია.

3. „...და თითქმის ყველა პოლიტიკური ძალისათვის მისაღები ფიგურა...“

ეს მეტყველებს, რომ დიმიტრი ჯაში ყველა პარტიას მოერგებოდა. რატომ? ამაზე არაფერს ამბობენ. არსებობს ისეთი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს „ყველაასათვის მისაღების“ რომელიმე პარტიული ჯგუფის წევრობას?

თუ რომელიმე პარტიას თანაუგრძნობდა, ეს წევრობას არ ნიშნავს. იგი ხელმოწერით არსად ადასტურებს თავის პარტიულობას. თუ მას, როგორც პარტიის წევრს, პარტიის კომიტეტმა ან კრებამ მისცა რაიმე კონკრეტული დავალება და მან ის შეასრულა, ასეთი დოკუმენტი რომ ყოფილიყო, აუცილებლად ეკრანზე აჩვენებდნენ, როგორც ეს სხვების (წითელრაზმელების) შემთხვევაში აქვთ მოძიებული და გამოქვეყნებული. ეს მოსაზრებაც ტენდენციურია.

4. „...ენანკლიანი ჟურნალისტი...“

დიმიტრი ჯაში ცნობილია, როგორც ჟურნალისტი, მიუხედავად მისი განათლების დაბალი ცენზისა. ავტორები, ალბათ, იცნობენ პუბლიკაციებს, მაგრამ არ ახსენებს ის რედაქციები, რომლებთანაც ჯაში თანამშრომლობდა. შოთა ბადრიძე წიგნში „წინამურის ტრაგედიის გამოცანები“ წერს: „ერთი რამ აშკარაა: ჯაში საკმაოდ ნებისყოფიანი და ლიტერატურული ნიჭითაც დაჯილდოებული პიროვნება იყო, რასაც კარგად მოწმობს მისი ბეჭდური ნაწერები... მის ლიტერატურულ ნიჭს თანამედროვეთაგან, მისდამი მტრულად განწყობილიც აღიარებდა.“ ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის წევრი - ბატონი თენგიზ სიმამვილი თავის შრომებში აღნიშნავს, რომ დი-

მიტრი იყო პუბლიცისტი და მთარგმნელი, მაგრამ ფილმში ამის ხაზგასმა საჭიროდ არ მიიჩნეხს.

5. „...საბჭოთა პროკურატურამ გაიძვერა და ბოროტი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი უწოდა...“

ფილმის ავტორებს შევახსენებ 2010 წლის 21 ივლისის საქართველოს პარლამენტის დადგენილებას N3567-რს „საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შესახებ“. საბჭოური შეფასების გამოყენება იმისათვის, რომ ადამიანი დღევანდელ საქართველოში უარყოფითად დაახასიათო, სხვა თუ არაფერი, ალოგიკურია. ეს წინადადებაც ტენდენციურია. საბჭოთა პროკურატურამ ჯამის მიმართ უფრო საშინელი ცილისწამება გაიმეტა: მას დააბრალა ილიას მკვლელობის ხელმძღვანელობა.

6. „...მან არაერთგზის დაიძვრინა თავი. ... ჯამი 14 სექტემბერს დააპატიმრეს, თუმცა თავის დაღწევა სამ თვეში შეძლო“.

ილიას მოურავობამდე დიმიტრი, როგორც იმ დროის მრავალი ახალგაზრდა, თანაუგრძნობდა რევოლუციონერებს. ჟანდარმერიის მიერ ორჯერ იყო დაკავებული სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი დანაშაულის მუხლით, როგორც დემონსტრაციის მონაწილე და რევოლუციური მიზნებისათვის ფულადი შემოწირულობის შემგროვებელი. არც სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი დანაშაული და არც რევოლუციური მიზნებისთვის ფულადი შემოწირულობის შეგროვება არ დაუდგინდა და მალე გაათავისუფლეს. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ, 1907 წ. 14 სექტემბერს, ყოფილი მოურავი მეფის ხელისუფლებამ ადმინისტრაციული წესით დააპატიმრა, თუმცა მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა მოკვლევაში საკმარისი სამხილების არარსებობის გამო და 16 დეკემბერს გაათავისუფლდა. თუ ვინმეს მიაჩნია, რომ მეფის რუსეთის გამოძიებამ გადამალა დიმიტრი ჯამის ამ საქმეში ბრალეულობის სამხილი და ამით თავი დაიძვრინა, მხოლოდ ვარაუდით ამის მტკიცება შეუძლებელია. ჯერ მოიძიოს და აღმოაჩინოს მამხილებელი დოკუმენტი, ამით დაამტკიცოს, რომ ეს ასე იყო და მერე თქვას - თავი დაიძვრინაო. განმარტებისთვის დავამატებ: მოკვლევა გამოძიების წინა ეტაპია, გამოძიების გარეშე დანაშაულის დადგენა შეუძლებელია. საქმის წარმოების მოკვლევის ეტაპზე, სამ თვეში გათავისუფლებული ადამიანი თავდადწეულად მიიჩნეო, ამ წინადადებით ფილმის ავტორები ცდილობენ მაყურებელი დაარწმუნონ, რომ ჯამი დანაშაულში მხილებული იყო და რაღაც ძალით გათავისუფლდა.

7. „...მის ბიოგრაფიას განსაკუთრებით ალაბათებს აგენტი „სლუჩანინი“-ს ფსევდონიმი, რომელიც ... თბილისის ოხრანკამ 1909-1911 წლებში უბოძა. მემარნიშვილი სწორედ დიმიტრი ჯამმა ჩაანაცვლა ... 23 წლის მოურავი საგურამოში ილიასთან ერთად 1907 წლის 19 ივნისს ჩავიდა“.

ფილმში როცა დიმიტრი ჯამზე ლაპარაკობენ, ჯერ 1909-1911 წლებში მისი აგენტობის ფაქტი მოჰყავთ, შემდეგ კი ამბობენ: „...მემარნიშვილი სწორედ დიმიტრი ჯამმა ჩაანაცვლა... 23 წლის მოურავი საგურამოში ილიასთან ერთად 1907 წლის 19

ივნისს ჩავიდა“. მისი ბიოგრაფიის ასეთი რეჟისორული ქრონოლოგიით გადმოცემის მიზანი ერთია: ოხრანკის აგენტი ჯაში თავიდანვე დაუკავშირონ ჯერ ილიას მოურავობას, შემდეგ ილიას მკვლელობას. სწორედ ასე, პარტიის დავალების შესასრულებლად ჯაშის ცხოვრების ფაქტებით მანიპულირებდნენ მეოცე საუკუნის 30-იან წლებში გორდელაძე, სიგუა, გუგუშვილი და სხვები, რომელთა „მონდომებით“ ჯაში 1942 წელს ილიას მკვლელობის ხელმძღვანელად გამოცხადდა. აღსანიშნავია, რომ ფილმის ერთ-ერთმა შემქმნელმა ბატონმა სიმაშვილმა თავისი შრომებით, ზემოთ ჩამოთვლილი პირების მიერ ჯაშის ბიოგრაფიის დამახინჯების ფაქტები საამჟამოამდე გამოიტანა, შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი არ იზიარებს ფილმში ჯაშის ბიოგრაფიის გადმოცემის ასეთ წარმოდგენას.

8. „...ილიამ ძალევე ამოიცილა მისი მარტოვე სელის ნამდვილი სახე, მაგრამ ზომების მიღება აღარ დასცალდა“.

1908 წლის 2 დეკემბრის გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილია ილიას მკვლელობის სასამართლოს ქრონიკა და მოწმეების ჩვენებები. ოღონდ ჭავჭავაძე ავადმყოფობის გამო ვერ დასწრებია, მაგრამ მისი ჩვენება გამოაქვეყნეს, რომელიც მას ადრე გამოძიებისათვის მიუცია.

1907 წლის 18 სექტემბერს სასამართლო გამომძიებელმა ილიაშენკომ დაკითხა ოღონდ თადეოზის ასული ჭავჭავაძე. ჩვენება ასეთია: „...საფულეში მქონდა მეუღლის წერილები, დავითის ფსალმუნი და სხვადასხვა წერილები... მეუღლის წერილებიდან ერთი ივლისში იყო საგურამოდან გამოგზავნილი. ამ წერილში ის მაგყობინებდა, რომ მოურავი ჯაში მეტყუილე და არაკეთილსინდისიერი კაცი გამოდგა და როცა ახალ მოურავს ვნახავ, მერე ჩამოვალ. ივლისში მეუღლე ორ კვირას ცხოვრობდა საგურამოში ჩემს გარეშე. მე თბილისში ვიყავი. როცა საგურამოში დაჭრილი მიყვავდი, მომეჩვენა, რომ თავდამსხმელებს შორის მეოფე კაცი მაკავებდა. მაშინ არ ვიცოდი ვინ მაკავებდა, მაგრამ ამ კაცის მიმართ რაღაც უსიამოვნო გრძნობა გამიჩნდა...“<sup>1</sup>

რატომ მიიჩნია ილიამ თავისი მოურავი მატყუარა და არაკეთილსინდისიერი კაცად? თან, მოურავად აყვანის სულ რაღაც ათი-თორმეტი დღის მერე. დიმიტრი მოურავობისათვის შეუფერებელი რომ იყო, ილიამ თავიდან იცოდა. ე.ი. მოურავის არაკომპეტენტურობა მას არ გააკვირვებდა. თუ ილიამ ათ დღეში მოურავში შეიცნო მატყუარა და არაკეთილსინდისიერი კაცი, მაშინ მას თავის მამულში ერთ დღესაც არ გააჩერებდა.

თუ ჩავუკვირდებით ოღონდ ჭავჭავაძის სიტყვებს: „ილია მწერდა, დ. ჯაში მეტყუილე და არაკეთილსინდისიერი კაცი აღმოჩნდაო“, - გამოდის, რომ სულ რაღაც 10-12 დღეში ილია მიხვდა, რომ დიმიტრი არა მარტო შეუფერებელი მოურავი, არამედ მის წინააღმდეგ შეგზავნილი პირიც იყო, მაგრამ არაფერი გააკეთა მის

<sup>1</sup> აღ. შუმანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, 1996 წ. თბილისი;

მოსაშორებლად და ორი თვე კიდევ დაიტოვა მოურავად. ოლტასადმი მიწერილ წერილში ახალი მოურავის ილიასეული შეფასება და მისი შემდგომი მოქმედება ურთიერთსაწინააღმდეგოა, რასაც ილიას ვერ ვაკადრებთ.

ყველასათვის, მით უფრო - ისტორიის მკვლევრისთვის, ცნობილია, რაოდენ მკაცრი იყო ილია ჭავჭავაძე არაკომპეტენტური თანამოსაქმეების მიმართ სიტყვითა და მოქმედებით, დათმობაზე არავისთან არ მიდიოდა - იქნებოდა ეს სახელმწიფო თუ სამხედრო მოხელე, თავადი, აზნაური თუ გლეხი.

რაში გამოიხატა მამულების მოურავის, დიმიტრის „მეტყუილეობა და არაკეთილსინდისიერება“? ჩვენი აზრით, არაფერში, მაგრამ მოურავობის ორი თვის პერიოდში ილია მართლაც უკმაყოფილებას გამოხატავდა დიმიტრის მიმართ. ეს დაკავშირებული იყო მოურავის მოვალეობის არასათანადოდ შესრულებასთან. იგი გადასახადების აკრეფისას გლეხობას ვერ უმკლავდებოდა. ცდილობდა მათთან საერთო ენა გამოენახა. ამისათვის დიდხანს ელაპარაკებოდა, შეიძლება არწმუნებდა მათ, დათქმული გადასახადი გადაეხადათ, მაგრამ დათმობაზეც მიდიოდა, დამატებით ღროს აძლევდა, რაც ილიას გულისწყრომას იწვევდა. ამას მოჰყვებოდა ილიასთან თავის მართლება, რასაც ილია მისი მოტყუების მცდელობად აღიქვამდა. ამასთან, ადგილი არ ჰქონია მოურავის მხრიდან გლეხებისაგან აღებული ღალის მითვისებას, რასაც ქურდობა და არაკეთილსინდისიერი საქციელი ეწოდება.

სიტყვები - „ილიამ მალევე ამოიციო მისი მარჯვენა ხელის ნამდვილი სახე“ - სცენარის ავტორისა არ არის, ის მეოცე საუკუნის 30-იან წლებშია მოგონილი იმ ადამიანების მიერ, რომლებსაც დაავალეს, დიმიტრი ჯაშუე ისეთი მოგონებები ეწერათ, რომ იგი მკვლელობის ხელმძღვანელად გამოეყვანათ. რატომ იმეორებს ამ სიტყვებს სცენარის ავტორი და რატომ იზიარებენ ამას ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის წევრები? პასუხი კვლავ დიმიტრი ჯაშის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებამია საძიებელი.

შესაძლებელია, ილიას არ მოეწონა მოურავის ფეთქებადი ხასიათი, რომლითაც ის გამოირჩეოდა. მაგრამ ასეთი ბუნების გამო კაცი არაკეთილსინდისიერად მიეჩნია - ნაკლებად დასაჯერებელია. უნდა ვიფიქროთ, რომ ილია რაღაცით კმაყოფილი იყო მოურავის საქმიანობით, სხვაგვარად ზაფხულის ორი თვე, რომელიც გადამწყვეტია მამულიდან შემოსავლის მისაღებად, როგორ დატოვა ყველაფერი გამოუცდელი, ამასთან, არაკეთილსინდისიერი და მატყუარა მოურავის ხელში? „...ილიამ მალევე ამოიციო მისი მარჯვენა ხელის ნამდვილი სახე, მაგრამ ზომების მიღება აღარ დასცალდა“. ამ ვარაუდზე, ქვემოთ ვიმსჯელებთ.

9. ფილმის წამყვანი ამბობს: „მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო მეორე მსოფლიო ომის ფონზე მიმდინარეობდა, ყველაფერი დაგეგმილი სცენარის მიხედვით წარიმართა. მკვლელობის აქტიურ მონაწილედ გიგლა ბერბიჭაშვილი დასახელდა. ორ-

განიზაგორად და მეფის ოხრანკის სახელ კი მწერლის მოურავი, 1922 წელს გარდაცვლილი დიმიტრი ჯაში ...“

ფილმის ავტორები საბჭოთა სასამართლოს არ ენდობიან, მას ეჭვის ქვეშ აყენებენ. ხაზსაც უსვამენ, რომ ეს პროცესი „ზემოდან“ დავალებით გაიმართა. კარგად არის გაშუქებული მიზეზი, თუ რატომ უნდა მოეწყობოთ ილიას მკვლელობასთან დაკავშირებული ერთი ცოცხალი მონაწილის სასამართლო პროცესი იმ დროს, როდესაც ქვეყანა ფაშისტური გერმანიის ჯარებს ებრძოდა. „სასამართლო დაგეგმილი სცენარით წარიმართა“. საჭირო იყო, ემხილებინათ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორად მეფის საიდუმლო სამსახური - „ოხრანკა“ და მისი სახელით მოქმედი პირები.

რაში გამოიხატა იმდროინდელი სასამართლოს მიერ „ზემოდან“ მიღებული დავალების შესრულება?

სასამართლო განაჩენიდან გამომდინარე, ეს დავალება მხოლოდ დიმიტრი ჯაშს უკავშირდება, რადგან, მეფისდროინდელი გამოძიებით, ბერბიჭაშვილის მონაწილეობა მკვლელობაში დადასტურებული იყო და ეს 1942 წელს თვითონ ბერბიჭაშვილმა აღიარა. ბრალდებულებმა, რომლებიც მეფის რუსეთის სასამართლომ დამნაშავეებად ცნო და განაჩენით ჩამოხრჩობა მიუსაჯა, გამოძიებას და სასამართლოს აცნობეს მკვლელობის მონაწილეთა გვარები. დიმიტრი ჯაში მათ მიერ არც ერთ დაკითხვის ოქმში და სასამართლო დოკუმენტში ნახსენები არ არის. დასახელებული ბერბიჭაშვილი და იმერელი ვერ გაასამართლეს, რადგან ისინი მიიმაღლნენ. ფილმში ბერბიჭაშვილის როლის შემსრულებელი გამოძიებას ჩვენებას აძლევს. გამომძიებელი ეკითხება, რას აკეთებდა იქ ჯაში? ბერბიჭაშვილი პასუხობს. შემდეგ აჩვენებენ 1941 წლის დეკემბერში სასამართლოზე გადაღებულ დოკუმენტურ კადრებს.

ბერბიჭაშვილის როლის შემსრულებლის ჩვენება რამდენად შეიძლება სიმართლე იყოს, ამაზე ფილმში არაფერს ამბობენ. დოკუმენტური კადრებით ფილმის რეჟისორი ცდილობს მაყურებელი დააჯეროს იმ „სიმართლეში“, რაც სასამართლო პროცესზე დიმიტრი ჯაშის მიმართ ითქვა. ფილმის ეს ეპიზოდი ჯაშის მიმართ სასამართლოზე გამოთქმული სიცრუის თანამედროვე ტირაჟირებაა, რადგან ფილმის ავტორები იმ სასამართლოს თავად აღიარებენ „სცენარით“ დადგმულად. დოკუმენტური კადრები თავისთავად ისტორიას ასახავს, მაგრამ ამ ისტორიაში მრავალი ფაქტია არაობიექტურად გაშუქებული.

1941-1942 წლებში გამართული გამოძიება და სასამართლო რომ აღიარებული „ფარსია“, ეს ვიცით. იგი ეფუძნება გუგუშვილის მიერ შექმნილ სცენარს. 1941-1942 წლებში ბერბიჭაშვილის სასამართლოს წინ უსწრებდა საბჭოთა მეცნიერის, პაატა გუგუშვილის 1938 წელს გამოსული წიგნი „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“.

ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის წევრი ბატონი თენგიზ სიმაშვილი თავის შრომებში წერს: „საბჭოთა ხელისუფლებას არავითარი დოკუმენტური მასალა დიმიტრი

ჯამის ილიას მკვლელობის დროს „ოხრანკის“ აგენტობის შესახებ არ გააჩნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებდნენ და არ მოახდენდნენ ფაქტების ასეთ ამკარა ფალსიფიკაციას“.<sup>1</sup>

უფრო ადრე ნოდარ გრიგალაშვილმა თავის წიგნში „თანამდევნი სული“ დაწერა: „... გუგუშვილის ეს უაბრო ნაშრომი ნახევარი საუკუნე სამაგიდო წიგნად აქციეს და დღესაც რამდენიმე მეცნიერი, ვინც ილიას მკვლელობაზე იმუშავა, გუგუშვილის მთავარ სიყალბეს, ვითომდა ჟანდარმერიისაგან ილიას მოკვლას, კვლავაც ბატალლო ჭეშმარიტებად ღებულობს“.<sup>2</sup>

გამოდის, რომ სასამართლოს განაჩენში გაკეთებული ჩანაწერი, რომ „ილია მოკლა რუსეთის მეფის „ოხრანკამ“ თავისი აგენტის დ. ჯამის საშუალებით“, სიმართლეს არ შეესაბამება. მაშ, რა საჭიროა ფილმში „ვინ მოკლა ილია...“ 1942 წლის სასამართლო პროცესზე გადაღებული დოკუმენტური კადრების ჩვენება, მით უფრო, ბრალდებულის დაკითხვის ინსცენირება, თუ არ იტყვიან, რომ ეს ყალბი, არასამართლიანი სასამართლო პროცესი იყო და ჯამის მიმართ სასამართლოს განაჩენში არსებული ჩანაწერი ცრუ ჩვენებებზეა დამყარებული.

ფილმში ითქვა, რომ „...რეჟიმმა ბერბიჭაშვილის ბიოგრაფიიდან ერთი ხელის მოსმით მისი პარტიული წარსული ამოშალა“, მაგრამ არაფერს ამბობენ იმაზე, რომ ის ჯამის შესახებ ცრუობს. ფილმში ნახსენებია: „...ახაგანელი გლეხის სიმკვიცე საბჭოთა უშიშროებამ ძალევე გაგება ...გამოძიებას სასურველი ჩვენება მისცა...“, მაგრამ არ ითქვა იმის შესახებ, რომ „გატეხილი“ ბერბიჭაშვილის ჩვენებაში რამდენიმე ადგილას შავით თეთრზე წერია: იგი დიმიტრი ჯამს არ იცნობდა.

ფილმი ოცდამეერთე საუკუნის დამოუკიდებელ საქართველოში შეიქმნა. ვფიქრობ, ავტორებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებიც უნდა გაეთვალისწინებინათ. უთუოდ უნდა დაესვათ კითხვა: 20 წლით ადრე გარდაცვლილი დიმიტრი ჯამი 1942 წლის 5 იანვრის განაჩენით რატომ არის აღიარებული ილიას მკვლელობის ხელმძღვანელად? ამის შესახებ ფილმის ავტორები სდუმან.

10. „...სასამართლოზე დ. ჯამი არც მისმა ყოფილმა მეუღლემ და არც მისმა ძმამ, უშანგი ჯამმა არ დაინდეს, გაამყარეს ილიას მოურავობის პერიოდში მისი ჟანდარმერიაში მუშაობის ვერსია, თუმცა, ამავე დროს, დარია ჯამი დიმიტრის სოციალ-დემოკრატიულ, ბოლშევიკ გერონისგებს - ობოლადქცა და იმერლიშვილს ქმრის მეგობრებად მოიხსენიებდა...“

<sup>1</sup> თ.სიმამვილი, „დიმიტრი ჯამის ვინაობისათვის“, ბლოგი, 2015 წ. 4.07.;

<sup>2</sup> ნ. გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“, 2010 წ. თბილისი;

უშანგი და დარია ჯაშებს არაფერი არ უთქვამთ ისეთი, რაც არ იცოდა გამოძიებამ. კერძოდ ის, რომ დიმიტრი ჯაში მოურავობის შემდეგ „ოხრანკის აგენტი იყო“, რომ იგი რამდენჯერმე იყო დაჭერილი. ამ მოწმეების 1942 წელს მიცემულ ჩვენებებში არ არის ისეთი სიტყვები, რომლითაც „გამყარეს ილიას მოურავობის პერიოდში მისი ჟანდარმერიაში მუშაობის ვერსია“. არც დაუდასტურებიათ, რომ დიმიტრი ჯაში მკვლელობის ორგანიზატორი იყო.

დარიას არასოდეს უთქვამს, რომ დიმიტრიმ ხელი შეუწყო ილიას მკვლელობას. მაშ, რას ნიშნავს სიტყვები „სასამართლოზე დ. ჯაში არც მისმა ყოფილმა მეუღლემ და არც მისმა ძმამ, უშანგი ჯაშმა არ დაინდეს“? მხოლოდ ტენდენციურობას, რათა მაყურებელმა იფიქროს: ყოფილმა ცოლმა და ღვიძლმა ძმამ დაადასტურეს დიმიტრისათვის წაყენებული ის ბრალდება, რომელიც მის მიმართ 1942 წლის სასამართლოს განაჩენში ჩაწერეს. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს.

11. „... ამ ამბიდან (1942 წლის სასამართლოდან - ავტ.) 21 წლის შემდეგ, დარია ჯაშმა მისი მეუღლის მიმართ წაყენებული ბრალდება საბჭოთა პროკურატურაში გაასაჩივრა. პროკურატურამ ყველანაირი ბრალდება მოუხსნა და ადრესაგს მისწერა: „თქვენი ქმრის დ. ს. ჯაშის საქმეზე გაცნობებთ, რომ 1942 წლის საქმის შემონშებით, რომლის მიხედვითაც ბერბიჭაშილი გაასამართლეს, დიმიტრი ჯაშის პასუხიმგებლობის საკითხი არ დგას.“

დარია ჯაშმა მისი მეუღლის მიმართ წაყენებული ბრალდება საბჭოთა პროკურატურაში გაასაჩივრა — სცენარისტისა და რეჟისორის აზრს გადმოგვცემს ფილმის წამყვანი, მაგრამ არ აკონკრეტებს, სად. რეჟისორი სარგებლობს იმით, რომ საქართველოს პროკურატურა და სსრკ პროკურატურა ორივე საბჭოთა პროკურატურა იყო და ამით არსებული სიყალბე სურს დამალოს. მართალია, დარია ჯაშმა საჩივარზე პასუხი მიიღო საბჭოთა პროკურატურიდან, რომლის ავტორი არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) პროკურატურის უშიშროების ორგანოებში გამოძიების ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი, მე-3 კლასის იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი მ.მ. ტამაზიანი. მის მიერ ხელმოწერილი წერილი N13/733101 დათარიღებულია 1963 წლის 8 ოქტომბრით და იგი დაბეჭდილია სსრკ პროკურატურის სატიტულო ბლანკზე. ეს წერილი ფილმში ფართო რაკურსით აჩვენეს, მაგრამ სულ სხვა შინაარსით გაახმოვანეს. სინამდვილეში წერია შემდეგი: „დარია ნიკოლოზის ასულ ჯაშს. თქვენი 1963 წლის პირველი სექტემბრის განცხადებაზე, რომელიც გაგზავნილია სკკპ ცკ-ის მისამართით, თქვენი ქმრის დ. ს. ჯაშის საქმეზე, გაცნობებთ, რომ 1942 წლის საქმის შემონშებით, რომლის მიხედვითაც გასამართლებული იყო გ. პ. ბერბიჭაშილი, დიმიტრი სოფრომის ძე ჯაში გასამართლებულად არ ითვლება და პასუხისგებაში არ ყოფილა მიცემული.“<sup>1</sup> მეორე საბჭოთა პრო-

<sup>1</sup> ი.ჯაში, დოკუმენტები, პირადი არქივი;

კურატურა, საიდანაც დარია ჯაშმა მიიღო პასუხი 1964 წლის 13 იანვრის N 01-6 წერილით, არის საქართველოს სსრ პროკურატურა. წერილის ქართული თარგმანია: „თქვენ განცხადებაზე, რომელიც გაგზავნილია სსრკ პროკურატურის უშიშროების ორგანოებში გამოძიების ზედამხედველობის განყოფილების პროკურორის, აშხ. ცამბინის სახელზე, გაცნობებთ, რომ საქმეში, რომლის მიხედვითაც ოდიშვილის თავმჯდომარეობით გასამართლებული იქნა გ. ბერბიჭაშვილი, როგორც იჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილე, დ. ს. ჯაში სრულიად არ ვადის“.<sup>1</sup> ფილმში აჩვენეს წერილის ფოტო, მაგრამ ხელის მოწერა ეკრანზე არ ჩანს. ოჯახის არქივში არსებულ დოკუმენტზე ხელს აწერს პროკურორი მგელაძე.

ამ წერილების ეკრანზე ჩვენების შემდეგ ფილმის რეჟისორმა წამყვანს ტყუილი ათქმევინა, ხოლო შემდეგ სხვა სიტყვები: „პროკურატურამ ყველანაირი ბრალდება მოუხსნა და აღრესატს მისწერა: „თქვენი ქმრის დ. ს. ჯაშის საქმეზე გაცნობებთ, რომ 1942 წლის საქმის შემონებებით, რომლის მიხედვითაც ბერბიჭაშვილი გასამართლეს, დიმიტრი ჯაშის პასუხიმგებლობის საკითხი არ დგას.“

წამყვანს შეცდომამი შეჰყავს მაყურებელი, როცა ტყუილს გადმოგვცემს: „პროკურატურამ ყველანაირი ბრალდება მოუხსნა“. არც ერთ წერილში მსგავსი პასუხი არ არის. სსრკ პროკურატურიდან მიღებულ წერილს იგნორირებას უკეთებენ, საერთოდ არ ახმოვანებენ. ამის ნაცვლად წამყვანი არა მარტო ტყუილს გადმოგვცემს, როცა ამბობს: „ბრალდება მოუხსნა“, არამედ დიმიტრი ჯაშს ცილს სწამებს, რომ იგი ბრალდებული იყო. ფილმის შემქმნელების აზრით, დიმიტრი იყო ბრალდებული და მას ბრალდება მოუხსნეს. სამართლებრივი ენით ცილს სწამებენ, თითქოს ის იყო ბრალდებული. არა, ბატონებო! საბჭოთა პროკურატურას ბრალდება კი არ მოუხსნია და არც ცილისწამება გამოუხატავს - თითქოს ის იყო ბრალდებული, არამედ დაწერეს, რომ დიმიტრი სოფრომის ძე ჯაში 1942 წელს ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით ბერბიჭაშვილის სასამართლოზე გასამართლებულად არ ითვლება და პასუხისგებაში არ ყოფილა მიცემული!

ტენდენციურობის გამო დოკუმენტს არასწორი ინტერპრეტაცია მიეცა, რაც ცილისწამებაში გამოიხატა, დაირღვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 18 - პირადი არაქონებრივი უფლებები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, განაჩენი არის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში. ხაზგასმულია „ბრალდებული“. დიმიტრი ჯაში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეში არასოდეს ყოფილა ბრალდებული, რადგანაც ამ საქმეზე არასოდეს ჩატარებულა მის მიმართ საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ტარდება მტკიცებულებათა შეკრების, დამაგრების, შემოწმებისა და შეფასების მიზნით. შესა-

<sup>1</sup> ი.ჯაში, დოკუმენტები, პირადი არქივი;

ბამისად, არ ყოფილა განსასჯელი-ბრალდებული, რომლის მიმართ საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ საქმე არსებითად განსახილველად ან დასამტკიცებლად ჩაბარდა სასამართლოს განსჯადობის მიხედვით.

დიმიტრი ჯაში თავის ხანმოკლე სიცოცხლეში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით არც მსჯავრდებული პირი ყოფილა, შესაბამისად, მის მიმართ არ გამოტანილა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი, რასაც ვერ ვიტყვით 1942 წლის განაჩენზე. იმ დროს ჯაში 20 წლის გარდაცვლილი იყო. მიუხედავად ამისა, 1942 წლის 5 იანვრის სასამართლოს განაჩენში არსებული ჩანაწერი დიმიტრი ჯაშის მიმართ გაკეთდა ისე, რომ ფაქტი დანაშაულის შესახებ გამოძიებით დადგენული არ ყოფილა.

1942 წლის 5 იანვრის სასამართლოს განაჩენში რომ ყალბი ჩანაწერია, ამაზე სდუმან, მაგრამ ფილმის შემქმნელებს გააზრებულად შეჰყავთ მყურებელი შეცდომი, როცა ამბობენ, რომ ჯაშს „პროკურატურამ ყველანაირი ბრალდება მოუხსნა“.

ქვემოთ წარმოდგენილია აღნიშნული წერილების ფოტოასლები.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ი.ჯაში, დოკუმენტები, პირადი არქივი;

**ПРОКУРАТУРА**

Союз Советских  
Республик

Кадастровый, Пушкинский, 15-а

8 октября 1963 г.

№ 137/26

гор. Батуми, Грузинской ССР,  
улица Кирова, № 84

**ДЖАШИ Дарье Николаевне**

На Ваше заявление от 1 сентября 1963 года, адресованное в ЦК КПСС по делу Вашего мужа **ДЖАШИ Д.С.**, сообщается, что проверкой дела за 1942 год, по которому был осужден **БЕРБИЧАШВИЛИ Г.П.** - **Джаша Д.С.** осужденным не значится и в ответственности он не привлекался.

Прокурор отдела по надзору за  
следствием в органах госбезопасности  
Государственный советник юстиции  
3 класса

*М. Тамазия*  
(М. ТАМАЗИЯ)

სსრკ-ის სასამართლო სისტემის განყოფილება



ПРОКУРАТУРА СССР  
**ПРОКУРАТУРА**  
ГРУЗИНСКОЙ СОВЕТСКОЙ  
СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ

ს ა მ უ ე რ ა ნ ი ა

ს. მთავრობის განკარგულებაში № 22  
ს. შ. მთავრობის განკარგულებაში

13. ЯНВАРЯ 1964

№ 01/6

სსრკ-ის სასამართლო სისტემის განყოფილება  
სსრკ-ის სასამართლო სისტემის განყოფილება

გ. რ. კე. დეაქი ს. ა. დ.

გორ. ბათუმი, ულ. კიროვა № 34, კვ. 14.

На Ваше заявление, адресованное на имя  
Прокурора отдела по надзору за следствием в органах  
госбезопасности Прокуратуры СССР тов. ТАМАЗИНА М.М.  
сообщая, что по делу по которому под председательством  
Сиделики был осужден БЕРЕБИЧАШВИЛИ Г.П., как участник  
убийства И. ЧАВЧАВАДЗЕ совершенно не проходит ДЕАКИ С.А.

წამყვანი შემდეგ ისევ სიცრუეს ავრცელებს: „ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით, უკვე 1984 წელს, დიმიტრის შვილმა, იური ჯაშმა მამის რეაბილიტაცია მოითხოვა, რაც სსრკ გენერალურმა პროკურატურამ არ დააკმაყოფილა. დიმიტრი ჯაში ისევ ბრალდებულად სცნეს...“

მსგავსი შინაარსის დოკუმენტი, რაც ამ სიტყვებს დაადასტურებდა, ეკრანზე არ არის წარმოდგენილი. ვერც წარმოადგენდნენ, რადგან იური ჯაშს მამის რეაბილიტაცია არ მოუთხოვია და სსრკ პროკურატურას, არათუ რეაბილიტაციაზე უარი არ უთქვამს, არამედ, იური ჯაშისათვის წერილი საერთოდ არ გამოუგზავნია. ფილმის შემქნელებმა დიდი ტყუილი შეთხზეს.

უკვე ვიცით, რომ დიმიტრი სიცოცხლეში ილიას მკვლელობისათვის არ ყოფილა პასუხისგებაში მიცემული და გასამართლებული, მით უფრო, მისი სიკვდილის შემდეგ. მიუხედავად ამისა, 1983-1984 წლებში აკადემიკოსმა გიორგი ჯიბლაძემ გამოსცა ორნაწილიანი წიგნი „ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება და პოეზია“ და „ილია ჭავჭავაძე. პროზა და ი.ჭავჭავაძე“, სადაც დიმიტრი ჯაში მოიხსენია ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ხელმძღვანელად, დაეყრდნო რა 1942 წლის სასამართლოს; არადა, ვიმეორებ: საქართველოს სსრ პროკურატურის 1964 წლის 13 იანვარის N 01-6 წერილის თანახმად, „საქმეში, რომლის მიხედვითაც გასამართლებული იქნა გ. ბერბიჭაშვილი, როგორც ი.ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილე, დ. ს. ჯაში სრულიად არ გადის“. დიმიტრის შვილმა, იური ჯაშმა, ჩათვალა, რომ ჯიბლაძემ უსამართლოდ მოიხსენია დიმიტრი ჯაში. ამას მოჰყვა სსრკ გენერალური პროკურორის მისამართით გაგზავნილი იური ჯაშის 1984 წლის 5 ივნისის განცხადება. მისი შინაარსი დაახლოებით ასეთია: დიმიტრი ჯაშის ოჯახმა სსრკ პროკურატურიდან 1963 წელს მიიღო წერილი, სადაც განმარტებულია, რომ საქმით, რომლითაც 1942 წელს გასამართლებული იქნა ბერბიჭაშვილი, დიმიტრი ჯაში გასამართლებულად არ ითვლება და პასუხისგებაში არ ყოფილა მიცემული. ბერბიჭაშვილის მიერ სასამართლოზე მიცემულ შვიდგვერდიან ჩვენებაში არ წერია, რომ დიმიტრი ილიას მკვლელობის მონაწილე ან წამქეზებელი იყო. მიუხედავად ამ ოფიციალური მონაცემებისა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტს ეს მონაცემები არ მიაჩნია სინამდვილედ და წამოაყენა თავისი პოსტულატი, თითქოს მკვლელობა მეფის რუსეთის დავალებით მოაწყო ილიას მამულების 23 წლის მოურავმა დ. ს. ჯაშმა... გთხოვთ, გამოითხოვოთ ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებული ყველა სასამართლოს საქმე, განიხილოთ და იურიდიულ ჩარჩოებში მოაქციოთ დიმიტრი ჯაშის მიმართ 1942 წლის სასამართლოს განაჩენის სამართლიანობის საკითხი. არსებული დოკუმენტებით დაადგინოთ ქეშმშარიტი გარემოება დიმიტრი ჯაშის ბრალულობასთან დაკავშირებით და მაცნობოთ. ამასთან, გთხოვთ, როგორც მამის ცრუ ბრალდებების გამო მორალურად დაზარალებული, აიძულოთ გიორგი ჯიბლაძე, გამოვიდეს პრესაში დიმიტრი ჯაშის გამამართლებელი წერილით და გააუქმოს დ. ს. ჯაშის მისამართით უსამართლოდ

წამოყენებული ბრალდება. ამით განსვენებული დიმიტრი ჯაში დაცული იქნება შემდგომი ცრუ ბრალდებებისგან და ჩვენს ოჯახს შეუმსუბუქდება მიყენებული მორალური ზარალი.

იური ჯაშის განცხადების ასლი, შედგენილს რუსულ ენაზე, ქვემოთ წარმოგიდგნეთ.<sup>1</sup>

დიმიტრის შვილი თავის განცხადებაში საერთოდ არ ახსენებს სიტყვა „რეაბილიტაციას“. საარქივო დოკუმენტებში იური ჯაშის შუამდგომლობა მამის რეაბილიტაციის თაობაზე ან სხვა მსგავსი თხოვნა არ დევს.

სსრკ პროკურატურამ იური ჯაშის 1984 წლის ივნისის განცხადება შესასრულებლად საქართველოს პროკურატურას გადმოუგზავნა. საქართველოს პროკურორის უფროსმა თანაშემწემ გოგა სვანიშვილმა განცხადების საპასუხოდ რუსულად შეადგინა დასკვნა, რომელშიც გადმოწერა 1941-42 წლების სასამართლოზე მოწმეების მიერ მიცემული ყალბი ჩვენებები, სასამართლოს განაჩენიდან მისთვის საჭირო ნაწევრები და დაასკვნა: „სრულიად დადგენილია დიმიტრი სოფრომის ძე ჯაშის დანაშაული, რის გამოც მისი შვილის იური ჯაშის შუამდგომლობა მამის რეაბილიტაციის შესახებ საფუძველს მოკლებულია“. აღნიშნული დოკუმენტი ინახება მსს არქივში.

სვანიშვილის სიტყვები — „სრულიად დადგენილია“ — ნიშნავს, რომ ეს ასეა გამოძიებით დადგენილი. ვიმეორებ: ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებებთან დაკავშირებით დიმიტრი ჯაშის სიცოცხლეში, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა. დიმიტრი ჯაში 1922 წ. მაისში გარდაიცვალა. არც 1941 წელს აღძრულა სისხლის სამართლის საქმე, შესაბამისად, არც გამოძიება ჩატარებულა. ბუნებრივია, არც გასამართლებულა. სსრკ პროკურატურამ თავის 1963 წლის 8 ოქტომბრის N13/733101 წერილში სწორედ ეს აღნიშნა. ამას მოწმობს საქართველოს სსრ პროკურატურის 1964 წ. 13 იანვარის N 01-6 წერილი. ამ წერილებს ძალა არ დაუკარგავთ.

გიორგი (გოგა) სვანიშვილმა ხსენებული დასკვნა არაკანონიერად შეადგინა და იგი 1984 წლის 24 აგვისტოს საქართველოს გენერალურ პროკურორს, ბარაბაძეს დაამტკიცებინა.

მრავალი არგუმენტის გამო ვთვლით, რომ სვანიშვილის ხსენებული დასკვნა არაკანონიერია.

ერთ-ერთი არგუმენტია ის, რომ 1984 წელს სსრკ-ში ჯერ კიდევ არ არსებობდა კანონი რეპრესირებულ პირთა რეაბილიტაციის შესახებ. 1984 წელს მოქმედი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სვანიშვილს, დიმიტრი სოფრომის ძე ჯაშის რეაბილიტაციის უსაფუძვლობის შესახებ დასკვნა რომ დაეწერა, მას უნდა ჰქონოდა აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული კანონიერი საფუძველი. კერძოდ, დიმიტრი ჯაში უნდა ყოფილიყო ჯერ ბრალდებული, მერე მსჯავრდებული. რეაბილიტირებული უნდა იქნეს მსჯავრდებული, თუ დადგინდება მისი უდანაშაულობა, მას უნდა აღუდგეს უფლებები.

---

<sup>1</sup> ი.ჯაში, დოკუმენტები, პირადი არქივი;

174  
ГЕНЕРАЛЬНОМУ ПРОКУРОРУ СССР

тов. РЕКУНОВУ А.М.

от жителя г. Ватули, проживающего  
по ул. Кирова 34, кв. 14  
ДЖАШИ Ерия Дмитриевича

### З А Я В Л Е Н И Е

В 1963 г. моей покойной матерью ДЖАШИ Дарьей Николаевной  
объявлено в прокуратуре СССР на имя т. РУДЕНКО ложное обвине-  
ние относительно соучастия в убийстве ЧАВЧАВАДЗЕ Ильи Григорьевича  
Государственной думы и великого поэта и писателя Грузии / её  
матери - ДЖАШИ Дмитрия Сопромовича.  
Ложное обвинение против Джаши Д.С. было сфабриковано соратни-  
ком Берия в 1937 г. До этого никто не обвинял Джаши Д.С. в убийст-  
ве И. Чавчавадзе.

Старая Грузинская интеллигенция считала, что убийство прои-  
сходило на аграрной почве неграмотными крестьянами и ни одна партия  
участвовала в убийстве И. Чавчавадзе.

Из прокуратуры СССР Джаши Д.Н. получила следующий ответ :  
" В деле, по которому был осужден Бербишавили в 1942 г. Джаши Д.С.  
осужденным не значится и не привлекался к ответственности". Проку-  
ратура Грузии ответила ей: " В делах Бербишавили, который осужден  
за убийство И. Чавчавадзе, совершенно не проходит Джаши Д.С." /см.  
приложенные документы/.

Царская администрация казнила 4-х убийц : Мозгвривили, Лаба-  
швили, Инашвили, Хизанишвили, а Ашцаури был убит во время ареста.  
Во всех их показаниях не фигурирует как соучастник в убийстве Джаши  
Д.С. Один из убийц Бербишавили бежал в Иран и вернулся в 1921 г.,  
в 1942 г. его судили за убийство И. Чавчавадзе и Верховный Суд ГССР  
говорил его к высшей мере наказания - расстрелу. Бербишавили  
в своих показаниях по убийству И. Чавчавадзе на семи страницах и нигде  
не был назван соучастником или подстрекателем Джаши Д.С.

Несмотря на эти официальные данные член академии ГССР Г. Джиб-  
ладзе, занимающий должность вице-президента АН ГССР, не признаёт  
эти данные правильными и выдвигает свой постулат, якобы убийство организова-  
но 23-х летним управляющим именем И. Чавчавадзе - Джаши Д.С. по  
приказу царского правительства.

Озабоченность Г. Джибладзе заключается в том, что он два  
раза издавал монографию на грузинском языке "И. Чавчавадзе", где

1975

...убийства И. Чавчавадзе обвиняет Джаши Д.С. Справедливо  
в убийстве И. Чавчавадзе противоречит труду Г. Джибладзе.  
ответственно он по сей день игнорирует ответ прокуратуры СССР.

Джаши Д.С. (родился в 1894 г. и умер 1922 г.) в течение нескольких лет до революции был корреспондентом Петербургских и Московских газет. Это и использовал Г. Джибладзе в обвинениях как человека русофобии и русофилии и послушности царского правительства.

В 1983 г. Грузинская пресса опубликовала статью от 12 сентября, в которой говорится, что полторы под своим косвенным наблюдением жизни И. Чавчавадзе до 1900 г., а не так как до сих пор считалось - лишь во второй половине 1907 г., таким образом соучастие по-прежнему в убийстве писателя исключается.

Некоторые элементы Грузии под эгидой Г. Джибладзе склонны к расхождению и косвенно обвиняют в убийстве И. Чавчавадзе посредником русского царизма русский народ.

Допустим, что при царизме, если бы русские реакционеры смогли бы антипатией русских к грузинам, создать инсинуацию в убийстве грузинскими кругами Пушкина или Лермонтова, то до сегодняшнего дня сохранилась бы антипатия русских к грузинам.

Г. Джибладзе, минуя истинную правду, фактически игнорирует истинные нормы революционной законности и ложь превращает в литературное кредо. Он упорно защищает свой постулат и я считаю, что это растрывает души людей особенно молодежи. Г. Джибладзе, пользуясь своим влиянием побуждает других авторов повторять ложное обвинение против Д.С. Джаши, что отражается ежегодно в грузинской прессе. Он два раза издавал монографию "И. Чавчавадзе" и в каждой клеветит Джаши Д.С.

Наша присуденция всегда была надежным щитом справедливости, ограждающего от зла и несправедливости, поэтому мы просим дать юридическое русло этому вопросу, запросить дело Бербишвили, показания лиц, проходящих по убийству И. Чавчавадзе, установить на документальных фактах истину и сообщить нам. Одновременно требуем, как морально пострадавшие от ложной клеветы отца, заставить Г. Джибладзе выступить опровергающим обвинением в прессе и этим аннулировать несправедливое обвинение адрес Джаши Д.С., чтобы в дальнейшем оградить покойного от дальнейших обвинений, этим уменьшите нанесенный моральный ущерб нашей семье.

ДЖАШИ Б.Д. 5.11.84

საგამოძიებო და მართლმსაჯულების სისტემის არქივებში არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს, რომელიც დაადასტურებს, რომ დიმიტრი ჯაში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებებთან დაკავშირებით ბრალდებული იყო და მის მიმართ ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება, შესაბამისად, იგი იყო განსასჯელი - ბრალდებული, მსჯავრდადებული და რეპრესირებული.


ფილმის შემქმნელები თუ ვერ წარმოადგენენ ისეთ დოკუმენტს, რომლითაც დაადასტურებულია, რომ დიმიტრი ჯაში ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ბრალდებული იყო (ეკრანიდან გაქდერებული წინადადების თანახმად - „დიმიტრი ჯაში ისევ ბრალდებულად სცნეს“), მაშინ ისინი, ფილმის მთელი შემოქმედებითი კოლექტივი, პროკურატურის ყოფილი თანამშრომლის სვანიშვილის სიყალბეზე დაყრდნობით, ნებსით ან უნებლიეთ, ცილისმწამებლები გამოდიან.

როგორც დავინახეთ, არსად არის იური ჯაშის შუამდგომლობა მამის რეაბილიტაციის შესახებ, არც საკანონმდებლო ბაზა იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ვინმეს განეხილა დიმიტრი ჯაშის რეაბილიტაციის საკითხი. ეს არის სვანიშვილის მიერ უკანონოდ შექმნილი დოკუმენტი და მის მიერ მოგონილი ხრიკი, დასკვნაზე - „შვილის შუამდგომლობა მამის რეაბილიტაციის შესახებ საფუძველს მოკლებულია“ - დაყრდნობით, ეიძულებინა იური ჯაში ხელი აედო მამის დაცვაზე და 1963 და 1964 წლებში პროკურატურებიდან მიღებული წერილებზე დაყრდნობით საჩივრების წერა აღარ გაეგრძელებინა. იური ჯაშმა უშედეგო საჩივრების წერა მაინც განაგრძო.

არც შედგენილი დასკვნა და არც რეაბილიტაციის შესახებ შუამდგომლობაზე უარის წერილი გოგა სვანიშვილს იური ჯაშისთვის არ გაუგზავნია. მან საქართველოს სსრ პროკურატურის სატიტულო ფურცელზე, რომლის თავს აწერია სსრკ პროკურატურა, როგორც ზემდგომი ორგანო, ქვემოთ კი მითითებულია, მხოლოდ, საქართველოს პროკურატურის საფოსტო ინდექსი 380010 და მისამართი - ათარბეგოვის ქუჩა №32, ტელეტიპი 227, თარიღი - 1984 წლის 24 აგვისტო, თავისი ხელმოწერით, რუსულად მოამზადა წერილი N 01-A -4-84 და იგი იური ჯაშის საცხოვრებელ მისამართზე — ბათუმი, კიროვის ქუჩა №34, ბინა 14-ში გაგზავნა. წერილში აღნიშნავს: „იური დიმიტრის ძე ჯაშს, „თქვენი თხოვნით შესწავლილ იქნა საქართველოს უდიდესი მწერლის ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობის ყველა მასალა. თქვენი მამა ჯაში დ. ს. მოკლული იქნა 1922 წელს თქვენი დედის ძმის, მიხაკო ნიკოლოზის ძე კოპლაგაძის მიერ. ამასთან დაკავშირებით, ის ბერბიჭაშვილის სისხლის სამართლის დანაშაულის საქმეში პასუხისმგებლობაში არ იყო მიცემული და გასამართლებულად არ ითვლება. თქვენი მამის, დედის, ბიძის - უ. ს. ჯაშის, გ. პ. ბერბიჭაშვილის, ყ. გ. ფაღავეას და სხვების ჩვენებებით დადგენილია, რომ ილ. გრ. ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორი იყო ჯაში დ.ს., რის გამოც თქვენი თხოვნის დაკმაყოფილება არ არის შესაძლებელი“.<sup>1</sup>

ქვემოთ მოვიტანეთ ამ წერილის ფოტოასლი:

<sup>1</sup> ი.ჯაში, დოკუმენტები, პირადი არქივი;



ამ წერილში სვანიშვილი მიუთითებს, თითქოს იური ჯამის მამის, დედის, ბიძის-უ. ჯამის, გბერბიჭაშვილის, ყ.ფაღავას და სხვების ჩვენებით დადგინდა რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორი იყო დ. ს.ჯამი, რის გამოც თქვენი თხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელია. სვანიშვილი არ აკონკრეტებს, იური ჯამის რომელი თხოვნის დაკმაყოფილება არ არის შესაძლებელი. როგორც ვხედავთ, საქმეში ჩააკერა ყალბი დოკუმენტი — დასკვნა, რომლის გასაჯაროებას მოერიდა. იური ჯამს გაუგზავნა ზემოთ მოტანილი წერილი, სადაც რეაბილიტაციისა და მისი უსაფუძვლობის შესახებ, არ წერია. გოგა სვანიშვილი იური ჯამისათვის გაგზავნილ წერილს რომ წერდა, ხელმძღვანელობდა 1942 წლის სასამართლოს საქმით და 1907-1908 წლის ილიას მკვლელობის სასამართლოს საქმით და, ალბათ, 1917 წლის

გამოძიების მასალებში არსებული ჯამის დაკითხვის ოქმებით. ფაქტია, ეს დოკუმენტები ვერ ადასტურებს იმას, რომ ვინმე ბრალდებულს დაესახელებინოს დიმიტრი ჯამი ილიას მკვლელობის ხელმძღვანელად ან დიმიტრი ჯამს ელიარებინოს ილიას მკვლელობაში მონაწილეობა. რაც შეეხება 1942 წლის სასამართლოზე მიცემულ ჩვენებებს, არც დარიას და არც უშანგი ჯამს არ უთქვამთ, რომ დიმიტრი ჯამი ილია ჭავჭავაძის მკვლელობას ხელმძღვანელობდა. ამასთან, დადგენილია, რომ ყარამან ფაღავამ და ბრალდებულმა ბერბიჭაშვილმა სასამართლოს ყალბი ჩვენებები მისცეს, ამის შესახებ წერენ ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის წევრი ბატონი სიმაშვილი და აწ გარდაცვლილი მკვლევრებიც: შუშანაშვილი და გრიგალაშვილი.

ალექსანდრე შუშანაშვილი - მეცნიერი, სამართლისმცოდნე, თავის წიგნებში „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ (1996) და „წინამურის ტრაგედია“ (2000), დიმიტრი ჯამზე წერს: „...მკვლელობაში რომ მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, საქმის მასალებით ეს უდავოდ დადგენილია.“<sup>1</sup>

მწერალი, ჟურნალისტი, მეცნიერი და პოლიტიკოსი - ნოდარ გრიგალაშვილი 2006 წელს გამოცემული ორთომეულში „თანამდევნი სული“ წერს:

„...1941 წლის სასამართლო მხოლოდ ფარსი იყო... ჯამი ნამდვილად რთული პიროვნება ჩანს, მაგრამ ყოველივე ზემოთქმული, განსაკუთრებით, ის გარემოება, რომ ის მკვლელობის არც ერთ შემსრულებელს არ იცნობს, გარდა მეგლისა, და მას ხელს არ ადებს არც ერთი ბრალდებული, მაძლევს უფლებას დასკვნისა — არც ჯამი ყოფილა მკვლელი ილიასი და არც მეფის ახნაღამერია. ილია მოკლეს ბოლშევიკებმა.“<sup>2</sup>

ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის წევრი ბატონი თენგიზ სიმაშვილიც წერს: „საბჭოთა ხელისუფლებას არავითარი დოკუმენტური მასალა დიმიტრი ჯამის ილიას მკვლელობის დროს „ოხრანკის“ აგენტობის შესახებ არ გააჩნდა... 1941-1942 წლებში დეკემბერ-იანვარში გამართულ გიგლა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესის თავმჯდომარის ისიდორე ოდიშვილის წიგნში „წინამურის ტრაგედია“, თითქმის ყველა მეორე გვერდზე მეორდება, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა მოაწყო „ოხრანკამ“, რადგან ამ მკვლელობის ორგანიზატორი დიმიტრი ჯამი (1909 -1911 წლებში - ავტ.) „ოხრანკის“ აგენტი იყო. ავტორი ეყრდნობა მხოლოდ საბჭოთა სასამართლოზე გაჟღერებულ უსუსურ არგუმენტებს და დუშეთის მაზრის უფროსის ყარამან ფაღავას, დიმიტრი ჯამის მეუღლის დარია ჯამის, მისი ძმის უშანგი ჯამის და სხვათა დამახინჯებულ, თვითნებურად გადაკეთებულ ჩვენებებს.“<sup>3</sup>

როგორც ვხედავთ, სვანიშვილი იური ჯამისათვის გაგზავნილ წერილშიც 1942 წლის სასამართლოზე გაჟღერებულ სიცრუეს იმეორებს. გარდა ამისა, როცა ის წერს -

<sup>1</sup> ალ. შუშანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ 1996, „წინამურის ტრაგედია“ 2000, თბ.;

<sup>2</sup> ნ. გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“, 2010 წ. თბ.;

<sup>3</sup> თ.სიმაშვილი, „დიმიტრი ჯამის ვინაობისათვის“ ბლოგი, 2015 წ. 4.07.;

„თქვენი მამაჯამი დ. ს. მოკლული იქნა 1922 წელს თქვენი დედის ძმის მიხაკო ნიკოლოზის ძე კოპლატაძის მიერ“, - ამ შემთხვევაშიც არ იცავს სრულ სიმართლეს. პროკურატურის თანამშრომელი, რომელიც კარგად ერკვევა სისხლის სამართლის კოდექსში, ისე წერს, თითქოს დიმიტრი მის ცოლისძმას პირდაპირი განზრახვით მოეკლას. ის არსად აკონკრეტებს, რომ დიმიტრი ჯამი კოპლატაძემ შემთხვევით გასროლილი ტყვიით დაჭრა, რომ იგი 25 დღის შემდეგ გარდაიცვალა.

1942 წლის სასამართლო ემსახურებოდა საბჭოთა ხელისუფლების ნების გამოხატვას. სვანიძევილი კი საბჭოთა მართლმსაჯულების გულმოდგინე დამცველი გახლდათ და ამიტომაც იმეორებს იმ სასამართლოზე მოწმეების მიერ მიცემულ ცრუ ჩვენებებს. როგორი ცრუ და ყალბიც უნდა ყოფილიყო ვინმეს ჩვენება, სასამართლო დამამტკიცებელ საბუთად მიიჩნევდა ყველაფერს, რაც მას ხელს აძლევდა. სწორედ ამას ჰქონდა ადგილი 1942 წლის 5 იანვრის სასამართლო პროცესზე. 1942 წელს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, დამამტკიცებელ საბუთად ჩათვლებოდა მოწმის ჩვენება, ექსპერტის დასკვნა, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი, გასინჯვა-დათვალიერების ოქმი, სხვა წერილობითი დოკუმენტი და ბრალდებულის პირადი ახსნა-განმარტება. 1941 წლის დეკემბერში და 1942 წლის 5 იანვრის ჩათვლით გამართულ სასამართლო პროცესზე დამამტკიცებელ საბუთად ჩათვალა მხოლოდ დუშეთის მაზრის უფროსის, ყარამან ფაღავას, და ბრალდებულ გიგლა ბერბიჭაშვილის ყალბი ჩვენებები და ახსნა-განმარტება, რომლებიც საფუძვლად დაედო დიმიტრი ჯამის ილიას მკვლელობის ხელმძღვანელად „გაფორმებას“, თუმცა ბრალდებული გიგლა ბერბიჭაშვილი თავის ახსნა-განმარტებაში რამდენჯერმე ამბობს, რომ არ იცნობდა დიმიტრი ჯამს. აი ისიც: „1941 წლის 25 დეკემბერი - 1942 წლის 5 იანვარი. ამონაწერი გიორგი ბერბიჭაშვილის ბრალდების საქმის სამსჯავრო განხილვის ოქმიდან“. „...გამოქვეყნდა საბრალდებო დასკვნა. ბრალდებულ ბერბიჭაშვილს მიეცა სიგევა ახსნა-განმარტებისათვის მისი ბრალდების გამო: „პატივცემულო მოსამართლენო! ჭერ ერთი ის, რომ ძიებაში ჩემი სიგევეები არა ჩანს, იქ სულ სხვა სიგევეებია ჩანწერილი. თითქოს მე ჯამს ვიცნობდი, როცა მისი სახე სულ არ მინახავს. ...მე პირადად არაფერი არ ვიცოდი ჯამის შესახებ. თქვენგან მესმის და პირველად შედის ჩემს ყურებში...ჯამის შესახებ არა ვიცი რა. შეიძლება იყო, შეიძლება არ იყო მთავრობის ახლობელი... მე სრულიად არ ვიცი, ჯამი ვინ იყო. ახლა ვხედავ თქვენთან, თუ ვინ ყოფილა ჯამი...“<sup>1</sup>

ფილმის შემქმნელები თავს არიდებენ იური ჯამის განცხადებისა და სვანიძევილის ყალბი დასკვნის შედარებას, თუმცა ამ დასკვნით ხელმძღვანელობენ, როცა ამბობენ: „1984 წელს დიმიტრის შვილმა, იური ჯამმა მამის რეაბილიტაცია მოით-

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, „მერანი“, თბ., 1996 წ.;

ხოვარაც სსრკ გენერალურმა პროკურატურამ არ დააკმაყოფილა. დიმიტრი ჯაში ისევ ბრალდებულად სცნეს“.

სვანიშვილის შედგენილი დოკუმენტი როცა წავიკითხეთ, საჭიროდ ჩავთვალეთ დაგვეწერა მოკლე ამბავი ამ წერილების ერთ-ერთ ავტორთან გოგა სვანიშვილთან შეხვედრის შესახებ:

1984 წლის ზაფხულში, საქართველოს უშიშროების კომიტეტის შენობაში სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი, ასაკით ჩემზე ბევრად უფროსი, სრულიად მელოტი, ჯანმანათლებლობის მამაკაცის კაბინეტში აღმოვჩნდი. დავაზუსტებ - ის იყო საქართველოს პროკურორის უფროსი თანამემწე, უშიშროების ორგანოებში გამოძიების ზედამხედველი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი გოგა სვანიშვილი. მასთან ერთი საათიც არ დამიყვია. სვანიშვილმა მთხოვა, მამას ჯიბლადის მიმართ შეტანილი საჩივარი უკან გამოეთხოვა. მან მაჩვენა საარქივო დოკუმენტები, რომლის მიხედვით, დიმიტრი ჯაში უარყოფით პიროვნებად აღიქმებოდა. მე პირობა მივეცი სვანიშვილს, რომ ამას გავაკეთებდი, თუ 1942 წ. 5 იანვრის სასამართლოს განაჩენის გარდა, რომლითაც დიმიტრი ჯაში მკვლელობის ხელმძღვანელია, მომცემდნენ ისეთ საბუთს, ჩვენთვის უცნობ დოკუმენტს, რითაც მამას დავარწმუნებდი, რომ გიორგი ჯიბლადე სიმართლეს წერდა. სვანიშვილმა მთხოვა, მამა საბუთის გარეშე დამერწმუნებინა და დამეთანხმებინა, შეტანილი საჩივარი უკან გამოეთხოვა. უარი ვუთხარი, სათანადო დოკუმენტის გარეშე ამას ვერ შევძლებ-მეთქი. საარქივო დოკუმენტებით, სხვა საქმეებში, დიმიტრი ჯაში თუ დამნაშავე იყო, ეს არ ამტკიცებდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მის მონაწილეობას. რაც შეეხებოდა ბერბიჭაშვილის საქმეში დიმიტრის ხსენებას, სვანიშვილს შევახსენე სსრკ პროკურატურიდან და საქართველოს სსრ პროკურატურიდან მიღებული წერილები (არ ვიცოდი, თუ ერთი მისი შედგენილი იყო). ამაზე სვანიშვილმა გაიცინა და მითხრა: ის ნიკიტა ხრუშჩოვის დრო იყო, სტალინის რეჟიმი შერბილდა, ამან განაპირობა თქვენთვის ასეთი პასუხებიო. ამ კაცთან შეხვედრისას მისი ნათქვამი უფრო იმის გამო ჩამრჩა მეხსიერებაში, რომ ჩემი პასუხით გაკვირვებულს ხმამაღლა წამოსცდა: „ბაბუაშენი 1942 წელს ცოცხალი რომ ყოფილიყო, სასამართლო დახვრეტას მიუსჯიდა“. არ დაელოდა ამაზე ჩემს რეაქციას, შეხვედრით უკმაყოფილომ მომძახა: „არ ყოფილხარ შენ ნამდვილი კომუნისტი!“ და სასწრაფოდ გამომისტუმრა თავისი მომცრო კაბინეტიდან.“

აკადემიკოსი გიორგი ჯიბლადე პარტიულ ნომენკლატურაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. არ ურიგდებოდა 1963-1964 წწ. სსრკ და საქართველოს სსრ პროკურატურებიდან მიღებულ წერილებს. უთუოდ მისი გავლენით დაევალა სვანიშვილს დიმიტრი ჯაშის შვილიშვილთან საუბარი, და რაკი ეს შეხვედრა უშედეგო აღმოჩნდა, მან გამოსავალი იპოვნა: იური ჯაშის განცხადების საპირწონედ აღნიშნული ყალბი დასკვნა მოამზადა.

კომუნისტურ ეპოქაში პროკურატურის და სასამართლოს ხელმძღვანელებად კომპარტიის წევრი უნდა დანიშნულიყო. პარტიული ორგანოს დადგენილება სავალ-

დებულო იყო პარტიის წევრისთვის. პროკურორს, მოსამართლეს, გამომძიებელს სამართლებრივი კანონები უნდა მოერგო იმ დავალებისთვის, რასაც პარტიული ორგანო მისგან მოითხოვდა. ასე აღმოჩნდა 1942 წლის 5 იანვრის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს განაჩენში ჩანაწერი: „ილია ჭავჭავაძე იყო უდიდესი ქართველი მწერალი, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უპოპულარესი საზოგადო მოღვაწე“, როგორც მას ახასიათებს სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანო „პრაგდა“ 1936 წლის 4 ნოემბრის ნომერში“.<sup>1</sup>

ეს ჩანაწერი „ამშვენებს“ 1942 წლის 5 იანვრის სასამართლო განაჩენს. სასამართლოს განაჩენში ამ სამარცხვინო ჩანაწერის შესახებ ფილმის შემქმნელები დუმან.

პარტიული იერარქია 1991 წლამდე მოქმედებდა. გიორგი ჯიბლაძის ავტორიტეტიდან გამომდინარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიდან ზარიც საკმარისი იქნებოდა ბარაბაძისათვის, რომ იძულებული გამხდარიყო, სათანადო დავალება მიეცა სვანიშვილისთვის, რომელიც ვალდებული იყო, დავალება თუნდაც გაყალბების ხარჯზე შეესრულებინა, მით უფრო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1984 წლის დადგენილებით განაცხადა, რომ 1987 წელს საბჭოთა საქართველოში აღინიშნებოდა ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლისთავის იუბილე.

ფილმის შემქმნელები რამ დაარწმუნა, რომ „დიმიტრი ჯაში ისევ ბრალდებულად ცნეს“? მხოლოდ ერთმა დოკუმენტმა: სვანიშვილის მიერ 1984 წელს შედგენილმა ცრუ დასკვნამ, რომლის ნამდვილობის შემოწმება არ უცდიათ.

ფილმის სცენარის რეჟისორს, ბატონ მიხეილ ბერინაშვილს სწორად მიაჩნია, რომ საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის (სსრ) პროკურატურა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) პროკურატურა, ორივე საბჭოთა პროკურატურა იყო, მაგრამ არასწორად მიიჩნევს, რომ საქართველოს პროკურატურის დასკვნა იგივე სსრკ პროკურატურის დასკვნაა. ფილმში რომ ეთქვათ, საქართველოს სსრ პროკურატურამ დიმიტრი ისევ ბრალეულად სცნო, ეს სიმართლე იქნებოდა, რადგანაც არქივში ასეთი დოკუმენტი, მიუხედავად იმისა, რომ ყალბია, არსებობს. ფილმში ითქვა: „სსრკ პროკურატურამ დიმიტრი ჯაში ისევ ბრალდებულად სცნო“, რაც სიმართლეს არ შეესაბამება.

1930-იან წლებში ილიას მკვლელობის გარემოებების შესასწავლად ლავრენტი ბერიას დავალების შემსრულებელთაგან, თითქმის ყველამ, ვინც ცოცხალი დარჩა, 1980 წლების დასასრულს „მსოფლმხედველობა“ შეიცვალა: ილიას მკვლელობაში ოხრანკის როლთან ერთად უკვე ხედავდნენ ბოლშევიკების როლსაც და დიმიტრი ჯაშს ორივეს მიერ შეგზავნილ მოურავად მიიჩნევდნენ.

<sup>1</sup> აღ. შუმანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, „მერანი“, 1996 წ., თბილისი;

ჩემი ხედვით, ფილმშიც მსგავსი ვითარებაა. აქ ხაზგასმული სიტყვები - სსრკ პროკურატურამ დიმიტრი ჯაში ისევ ბრალდებულად ცნო - იმას მიუთითებს, რომ ფილმის შემქმნელებიც იზიარებენ 1942 წლის 5 იანვარის საბჭოთა სასამართლოს განაჩენში ჩაწერილს და ამასთან, აქცენტს ბოლშევიკებზეც აკეთებენ.

ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის წევრი, ბატონი თენგიზ სიმაშვილი კი დიმიტრი ჯაშს უშუალოდ ბოლშევიკების მიერ შეგზავნილ მოურავად მიიჩნევს. ბოლოდროინდელ შრომებში იგი წერს, რომ „საბჭოთა მართლმსაჯულებისთვის და საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის დიმიტრი ჯაშის შეგნებულად დამახინჯებულად გადმოცემული ცხოვრება და საქმიანობა გახდა ის საფუძველი, რომელზედაც იქნა აგებული ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ცრუ ვერსია. ისინი ყოველგვარი რეალური ფაქტებისა და დოკუმენტების გარეშე ასაბუთებდნენ, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა საკუთარი აგენტის, კერძოდ, დიმიტრი ჯაშის მეშვეობით მოაწყო „ოხრანკამ“. მიუხედავად ამისა, ფილმში არაფერს ამბობენ ბატონი თენგიზ სიმაშვილის მოსაზრებაზე და არც სასამართლო განაჩენზე.

ბატონი სიმაშვილი იმასაც მიიჩნევს, რომ ისიდორე ოდიშვილის - გიგლა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესის თავმჯდომარის წიგნი „წინამურის ტრაგედია“ დიმიტრი ჯაშის მიმართ შეიცავს სიყალბეს. თუ ოდიშვილის წიგნზე შეიძლება ითქვას, რომ გაყალბებულია, ეს იმას მიგვანიშნებს, რომ სასამართლოს განაჩენშიც სიყალბეა.

გამოდის, რომ იური ჯაში მართალი იყო, როცა მოითხოვდა, გიორგი ჯიბლაძეს თავი დაენებებინა დიმიტრი ჯაშის მიმართ ცრუ ბრალდებების წაყენებისათვის.

ფილმში მონაწილეობენ მეცნიერები - ვახტანგ გურული და თენგიზ სიმაშვილი.

ბატონი ვახტანგ გურული გადმოგვცემს: „ეს იყო პოლიტიკური მკვლელობა, რომელიც დაუკვეთა რსდმპ ცკ-მა... ცკ-ის მითითებით, ილიას მკვლელობა თბილისის რსდმპ კომიტეტის გვერდის ავლით უნდა განხორციელებულიყო. მკვლელობა ორ ქართველ სოციალ-დემოკრატს მიანდეს... დაიქირავეს პროფესიონალი მკვლელი. იმიტომ, რომ უნდა დამალულიყო პოლიტიკური დაკვეთის კვალი... კილერმა გააკეთა ერთი გასროლა, რომელიც მოხვდა ილიას მარცხენა ნეკნის მხრიდან...“<sup>1</sup> ბატონი ვახტანგ გურული კონკრეტულად არ ასახელებს იმ ორ ქართველ სოციალ-დემოკრატს, რომლებსაც ილიას მკვლელობა მიანდეს.

თენგიზ სიმაშვილი ყვება: „იმერელის პიროვნების დადგენაში დიდი როლი ითამაშა ნიკოლოზ ხიმშიაშვილმა, ... მან აქტიური მონაწილეობა მიიღო პავლე ფშავლიშვილის და ნითელრაბმელის ლადო ფეიქრიშვილის დაკავებაში... მათ ცემის შემდეგ ათქმევინა, თუ ვინ იყო იმერელი. ილიას მკვლელებმა ნიკოლოზ ხიმშიაშვილი მოკლეს 1909 წლის ოქტომბერს. სასამართლო დოკუმენტაციაში მისი მკვლელობის ერთად-

<sup>1</sup> მ.ბერინაშვილი, რეჟისორი, დოკუმენტურ-მხატვრული ფილმი - „ვინ მოკლა ილია...“, 2014 წ., თბ.;

ერთი მოტივია დასახელებული — „ილია ჭავჭავაძის მკვლელების ძებნაში აქტიური მონაწილეობისათვის“. ილიასა და ხიმშიაშვილის მკვლელობა ერთი ხელწერით მომზადდა. ერთი მხრივ, ჟურნალ „მოგზაურში“ თავადების წინააღმდეგ აგიტაცია პარალელურ რეჟიმში მიდიოდა, მეორე მხრივ, ხიმშიაშვილის მოურავი ვასილ ოზიევიც, დიმიტრი ჯაშის მსგავსად თავადის სამსახურში ახლად მიღებული, ეჭვმიტანილად სცნეს ხიმშიაშვილის მკვლელობაში... 1908 წელს დუშეთის მაზრის ურიადნიკი ადგილობრივი წითელი რაზმის წევრებს შორის ილიკო იმერლიშვილს, გიგლა ბერბიჭაშვილს, პაულე ფშავლიშვილს და ვანო ინაშვილს ასახელებდა. ამავე წელს აღნიშნულ პირებს ბაბალეთის პრისტავი ილია ჭავჭავაძის მკვლელებად მოიხსენიებდა... დარია ჯაში თვლიდა, რომ იმერელი ილიკო იმერლიშვილი იყო... 1907-08 წლებში დუშეთის მაზრის ტერიტორიაზე მოქმედებდა სოცდემოკრატიების წითელი რაზმი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ იმერლიშვილი, ინაშვილი, ბერბიჭაშვილი, ფშავლიშვილი და სხვები... ილიკო იმერლიშვილი თბილისის კომიტეტიდან იწყებს საქმიანობას... თბილისის მთაწმინდის ჯგუფის წევრია, რომელსაც ობოლაძე ხელმძღვანელობდა... ბოლშევიკი იმერლიშვილი, მწერლის მოურავ დიმიტრი ჯაშთან მეგობრობდა... შეგვიძლია დავასუნათ, რომ ილია უშუალოდ იმერლიშვილმა მოკლა... უკნიდან მან ესროლა...“<sup>1</sup>

ბატონ სიმაშვილს, ფილმის ისტორიული ვერსიის ავტორს, ვერ დავეთანხმები მოსაზრებაში, რომ დარია ჯაში თვლიდა, იმერელი იყო ილიკო იმერლიშვილი... რომ იმერლიშვილი მწერლის მოურავ დიმიტრი ჯაშთან მეგობრობდა. სიმაშვილი ეყრდნობა დარია ჯაშის 1941 წლის გამოძიებისათვის მიცემული ჩვენების სტენოგრამას. დარია ამბობს, დიმიტრი დაახლოებული იყო იმერლიშვილთან და ობოლაძესთან. მათ მეგობრობას არ ახსენებს. არც მოურავობის დროს იმერლიშვილთან დიმიტრის მეგობრობის შესახებ საუბრობს. ამასთან, დარია ჯაშს არსად უთქვამს, რომ იმერლიშვილი „იმერელია.“

ჯაშსა და ოზიევს შორის თენგიზ სიმაშვილის გავლებული პარალელებიც შეუსაბამოა. ილიამ ახალი მოურავი იმიტომ აიყვანა, რომ ძველი მოუკლეს. ხიმშიაშვილსაც მოუკლეს ძველი მოურავი? 1908 წლის ოქტომბერში გაზეთ „სავაჭრო გზაში“ დაბეჭდილი წერილებით დიმიტრი გმობს ჟურნალ „მოგზაურში“ გამოქვეყნებული წერილების ავტორს, ჟურნალის რედაქტორს და ყველას, ვინც ილიას წინააღმდეგ სტატიებით გაზეთებში გამოდიოდა. ხიმშიაშვილის მკვლელობა ილიას მკვლელობიდან ორი წლის შემდეგ, 1909 წლის ოქტომბერში მოხდა. ოზიევმა დაწერა ხიმშიაშვილის მკვლელობის შესახებ საგაზეთო წერილები? დაგმო ხიმშიაშვილის მკვლელები? არ დაუწერია. მკვლევარს სურვილი აქვს, დიმიტრი მოაქციოს მკვლელების გუნდში.

<sup>1</sup> მ.ბერინაშვილი, რეჟისორი, დოკუმენტურ-მხატვრული ფილმი - „ვინ მოკლა ილია..“

ბატონების, ვახტანგ გურულიისა და თენგიზ სიმაშვილის ნაამბობი ურთიერთ-გამომრიცხავია. ვინ იყო ორი ქართველი სოცდემოკრატი, ვისაც ილიას მკვლელობა მიანდეს - ფილმში გაურკვეველი დარჩა.

გვჯერა, რომ ამ წერილის გამო ფილმის ავტორები თავიანთი შემოქმედების რევიზიას არ დაიწყებენ. წერილის მიზანია, ჯერ გავაცნოთ ფილმის შემოქმედებით ჯგუფს ჩვენი არგუმენტები, დიმიტრი ჯაშის შთამომავლების აზრი მათთვის საინტერესო უნდა იყოს. გამოვთქვამთ იმედს, რომ სწორად გაიგებენ ჩვენს სუბიექტურ აღქმას და შეეცდებიან დაგვარწმუნონ იმ საკითხებში, რაც ემოციების გავლენით, შესაძლოა, არასწორად აღვიქვით. ვეცდებით, სამომავლოდ ეს ნაწერი ობიექტური შენიშვნებით ჩავასწოროთ, რომ მკითხველს ჩვენი თვალით დანახული სიმართლე მივაწოდოთ.

სანამ წერილის წერას შევუდგებოდით, ერთ-ერთს ჩვენგანს გვქონდა პატივი, ტელეფონზე ესაუბრა ფილმის რეჟისორთან, ბატონ მიხეილ ბერინაშვილთან. შევთანხმდით, რომ მოსაზრებებს გამოქვეყნებამდე ჯერ მას გავაცნობდით. ვფიქრობდით, თუ რაიმე შეცდომით დავწერეთ, მის შენიშვნებს გავითვალისწინებდით.

რ. ჯაში, ჭ. ჯაში. თბილისი, 2015 წლის 23 ოქტომბერი

# წერილი მეორე

## ა) რატომ ვწერთ ბატონ თენგიზ სიმაშვილს?

ისტორიული დოკუმენტები, რომლებიც ფილმის „ვინ მოკლა ილია..“ სცენარს დაედო საფუძვლად, ბატონი თენგიზ სიმაშვილის მიერ არის მიკვლეული. ამას თავად ადასტურებს: „სწორედ ...ჩემი შრომები დაედო საფუძვლად ფილმს „ვინ მოკლა ილია...“ შესაბამისად, ჩვენი მთავარი აღრესატი ის ბრძანდება. მის შრომებში დიმიტრი ჯაშის შესახებ ბევრი ისეთი ამოვიკითხეთ, რაც სიმართლეა, მაგრამ ბევრიც ისეთი, რაც, ჩვენი აზრით, არ შეესაბამება რეალობას. უჭვი არ გვეპარება, რომ ბატონმა მკვლევარმა, ბოლო ათ წელიწადში დიდი შრომა გასწია 1937 წელს საქართველოში შექმნილი ილიას მკვლელობის საბჭოური ვერსიისა და 1941-1942 წლებში ჩატარებული გამოძიებისა და სასამართლოს დოკუმენტების შესწავლის მიზნით, და ისეთი ნაშრომები გამოაქვეყნა, რომლებიც, მათ მიმართ ჩვენი საწინააღმდეგო აზრის მიუხედავად, უთუოდ იმსახურებს ყურადღებასა და სათანადო დაფასებას. ვწუხვართ, რომ პროფესორ თენგიზ სიმაშვილს პირადად არ ვიცნობთ და მას საზოგადო წერილს ვწერთ; ვფიქრობთ, იგი უთუოდ გამოვაქვეყნოთ, შესაბამისად, გამოცემული წიგნის სახით გავუგზავნოთ.

თელავის უნივერსიტეტის პროფესორი სიმაშვილი აღნიშნავს: „დღეისათვის სათანადო წყაროებისა და დოკუმენტების ანალიზის შედეგად დადასტურებულია, რომ ილიას მკვლელობის უშუალო ორგანიზატორი ადგილზე იყო მოურავი დიმიტრი ჯაში. ამასთან, ისიც ირკვევა, რომ დ. ჯაში დაახლოებული იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებთან. დასტურდება ისიც, რომ სწორედ სოციალ-დემოკრატებისაგან იყო შეგბაენილი ილიასთან, რათა ორგანიზაციულად მოემზადებინა და დაეგეგმა კონკრეტული ქმედებები მის მოსაკლავად“.<sup>1</sup>

იმ „დადასტურებული“ მოსაზრებების გამო, ვიმსჯელებთ იმაზე, რაც მკვლევარს დიმიტრი ჯაშზე აქვს თავის შრომებში დაწერილი. აქ წარმოდგენილი მსჯელობის ნაწილი ბატონი ბერინაშვილისათვის გაგზავნილ წერილშიც არის ასახული; იძულებული ვართ, საჭიროებიდან გამომდინარე, ზოგ საკითხს ხელახლა დავუბრუნდეთ.

ამ ნაწერს, თავისთავად, ისტორიული კვლევის პრეტენზია არ აქვს. ჩვენ, დაინტერესებული პირები, მეცნიერი-ისტორიკოსის კვლევას ჩვენს სათქმელს მივუსადაგებთ.

---

<sup>1</sup> თ.სიმაშვილი, „დიმიტრი ჯაშის ვინაობისათვის (ვინ იყო ილია ჭავჭავაძის მოურავი დიმიტრი ჯაში -სოციალ-დემოკრატი თუ „ოხრანკის“ აგენტი?)“ბლოგი,2015 წ.4.07

ბატონმა თენგიზ სიმაშვილმა იცის, თუ როგორი ყალბი ჩვენებები დაედო საფუძვლად 1942 წლის 5 იანვრის სასამართლო განაჩენს, რომელშიც დიმიტრი ჯაში მეფის „ოხრანკასთან“ ერთად ილიას მკვლელობის ხელმძღვანელად არის შერაცხული. როგორც პირველ წერილში აღინიშნა, 1942 წლის სასამართლო განაჩენში გაკეთებული ჩანაწერი დიმიტრი ჯაშის ბრალეულობის შესახებ გასაჩივრდა და სსრკ პროკურატურამ 1963 წელს ასეთი პასუხი მოიწერა: „...თქვენი 1963 წლის პირველი სექტემბრის განცხადებაზე, ...დ. ს. ჯაშის საქმეზე, გაცნობებთ, რომ 1942 წლის საქმის შემოწმებით, რომლის მიხედვითაც გასამართლებული იყო გ. პ. ბერბიჭაშვილი, დ. ს. ჯაში გასამართლებულად არ ითვლება და პასუხისგებაში არ ყოფილა მიცემული.“<sup>1</sup>

საქართველოს სსრ პროკურატურის 1964 წ. 13 იანვარის N 01-6 წერილის შინაარსს არ გავიმეორებთ, ის პირველ წერილშია მოყვანილი.

ბატონი თენგიზი იცნობს ამ წერილებს, მაგრამ მათ არ ცნობს, რადგან, მისი ახალი ხედვით, დიმიტრი ჯაში ბრალდებულია, ოღონდ არა როგორც „ოხრანკის“ აგენტი და მკვლელობის ხელმძღვანელი, არამედ როგორც სოციალ-დემოკრატების მუშათა პარტიის ბოლშევიკების მიერ ილიასთან შეგზავნილი მოურავი, რომელმაც ხელი შეუწყო ბოლშევიკებს ილიას მკვლელობის მომზადებაში.

თენგიზ სიმაშვილმა მონაწილეობა მიიღო ფილმში „ვინ მოკლა ილია...“ გამომოვანებული აზრის ჩამოყალიბებაში: „1984 წელს სსრკ გენერალურმა პროკურატურამ დიმიტრი ჯაში ისევ ბრალდებულად სცნო“, ამ სიტყვების უკან იგულისხმებოდა მხოლოდ ის ბრალდება, რაც 1942 წლის სასამართლო განაჩენშია ჩაწერილი - „ოხრანკის“ აგენტი, მკვლელობის ხელმძღვანელი.

როცა ფილმში წამყვანმა გაახმოვანა: „1984 წელს სსრკ გენერალურმა პროკურატურამ დიმიტრი ჯაში ისევ ბრალდებულად სცნო“ - ამით ფილმის შემოქმედებითმა ჯგუფმა, მათ შორის, ბატონმა თენგიზმაც, დიმიტრი ჯაშს ცილი დასწამეს. გამოდის, მიუხედავად იმისა, რომ ბატონ სიმაშვილს ახალი ხედვა აქვს, ის იზიარებს 1942 წლის სასამართლოს განაჩენში დიმიტრი ჯაშის შესახებ გაკეთებულ ჩანაწერს, აგრეთვე, იმას, რომ თითქოს სსრკ გენერალურმა პროკურატურამ დიმიტრი ჯაში ისევ ბრალდებულად სცნო.

მაგრამ ასეთი დოკუმენტი სსრკ გენერალურ პროკურატურას არასოდეს შეუდგენია. ასეთ დოკუმენტს ვერ წარმოადგენენ. ის წერილი, რომელიც გოგა სვანიშვილმა შექმნა 1984 წლის 24 აგვისტოს და იგი იური ჯაშის საცხოვრებელ მისამართზე გაგზავნა, სრულიადაც არ არის იმის საბუთი, რომ სსრკ გენერალურმა პროკურატურამ დიმიტრი ჯაში ისევ ბრალდებულად სცნო, რადგანაც ეს წერილი სსრკ გენერალური პროკურატურის მიერ შექმნილი დოკუმენტი კი არ არის, არამედ საქართველოს სსრ პროკურატურის სახელით გაგზავნილი წერილია, რომელსაც სვანიშვილის ხელმოწერა აქვს.

<sup>1</sup> ი.ჯაში, დოკუმენტები, პირადი არქივი;

სსრკ გენერალურ პროკურატურას ილიას მკვლელობაში დიმიტრი ჯაში არასოდეს უცვნია ბრალდებულად. ფილმის შემქმნელებთან ერთად სიმაშვილი იზიარებს იმ აზრს, თითქოს სსრკ გენერალურმა პროკურატურამ დიმიტრი ჯაში ისევ ბრალდებულად სცნო. სიცრუესთან ერთად, მას ცილიც დასწამა, რომ დიმიტრი ჯაში ილიას მკვლელობაში ბრალდებული ყოფილა.

დარწმუნებული ვართ, რომ ბატონი სიმაშვილი ერკვევა ბრალდებულის ცნებაში. 1907 წლიდან დღემდე, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების სივრცეში არ არსებობს დოკუმენტი, რომლის მიხედვით დიმიტრი ჯაში ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით ბრალდებული იყოს. მაშ, რატომ გაჟღერდა ფილმში ეს სიტყვები? ბატონი სიმაშვილი, საარქივო დოკუმენტების მცოდნე, მეცნიერი, როგორც ამ ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის წევრი, რატომ გადმოგვცემს გაორებულ აზრებს?

მან ისიც იცის, რომ როცა სვანიშვილმა დაწერა უარყოფითი დასკვნა იური ჯაშის შუამდგომლობაზე მამის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, შექმნა ყალბი დოკუმენტი, რადგან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რეაბილიტაციის საფუძველია, უპირველესად, ის, რომ პირი უნდა იყოს ბრალდებული და მერე მსჯავრდადებული, შესაბამისად, რეაბილიტირებული უნდა იქნეს მსჯავრდადებული, ანუ, თუ დადგინდება მისი უდანაშაულობა, მას უნდა აღუდგეს უფლებები.

პირველი წერილიდან ხაზგასმით გავიმეორებთ: დიმიტრი ჯაში თავის სიცოცხლეში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო არასოდეს ყოფილა ბრალდებული, არც მსჯავრდადებული, შესაბამისად - რეპრესირებული. სსრკ პროკურატურის 1963 წლის 8 ოქტომბრის №13/733101 წერილით და საქართველოს სსრ პროკურატურის 1964 წ. 13 იანვრის №01-6 წერილით, რომლებიც არავის არ გაუქმებია, დასტურდება, რომ არც 1942 წლის საქმით 20 წლის გარდაცვლილი დიმიტრი ჯაში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეში არ გასამართლებულა, შესაბამისად, მსჯავრდადებული და რეპრესირებული არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, 1984 წელს სვანიშვილის მიერ საქართველოს პროკურატურის შედგენილი დოკუმენტი რეაბილიტაციაზე უარის შესახებ, უკანონო არის, ე. ი. ყალბია.

ამ წერილებით გვსურს განვაცხადოთ: სანამ სამართლიანი სასამართლო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეს ერთხელ კიდევ განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებას, მანამდე უფლებას ვიტოვებთ — რომელიმე მკვლევრის მიერ აღმოჩენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოთქმული შეხედულება, განსაკუთრებით, დადასტურებულად გაცხადებული, დიმიტრი ჯაშის ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში რაიმე სახით მონაწილეობასთან დაკავშირებით, განვიხილოთ, როგორც უსაფუძვლო.

ერთხელ კიდევ გავიმეორებთ: სამხილი დოკუმენტების ობიექტურად აღქმაში მთამომავლის ინსტინქტმა შეიძლება ხელი შეგვიშალოს, მაგრამ არალოგიკური არ-

გუმენტები ვერაფრით დაგვარწმუნებს, პირიქით, კიდევ უფრო განგვაწყობს, დავიცვათ იგი .

როდესაც ფაქტებისა და ვარაუდების ერთმანეთისაგან გამოიჯვნა არ ხდება, ამ დროს არის შესაძლებელი მათი არევა ერთ ცნებად - შეცდომად.

## ბ) ფალსიფიკაციიდან „ობიექტურობისაკენ“

როგორც აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის გარემოებების კვლევებთან დაკავშირებით ბატონი თენგიზის შრომა დაფასებას იმსახურებს, მაგრამ მისი დასკვნა სცდება სამართლის ჩარჩოებს და ამ მიზეზით ვერ დავეთანხმებით მის სიტყვებს: „დღეს დადასტურებულია, რომ ილიას მკვლევლობის უშუალო ორგანიზატორი ადგილზე იყო მისი მოურავი დიმიტრი ჯაში“. მკვლევარს უფლება აქვს, შეხედულება გამოთქვას, მაგრამ ვარაუდის „დადასტურებულად“ გამოცხადება, რბილად რომ ვთქვათ, ცდება მის კომპეტენციას. თუ სერიოზული სამხილი აქვს მოძიებული, მან ეს სამხილი სამართლებრივ სივრცეში უნდა მოაქციოს. მისი მეცნიერული ვარაუდის „დადასტურებულად“ გამოცხადება სასამართლოს გარეშე შეუძლებელია.

ბატონი თენგიზი, საქართველოს უშიშროებისა და საისტორიო არქივებში არსებული დოკუმენტების მკვლევარი, ბოლო წლების განმავლობაში წერს: „საბჭოთა მართლმსაჯულებისათვის და საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის დიმიტრი ჯაშის შეგნებულად დამხინჯებულად გადმოცემული ცხოვრება და საქმიანობა გახდა ის საფუძველი, რომელზედაც იქნა აგებული ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის ცრუ ვერსია. ისინი ყოველგვარი რეალური ფაქტებისა და დოკუმენტების გარეშე ასაბუთებდნენ, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლევლობა საკუთარი აგენტის, კერძოდ, დიმიტრი ჯაშის მეშვეობით მოაწყო „ობრანკამ“, ანუ მეფის ხელისუფლებამ. ...საბჭოთა ხელისუფლებას არავითარი დოკუმენტური მასალა დიმიტრი ჯაშის ილიას მკვლევლობის დროს „ობრანკის“ აგენტობის შესახებ არ გააჩნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებდნენ და არ მოახდენდნენ ფაქტების ასეთ აშკარა ფალსიფიკაციას... 1941-1942 წლებში დეკემბერ-იანვარში გამართულ გიგლა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესის თავმჯდომარის, ისიდორე ოდიშვილის წიგნში - „წინამურის ტრაგედია“, თითქმის ყველა მეორე გვერდზე მეორდება, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლევლობა მოაწყო „ობრანკამ“, რადგან ამ მკვლევლობის ორგანიზატორი დიმიტრი ჯაში „ობრანკის“ აგენტი იყო. ავტორი ეყრდნობა მხოლოდ საბჭოთა სასამართლოზე გაჟღერებულ უსუსურ არგუმენტებს და დუშეთის მამრის უფროსის ყარაიმან ფალავას, დიმიტრი ჯაშის მეუღლის

დარია ჯაშის, მისი ძმის უმანგი ჯაშის და სხვათა დამახინჯებულ, თვითნებურად გადაკეთებულ ჩვენებს<sup>1</sup>.

ჩვენი აზრით, ამ ციტატით ბატონმა სიმამვილმა ვირტუალურად გადაშალა ილიას მკვლელობაში მონაწილე გიგლა ბერბიჭაშვილის 1942 წლის საბჭოთა სასამართლოს განაჩენში ჩაწერილი შემდეგი წინადადება: „... ილია ჭავჭავაძის მკვლელობა მოწყობილია მეფის ოხრანკის მიერ დაქირავებული აგენტის, ილია ჭავჭავაძის ყოფილი მოურავის დ. ს. ჯაშის ხელმძღვანელობით“. ამას მივესალმებით!

ვიცით, რომ სასამართლოს განაჩენში დიმიტრი ჯაშუე ბევრი ტყუილია დაფიქსირებული, საითკენაც მივყავართ მის მიმართ იმავე სასამართლო პროცესზე ბრალდებულისა და ერთი მოწმის ცრუ ჩვენებებს.

როგორც ცნობილია, ბერბიჭაშვილის 1941-1942 წლის სასამართლოს წინ უსწრებდა იმ დროს ჯერ კიდევ ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერის, პაატა გუგუშვილის წერილი „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა,“ დაბეჭდილი „ლიტერატურული საქართველოს“ 1937 წლის მე-20 ნომერში და ერთი წლის შემდეგ, 1938 წელს გამოცემული წიგნი „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა.“

აწ განსვენებული ნოდარ გრიგალაშვილი, ვფიქრობთ, პირველი ქართველი მეცნიერია, რომელმაც თავის ორტომეულში „თანამდევნი სული“, პაატა გუგუშვილის ამ წიგნს „უაბრო ნაშრომი“ უწოდა.<sup>2</sup>

ბატონი თენგიზ სიმამვილი კი პირველი მეცნიერია, რომელმაც დაგვანახა პაატა გუგუშვილის წიგნთან დაკავშირებით ობიექტური კვლევის კონკრეტული მაგალითი. ის წერს: „...საბოგადოებისათვის ცნობილ ინფორმაციებს დიმიტრი ჯაშის შესახებ, ძირითადად, ვიცნობთ საბჭოთა პერიოდში დაბეჭდილი წიგნებიდან. ჩემი აზრით, დღეისათვის ამ წიგნების ერთ-ერთ მეცნიერულ ღირებულებად დარჩა ის, რომ მკითხველმა ნახოს, თუ როგორ ყალიბდებოდა ... საქართველოს ისტორია. ამ ნაშრომებში დასაბუთების გარეშე გამოგანილია დასკვნები იმის შესახებ, რომ ილიას მკვლელობის დროს დიმიტრი ჯაში უკვე იყო „ოხრანკის“ განყოფილების აგენტი. ეს ინფორმაციები და დასკვნები სათავეს იღებს 1930-იან წლებში, ლაფრენტი ბერიას მითითებით...“<sup>3</sup>

გუგუშვილის წიგნში დიმიტრი ჯაშის ბიოგრაფიისა და საქმიანობის შეგნებულად დამახინჯების მაგალითად ბატონ სიმამვილს მოაქვს მესტამბე ლუარსაბ ხელაძის მოგონება: „ვინ იყო დ. ჯაში“, სადაც გუგუშვილი მკითხველს აცნობს ჯაშის ცხოვრებიდან ფაქტებს ისე, როგორც მას სჭირდება — არაქრონოლოგიურად.

---

<sup>1</sup> თ.სიმამვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბილისი;

<sup>2</sup> ნ. გრიგალაშვილი, ორტომეული „თანამდევნი სული“ 2010 წ. თბილისი;

<sup>3</sup> თ.სიმამვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბილისი;

**ბატონი თენგიზი წერს:** „...კერძოდ, თავიდან არის მოგანილი ინფორმაცია დიმიტრი ჯაშის შესახებ, თუ რა ასაკიდან და როლის იწყებს ის მუშაობას სტამბებში, შემდეგ კი მოდის ინფორმაცია, სადაც აღნიშნულია, რომ „დ. ჯაში რალაც პროვოკაციული საქმის მონაწილისათვის ჩავარდა მეტეხის ციხეში, მხოლოდ ამჟამად მან თან ჩაითრია რამოდენიმე კაცი, რომელთაც მოახვია თავზე ბომბების დამზადება ვორონცოვის ხიდის ყურეში არსებულ ერთ-ერთ სასტუმროს ნომერში...“ აქვე, წიგნში ჩართულია ლ. ხელაძის მონათხრობი, რომ დ. ჯაში თანამშრომლობდა რეაქციულ გაბეთვის - „მოსკოვსკი ვედომოსტი“ და „პეტერბურგსკი ვედომოსტი“. მითითებულია, რომ დიმიტრი ჯაშს ჰქონდა კავშირი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. კერძოდ, მეფის-ნაცვლის კანცელარიას დიმიტრი ჯაშისათვის დაუვალეზია კავკასიაში გერმანელთა კომპაქტურად განსახლების ადგილების, ე.წ. „გერმანული კოლონიების“ მიმოხილვა.

აი, სწორედ ამ აბზაცს მოსდევს ლ. ხელაძის მოგონების სულ სხვა ადგილიდან ამოღებული შემდეგი მასალა: „ყოველივე ამის შემდეგ შეიქმნა ჯაში ილიას მოურავად. ილიას ვერაგულად მოკვლის შემდეგ ხალხში ხმა დაირხა: ამ საქმის მომქმედი დ. ჯაში უნდა იყოს... რევოლუციის შემდეგ გამოაშვარავდა... ჯაში იყო პროვოკატორი და გამცემი აგენტი საიდუმლო განყოფილების“.

...ამ გვერდნახევრიან ტექსტში თავდაყირაა დაყენებული ლ. ხელაძის მოგონება: პირველია - ზემოთ მოყვანილი აბზაცი, „ყოველივე ამის შემდეგ შეიქმნა ჯაში ილიას მოურავად“, სინამდვილეში ლ. ხელაძის მოგონებაში არ მოსდევს დიმიტრი ჯაშის „პროვოკაციული საქმიანობის“ აღწერას მისი თანამშრომლობა „რეაქციულ გაბეთვის“. საქმე იმაშია, რომ დიმიტრი ჯაში მხოლოდ 1911 გახდა ბრალდებული, ხოლო გაბეთვისში „მოსკოვსკი ვედომოსტი“ და „პეტერბურგსკი ვედომოსტი“ თანამშრომლობას ბევრად გვიან - 1915-1916 წლებში იწყებს. და მესამე, დიმიტრი ჯაში მხოლოდ 1916 წელს ხდება კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან არსებული კონტრდაზვერვის განყოფილების თანამშრომელი...“<sup>1</sup>

მკითხველის თვალსაწიერზე ბატონ თენგიზს გამოაქვს 1930-იან წლებში ბერიას დავალებით ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ წიგნზე მომუშავე კოტე გორდე-ლაძის მომავალი წიგნის დეტალური გეგმა, რომელიც გამოხატავს წიგნის შინაარსის თანმიმდევრობას. უფრო სწორად, გორდელაძის „სცენარს“, თუ რომელი ფაქტი რას და როგორ უნდა დაუკავშიროს ისე, რომ მისთვის დავალებული წიგნის შინაარსი ურყევად გამოხატავდეს იმ აზრს, რომ „ოხრანკის“ აგენტი დიმიტრი ჯაში ილიას მკვლელობის მთავარი ორგანიზატორი იყო. მართალია მან ვერ შესძლო დავალებული წიგნის დაწერა, რადგანაც იგი 1937 წელს, რეპრესიების მსხვერპლი გახდა, მაგრამ

<sup>1</sup> თ.სიმამულიძე, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბ.;

თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგინოთ, თუ როგორ მუშაობდა გორდელაძე, რისთვისაც მოვიშველიოთ ამონარიდი ბატონი თენგიზის შრომიდან: „...დასაწყისშივე კ. წერს: „1. დ. ჯაში (შემდეგ გადაშლილია - ვ. ინაშილი, ლ. ასათიანი - თ.ს.), როგორც ხელსაყრელი კანდიდატი „ოხრანკისათვის“ ილიას მკვლელ-ლობის ორგანიზაციისათვის, რადგან ჯაში ფორმალურად სოც.-დემოკრატი, ფაქტიურად - „ოხრანკის“ აგენტი, თვითმპყრობელობას კი უნდა მკვლელობა სოციალდემოკრატიებს დაბრალდეს.“

მას მოსდევს უკვე შემდეგი ტექსტი-„ფაქტიური მასალა“ ამის შესახებ:

ა) დ. ჯაში მესამე დასელების მიმდევარი, სოციალ-დემოკრატი მუშა. არქივის მასალებიდან ჯაშის ს-დემოკრატიობის შესახებ, გვ. 8; ჯაში სამჯერ იყო დაჭერილი ილიას მკვლელობამდე, როგორც სოციალ-დემოკრატი. გვ. 16 კლიმაშივილი (მისი მოგონებები მოთავსებულია კოცე გორდელაძის კომისიის შეგროვილ მასალებში - თ. ს.) ჯაში მუშა ასოთამწყობი, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, გვ. 9; ჯაშის დახასიათება და მასთან კავშირი, როგორც პოლიტიკურ მომუშავესთან, ე. ი. ს.-დემოკრატიან. გვ. 4; არ. ხუნდაძე: ჯაშის დახასიათება, მორწმუნე (შემდეგ გადაშლილია - თ. ს.), ვარანცოვ-დაშკოვის გაცნობა და მასთან საუბარი.

ბ) ჯაში „ოხრანკის“ აგენტი: (თებერვლის რეგოლუცია და ჯაშუშების შეპყრობა პ. გ-ლი: დ. ჯაში მეტეხის ციხეში, როგორც „ოხრანკის“ აგენტი! ს. ჯიბლაძე და სხვ. მიერ ჯაშის დაკითხვა. დ. ჯაშის პასუხი. დ. ჯაშის წერილი ნ. ჟორდანიას, არ. ხუნდაძე: დ. ჯაში და ვარანცოვ-დაშკოვის გაცნობა. დ. ჯაშის წერილები ვაზ. „მოსკ. ვედომოსტის“.

ეს მასალა შეგნებულად მოვიყვანე, რომ მკითხველმა ნახოს, თუ რა მიმართულებით მუშაობდა კოცე გორდელაძე და შემდეგ კი, მისმა ნააზრევმა როგორი ცვლილება განიცადა.

ცნობილია, რომ მან ამ გვეგმის მიხედვით დაწერილი თავისი შრომა ლავრენტი ბერიას წარუდგინა და მან ის დაინუნა. ჩემი აზრით, ლ. ბერიას იგი იმიტომ არ მოეწონა, რომ ჯერ ერთი, კ. გორდელაძე აქცენგს აკეთებდა სოციალ-დემოკრატიებთან (ცხადია, იგი მენშევიკებს გულისხმობდა - თ. ს.) დიმიტრი ჯაშის კავშირზე და მეორე, კ. გორდელაძეს ვერ მოჰყავდა ვერანაირი დასაბუთება დიმიტრი ჯაშის „ოხრანკაში“ აგენტად მუშაობის შესახებ ილიას მკვლელობის დროს.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის წიგნში - „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ მოთავსებულია იმ მასალის მცირე ნაწილი, რაც მოიპოვა კ. გორდელაძემ. ამ წიგნში მთლიანად არეულია და შეგნებულად დამახინჯებულია დიმიტრი ჯაშის ბიოგრაფია<sup>1</sup>.

<sup>1</sup> თ.სიმაშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბ.;

ბატონი თენგიზი თავისი ნაშრომით არ ეთანხმება 1942 წლის 5 იანვრის სასამართლოს განაჩენში დიმიტრი ჯაშის შესახებ არსებულ ჩანაწერს, საითკენაც გუგუშვილის წიგნს მივყავართ.

საბჭოთა ისტორიის ფალსიფიკაციის ამ უპრეცედენტო, კონკრეტული მაგალითის წარმოდგენის შემდეგ, ჩვენთვის აზრს კარგავს ბატონი თენგიზისთვის იმის მტკიცება, რამდენად შეესაბამება სიმართლეს 1942 წლის სასამართლო განაჩენში დიმიტრი ჯაშის შესახებ ჩაწერილი წინადადებები. შესაბამისად, ფალსიფიცირებულია საქართველოს პროკურორის უფროსი თანაშემწის - სვანიშვილის მიერ 1984 წლის 24 აგვისტოს ჯაშზე შედგენილი დასკვნა რეაბილიტაციაზე უარის შესახებ, რადგანაც ეს დასკვნა მხოლოდ 1942 წლის სასამართლოს მასალებზე, განსაკუთრებით, განაჩენზე დაყრდნობით დაიწერა. აგრეთვე, ზედმეტია ბატონ თენგიზს ვუმტკიცოთ იმის შესახებ, რომ ცილისწამებაა ფილმში „ვინ მოკლა ილია...“ გახმოვანებული სიტყვები: „1984 წელს დიმიტრის შვილმა, იური ჯაშმა მამის რეაბილიტაცია მოითხოვა, რაც სსრკ გენერალურმა პროკურატურამ არ დააკმაყოფილა. დიმიტრი ჯაში ისევ ბრალდებულად ცნეს...“.

როგორც აღმოჩნდა, დიმიტრი ჯაშის მისამართით შედგენილი ყალბი დოკუმენტები არა მარტო 30-იან წლებში და 1942 წელს, არამედ 1984 წელსაც შეიქმნა. ამ სიყალბის გარკვევას ბატონი თენგიზი სანახევროდ შეეცადა.

აქ გავიმეორებთ იმას, რაც პირველ წერილში აღინიშნა: 1984 წელს დიმიტრის შვილი, იური ჯაში მართალი იყო, როცა მოითხოვდა, საბჭოთა აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძეს თავი დაენებებინა დიმიტრი ჯაშისთვის ცრუ ბრალდებების წაყენებისათვის.

მაგრამ როგორ მოიქცეოდა იური ჯაში, როცა გაიგებდა, რომ მამამისი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მოსამზადებლად არა „ოხრანკის“ მიერ, არამედ, ბატონი თენგიზ სიმაშვილის აზრით, სოცდემოკრატიული მუშათა პარტიისაგან იყო მოურავად შეგზავნილი?

ალბათ, ისევე, როგორც მოქმედებდა ღრმად დარწმუნებული, რომ დიმიტრის ილიას მკვლელობაში არანაირი როლი არ მიუძღოდა. ეს მისი პოზიცია იყო, მაგრამ ზოგიერთი მეცნიერი, ვინც ამ მკვლელობის გარემოებებს იკვლევს, სხვანაირად ფიქრობს.

ბატონი სიმაშვილი წერს: „მკვლევარებში დღეს ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მომზადებასა და ორგანიზებაში გარკვეულწილად მონაწილეობდა მისი „ახალი“ მოურავი დიმიტრი სოფრომის ძე ჯაში“.<sup>1</sup>

ვფიქრობთ, ახლად მოპოვებული დოკუმენტები ახალ გარემოებებს შექმნის, რაც საფუძველი გახდება ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ახალი გამოძიებისა და სასა-

---

<sup>1</sup> თ.სიმაშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბ.;

მართლოსი. ეს უკვე საინტერესო იქნება იმით, რომ ჯამისთვის წაყენებული დაუსაბუთებული ბრალდება, შესაძლოა, თავიდან გამოსაძიებელი გახდეს — დაასაბუთონ ან ვერ დაასაბუთონ. მანამდე, შევეცადოთ, ბატონი თენგიზის მოსაზრებები და იმ მკვლევრების შრომები განვიხილოთ, ვინც დარწმუნებულნი არიან, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მომზადებასა და ორგანიზებაში მონაწილეობდა მისი მოურავი დიმიტრი ჯამი.

„...სრულიად დასაბუთებელია დიმიტრი ჯამის სოცდემოკრატიზაცია, ამ პარტიის დაუღლებით ილიას მამულების მოურავად დადგომა და მკვლელობის უშუალო ორგანიზება ან მკვლელობის ორგანიზატორებისათვის საჭირო ინფორმაციების მინოდება“<sup>1</sup> - წერს სიმამვილი, მაგრამ რა არის დასაბუთებული? მკვლელობის უშუალო ორგანიზება, თუ მკვლელობის ორგანიზატორებისათვის საჭირო ინფორმაციების მიწოდება, ესეც გაურკვეველია. რაც მთავარია, ის დოკუმენტები, რაც თავის შრომებში მკვლევარმა წარმოადგინა, რითაც „სრულიად დასაბუთებელია დიმიტრი ჯამის სოცდემოკრატიზაცია“, სრულიად არ ამტკიცებს ამას.

საკითხის განხილვა ცოტა შორიდან დავიწყოთ. ბატონი თენგიზი ხაზს უსვამს და სამართლიანადაც წერს, რომ პაატა გუგუშვილმა ჯამის ბიოგრაფია დაამახინჯა. დავამატებთ, რომ არა მარტო გუგუშვილი, არამედ გორდელაძეც თავიდანვე ცდილობდა, ჯამის ცხოვრების ფაქტები თავის ნაწერში ისე აეწყოს, რომ მიღებული დავალება შეესრულებინა, დიმიტრი ჯამი საზოგადოებისთვის რამენაირად ილიას მკვლელობის ორგანიზატორად წარმოეჩინა.

„ერთია დიმიტრი ჯამის მკვლელობის ორგანიზატორად გამოცხადება და მეორე იმის ჩვენება და ახსნა, — წერს ბატონი თენგიზი, — თუ რატომ და რისთვის მიიღო მან ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მომზადებაში მონაწილეობა. ჩანს, ეს კარგად ესმოდა კ. გორდელაძეს და მისი ნაშრომის შავ, უკვე ნაბეჭდ ვარიანტში იგი წერდა: „ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ დიმიტრი ჯამი, სტამბის მუშა, სოციალ-დემოკრატი, ილია ჭავჭავაძეს მოურავად უდგება. უნებლიეთ ისმება კითხვა, რატომ უნდა მოსვლოდა თავში ასეთ კაცს შემამულესთან მოურავად დადგომა, თუ იგი რაიმე წინასწარი განზრახვით არ ხელმძღვანელობდა“. აქ ბატონი თენგიზი ამატებს: „მე არა მარტო ვეთანხმები კოტე გორდელაძეს, არამედ ვიმეორებ მის სიტყვებს...“ და დამატებით კითხვასაც სვამს: „და მართლაც, ვინ უბიძგა დიმიტრი ჯამს გამხდარიყო ილიას მოურავი?“<sup>2</sup>

ქვემოთ შევეცდებით, ამ კითხვას პასუხი გავცეთ, მაგრამ ჩვენც ვიკითხავთ: რომელი დოკუმენტით დაამტკიცა კოტე გორდელაძემ, რომ დ. ჯამი სოციალ-

<sup>1</sup> თ. სიმამვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბ.;

<sup>2</sup> თ. სიმამვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბ.;

დემოკრატია? პასუხი ასეთია: ამას არ ადასტურებს არც ერთი საარქივო დოკუმენტი. ბატონი თენგიზი წერს: „პაატა გუგუშვილის წიგნში... არსად აღარაა ნახსენები, რომ კ. გორდელაძე დიმიტრი ჯაშს სოციალ-დემოკრატად თვლიდა.“

გორდელაძემ, დიდი მცდელობის მიუხედავად, ასეთი დოკუმენტი ვერ წარმოადგინა. შესაძლებელია, „ამხ.“ ლ. ბერიამ ამ მიზეზითაც დაიწუნა გორდელაძის „სცენარი“ (ბერია საქართველოში 1938 წლის 22 აგვისტომდე მუშაობდა - ავტ.). ბერიასათვის არაფერს ნიშნავდა მის მიერ დამნაშავედ შერაცხულის სოცდემოკრატიული პარტიის წევრობა, თუნდაც ბოლშევიკობა. ამას ამტკიცებს ის, რომ:

ა) ძველი ბოლშევიკი ბერბიჭაშვილი ბერიას დავალების შემსრულებლებმა ამ პარტიაში მოტყუებით „შემძვრალ“ წევრად მონათლეს;

ბ) ფაქტებია, როცა ცნობილი ბოლშევიკები სამაგალითოდ დახვრიტეს, ჯაშის შემთხვევაში განაჩენიც სანიმუშო იქნებოდა: მოღალატე ბოლშევიკი, „ოხრანის“ აგენტი;

გ) რეპრესია შეეხო ბოლშევიკური პარტიის იმ წევრებსაც, რომლებიც თავიანთი პარტიის ისტორიას წერდნენ და თან იკვლევდნენ ილია ქავჭავაძის მკვლელობის გარემოებებს. მაგალითად: რაჟდენ კალაძე - ახლად გასაბჭოებული საქართველოს ცენტრალური არქივის კოლეგიის წევრი, ცნობილი ქართველი პოლიტიკური და ლიტერატურული მოღვაწე დახვრიტეს 13.07.1937 წ., (რეაბილიტირებულია 13.10.1960 წ.) და კოტე გორდელაძე — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილე, მანამდე, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ც-ის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების უფროსი დახვრიტეს 26.06.1937 წ., (რეაბილიტირებულია 07.07.1956 წ.) და სხვები;

გორდელაძემ ვერ მოიძია დოკუმენტი, რომელიც დაამტკიცებდა დიმიტრი ჯაშის სოციალ-დემოკრატობას. აქ მთავარია ის, რომ იგი ძალიან იყო დაინტერესებული, მოეძია ასეთი დოკუმენტი. რატომ?

ამაზე ისევ ბატონი თენგიზი პასუხობს: „სოციალ-დემოკრატი საყურადღებოა იმით, რომ გორდელაძის აზრით, ამ პარტიის მენშევიკურ ფრთას შეიძლება დაბრალვბოდა ილიას მკვლელობა, რომელთა უმეტესობა ემიგრაციაში იყო“.<sup>1</sup>

ცოცხალი მენშევიკები, ვისაც შეხება ჰქონდა დიმიტრი ჯაშთან, დანამდვილებით იტყოდნენ - ჯაში ჩვენი პარტიის წევრი არასოდეს ყოფილა. ბოლშევიკებიც თავიანთი პარტიის წევრად არ მიიჩნევდნენ. არც ერთ არქივში არავის უნახავს ისეთი დოკუმენტი, რომელიც დიმიტრი ჯაშის მენშევიკობას ან ბოლშევიკობას დაადასტურებს. არც ძველი მენშევიკების და ბოლშევიკების მოგონებებშია ნახსენები ჯაში, როგორც მათი პარტიის წევრი.

---

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბ.;

თვით დიმიტრი ჯაში, 1917 წელს დაპატიმრებული, ყველას წასაკითხად და გასაგონად აცხადებს, რომ არასოდეს ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი.

ბატონი თენგიზი წერს: „კომისიის მასალებში ...მასში არსებული თანამედროვეთა მოვლენებით დასტურდება დიმიტრი ჯაშის კარგი ურთიერთობები (არა წევრობა — ავტ.) ...სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრთის წარმომადგენლებთან“.<sup>1</sup>

აღმოჩენილია მხოლოდ „კარგი ურთიერთობები“... მაგრამ დიმიტრი ჯაშის კარგი ურთიერთობები სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებთან მათი პარტიის წევრობას არ ადასტურებს, მით უფრო, არ გამოდგება იმის სამხილად, რომ იგი ამ პარტიის მიერ შეგზავნილი მოურავია.

## გ) მკვლევარმა აზრი შეიცვალა?

ბატონი სიმეშვილის მოსაზრებებს ელექტრონული ინფორმაციის საშუალებით ეტაპობრივად როცა ვეცნობოდით, საინტერესო მოვლენას მივაქციეთ ყურადღება - მკვლევრის აზრი ზოგიერთ საკითხთან მიმართებით ცვალებადი აღმოჩნდა. ჯერ კატეგორიულად აცხადებს: „დღეისათვის სათანადო წყაროებისა და დოკუმენტების ანალიზის შედეგად დადასტურებულია, რომ დ. ჯაში სწორედ სოციალ-დემოკრატებისაგან იყო შეგზავნილი ილიასთან, რათა ორგანიზაციულად მოემზადებინა და დაეგეგმა კონკრეტული ქმედებები მის მოსაკლავად“.<sup>2</sup>

შემდეგ კი წერს: „...ამრიგად, მთავარ კითხვებზე პასუხს, თუ ვინ იყო ილია ჭავჭავაძეზე განხორციელებული ტერორისტული აქტის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი? ვის სჭირდებოდა დაზუსტებით ილიას მოძრაობის მარშრუტის ცოდნა, ...პასუხს ვერ გვაძლევს დიმიტრი ჯაშის ქმედებების ცოდნა. უფრო სწორად, დიმიტრი ჯაშის რევოლუციური საქმიანობის ანალიზი და პიროვნული თვისებები, მათ შორის, ლიდერობის გამოცდილების უქონლობა არ პასუხობს დადებითად ამ კითხვებს“.<sup>3</sup>

ბატონმა თენგიზმა დაგვანახა, რომ დიმიტრი ჯაში, როგორც მეფის „ოხრანკის“ აგენტი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორი არ ყოფილა. შემდგომი

<sup>1</sup> თ. სიმეშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბ.;

<sup>2</sup> თ. სიმეშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბილისი;

<sup>3</sup> თ. სიმეშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბილისი;

კვლევების საფუძელზე იგი უკვე აღიარებს, რომ დიმიტრი არც სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხრიდან შეიძლება ყოფილიყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორი და მიდის ისეთივე დასკვნამდე, როგორც ალექსანდრე შუშანაშვილმა და ნოდარ გრიგალაშვილმა გააკეთეს. იგი წერს: „არ არსებობს არავითარი დამამტკიცებელი საბუთი, რომ დიმიტრი ჯაში საგურამოში ჩასვლამდე იცნობდა, ან ჰქონდა რაიმე კავშირი ილია ჭავჭავაძემ განხორციელებული თავდასხმის მონაწილეებთან. ვგულისხმობ პ. ფშავლიშვილს, გ. ბერბიჭაშვილს და ვ. ინაშვილს“.<sup>1</sup> უფრო მეტიც, მიდის ისეთ მნიშვნელოვან კითხვამდე, რომელზეც პასუხი თავად გასცა: „ისე, საინგერესოა, საბჭოთა მართლმსაჯულებამ რატომ არ გასცა პასუხი სასამართლოზე კითხვას - რა ხერხებით და გზებით მოახერხა ასოთამწყობმა დ. ჯაშმა მისთვის სრულიად უცნობი ადამიანების ნდობის მოპოვება ისე, რომ სულ მოკლე ხანში მათგან თავდამსხმელთა ჯგუფი ჩამოაყალიბა? თუმცა, იმ პერიოდში საზოგადოება ისე იყო დაშინებული, ალბათ, საბჭოთა ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ ასეთი კითხვის ხმა-მაღლა დასმას ვერაფერს გაბედავდა“.<sup>2</sup>

ბატონი თენგიზი მართლაც ბრძანებს. სსრკ პროკურატურისათვის მსგავსი კითხვების დასმა დარია ჯაშმა მხოლოდ 21 წლის დაგვიანებით გაბედა.

ზემოთ წარმოდგენილი დასკვნებით, ბატონ თენგიზ სიმაშვილს თავისი მკითხველი იქით მიყავს, რომ დაანახოს: ხსენებული თავდამსხმელთა ჯგუფი დიმიტრი ჯაშის კი არა, ილიკო იმერლიშვილის შექმნილია, მაგრამ მოურავი ჯაში, მისი აზრით, ასოცირდება ილიაზე თავდასხმის ორგანიზატორებთან, როგორც მათ მიერ შეგზავნილი. მიკვლეული საარქივო დოკუმენტებით ცდილობს დაგვარწმუნოს ამ საკითხში, მაგრამ ამის დამამტკიცებელი საარქივო დოკუმენტები, ჩვენი აზრით, ჯერ ვერ წარმოადგინა. თუმცა, იგი ფიქრობს, რომ მის ვარაუდებს ამტკიცებს მის მიერ მიკვლეული ორ დოკუმენტი. ჩვენ ამ ორივე დოკუმენტს მკითხველთან ერთად ქვემოთ განვიხილავთ და დავრწმუნდებით თუ რამდენად არის ის ორი დოკუმენტი იმის არგუმენტი, რომ დიმიტრი ჯაში ილიასთან მოურავად ბოლშევიკებმა შეაგზავნეს.

ახლა კი, მკითხველო, გთხოვთ, კარგად გავერკვეთ, თუ რატომ მიიჩნევს ბატონი თენგიზ სიმაშვილი, რომ დიმიტრი ჯაში სოცდემოკრატების შეგზავნილი მოურავი იყო.

პროფესორებმა ნოდარ გრიგალაშვილმა და თენგიზ სიმაშვილმა, თითოეულმა დამოუკიდებლად, საარქივო დოკუმენტებით შეძლეს დაედგინათ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილის - „იმერელის“ ვინაობა. მათი აზრით, ეს აღმოჩნდა ილიკო

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბილისი;

<sup>2</sup> თ. სიმაშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბილისი;

იმერლიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი „იმერლის“ უკან ილიკო იმერლიშვილს არ მოიაზრებს, მაინც უფრო სარწმუნოა ეს მიკვლევა. ამასთან, საჭიროა იმერლიშვილის, როგორც ილია ჭავჭავაძის მკვლელის, სამართლებრივი იდენტიფიკაცია.

ბატონი სიმამული „იმერლის“, ანუ ილიკო იმერლიშვილისა და დიმიტრი ჯაშის ახლობლობას მიიჩნევს იმის საფუძვლად, რომ ილიკო იმერლიშვილმა დიმიტრი ჯაში ილია ჭავჭავაძესთან მოურავად შეაგზავნა. იმერლიშვილი და ჯაში რომ ახლობლობდნენ, ამის დასამტკიცებლად გვთავაზობს 1941-1942 წლების დეკემბერ-იანვარში გამართულ სასამართლოზე დარია ჯაშის დაკითხვისას სტენოგრაფისტის მიერ ჩაწერილ მასალას: „მე როცა წამიყვანა დიმიტრი ჯაშმა, ყაჩაღების საშუალებით მას ჰქონდა გაცარცული (გექსტი დაცულია-ავტ.) სასოფლო-სამეურნეო ბანკი და იმით ცხოვრობდა. ეს მე ვაგიგე იქიდან, სადაც ვცხოვრობდი ნახლებნიკათ. გვერდით ყაჩაღები ცხოვრობდნენ იმერლიშვილი, ობოლაძე, ჩიკვაიძე და ავალ(ლ)იშვილი. ბანკის გაცარცვის გეგმაც ჰქონდათ შედგენილი და ფულის გაყოფაზე დავაც მოუვიდა... აგრეთვე იმერლიშვილი და ობოლაძეც ხშირათ დადიოდნენ დიმიტრისთან. დიმიტრი ნახაბს უკეთებდა გაცარცვისას. ესენი ანარქისტები იყვნენ. როცა მე წამიყვანა დიმიტრი, თავი სოციალ-დემოკრატიად გამაცნო. ჩვენს გვერდზე მცხოვრები იყო ნოე რამიშვილი. დიმიტრი მეგნილად დაახლოებული იყო იმერლიშვილთან და ობოლაძესთან. ისინი ეჩხუბებოდნენ, შენ ნოე რამიშვილთან დადიხარ. ანარქისტებთან ერთად ჩემმა ქმარმა ბანკი გაცარცვა... მე ვაყვევი მაისში და მეორე წლის ივნისში წავედით საგურამოში. დიმიტრი მეუბნებოდა მე ილია ჭავჭავაძესთან ვარო გაბრდილი და მის დასთან საგინოვასთან ქონდა ახლო ურთიერთობა...“<sup>1</sup>

იმის გამო, რომ 1941-1942 წლების სასამართლოზე დარია ჯაშის დაკითხვისას ნახსენები პირები, მას ანარქისტებად მიაჩნდა, შემდეგ სოციალ-დემოკრატები ტერორისტები აღმოჩნდნენ, აგრეთვე, იმიტომ, რომ დარიას ჩვენებით, დიმიტრი დაახლოებული იყო იმერლიშვილთან და ობოლაძესთან, იმერლიშვილი, ობოლაძე და სხვები ძარცვავდნენ ბანკებს, ხოლო დიმიტრი ჯაში, დარიას სიტყვებით, მათ გაძარცვისთვის ნახაზს უკეთებდა, კიდევ იმიტომ, რომ ამ ყაჩაღების საშუალებით დიმიტრი ჯაშმა დარია ცოლად მოიყვანა, იმის გამოც, რომ ბატონ სიმამულის მიკვლევული დოკუმენტებით (ამას ქვემოთ გავეცნობით - ავტ.), 1904 წლის ბოლოს ილიკო იმერლიშვილი მოექცა ბოლშევიკური ფრაქციის გავლენის ქვეშ და ტერორისტ საშა ობოლაძეს არ შორდებოდა, ასევე, იმიტომ, რომ 1906 წელს ილიკო იმერლიშვილი და მისი ორი ამხანაგი — დიმიტრი ბაცანკალიშვილი და ვასო ფარესიშვილი ღროებით შევიდნენ მთაწმინდის ჯგუფში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ობოლაძე, აგრეთვე,

<sup>1</sup> თ.სიმამული, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011წ. თბილისი;

იმისათვის, რომ ილიკო იმერლიშვილს მიანდეს ამხანაგებში ფულის შეგროვება, რამიც დიმიტრი ჯაშვიც მონაწილეობდა, აგრეთვე, იქიდან გამომდინარე, რომ ილიკო იმერლიშვილი მუშაობდა ასოთამწყობად თავართქილაძის სტამბაში, სადაც, 1904 წელს, უმანგი ჯაშის ჩვენებით, თითქოს დიმიტრი ჯაშვიც ასოთამწყობი იყო, ხოლო 1905 წელს „ივერიის“ სტამბაში მუშაობდა, ბატონი თენგიზ სიმაშვილი დიმიტრი ჯაშს ილია ჭავჭავაძესთან სოციალ-დემოკრატების (ბოლშევიკების) მიერ შეგზავნილ მოურავად მიიჩნევს.

ღიას, გარკვეული რაოდენობის „აგრეთვე“ და „იმის გამო“ დაგროვდა ამ რთულ წინადადებაში, უფრო სწორად, ეს მიუხეზები საკმარისია ბატონი თენგიზისთვის, რომ ჯაში სოციალ-დემოკრატებთან დაახლოებულ პირად მიიჩნიოს. მიუხედავად ამისა, აქ ვერ ვიპოვეთ ისეთი „იმიტომ“, რომელიც დაადასტურებდა, რომ დიმიტრი ჯაში შეგზავნილი მოურავია.

ბატონი სიმაშვილი ერთ გარემოებას უსვამს ხაზს:

„რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ერთადერთი ადამიანი, ვინც საბჭოთა პერიოდში ილია ჭავჭავაძის მკვლელად ილიკო იმერლიშვილი დაასახელა, იყო ილიას მოურავის, დიმიტრი ჯაშის მეუღლე დარია ჯაში, მაგრამ საბჭოთა სასამართლომ ამ ჩვენებას ყურადღება არ მიაქცია“.<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილის, ბერბიჭაშვილის გამოძიების პერიოდში, 1941 წლის 6 ივნისს, დარია ჯაშმა კითხვაზე: „ვინ ღებულობდა მონაწილეობას ილიას მკვლელობაში?“ შემდეგი პასუხი გასცა: „როგორც შემდეგ გავიგე, ილიას მკვლელობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ინაშვილი - ყოფილი მამასახლისი, იმერლიშვილი, რომელსაც კარგად იცნობდა დიმიტრი, ფშავლიშვილი გრიგოლა; როგორც მახსოვს ფეიქრიშვილი იყო გაქცეული ყაჩაღად ტყეში.“<sup>2</sup>

სიმაშვილი აქ წყვეტს დარიას სიტყვებს და წარმოდგენილის მტკიცებულებად მოაქვს საარქივო დოკუმენტის ნიმუში — [18] (დოკ.#11). რატომ გავამახვილე ამაზე ყურადღება? იმიტომ რომ სიმაშვილი არ გადმოგვცემს ბოლომდე დარია ჯაშის ჩვენებას, მიუხედავად იმისა, მისი ქსეროასლი სრულად მოტანილი აქვს შრომაში. დარიას სიტყვები გრძელდება ასე ... მეეტლე ილიასი - თედო ლაბაური, რომელიც დაარჩევს. სხვათა შორის, მე მათში ვიცნობდი მარტო გრიგოლ ფშავლიშვილს და თედო ლაბაურს. სხვას არაფერს არ ვიცნობდი.“<sup>3</sup>

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, „უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა „მერიდიანი“ 2012, თბილისი;

<sup>2</sup> თ. სიმაშვილი, „უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა „მერიდიანი“ 2012, თბილისი;

<sup>3</sup> თ. სიმაშვილი, „უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა „მერიდიანი“ 2012, თბილისი;

დავაკვირდეთ დარია ჯაშის ჩვენებებს. დაკითხვისას, სტენოგრაფისტის მიერ ჩაწერილი მასალებით, იგი ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს იძლევა. ჯერ ამბობს: „მე როცა ნამიყვანა დიმიტრი ჯაშმა, ყაჩაღების საშუალებით მას ჰქონდა გაცარცული სასოფლო-სამეურნეო ბანკი“ - ყაჩაღებმა 1906 წლის აპრილის დასაწყისში თბილისის სამეურნეო ბანკი გაძარცვეს, ე. ი. ბანკი გაძარცვეს მანამდე, სანამ დარია დიმიტრის ცოლი გახდებოდა. დარია ბანკის დასახელებასაც არასწორად მიუთითებს. შემდეგ ამბობს: ანარქისტებთან ერთად ჩემმა ქმარმა ბანკი გაცარცვა — ამას გადმოგვცემს ისე, თითქოს, როცა ბანკი გაძარცვეს, დიმიტრი უკვე მისი ქმარი იყო. დარიას 1941 წელს ათქმევინეს ეს სიტყვები, თორემ 1906 წლის მაისის თვეში, ჯვრისწერისას ან საღამოს სახლში დაბრუნებული დიმიტრი ახლად შერთულ ცოლს ვერ მოუყვებოდა ბანკის გაძარცვის ამბავს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საარქივო დოკუმენტით ამ დარცვაში დიმიტრი ჯაშის მონაწილეობა არ არის დადგენილი, ე. ი. ის დარცვაში არ მონაწილეობდა და მოსაყოლივ არაფერი ექნებოდა. მეორე, იმ მიზეზით, რომ, თუ დავუშვებთ დარცვაში მის მონაწილეობას, იგი ამის შესახებ დარიას ვერ მოუყვებოდა, რადგან გათქვამდა სხვა მონაწილეებს, რაც სარისკო იქნებოდა არა მარტო სხვებისთვის, არამედ დიმიტრისთვისაც. ხომ შეიძლებოდა ქალს ვინმესთან წამოსცდენოდა. დარია ჰყვება იმერლიშვილისა და ჯაშის ურთიერთობის იმ პერიოდის შესახებ, სანამ იგი დიმიტრის ცოლი გახდებოდა, შესაბამისად, ეს ყველაფერი იცოდა, როგორც მეზობელმა, ის დიმიტრის მეზობლად ქირით ცხოვრობდა და შესაძლებელია, ხედავდა, თუ ვინ დადიოდა დიმიტრისთან და ესმოდა მათი ხმამაღალი ლაპარაკიც. მაგრამ ბანკის მძარცველები არ შეიძლება მკვლევარმა ისეთ მიაშიტებად მიიჩნიოს, ვინც ხმამაღალი ლაპარაკით ბანკის დარცვის შესახებ მეზობლებს გააგებინებდა.

დარია ჯაშის 1941 წლის ჩვენებიდან ვგებულობთ ერთ მნიშვნელოვან ინფორმაციას - დარია არ იცნობდა ილიკო იმერლიშვილს. ძნელად დასაჯერებელია მისი ნათქვამი — მე მათში მარტო გრიგოლ ფშავლიშვილს და თელო ლაბაურს ვიცნობდიო. განა შეიძლებოდა არ სცნობოდა ადამიანი, რომელიც მის მომავალ ქმარს დაეხმარა ცოლის მოყვანაში. თუ მართლა ასე იყო, გამოდის, რომ მან იგი ნახა ჯვრისწერამდე, როცა დიმიტრი დარიას აძალუბდა მას ცოლად გაყოლოდა, ხოლო ობოლაძე და იმერლიშვილი დიმიტრის გვერდით ედგნენ, მათი თანადგომით საპატარძლო დაითანხმა. უნდა დავასკვნათ, რომ დარია ჯაშმა ილიკო იმერლიშვილი ნახა, მაგრამ მისი გაცნობა ვერ მოახერხა. ჯვრისწერის მერე მას არ შეხვედრია. მისი გვარი და სახელი კი დაამახსოვრდა.

ამით ბატონ სიმამხილს მივანიშნებთ მხოლოდ იმას, რომ დარია ჯაშის ჩვენებებში უზუსტობებია. ასეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყარო რატომ ამბობს, არ ვიცნობდი იმერლიშვილსო? იქნებ, მისი პასუხები არალოგიკური სწორედ ზეწოლის გამოა? იქნებ, ამ მიზეზით, დარია ინფორმაციის ისეთი სანდო წყარო სულაც არ არის,

როგორადაც ბატონ თენგიზს მიაჩნია. ხოლო, თუ სანდოა, მაშინ დარია ჯაში რატომ არაფერს ამბობს დიმიტრისა და იმერლიშვილის კავშირებზე მას მერე, რაც დიმიტრი ილიას მოურავი გახდა, მათი ურთიერთობის შესახებ ილიას მკვლელობამდე და შემდეგ პერიოდში.

დარია თავის მოგონებებში არ წერს, რომ დიმიტრიმ მოიტაცა. მოგონებებში არსად არის ნახსენები ილიაკო იმერლიშვილი. ალექსანდრე ობოლადის შესახებ წერს, რომ გაუგია, სასოფლო-სამეურნეო ბანკზე 1905-1906 წლებში მოწყობილ ძარცვას იგი ხელმძღვანელობდა, რომ ის ამხანაგობდა „ნახალოვკელებთან“, მათ შორის, ფარსადან გიორგის ძე ჯაშთან (უნდა იყოს გრიგოლ ფარსადანის ძე ჯაში - ავტ.), რომელიც მაღალი, ახოვანი კაცი იყო. დიმიტრი საშუალო და სუსტი აღნაგობისა გახლდათ, მაგრამ იგი ხშირად ერეოდათ გიორგი ჯაშში. მაინც დავეყრდნოთ დარია ჯაშის ჩვენებას, მიუხედავად იმისა, რომ ის საეჭვოა, და მივყვეთ ბატონი თენგიზის ვარაუდის განხილვას - დიმიტრი ჯაში იყო სოციალ-დემოკრატების მიერ ან პირადად იმერლიშვილის მიერ ილიასთან შეგზავნილი მოურავი. ამასთან, ბატონი სიმაშვილი ზოგჯერ ფიქრობს, რომ ამ საქმეს დიმიტრი ჯაში ვერ გაუძღვებოდა. ის წერს: „...დოკუმენტების ანალიზიდან არ დასტურდება, რომ 1905-1907 წლებში ილიას მკვლელობამდე დიმიტრი ჯაში ხელმძღვანელობდა რაიმე თავყრილობას, დემონსტრაციას, იყო რევოლუციური ორგანიზაციის ადგილობრივი უჯრედის ლიდერი, ან რომელიმე ცეროლისტული თუ ექსპროპრიაციული აქტის ხელმძღვანელი“.<sup>1</sup>

მართლაც, თუ დოკუმენტების ანალიზით არ დასტურდება, რომ 1905-1907 წლებში ილიას მკვლელობამდე დიმიტრი ჯაში ხელმძღვანელობდა რევოლუციური ორგანიზაციის უჯრედს, ან რომელიმე ტერორისტულ თუ ექსპროპრიაციულ აქტს, შეძლებდა კი ის ისეთი მნიშვნელოვანი დავალების შესრულებას, როგორც ილიას მკვლელობის ორგანიზატორობა თუ არა, შეგზავნილი მოურავ-ინფორმატორის ფუნქციის შესრულება იყო?

სხვაგან სიმაშვილი წერს: „დიმიტრი ჯაში ჭკვიანი, თავისი წრის სტამბის მუშების უმეტესი ნაწილისაგან განსხვავებით, ძალიან განათლებული ადამიანი იყო. როგორც ჩანს, გამომდინარე თავისი სხარტი გონებიდან და მიღებული თვითგანათლებიდან...“<sup>2</sup> ამით ბატონი სიმაშვილი ცდილობს მკითხველის დარწმუნებას, რომ დიმიტრი მაინც შეძლებდა ბოლშევიკების დავალების შესრულებას. იმასაც წერს, რომ დიმიტრი ჯაში ტერორისტული და ექსპროპრიაციული აქტების რიგითი დამგეგმავის ფუნქციასაც ასრულებდა, მაგრამ ამას ადასტურებს მხოლოდ დარია ჯაშის მიერ 1941 წელს გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებით. სხვა ისტორიულ დოკუმენტს არ ფლობს.

<sup>1</sup> თ .სიმაშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბილისი;

<sup>2</sup> თ .სიმაშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბილისი;

თუ დარია სიმართლეს ამბობს და დიმიტრი მართლაც ექსპროპრიაციული აქტების რიგითი დამგეგმავი იყო, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ არსებობდა მთავარი დამგეგმავიც. მისი მონახაზი უნდა შეთანხმებულიყო მთავარ დამგეგმავთან. არსად ჩანს დიმიტრისა და მთავარი დამგეგმავის კავშირები. აქ მთავარ დამგეგმავად თუ აღექვსანდრე ობოლადე იგულისხმება, ობოლადის მოგონებებში არ არის ნახსენები დიმიტრი ჯამი.

მივყვით მეცნიერის მოსაზრებას: „...ფეიქრობ, დიმიტრი ჯამის ილიას მოურავად მონწყობაც ამაზე იყო გათვლილი. საქმე იმაშია, რომ ის მუშაობდა რა „ივერიაში“ და ახლოს იცნობდა ილიას დას, ილიას მოურავად გახდომის ძალიან კარგი კანდიდატი იყო. ეს კი, ცხადია, იცოდნენ იმ ადამიანებმა, ვისი დაფალებითაც ილია ჭავჭავაძის მოურავი მოსე მემარნიშვილი და მისი მეუღლე სიცოცხლეს უსასტიკესად გამოასალმეს. ...ჩემი აზრით, დიმიტრი ჯამის ფუნქცია ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზებისათვის საჭირო ინფორმაციის აღვიღებე შეგროვება, ვითარების შესწავლა და სხვადასხვა დეტალების გარკვევა იყო. დიმიტრი ჯამის ილია ჭავჭავაძესთან მოურავად მონწყობის ისტორია და ტერორისტული აქტის მომავალ სამიზნესთან ინფორმაციის შესაგროვებლად მისი შეგზავნა მეტყველებს, რომ იგი ტერორისტული აქტის ორგანიზატორის ახლობელი, ერთგული, „სანდო პირი“ იყო“.<sup>1</sup>

ბატონი სიმამვილი ამ ვარაუდს ვერც დოკუმენტებით ამყარებს და ვერც ფაქტების ლოგიკური კავშირებით. მის მიერ ქვემოთ წარმოდგენილი დოკუმენტები - 1904 წლის 11 აპრილს რკინიგზის სადგურზე დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო და 1906 წლის თებერვალში ფულადი შემოწირულობის შეგროვებისას დიმიტრი ჯამის დაპატიმრების შესახებ, მკვლევრის „თეორემას“ დიმიტრის რევოლუციონერობისა და ილიასთან მისი მოურავად შეგზავნის შესახებ სრულიად ვერ ამტკიცებს.

მკითხველს უნდა ვაცნობოთ, რომ წერილებში წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა უმეტესად ბატონი თენგიზ სიმამვილის მიკვლევულია და მისთვის კარგად არის ცნობილი. ჩვენი მიზანია, ისინი კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებთან შევაჯეროთ და დასკვნა ისე გამოვიტანოთ.

---

<sup>1</sup> თ. სიმამვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბილისი;

## დ) ჯაშისა და იმერლიშვილის განვლილი გზები

1907 წლის 18 ივნისამდე

ზემოთ გავარკვით, თუ რატომ მიიჩნევს ბატონი თენგიზ სიმაშვილი, რომ დიმიტრი ჯაში სოციალ-დემოკრატების მიერ შეგზავნილი მოურავი იყო. ახლა გადავხედოთ ჯაშისა და იმერლიშვილის ცხოვრების გზებს და მიახლოებით მაინც დავადგინოთ, რას საქმიანობდნენ ისინი 1904 წლიდან 1914 წლამდე. ვნახოთ, თუ სად და როდის გადაიკვეთა მათი ცხოვრების გზები ჯერ 1907 წლის 18 ივნისამდე, იმ დროიდან, საიდანაც, თენგიზ სიმაშვილის ვარაუდით, დიმიტრი შეგზავნილი მოურავია, აგრეთვე, იმ პერიოდის ჩათვლით, როდესაც ილიაზე თავდასხმა მოხდა და მას შემდეგ, როდესაც ილიას მკვლელობის გამოძიება და სასამართლო მიმდინარეობდა. ბოლოს შევაჯეროთ მომხდარი ფაქტები, ჯერ - იმერლიშვილის სიკვდილამდე, შემდეგ—დიმიტრის გარდაცვალებამდე.

ჯაშების გვარი გვხვდება მე-17 საუკუნის დასაწყისის საბუთში HdN 10138. 1761 წელს მამია გურიელის წყალობის წიგნში HdN11269, რომლითაც გურიელი ჯაშებს — „ქრისტეს საფლავის ყმანებს საჯვარისმამო კაცებს“ გადასახადებისაგან ათავისუფლებს: „არც მოგთხოვთ და არც გადაგახდევინებთ...ვინც ჩემგან მოცემული ეს წყალობა და წიგნი მოშალს — ან ხელმწიფემ, ან თავადმა, ან აზნაურმა, ან დედოფალმა ღთისაგან და შვიდი კრებისაგან, ოთხი პაგრიარქეპისაგან, ხუთი კათალიკობებისაგან შეჩვენებული იყოს“.<sup>1</sup> (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის „გურია-ოდიშის სამთავროების. წ. I, 1995 წ. გვ. 137-139.; 146-147).

დიმიტრი დაიბადა 1884 წელს ზემო აბაშაში, რომელიც მდებარეობს მდინარე რიონის სამხრეთით, სოფლების - საჯავახოსა და ნოღას ზემოთ, გურიის სერზე. თავისი მთიანი კალთებით გურიის ნაწილია და მისი გეოგრაფიული დასაწყისი. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ქუთაისის მაზრაში შედიოდა. 1897 წელს, 12-13 წლის დიმიტრი თანასოფლელებსა და ნათესავებს თბილისში ჩამოჰყვა. ილია ჭავჭავაძემ „ივერიის“ სტამბაში დააწყებინა მუშაობა. „ივერიის“ რედაქცია იმ დროს კუკიის ქუჩაზე იყო, ილიას დის, ლიზა საგინაშვილის (რუსულად საგინოვას წერდნენ - ავტ.) სახლში. სახლის სარდაფში იყო გამართული გაზეთის სტამბა, ზემოთ იყო რედაქცია და რედაქტორის სამუშაო ოთახი. ყმაწვილი დიმიტრი ასოთამწყობის მოწაფედ იწყებს მუშაობას. დაეუფლა პროფესიას და საქმეს წარმატებით ართმევდა თავს. 1903 წლამდე ცხოვრობდა თავის ძმასთან, უმანგისთან ერთად, რომელიც სოციალ-დემოკრატი იყო. უმანგი 1903-1905 წლებში ქ. ბაქოში გადავიდა, გადასახლებამდე იქ ცხოვრობდა და იატაქვემა სტამბა „ნინა“-ს ასოთამწყობი იყო.

<sup>1</sup> მ. ხომერიკი, „პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს“ 1996 წ. თბილისი;

1904 წლის 11 აპრილს, თბილისის რკინიგზის სადგურზე მოწყობილ დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის, დიმიტრი ჯაში ექვსი კვირით დააპატიმრეს. 1905 წელს თბილისის „ოხრანკა“ მას სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრად მიიჩნევდა. „ოხრანკის“ საარქივო დოკუმენტით, იგი, როგორც გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელი, სხვა ცნობილ სახეებთან ერთად ფედერალისტების პარტიის სიაშია დასახელებული.

1906 წლის 4 იანვრის N2972 „ცნობის ფურცელს“ თუ გადავხედავთ, წავიკითხავთ, რომ 1905 წლის დეკემბრის განმავლობაში თბილისში ისმოდა ზარბაზნების სროლის ხმა. დაიხოცა უდანაშაულო ხალხი. მთავრობა, რევოლუციური გამოსვლებით მოსალოდნელი შედეგების გამო, არავის ინდობდა. გაზეთი წერდა: „22 დეკემბერს, ციფლისში, სომხური სემინარიის წინ და ბაზართან მდგარ სახლთან ყუმბარა აფეთქდა, დაიხოცა ცხენები და დაშავდა კაზაკები. მოვიდა კაზაკთა რაზმი და განურჩევლად ყველას სროლა დაუწყეს. სომხური სემინარიის მეზობელ სახლში, სადაც ხალხმა და მოვაჭრეებმა სროლას თავი შეაფარეს, ზარბაზანი ესროლეს და შენობას ცეცხლი გაუჩნდა. იმ დღეს მორგში მიიტანეს 21 გვამი. დამწვარი სახლის ნანგრევებში კიდევ 8 ადამიანის დამწვარი გვამი იპოვეს. ექვთიმე ხელაძეს სემინარიის შენობაში სტამბა ჰქონია და როცა გაიგო შენობა იწვოდა, შენობაში საჭირო ქალაქლებისა და ფულის გამოსაგანად შესულა, გამოსვლის დროს კაზაკებს მოუკლავთ“.<sup>1</sup>

გაზეთი მრავალი ადამიანის, მათ შორის, ჩინოვნიკებისა და პოლიციელების სიკვდილს, მალაზიებისა და სამიკიტნოების რბევას გვატყობინებს.

თბილისელთა ყოფის ასეთ ვითარებაში, დიმიტრი ჯაში, როგორც ადამიანი და დამწყები რეპორტიორი, თუ თანაგრძნობას გამოხატავდა დაღუპულთა მიმართ, არ არის გასაკვირი, რომ ისიც რევოლუციონერად მიეჩნიათ. პოლიცია თვლიდა, რომ დიმიტრი ჯაში მონაწილეობას იღებდა მუშების ანტისახელმწიფოებრივ შეკრებებში, დანაშაულებრივი მოწოდებების (პროკლამაციების) გავრცელებაში, ფულადი შემოწირულობების შეგროვებაში, რისთვისაც 1906 წლის 16 თებერვალს მეორედ დააპატიმრეს, მაგრამ ექვსი დღის შემდეგ, სახელმწიფო დანაშაულის ჩადენის მტკიცებულებების არარსებობის გამო, გაათავისუფლეს.

დადასტურებულია, რომ დიმიტრი 1904-1906 წლებში ქართულ გაზეთებში - „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“, „სიმართლეში“, „შრომაში“ აქვეყნებდა პუბლიკაციებს. 1906 წლის გარკვეულ პერიოდში მუშაობდა „ცნობის ფურცელშიც“.

დიმიტრის მეუღლის — დარიას მოგონების მიხედვით, იგი 1905 წელს, 16 წლის ასაკში, გურიის სოფელ ბასილეთიდან თბილისში ჩამოვიდა. ცხოვრობდა დეიდაშვილის ბინაში მთაწმინდაზე, ვეძინის ქუჩაზე. იქვე, მეზობლად, ვეძინის ქუჩაზე იდგა ნოე რამიშვილის სიმამრის გოგიაშვილის სახლი, სადაც ცხოვრობდა ნოე რამიშვილი.

<sup>1</sup> გაზეთი „ცნობის ფურცელი“ N2972, 1906 წ. 4 იანვრი;

დომიტრი ჯამი ამ სახლის ერთ ოთახში ქირით იდგა. 17 წლის დარია აქვე გაიგნო 22 წლის დომიტრი. 1906 წლის მაისში ჯვარი დაიწერეს. ჯვარდაწერილები გოგიაშვილის სახლის ერთ ოთახში დაბინავებულან.

დარია ჯამის 1941-1942 წლის ჩვენებით, 1906 წლის მაისში დომიტრი ჯამმა ის ყაჩაღების დახმარებით ცოლად მოიყვანა. ქალი არ აკონკრეტებს, რომელი ყაჩაღები დაეხმარნენ დომიტრის. სიმართლეა ის, რომ დარია ხშირად უსვამდა ხაზს დომიტრის მიერ მისი მოტაცების ფაქტს. ასე დაოჯახდა დომიტრი ჯამი. 1908 წლის იანვრის ბოლოს მათ ქალიშვილი - ოფელია შეეძინათ.

თენგიზ სიმაშვილის ვერსიის თანახმად, ობოლაძე და იმერლიშვილი დაეხმარნენ დომიტრის ცოლის მოყვანაში. იმისათვის, რომ ვიცოდეთ, თუ რა იდეების მატარებელი იყო „რევოლუციონერი“ დომიტრი ჯამი, როდესაც იგი, სიმაშვილის აზრით, იმერლიშვილთან მეგობრობდა, გადავხედოთ 1904-1906 წლებში მის მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს. დარია ჯამის მოგონებების მიხედვით, დომიტრი, როგორც ჟურნალისტი, წერდა თავისი გვარით და იყენებდა ფსევდონიმებს: „ჯიგიტი“, „ივერიელი“, „ქუჩუკი“.

ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მე-7 ტომის მიხედვით, შეგვიძლია საზგასმით აღვნიშნოთ, რომ დომიტრი ჯამი ბოლშევიკურ გაზეთებში არ იბეჭდებოდა, ამასთან, 1905-1906 წლების პუბლიკაციების შინაარსით ჯამის რევოლუციონერობა დაუჯერებელია. ქრონოლოგიურად წარმოგიდგინთ გაზეთებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების შინაარსს:

გაზეთ „ივერია“, 1904 წლის 19 სექტემბერი (სექტემბერი - ავტ.), №216, გვ. 3, წერილი: „ოსმალეთის ჰონთქრის მურად მე-V სიკვდილი“, ნაწილი პირველი. ხელს აწერს დ. ჯამი (დანართი №1). 21 სექტემბრის 217-ე ნომრის მე-2 გვერდზე ამ წერილის გაგრძელებაა, ბოლოში მინიშნებულია, რომ იქნება გაგრძელება (დანართი №2). ამ თემატური პუბლიკაციის გაგრძელება ან ბოლო თავი ვერ მოვიძიეთ, მაგრამ, როგორი შინაარსისაც უნდა იყოს იგი, რუსეთის პირველი რევოლუციის წინა წლის განწყობას საერთოდ არ ასახავს — არანაირი პოლიტიკა. ისტორიული მიმოხილვაა, სავარაუდოდ, რუსული გაზეთებიდან ნათარგმნი.

იმავე გვერდზე აკაკის წერილია. ე. ი. „ივერიაში“ აკაკის გვერდით იბეჭდებოდა.

გაზეთი „ივერია“, 1904 წლის 1 ოქტომბრის №226. გვ. 3. რუბრიკით „თეატრი და ხელოვნება“, წერს: „სამშაბათს, 28 სექტემბერს, სახაზინო თეატრში წარმოადგინეს „კარმენი“, ოპერა 4 მოქმედება. მუსიკა ბიზესი... უმთავრეს პარტიას (კარმენი) ასრულებდა ქ-ნი შიხუცკაია-მინჩენკო და უნდა ითქვას კარგადაც შეასრულა, როგორც სიმღერით, ისე თამაშობითაც. ყოველი მიხვრა-მოხვრა, სახის გამომეტყველება ვათვალისწინებული ჰქონდა ქ-ნ შიხუცკასიას და ღირიჟორის წვეპლას არ შესწერებოდა... ბატონ ლ. დ. დონსკოის ნ. ნ. ფინგლერზედ ძლიერი ტენორი აქვს და მაღალ რეგისტრებში ნოტის

აღება და ერთბაშად შეწყვეტა არ უჭირდება...“<sup>1</sup> (დანართი №3). სტატიის ავტორია „ქუჩუკი“, ჯაშის ფსევდონიმი. როგორც ვიცით, დიმიტრის არ გააჩნდა სერიოზული განათლება, მით უფრო - მუსიკალური, ამის მიუხედავად, წერს ოპერის შესახებ რეცენზიას, აფასებს მომღერლების შესრულებას (?!) და ამას აქვეყნებს გაზეთში. ალბათ, დამსწრე საზოგადოების რეაქციაზე დაყრდნობით და თავის შთაბეჭდილებებიდან გამომდინარე.

იმავე გაზეთის 1904 წლის 23 ოქტომბრის №242, გვ. 3. რუბრიკით „თეატრი და ხელოვნება“, ბეჭდავს სარედაქციო მოკლე ინფორმაციას: „20 ოკტომბერს ქართულმა დრამატულმა დასმა გაჰმართა მეორე წარმოდგენა სახაზინო თეატრში. წარმოდგენეს „ექიმი შტოკმანი“ ...მთავარ როლს თამაშობდა ბ-ნი კ. მესხი და ძალიან უფერულადაც თამაშობდა ...წარმოდგენა უფერული გამოდგა და საზოგადოება უკმაყოფილო დარჩა. ხალხიც ცოცა დაესწრო“.<sup>2</sup>

ამ ხელმოუწერელი ინფორმაციის ქვემოთ „ქუჩუკის“ (ჯაში) წერილია „უკანასკნელი ქართული წარმოდგენის გამო“. წერილის ავტორი აკრიტიკებს მთავარი როლის შემსრულებელს კოტე მესხს ექიმ შტოკმანის როლის არასათანოდ შესრულებისათვის. გამოხატულია, ალბათ, ობიექტური კრიტიკა, მაგრამ ემოციური წერის მანერით, ამასთან, დასძენს: „პირადად ბატონ კოტე მესხს, როგორც სრულიად კერძო კაცს, არა შტოკმანის როლში, რასაკვირველია, დიდ პატივს ვცემ და ნურას უკაცრავად, თუ ეს მწარე, მაგრამ სიმართლით აღსავსე შენიშვნა გულს მოხვდება, ეწყინება მასაც და სხვებსაც“<sup>3</sup>(დანართი №4).

20 წლის დიმიტრი აკრიტიკებს მასზე 27 წლით უფროს, ცნობილ ქართველ მსახიობს და ამას უბეჭდავს გაზეთი, რომელსაც ხელს აწერს რედაქტორი გრ. ყიფშიძე. აქაც არანაირი პოლიტიკაა. მაგრამ არც რიდი ცნობილი მსახიობის მიმართ.

გაზეთი „ივერია“, 1904 წლის 19 დეკ., №290, (დანართი №5), გვ. 3, რუბრიკა: „სახელდახელო, ყბად-ასაღებსა და წყალ-წასაღები“. „ქუჩუკი“ (ჯაში) ეხება გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი წერილის ავტორს, რომლის ფსევდონიმია „ბ-ნ სიტყვა“. აკრიტიკებს მისი წერის მანერას და წერს: „ჯერაც არ არის გამორკვეული და შემუშავებული ხეირიანად ქართულ ლიტერატურულ ენის საზოგადო ხმარების ფორმა. სწერენ ისე ვისაც როგორც სურს და ვინც როგორ მიჩვეულა. ასეთ საგულისხმიერო საგანზედ ყბად-ასაღებსა და წყალ-წასაღებს განყოფილებაში კი არ უნდა იწერებოდეს, მაგრამ მოდი და ნუ აიღებ ყბად ისეთს ქართულს, რომელიც ყურს ეხამუშება და პირდაპირ სკვითიციზმის გავლენითაა დაწერილი... საჭიროა ...დაუყო-ნებლივ შედგეს კომისია ქართული ენის მცოდნე კაცთაგან, მოიწვიონ ერთ საზო-

<sup>1</sup> გაზეთი „ივერია“, 1904 წლის 19 სექტემბერი, №216,;

<sup>2</sup> გაზეთი „ივერია“, N226, 1904 წ. 1 ოქტომბერი;

<sup>3</sup> გაზეთი „ივერია“, N226, 1904 წ. 1 ოქტომბერი;

გადო კრებაზე ქართველი ლიტერატორები და შეიმუშაონ საერთო ფორმაქართული სალიტერატურო ენისა, რომ ყველამ ერთსა და იმავე წესით სწეროს და ილაპარაკოს...“ აქ დიმიტრი ჯაში - „ქუჩუკი“ ქართული სალიტერატურო ნორმების შემუშავების საჭიროებას ეხება. აკრიტიკებს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილ სტატიას, რომელსაც ხელს აწერს ფსევდონიმით „სიტყვა“. რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, „სიტყვა“ სამსონ ფირცხალავას (სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დამფუძნებელი) ერთ-ერთი ფსევდონიმი იყო.

გაზეთი „ივერია“, 1905 წლის 6 თებერვალი, №17, მე-3 გვერდი: გამოქვეყნებულია ჯაშის სატირული ჟანრის წერილი, „ქუჩუკის“ ფსევდონიმით, რუბრიკაში - სახელდახელო (ცხად-ასაღები - წყალ-წასაღები ამბავი) - „ბოროტ-განმზრახველნი“ (დანართი №6).

წერილის მთელ ტექსტს მოვიყვანთ:

„ერთმა ნაცნობმა მითხრა: - კაცო, ეს რა ღვთის წყრომაა: მეც ქვეყნისთვის გულშემაგვივარი მეგონა და მგონია, ვინც ხალხისთვის ბრუნავს, ვისაც საზოგადოებისათვის სიკეთე სურს და თავი გადაუდვია ქვეყნის აღორძინებისათვის, ყველას „ბოროტგანმზრახველნი“ დაარქვეს. რომელი გაზეთიც კი წავეკითხე, ყველგან ასე სწერია. ერთი ამისხენი, თუ ღმერთი გნამს, რაშია საქმე. - ეს მეგობარო, პოლიტიკური საქმეა. სხვანაირად არ შეიძლება წერა - დახსნიან რედაქტორს, ასოთამწყობს, მბეჭდავს, კორექტორს და ყველას, ასე რომ არ დასწერონ-მეთქი, - ვუპასუხე.

- კარგი, მაგრამ „კეთილ-გამზრახველნი“ ვინდა არიან?

თუ არ იცრუე, ხომ ვერ იცოცხლებ ამ ქვეყანაში. მეც ვიცრუე და თავის ქებით ვუპასუხე: - „კეთილ-გამზრახველნი“?! არიან მაგისთანეებიც. აი, მაგალითად, თავ. მეჩერსკი - სუვორინი-მამა, გრივეგი, პიხნო, კრუშევანი. და პალმიც კი. მაგათი ბამბაც ჩხრიალებს და გასაუვალი მაგათ სიგყვასა აქვს.

- აი, კაი მოგივა, კაი ხალხი შენ დაასახელე. მე რომ ერთ დღეს მომცენ მეფობა, 24 საათში სუყველას სიკვდილით დასჯას გადავუნწყვეტდი მაგათ...

- კიდევ იმიტომ არა ხარ მეფე-მეთქი, - ვუთხარი და გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. და მაინც იმისმა სიგყვებმა ძლიერ დამაფიქრა. მართლაცდა, ვინ არიან „კეთილ-გამზრახველნი“?

არაუინ!

როგორ არა, არიან კია, მაგრამ მათი დასახელება ძვირად დამიჯდება. შეიქმნება „დანოსები“, გამოკითხვა“, სლედსგვიები“ და ათასი ჯანაბა. მართალია, ზურგი არ ამექვება, რომ ერთი სიგყვის გულისათვის არა-სასურველ ალაგას მიკრან თავი...

- იაპონელები და ინგლისელები რომ „ბოროტ-განმზრახველნი“ არიან, ცხადია. აბა, რა საკადრისია 18 მილიონის გამოგზავნა რუსეთის მუშებისათვის და ამ ფულით

„ბუნგობაზე“ ნაქვებია. სხვა არაფერია შრომა და ჯათა მოუმაგა ამ 18-მა მილიონმა სარატოვის სახელოვან მღვდელს, კიდევ მადლობა ღმერთს, რომ მამა ორლოვი კარგი მათემატიკოსი ყოფილა და ხელათ გაუყვია 18 მილიონი მანეთი რუსეთის მუშებზე და „გამოუანგარიშნია“, რომ სარატოვის მუშებს თითოს ღლეში 30 კაპ. ჰრგე-ბიათ. - ახლა მოდი და ნუ იტყვი მამა ორლოვი „კეთილ-განმზრახველი“ არ არის! არა, არაფის დაუვალებია მისთვის 18 მილიონი მანეთის გამოანგარიშება, მაგრამ მაინც ინგარიშა. ასეთი თავგამოდება განა ქების ღირსი არაა?!

- ვერა ყოფილან იაპონელები და ინგლისელები კაი ხალხი, თორემ 18 მილიონს არ გამოუგზავნიდნენ რუსეთის მუშებს, რადგან ძნელი საანგარიშოა. 9 მილიონი რომ გამოეგზავნათ, მაშინ თითო მუშას 15 კაპ. შეხვდებოდა და ადვილი საანგარიშოც იყო მამა ორლოვისათვის.

საყურადღებოა ვიცოდეთ ტფილისის მუშებს რამდენი-და ერგოთ ამ თანხიდან. იქნება ჩვენს ქალაქშიაც გამოჩნდეს ვინმე მღვდელი, მსგავსად მამა ორლოვისა და გვიანგარიშოს თითო ტფილისელ მუშას ღლეში რამდენი ერგო ამ 18 მილიონიდან. თუ აქაც 30 კაპ. ერგო თითქოს, ვერაფერი ნუგეშია: მარტო ნავთი 10-12 კაპ. ჰლირდა გირვანქა.

აი, ამიგომბა, რომ საბუთი აქვთ „ბოროტ-განმზრახველნი“ უწოდონ ყველას!.. თუ „ბოროტ-განმზრახველნი“ არ ყოფილიყვნენ, არც გაითიცებოდნენ და ნავთი არ გაძვირდებოდაო; „ბოროტ-განმზრახველნი“ რომ არ ყოფილიყვნენ, ჩვენს მოკეთეებს ამისთანა ღროს უგაბეთოდ არ დააგდებდნენო... და სხვ., და სხვ., და სხვ.

ღმერთმა უშველოს ისევ ნიკო სამთელაძესა და გიგო ტიგველიშვილს. იმათის მეოხებით არც ნავთი ძვირდება და არც უგაბეთოდ რჩება ხალხი და არც მამა ორლოვს მოსდის მეტი შრომა მათემატიკურ ანგარიშისათვის. ეგენი მეგობრულად მამა-შვილურად ურჩევენ „ბოროტ-განმზრახველთ“ — „ჩვენ ტყავში დავეტიოთ ძმავ, თორემ ვინანებთ“.

ხალხი არ უჯერებს ამ კეთილ-განმზრახველთ, მაგრამ ისიც კაი მხედველობაში მისაღები, რომ ეს კეთილ-განმზრახველნი გვარიგებენ და ჭკუას გვასწავლიან...

მე კიდევ ვერ გამოძირკვევია ვინ არიან „ბოროტ-განმზრახველნი“ და კეთილის მსურველები ხალხისა.

არა, ჩემთვის დიდი ხანია გამორკვეული მაქვს, მაგრამ ამირანის ძალ-ღონე მაკლია, რომ სმა-მალლა ვსთქვა რამე სხვის ვასაგონად.

გრინგმუტი და მეშჩერსკიც ასე ამბობდნენ: ჩაიკეტეთ თქვენთვის ოთახის კარები, და რაც გინდათ ის იფიქრეთ, მხოლოდ წერა და სხვისთვის გადაცემა თქვენის აზრისა არ გაჰბედოთ.

მეშჩერსკი „ნაპრისცავალია“, და ამისთანებს ვერ მოიშლის, გრინგმუცი არასაიმედო კაცთა გულის მესაიდუმლეა და დამსახურებული „მედანოსე“...

მაგრამ მამა ორლოვი ხომ ქრისტეს მოადგილეა და განა ქრისტეს მცნებაში სადმე წერია: გაეცით და დააბეზღეთო ერთმან ერთიო?

მე კი არ შევხვედრივარ და თქვენი რა მოგახსენოთ...

ნეგა გამაგებინა, ვინ არიან „ბოროტ-განმზრახველნი“ და ვინ „კეთილის მსურველნი“...

ჰოო, აი, ვინ არიან... მაგრამ... სსსუუ!“<sup>1</sup>

ეს წერილი სრულად შეგნებულად წარმოგიდგინეთ, რადგან ის პოლიტიკური აქცენტებით დაწერილ სტატიად მივიჩნით. წერილში „კეთილ გამზრახველებში“ ჩამოთვლილია გრინგმუცი - რუსი მწერალი, რუსეთის მემარჯვენე პოლიტიკური აქტივისტი, შავრაზმელთა მოძრაობის იდეოლოგი, მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი; მეშჩერსკი - უკიდურესი მემარჯვენე შეხედულებების პუბლიცისტი, ჟურნალი „გრაჟდანიის“ გამომცემელი და რედაქტორი. კრუმეჟანი - შავრაზმელი, ცნობილი, როგორც კიშინიოვის ებრაელობის 1903 წელს დარბევის სულისჩამდგმელი, პიხნორუსი ნაციონალისტი, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე (ელექტრონული ენციკლოპედია „ვიკიპედია“ - ავტ.), გრივეტისა და პალმის შესახებ ცნობები ვერ მოვიპოვეთ. ალბათ, იმდროინდელი მემარჯვენე რადიკალები, რომელთა საქმიანობას ცინიზმით განიხილავს. წერს, აგრეთვე, ინგლისისა და იაპონიის მთავრობების მიერ რუსეთის მუშებისათვის გამოგზავნილ 18 მილიონი მანეთის დახმარებაზე, საიდანაც რუსეთის თითო მუშას დღეში 30 კაპიკი შეხვდა. ამას სატირულად განიხილავს, ამასთან, არცის, აქედან რამდენი ერგოთ ქართველ მუშებს.

გავცნოთ დიმიტრი ჯაშის მიერ ილიას მოურავობამდე დაწერილ სხვა სტატიებს.

1905 წლის 6 ივლისის გაზეთ „ცნობის ფურცელის“ სურათებიანი დამატება N329, (დანართი №7). ოთხ გვერდზე დაბეჭდილია ბულგარელი მწერლის ი. გ. გეშოვის პატარა მოთხრობა „ლილა“, რომელიც ეხება დანიშნული საცოლის — ლილას — ტრაგიკული სიყვარულის ამბავს. თარგმნა დ. ჯაშმა.<sup>2</sup>

1905 წლის 13 თებერვლიდან გაზეთი „ივერია“ გადავიდა პავლე თუმანიშვილის ხელში და გაზეთის გამომცემელიც ის გახდა. მისი წარდგინებით, კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ რედაქტორად დანიშნა ფილიპე გოგიჩაიშვილი. რედაქციაც გადავიდა ახალ მისამართზე, პუშკინის ქუჩის №11-ში, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულზე).

<sup>1</sup> გაზეთი „ივერია“ №17, 1905 წლის 6 თებერვალი;

<sup>2</sup> გაზეთი „ცნობის ფურცელი“, N 2858, ივლ.სურათ. დამატება N329, 1905 წ.:

გაზეთ „ივერიის“ 1905 წლის 23 ივლისის №125-ში, (დანართი №8), მე-3 გვერდზე ახალი ამბების რუბრიკაში დიმიტრი ჯაში მკითხველებს ამცნობს მევენახეთა ამხანაგობა „კახეთში“ შექმნილ არასახარბიელო ვითარებაზე, რომელიც გამოიწვია ამ ამხანაგობის მუშებისა და კანტორის მოსამსახურეთა თვენახევრიანმა გაფიცვამ.

სტატიის ძირითადი ამონარიდია: „...ხსენებული საზოგადოების გამგეობამ განიზრახა მუშტრების გამასპინძლება სასტუმრო „ანონას“ სადგომში. განზრახული იყო ნადიმზე ჩაეგონებინათ მუშტრები, რომ ისევ ძველებურად განეხლებინათ „კახეთის“ ღვინის ყიდვა-გასაღება. ცუ. ღროებითმა გენერალ-გუბერნატორმა გამგეობას ნება დართო, გაეძარათ ასეთი ნადიმი და მუშტრები დაეპატიუნა, მაგრამ მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა, ეს ნადიმი ვერ მოხერხდა. გუშინინ სცადა გამგეობამ ამ ნადიმის გამართვა თავის ბინაზე, კანტორაში; შეიკრიბა მრავალი მუშტარი. გამოცხადდა რამოდენიმე მოპირდაპირე (გაფიცულნი), მაგრამ გამგეობის წევრმა ბ-ნმა ვ. რცხილაძემ კანტორაში არ შეუშვა მოპირდაპირენი, მაინც შევიდნენ ნებადაურთველად, ბ-ნმა რცხილაძემ პოლიციას მოუწოდა და გაფიცულნი ძალით გაათანგვინა. მუშტრებმა მოითხოვეს, - თუ გინდათ მართალი გავივით და თქვენთან ვაჭრობა ისევ განვაგრძოთ, მოპირდაპირენიც უთუოდ უნდა დაესწრონო, თორემ ჩვენ ისე არა გვსურს თქვენთან საქმის დაჭერაო. ამ განცხადებაზე ცივი უარი მიიღეს გამგეობის წევრთაგან და მუშტრებიც მაშინვე დაიშალნენ... გუშინ 22 ივლისს, ღვინოებით დაგვირთული რამდენიმე დროგი გაუგზავნეს მომხმარებელთ, მაგრამ ყველამ უკან დაუბრუნა საზოგადოებას...“<sup>1</sup>

გაზეთი „ივერია“, 1905 წლის 24 ივლისის №126 (დანართი №9), მე-4 გვერდზე დაბეჭდილია დიმიტრი სოფრომის ძე ჯაშის წერილი რედაქციის მიმართ, სადაც ბატონ რედაქტორს მოახსენებს იმ გაუგებრობის შესახებ, რამაც მას აფიქრებინა და დააწერინა გაზეთის წინა ნომერში, რომ ამხანაგობა „კახეთის“ გამგეობის წევრმა რცხილაძემ კანტორაში მისულ გაფიცულების დასაშლელად პოლიციას მიმართა. სრულად მოვიტანთ ჯაშის წერილს: „სამწუხაროდ, აქ შეცდომაში შემყვანა შემდეგმა გარემოებამ: კრებაზე შესვლა მოინდომეს მოპირდაპირე მხარის წარმომადგენლებმა, მაგრამ არ შეუშვეს, რადგან გენერალ-გუბერნატორის მიერ ხელმოწერილ ქალაქში კრების ნებათთვის შესახებ აღნიშნული ყოფილა, რომ თათბირზე მონაწილენი იქნებოდნენ რესტრატორები, ბალისა და სასტუმროების პაგრონები, ყოველი მათგანი პირადად. გარდა ამ პირობისა, ოფიციალურად არავის ჰქონდა უფლება კრებას დასწრობდა. როდესაც რამდენიმე მოპირდაპირეთაგანი უდასტუროდ შევიდა კრების სადგომში, ბ-ნმა რცხილაძემ ერთ მათგანს, სახელდობრ ბ-ნ წივნივაძეს, ხელი-ხელს გაუყარა და ლაპარაკით გარეთ გამოიყვანა. ბ-ნი ვ. რცხილაძე ხელების ქნევით ელაპარაკებოდა

<sup>1</sup> გაზეთი „ივერია“, N125, 1905 წ. 23 ივლისი;

ნივნივაძეს და სწორედ ამ დროს გაისმა პატრულის ხმა „დაიშალენითო“. მე ამ დროს ამხანაგობის სადგომთან, პუშკინის ბაღის შესავალ კარებში ვიდექი, და ბ-ნმა რცხილადის ხელის ქნევით ლაპარაკმა და სწორედ ამ დროს პატრულის გაფრთხილებამ შემიყვანა შეცდომაში, რისთვისაც ძლიერ ვწუხვარ და ბოდიშს ვიხდი ბ-ნ რცხილადის წინაშე ამ უნებურ შეცდომისათვის, რადგან მას, ბ-ნ რცხილადეს პოლიციისათვის არ მიუძღვრებოდა და თვით პოლიციელნიც გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით იყვნენ იქ დაყენებული, არც ნადიმი გაუძღვრებოდა, — იყო კი განზრახვა, მაგრამ ამაოდ...“<sup>1</sup>

გაზეთის მე-4 გვერდის სქოლიოში რედაქტორი ფილიპე გოგიჩაიშვილი აუწყებს მკითხველს: „რედაქცია სწუხს, რომ ეს ამბავი შემთხვევით დაიბეჭდა გაზეთში“.

ამის შემდეგ დიმიტრის სტატია გაზეთ „ივერიაში“ აღარ გამოქვეყნებულა.

1906 წლის 6 ივლისის გაზეთ „შრომის“ სურათებიანი დამატება N26,<sup>2</sup> (დანართი №10), სამ გვერდზე, დაბეჭდილია მაქსიმ გორკის „გაზაფხულის მელოდიები“, დიმიტრი ჯაშის ნათარგმნი. ამ პატარა ალეგორიულ მოთხრობაში გადმოცემულია ფრინველების დიალოგი თავისუფლების შესახებ, რომელსაც მხოლოდ „კანონიერების ფარგლებში“ სთავაზობენ.

1906 წლის 20 ივლისის გაზეთ „შრომის“ N85-ში, მე-2 გვერდზე დაბეჭდილია დიმიტრი ჯაშის მიერ რუსულიდან ნათარგმნი ფელეტონი: „დამშვიდების“ შემდეგ მხედრის აღსარება“.

ქართული გაზეთების ფოტოასლები, რომლებზედაც ხელი მიგვიწვდა, ჩვენს წერილებს თან ერთვის.

1904-1906 წლების დიმიტრი ჯაშის საგაზეთო პუბლიკაციები არათუ მის რევოლუციონერობას და ტერორისტობას, არამედ ბოლშევიკებთან ახლობლობასაც არ მიანიშნებს. სავსებით შესაძლებელია, 1904 წლის 11 აპრილს თბილისის რკინიგზის სადგურზე მოწყობილ დემონსტრაციაში ის მონაწილეობდა, როგორც პუბლიცისტი, და არა როგორც რევოლუციონერების გულშემატკივარი, ხოლო რაც შეეხება ფულადი შემოწირულობების შეგროვებას, რისთვისაც 1906 წლის 16 თებერვალს მეორედ ექვსი დღით დააპატიმრეს, სავსებით შესაძლებელია, ამასაც აკეთებდა არა როგორც რევოლუციონერი, არამედ გარდაცვლილთა ერთ-ერთი ჭირისუფლისა და უკვე მრავალი პუბლიკაციის ავტორის სახელით.

1906 წლის 6 ივლისის გაზეთ „შრომის“ დასურათებულ დამატებაში დიმიტრი ჯაშის ქართულად ნათარგმნი მაქსიმ გორკის „გაზაფხულის მელოდიები“ რომ დაიბეჭდა, დიმიტრი უკვე დაქორწინებული იყო.

თუ გავითვალისწინებთ ბატონი სიმამიშვილის ვარაუდს დიმიტრის მეგობრობის შესახებ ობოლადქსთან და იმერლიშვილთან, ამასთან, თუ გადავხედავთ თბილისში

<sup>1</sup> გაზეთი „ივერია“ №126, 1905 წლის 24 ივლისი;

<sup>2</sup> გაზეთ „შრომა“ 1906 წლის 6 ივლისი, სურათებიანი დამატება N26;

გამომავალ რუსულენოვან გაზეთ „Kavkaz» -ს,<sup>1</sup> განსაკუთრებით როცა დიმიტრი დაქორწინდა, 1906 წლის მაისის ნომრებს, დავრწმუნდებით, რომ იმ დროს გაზეთების ყურადღების ქვეშ მოქცეული იყო ისეთი მოვლენები, როგორიცაა: რუსეთის სათათბიროს წევრების არჩევა, რომელიც თბილისში, ქალაქის პოლიციის ათივე უბანზე უნდა ჩატარებულიყო. გაზეთი ფართოდ აშუქებს კავკასიის ხალხთათვის ავტონომიის მინიჭების შესაძლებლობებს, კავკასიაში მცხოვრები ხალხებისა და ეთნიკური უმცირესობების გამო არსებული სირთულეების ცოდნის ან არცოდნის გათვალისწინებით. მკითხველის ყურადღება მიპყრობილია, აგრეთვე, გენერალ ალიხანოვ-ავარსკიზე თავდასხმის ფაქტზე, კერძოდ, 1906 წლის 16 მაისს, საღამოს 9 საათზე, როდესაც გენერალი გამოვიდა ქუთაისის რკინიგზის სადგურზე თბილისში გასამგზავრებლად, მის ეტლსა და გამცილებელ კაზაკებს ყუმბარები დაუშინეს, რის შედეგადაც ერთი კაზაკი მოკლეს, ორი კი მძიმედ დაიჭრა. დაიჭრა ქუთაისის გუბერნიის დროებითი გენერალ-გუბერნატორი ალიხანოვ-ავარსკიც. 17 მაისს, დღით, ალიხანოვი თბილისში ჩავიდა. აქედან გამომდინარე, დიმიტრის, როგორც რევოლუციონერის სტატიები ამ მოვლენებთან მაინც უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, მაგრამ, როგორც დავინახეთ, ამ საკითხებზე ის არ წერს. იგი 1906 წლის მაისში გორკის „გაზაფხულის მელოდიებს“ თარგმნიდა, ხოლო მომდევნო თვეში - პატარა ფელეტონს „დამშვიდების“ შემდეგ მხედრის აღსარებას“, რომელიც დაიბეჭდა სოცფედერალისტების ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „შრომაში“.

20 წლის დიმიტრი ჯაში, რომელსაც არ ჰქონდა მიღებული სათანადო განათლება, თამამად მონაწილეობდა თბილისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს ყოველივე ხდებოდა მანამდე, სანამ იგი ჭრელაშვილის რეკომენდაციით ილიას დასთან - ლიბა საგინაშვილთან მივიდოდა დახმარების თხოვნით (ხაზგასმა ჩვენია - ავტ.).

ქალაქ თბილისის გამგეობის მდივნის - ჭრელაშვილის რეკომენდაციით, 1906 წლის სექტემბერში დიმიტრი ჯაში მიდის ილია ჭავჭავაძის დასთან, ლიზა საგინაშვილთან, თხოვნით - დაეხმაროს მას უკეთესი სამსახურის შოვნაში. მას შემდეგ, რაც ლიზამ გაიკითხა დიმიტრი ჯაში შესახებ, 1906 წლის სექტემბრიდან 1907 წლის ზაფხულამდე დიმიტრი ლიზა საგინაშვილს სახლში აკითხავდა. ამ პერიოდში ელისაბედ საგინაშვილი და მიხეილ ჩიკვაიძე ცდილობდნენ, დიმიტრი სამუშაოდ სათავადაზნაურო ბანკში მოეწყოთ. 1906 წლის ბოლოდან 1907 წლის იანვრის ბოლომდე, უკეთესი სამსახურის მომლოდინე, იგი „გუტენბერგის“ სტამბაში მუშაობდა, ხოლო 1907 წლის თებერვლის ბოლოდან აპრილის ბოლომდე - „ტიფლისკი ლისტოკში“; მერე უმუშევარი იყო, მაგრამ გაფიცვების გამო ივნისამდე ხელფასს იღებდა, 1907 წლის 18 ივნისს ილიამ, ელისაბედ საგინაშვილისა და მიხეილ ჩიკვაიძის

---

<sup>1</sup> Газета „Kavkaz» NN 113; N129;

რეკომენდაციით, დიმიტრი ჯაშს საგურამოს მამულების მოურავობა შესთავაზა, რასაც იგი დათანხმდა და 19 ივნისს ილიას საგურამოში გაჰყვა.

ახლა გადავხედოთ ბატონი თენგიზ სიმაშვილის მიკვლევული ინფორმაციებით ილიკო იმერლიშვილის ცხოვრებას.

1885 წელს მცხეთაში დაბადებული ილიკო იმერლიშვილი ხელმოკლე ოჯახს 1890-იანი წლების დასაწყისში თბილისში ჩაუყვანია და სტამბის მეპატრონე კოზლოვთან მსახურის რანგში მიუბარებია. შემდეგ, 7-8 წლის ასაკიდან, იგი სხვადასხვა სტამბაში მუშაობს, ჯერ შეგირდად, შემდეგ ასოთამწყობად. ილიკოც, როგორც დიმიტრი, 12-13 წლიდან სწავლობს ასოთამწყობობას. ჟურნალი „რევოლუციური მატინე“ 1926 წლის პირველ ნომერში ილიკო იმერლიშვილზე წერდა: „1902 წლიდან ვასო ხუციშვილის ჩაგონებით შემოდის სგამბეების ერთ-ერთ წრეში. აქ მას მიანდევს არალეგალური ლიგერატურის გავრცელება და ფულის შეგროვება ამხანაგებში. დადგა 1905 წ., ამ დროს ილიკო მზადა ეკვეთოს მტერს. დაიწყო სომეხ-თათართა შეტაკება ტიფლისში (მთავრობის მიერ მონყობილი) და ილიკოც მესამე რაიონიდან (მთაწმინდა) მიდის პირველ რაიონში (ნაძალადევი) და ეწერება რაზმში. იქ ღებულობს იარაღს და მიდის თათრის მოედანზე, სადაც ღირსეულად ასრულებს თავის საქმეს... აღექვანდრე თბოლაქემ, როგორც ათის თავმა, გასცა განკარგულება გვესროლა... მაგრამ რაზმელებმა გასროლა ასე ადვილად ვერ გაბედეს. გავარდა მხოლოდ ილიკოს თოფი... ასე სომეხ-თათართა ალღევა ტფილისში შეჩერებულ იქნა. დაიწყო ქუჩებში „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრებსა და მუშებს შორის სისხლიანი შეტაკებები. ილიკო ყველგან მხნედ და გაბედულად მხარს უმშვენებს თავის მეტროლ ამხანაგებს; ერთ-ერთი ასეთი შეტაკების დროს ერთ „მანიფესტანტს“ ილიკო ჰგლეჯს გულიდან სამფე-როვან ნიშანს და როგორც „ტრიუმფი“, მიაქვს მესამე რაიონში ვასო ურუშაძესთან, რომელიც იმ რაიონში მონინავე ხელმძღვანელ მუშად ითვლებოდა... 1905 წ. რეაქციის შემდეგ მთაწმინდაში იყო საიდუმლო სგამბა, რომელსაც ილიკო ხელმძღვანელობდა... ერთ ღამეს უბანს ალყა შემოარტყეს (სგამბას ეძებდნენ). ილიკომ ისარგებლა რა ღამის სიბნელით, ზურგზე წამოიკიდა დაშლილი მანქანის ნაწილები და მიიძალა... იმ ხანად შანგაუისტების ბრბომ ისარგებლა „მთაწმინდის ჯგუფის“ სახელით. მათ მოახერხეს რამდენიმე საზიზღარი საქმის ჩადენა. მაგრამ ილიკოს წყალობით ბევრმა ინანა დაბადების დღე. საზოგადოდ ილიკო სასტიკი წინააღმდეგი იყო შანგაუისტურ მოქმედებისა და ამხანაგებმაც მას მიანდევს ასეთი ბოროტი პირებისათვის გაეცა პასუხი და ისიც სასტიკად უმასპინძლდებოდა მათ... ილიკოს წინამძღოლობით მოხდა ტემნიკოვზე თავდასხმა, რომლსაც მოუკლეს ამხანაგი და გოროდოვოი, ილიკო იმერლიშვილმა და ფიცხალაურმა მოჰკლეს ანდარამი გრუნინი ბროსეს ქუჩაზე...“<sup>1</sup> 1926

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, ბლოგი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და დოკუმენტების დადალი“ 2015 წ. 27.12.;

წელს „რევოლუციური მათიანეს“ პირველ ნომერში დაბეჭდილ მასალას დავუმატოთ პატარა ინფორმაცია, ისევ სიმაშვილის მიერ მიკვლეული: „გიგლა ბერბიჭაშვილი და ილიკო იმერლიშვილი ერთმანეთს 1905 წლიდან იცნობდნენ. ისინი სოციალ-დემოკრატიული პარტიის იმ შეიარაღებული რაზმების წევრები იყვნენ, ვინც 1905 წლის ნოემბერში, თბილისში, ერევნის მოედანზე, სომხების და თათრების შუაში ჩადგნენ. მათ ათუციან რაზმს უშუალოდ საშა ობოლაძე ხელმძღვანელობდა. 1905 წლის ბოლოს ილიკო იმერლიშვილი სტამბის მუშების მიერ შექმნილ ტერორისტულ ორგანიზაცია ეწ. „მთაწმინდის ჯგუფში“ შევიდა, რომელსაც ასევე საშა ობოლაძე ჩაუდგა სათავეში. ამ ჯგუფის წევრი იყო დიმიტრი ჯაში“.<sup>1</sup>

აქ მცირე კომენტარს დავურთავთ ბატონი სიმაშვილის სიტყვებს: „ამ ჯგუფის წევრი იყო დიმიტრი ჯაში“, ე.ი. მისი აზრით ჯაშიც ტერორისტი ყოფილა. დიმიტრი ჯაში არ ყოფილა ამ ჯგუფის წევრი და არც ტერორისტი. იგი იცნობდა „მთაწმინდის ჯგუფის“ წევრებს და მათ ეხმარებოდა ფულადი შემოწირულობების შეგროვებაში, რომლის მიზნობრიობასაც ქვემოთ განვიხილავთ. ისეთი ისტორიული დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ჯაშის მიერ ჩატარებული ტერორისტული აქტის ფაქტს, ბატონ თენგიზს ჯერ არ წარმოუდგენია. ე. ი. კონკრეტული საქმით ჯაშის ტერორისტობა ვერ დაუმტკიცებია. სურვილი კი აქვს, ტერორისტების — ბერბიჭაშვილის, იმერლიშვილის და ობოლაძის ჯგუფს ჯაშიც მიუმატოს. იმ ფაქტს, რომ ჯაში საერთოდ არ იცნობდა ბერბიჭაშვილს, იგი არ განიხილავს.

1906 წელს ალექსანდრე ობოლაძემ, ისე როგორც ყველა თბილისელმა სოციალ-დემოკრატმა (ბოლშევიკმა), უარი განაცხადა დარიგებული იარაღის უკან, მეფის ხელისუფლებისათვის ჩაბარებაზე. უფრო მეტიც, ობოლაძე თავის თანამებრძოლებთან ერთად გამოეყო მთავარ ორგანიზაციას და ცალკე დააარსა „ტერორისტული სამხედრო ორგანიზაცია“, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა. იმერლიშვილი მის გვერდით იყო, არასდროს სცილდებოდა.

1906 წლის მაისში ობოლაძე და იმერლიშვილი ეხმარებოდნენ დიმიტრი ჯაშს ცოლის მოყვანაში. სიმაშვილის ინფორმაციით, იმ წელს იმერლიშვილი გულის არეში მძიმედ დაიჭრა. მორალური თვალსაზრისით, დიმიტრი და დარია ვალდებული იყვნენ დახმარებოდნენ იმერლიშვილის ოჯახს. ასე რომ მომხდარიყო, ამის შესახებ დარია დაწერდა 1941 წლის ჩვენებაში და არ მიუთითებდა, რომ იგი იმერლიშვილს არ იცნობდა.

მკვლევრის ცნობით, 1907 წლის თებერვალში პორუჩიკ ლოლაძის მკვლელობაში მონაწილეობისათვის ტყეში ყაჩაღად გავარდნილი იმერლიშვილი ჩამოდიოდა თბილისში, დამეს ათენებდა ნაძალადევში არსენა ხავთასის სახლში. იგი ალექსანდრე ობოლაძესთან ერთად იყო 1907 წლის თებერვლამდე — ობოლაძის ვიატიკის გუ-

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, ბლოგი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და დოკუმენტების დადადი“ 2015 წ. 27.12.;

ბერნიაში გადასახლებამდე. 1907 წლის თებერვალში კი, პორუჩიკ ლოლაძის მკვლელობის გამო, ძებნილად გამოცხადდა და საგურამოს ტერიტორიაზე მოქმედი რევოლუციონერების „წითელი რაზმის“ ხელმძღვანელი გახდა. მისი მოადგილე ვასო ფარეშიშვილი იყო.

1907 წლის 18 ივნისის შემდეგ

დიმიტრი ჯაში 1907 წლის 19 ივნისიდან 30 აგვისტომდე და ილიას მკვლელობის შემდეგ, 14 სექტემბრამდე, ილია ჭავჭავაძის საგურამოს მამულის მოურავი იყო. 1907 წლის 14 სექტემბერს დიმიტრი ჯაში ადმინისტრაციული წესით დააპატიმრეს. ილიას მკვლელობაში მისი ბრალეულობის საკმარისი სამხილები ვერ იქნა მიკვლეული და 1907 წლის 16 დეკემბერს გაათავისუფლეს. ციხიდან გამოსულს პირველი შვილი თერთმეტი თვისა ავადმყოფობით გარდაეცვალა. მისი მდგომარეობა, როგორც მორალური, ისე მატერიალური, მძიმე იყო. ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი ეჭვით უყურებდა ილიას ყოფილ მოურავს. მოურავობის შემდგომ აგრძელებს ბეჭდვას ქართულ გაზეთებში. 1908 წლის 25 სექტემბრიდან გაზეთ „სავაჭრო გზაში“ დაიწყო დიმიტრი ჯაშის წერილის - „ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი დღეები. ჩემი შთაბეჭდილებანი“ - ბეჭდვა. გამოქვეყნდა მისი ოთხი ნაწილი, მათგან უკანასკნელი იმავე წლის 12 ოქტომბრით თარიღდება. ამის შემდეგ ბეჭდვა შეწყდა. ეს წერილები გამოხატავს დიმიტრი ჯაშის დამოკიდებულებას სოციალ-დემოკრატებისა და აგრეთვე, „მოგზაურის“ პუბლიკაციების მიმართ. 1908 წლის 25 სექტემბერს დაიბეჭდა „შესავალი“, 1908 წლის 2 ოქტომბერს - „საგურამოში წასვლამდე“, 5 ოქტომბერს - „საგურამოში პირველად“, 11-12 ოქტომბერს - „ახალ ბინაზე“, რომელშიც აღმოგვცემს ილიას წერილების შინაარსს, რომელიც ილიას გაეზავნა მოსე მემარნიშვილისათვის, რომლის შინაარსიც დიმიტრიმ მეხსიერებით გადმოსცა. აქვე აღვნიშნავთ, რომ 1909 წლის 12 თებერვალს „დროებაში“ ილია წინამძღვრიშვილის მიერ დაიბეჭდა ილიას ეს წერილები, „რომელიც გასაოცრად დაემთხვა დ. ჯაშის მიერ მეხსიერებით აღდგენილ ამ წერილების ტექსტს“.<sup>1</sup> გაზეთ „სავაჭრო გზაში“ დაბეჭდილ დიმიტრი ჯაშის წერილებს თავიანთ შრომებში მიუჩინეს ადგილი მეცნიერებმა: შოთა ბადრიძემ, გურამ შარაძემ, ნოდარ გრიგალაშვილმა, შალვა მარკოზაშვილმა. ამ პუბლიკაციების გარკვეული ნაწევრები ამ წერილებშიც გადმოვეცით. მცირე ნაწევრებს ისევ მოვიტანთ. დიმიტრი ჯაში „შესავალში“ წერს: „...ისეთ დიდსა და ჯერ კიდევ ბნელით მოცულს საგანში, როგორც არის დიდებული მგოსნის ილიას საზარელი მოკვლა, ჩვენთვის არ არსებობს არც სოციალ-დემოკრატიული და არც სოცფედერალისტური, არც სოციალ-რევოლუციური და არც ანარქისტული ბანაკი — და ამ ბანაკების შესაფერად ვინრო ჩარჩოების ჩამოყალიბებული მსჯელობა. ...დიდი

<sup>1</sup> გ. შარაძე, „ილია ჭავჭავაძე“, გვ.400, ორტომეული, „ხელოვნება“;

ხანი დრო იყო, რომ საზოგადოება გასცნობოდა საბარელ მკვლევლობას სისწორ-სინამდვილით, მიუდგომლად აღწერას, მაგრამ ჯერჯერობით ამისი მსგავსი რამ ჩვენ არ გვინახავს. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ დაინერა... მაგრამ ყოველგან და ყოველთვის ...პირველობა დათმობილი ჰქონდა მხოლოდ პარტიულ სიმძულვარეს... და ყველა ეს ხდებოდა ნეგარსხენებული მეგონის გაციებულ ცხედრის გარშემო. ზოგმა ილიას სახელით საკუთარი თავის ამბლებსა და ერთიორად დაფასებასაც კი მიჰყო ხელი ისე, რომ წარბიც არ შეუხრია. ...ჩვენ კარგად გვახსოვს, როგორ სარკასტულად დასცინოდა და მიწასთან ასწორებდა, სხვათა შორის, ილია ჭავჭავაძეს იროდიონ ევლოშვილი! ...შარშან 1907 წელს ...გამოვიდა გაზეთი „დრო“ ...სწორედ ამ გაზეთ „დროს“ ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა ბ-ნ ი. ევლოშვილის ფელეტონი-პამფლეტი. ავტორი თავშეუკავებლად დასცინის... და სტოლიპინ-კოკოვცევი-პობედონოსცევის (სტოლიპინ-კოკოვცევი - მეფის რუსეთის შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრები; პობედონოსცევი - წმინდა სინოდის პროკურორი, -ავტ.) თანამოძმედ და თანამოაზრედ გამოჰყავს ილია ჭავჭავაძე!.. და როდესაც ...მკვლევლობა მოხდა, მაშინ ყველაზე უფრო მგლოვიარობა და ჭირისუფლობა გამოიჩინა სწორედ იმ იროდიონ ევლოშვილმა, რომელმაც მგოსანი სიცოცხლეში ათასჯერ ცილისწამებისა და შეურაცხყოფის ჭვარბე გააკრა“.<sup>1</sup>

ჯამში ამ წერილით მკითხველს აცნობს, თუ როგორ იყო დაინტერესებული წერილის ნაწილებად გამოქვეყნებით და რატომ დაიბეჭდა გაზეთ „სავაჭრო გზაში“; აღწერს, ილიამ ვისი რეკომენდაციით შესთავაზა მოურავობა და როგორ მიიღო მან გადაწყვეტილება, არ მალავს იმ ემოციებს, რაც მასში აღიძრა ილიასთან მომავალი დაახლოებით, წერს საგურამოს მამულში პირველი დღეების შთაბეჭდილებებს, აქვეყნებს ილიას წერილებს, რომლებიც მიუწერია ყოფილი მოურავისათვის — მოსე მემარნიშვილისთვის. გაზეთში გამოქვეყნებულ დიმიტრის წერილებში განსაკუთრებით საზგასმულია ის, თუ როგორ შექმნა ჟურნალ „მოგზაურის“ სტატიებმა ილიას მიმართ შეუწყნარებელი მდგომარეობა. აკრიტიკებს იროდიონ ევლოშვილს, რომელმაც 1907 წელს გაზეთ „დროში“ ილიას საწინააღმდეგო კრიტიკული წერილი დაბეჭდა. გაზეთი „სავაჭრო გზა“ 1908 წლის 12 ოქტომბრის შემდეგ დიმიტრის ამ წერილების დარჩენილ ნაწილს არ ბეჭდავს. გაურკვეველია, სათქმელი ბოლომდე რატომ არ დაუბეჭდეს. 1908 წლის 2 ნოემბერს გაზეთი „სავაჭრო გზა“ აქვეყნებს დიმიტრის წერილს, თუმცა სულ სხვა თემაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ რევოლუციური პარტიების ზემოქმედებით, 1908 წლის მიწურულს, ქართულმა გაზეთმა „სავაჭრო გზამ“ შეწყვიტა ილიას მკვლევლობასთან დაკავშირებით წერილების ბეჭდვა.

<sup>1</sup> ნ. გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“, II ნაწილი, გვ.423-427. „ახალი საქართველო“ 2011 წ. თბ.;

1908 წ. 2 ნოემბრის გაზეთ „სავაჭრო გზის“ (N19) მე-3 გვერდზე არის წერილი „ერთი ჩვეულების გამო“, რომლითაც დიმიტრი ჯაში გამოეხმაურა გაზეთებში - „ხომლსა“ (N27) და „იმედში“ (N3) გამოქვეყნებულ წერილებს, რომლებიც ეხებოდა მღვდელ ანტონ კანდელაკის (სოფელ აბაშის - გამოჩინებულის, გორმაღალას, მუხაყრუის თემების ეკლესიის მღვდლის) შელახული ღირსების დაცვას.

დიმიტრი ჯაში შემდეგ შეწყვიტა წერა ან არ დაუბეჭდეს. 1909 წლის მარტიდან - 1911 წლის ივნისამდე თბილისის „ოხრანოე ოტდელენიის“ საიდუმლო თანამშრომელია. 1911 წელს ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულისათვის გაასამართლეს, თან, როგორც გამქდავნიებული აგენტი, „ოხრანკიდან“ დაითხოვეს.

1913 წლის აგვისტო-სექტემბერში, ილიასთან გატარებული ცხოვრების შესახებ ლექციებს ატარებს ქუთაისის გუბერნიის სოფლებში და ქალაქებში.

1913-1914 წლებში მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე რევიზორად. 1914 წელს ყალბი ბილეთების რეალიზაციაში მონაწილეობისთვის დაითხოვეს სამსახურიდან და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გამოძიების დამთავრებამდე, 1914 წლის დეკემბრიდან, გახდა მოსკოვის გაზეთის „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ კავკასიის კორესპონდენტი, სადაც 1915 წლის 26 თებერვლის ჩათვლით იბეჭდებოდა, ხოლო გამოძიების დასრულების შემდეგ გაასამართლეს და პატიმრობა მიუსაჯეს. 1915 წლის მარტიდან ნოემბრის ჩათვლით, დიმიტრი ჯაში ციხის პატიმარი იყო. პატიმრობიდან გათავისუფლებული, 1916 წლის 7 აპრილიდან 1916 წლის 7 სექტემბრის ჩათვლით, ისევ იბეჭდება „მოსკოვსკიე ვედომოსტში“.

ქართულ ენაზე თარგმნილ მის კორესპონდენციებს ქვემოთ, ცალკე თავში წარმოვადგენთ, ხოლო გაზეთში დაბეჭდილი წერილების ფოტოასლები წერილებს დავურთეთ.

დიმიტრი ჯაშის საგაზეთო პუბლიკაციები არასოდეს გამოირჩეოდა რევოლუციური მოწოდებებით. მოურავობის შემდეგ, 1908 წლის შემოდგომაზე გამოქვეყნებული წერილებში გამოხატულია ილია ჭავჭავაძის უდიდესი პატივისცემა და მისი მტრების კრიტიკა.

1909-1911 წლებში, „ოხრანკაში“ მუშაობის პერიოდში, 1904-1905 წლებში გამოხატული რევოლუციონერებისადმი თანადგომა შეცვალა მათ მიმართ გულგრილმა დამოკიდებულებამ, ზოგიერთების მიმართ კი - მტრობამ. ეს ფაქტებით არის დადასტურებული. 1914-1916 წლებში მოსკოვის გაზეთთან მისმა საქმიანობამ დაგვანახა, რომ იგი საერთოდ არ წერს რევოლუციაზე.

1916 წელს კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის კონტრდაზვერვის განყოფილების სამსახურშია. ამ დროს, ბატონი სიმამილის ცნობით, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან არსებული კონტრდაზვერვის განყოფილების მაშინდელი უფროსი ალექსანდრე ბასოვი მას ავალებს გერმანელთა კოლონიების მიმოხილვას.

1917 წელს თებერვლის რევოლუციის შემდეგ, მარტში, „ოხრანკის“ აგენტობაში მხილებული ჯაში დააპატიმრეს. მას ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობის

ადიარებაც მოსთხოვეს, მაგრამ უშედეგოდ. დიმიტრი ჯაშს არ უღიარებია ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობა. მენშევიკური მთავრობის დროს, ალბათ, როგორც თბილისში არსებულ სასურსათო პრობლემებში ჩახედული პირი და გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ ფურცლებზე ამ პრობლემებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული პუბლიკაციების ავტორი, 1918 წლიდან იგი მენშევიკური მილიციის სურსათით მომარაგების სამსახურშია. სურსათის შესაძენად კახში — საინგილოში ჩასულა. აზერბაიჯანის საზღვრის გადაკვეთისათვის დაუპატიმრებიათ და ბაქოში გაუგზავნიათ. იქ ციხის უფროსი იმ დროს ყოფილა ვინმე ჩიჩუა. დასახვრეტად განწირულს მასთვის განცხადებით მიუმართავს. ციხის უფროსი შეხვდა პატიმარს, რომელმაც უამბო, რომ ადრე ჟურნალისტი იყო და წერდა გაზეთებში, მას იცნობდა ქართველი საზოგადოება, მათ შორის, სოციალ-დემოკრატები, მათი ბოლშევიკური ფრთაც. ჩიჩუამ დაურეკა ფილიპე მახარაძეს. ფილიპე მახარაძემ და მამია ორახელაშვილმა იგი ციხიდან გაათავისუფლეს (დარიას მოგონებებით, - ავტ.), აგრეთვე, დაეხმარნენ სურსათის შეძენაში და თბილისისკენ გამოამგზავრეს. მალე საქართველო გაასაბჭოეს. დიმიტრი დაინიშნა ქალაქის მილიციის სურსათით მომარაგების სამსახურში. გასაბჭოების შემდეგ მან წელიწადი და სამი თვე იცოცხლა, 1922 წლის 4 მაისს შემთხვევითი ტყვიით მუხლში დაიჭრა, 1 ივნისს კი, 38 წლის ასაკში, გარდაიცვალა.

ახლა გადავხედოთ 1907 წლის 18 ივნისის შემდგომ იმერლიშვილის საქმიანობას. თენგიზ სიმაშვილი, მოძიებული დოკუმენტებისა და მათი ანალიზის საფუძველზე, შრომაში — „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და დოკუმენტების დადადი“ წერს: „ამრიგად, ზემომოყვანილი 1907, 1908, 1909, 1910, 1914, 1941-1942, 1957 წლებით დათარიღებული დოკუმენტები, ერთობლიობაში, ავსებენ ერთმანეთს და ჩემი აზრით, საბოლოოდ ადასტურებენ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მეოთხე მონაწილის ვინაობას. ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ვიღაც „იმერელის“ უშუალო მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია პირველად 1908 წელს გაჩნდა“<sup>1</sup>.

ბატონი სიმაშვილი მიკვლევულ დოკუმენტებზე დაყრდნობით წერს: „ ეს არის ილიკო იმერლიშვილი. იგი დუშეთის მაზრაში თავის წითელრაზმელებთან ერთად 1907 წელს აწყობს სისხლიან თავდასხმებს. მან 1907 წლის აგვისტოში მოკლა ილია ჭავჭავაძე. „თბილისის სამძებრო პოლიციის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიების საქმეში“ დევს ოპერატიული თანამშრომლის ფიცხელაურის მიერ თბილისის პოლიციის სამძებრო განყოფილების უფროს პ. ეგვუშევსკისადმი მიწერილი 1907 წლის 4 სექტემბრის წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „თავად ი. ჭავჭავაძეზე დანაშაულის ჩა-

<sup>1</sup> თ.სიმაშვილი, ბლოგი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და დოკუმენტების დადადი“ 2015 წ;

დენის შესახებ უნდა იცოდეს დუშეთის მაზრის სოფ. მცხეთის მცხოვრებმა სახელით „ილია მცხეთელი“. ეს ილიკო იმერლიშვილის ზედმეცხახელი იყო.“<sup>1</sup>

1907 წლის 31 აგვისტოს, 1 და 2 სექტემბერს წითელრაზმელებმა დუშეთის მაზრის სამ სოფელში სამი გლეხი მოკლეს ზედიზედ. რატომ? მოსახლეობა შეაშინეს, სიტყვა არ დაეძრათ, თუ რამე დაინახეს ან გაიგეს.

ილიკო იმერლიშვილი სოციალ-დემოკრატ ტერორისტებთან ერთად 1907 წლის დეკემბერში დააპატიმრეს, როცა ბეიუქ-ქისიაკში საფოსტო მატარებლის გაძარცვას ცდილობდა. ამ მატარებლით მილიონი მანეთი გადაჰქონდათ. იგი მოათავსეს მეტეხის ციხის სიკვდილმისჯილთა საკანში. 1908 წლის 11 მაისს სხვა პატიმრებთან ერთად მეტეხის ციხიდან გაიქცა.

1908 წლის 6 აგვისტოს, ფშავლიშვილთან, ბერბიჭაშვილთან და ფეიქრიშვილთან ერთად, იმერლიშვილი სოფელ ბულაჩაურში ხიმშიაშვილის სახლს ესწმის თავს. თავდასხმა ხიმშიაშვილის ვაჟმა სახლის მცველებთან ერთად მოიგერია.

თენგიზ სიმამულიმა გაგვაცნო საარქივო დოკუმენტი - დუშეთის მაზრის ბაზალეთის ნაწილის პრისტავ ოზიევის მიერ შედგენილი 1908 წლის 25-31 დეკემბრის ოქმი. ეს ოქმი ადასტურებს ილიას მკვლელობაში ილიკო იმერლიშვილის, გიგლა ბერბიჭაშვილის, ივანე ინაშვილის და პავლე ფშავლიშვილის მონაწილეობას.

დუშეთის მაზრის მემამულის, თავად ნიკოლოზ ხიმშიევის (ხიმშიაშვილი) მკვლელობის საქმის ძიების მასალებში, 1909 და 1910 წლით დათარიღებულ დოკუმენტებში წერია: „თავადი ნ. ხიმშიევი ხშირად ამბობდა, რომ მას ეშინია ის არ მოკლან ილია იმერლიშვილმა, გიგლა ბერბიჭაშვილმა და ლალო ფეიქრიშვილმა, რადგან ხიმშიევი მათ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამო სდევნიდა“. პავე საქმეში წერია: „თავდასხმა ხიმშიევის მოკვლის მიზნით ილია იმერლიშვილმა, პავლე ფშავლიშვილმა და გიგლა ბერბიჭაშვილმა განახორციელეს, რადგან ხიმშიევი მათზე პოლიციას უთითებდა, როგორც თავად ილია ჭავჭავაძის მკვლელებზე“.<sup>1</sup>

**თენგიზ სიმამული წერს:** „პავლე ფშავლიშვილთან და მის „თანამებრძოლებთან“ კავშირში დაკავებული ეჭმიტანილი ერთ-ერთი პირის დაკითხვის ოქმში, სიგყვა-სიგყვით წერია შემდეგი: „დაკითხვისას დაკავებულმა ახსნა, რომ ამა წლის მაისში (1908) ის შემთხვევით შეუერთდა ფშავლიშვილის ბანდას, რომელშიც მონაწილეობდნენ: თვით ბანდის მეთაური ფშავლიშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელები: ივანე ინაშვილი და გიგლა ღარაჩოს ძე ბერბიჭაშვილი და სოფ. მცხეთის მცხოვრები ილიკო იმერლიშვილი და მრავალი სხვა, რიცხვით 13 კაცამდე.“ ამ დოკუმენტში კონკრეტულად ამ ნიშნით — ილია ჭავჭავაძის მკვლელები პირდაპირაა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილე პირები სხვებისაგან გამოყოფილი. ამისთან, იმერლიშვილი მეცხახელად

<sup>1</sup> თ.სიმამული, ბლოგი „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და დოკუმენტების დადადი“ 2015 წ;

„იმერელი“ მოხსენიებულია ღუშეთის მაზრის მსხვილი მემამულის, თავად ნიკოლოზ (ნიკა) ხიმშიევის (ხიმშიაშვილი) მკვლელობის საქმეებში არსებულ ნ. ხიმშიევის ახლობლების მიმონერაში.<sup>1</sup>

**ისტორიული დოკუმენტებითა და ფაქტებით,** „ილიკო იმერლიშვილი ერასტი ჭორბენაძესთან ერთად გურიაში შეუერთდა წითელ რაზმს. 1909 წლის 7 ოქტომბერს ჩამოდის ღუშეთის მაზრაში და დღის სამ საათზე, სოფელ აბანოთხევში, თავის რაზმელებთან — ვასილ დათუნაიშვილთან, ლადო ფეიქრიშვილთან, გიგლა ბერბიჭაშვილთან ერთად კლავს თავად ნიკოლოზ ხიმშიევის. შემდეგ ისევ გადადის ქუთაისის გუბერნიაში და გურიის წითელ რაზმში მოქმედებს ერასტი ჭორბენაძესთან ერთად 1910 წლის 1 ივლისამდე, ჭორბენაძის მკვლელობამდე. 1910 წელს დაბრუნდა თბილისის გუბერნიაში, სურამში გაიტაცა ებრაელები და გამოსასყიდი მიიღო, მცხეთასთან მოკლა მეცვლე, რომელმაც უარი უთხრა წაყვანაზე.“<sup>2</sup> **იმერლიშვილის ცხოვრების ეტაპები იკვებება ნინა მაისურაძის (სოცდემოკტი გიორგი მაისურაძის მეუღლე) ბიოგრაფიიდან, სადაც ის წერს:**

„1910 წელს, ზამთარში, ჩვენს ბინაში იმერლიშვილის მხრიდან შეიკრიბა იატაქვეშა კრება იმერლიშვილის ბავშვის ნათლობის სახით. ამ კრებაზე იყო ამხანაგი კობა ჭულაშვილი ...ისინი იყვნენ ბინაში მთელი დღე, და გაათენეს ყველა 15 კაცმა ჩემს ბინაში შეკრების დამთავრებამდე. დილით ადრევე ისაუბრეს და დაიშალენ... საღამოთი იმერლიშვილი, ფარეშიშვილი, გელგვანიშვილი და სხვები მოვიდნენ ჩვენთან და მოგვიყვინენ, რომ მოხდა თავდასხმა ფოსტაზე (მდებარე ალექსანდრეს ბაღის წინ) და თავდასხმაში დაიხოცნენ ვარლამ გურული და ზალიკო სვიმონიშვილი, რომლებიც იყვნენ იატაქვეშა კრებაზე იმ 15 კაცს შორის ჩვენს ბინაში. ამ სროლის შემდეგ ქუჩაში გაჩნდა ახანდარმერია, შპიკები და იმერლიშვილმა დაიჟინა, რომ ჩვენ „შეგვეცვალა ბინა... გადავედით ბასეინის ქუჩაზე N151. 1912 წელს ბასეინის ქუჩაზე . ჩვენთან იყვნენ ხოლმე: ვასო ფარეშიშვილი, ილიკო იმერლიშვილი, დიაკვანი იოსებიძე, ამ უკანასკნელმა გავგვცა... 1914 წლის 13 იანვარს ალყა შემთარგყეს მთელ ნახალოვკას. ფარეშიშვილი მოკლეს.“<sup>2</sup> **ილიკო იმერლიშვილი 1914 წელს, მოულოდნელად აფეთქებულმა თავისივე ყუმბარამ შეიწირა. თავის ბიოგრაფიას ნინა მაისურაძე წერდა 1933-1935 წლებში, მანამდე, სანამ ილია ჭავჭავაძისადმი საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება შეიცვლებოდა. ეს მოგონება არ არის დაბეჭდილი რომელიმე გაზეთში ან ჟურნალში. პროფესორი სიმამიშვილი მიუთითებს, რომ ის აღმოაჩინა შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიულ არქივში. ფართო საზოგადოებისთვის მისი ბიოგრაფია**

<sup>1</sup> თ. სიმამიშვილი, ბლოგი;

<sup>2</sup> თ. სიმამიშვილი, „ილიკო იორდანეს ძე იმერლიშვილის და იოსებ ბესარიონის ძე ჯულაშვილის კავშირები ჟურნალ „ცისკრის“ 2012 წლის მე-11-12 ნომერი;

უცნობია. ნინა მაისურაძის ჩანაწერიდან შეგვიძლია გამოვყოთ კრების თავმჯდომარის - კობა ჯუღაშვილის ვინაობა. იგი იმ დროს იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რწმუნებული კავკასიაში და ამავე პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი. ორი წლის შემდეგ, 1912 წელს, ამ კრების თავმჯდომარე გაემგზავრა პეტერბურგში და იქ სამუდამოდ მიიღო ახალი სახელი - „სტალინი“. 1914 წელს, როცა იმერლიშვილი მოკვდა, სტალინი გადასახლებული იყო ტურუხანსკის მხარეში, ენისეის გუბერნიაში. 1916 წლის ბოლოს კი ქალაქ აჩინსკში, საიდანაც 1917 წლის 12 მარტს პეტროგრადში დაბრუნდა.

როგორც ჩანს, 1935 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი დაინტერესდა დუშეთის მაზრაში 1906-1909 წლებში იმერლიშვილის წინამძღოლობით ქართველი რევოლუციონერების საგმირო საქმეებით. შესაძლებელია, იმ დროს, „შინსახკომს“ დაევალა იმერლიშვილის - სტალინის თანამებრძოლის - საგმირო საქმეები ისტორიაში შეეტანა. იმერლიშვილის, როგორც რევოლუციონერ-ტერორისტის და სოციალური სამართლიანობისთვის მებრძოლის სახელი ცნობილი იყო 1920-იან წლებშიც, რასაც ადასტურებს მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკის ჩანაწერი და სანდრო შანშიაშვილის 1936 წელს დაწერილი მოგონება.

რადგან დრომ მოიტანა და ბოლშევიკებს დასჭირდათ ილიას სახელი, ხოლო უშუალოდ ილიას მკვლელობაში მონაწილე „წითელრაზმელებს“ გამოძიებისთვის დასახელებული ჰყავდათ ბერბიჭაშვილთან ერთად მიმალვაში მყოფი „იმერელი“ - იმერლიშვილი, საბჭოთა ხელისუფლებამ 1936 წელს საჭიროდ აღარ ჩათვალა 1914 წელს გარდაცვლილი იმერლიშვილის საგმირო ეპოსის შექმნა; თენგიზ სიმაშვილის აზრით, საბჭოთა სამართალდამცველები მალავდნენ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ილიკო იმერლიშვილის მონაწილეობას, რისი მიზეზიც უნდა ყოფილიყო მისი და იოსებ (კობა) ჯუღაშვილის ახლო ურთიერთობა. სიმაშვილი წერს: „1936 წლის შემდეგ, როდესაც ლავრენტი ბერიას მითითებით, პარტიული ფუნქციონერი კოტე გორდელაძე ინყებს ილიას მკვლელობის შესახებ მასალების შეგროვებას, ძველი რევოლუციონერები თავის მოგონებებში უკვე აღარ ასხენებდნენ, რომ ილიკო იმერლიშვილი საგურამოს ტერიტორიაზე მოქმედი „წითელი რაზმის“ უფროსი იყო. მაგალითად, გიორგი ტატიშვილი, 1949 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის და პროკურორის თანაშემწის სახელზე დაწერილ წერილში, ილიკო იმერლიშვილს მხოლოდ მცხეთის რაიონის ტერიტორიაზე მოქმედი „წითელი რაზმის“ უფროსად მოიხსენიებს... არადა, საინტერესოა, რომ 1934 წლამდე დაწერილ ერთ-ერთ მოგონებაში გიორგი ტატიშვილი ილიკო იმერლიშვილზე წერს: „დუშეთის მაზრის ტერიტორიაზე მოქმედი „წითელ რაზმელების“ საერთო კრებაზე დუშეთის რაიონში ავირჩიეთ საერთო ხელმძღვანელი წითელი რაზმის უფროსი ილიკო იმერლიშვილი, თანაშემწე ვასო ფარემიშვილი“.

თენგიზ სიმაშვილი განაგრძობს: „აღსანიშნავია ისიც, რომ ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში ილიკო იმერლიშვილი დასახელებულია ღუშეთის მაზრაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელად. საინტერესოა იმისი აღნიშვნაც, რომ 1933-1934 წლებში დაწერილ მოგონებებში გიორგი ცატიშვილი გიგლა ბერბიჭაშვილს აქტიურ სოციალ-დემოკრატიულ რევოლუციონერად ასახელებდა და დადებითად ახასიათებდა, ხოლო 1936 წლიდან იგი გ. ბერბიჭაშვილს მხოლოდ უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებდა. ვფიქრობ, რომ საბჭოთა პერიოდში მოხდა ილიკო იმერლიშვილის, როგორც მცხეთის და საგურამოს ცერიტორიაზე მოქმედი სოციალ-დემოკრატიული პარტიის „წითელი რაზმის“ ხელმძღვანელის, ასევე, მისი და გიგლა ბერბიჭაშვილის, პავლე თქველიშვილის, ივანე ინაშვილის ურთიერთობის შესახებ ინფორმაციების მიჩქმალვა. არადა, ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილი დოკუმენტების გარდა, არსებობს სხვა უამრავი დოკუმენტი, რომლებიც პირდაპირ ადასტურებენ ამ პირების მიერ ილია ჭავჭავაძის მუვლელობის ჩადენას“.<sup>1</sup>

ილიკო იმერლიშვილის რევოლუციურ და ტერორისტულ საქმიანობაზე მეტყველებს ყოველივე, რაც მოყვანილია და აღწერილია პროფესორ სიმაშვილის მიერ. მის მიერვე მიკვლეული მასალებით, სიმაშვილმა არათუ ვერ დაამტკიცა ჯამის დიდი რევოლუციონერობა, პირიქით, დაგვანახა, რომ 1906 წლის თებერვლის შემდეგ რევოლუციურ საქმიანობაში ჯამი იმერლიშვილს გვერდით არ ედგა.

ბატონი სიმაშვილი, ასევე, წერს: „ილიკო იმერლიშვილს და დიმიტრი ჯამს ჰქონდათ ძალიან ახლო კავშირები ცნობილ ბოლშევიკებთან ბაჭუა (სამუელ) კუპრაშვილთან, კამოსთან (გერ-პეტროსიანი), ალექსანდრე თბოლაძესთან, კოტე ცინცაძესთან და იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილთან.“<sup>2</sup>

ამ აზრს სიმაშვილი ვერ ამყარებს საარქივო დოკუმენტებით. თბოლაძესთან და იმერლიშვილთან დიმიტრის ახლობლობა არ არის იმის მტკიცებულება, რომ მას ახლო კავშირები ჰქონდა ბაჭუა კუპრაშვილთან, კამო ტერ-პეტროსიანთან, კოტე ცინცაძესთან და იოსებ ჯუღაშვილთან.

საგურამოს ტერიტორიაზე მოქმედი რევოლუციონერების 1933 წლის 7 იანვარს შედგენილ სიაში აღნიშნულია, რომ ილიკო იმერლიშვილი იყო „წითელი რაზმის“ ხელმძღვანელი. მომდევნო დოკუმენტში კი ნათქვამია, რომ საგურამოს რაიონში ილიკო იმერლიშვილი მეთაურობდა მე-3 რაზმს და მისი მოადგილე იყო ვასო ფარეშიშვილი. ნინა მანსურაძის ბიოგრაფიაზე დაყრდნობით, ბატონი სიმაშვილი ადასტურებს კობა ჯუღაშვილთან ილიკო იმერლიშვილის კავშირს. ეს დოკუმენტი

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, “ილიკო იორდანეს ძე იმერლიშვილის და იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილის კავშირები“ ჟურნალ „ცისკრის“ 2012 წლის მე-11-12 ნომერი;

<sup>2</sup> თ. სიმაშვილი, “ილიკო იორდანეს ძე იმერლიშვილის და იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილის კავშირები“ ჟურნალ „ცისკრის“ 2012 წლის მე-11-12 ნომერი;

გვიჩვენებს, რომ ილიკო იმერლიშვილი კობა ჯუღაშვილის თანამებრძოლია, აგრეთვე იმასაც, რომ კობა ჯუღაშვილს კავშირი ჰქონდა სოციალ-დემოკრატ ტერორისტებთან და „წითელრაზმელებთან“.

დიმიტრი ჯაშისა და ილიკო იმერლიშვილის ბიოგრაფიიდან ვხედავთ, რომ ჯაში იმერლიშვილთან დაახლოებული იყო 1904 წლიდან 1906 წლის მაისის ჩათვლით. 1906 წლის მაისის შემდეგ, მით უფრო - 1907 წელს, მათი ურთიერთობის შესახებ არცერთი ფაქტი არ მეტყველებს. ბატონი სიმამზილის მიერ წარმოდგენილ საარქივო დოკუმენტებში, სადაც ფიგურირებს იმერლიშვილი, დიმიტრი ჯაში ნახსენებია ორჯერ და ორივე შემთხვევა 1904-1906 წლებში მომხდარ მოვლენებს უკავშირდება.

## ე) ილიასთან მოურავად დადგომის ცნობილი მოტივაცია

მამ ასე, თენგიზ სიმამზილი წერს, რომ დიმიტრი ჯაშის ილია ჭავჭავაძესთან მოურავად მოწყობის ისტორია და ტერორისტული აქტის მომავალ სამიზნესთან ინფორმაციის შესაგროვებლად მისი შეგზავნა მეტყველებს, რომ იგი ტერორისტული აქტის ორგანიზატორის „სანდო პირი“ იყო.“ ასეთ ორგანიზატორად და შემგზავნელად, მკვლევარი ილიკო იმერლიშვილს მიიჩნევს. თუ არა ილიკო იმერლიშვილის დავალების შესრულება, სხვა არგუმენტი ჯაშის მოურავად დადგომის შესახებ მას არ მოუტანია, სხვა მოტივაციას თავიდანვე გამორიცხავს და მკითხველს ეკითხება: „რა წინასწარი განზრახვა ჰქონდა სტამბის მუშას, როცა ცდილობდა ილიასთან სამსახურში ჩადგომას, საგურამოს მამულში?“ ამ კითხვაზე თავად პასუხობს. მიაჩნია, რომ ჯაში ილია ჭავჭავაძესთან მოურავად შეგზავნა მისმა „ბავშვობის მეგობარმა“, ერთ დროს მასავით ასოთამწყობმა, შემდეგ ტერორისტმა და ლუშეთის მაზრაში მოქმედი „წითელი რაზმის“ ხელმძღვანელმა ილიკო იმერლიშვილმა. ის წერს, რომ დიმიტრი მოურავობისათვის კარგი კანდიდატურა იყო, რადგანაც იგი „ივერიის“ სტამბაში ასოთამწყობად მუშაობდა და იცნობდა ილიას დას ლიზას.

ეს საკმარისი არ იქნებოდა იმისათვის, რომ ილიკო იმერლიშვილს დიმიტრი მოურავად შეეგზავნა.

იმერლიშვილს ილიას გარემოცვაში არავინ იცნობდა. შესაბამისად, მას ანგარიშს არავინ არ გაუწევდა, თუნდაც მუქარის წერილები გაეგზავნა ილიას დისთვის - ელისაბედ საგინაშვილისთვის. მუქარის წერილები რომ კავშირში არ იყო ჯაშის სამსახურში მოწყობასთან, ეს ჩიკვაიძისა და საგინაშვილის 1907 წლის ჩვენებებშია ჩაწერილი.

მუქარის წერილების შესახებ მეფის გამომძიებლებიც შეეკითხნენ დიმიტრი ჯაშის უშუალო რეკომენდატორებს. ჩიკვაძე 1907 წლის 22 სექტემბრის ჩვენებაში ამბობს „...ვიცი, რომ საგინოვა მუქარის წერილებს ლეზულობდა, მაგრამ არაფერი მსმენია იმის თაობაზე, თითქოს მისი ჯაშისადმი დახმარების სურვილი რაიმე კავშირში იყო ამ მიღებულ წერილებთან. როდესაც თავად ი. გ. ჭავჭავაძე გაზეთ „ივერიას“ უშვებდა, ჯაში მასთან სტამბაში მუშაობდა, მაგრამ მაშინ განსვენებული მას სრულებით არ იცნობდა. მოურავად ჯაშის მონწყობისას არავითარი ლაპარაკი არ ყოფილა იმაზე, თუ ის რომელ პარტიას ეკუთვნოდა“<sup>1</sup>.

ელისაბედ საგინაშვილის დაკითხვის ოქმი, 1907 წლის 24. „...ჩემთვის არავის არასოდეს უთქვამს, ჯაშს თუ მონაცობ, მუქარის წერილებისაგან თავს დაიხსნო, იმიტომ ამის მსგავსი არავისთვის არ მითქვამს. ვიცი, რომ ჩემი ძმაც ლეზულობდა ასეთ წერილებს, მაგრამ იგი მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და მირჩევდა მეც ასე მოვექცეულიყავ. როდესაც ვეუბნებოდი ეს წერილები მანუხებს-მეთქი. რა სათუთველი ჰქონდა ჭრელაევს, როდესაც ჯაშს გაუწია რეკომენდაცია და საიდან იცნობდა მას, არ ვიცი, ამის თაობაზე ჭრელაევისათვის არაფერი მიკითხავს. რომელ პარტიას ეკუთვნოდა ჯაში, არ ვიცი. ამაზე არავისთან მქონია საუბარი...“<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, არც მუქარის წერილების მიღების შეწყვეტის მიზნით და არც პარტიული ნიშნით ილიას დას და მის მეგობარს დიმიტრისთვის რეკომენდაცია არ გაუწვიათ.

ბატონი სიმამილი, დიმიტრის ილიასთან მოურავად დადგომის საკითხის განხილვისას, წერს: „დიმიტრი ჯაში სტამბაში ასოთამწყობად მუშაობის გარდა, 1905-1907 წლებში თარგმნიდა და აქვეყნებდა ლექსებს, წერდა სტატიებს გაზეთებში, სასამართლოებში განცხადებების დანერაში მოქალაქეებს ეხმარებოდა, შესაბამისად, იღებდა ნორმალურ შემოსავალს. ამ მასალის მოყვანით მე ხაზს ვუსვამ იმ გარემოებას, რომ ილია ჭავჭავაძესთან მუშაობის დანწყობის მიზეზი, დიმიტრი ჯაშის მხრიდან, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი არ იყო. საქმე არც სპონტანურად მიღებულ გადაწყვეტილებასთან გვაქვს“<sup>3</sup>.

მცენიერის ამ მოსაზრების საპირისპიროს ამტკიცებს ელისაბედ საგინაშვილის (საგინოვას), მიხეილ ჩიკვაძისა და დარია ჯაშის 1907 წლის სექტემბრის ჩვენებები.

დარია ჯაშის 1907 წლის 19 სექტემბრის ჩვენების ოქმი: „მეორე წელია რაც გავუთხოვდი, ვიცი, რომ ჩემი ქმარი ადრე ასოთამწყობად მუშაობდა გაზეთ „ივერიაში“,

<sup>1</sup> ალ. მუშანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ 1996 წ. თბილის;

<sup>2</sup> იქვე;

<sup>3</sup> თ. სიმამილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011წ. თბილისი;

შემდეგ იგი სხვა რედაქციაში მუშაობდა და თვითონაც დაიწყო გაზეთებში წერა. ბოლო დროს მუშაობდა „გბილისკი ლისცოკის“ სტამბაში, საიდანაც ამა წლის აპრილში წავიდა... მოურავად რეკომენდაცია თავადის დამ საგინოვამ გაუწია. ის ძალიან წყალობდა ჩემ ქმარს, დიდი ხანია მას იცნობდა, ჯერ სათავადაზნაურო ბანკში უნდოდა მისი მონცობა, მაგრამ ორჯერ ეს არ გამოუვიდა, მაშინ თავადმა საგინოვას რეკომენდაციით თავისთან მოურავად აიყვანა. ივლისის დასაწყისში მეც იქ წამიყვანა...“<sup>1</sup>

**1907 წ. 22 სექტემბერი, მიხეილ ჩიკვაიძის ჩვენების ოქმიდან:** „ვცხოვრობ ილიას დის საგინოვას სახლში და ამ სახლს განვაგებ. გასული წლის შემოდგომამდე ჯაშზე არავითარი წარმოდგენა არ მქონდა. პირველად შევხვდი გასული წლის სექტემბერში, როცა იგი საგინოვასთან უკანა კარიდან მოვიდა, საგინოვას ნახვა სურდა... ვუთხარი ვერ მივიღებს-მეთქი... საგინოვამ ჯაშზე გაიკითხა მისი ვინაობა და მიღებული ცნობები მის სასარგებლოდ მეგყველებდა... ლიზამ მიიღო. ჯაშმა განუცხადა — ცოლი შერთო... და უჭირდა. იგი რამდენჯერმე იყო მოსული, მას 1-2 მანეთს აძლევდა... ჯაშმა ერთხელ თავის სოფლიდან მიღებული ხილიც მოგვიტანა... გაბატულბე სააღდგომოდ პეტერბურგში წავიდით და 12 ივნისს დავბრუნდი ილიასთან ერთად. ილიამ მთხოვა მოურავი შემირჩიო, მეც საგინოვას ვუთხარი, მან ჯაშზე მიმითითა. ილიას იგი მოეწონა. მე ვუთხარი, რომ მან არაფერი იცის მოურავობის. ილიამ მითხრა, მე შეეასწავლიო... ჯაშმა საგინოვამზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და ვიდრე მოურავად რეკომენდაციას გაუწევდა, ჩემი მეშვეობით შეეცადა იგი საქართველოს სათავადაზნაურო ბანკში მოეწყო“.<sup>2</sup>

მკითხველი ნუ იფიქრებს, რომ ჯაშში მოწყალების თხოვნით მივიდა ელისაბედ საგინოვასთან. იმდროინდელ მეფის რუსეთში, მათ შორის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, ნიჭიერი ადამიანების მიმართ სამსახურში დასადგომად ან სწავლის მიზნით რეკომენდაციის გაწევის დიდი ტრადიცია არსებობდა. საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, დახმარებისათვის თხოვნით მიმართავდნენ კერძო პირებს, სათანადო ორგანიზაციებს. დიმიტრიმ, იმ დროს მიღებული ამ ურთიერთობის გამოყენებით, რეკომენდაციისთვის თბილისის გამგეობის მდივანს - ჭრელაშვილს მიმართა, რომელმაც, თავის მხრივ, დიმიტრის ილია ჭავჭავაძის დასთან — ლიზა საგინაშვილთან რეკომენდაცია გაუწია. სწავლის მისაღებად და სამსახურში დასადგომად ასეთი ფორმით სარეკომენდაციო დახმარებებს იღებდნენ თავადებიც. ილიას მამა, გრიგოლ ჭავჭავაძე 1846 წლის 15 იანვარს თხოვნით მიმართავს საქართველო-იმერეთის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, მისცენმოწმობა, რომ საკუთარი

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“1996 წ.თბილისი;

<sup>2</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“1996 წ.თბილისი;

სახსრებით არ შეუძლია შვილების: კონსტანტინეს, ილიასა და ელისაბედის შესაფერისი აღზრდა-განათლებით უზრუნველყოფა. მეორე დღეს, 16 იანვარს, საქართველო-იმერეთის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი გრიგოლ ჭავჭავაძის სახელზე გაცემს სიღარიბის მოწმობას, რომელშიც აღნიშნულია, რომ მას საკუთარი სახსრებით არ შეუძლია მცირეწლოვან შვილს — ილიას მისცეს შესაფერისი აღზრდა.

თვით ილია 1858 წლის 15 იანვარს პეტერბურგის უნივერსიტეტში წარადგენს თელავის მაზრის მიერ გაცემულ სიღარიბის მოწმობას და შეაქვს თხოვნა სწავლის გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ. პეტერბურგის უნივერსიტეტი აკმაყოფილებს მის თხოვნას ლექციებზე დასწრების გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ („ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანე“, თბილისი, 2017 წ. გვ. 9,14).

ახლა გავცნოთ ელისაბედ საგინაშვილის დაკითხვის ოქმს, რომელიც 1907 წ. 24 სექტემბრით არის დათარიღებული.

„...მოურავი ჯამი პირველად ამა წლის გაბაფხულზე, დაახლოებით ხუთი თვის წინათ გავიცანი... პირველად ის დილით მოვიდა, ჯერ კიდევ მეძინა და არ მივიღე... შემდეგ ჯამმა წერილით მომმართა ... დახმარება მოხოვა. ...განსაკუთრებით კარგად დამიხასიათა ჯამი ჩემმა მეგობარმა ჭრელაევმა, რომელიც ქალაქის გამგეობის მდივნად მუშაობს. ამის შემდეგ ვცდილობდი ჯამის მდგომარეობის გაუმჯობესებას და შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი. გამახსენდა ისიც, რომ ამ 11 წლის წინათ ვნახე ჩემი განსვენებული ძმის სტამბაში, რომელიც ჯერ ბავშვი იყო... როდესაც ჩემი ძმა ზატეხულში თბილისში ჩამოვიდა და მოკლეული მოურავის ნაცვლად ახალს ეძებდა... ილიას მეგობარს ჩიკვაიძეს ვუთხარი, კარგი იქნება, თუ ჩემი ძმა ჯამს აიყვანს-მეთქი. ჩიკვაიძემ ჯამი ძმას აჩვენა და საკითხიც გადაწყვიტა...“<sup>1</sup>

მოყვანილი ჩვენებები მეტყველებს ორ ფაქტზე:

პირველი ის, რომ ჯამს ეკონომიურად უჭირდა. მეორე ის, რომ საგინოვა და ჩიკვაიძე თავიდანვე ცდილობდნენ, დიმიტრი ჯამი სათავადაზნაურო ბანკში მოეწყოთ.

„ჯერ სათავადაზნაურო ბანკში უნდოდა მისი მონყოლა... მაგრამ ორჯერ ეს არ გამოუვიდა“ (დარია ჯამის ჩვენებიდან), და „ვიღრე მოურავად რეკომენდაციას გაუწევედა, ჩემი მეშვეობით შეეცადა იგი საქართველოს სათავადაზნაურო ბანკში მონყოლა“ (მინელი ჩიკვაიძის ჩვენებიდან) — ამ სიტყვებისთვის მკვლევრებს სათანადო ყურადღება არასდროს მიუქცევიათ. არც სიმამშვილია გამონაკლისი. შემდეგ, როგორც ვიცით, მოურავად გაუწიეს რეკომენდაცია და, ამასთან, საქმე სწორედაც რომ სპონტანურად მიღებულ გადაწყვეტილებასთან გვაქვს: 1907 წლის 12 ივნისს თბილისში დაბრუნე-

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ 1996 წ. თბილისი;

ბული ილია 19 ივნისს საგურამოში მიდის და თან მიჰყავს მეურნეობის მართვაში გამოუცდელი მოურავი.

ცნობილი ფაქტია: 1905 წლის 23 ივნისს ილია ჭავჭავაძე საქართველოს სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარეობიდან გადადგა. ალბათ, ამ მიზეზით 1906 წლის შემოდგომა-ზამთარში ან არ ისურვა, ან ვერ შეძლო ჯამის სათავადაზნაურო ბანკში დასაქმება.

ილია ჭავჭავაძე თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საზოგადოებამ 1906 წლის 7 აპრილს აირჩია რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრად. სახელმწიფო საბჭოს პირველი სესია გაგრძელდა 1906 წლის 27 აპრილიდან 12 ივლისამდე. 1906 წლის ივლისში ილია თბილისში დაბრუნდა და 1907 წლის აპრილამდე დარჩა. გაზაფხულზე, სააღდგომოდ, ისევ პეტერბურგში გაემგზავრა, სახსაბჭოს მეორე სესიაზე, საიდანაც 1907 წლის 12 ივნისს დაბრუნდა თბილისში.

ყურადღება მივაქციოთ თარიღებს. მიხეილ ჩიკვაიძემ დიმიტრი ჯამი 1906 წლის სექტემბერში ნახა, მაგრამ არ აზუსტებს, საგინოვამ როდის მიიღო. ჩვენების ოქმის მიხედვით, საგინოვამ ჯამი გაიცნო 1907 წლის მარტში - ან საგინოვა ცდება, ან ჩიკვაიძე. საინტერესოა, როდის ცდილობდა საგინოვა, დიმიტრი ჯამი სათავადაზნაურო ბანკში მოეწყო? ჩვენებების მიხედვით, თუ ჩიკვაიძემ დიმიტრი 1906 წლის შემოდგომაზე ნახა, საგინოვამ კი ექვსი თვის მერე, ასეთი ინტერვალით განვსაზღვროთ საგინოვასთან შეხვედრა — ეს შეცდომა იქნება. თან ვიცით, რომ დიმიტრიმ სოფლიდან გამოგზავნილი ხილი მიართვა საგინოვას. ეს, ალბათ, 1906 წლის ოქტომბერში იქნებოდა. შესაბამისად, საგინოვას დიმიტრი ექვსი თვის გასვლის შემდეგ კი არა, 1906 წლის ოქტომბრამდე შეხვედრია. აქედან გამომდინარე, დიმიტრის ბანკში მოწყობას საგინოვა და ჩიკვაიძე დაახლოებით 1906 წლის შემოდგომიდან 1907 წლის აპრილამდე ცდილობდნენ. ილიაც 1906 წლის ივლისის ბოლოდან 1907 წლის აპრილამდე თბილისში იყო. საგინოვა იმ პერიოდში ვერც იფიქრებდა ჯამის მოურავობაზე, რადგან ილიას მოურავი 1907 წლის 7 ივნისამდე ცოცხალი იყო.

აღნიშნული საარქივო დოკუმენტების გარდა, ილიასთან მუშაობის დაწყების მოტივაცია ცნობილია იმ წერილებიდან, რომლებიც დიმიტრი ჯამმა 1908 წლის შემოდგომაზე დაბეჭდა გაზეთ „სავაჭრო გზაში“. ამ გაზეთში 1908 წლის 25 სექტემბრიდან გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში - „საგურამოში წასვლამდე“ - დიმიტრი ჯამი წერს:

„მარშან ზაფხულში, ივნისის პირველ რიცხვებში, როდესაც მეორე სახელმწიფო სათათბირო ახლად გარეკილი იყო და სახელმწიფო საბჭოს მოქმედებას უმაღლესი ბრძანებით, პირველ ნომბრამდე, მესამე სათათბიროს მონვევამდე, უნდა შეჩერებულიყო, ჩვეულებრივ შევიარე განსვენებული მგოსნის დასთან პაციფიკულ ქ-ნ ელისაბედ გრიგოლის ასულ საგინაშვილთან, რომელთანაც ბავშობიდანვე ნაცნობობა

მქონდა და რომლის თვალწინ თითქმის ბალღი გამოვიზარდე. შესვლისთანავე ქ-ნ ელისაბედ გრიგოლის ასულმა, ჩვეულებრივ მისალმების შემდეგ, მკითხა:

- ეპ. ეს რა ამბავი მოხდა? დეპუა, რალაც ჯანდაბა, კიდევ გაურეკიათო, ჰო? მართალია?

- მართალი გახლავთ, ოფიციალური დეპეშა-მეთქი, - ვუბასუხე, და მერე ვკითხე, ალბათ ილიაც უთუოდ ჩქარა დაბრუნდება-მეთქი.

- ილიასაგან გუშინ წინ დეპეშა მომივიდა, მაგცობინებს: შეიძლება მე და კნენა აქედან პირდაპირ საბღვარგარეთ წავიდეთ საექიმოდაო.

ამის შემდეგ არ გაუვლია სამ-ოთხ დღეს, რომ გაბეთებში წავიკითხე ახალი ამბავი: საგურამოში ავაბაკებს მოეკლათ ილიას მამულების მოურავი მოსე მეძარნი-შვილი თავის ცოლიან შიგ სასახლეში და თვითონ სასახლეც გაეძარცვათ. მაშინვე დაუყონებლივ წაველ ელისაბედ გრიგოლის ასულთან დაწვრილებით ამბების გასაგებად, მაგრამ არც მგონის დას სცოდნია იმაზე მეტი, რაც გაბეთებში ეწერა. ახლა ის გავივე მხოლოდ, რომ ქ-ნ ელისაბედს პეტერბურგში ილიასათვის დეპეშა გაეგზავნა და მკვლელობის ამბავი ეცნობებინა, და ილიასაც დეპეშითვე ეპასუხნა - მოვდივარო.

მართლაც, რამდენიმე დღის მერე პეტერბურგიდან დაბრუნდნენ ილია, კნენა და ილიას სიყრმის ამხანაგი... განსვენებული მიხეილ ფილიპეს ძე ჩიკვაიძე. ჩამოსვლის მეორე დღესვე ვინახულე ... მის. ჩიკვაიძე, რომელმაც მითხრა ქ-ნ ელისაბედთან ერთად:

- მე ილიას მოვავინჯე შენს შესახებ, ველაპარაკე მამულების მართვა-გამგეობაზე და მე და ელისაბედ გრიგორეენამ ვურჩიეთ, უთუოდ შენ წავიყვანოს მოურავად. ამაზე ილიამ ჯერ გვითხრა: კაცო და, ანარქისტი კი არ გამომიგზავნოთო, მერე სთქვა, ძალიან კარგი მოვითვითქვებო. ილია წინამძღვრიშვილს უთქვამს ილიასათვის - ჩემს დაუკითხავად მოურავად არავინ წაიყვანო, და ხვალ დილით წინამძღვაროვსაც მოელაპარაკება ამაზე.

მართალი გითხრად, იმუამად ქონებრივად ძლიერ ცუდს მდგომარეობაში ვიყავი, რადგან უსაქმოდ დავეხეცებოდი და ოჯახი კი სარჩენი მყავდა...<sup>1</sup>. ზემოთ მოყვანილიდან ჩანს: დიმიტრი ჯაში ივნისის დასაწყისში არსად მუშაობდა, შესაძლებელია ეპიზოდური საქმიანობით, გაზეთში წერილებისა და ზოგიერთებისთვის განცხადებების წერით თავს ირჩენდა, მაგრამ ეს მყარი სამუშაო ადგილი არ იყო.

კიდევ ერთხელ განვიხილოთ ჯაშის 1908 წლის ოქტომბერში გაზეთში დაბეჭდილი წერილი. ყველა რაკურსით შევხედოთ მის მოქმედებას. „მარშან ზაფხულში (მხედველობაში აქვს 1907 წლის ზაფხულის დასაწყისი, - ავტ.) ჩვეულებრივ შევიარე

<sup>1</sup> ნ.გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“ II, გ. „ახალი საქრთველო“ 2011წ. თბილისი;

...პატივცემულ ქ-ნ ელისაბედ გრიგოლის ასულ საგინაშვილთან“. ამ სიტყვებიდან გამომდინარე, დიმიტრი ჯაში ჭრელაშვილის რეკომენდაციის წყალობით თითქმის 8 თვის განმავლობაში ხშირად დადის ელისაბედის სახლში, რომელსაც უკვე არ უკვირს ჯაშის მისვლა. აქ, თენგიზ სიმაშვილის ვარაუდის გათვალისწინებით, უნდა გავერკვეთ ერთ საკითხში: იცინ თუ არა დიმიტრი ჯაშის საგინაშვილთან ხშირად სტუმრობის შესახებ ობოლაძემ და იმერლიშვილმა?

1941 წლის ჩვენებაში დარია არ აზუსტებს, როდის დადიოდნენ დიმიტრისთან ხსენებული პირები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიმიტრისთან მათი სტუმრობა, ამ ჩვენების მიხედვით, იგულისხმება მანამდე, ვიდრე ის დიმიტრის ცოლი გახდებოდა. სხვა შემთხვევაში იტყოდა - ჩვენთან დადიოდნენ სტუმრადო. დავუშვათ, რომ 1906 წლის მაისში ქორწინების შემდეგ, მათ ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ იმერლიშვილი და ობოლაძე, მაშინ მათ უნდა სცოდნოდათ ჯაშისათვის ჭრელაშვილის მიერ გაწეული რეკომენდაციის შესახებ და საგინაშვილთან მისი პირველად მისვლის შესახებაც.

ბატონი სიმაშვილი საერთოდ არ განიხილავს იმის შესაძლებლობას, რომ დიმიტრიმ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მიმართა ჭრელაშვილს.

მის ვერსიას თუ გავყვებით, საგინაშვილის და ჩიკვაიძის მონდომება — მოაწყონ დიმიტრი სათავადაზნაურო ბანკში სამუშაოდ, ობოლაძისა და იმერლიშვილის ინიციატივადაც უნდა განვიხილოთ, რათა ვიფიქროთ, რომ მათ სურდათ, ჯაშის მემკვიდრეობით ინფორმაცია ჰქონოდათ ბანკის სალაროში და საცავში ფულადი ნაშთების და მისი მოძრაობის შესახებ, რათა შესაფერის მომენტში თავდასხმა დაეგეგმათ. ობოლაძის მოგონებებიდან გამომდინარე, ეს ლოგიკურია. ობოლაძე წერს: „1906 წლის პირველ ნახევარში გეროლისტულ აქტებს პარტიის დავალებით ვასრულებდი, ხოლო მეორე ნახევარში დამოუკიდებლად“.<sup>1</sup> მართლაც, დამოუკიდებლად ხომ არ ჩაიფიქრეს 1906 წლის შემოდგომა-ზამთარში სათავადაზნაურო ბანკის ფულის ექსპროპრიაცია? შეიძლება, მაგრამ არ განუხორციელებიათ. ბატონი სიმაშვილი, „შეგზავნილის“ სავარაუდო თეორემიდან გამომდინარე, ალბათ, ამის მიზეზად იმას მიიჩნევს, რომ დიმიტრი ჯაში ბანკში სამუშაოდ არავის მიუღია.

ახლა მეორე კითხვა დავსვამთ: იქნებ, დიმიტრი ჯაშის ბანკში მუშაობის დაწყება ილიას მკვლევლობის ორგანიზების მიზნით განიხილებოდა? არა. 1905 წლის 23 ივნისს ილია ჭავჭავაძე ბანკის თავმჯდომარეობიდან გადადგა და ბანკში მხოლოდ „ბანკოვადობის“ დროს მიდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ სოცდემოკრატიების პარტიის ჟურნალი „მოგზაური“ 1905 წლის აპრილში, ილიას, როგორც მკაცრ მემამულეს, ტყუილ-მართალით ამხელდა, სოციალ-დემოკრატებს მისი მოკვლა იმ დროს დღის წესრიგში არ ჰქონიათ.

---

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი ინერნეტ ბლოგი, „ილია ჭავჭავაძის მკვლევლობა და დოკუმენტების დადადი“, 2015 წ. დეკემბერი;

1907 წლის ივნისის პირველ რიცხვებში საგინაშვილთან დიმიტრი ჯამის სტუმრობას სხვა რაკურსით შევხედოთ. დიმიტრის მისვლისას ლიზა საგინაშვილს უთქვამს: „ილიასაგან გუშინ წინ დეპეშა მომივიდა, მაგყობინებს: შეიძლება მე და კნენა აქედან პირდაპირ საზღვარგარეთ წავიდეთ საექიმოდაო.“

მამ ასე, მას მერე, რაც „ლუმა“ გარეკეს და სახელმწიფო საბჭოს მუშაობა ნოემბერამდე შეჩერდა, ვინმეს ხომ არ აინტერესებდა გაეგო ამბავი, ჩამოდიოდა თუ არა ილია თბილისში. ვთქვათ, ამის გასაგებად ილიას დასთან დიმიტრი მიაგზავნეს. იმანაც გაიგო, რომ ილია არ აპირებდა თბილისში ჩამოსვლას—საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასვლას გეგმავდა.

„ამის შემდეგ არ გაუვლია სამ-ოთხ დღეს, —საგაზეთო წერილებში წერს დიმიტრი, — რომ გაზეთებში წაუვიტოხე ახალი ამბავი: საგურამოში ავაზაკებს მოეკლათ ილიას მამულების მოურავი მოსე მემარნიშვილი თავის ცოლიან შიგ სასახლეში... ახლა ის გავიგე მხოლოდ, რომ ქ-ნ ელისაბედს პეგერბურგში ილიასათვის დეპეშა გაეგზავნა და მკვლელობის ამბავი ეცნობებინა, და ილიასაც დეპეშითვე ეპასუხნა-მოვდივარო.“

ვისაც ძალიან უნდოდა ილიას თბილისში ჩამოსვლა, იცოდნენ, რომ ამის მიზეზი სერიოზული ამბავი უნდა გამხდარიყო. იქნებ, ამიტომაც ილიას მოურავის მოკვლა სასწრაფოდ გადაწყვიტეს და განახორციელეს კიდევ? აკი ბატონი სიმამილი და ზოგიერთი სხვა მკვლევარი ძველი მოურავის მკვლელობას ილიას მკვლელობის ორგანიზების ნაწილად განიხილავენ.

გამოძიებით დადასტურებულია, რომ ამ მკვლელობას სულ სხვა მიზეზი ჰქონია. მკვლელობამდე სამი კვირით ადრე მოურავმა მოსე მემარნიშვილმა მამულების ყარაული პავლე ფშავლიშვილი უცხო, საექვო ხალხთან ურთიერთობაში ამხილა. ეს ეჭვი უფრო გაუძლიერდა, როცა ჰკითხა, თუ ვინ იყვნენ მასთან ღამე მოსულები და მას რისთვის კითხულობდნენ. თავის მართლების მიზნით, ფშავლიშვილმა ტყუილი თქვა. შემდეგ სიმართლაც დადგინდა. მოურავი მემარნიშვილის განცხადების საფუძველზე, ფშავლიშვილი ჩაფრებმა დააკავეს. პავლე დამუქრებია მოურავ მოსეს, არ შეგარჩენო. იგი დუშეთისაკენ მიმავალ გზაზე ჩაფრებს გაექცა და მუქარა აასრულა: თანამზრახველებთან ერთად თავს დაესხა ილიას მამულს, ამოხოცა მოურავის ოჯახი, მოურავთან მენახშირეების მიერ მიტანილი ფული წაიღო და კიდევ რაც შეძლო, ისიც გაიყოლა, მათ შორის ის რევოლვერი, რითაც შეიარაღებული იყო 30 აგვისტოს ილიაზე თავდასხმისას.

დუშეთის მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა 1907 წლის 8 ივნისს შედგენილ მოკვლევის ოქმში ჩაწერა ილიას მამულის დღიური მუშის, სანდრო მოძღვრიშვილის ჩვენება: „ორი კვირის წინათ პავლესთან ერთად მეძინა, შუალამისას მოვიდა ორი უცნობი კაცი და დაიძახეს „ყარაულო“. მივედი, მაგრამ დამინახეს თუ არა, უკან გაბრუნდნენ, პავლე ფშავლიშვილი გაყვა და რაღაცაზე ესაუბრა. მითხრა

სტაროსელსკის ჩათვრები იყვნენო (მეზობელი მემაჟულის, - ავტ.), მაგრამ ცყული გომოდგა, შემდეგ პავლე დააკავეს, მაგრამ გზიდან გაიქცა. ვიცი, რომ პავლე მოურავს შეეკითხა ფულის შესახებ. მათი მოსვლის მეორე დღეს 80 მანეთი მოიგანეს...“<sup>1</sup> მეფუტკრე მასლოვის და სოფიო რუხიაშვილის დაკითხვის ოქმებში, რომლებიც გამომძიებელმა დილევსკიმ გააფორმა, ასეთივე შინაარსის ჩვენებებია, იმ განსხვავებით, რომ იქ მითითებული მოძღვრიშვილის მიერ აღწერილი გარემოებები მომხდარა „სამი კვირის წინათ“.

ზემოთ წარმოდგენილიდან ჩვენთვის ამოსავალია სიტყვები: „ორი ან სამი კვირის წინათ“. ე. ი. ეს ამბავი მომხდარა არანაკლებ 10-12 დღით ადრე, ვიდრე დიმიტრი ჯამი 1907 წლის 4 ივნისს ესტუმრებოდა ლიზა საგინაშვილს. მოურავის მკვლელობა არ ყოფილა დიმიტრის მიერ ლიზა საგინაშვილისაგან მიღებული ინფორმაციით დაგეგმილი, რათა ილია ჭავჭავაძე ვინმეს ეიძულებინა, თბილისში დაბრუნებულიყო.

რუსეთის ბოლო იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ მეორე სახელმწიფო სათათბირო დათხოვნილად გამოაცხადა 1907 წლის 3 ივნისს ოფიციალური დეპეშა გაზეთებმა 4 ივნისს მიიღეს, შესაბამისად, ეს ამბავი თბილისშიც 4 ივნისს გახდა ცნობილი. დიმიტრი 4 ან 5 ივნისს მივიდა ლიზა საგინაშვილთან, მაგრამ მისვლის მიზანი ილიას მომავალი გეგმების გაგება თუ იყო, ამ ინფორმაციის საფუძველზე მოურავის მკვლელობა არ დაგეგმილა. მოურავი მოსე 8 ივნისს მოკლეს, მიზეზი მამულების ყარაულთან — პავლე ფშავლიშვილთან (აფციაური) მისი ორი კვირის წინანდელი კონფლიქტი იყო. ეს მომხდარა დაახლოებით 1907 წლის 25 მაისს. შესაბამისად, არალოგიკურია, ილიას ყოფილი მოურავის მოსე მემარნიშვილის მკვლელობა განვიხილოთ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზების შემადგენელ ნაწილად. მიუხედავად ამისა, თუ არა ეს მკვლელობა და მოურავის გარეშე დარჩენილი საგურამოს მამული, ილია არ აპირებდა იმ ზაფხულს თბილისში ჩამოსვლას. ილია პეტერბურგიდან თბილისში 1907 წ. 12 ივნისს ჩამოვიდა. სწორედ იმ დღეს დაკრძალეს მოკლული მოურავი და მისი ცოლი.

აქ მიზეზმდეგობრივი კავშირი ნამდვილად არსებობს, რაც კითხვებს აჩენს, მაგრამ მოურავის ოჯახის მკვლელობა ილიას მკვლელობის ორგანიზაციულად შემადგენელი ნაწილი რომ არ არის, ეს ზემოთ წარმოდგენილი ფაქტითაც დასტურდება. თუ ამ საკითხში რომელიმე მკვლევარს ეჭვი ეპარება და ილიას ყოფილი მოურავის მკვლელობას ილიას მკვლელობას უკავშირებს, საჭიროა ამის დამტკიცება სხვა ფაქტებით.

ულისაბედ საგინაშვილის სიტყვებია: „ჯამი განსაკუთრებით კარგად დამიხასიათა ჩემმა მეგობარმა ჭრელაევმა, რომელიც ქალაქის გამგეობის მდივნად მუშაობს“. ამ

---

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ 1996 წ. „მერანი“, თბილისი;

წინადადებით, დიმიტრის რეკომენდატორი საგინაშვილთან ყოფილა სტეფანე ჭრელაშვილი.

სტეფანე ჭრელაშვილი (ჭრელაევი) 1906 წლის სექტემბერში მუშაობდა თბილისის საქალაქო გამგეობის მდივნად. იმ დროს ის 50 წლისა იყო, დიმიტრი ჯაშუე 27 წლით უფროსი. პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტების ნასტუდენტარს, რევოლუციონერ-ხალხოსანს, ორჯერ გაციმბირებულს და 1887 წელს გადასახლებიდან თბილისში დაბრუნებულს რა საერთო უნდა ჰქონოდა „ივერიის“ ასოთამწყობთან — დიმიტრი ჯაშთან?

ცნობილია, რომ გადასახლებიდან დაბრუნებული ჭრელაშვილი პუბლიცისტობს „ივერიაში“ და „ნოვოე ობოზრენიეში“ „სანოსა“ და „ტატალას“ ფსევდონიმებით. ახალგაზრდა ასოთამწყობი ჯაში „ივერიის“ სტამბაში ჭრელაშვილის პუბლიკაციებს აწყობდა. სწორედ ამ ადამიანის რეკომენდაციით მივიდა დიმიტრი ჯაში ილიას დასთან, ლიზა საგინაშვილთან, 1906 წლის შემოდგომაზე.

სტეფანე ჭრელაშვილი შემდგომში თბილისის ფუნიკულიორის პირველი დირექტორი იყო. იგი განაგრძობდა პუბლიცისტობას ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. 1917 წლის იანვარში გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

დიმიტრი ჯაში სტეფანე ჭრელაშვილს თავისი უშუალო საქმიანობით დაუახლოვდა და სთხოვა, მისთვის რეკომენდაცია გაეწია ილიასთან, რათა ის უკეთეს სამსახურში მოწყობაში დახმარებოდა. ჭრელაშვილს, ალბათ, მოსწონდა დიმიტრი ჯაშის ნიჭი და გონიერება, საქმისადმი დამოკიდებულება, მისი დაწერილი საგაზეთო სტატიები და, რადგანაც ილიას დასთან, ლიზა საგინაშვილთან მეგობრობდა, სწორედ მას სთხოვა, დიმიტრი ჯაშს დახმარებოდა. შესაბამისად, 1906 წლის სექტემბრიდან 1907 წლის ივნისამდე ელისაბედ საგინოვა და მიხეილ ჩიკვაიძე დანამდვილებით ცდილობდნენ, დიმიტრი ჯაში სათავადაზნაურო ბანკში სამუშაოდ მოეწყოთ, ბოლოს მოურავად გაამწესეს, მაგრამ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ილიას დიმიტრი მოეწონა, არამედ იმიტომაც, რომ სხვა კანდიდატი არ გამოჩნდა. პეტერბურგიდან დაბრუნებული ილია სასწრაფოდ შეუდგა მოკლული მოურავის შემცვლელის ძებნას.

ილია წინამძღვრიშვილს უთქვამს: ჩემს დაუკითხავად მოურავად არავინ წაიყვანო.

მემამულე თავადმა ილია წინამძღვრიშვილმა 1883 წლის სექტემბერში საკუთარ მამულში გახსნა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა, რომელსაც გადასცა 55 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა და ტყე; ოცი ტონა ტევადობის ღვინის მარანი საწნახელითა და ქვევრებით; შენობა კლასებისათვის; საცხოვრებელი სახლი მასწავლებლებებისათვის; მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი. წინამძღვრიშვილი აქტიურად აღნიშნავდა ილიაობას - ყოველ წელიწადს მიჰყავდა თავის მოწაფეები საგურამოში ილიაობის ზეიმზე დასასწრებად (თავისუფალი ენციკლოპედია „ვიკიპედია“, „ილია წინამძღვრიშვილი“, - ავტ.).

ამ შესანიშნავ პიროვნებას შეეძლო, ილიასათვის მამულების მოურავად გამოცდილი თუ არა, თავისი გამოზრდილი მეურნე შეეთავაზებინა, რომელსაც საგურამოს ბუნებაც კარგად ეცოდინებოდა (წინამძღვრიანთკარის სკოლა იქვე, საგურამოსთან იყო). ეტყობა, მისი მოწაფეებიდან ვერავინ გაბედა ილიასთან მოურავობა, ძველი მოურავი რვა წელზე მეტხანს მუშაობდა საგურამოში და რა სიძნელეებს ხვდებოდა, ალბათ, ცნობილი იყო სხვებისთვის.

ადამიანის ყველა ქმედებას წინ უსწრებს მოტივაცია, ანუ ამ ქმედებისთვის წინმსწრები განწყობა.

დიმიტრი ჯაშს წერილში „საგურამოში წასვლამდე“ გადმოცემული აქვს ის მორალური განწყობა, შეიძლება ითქვას, ეიფორია, ილიასთან წინა დღით დაახლოებამ რომ მოჰგვარა. იგი სიხარულსა და ბედნიერებას განიცდიდა და ამან აიძულა, ერთ დღეში დათანხმებოდა ილიას, გაჰყოლოდა მოურავად (ილიასთან ურთიერთობით გამოწვეულ ასეთ გრძნობას აღწერს გიორგი ლასხიშვილიც - ავტ.), თან წერილის ბოლოს ეკონომიკურ მოტივაციაზე მინიშნებს: „მართალი გითხრად, იმჟამად ქონებრივად ძლიერ ცუდს მდგომარეობაში ვიყავი... ოჯახი კი სარჩენი მყავდა“.

დარია ჯაშის გამოუქვეყნებელი „მოგონებანი“, 1965 წელს მანქანაზე ნაბეჭდი 52 გვერდიდან — აქ თავმოყრილია ის ამბები, რაც დარია ჯაშს საგურამოში ცხოვრებიდან 1964 წლამდე მოგონებად შემორჩა — 20 გვერდი ნოდარ გრიგალაშვილმა შეიტანა წიგნში „თანამდევნი სული“ (წიგნი II, გვ. 227-247). მოგონების ნაწილი დაბეჭდილია ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის ყოფილი დირექტორის მოადგილის, ფილოლოგ შალვა მარკოზაშვილის წიგნში „ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი მოურავი“. მოგონებაში დარია ჯაშს წერს: „ილიამ დიმიტრის უთხრა, მე შენ წინასწარ ლუქმას არ გიბოძავ საძსახურისათვის და ჭამაგირს არ გინიშნავ, რამდენიც გინდა შენი ცოლ-შვილისათვის იმდენი აიღე და მოიხმარე ფული, პროდუქტი, საჭმელი, სასმელი, რამდენიც დაგჭირდება, თუ კარგად იმუშავე, ერთ წელიწადში ბანკიდან რეკვიზირებულ 12 ოთახიან სახლს შეგაძენინებ თბილისში და 25 დესეცინა მაშულს ან საგურამოში ან მუხრანში, რომ შენს ცხოვრებაში წელგამართული ეკონომიურად და ბედნიერად იცხოვრო“.<sup>1</sup>

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ილია თავისი მამულების მოურავს კარგ გასამრჯელოს დაუნიშნავდა. ძნელია ვამტკიცოთ, დარია ჯაშს 70-72 წლის ასაკში რამდენად სიმართლეს გადმოგვცემდა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, ილიამ თავისი მამულის დღიურ მუშას, გიგოლა მოძღვრიშვილს თუ უფემქაშა ერთი დესეცინა (ჩუქების დოკუმენტი დიმიტრი ჯაშმა დაუწერა), ანუ ერთ ჰექტარზე მეტი მიწა და 100 მანეთიც აჩუქა, რატომ არ შეიძლებოდა მამულების მოურავს დაჰპირებოდა იმას, რაც მის ოჯახს უთუოდ წაადგებოდა, თუნდაც იმის მეათედი მიანიც, რაც დარიამ გაიხსენა. ეს მოურავისთვის კარგი სტიმული უნდა ყოფილიყო. დიან, ახლად

<sup>1</sup> დ. კობლატაძე-ჯაშის, „მოგონებები“ მანქანაზე დაბეჭდილი, 1965 წ. ბათუმი;

შექმნილი ოჯახი ილიაზე იმედებს ამყარებდა. მოურავობა დიმიტრის წინასწარი განზრახვა არ ყოფილა, ის ილიას ოჯახის დახმარებას ათი თვის განმავლობაში ელოდებოდა. შეგვიძლია მხოლოდ წარმოვიდგინოთ, ამ ხნის განმავლობაში, დიმიტრის რამდენი იფიქრა და იოცნება იმ სიკეთეზე, რასაც ილიას დახმარებით კარგ სამსახურში ჩადგომა მოუტანდა. ამ იმედით, დაახლოებით ათი თვე ცხოვრობდა და ოცნებობდა, მაგრამ ილია რას შესთავაზებდა და როდის, ეს არ იცოდა. მოურავობის შეთავაზება, მიუხედავად მისი მოულოდნელობისა, მისაღები წინადადება იყო, შესაბამისად, მას უკვე ჰქონდა მოტივაცია და კარგი სტიმულიც, რის გამოც ერთ დღეში დათანხმდა შემოთავაზებულ წინადადებას, მაგრამ ეს არ იყო ერთ დღეში დაბადებული მოტივაცია.

ეს არის პასუხი კითხვაზე: „რატომ უნდა მოსვლოდა თავში ასეთ კაცს მემამულესთან მოურავად დადგომა, თუ იგი რაიმე წინასწარი განზრახვით არ ხელმძღვანელობდა“. შესაბამისად, ეს იყო მისი წინასწარი განზრახვა.

1930-იან წლებში ფუნქციონერი — გორდელაძისთვის — დიმიტრი ჯაშის მოტივაცია ძნელი გასაგები იქნებოდა. თუ საერთო რევოლუციური სენით შეპყრობილი იყო იმდროინდელი ახალგაზრდობა, ეს სენი არც დიმიტრის აუვლიდა გვერდს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას ჰქონდა გამოხატული რევოლუციური იდეები. მისთვის ბევრად მნიშვნელოვანი იყო, ილიას გვერდით სახელიც და კეთილდღეობაც ეპოვა. მოურავობაზე ნაჩქარევად თანხმობის მიცემის მიუხედავად, შეუძლებელია მანამდე, სანამ ილია მას რაიმე კონკრეტულ სამსახურს შესთავაზებდა, დიმიტრის არ ეფიქრა მისაღები სიკეთის პერსპექტივებზე. ის არ გადმოგვცემს თავის ნაწერებში მსგავსი გეგმების შესახებ, მაგრამ ილიასაგან შემოთავაზებულ წინადადებაზე თანხმობის მიცემისას, დაუჯერებელია, დიმიტრის არ ეგრძნო, რომ ილიას ხელშეწყობით მისაღები სიკეთე მალე რეალურად შეისხამდა ხორცს. ეს კი მის მონდომებაზე იქნებოდა დამოკიდებული. მონდომებული ახალგაზრდა რომ იყო, ეს ფაქტია. მისი ასეთი განწყობა ახლად შექმნილი ოჯახის პატრონისათვის ნორმალური იქნებოდა.

თენგიზ სიმაშვილი ილიას მიერ ჯაშის მოურავად აყვანის გადაწყვეტილებას რომ აფასებს, წერს, რომ „...არც სპონტანურად მიღებულ გადაწყვეტილებასთან გვაქვს საქმე“. ჩვენი აზრით კი, პასუხი მაინც მხოლოდ სპონტანურ გადაწყვეტილებაშია. ამაზე მეტყველებს საგინაშვილის, ჩიკვაიძის, დარია ჯაშის გამოძიებისათვის მიცემული ჩვენებები და დიმიტრი ჯაშის 1908 წლის ოქტომბრის ბოლოს გაზეთში გამოქვეყნებული წერილები.

სიტყვა სპონტანურის შინაარსს თუ განვიხილავთ, როგორც მოულოდნელს, სწორედ ასეა: ილიას გადაწყვეტილება იყო ყველასათვის მოულოდნელი, ნაჩქარევად მიღებული. ილიას სიტყვებია - „მამული უპატრონოდაა მიგდებული“. ახალი მოურავის აყვანის შესახებ გადაწყვეტილება სპონტანური იყო. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ილია მხოლოდ დიმიტრის რეკომენდატორების (საგინოვა, ჩიკვაიძე) ინფორმაციას

დაეყრდნო. ცნობები სხვაგან არსად გაიკითხა, გაზეთების რედაქციებშიც კი, სადაც დიმიტრი მუშაობდა.

ილიამ, ალბათ, იცოდა, რომ დიმიტრი წერდა „ივერიაში“ და შეიძლება წაიკითხა, თუ რა აზრების მატარებელი იყო მისი მომავალი მოურავი. როგორც ჩანს, წინა დამით ეს ვერ მოასწრო, თორემ არ იკითხავდა: ანარქისტი კი არ გამომიგზავნოთ?

ბატონი თენგიზი როცა წერს: „ილია ჭავჭავაძესთან მუშაობის დანყების მიზეზი დიმიტრი ჯამის მხრიდან, მაგერაალური მდგომარების გაუმჯობესების სურვილი არ იყო. საქმე არც სპონტანურად მიღებულ გადაწყვეტილებასთან გვაქვს“<sup>1</sup>, ვერ დავეთანხმებით, რადგან ზემოთ მოყვანილი ფაქტები და დოკუმენტები მეტყველებს იმაზე, რომ დიმიტრი ჯამს ილია ჭავჭავაძესთან მუშაობის დანყების მიზნად ახლად შექმნილი ოჯახის მატერიალური მდგომარების გაუმჯობესება ჰქონდა, ამასთან, ამოდრავებდა სტიმული — იმ სურვილის ასრულებაც, რაც გამოიხატებოდა ილიასთან გვერდით დგომით მისი, როგორც პუბლიცისტის ჩამოსაყალიბებლად.

რაც შეეხება ბატონი თენგიზის სიტყვას, „არასპონტანურს“ - არამოულოდნელს, არანაჩქარევს, - მას საკუთრივ ფაქტი აქარწყლებს და ამტკიცებს, რომ ილიამ ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღო.

ბატონი თენგიზი თავისი ვერსიის გასამყარებლად ხშირად იმოწმებს დარია ჯამის სიტყვებს 1941 წლის დაკითხვის ჩვენებებიდან: „...საგურამოში ყოფილი მოურავი ახალი მოკლული იყო და ილიას დის რეკომენდაციით მოეწყო დიმიტრი ილიას მოურავად. დიმიტრის ხშირად მოსდიოდა მოსანევე ბარათები დაშკოვისა- გან კრებებზე დასასწრებად, დიმიტრი სამხედრო გაზეთებში თანამშრომლობდა, აგრეთვე ლენინგრადისა და როსტოვის გაზეთებში თანამშრომლობდა. დიმიტრი საიღუმლო მომუშავე იყო პოლიციაში...სგურამოში წასვლისას ნოე რამიშვილმა დიმიტრის უთხრა, შენ თუ ჭავჭავაძესთან წასულხარ, ჩვენი ამხანაგობიდან გარიცხული იქნები... მე თქვენი პოლიტიკისთვის არ მცალია და ხვალ დილას მივდივარო. ასეც ქნა.“<sup>2</sup>

1941 წლის ჩვენებასთან შესადარებლად, გავიმეორებ ნაწყვეტს დარია ჯამის 1907 წლის 19 სექტემბერის დაკითხვის ჩვენებიდან: „...ვიცი, რომ ჩემი ქმარი, ალრე, ასოთამწყობად მუშაობდა გაზეთ „ივერიაში“. რომელიც განსვენებულ თავად ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა. შემდეგ იგი სხვა რედაქციებში მუშაობდა და თვითონაც დიწყო გაზეთებში წერა. ბოლო დროს იგი მუშაობდა „გბილისკი ლისტოკში“, საიდანაც, თუმცა ამა წლის აპრილში წავიდა, მაგრამ გაფიცვების გამო ხელფას ივლისამდე ღებულობდა. ივნისში თავად ჭავჭავაძემ თავისთან აიყვანა მოურავად. საგინოვა ძალიან წყალობდა ჩემ

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011წ. თბ.;

<sup>2</sup> ალ. მუშანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ გვ. 261, 1996 წ. „მერანი“ თბილისი;

ქმარს „დიდი ხანია მას იცნობდა, ჯერ სათავადაზნაურო ბანკში უნდოდა მისი მონყოლა, მაგრამ როცა ორჯერ ეს არ გამოუვიდა, მაშინ თავადმა საგინოვას რეკომენდაციით თავისთან მოურავად აიყვანა...“<sup>1</sup>

დარია ჯაშის 1907 წლის ჩვენება და დიმიტრის 1908 წლის საგაზეთო წერილები თანხვედრაშია, რასაც ვერ ვიტყვით დარიას 1941 წლის ჩვენების შინაარსზე. 1941 წლის ჩვენებები ზეწოლის გამო მრავალმხრივ არის გაყალბებული.

დიმიტრი 1908 წლის ოქტომბერში გაზეთ „სავაჭრო გზაში“ წერდა: „მოვისმინე მგოსნის გუბილი, მამა-შვილური საუბარი და ბოლოს ვუთხარი:-თქვენ იცით გამოუცდელი ვარ ამ ახალ საქმისთვის, ასე ხელად გადაწყვეტა არ შემიძლიან, მე ოჯახში ამხანაგიცა მყავს, იმასაც უნდა მოველაპარაკო-მეთქი.მაგრამ ილიამ გადაწყვეტი მითხრა: — არა, ახლავე უნდა გადაწყვიტოთ: ჰო, თუ არა! და ეს ისეთის გამომეცყველებით სთქვა, რომ, ვინც უნდა ყოფილიყო, ისე მოაჭადოებდა,რომ თუნდა სასიკვდილო განაჩენსაც კი დასთანხმდებოდა!“<sup>2</sup> ილიასგან დაბრუნებული დიმიტრის ლაპარაკს ნოე რამიშვილთან, დარია ჯაში „მოგონებებში“ სხვაგვარად იხსენებს, ვიდრე ეს „გაიხსენა“ 1941 წლის დაკითხვის დროს. „გადაწყვიტე ნავიდე ილიასთან მოურავად საგურამოში — უთხრა დიმიტრიმ ნოე რამიშვილს. — რაო?! საგურამოში?! ილიასთან მოურავად?! მე არ გირჩევ შეიძლება შენ ისე მოგკლან ,როგორც პირველი მოურავი და მისი ცოლი. თავი არ დაიღუპო და არ გაამწარო მშობლები— უპასუხა ნოე რამიშვილმა.“<sup>3</sup>

დიმიტრი ჯაში ნოე რამიშვილთან რაიმე პარტიული სამუშაოთი არ იყო დაკავშირებული. დარიას ჩვენება იმას გულისხმობდა, რომ დიმიტრი ჯაში „ტიფლისკი ლისტოკში“ მუშათა კავშირის რეკომენდაციით მიიღეს და გაფიცვების გამო ის ივლისამდე ხელფასს იღებდა. „გაგრიცხავ, თუ მართლა ილიას მოურავად დადექიო“ - აქ მუშათა კავშირიდან გარიცხვა იყო მხედველობაში, რის გამოც გაფიცვების მონაწილე ვერ იქნებოდა და ხელფასსაც ვერ აიღებდა. ზოგიერთი მკვლევარი ამ სიტყვებით აყალბებს ფაქტს და აცხადებს, თითქოს ნოე რამიშვილს დიმიტრი ჯაში თავისი პარტიის რიგებიდან გაურიცხავს.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჭრელაშვილის რეკომენდაციაზე დაყრდნობით, ლიზა საგინაშვილმა და მიხეილ ჩიკვაიძემ რეკომენდაცია გაუწიეს დიმიტრი ჯაშს და მხოლოდ ამის შემდეგ ილიამ შესთავაზა დიმიტრის საგურამოს მამულის მოურავობა.

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, გვ.137, 1996 წ. „მერანი“, თბილისი;

<sup>2</sup> ნ. გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“ II, გვ.430, 2010წ., თბილისი;

<sup>3</sup> დ. კობლატაძე-ჯაში „მოგონებები“ მანქანაზე დაბეჭდილი, გვ.12, 1965წ. ბათუმი;

## ვ) ცრუ ვარაუდი - შეგზავნილი მოურავი

მას მერე, რაც დიმიტრიმ მოისმინა ნოე რამიშვილის რჩევა, რომ არ დადგომოდა ილიაჭავჭავაძეს მოურავად, თითქოს, არალოგიკურია ისეთი საკითხის გარჩევა, როგორცაა: შეაგზავნა თუ არა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დიმიტრი ჯაში საგურამოს მამულების მოურავად. ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის განხილვისათვის, მაინც, არსებობს ლოგიკის მარცვალი. სულ სხვაა, ეს რეალურად მოხდა თუ არა. დარია ჯაშის 1941 წლის ჩვენებაში ვიცით, რომ არის დიმიტრის სიტყვები: „თქვენი პოლიტიკისთვის მე არ მცალია, ხვალ დილით მივდივარო“<sup>1</sup>, უთქვამს ნოე რამიშვილისთვის და წასულა კიდეც.

გამოდის, რომ ნოე რამიშვილის პოლიტიკა დიმიტრისთვის არაფერს ნიშნავდა და თავისი მომავალი ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით გადადგა ნოეს რჩევის საწინააღმდეგო ნაბიჯი.

დიმიტრი ჯაშის ამ ნაბიჯს ბატონი თენგიზი, და არა მარტო იგი, არ მიიჩნევს დიმიტრის სურვილით გადადგმულად, მიაჩნია, რომ ჯაში სოციალ-დემოკრატებმა შეაგზავნეს. რატომ უნდა ყოფილიყო მისი ეს ნაბიჯი სოციალ-დემოკრატის ნაკარნახევი? დიმიტრი პოლიტიკით დაინტერესდა?

თუ ასეა, ვინმე სერიოზულ სოციალ-დემოკრატს (ნოე რამიშვილზე უფრო?!), მასზე გავლენა უნდა მოეხდინა, მისი რეკომენდაციით პარტიის წევრი გამხდარიყო და ილიასთან მოურავად დადგომის პარტიული დავალებაც მიედო.

დარიას ჩვენებებით ვიცით, რომ დიმიტრი ჯაში ნოე რამიშვილის გარდა, სხვა სოციალ-დემოკრატებთანაც ახლობლობდა. განსაკუთრებით, ობოლაძესთან ახლობლობდა. ალექსანდრე ობოლაძეს კი სოციალ-დემოკრატებში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. ალექსანდრე ობოლაძის მოგონებებში, რომელიც ბატონმა სიმამვილმა თავისი შრომებით მკითხველსაც გააცნო, ვკითხულობთ: „1906 წელს სათავეში ჩაუდექი სამხედრო ორგანიზაციას. გადაუჭარბებლად ვიგყვი, რომ იმდენი გეროლისტული აქტი, რაც მე წილად მხვდა კავკასიაში, არავის შეუსრულებია. 1906 წლის პირველ ნახევარში ყველა გეროლისტულ აქტს ვასრულებდი პარტიის დავალებით, მეორე ნახევრიდან კი დამოუკიდებლად“. აქვე იგი ამბობს, რომ ის არ დაემორჩილა მენშევიკების მოთხოვნას განიარაღების თაობაზე: „ვინაიდან ჩვენი ფრაქცია მაშინ მენშევიკებთან ერთად მუშაობდა, მე არ დავემორჩილე განიარაღებას და ცალკე ჯგუფი შევექმენი... ჯგუფს გააჩნდა საკუთარი სტამბა და ჰყავდა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული 60 კაცი. ჩვენს ჯგუფში მუშაობდა ამხანაგი დათო ჭიბაბეროვი. თვითონ კობა-

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილიას მკვლელობა“, გვ. 261, 1996 წ. თბილისი;

სგალინი გვიჭერდა მხარს...“<sup>1</sup> ობოლადე თავის მოგონებებში არ ახსენებს დიმიტრი ჯაშს, მიუხედავად ამისა, ბატონი თენგიზი ასკვნის:

„...ჩემი აზრით, ამ ჭკუტუმი შედიოდა ილიკო იმერლიშვილიც. იგი ალექსანდრე ობოლადესთან და დიმიტრი ჯაშთან ერთად სტამბაში ასოთამწყობად მუშაობდა. ჩანს, იგი ბავშვობიდან მათი მეგობარიც იყო. ისინი ხომ არა მარტო ერთ პერიოდში მუშაობდნენ თბილისის სტამბებში, არამედ ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ და ორივე ეხმარებოდა დიმიტრი ჯაშს მისი მომავალი მეუღლის მოტაცებაში. ამრიგად, ზემოთ დასახელებული პირები ერთმანეთთან, ფაქტობრივად, დაკავშირებული არიან და მათ შორის ძირითადი მაკავშირებელი, როგორც ჩანს, იყო ალექსანდრე ობოლადე. ალექსანდრე ობოლადე ამ დროს უკვე 21-22 წლისაა, ილიკო იმერლიშვილი და დიმიტრი ჯაში კი - ძალიან ახალგაზრდები 17-20 წ.“<sup>2</sup>

შესაძლებელია, რომ ობოლადეს დიმიტრი ჯაშზე მოხდინა გავლენა და მისი რეკომენდაციით სოციალ-დემოკრატების პარტიაში მიედოთ. ობოლადეს დიმიტრი ჯაშისთვის პარტიაში შესასვლელი რეკომენდაცია 1906 წელს არ მიუცია, 1907 წლის თებერვლიდან კი იგი გადასახლებაშია ვიატკის გუბერნიაში.

ობოლადეს სოციალ-დემოკრატების (ბოლშევიკები) თბილისის კომიტეტისათვის გადასახლებიდან არ გაუგზავნია დიმიტრი ჯაშის პარტიაში მისაღები რეკომენდაცია. რომ მიეწერა, ასეთი დოკუმენტი არქივში აღმოჩნდებოდა.

თავად დიმიტრი 1917 წლის 3 ივლისს დაპატიმრებული, მეტეხის ციხიდან ნოე რამიშვილს წერდა: „თითქოს ეს დეკეების (სოციალ-დემოკრატების-ავტ.) პარტიამ გამგზავნა მოურავად. მკვლელობის ორგანიზების მიზნით“.<sup>3</sup> შეიძლება ეს სინამდვილე ყოფილიყო?

ვთქვათ, შექმნილმა მდგომარეობამ (ძველი მოურავის მკვლელობა, შეიარაღებული რაზმელთა თარეში, მემამულეთა ხოცვა-აწიოკება, გლეხების დაშინება — მემამულეებს მოჯამაგირებად არ დასდგომოდნენ) — აიძულა ილია, შეხვედროდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს.

პეტერბურგში, 1906 წლის ზაფხულში, დავით სარაჯიშვილის შუამავლობითა და ორგანიზებით, იგი შეხვდა რუსეთის „დუმის“ სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან არჩეულ ქართველ დეპუტატებს. იქნებ, მდგომარეობამ ილია ისევ აიძულა შეხვედროდა სოციალ-დემოკრატებს?

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (რსდმპ) 1907 წლის 19 მაისს ლონდონში გაიყო — ბოლშევიკებად და მენშევიკებად. ეს ერთი თვით ადრე

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, „უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2012 წ. თბილისი;

<sup>2</sup> თ. სიმაშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბ.;

<sup>3</sup> შ. ბაღრიძე, „წინამურის ტრაგედიის გამოცანები“, 1991 წ. თბილისი;

მოხდა, სანამ ილია საგურამოში ახალ მოურავს — დიმიტრი ჯაშს ჩაიყვანდა. ვივარაუდოთ, სანამ სოციალ-დემოკრატების გაყრის შედეგად საჭირო ორგანიზაციული პროცესები, საქართველომდე მოვიდოდა, ილიამ, იქნებ, იფიქრა, რომ შესძლებდა სოცდემოკრატებთან კომპრომისის მიღწევას, რათა მათ გლეხების დამშინებლებზე შემოქმედება მოეხდინათ. მემამულე კი გლეხებთან გარკვეულ დათმობაზე წავიდოდა.

ფილიპე მახარაძე 1907 წელს ძირითადად თბილისში იყო. დაუშვათ, ნაცნობების მეშვეობით მან საქმე ფილიპე მახარაძესთან დაიჭირა და კომპრომისიც შედგა. ფილიპეს რეკომენდაციით, ილია დიმიტრი ჯაშს მოურავად მიიღებდა. საგურამოსა და მისი მეზობელი სოფლების გლეხები კი ისევ თავადი ჭაჭავაძის სამსახურში ჩაღებოდნენ. ილიაც, როგორც მემამულე, დათმობებზე წავიდოდა და მამულში მშვიდად იქნებოდა.

ამ ვერსიას რეალობის ელფერს აძლევს 1907 წელს მომხდარი ფაქტები: ილიამ მოურავად აიყვანა დიმიტრი ჯაში, რომელსაც დაევალა 1906 წლის მოუსავლიანობის გამო აუკრეფელი ღალა გლეხობისაგან არ მოეთხოვა და აკრიფა მხოლოდ 1907 წლის მოსავლიდან. კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც უკვე აღინიშნა, ილიამ მამულის დღიურ მუშას მოძღვრიშვილს თავისი მამულიდან ფეშქაშად ერთი ღესეტიც მიწა გადასცა და ფულიც აჩუქა.

ფილიპე მახარაძე თუ დიმიტრი ჯაშს ილიას მოურავად დადგომას შესთავაზებდა, იმასაც ეტყობა, რომ იგი ილიას შეხვდა და ეს ინიციატივა ილიასგან მოდიოდა და მან დიმიტრის რეკომენდაცია გაუწია. ჩვენი აზრით, იგი ამ შეთავაზებას უპირველესად განიხილავდა, როგორც საზოგადო მოღვაწესთან და მწერალთან დაახლოვების საშუალებად და, ამავე დროს, იმ სიკეთის მიღების პერსპექტივად, რაც მემამულესთან თანამშრომლობით შეიძლებოდა მიეღო.

თუ მამულს, ილიას თანხმობით, ბოლშევიკების შერჩეული და გაგზავნილი მოურავი მართავდა, მოურავმა ილიას შესახებ ისეთი რა ინფორმაცია მიაწოდა ბოლშევიკებს, რომ სასიკვდილოდ გაიმეტეს? ისეთი რა „ჩაიღინა“ ილიამ 19 ივნისიდან 30 აგვისტომდე, მით უფრო, რომ 1907 წლის ზაფხულში „ესდეკებისათვის“ აღმამფოთებელი რამ საგურამოში არ მომხდარა. ილიას საგურამოს სოფლებში ეკუთვნოდა არ ჩაუყენებია, არავისთვის უჩივლია, მისი განცხადებით არავინ დაუჭერიათ. თუ არ ჩავთვლით ორ ფაქტს, როცა ერთხელ, მასთან მისულ ვანო ინაშვილის მამას უთხრა უარი, მისი შვილის მთავრობასთან შემორიგების შუამდგომლობაზე, რადგანაც ის ადამიანის მკვლელობისთვის იძებნებოდა, მეორე, როცა ერთი საგურამოელი გლეხის ღორი, საგურამოს სასახლის ბაღში მოხვედრილი, მოსამსახურე ბიჭს თურმე მოეკლა და ეს საქციელი ილიამ მოუწონა. შესაბამისად, მოურავი თუ მთელი ზაფხულის განმავლობაში ინფორმაციას აწვდიდა ბოლშევიკებს, აგვისტოს ბოლოს განსაკუთრებულს ვერაფერს მიაწოდებდა. თუ შეთანხმდნენ, რომ ილიას წითელ-რაზმელები არაფერს დაუშავებდნენ, გამოდის, რომ „დიდ“ ბოლშევიკებს, უფრო

ადრე დაგეგმილი ჰქონდათ ილიაზე ტერაქტი. ილიას დაახლოება გამოიყენეს საქმის გასაადვილებლად? მაგრამ, სანამ შეთანხმდებოდნენ, ბოლშევიკების ნამდვილი მიზანი უნდა სცოდნოდა მოურავს და ამ საქმის მონაწილეს უნდა გამხდარიყო. რატომ დათანხმდა ამას დიმიტრი, მით უფრო, რომ იგი ბრძოლის რადიკალურ ფორმებს არ იზიარებდა, მიუხედავად ამისა, იგი მოურავი გახდა. შეაშინეს? შიშის ფაქტორი ოდნავ ქვემოთ გავარჩიოთ. აქ კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ, დიმიტრის ჯიუტი ხასიათის გათვალისწინებით, ადვილი არ იყო მისი შეშინება. თუ ბოლშევიკების განზრახვა მას წინასწარ ეცოდინებოდა, მოურავად არ დადგებოდა და განსაცდელის წინაშე არ ჩააყენებდა ახლად შექმნილ ოჯახს. იგი 1904-1906 წლებში ქართულ გაზეთებში დაბეჭდილი სტატიების ავტორი იყო. თუ გადავხედავთ ამ სტატიებს, რომლებიც ზემოთ მოვიტანეთ, დავინახავთ, რომ წერდა მასალის კარგი ცოდნით. თუ ვინმეს მიმართ წერდა კრიტიკულად, ამას აკეთებდა გამომწვევად და საკითხის განხილვისას მკითხველს თავის აზრს შელამაზების გარეშე აწვდიდა. ამასთან, 20 წლის დიმიტრი თამამად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რისი დასტურიც ვასო აბაშიძის მოღვაწეობის 25-ე წლის იუბილეს აღსანიშნავად მისთვის მიერთმულ წერილობით მილოცვაზე (ადრესზე), დიმიტრი ჯამის ხელმოწერაა. ყოველივე ეს ხდებოდა მანამ, სანამ იგი ილიას მოურავად დაუდგებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, დიმიტრის თვითგანათლება იმას მიახვედრებდა, თუ რას ნიშნავდა ილიას მკვლელობა. იგი ბოლშევიკებს ჯიბრში ჩაუდგებოდა, მათი განზრახვის შესახებ შესაძლებელია დაეწერა და რომელიმე გაზეთისათვის გაეგზავნა. მას თუ იარაღი ხელში არ ეჭირა, სამაგიეროდ, ფლობდა კალამს და მისი ნაწერი ბოლშევიკების განზრახვას ჩაღენამდე გამოააშკარავებდა. რატომ მოიქცეოდა ასე დიმიტრი? ისევ გავიმეორებთ: თუ მახარაძე მას შესთავაზებდა ილიას მოურავობას და თან ეტყობდნენ, რომ ეს ილიასთან შეთანხმებით კეთდება, იგი ამ შეთავაზებას უპირველესად განიხილავდა, როგორც საზოგადო მოღვაწესთან მის სიახლოვეს და შემდეგ — როგორც მემამულესთან თანამშრომლობას.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეგზავნილი მოურავის შესახებ ვარაუდს თუ გავყვებით, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ილიამ აშკარა მტრებს თავისი მამულის „ჭიშკარი“ თავად გაუღო, დაივიწყა ორი წლით ადრე, ჟურნალ „მოგზაურში“ მის საწინააღმდეგოდ დაბეჭდილი წერილები. ასეთ მოკლე მეხსიერებას ილიას ვერვინ აკადრებს. იმას ხომ არ ვიფიქრებთ, რომ ილიამ, როგორც მართლმადიდებელმა, სოცდემოკრატებს მის მიმართ მტრობა შეუნდო და დაეთანხმა წინადადებას, რაც სოფელში გლეხობის დასაწყენარებლად „შესთავაზეს“. ერის წინამძღოლს ვერც იმას ვაკადრებთ, რომ იგი შეაცდინეს.

ილია ჭავჭავაძეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკურ ფრთასთან შეთანხმება რომ არ ჰქონია, ამას ბევრი ფაქტი ადასტურებს, მათ შორის, მუქარის წერილები, რასაც ილია ღებულობდა, აგრეთვე, ილიას მკვლელობის შესახებ მოარული ხმები.

ილიას ბოლშევიკებთან არანაირი შეთანხმება არ დაუდვია. მაგრამ ხომ შესაძლებელია, შეთანხმების გარეშე, თავისი გეგმებიდან გამომდინარე, ბოლშევიკურმა პარტიამ უპარტიო, მაგრამ მათთან დაახლოებული დიმიტრი ჯაში ილია ჭავჭავაძესთან მოურავად შეაგზავნა. დავეთანხმეთ პროფესორ სიმაშვილის ვარაუდს და ვიფიქროთ, თითქოს პარტიამ მართლაც დაავალა დიმიტრის ახლობელს, რევოლუციონერსა და ტერორისტს — იმერლიშვილს, დაეთანხმებინა დიმიტრი ჯაში, დამდგარიყო ილია ჭავჭავაძესთან მოურავად. სწორედ ეს არის თენგიზ სიმაშვილის ვერსია.

ამას არ ადასტურებს ინფორმაცია სოფელ ბახვში სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკების მიერ ჩატარებული კრების შესახებ. კრება ნამდვილად თუ შედგა და იგი ისე ჩატარდა, როგორც ალექსანდრე გრეკოვიმა გენერალ ტოლმაჩოვს უამბო, ეს ეწინააღმდეგება სიმაშვილის ვარაუდს, რომ ჯაში ილიას მოურავად სოციალ-დემოკრატიმა იმერლიშვილმა შეაგზავნა. ალექსანდრე გრეკოვის მონაცემებით, ცნობილია, რომ 1907 წ. 28 აგვისტოს, სოფელ ბახვში, ფერშალ პროკოფი ბერეჟიანის ბინაში თავი მოიყარეს გურიის სოცდემოკრატებმა (ბოლშევიკებმა). კრებას გააცნეს კომიტეტის გადაწყვეტილება ილია ჭავჭავაძის მიმართ ტერორისტული აქტის განხორციელების შესახებ და იქვე დაადგინეს ამ ტერორისტული აქტის შემსრულებელთა ვინაობა. კენჭისყრით, დავალება ერგოთ ერმილე და კალენიკე დოლიძეებს და ბასილაიშვილს. თუ ჯაში შეგზავნილი მოურავი იყო, მერჩეული ტერორისტებისათვის უნდა ეთქვათ, რომ საგურამოში ჩასვლისთანავე კავშირი დაემყარებინათ შეგზავნილ მოურავთან — დიმიტრი ჯაშთან. გრეკოვის მიერ მოურავი ჯაში ნახსენები არ არის. რატომ გამორჩა გრეკოვს ასეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომ ილია ჭავჭავაძესთან მთელი ზაფხული შეგზავნილი მოურავი მუშაობდა. ბახვის კრებაზე შეუძლებელია არაფერი ეთქვათ შეგზავნილ ინფორმატორ-მოურავზე და გრეკოვს ეს არ მოესმინა, მიუხედავად იმისა, ვისი შეგზავნილი მოურავიც არ უნდა ყოფილიყო დიმიტრი ჯაში.

იმის გაფიქრებაც შეუძლებელია, რომ ილიამ მიიღო სოციალ-დემოკრატების წინადადება. თუ ილია პეტერბურგში 1906 წელს რუსეთის სათათბიროს ქართველ „ესდეკ“ დეპუტატებს შეხვდა, მხოლოდ იმიტომ, რომ დარწმუნებულიყო, საქართველოს ავტონომიის საკითხის განხილვისას სოცდემოკრატები კამათში არ მიიღებდნენ მონაწილეობას. მათთან შეხვედრის მიზეზი სამშობლოს ინტერესები იყო და არა პირადული. პირადი საკითხის გამო ილია სოციალ-დემოკრატებთან, არც მენშევიკებ-ბოლშევიკებად გაყრილებთან, შეხვედრას არ გაიფიქრებდა. ის საგაზეთო წერილები, რომელიც ილიას „ნუ თუ?“-ს დაბეჭდვის გამო ფილიპე მახარაძემ და ფილიპე გოგიჩაიშვილმა წლების შემდეგ გამოაქვეყნეს, არ ადასტურებს ფილიპე მახარაძესა და ილია ჭავჭავაძეს შორის რაიმე შეთანხმებას. და მაინც, ბოლომდე განვიხილოთ ზემოთ მოყვანილი ცრუ ვერსია. რატომ დათანხმდებოდა უპარტიო დიმიტრი ჯაში სოციალ-დემოკრატების დავალებით მოურავობას?

დომიტრი არ იყო იდეური რევოლუციონერი და იგი არავის პარტიაში არ მიუღია, არც ილიასთან მოურავად დადგომამდე და არც ილიას მკვლელობის შემდეგ. 1917 წლის ზაფხულში, ნოე რამიშვილისათვის გაგზავნილ წერილში, დომიტრიც წერდა: „ყველასათვის ცნობილია, რომ მე არასოდეს არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნოდი“.<sup>1</sup>

ჩვენი აზრით, დომიტრი ჯაში სოციალ-დემოკრატების (ბოლშევიკები) დავალებით მოურავობას არ დაეთანხმებოდა, რადგან ის არ იყო დაახლოებული სოციალ-დემოკრატების ამ ფრთის ხელმძღვანელობასთან. მაგრამ ბატონი სიმამვილის მტკიცებით, იგი მეგობრობდა ობოლაძესთან და იმერლიშვილთან, რომლებიც წითელრაზმელები- ბოლშევიკები გახდნენ. პროფესორი სიმამვილი დომიტრი ჯაშს მიიჩნევს უშუალოდ იმერლიშვილის მიერ შეგზავნილ მოურავად. უნდა დავუშვათ ისეთი მიზეზი, რის გამოც დომიტრი იმერლიშვილს მოურავობაზე დაეთანხმებოდა. ყველაზე საფუძვლიანი შეიძლება ყოფილიყო დომიტრის აქტიური თანამშრომლობა იმერლიშვილის შუამავლობით ბოლშევიკებთან ან შიში თავზეხელაღებული ილიკო იმერლიშვილის წინაშე და ამის გამო მისი მორჩილება. ისტორიული დოკუმენტები და მოგონებები, რომლებიც ადასტურებს 1906 წლის ზაფხულიდან 1907 წლის ზაფხულამდე დომიტრის აქტიურ თანამშრომლობას მუშათა კლასთან, გარდა იმისა, რომ იგი, როგორც მუშათა ამხანაგობის წევრი, „ტბილისკი ლისტოკის“ ყოფილი თანამშრომელი, გაფიცვებში მონაწილეობდა, სხვა არ გაგვაჩნია. მით უფრო არ გვაქვს დომიტრის ურთიერთობის ფაქტები ილიკო იმერლიშვილთან. და მაინც, ბატონი სიმამვილი წერს: „დომიტრი მოურავად შეაგზავნა იმერლიშვილმა, რომ საგურამოში სანდო კაცი ყოლოდა.“ როგორც ზემოთ ითქვა, სიმამვილი თავის ვერსიას ამყარებს ორი დოკუმენტით, რომელთაგან ერთი დარია ჯაშის ჩვენებაა.

მაგრამ დარიას ჩვენებაში არის სხვა საინტერესო სიტყვებიც: „მათ ფულის გაყოფაზე დავა მოუვიდათ“. ეს სიტყვები, ჩვენი აზრით, დარიას ათქმევინებს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, მაგრამ ამ ჩვენებით დარიამ თქვა ის რაც მან კარგად იცოდა, რომ დომიტრი ჯაშის დაყოლიება არც ისე ადვილი იყო. გამოდის, რომ დომიტრი ჯაში არც ობოლაძეს და არც იმერლიშვილს არ ეპუებოდა, პირიქით, ზოგჯერ მათ ედავებოდა. ეს იმის მანიშნებელია, რომ დომიტრი მათ ჭკუაზე მოსიარულე კაცი არ ყოფილა და შესაბამისად, არც ისე სანდო იმერლიშვილისათვის. შესაძლებელია, დომიტრის ობოლაძის მიმართ მეტი რიდი ჰქონდა და, აქედან გამომდინარე, მის გავლენასაც მეტად განიცდიდა, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ობოლაძე 1907 წლის თებერვლიდან 1912 წლამდე ვიატკის გუბერნიაში იყო გადასახლებული. ამის გამო, ის „რგოლი“, როგორც ბატონი თენგიზი ბრძანებს: „...ჯაშისა და იმერლიშვილის ძირითადი მკავშირეები, როგორც ჩანს, იყო ალექსანდრე ობოლაძე“, — დაკარგული

<sup>1</sup> შ. ბაღრიძე, „წინამურის ტრაგედიის გამოცანები“, 1991 წ. თბილისი;

იყო. აღნიშნულს კიდევ უფრო ამტკიცებს ბატონი სიმამვილი: „ჩემს მიერ ახლახანს მოძიებული დოკუმენტის მიხედვით, პავლე ფშავლიშვილი და ილიკო იმერლიშვილი, ჯერ კიდევ 1907 წლის თებერვალში, თბილისში პორუჩიკ ლოლაძის მკვლელობაში მონაწილეობდნენ... 1907 წელს ილიკო იმერლიშვილი, ვინაიდან პოლიციამ დაუწყო გაცხოველებული ძებნა, იძულებული გახდა გასულიყო ტყეში“.<sup>1</sup>

დარია ჯაში თავის ჩვენებაში და არც „მოგონებებში“ მათ მეგობრობას არ ახსენებს. დოკუმენტებით პოლიციის მიერ 1907 წლის თებერვლიდან ძებნილ და ტყეში გასულ იმერლიშვილს, შეგვიძლია ვთქვათ, დიმიტრისთან ურთიერთობა არც კი ჰქონია. არც იმის საფუძველი გვაქვს, რომ ჯაში და იმერლიშვილი 1906 წლის მაისის (დიმიტრის ქორწინების) შემდეგ, 1914 წლამდე, ანუ იმერლიშვილის სიკვდილამდე, — მეგობრებად ჩავთვალოთ. მათი ურთიერთობა დიმიტრის მოურავობის პერიოდში ფაქტებით არ დასტურდება.

დიმიტრის, როგორც ახლად შექმნილი ოჯახის პატრონს, სხვისგან დამოუკიდებლად რატომ არ უნდა ჰქონოდა ინტერესი, რომ კარგი სამსახური ემოვა? ცდილობდა კიდევ.

რადგან თენგიზ სიმამვილისათვის დიმიტრის ილიას მოურავად დადგომის მიზეზი მხოლოდ ერთია — ის იმერლიშვილის შეგზავნილია — აუცილებლად უნდა განვიხილოთ იმერლიშვილის, ორი მაუზერიდან კარგად მსროლელი ტერორისტის, ზეგავლენა დიმიტრი ჯაშუზე, რაც, სავარაუდოდ, გამოიხატებოდა ოჯახის ამოწვევების მუქარით გამოწვეული შიშით. ვიფიქროთ, თითქოს, შიშის გამო, იგი იმერლიშვილის დავალების შემსრულებელი გახდა.

რატომ უნდა მოეხდინა იმერლიშვილს დიმიტრი ჯაშუზე ზეწოლა? მნიშვნელოვანია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. იმერლიშვილი ზეწოლას გამოიყენებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დიმიტრის რაიმე საკითხში ვერ დაითანხმებდა. თუ არ ჩავთვლით დარიას 1941 წელს გამოძიებისათვის (სავარაუდოდ, ზეწოლით, - ავტ.) მიცემულ ჩვენებას, ფაქტებითა და დოკუმენტებით არ არის დაზუსტებული, რომ დიმიტრი ილიასთან მოურავობამდე მონაწილეობდა რომელიმე შეიარაღებულ შეტაკებაში ან ბანკის ძარცვაში, მათ შორის, იმ ბანკის, რომელიც დარიამ ახსენა.

ქართველი ბოლშევიკებისთვის დავალება — ილიას მოკვლის შესახებ — თუ ცნობილი იყო სოფელ ბახვში 1907 წლის აგვისტოს ბოლოს ჩატარებულ სოციალ-დემოკრატიების ცნობილ კრებამდე სამი-ოთხი თვით ადრე, გამოდის, რომ იმერლიშვილმა დიმიტრი ჯაშის ილიასთან მოურავად შეგზავნის თაობაზე დავალება თავისი პარტიისაგან მიიღო, იმ დროს, როცა იგი ტყეში იმალებოდა. გამოდის, მოურავი ძალდატანებით სამი თვით ადრე შეაგზავნა?

---

<sup>1</sup> თ. სიმამვილი, „უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, „მერიდიანი“ 2012 წ. თბ;

იმ დროს ილიასთან ძალდატანებით მოურავის შეგზავნის საკითხი არც დადგებოდა, რადგან 10 თვით ადრე, სანამ ილიას მოურავს — მოსეს მოკლავდნენ, ჯაში უკვე ნამყოფი იყო ილიას დასთან, ლიზა საგინაშვილთან, როგორც თბილისის გამგეობის მდივნის ჟრელაშვილის პროტექე და ამ ხნის განმავლობაში ლიზა საგინაშვილი და მიხეილ ჩიკვაიძე ცდილობდნენ, მისთვის კარგი სამსახური ეშოვათ. როცა მემარნიშვილი მოკლეს, საგინაშვილმა ძმას შესთავაზა, მოურავად დიმიტრი - აეყვანა. ილიასაც ეჩქარებოდა მამულში მოურავის დაყენება, და რადგან სხვა კანდიდატურა არ იყო, საქმეც გადაწყდა. იმაზე მსჯელობა, რომ დიმიტრი ილიას მოურავად დადგა იმერლიშვილის ძალდატანებით, უსაფუძვლოა. უფრო მეტიც, სიკვდილის შიშით დიმიტრის ილიასთან მოურავად დადგომის ვარაუდიც კი არალოგიურია შემდეგი მიზეზებით:

1. თუ მართლა შეაშინა იმერლიშვილმა დიმიტრი ჯაში, იგი სიკვდილის შიშით 70 დღე იმერლიშვილის ზეწოლას ვერ გაუძლებდა. მუდამ დაძაბულობაში მყოფი მოურავობას ვერ შესძლებდა. ამას არა მარტო მისი ცოლი, არამედ ყველა მის ირგვლივ მყოფი შეამჩნევდა, რადგან იგი მუდამ დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა როგორც ილიას, ისე მისი სტუმრების და მსახურების მხრიდან. ასეთ ყურადღებას მისი უცნობი პერსონა ილიას მამულში მოულოდნელი გამოჩენით უთუოდ იმსახურებდა;

2. მეფუტკრე მასლოვი ამას თავის ჩვენებაში აუცილებლად მიუთითებდა. მის 1907 წლის ჩვენებაში ჩაწერილია: „...მამულში ცხოვრებისას ჯაშისათვის რაიმე განსაკუთრებული არ შემიძინებია. მასთან არაფერს მოდიოდა. ერთხელ, ჯერ კიდევ თავადის სიცოცხლეში, ჯაშმა მუქარის წერილი მიიღო და ღელავდა. თავადმა დაამშვიდა, ასეთ წერილებს მეც ბევრს ვღებულობო.“<sup>1</sup> მუქარის წერილის გამო დიმიტრის მღელვარება მასლოვს არ გამოჰარვია;

3.. ასევე, არც დარიას გამოეპარებოდა ქმრის დაძაბული მდგომარეობა და მიზეზს შეეკითხებოდა. დიმიტრი დაძაბულობის მიზეზს გაუმხელდა თუ არა, ორივე შემთხვევაში, ისიც დაძაბულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რაც მათ ოჯახურ ურთიერთობაზე აისახებოდა. ილიას მამულში ეს შემჩნეველი არავის დარჩებოდა, შესაბამისად, გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებში იტყოდნენ ახალი მოურავის ოჯახური დაძაბული ცხოვრების შესახებ. მსგავსი ჩვენებები არავის მიუცია. ცნობი - ლია მხოლოდ, მუქარის წერილის მიღების შემდეგ როგორ ღელავდა დიმიტრი, რის გამოც დარიამ აიძულა ქმარი, ილიასათვის ეჩვენებინა ის წერილი. მამულის ტერი-ტორიაზე მოურავის ოჯახის დაძაბულ თანაცხოვრებას ილია ვერ შეეგუებოდა, ადკვეთდა;

4. დიმიტრი ილიას მოურავად თუ დადგა იმერლიშვილის ძალდატანებით, რატომ მისწერდა მისი ამხანაგები - პარტიული ორგანიზაციის წევრები - დიმიტრი

---

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ 1996წ. „მერანი“, თბილისი;

ჯამს მუქარის წერილს? აბსურდია იმაზე მსჯელობა, რომ მუქარის წერილი მისთვის გაეგზავნა იმ ძალას, რომელმაც ის ილიასთან შეაგზავნა;

5. მუქარის წერილები თუ იმისათვის გაიგზავნა, რომ დიმიტრის ის ილიასთვის ეჩვენებინა, რათა შეენიღბა მისი მოურავად დადგომის ნამდვილი მიზეზი, ანუ დაემტკიცებინა რომ ის შეგზავნილი პირი არ არის, ესეც აზრს მოკლებული ქცევაა, რადგან, არც ილია და არც სხვები, მას არ თვლიდნენ, რომ იგი შეგზავნილი მოურავი იყო;

6. იმერლიშვილი კარგად იცნობდა დიმიტრის, მას უნდა სცოდნოდა დიმიტრის ფიცი ხასიათი. ამის გამო, იმერლიშვილი არ იქნებოდა დარწმუნებული იმაში, რომ დიმიტრი აუღელვებლად იმოქმედებდა და დავალებას ცივი გონებით შეასრულებდა. დიმიტრის არ ჰქონდა იატაქვეშა მუშაობის გამოცდილება, შესაბამისად, ასეთ ადამიანს არ შეეძლო 70 დღე სიკვდილის შიმის ზეწოლით ეცხოვრა და რომელიმე მომენტში თავი არ გამოემქდავებინა. მისი არაადეკვატური რეაქცია უფრო მოსალოდნელი იყო, რის გამოც შეიძლებოდა მას ჩაეგდო იმერლიშვილის დავალება.

საიდან ხელავს პროფესორი სიმაშვილი დიმიტრის ილიასთან მოურავად დადგომასა და იმერლიშვილის რაზმის მიერ განხორციელებულ ილიას მკვლელობას შორის საერთო კავშირს?

მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზეზით: ისინი გარკვეულ პერიოდში ახლობლობდნენ. მათი 1905-1906 წლების ურთიერთობა არ მიაჩნია შეწყვეტილად.

ბატონი სიმაშვილი, რადგან ფიქრობს, რომ ჯამს იმერლიშვილმა აიძულა, ილიას მოურავად დადგომოდა, ის, ალბათ, იმასაც გულისხმობს, რომ ქორწინების შემდეგ, მთელი ერთი წლის განმავლობაში, დიმიტრი იმერლიშვილის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მას მერეც კი, როცა იმერლიშვილმა 1907 წლის თებერვალში მოკლა პორუჩიკი ლოლაძე და ტყეში გავარდნილი წითელრაზმელებს მეთაურობდა, გამოდის, როცა დიმიტრი ჯამს 1907 წლის მაის-ივნისში გაფიცვაში მონაწილეობდა, მაშინაც იმერლიშვილის დავალებით მოქმედებდა?

თენგიზ სიმაშვილის აზრით, თურმე დიმიტრი ჯამს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების თავი არ ჰქონია. ასეთი მიდგომა არალოგიკურია იმ ადამიანის მიმართ, რომელიც 20 წლის ასაკიდან თვითდაჯერებულად წერდა გაზეთებში, თარგმნიდა ლიტერატურულ ნაწარმოებებს, სხვებს ეხმარებოდა განცხადებებისა თუ საჩივრების შედგენაში და რჩევებს აძლევდა: სად, როდის, ვისთან მიეტანათ ეს განცხადებები; ზედმიწევნით გარკვეული იყო იმდროინდელი ბიუროკრატიული აპარატის სირთულეში და ხელისუფლების იერარქიულ წყობაში; ფართო ნაცნობობა ჰქონდა არა მარტო სოცდემოკრატებთან, არამედ სოცფედერალისტებთან და ანარქისტებთან, გაზეთების რედაქტორებთან, მწერლებთან, თბილისის საკრებულოს გამგეობის მდივანთან და მრავალ ასოთამწყობთან. გარდა ამისა, ეს ის ადამიანი იყო, რომელსაც, მისი ცოლის ჩვენებით, ჩხუბიც კი მოუვიდა იმერლიშვილთან და ობოლაძესთან, ე. ი. ზოგჯერ მათთან წინააღმდეგობაშიც შედიოდა. სწორედ ეს, ზემოთ

ჩამოთვლილი დიმიტრის აქტივობა და მისი ფიცხი ხასიათი, გვაფიქრებინებს დიმიტრიზე იმას, რასაც ვწერთ.

1907 წლის ივნისში იმერლიშვილის წინადადებას, ალბათ, დიმიტრი ჯერ კითხვებით უპასუხებდა—რატომ სჭირდებოდა ილიაზე ინფორმაციები. რა პასუხი უნდა მიეღო? 1907 წლის ივნისში იმერლიშვილი მას ვერ ეტყოდა, რომ მისი პარტია ილიას მკვლელობას გეგმავდა. იმერლიშვილმა დავალება თუ მიიღო 1907 წლის გაზაფხულზე, ხოლო ბახვის კრება, რომელიც ჩატარდა აგვისტოს ბოლო დღეებში, შემსრულებელი ტერორისტების კენჭისყრის მიზნით შედგა, ამ ფაქტის გათვალისწინებით იმერლიშვილმა თვითონ არ იცოდა როდის მიიღებდა ილიაზე თავდასხმის დავალებას. ვერც დიმიტრის ეტყოდა ტერაქტის მოწყობის დროს. მაგრამ მაინც, თუ დიმიტრი იმერლიშვილს ჯიუტად გაუმეორებდა კითხვას — რატომ სჭირდებოდა მისი ინფორმაციები, — იმერლიშვილისთვის არ იქნებოდა ადვილი ჯაშისთვის დავალების მთავარი მიზნის გამხელა. ამ დავალებას „ივერიის“ ყოფილ თანამშრომელს, ქართული გაზეთების დამწყებ პუბლიცისტს, ამასთან, ილიას დასთან დაახლოებულ პირს და რაც მთავარია, ილიას შემოქმედების დიდ პატივისცემელს — იოლად ვერ მისცემდა. ის დიმიტრის ხასიათს იცნობდა, შესაბამისად, იმაზეც უნდა ეფიქრა, დიმიტრი ილიაზე მომავალი თავდასხმის ცნობას როგორ შეხვდებოდა და აქედან გამომდინარე, როგორ მოქცეულიყო — ადამიანი, რომელსაც ის გაუმხელდა ილიას მოსალოდნელი მკვლელობის გეგმას და არ დაეთახებოდა ამ გეგმაში მონაწილეობაზე, მოეკლა თუ ცოცხალი გაეშვა.

თუ იმას გავიხსენებთ, რომ დიმიტრისათვის ამ დავალების მიცემა იმ დროს უნდა მომხდარიყო, როცა ილიას ძველი მოურავი რამდენიმე დღის მოკლული იყო და ამას დაემატებოდა ჯაშის მკვლელობაც, რომელიც მთელი 9-10 თვე დაახლოებული იყო ილიას დასთან, და რომელიც ჩიკვაიძესთან ერთად ფიქრობდნენ, ილიასათვის მოკლული მოურავის სანაცვლოდ შეეთავაზებინათ, ლიზა აუცილებლად მოუყვებოდა ილიას ამის შესახებ და ეს ნიშანი იქნებოდა — ილია სასწრაფოდ უნდა გასცლოდა საქართველოს. ხოლო თუ იმერლიშვილი დიმიტრის არ მოკლავდა, იგი არ იქნებოდა დარწმუნებული, დიმიტრი ამის შესახებ გაზეთებში დაბეჭდავდა თუ არა. გამოდის, რომ ვერც ერთ შემთხვევაში საქმე— ილიას მიმართ ტერორისტული აქტი — ვერ განხორციელდებოდა. დიმიტრისთვის იმის თქმა, რომ ილია უნდა მოეკლათ, მეტად სარისკო იქნებოდა იმერლიშვილისთვის და ზოგადად ბოლშევიკებისთვის.

იმერლიშვილისა და ჯაშის სავარაუდო თანამშრომლობის შემთხვევაშიც კი, წინასწარ ვერავინ ეტყოდა ჯაშს, რომ ეს თავდასხმა ერთი კვირის შემდეგ, ან ერთი, ორი თუ სამი თვის შემდეგ მოხდებოდა. არავის შეეძლო განესაზღვრა, რამდენი დრო გავიდოდა. ასეთი გაურკვეველობა მოურავის ოჯახში დაძაბულობის ზრდას გამოიწვევდა და ასეთი ვითარება ჩვენ გამოვრიცხეთ.

მოკლენების ასეთი შესაძლო განვითარების გამო, იმერლიშვილისათვის აზრს დაკარგავდა დიმიტრისათვის შეეთავაზებინა წინადადება — ილიას მოურავი და მისი ინფორმატორი გამხდარიყო.

ზემოთ აღნიშნულით, არალოგიკურია იმერლიშვილის დავალებით დიმიტრის მოურავად შეგზავნა, მით უფრო, რომ ზეწოლის ქვეშ მყოფი შეგზავნილი მოურავის ნორმალური ცხოვრება და საქმიანობა გამოირიცხა.

იმერლიშვილი დიმიტრისთან ურთიერთობით საქმეს არ გაირთულებდა, ან რაში სჭირდებოდა იმერლიშვილს მოურავი დიმიტრი ჯაში, როცა მას, საგურამოს ტყეში გახიზნულ წითელრაზმელთა მეთაურს, რაზმში საგურამოს შემოგარენის სოფლების მცხოვრებნი ჰყავდა, რომლებიც უკეთესად იცნობდნენ თანასოფლელ ილიას მსახურებს, ვიდრე ახალი მოურავი. იმერლიშვილი მათგან სრულ ინფორმაციას ფლობდა საგურამოში ილიასა და მათი სტუმრების წასვლა-მოსვლის შესახებ, რადგან ისინი მუდამ რაღაცის სამზადისში იყვნენ. მაგალითისათვის, წითელრაზმელები განსაკუთრებით კარგად იცნობდნენ ილიას ჰურისმცხობელს.

თენგიზ სიმაშვილი ამის შესახებ წერს: „შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიულ არქივში, ასევე, დაცულია, საგურამოს მამულში ილიას მსახურის, სოფიო უნდილაშვილის 1933 წელს დაწერილი მოგონება. იგი წერს: „სიღარიბის გამო ქმარ-შვილით ბაგონებს ვემსახურებოდი — სგაროსელსკის და ილია ჭავჭავაძეს ... რითაც შემიძლო ხელს ვუწყობდი წითელ რაზმელებს და პროპაგანდისგებს. ხშირად მოდიოდნენ. ვუნახავდი თოფსა და სხვა იარაღებს, რადგან ჩემი შვილი სანდრო მათთან იყო წითელ რაზმში — ლადო ფეიქრიშვილის, ილიკო იმერლიშვილის რაზმელებს და სხვებს.“<sup>1</sup> (სტილი დაცულია - თ.ს.)

როგორც ვხედავთ, 1933 წელს, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ილიას მკვლელობის ოხრანკისეული ვერსია, სოფიო უნდილაშვილი არ ახსენებს ჯაშს წითელ რაზმელებს შორის.

იმერლიშვილიც ფლობდა ინფორმაციებს იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ილიას გარშემო არა მარტო საგურამოში, არამედ თბილისში და პეტერბურგშიც. მას 1904 წლიდან გამოცდილ რევოლუციონერებთან ჰქონდა ურთიერთობა, ამიტომ იმერლიშვილი ასეთ დავალებას დიმიტრი ჯაშს სხვებთან შეუთანხმებლად არ ანდობდა. ვისთან უნდა შეეთანხმებინა მას მოურავად დიმიტრის შეგზავნა?

ზემოთ ხსენებული ტერორისტის გიორგი მაისურაძის მეუღლის ნინა მაისურაძის ნაწერიდან ირკვევა, რომ იგი და მისი მეუღლე საკმაოდ კარგად იცნობდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებს ტერორისტებს და ამ პარტიის ხელ-

---

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, „უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, „მერიდიანი“ 2012წ. თბ;

მძღვანელ პირებს: ვანო სტურუას, ილია იმერლიშვილს, ვასილ ფარეშიშვილს, ვალიკო გურულს, ზალიკო სვიმონიშვილს, კობა ჯუღაშვილს, გორელ ჩიტოს.

სწორედ ნინა მაისურაძის მიერ დასახელებულ პირებთან უნდა შეეთანხმებინა იმერლიშვილს ილიასთან მოურავად დიმიტრი ჯაშის შეგზავნა. ამის შესახებ ინფორმაცია პარტიულ დოკუმენტებში თუ არა, რომელიმე ძველი რევოლუციონერის 20-იან წლებში დაბეჭდილ მოგონებაში მაინც გამოჩნდებოდა, რაც არ მომხდარა. ილიას მკვლელობა სადაც არ უნდა დაგეგმილიყო, უდავოა, რომ მისი განხორციელება დუშეთის მაზრაში მოქმედ წითელრაზმელებს დაევალოთ, რომლებმაც ტერორისტული აქტი ჯაშის ინფორმაციის გარეშე განახორციელეს. მასში რაიმე ფორმით ილიას მოურავს რომ მიეღო მონაწილეობა, შემსრულებლები ამის შესახებ გამოძიებისას ან სასამართლო სხდომაზე აუცილებლად იტყოდნენ.

იმერლიშვილის რაზმმა ილიას მკვლელობის დავალება წერილობით რომ მიიღო, ვფიქრობთ, სინამდვილეა. 1925 წელს ჟურნალ „რევოლუციურ მატეანეში“ წერდნენ, რომ წითელრაზმელებმა მიიღეს კომიტეტის ყალბი ბეჭედდასმული გადაწყვეტილება, ან იქნებ ყალბი სულაც არ ყოფილა? ვისგან? განვიხილოთ ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა.

როგორც უკვე აღინიშნა, 1907 წელს, 30 აპრილიდან 19 მაისამდე, ლონდონში ჩატარდა რსდმპ მე-5 ყრილობა. ცენტრალური კომიტეტის არჩევასთან დაკავშირებით, პარტიის შიგნით უთანხმოება გაჩნდა. ამასთან, ყრილობამ ერთ-ერთ მთავარ საკითხად განიხილა საკითხი ექსპროპრიაციის აკრძალვის შესახებ, რაც ითვალისწინებდა შეიარაღებული დაჯგუფებების დაშლას. ბოლშევიკებად და მენშევიკებად დაყოფილებიდან ბოლშევიკები არ დაემორჩილნენ ყრილობის ამ გადაწყვეტილებას. საინტერესო ფაქტია: ერთ-ერთი ყველაზე განმაურებული ძარცვა, ჩადენილი ბოლშევიკების მიერ, რომელიც ლონდონში რსდმპ მე-5 ყრილობის დასრულების შემდეგ რამდენიმე კვირაში, 1907 წლის 13 ივნისს მოხდა. იგი ცნობილია როგორც „ტიფლისის ექსპროპრიაცია“. მძარცველები ბანკის დილიჟანსს თავს დაესხნენ. ოფიციალური მონაცემით, ძარცვას ემსხვერპლა ორმოცი ადამიანი, დაიჭრა — ორმოცდაათი, მძარცველებმა წაიღეს 250 ათასი რუბლი.

ბევრმა მკვლევარმა თავის შრომებში არსებული ისტორიული ვითარების ანალიზით გადმოგვეს, თუ რატომ უნდა მოეკლათ ილია სოციალ-დემოკრატებს. ვიზიარებთ მათ აზრს, ჩვენ შევეცადეთ, ერთ აზრად ჩამოგვეყალიბებინა და იგი მივაწოდეთ მკითხველს.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ექსპროპრიაციის აკრძალვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებით, სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით განხეთქილების პირობებში, იმერლიშვილის რაზმმა მიიღო დავალება, მოეკლათ ილია. ვისგან? შიდა პარტიული განხეთქილების გამო, ჟორდანია და სტალინი ერთმანეთის საწინააღმდეგო მხარეს იდგნენ. მიუხედავად ამისა, ალბათ, არა მარტო ბოლშევიკების, არამედ მენშევიკების წრეშიც აღინიშნა, რომ ილია ჭავჭავაძის ავტონომიის

იდეა, რაც გამოიხატა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს ახლად არჩეული წევრის ილია ჭავჭავაძის ინტერვიუებში, რომელიც 1906 წლის აპრილში რუსეთის ცენტრალურ გაზეთებში დაიბეჭდა და სახელმწიფო საბჭოში ილიას საქმიანობით, რაც ავტონომიის იდეის განხორციელების მიზნით მის ძალისხმევაში გამოიხატა, საშიშროება ექმნებოდა კავკასიაში სოციალ-დემოკრატების საქმიანობას. ილია ჭავჭავაძე „დაჟინებით მოითხოვდა განაპირა მხარეებისათვის ფართო თვითმმართველობას, მათი საერო პალატების მიერ ადგილობრივი კანონების გამოცემის უფლებით.“

„პეტერბურგსკი ლისტოკის“ კორესპონდენტის ინტერვიუში ილია აღნიშნავს: „მე ვარ საერთოდ კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ფართო თვითმმართველობის მომხრე, ადგილობრივი საკანონმდებლო ხელისუფლებით, მით უფრო ყველა იმ საშინელებათა შემდეგ, კვლავ რომ გრძელდება კავკასიაში...“

ერთ-ერთ მხევედრაზე ილიას უთქვამს: „სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა მასიურია, სახალხო საქმეა, დიდი დ კარგი მოვლენაც არის, მაგრამ ჩვენმა ზოგიერთმა სოციალ-დემოკრატმა მგონი ჯეროვნა ვერ გაიგეს მარქსი. მათ არა აქვთ ეროვნული პროგრამა და ამ საჭირო საქმეს გვერდს უვლიან. გაიძახიან დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ, მაგრამ ვის გაუგია რესპუბლიკა ეროვნული საკითხების მოგვარების გარეშე? რესპუბლიკა მარტო სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს როდი უნდა წყვეტდეს. რუსეთი მრავალეროვანი სახელმწიფოა და ამიტომ საჭიროა ბრძოლის პროგრამაში ეროვნული საკითხის გათვალისწინებაც, ქართველ „სოციალ-დემოკრატებს კი თავიანთ პროგრამაში სრულიად გამოურიცხავეთ და ვინც გაბედავს ამ ამოცანის შესახებ ხმის ამოღებას, მას მაშინვე ბურჟუაზიულ და ნაციონალისტურ წარმომადგენელად ნათლავენ. ასე არ იქცევიან სხვა კუთხის სოციალ-დემოკრატები. მაგალითად, ავსტრიის, უნგრეთის დ პოლონეთის სოციალ-დემოკრატები თავიანთ პროგრამაში ეროვნულ საკითხსაც ითვალისწინებენ.“<sup>1</sup>

წარმოდგენილი ისტორიული ფაქტებისა და ჩვენ მიერ სათანადო ისტორიული ლიტერატურის დამატებით გაცნობით, თავს უფლებას ვაძლევთ, ვიფიქროთ, რომ თუ საქართველო მეფის რუსეთისაგან მიიღებდა ავტონომიას, რუსეთის იმპერიის ვრცელ ტერიტორიაზე, ქართველ სოციალ-დემოკრატებს, როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრებს, — განსაკუთრებით, მის ცენტრალური კომიტეტის წევრებს, მოაკლდებოდათ ბრძოლის არეალი და მასშტაბები კავკასიაში, სადაც, რევოლუციური იდეების განხორციელებისას, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხემძღვანელები მოექცეოდნენ აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ეროვნული ავტონომიების ფარგლებში, ამით რუსეთის „ესდეკების“ პარტიის მოქმედება მკვეთრად შემცირდებოდა, ეს, იმ დროს, როცა მუშა-პროლეტარიატი

<sup>1</sup> ალ. მუმანაშვილი, „წინამურის ტრაგედია“, გვ. 13, 2000 წ. „ორიონი“, თბილისი, გვ. 13;

კავკასიაში, განსაკუთრებით აზერბაიჯანში — ნავთობის სარეზერვუარე, რაოდენობით დიდი იყო. შემცირდებოდა და საერთოდ დაიკარგებოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიების გავლენა მათზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საშიშროება ემუქრებოდა, დიდი რუსეთის მასშტაბით, ჟორდანიასა და ჯუღაშვილის კარიერას.

იმის გათვალისწინებით, რომ ლონდონის ყრილობამ რეზოლუცია მიიღო ექსპროპრიაციის აკრძალვის შესახებ, და რომ, ბოლშევიკების ზოგიერთი საბრძოლო რაზმი არ დაიშალა და პარტიის გვერდის ავლით განაგრძო ექსპროპრიაციები და ტერაქტები, შესაძლებელია, 1907 წელს ისედაც დასუსტებული სოციალ-დემოკრატიების ბოლშევიკური ფრთის უფრო მეტად დასუსტების პერსპექტივის გათვალისწინებით, ბოლშევიკების კავკასიის მხარის ხელმძღვანელებმა დაგეგმეს თავისი პარტიის გასაძლიერებლად კონკრეტული ღონისძიების გატარება. რადგანაც, დიდი რუსეთის მასშტაბით, კავკასიაში ჟორდანიას პარტიასაც საფრთხე ემუქრებოდა, შესაძლოა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) ხელმძღვანელობასთან ალიანსში, გადაწყდა კავკასიაში ეროვნული ავტონომიის მქადაგებელი ილია ჭავჭავაძის მოშორება. ვიკითხოთ, ჰქონდა თუ არა ჯუღაშვილს ალიბი, რომელიც გამორიცხავს მის თბილისში ყოფნას 1907 წლის აგვისტოს ბოლოს.

გურამ შარაძე ორტომეულში „ილია ჭავჭავაძე“ წერს: „არ იქნებოდა გასაკვირი, სგალინს რომ არაპირდაპირ რაიმე მონაწილეობა მიეღო მკვლელობაში. გასაკვირი ის იქნებოდა, რომ მასში უშუალო მონაწილეობა მიეღო. ამ კრიტიკულ მომენტში სგალინის ადგილსამყოფელის შესახებ ძალზე ცოცხალი რამ არის ცნობილი. 10 ივლისიდან 22 სექტემბრამდე მისი კალმის ნაყოფი არ გამოჩენილა. თავის ბიოგრაფიულ შენიშვნებში ის ამტკიცებს, რომ ბაქოში იყო გაჩერებული“.<sup>1</sup>

დადასტურებულია, რომ ჟორდანია იყო იმ დროს საქართველოში, მაგრამ ნოე ჟორდანიას არაპირდაპირი მონაწილეობა ილიას მკვლელობის დაგეგმვაში დასაშვებია. ფილიპე მანარაძემ საკითხი სოციალ-დემოკრატიების ორივე ბანაკში შეთანხმებულად ჩათვალა და აღბათ, ტერორისტს, სტალინის ძველ მეგობარს — იმერლიშვილს ამ ტერორისტული აქტის შესასრულებლად პარტიის კომიტეტის ბეჭედადამული გადაწყვეტილება გაუგზავნა.

ილიას მკვლელობის შემდეგ პარტიული გაზეთები ბეჭედავდნენ თავიანთ აზრებს. 1907 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში გაზეთი „ისარი“, რომელიც სოციალისტ-ფედერალისტთა ცენტრალური ორგანო იყო, წერდა: „...არ გვეკერა, რომ რომელიმე პარტიის საქმე იყოს ეს საზარელი მკვლელობა, მაგრამ ის შესაძლებელია, რომ ახლანდელმა აღვირაშვებულმა ეგრეთ წოდებულმა ცეროორისტებმა, რომელნიც

---

<sup>1</sup> გ. შარაძე, „ილია ჭავჭავაძე“ ტ. II, „ხელოვნება“, 1990 წ. თბილისი;

თავის ნებაზე და სურვილზე მოქმედებენ და რომელთა ალაგმვა პარტიებს ვერ მოუხერხებიათ, ჩაიდინეს ეს საქმე“.<sup>1</sup>

ისტორიის მკვლევრების აზრით, ილიას მკვლელობა შეიძლება მას მერე დაგეგმეს, რაც ილია რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრი გახდა და არ იზია- რებდა არც ერთი პარტიის სოციალისტური რევოლუციის ბრძოლის იდეას. შესაძლებელია, მისი მონაწილეობით ჰააგის კონფერენციას გაეგზავნა „საქართველოს პეტიცია“.<sup>2</sup> ავტონომიის საკითხის წამოწევას მოჰყვა მის მიმართ არა მარტო ხელისუფლების, არამედ სოციალისტური რევოლუციების მომხრე პარტიების მხრიდან მტრული ატმოსფეროს შექმნა.

ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, შესაძლებელია, ილიას მკვლელობა ერთი წლით ადრე დაიგეგმა. როდის შეიძლებოდა, იმერლიშვილს ამ საქმეში ჩაერთო დიმიტრი ჯაში? ჰიპოთეტურად ეს შესაძლებელია, მაგრამ ეს ჩართულობა არაფრით უკავშირდება დიმიტრის მოურავობას. ათი თვით ადრე იყო ორი მცდელობა, დიმიტრი ლიზა საგინოვას დახმარებით სათავადაზნაურო ბანკში სამუშაოდ მოეწყოთ. სათავადაზნაურო ბანკში სამუშაოდ დიმიტრი ჯაში არ მიუღიათ.

ბატონი სიმაშვილის ვარაუდი მხოლოდ არალოგიკურ ვარაუდად რჩება, რაც კიდევ ერთხელ გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ შემდეგი: მის მიერ გამოთქმული ვარაუდი სუბიექტური ხედვაა და ობიექტურ რეალობას არ ეყრდნობა. ასეთი მიდგომით საფუძველს მოკლებულია ასეთი დასკვნაც: „დიმიტრი ჯაში ილიკო იმერლიშვილის მიერ შეგზავნილი მოურავი იყო“. არქივებში ამის დამამტკიცებელი დოკუმენტების არარსებობაც, ამას მოწმობს.

## თ) რევოლუციონერებმა მოგონებებში ჯაში ვერ გაიხსენეს

ბატონმა თენგიზ სიმაშვილმა არქივში მიაკვლია ძველი რევოლუციონერების მოგონებებს, დაბეჭდილს ჟურნალ-გაზეთებში 1920-იან წლებში და 1930-იანი წლების დასაწყისში, და სხვა გამოუქვეყნებელ მოგონებებთან ერთად მკითხველს წარუდგინა დოკუმენტურ მასალად. შემოგთავაზებთ რამდენიმე მათგანს ჩვენი კომენტარებით, ამასთან, წინასწარ აღვნიშნავთ, რომ ამ დოკუმენტებში დიმიტრი ჯაში ნახსენები არ

<sup>1</sup> გაზეთი „ისარი“, 1907 წლის 3 სექტემბერი;

<sup>2</sup> დ. შველიძე, „ცნობილი ადამიანები, ვარლამ ჩერქეზიშვილი“. 24saati.ge, 2013წ;

არის და ვერც ერთი რევოლუციონერი ვერ იხსენებს დიმიტრი ჯამის რევოლუციურ საქმიანობას.

ნაწყვეტი 1905-1907 წლებში კახეთში მოღვაწე სოციალ-დემოკრატი რევოლუციონერის კოტე გურგენაშვილის მოგონებებიდან: „1905 წლის ... ოქტომბრის დამლევს ამხანაგ სგალინის დავალებით მოხდა თბილისის გუბერნიის ყველა წითელი რაზმების გაერთიანება, სადაც არჩეული იქნა შტაბი. ამ შტაბს დაერქვა ქართლ-კახეთის გაერთიანებული წითელ რაზმელთა შტაბი. ამ შტაბის უფროსად ხელმეორედ არჩეულ იქნა ამხ. ვანო ალიხანაშვილი (ვანო გურული, ხუნხუბა), შტაბში თელავის მაზრიდან შეყვანილ იყვნენ აქვსენგი სიღამონიძე და სანდრო ყავლაშვილი. გორის მაზრიდან - ვანო ქრისტესიაშვილი და გიორგი მაჩაბელი, სიღნაღის მაზრიდან - ნიკო ქადაგიშვილი, ღუშეთის მაზრიდან - ილიკო იმერლიშვილი... სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ალიხანაშვილისა (ხუნხუბასი), ვანო ქრისტესიაშვილისა და ილიკო იმერლიშვილისა ყველა მენშევიკი წითელრაზმელები იყვნენ... წითელი რაზმელების თანხლებით 12 იანვარს ამხანაგ სგალინის ხელმძღვანელობით სოფელ საგარეჯოში მოეწყო ქართლ-კახეთის წითელრაზმელთა სამხედრო შტაბის თათბირი.“<sup>1</sup>

ასოთამწყობი მუშის, ბოლშევიკ ხ. ლომთათიძის 1925 წელს „რევოლუციის მატინეში“ დაბეჭდილი სტატია: „ჩემი მოგონებანი რევოლუციურ მუშაკებზე“, საიდანაც ირკვევა, რომ იმ პერიოდში თბილისში არსებული სტამბების მუშები სოციალ-დემოკრატების დიდ გავლენას განიცდიდნენ და ხშირად იღებდნენ მონაწილობას გაფიცვებში, პოლიტიკურ დემონსტრაციებში. იგი წერს: „1905-1907 წლების რევოლუციის წინა პერიოდში ხელისუფლება პოლიტიკურ გუსალებს აგზავნიდა ზოგს შიდა რუსეთში და ზოგს კაცორლაში. სტამბის მუშები თავიანთ მოვალეობად მიიჩნევდნენ მათ გაცილებას. ... დაახლოებით 1903 თუ 1904 წელს ერთ ასეთ გაცილებაში სტამბის მხრიდან გაიგზავნენ არაქელა ოქუაშვილი, ვლასა მგელაძე, ვალერი ბილანოვი, მაისურაძე და მიუთითებს, რომ დანარჩენს ვეღარ იგონებს“.<sup>2</sup>

ვფიქრობთ, ლომთათიძე 1925 წელს იყო არაუმეტეს 50 წლისა. ამ ასაკის კაცს ისეთი ცუდი მეხსიერება არ უნდა ჰქონოდა, რომ 20 წლის წინანდელი ამბები ვერ გაეხსენებინა, როცა წერს, რომ „დანარჩენს ვეღარ იგონებს“, მხედველობაში ექნებოდა მისთვის უმნიშვნელო ამბების აღწერა. დიმიტრი ჯამი რევოლუციონერების მიმართ შესაძლებელი თანაგრძნობის გარდა, არავითარ მნიშვნელოვან როლს არ თამაშობდა რევოლუციურ საქმიანობაში და ბუნებრივია, მას არც ახსენებს.

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, „უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა „მერიდიანი“ 2012წ. თბ.;

<sup>2</sup> თ. სიმაშვილი, „უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა „მერიდიანი“ 2012წ. თბ.;

ტუსადების ერთი ასეთი გაცილებისას, პოლიციისა და კაზაკების მიერ მუშათა დეპუტაციის დარბევას და დაპატიმრებას რომ იხსენებს, ხაზგასმით წერს „მუშათა დეპუტაციას“. დიმიტრი ჯაში რომ მუშათა წარმომადგენლად — დეპუტატად არჩეული ყოფილიყო, ეს სადმე დოკუმენტურადაც დაფიქსირდებოდა ლომთათიძესაც დაამახსოვრდებოდა და მოგონებაში დაწერდა — დიმიტრი ჯაში სტამბის მუშების არჩეული დეპუტატი იყო. თუ დიმიტრი ჯაში, როგორც სტამბის მუშა, თავის მოვალეობად მიიჩნევდა გადასახლებული რევოლუციონერების გაცილებას, ეს იყო მათ მიმართ მხოლოდ თანაგრძნობის და ერთგვარი სიმპათიის გამოხატვა. დიმიტრი ჯაში დეპუტაციასთან ერთად დააპატიმრეს ექვსი კვირით, რაც 19-20 წლის ახალ-გაზრდისთვის, მით უფრო, იმ დროში, არა მარტო თავის გამოჩენის, არამედ ახალ-გაზრდების წრეში თავის დამკვიდრების საშუალებაც იყო.

ბატონი სიმაშვილი საკმაოდ ბევრ რევოლუციონერს ასახელებს. თან დოკუმენტებზე დაყრდნობით მათ მიერ განხორციელებული რევოლუციური ფაქტები მოჰყავს:

„...სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკები) პარტიის წევრი, ვალერი ბილანოვი (ბილანიშვილი), რომელიც 1905 წელს, სომეხ-თათართა შეტაკების თავიდან ასაცილებლად, ალექსანდრე ობოლაძესთან და ილიკო იმერლიშვილთან ერთად იდგა თათრის მოედანზე, სტამბის მუშა იყო.

ამ პიროვნების აქტიურ რევოლუციურ საქმიანობას ადასტურებს ასოთამწყობ ლომთათიძის მოგონება. მასში აღნიშნულია, რომ: „იმ დროს (1905-1907 წლები - თ.ს.) საიდუმლო სტამბებს ხელმძღვანელობდნენ უმთავრესად შემდეგი პირები: ვასო ურუშაძე, ვალ. ბილანიშვილი (ბილანოვი), ვლასა მგელაძე, ერ. ჩანგლაძე, ვანო ბოლქვაძე, კამო, მანასე გოგვაძე (გოგუაძე), ლადო დუმბაძე და სოლ. ვადაჭკორია. მაგრამ განსაკუთრებული თავდადება და შრომა მიუძღვის ვასო ურუშაძეს და ვალ. ბილანიშვილს.“<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, თბილისში, თათრის მოედანზე სომეხ-თათართა შეტაკების თავიდან ასაცილებლად, ალექსანდრე ობოლაძესთან და ილიკო იმერლიშვილთან ერთად იდგა ვალოდია ბილანოვი, ხოლო დიმიტრი ჯაში არ მდგარა, იგი არც საიდუმლო სტამბების ხელმძღვანელებს გახსენებია.

ილია დარჩია თავის დღემდე გამოუქვეყნებელ 1929 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიაში, რომელიც სიმაშვილმა მიაკვლია, წერს, რომ იგი იყო ალიოშა სვანიძის, სოსო ჯულაშვილის (სტალინი) და სხვა ბოლშევიკების თანამებრძოლი. ილია დარჩიას სიტყვებით, „მე 1905 წლის ბოლოს შევედი წითელ გვარდიაში, რომელიც ორ-

---

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, „უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, „მერიდიანი“ 2012წ. თბ.

განიზებული იყო პარტიისგან. ვისწავლე ბომბების სროლა ანარქისტ დ. როსტომი-ვილთან. იარაღით ხელში ვმონაწილეობდი მთაწმინდის რაიონის დაცვაში”.<sup>1</sup>

ეს ის ილიკო დარჩიაა, რომელიც, დარია ჯაშის 1941 წლის ჩვენებით, სხვა გურულებთან ერთად სტუმრობდა ვეძინის ქუჩაზე მდებარე სახლს, სადაც დიმიტრი ცხოვრობდა. ილიკო დარჩია დიმიტრი ჯაშთან ამხანაგობას ვერ იხსენებს.

ბატონ სიმაშვილს აქცენტი გადააქვს იმ სტამბის მუშებზე, რომლებიც ახლოს იდგნენ გაერთიანებული კომიტეტის წევრებთან და „საბრძოლო რაზმების“ ორგანიზატორ ტექნიკურ ხელმძღვანელებთან. იგი წერს: „სტამბის ყოფილი მუშა ალექსანდრე თბოლაძე დაკავშირებული ყოფილა ესაძის სტამბაში მომუშავე ვინმე ავალიანთან, ეს უკანასკნელი კი ილია ფიცხელაურთან, რომელიც მუშაობდა ლიბერმანის სტამბაში. ეს ადამიანები ეწეოდნენ რევოლუციურ საქმიანობას. ...ა. თბოლაძის სიგყვებით, იგი თავდაპირველად შესულა ხელაძის სტამბაში და იქ ნანახით გამოუგანია დასკვნა, რომ მესტამბეები ყველაზე ერთგულნი და რევოლუციურად განწყობილი იყვნენ. სტამბებში მომუშავე რევოლუციურად განწყობილ პირებს შორის ალექსანდრე თბოლაძე ასახელებს ვასო ურუშაძეს, სერგო ქორიძეს და სხვებს. მიუთითებს, რომ მან ერთ წელიწადში თითქმის ყველა სტამბა მოიარა და გაფიცვებში ახალგაზრდებს იყოლიებდა. საინტერესოა, რომ იგი აქვე ამჟღავნებს უარყოფით დამოკიდებულებას ნოე რამიშვილთან და საერთოდ მენშევიკებთან, რაც დიმიტრი ჯაშის მეუღლის 1941 წელს მიცემულ ჩვენებაშიცაა ასახული. დარია ჯაშის სიგყვებით, ალექსანდრე თბოლაძე და ილიკო იმერლიშვილი მის მეუღლეს ნოე რამიშვილთან ურთიერთობას უშლიდნენ.“<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, თბოლაძე არ ახსენებს დიმიტრი ჯაშს იმ სტამბის მუშებს შორის, რომლებიც რევოლუციურად იყვნენ განწყობილნი. თბოლაძეს რომ სადმე ჯაში დაესახელებინა, მეცნიერი ამას უთუოდ მიაკვლევდა და მკითხველს წარუდგენდა.

დიმიტრი ჯაში არ იყო რევოლუციურად, მით უფრო, ბოლშევიკურად განწყობილი პირი. ნათესაური კავშირის გამო, ის ურთიერთობდა ნოე რამიშვილთან, რასაც უშლიდნენ თბოლაძე და იმერლიშვილი. რატომ იყო ასეთი დაპირისპირებული ეს ურთიერთობები? პასუხი, ვფიქრობთ, შემდეგშია:

1. დიმიტრი ჯაში, ერთს, როგორც შორეულ ნათესავს და ორივეს — რამიშვილს და თბოლაძეს, როგორც მისი კუთხის შვილებს, პატივს სცემდა;
2. დიმიტრი ჯაში მოწოდებით არ იყო რევოლუციონერი;

---

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, „უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, „მერიდიანი“ 2012წ. თბ.;

<sup>2</sup> თ. სიმაშვილი, „უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, „მერიდიანი“ 2012 წ. თბ.;

3. მას არ მოსწონდა რადიკალიზმი, რომელსაც ბოლშევიკური ფრთა აწარმოებდა. ამის დასტურია ის, რომ შეიარაღებულ შეტაკებებში არასოდეს მიუღია მონაწილეობა;

4. მის მთავარ ინტერესად მაინც ლიტერატურა რჩებოდა, რასაც ადასტურებს მისი ნაწერები, თარგმანები და ჟურნალისტური პუბლიკაციები;

სიმამული წერს: „თბილისის „ოხრანის“ განყოფილების უფროსის მიერ კავკასიის პოლიციის გამგის და თბილისის დროებითი გენერალ-გუბერნატორის სახელზე გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ: „სტამბის მუშა ალექსანდრე ობოლაძეს შეუქმნია „მუშების რევოლუციური ჯგუფი“ სახელწოდებით „მძარცველთა ბანდა“. ამ წერილში კვლავ საუბარია ილარიონ (ილია) ფიცხელაურზე, სოციალ-დემოკრატიის „საბრძოლო რაზმის“ წევრზე. აღნიშნულია, რომ იგი, უკვე დაპატიმრებულ ვარდენ დოლიძესთან ერთად, იყო ალექსანდრე (საშა) ობოლაძის „მუშების რევოლუციური ჯგუფის“ წევრი. ამ ორგანიზაციის სხვა წევრებად დასახელებული არიან სტამბის მუშები სერგო ქორიძე და ... ავალიანი. მათ გაუძარცვიათ სარატოვის კანტონა და ვინმე გვიდემანი. წერილში მითითებულია, რომ ნაძარცვი ფული ინახებოდა ა. ობოლაძესთან.“<sup>1</sup>

ავტორი ილიკო იმერლიშვილის ბიოგრაფიისა, რომელიც დაწერილია 1920-იან წლებში, წერს: „...როცა რევოლუციური მოძრაობა შედარებით მიხედავდა, ილიკო თავისი ამხანაგებით, რომელთა შორის იყვნენ: ა. ობოლაძე, გ. ავალიანი, ტიტე ჯაში, არკადი ელბაქიძე, ს. ცომარაძე, არამ პოლოსოვი, გ. თოფურიძე, ა. ფიცხელაური, ა. ვარსიმაშვილი, გ. ნასარიძე, დ. ბაცანკალიშვილი და ყანდარელი (პაგარა მცხეთელი) ეყოფიან მთავარ ორგანიზაციას და აარსებენ მთაწმინდაში რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ჯგუფს“.<sup>2</sup>

ამ თორმეტ კაცში ვერ მოიძებნა დიმიტრი ჯამის ადგილი. შეუძლებელია, ილიკო იმერლიშვილის ბიოგრაფს (რომელიც, ერთი ინფორმაციით, იყო მისი ძმა გიორგი, ან რომელიმე ახლო მეგობარი და მეზობელი ჯგუფის წევრი) - დიმიტრი, როგორც ილიკო იმერლიშვილის „ბავშვობის“ მეგობარი და ილიასთან შეგზავნილი მოურავი, არ გახსენებოდა. იმერლიშვილის ბიოგრაფს დიმიტრი ჯამი, შესაძლოა, არც ენახა.

1905-1907 წლებში ცნობილი ტერორისტი, მენშევიკი ვალოდია გოგუაძე წერს: „...1905-1907 წლების რევოლუციის დროს სტამბის მუშები, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრები და ასევე თანამგრძობები, აქტიურად მონაწილეობდნენ“.

<sup>1</sup> თ. სიმამული, „უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ „მერიდიანი“ 2012 წ. თბ.;

<sup>2</sup> თ. სიმამული, „უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ „მერიდიანი“ 2012წ. თბ.

ლეობდნენ არა მარტო ხელისუფლების საწინააღმდეგო ავიტაციოში, არამედ შეიარაღებულ ბრძოლაშიც“.

„ღიმიტრი ჯაშის მეგობრად გამოცხადებული პროფესიით ასევე სტამბის ასოთამწყობი ილიკო იმერლიშვილის ბიოგრაფიაში მითითებულია, — **წერს თენგიზ სიმაშვილი**, — იგი 1905 წელს სოციალ-დემოკრატ მუშებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა თბილისში მოქმედი შავრამბული ორგანიზაციის — „ჭემმარიგ რუსთა კავშირის“ წევრების წინააღმდეგ მიმართულ შეტაკებებში. ერთხელ, ერთ-ერთი ასეთი შეტაკებისას, ილიკო იმერლიშვილს ზემოდასახელებული ორგანიზაციის წევრისათვის წაურთმეგია სამფეროვანი ნიშანი (სიმბოლო) და ვასო ურუშაძესთან, მონწილე მუშასთან მიუტანია, როგორც ნადავლი“.<sup>1</sup>

ღიმიტრი ჯაშმა თავისი „მეგობრის“ ამ გამარჯვების სიხარული ვერ გაიზიარა, ჩვენი აზრით, იმ მარტივი მიზეზით, რომ იგი „ბავშვობის მეგობარს“ გვერდში არ ედგა. თუ ჯაში მისი თანამებრძოლია, როგორც ამას მეცნიერი მიუთითებს, რად არ დგას შეტაკებების დროს იმერლიშვილის გვერდით? ვთხოვთ ბატონ თენგიზს ამ კითხვაზე პასუხის გაცემას.

**განვავრძობთ სიმაშვილის ციტირებას:**

„ბოლშევიკი ს. თალაკვაძე წერდა, რომ, თუ 1905 წლის ოქტომბრის მანიფესტამდე „საბრძოლო რაზმების“ შექმნა ფარულად მიმდინარეობდა, ამ დროიდან, „ოქტომბრის დღეებში“, წამოიწია ლობჯინა თავდაცვის რაზმების ანუ „წითელი პარტიზანების“ შექმნის შესახებ. მისი სიტყვებით, გაერთიანებულ კომიტეტში მთავარი სულისჩამდგმელები იყვნენ უმცირესობაში მყოფი ბოლშევიკების ლიდერები: სტალინი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, მ. ბოჭორიძე, ბ. მდივანი. იგი ასევე უთითებს, რომ ამ რაზმების ორგანიზატორები და გეჟინკური ხელმძღვანელები იყვნენ ა. ჯორჯიაშვილი, კ. ცინცაძე, მ. ხუციასვილი, ს. ინწირველი, გ. კალანდაძე, თ. ჩუბინიძე, ე. ლომინაძე, კ. ჩაჩავა, ნ. ალაჭალოვა, პ. გალდავა და სხვები.

1908 წლის 25 დეკემბრით დათარიღებულ ოქმში აბესალომ გიორგის ძე ფალავა, დუშეთის მაზრის პოლიციის ჩაფრების (სტრაჟნიკები) უფროსი ურიადნიკი წერს: „პავლე ფშავლიშვილთან ერთად მის ბანდაში იმყოფებოდნენ 1. პავლე ფშავლიშვილი, 2. იმერლიშვილი, 3. ნოე მჭედლიშვილი, 4. სანდრო მჭედლიშვილი, 5. ლაზარე გაბიტაშვილი, 6. გიორგი ნიკლაური 7. ბასილ სიღნაღელი, 8. თელაველი ლადო, 9. ვანო

---

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, „უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, „მერიდიანი“ 2012წ. თბ.;

ინაშვილი, 10. თუში ვანო, 11. რუსი დორომენკო, 12. გიგლა ბერბიჭაშვილი, 13. გიორგი პარხაშვილი.“<sup>1</sup>

საგურამოს მამულში ილიას მსახურის, სოფიო უნდილაშვილის 1933 წელს დაწერილი მოგონება ზემოთ უკვე გავაცანით მკითხველებს. იქ დასახელებულია საგურამოში მოქმედი წითელრაზმელები და პროპაგანდისტები, რომელთა შორის დიმიტრი ჯაში არ წერია. არც ზემოთ წერია.

**სიმაშვილი წერს:** სოციალდემოკრატიული პარტიის აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედი „წითელი რაზმების გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელის, აღიხანაშვილის მონაწილეობით 1930-იანი წლების დასაწყისში „ძველი“ რევოლუციონერების შედგენილ სიებში დუშეთის ტერიტორიაზე მოქმედ რევოლუციონერთა სიებში არა მარტო ილიკო იმერლიშვილი, გიგლა ბერბიჭაშვილი, პავლე ფშავლიშვილი და ივანე ინაშვილი, არამედ თედო ლაბაური, ილიას მეგვლეც ფიგურირებს.

რომანოზ (რამანა) თარაშვილის მეგობრების და „ამხანაგების“ მიერ დაწერილ, დღემდე გამოუქვეყნებელ ბიოგრაფიაში ვკითხულობთ: „1906 წელს ... დიდმა ღორმა (გვარი უცნობია. თ.ს.) და რამანა თარაშვილმა თბილისის კომიტეტის დავალებით თბილისში მოკლეს ჯაშუში ღვინიაშვილი ...ამავე წელს საგურამოს რაიონში თავად-ამხანაურობას ჩამოართვეს იარაღი თარაშვილმა, ილიკო იმერლიშვილმა და დიდმა ღორმა და გადასცეს თბილისის კომიტეტს“.

„1914 წლებში დუშეთის მაზრის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელის, გიორგი ტატიშვილის მოგონებებით: „დუშეთის მაზრის კომიტეტის კრებაზე გადაწყვიტეთ ბოქაულ ქუმსიაშვილის და დუშეთის მაზრის სტრაჟნიკების უფროსის საშა ნათიშვილის სიკვდილი. ერთად ეს დავალება მივეციტ მცხეთის რაიონის წითელი რაზმის უფროსს ამხ. იმერლიშვილს, რადგან ეს მოხდენილი სკოლა და ონიკაშვილის დაბატიმრება, დალუპვა იმის რაიონში, საგურამოში მოხდა. წითელი რაზმის უფროსმა იმერლიშვილმა დავალება კარგად შეასრულა. ბოქაული ქუმსიაშვილი დაიჭირა, ბაზალეთის გყეში მოკლეს და მკვდარი ცეცხლში დაწვეს, ეს მთელი დუშეთის მაზრის ხალხმა იცის.“<sup>2</sup> (სტილი დაცულია).

მკვლევარი იშველიებს საარქივო დოკუმენტს - რევოლუციონერ ნინა მაისურაძის ბიოგრაფიას, რომლის ფრაგმენტს ზემოთ უკვე გავაცანით. დოკუმენტში მითითებულია ჯუდაშვილისა და იმერლიშვილის ახლო ურთიერთობის ფაქტი.

ბატონ სიმაშვილს, მის მიერ მოძიებული იმ მოგონებებიდან, რომლებსაც მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ბეჭდავდნენ ბოლშევიკი რევოლუციონერები „რევოლუცი-

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, „უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა „მერიდიანი“ 2012წ. თბ.;

<sup>2</sup> თ. სიმაშვილი, „უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა „მერიდიანი“ 2012წ. თბ.;

ურ მატეანეში“ ან სხვა ბეჭდურ გამოცემებში, აგრეთვე, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ ხელნაწერებში - ვერ მოუძებნია ჯაშისა და იმერლიშვილის ერთობლივი რევოლუციური ბრძოლის დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტები. მიუხედავად ამისა, მხოლოდ „შემოწირულობის ფურცლებით“ და დარია ჯაშის 1941 წელს მიცემული ჩვენებით ამყარებს მათ „ბავშვობის მეგობრობას“.

ინგლისელი მწერლის საიმონ სებაგ-მონტეფიორეს წიგნის მიხედვით, რომელიც შეიქმნა სტალინის თანამებრძოლების მოგონებების მიხედვით, ვიგებთ, რომ სტალინმა ჩამოაყალიბა მუდმივი შეიარაღებული რაზმი, რომელსაც ევალებოდა იარაღის შოვნა, ბანკების გაძარცვა და სხვა. 1906 წელს შეიარაღებულმა პირებმა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი გაძარცვეს. დავრიშევმა სოციალისტ-ფედერალისტებისთვის დუშეთში ძარცვის გზით 100 ათასი რუბლი მოიპოვა. სტალინმა, ცინცაძემ და კამომ მატარებელი გაძარცვეს ყარსში. 1906 წლის ნოემბერში ცინცაძემ ბორჯომის საფოსტო დილიჟანსი გაძარცვა, შემდეგ ბანდიტები ჭიათურის მატარებელს დაესხნენ თავს, 1907 წლის 13 ივნისს რუსეთის სახელმწიფო ბანკის ფილიალის საინკასაციო კარეტას, რომელშიც ოთხი ცხენი იყო შებმული, ტიფლისში, ერევნის მოედანზე თავს დაესხნენ, ყუმბარებით დახოცეს ცხენები და გამცილებლები. წაიღეს, რაც საინკასაციო კარეტაში იყო. სტალინის თანამებრძოლები ბაჭუა კუპრაშვილი, იოსებ დავრიშევი, კოტე ცინცაძე, ტატიანა ვულინი კარგად იცნობდნენ ბანდიტებს, თუმცა მათ შორის არსად იხსენიებენ დიმიტრი ჯაშს. დიმიტრის მონაწილეობა ე.წ. ექსპროპრიაციის საქმეებში არ არის დადასტურებული, მიუხედავად ამისა, თენგიზ სიმაშვილი თავის მკითხველს, თუმცა არალოგიკურად, ამასთან, უსაფუძვლოდ, მაგრამ მაინც სთავაზობს, წარმოიდგინონ დიმიტრი ჯაშის და ილიკო იმერლიშვილის საქმიანობა, კავშირ-ურთერთობები. იგი წერს: „საქმე იმაშია, რომ თუ გავითვალისწინებთ ერთ-ერთი გერორის-გ-ექსპროპრიაციორის მოგონებებს, რომელიც მოყვანილი აქვს სიმონ მონტეფიორის თავის წიგნში „ახალგაზრდა სტალინი“ – „სტალინის ბანდიტები მეფისნაცვლის სასახლის მოპირდაპირე მხარეს არსებულ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკში შევარდნენ, ბანდიტებმა ხალხს იარაღი მიუშვირეს და იყვირეს: ხელები მაღლა. მერე ბანკნოგები მოაგროვეს და სროლით ჰაერში გაუჩინარდნენ. სტალინის მიერ დაგეგმილ ამ თავდასხმას კამო ხელმძღვანელობდა“ - სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება დიმიტრი ჯაშის და ილიკო იმერლიშვილის საქმიანობა, ფუნქციები, კავშირ-ურთერთობები ბოლშევიკების „სამხედრო ჯგუფსა“ თუ „მთანმინდის ჯგუფს“, ასევე, ადგილობრივი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობასთან.“<sup>1</sup>

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, „უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, „მერიდიანი“ 2012წ. თბ.;

აქ პროფესორი სიმამული მკითხველს საკუთარი ინიციატივით სთავაზობს, ჰიპოთეტურად წარმოიდგინონ იმერლიშვილისა და ჯაშის ურთიერთობა და ისე დაასკვნან, რამდენად ერთგულები იყვნენ ერთმანეთისათვის, და რამდენად როგორი საშიშნი და დაუნდობლები - ხალხისთვის! ჰიპოთეტურად, რადგან მეცნიერმა არქივებში ვერ მიაკვლია ისეთ დოკუმენტურ მასალას, რომელიც დაადასტურებდა თუნდაც ერთ ფაქტს შეიარაღებულ შეტაკებაში ან ბანკის ძარცვაში დიმიტრი ჯაშის მონაწილეობას. ეს არც სხვა პირების, კერძოდ, ბოლშევიკი ტერორისტებისა და რევოლუციონერების მოგონებებით დადასტურებულა. ჰიპოთეტურ აზროვნებას კი ნამდვილად არა აქვს საზღვრები. მიუხედავად ამისა, ის დიმიტრი ჯაშს დადასტურებულად თვლის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ ილია ჭავჭავაძესთან შეგზავნილ მოურავად. როგორც დავინახეთ, ბატონი თენგიზის ვარაუდი სრულიად არ ეყრდნობა ძველი რევოლუციონერების მოგონებებს.

## ი) დიმიტრი ჯაშის სოციალ-დემოკრატიობა არ დასტურდება

თენგიზ სიმამული აზრით, დიმიტრი ჯაშის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან კავშირზე მეტყველებს თბილისის პოლიცემისტერის სამმართველოს სამძებრო ნაწილის უფროსის, ევტუშევსკის მიერ შედგენილი 1907 წლის 15 სექტემბრის მოკვლევის ოქმი, რომელიც ბატონმა სიმამულიმა კვლევის შედეგად აღმოაჩინა. სანამ ამ მოკვლევის ოქმის შესახებ ვიმსჯელებდეთ, გავცნოთ დოკუმენტს. სიმამული ამ ოქმთან დაკავშირებით წერს: „მოპოვებული საარქივო დოკუმენტები, ვფიქრობ, უცყურად ასახულებს ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტის ილია იმერლიშვილის მონაწილეობას. საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულ, თბილისის სამძებრო პოლიციის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიების საქმეში სხვა მასალებთან ერთად გვხვდება სამძებრო პოლიციის ჩინოვნიკის (ასე ვთქვათ სამძებრო პოლიციის ოპერატიული თანამშრომლის) გ. (პ) ფიცხელაურის მიერ, თბილისის პოლიციის სამძებრო განყოფილების უფროს პ. ევტუშევსკისადმი მიწერილი, 1907 წლის 4 სექტემბრით დათარიღებული წერილი „ძვირფასო პეტრე ალექსანდრეს ძე! როგორც მე საიდუმლოდ მოვიკვლიე, ამჟამად მიცვალებულ თავად ჭავჭავაძეზე დანაშაულის ჩადენის შესახებ უნდა იცოდეს, დუშეთის მაზრის სოფ. მცხეთის მცხოვრებმა სახელით „ილია მცხეთელი“. ის თუ არ მონაწილეობდა დანაშაულში, მაშინ მან მაინც ყველაფერი იცის ვინ ჩადის მსგავს ყველანაირ დანა-

შეუღს, ამიგომ ვვარაუდობ, რომ ის დავიჭროთ. ამის გარდა აუცილებელია დაჭერა ასევე მეფაიგონის, რომელიც, როგორც მოვიკვლიე, იცნობს პირებს, ვინც ჩაიღინა თავად ჭავჭავაძის მკვლელობა. უღრმესი პატივისცემით თქვენი გ. ფიცხელაური 4 სექტემბერი 1907 წელი ქ. ტიფლისი.“<sup>1</sup>

ამრიგად, 1907 წლის 4 სექტემბერს უკვე ცნობილია, რომ პიროვნება მეტსახელად „ილია მცხეთელი“ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილე შეიძლებოდა ყოფილიყო. თბილისის პოლიცემისტერის სამმართველოს სამძებრო ნაწილის უფროსმა ევტუშევსკიმ, ფაქტობრივად, იგნორირება გაუკეთა ფიცხელაურის წერილს და მოკვლევა ფაღავას ინფორმაციაზე დაყრდნობით სხვა გზით წაიყვანა. 1907 წლის 15 სექტემბერს შეადგინა მოკვლევის ოქმი, სადაც ჩაწერა:

„განსვენებული თავადის მოურავი ღიმიტრი სოფრომის ძე ჭაში ეკუთვნის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და სხვადასხვა პოლიტიკური საქმისათვის, სხვადასხვა ღროს სამჭერ იცდა ცხიემი. გარდა ამისა, ჩემთან საუბარში განაცხადა, რომ მის პარტიას თავად ჭავჭავაძის მკვლელობაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და რომ მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე მოხდა“.<sup>2</sup>

ალექსანდრე შუმანაშვილი ევტუშევსკის მიერ შედგენილ მოკვლევის ამ ოქმს რომ განიხილავს, წერს: „...ეგტუშევსკი აღნიშნავს, რომ ჭაში სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნის... ამ ფაქტის დამადასტურებელ რაიმე საბუთს ვერ ასახელებს და ასეთი არც საქმეში მოიპოვება. ოქმიდან ჩანს, რომ საერთოდ დიდი წარმოდგენა ჰქონია თავის პროფესიულ ალღობე და უნარზე. იგი დაუფარავი სიამაყით აღწერს, რა ოსტატურად გამოკითხა ჭაში და მოხდენილი და მოულოდნელი კითხვებით ლამის აღიარებინა კიდევ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. ღიმიტრი ჭაშს ვაღაუცია ეგტუშევსკისთვის მუქარის წერილი, ...საქმეში არც ეს წერილია“.<sup>3</sup>

ევტუშევსკიმ მოკვლევის ოქმში ჩაწერა ჯამის მიერ მისთვის გადაცემული და ფიცხელაურის მიერ ნათარგმნი მუქარის წერილის შინაარსი: „მოურავო! გაფრთხილებთ, სამ დღეში თუ თავს არ დაანებებ ჭავჭავაძის მამულების მოურავობას და იქედან არ წახვალ, რაც პირველ მოურავს მოუვიდა, შენც ის დაგემართება. სამი დღის ვადას გაძღვეთ. ადგილობრივი პარტიული მუშების რწმუნებით“.<sup>4</sup> მაგრამ ისეთი სამხილი, როგორც მუქარის წერილი იყო, მოკვლევის ოქმს (დადანი) არ დაურთო. ალექსანდრე შუმანაშვილის წიგნში მოყვანილ მოკვლევის ამ ოქმს ხელს აწერს მხოლოდ ევტუშევსკი. შუმანაშვილმა კარგად იცოდა ხელმოწერის მნიშვნელობა. თუ

<sup>1</sup> თ. სიმანაშვილი, „უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ „მერიდიანი“ 2012წ. თბ.;

<sup>2</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილ. ჭავჭავაძის მკვლელობა“, გვ.126, გამომცემლობა „მერანი“, თბ.;

<sup>3</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილ. ჭავჭავაძის მკვლელობა“, გვ.126, გამომცემლობა „მერანი“, თბ.;

<sup>4</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილ. ჭავჭავაძის მკვლელობა“, გვ.126, გამომცემლობა „მერანი“, თბ.;

ამ დოკუმენტზე იყო ჯამის ხელმოწერა, აუცილებლად მიუთითებდა. ჯამის ხელმოწერა არც უნდა ყოფილიყო, რადგან ეს გამომძიებლის მოკვლევის ოქმი იყო. დოკუმენტი, შესაძლებელია, დიმიტრის საერთოდ არც ენახა. ამ ოქმით სრულებით არ ჩანს, რომ დიმიტრი ჯამმა დაადასტურა (თავისი ხელმოწერით - ავტ.), რაც ევტუშევსკიმ ჩაწერა.

მოკვლევის ოქმში ჩაწერილი ინფორმაციის წყაროდ ევტუშევსკი დიმიტრი ჯამს მიუთითებს, რომ მან ეს ინფორმაცია მიიღო დიმიტრისთან საუბრისას და მოკვლევის ოქმში ასე ჩაწერა: „დიმიტრიმ ჩემთან საუბარში განაცხადა“. გამოდის, რომ ეს ინფორმაცია მას დიმიტრის დაკითხვის შედეგად არ მოუპოვებია. დაკითხვის ოქმს, როგორც წესი, ხელს აწერს ჩვენების მიმცემი და ოქმის შემდგენელი.

თუ დაკითხვის ოქმი არ შემდგარა, არც დიმიტრი ჯამს ხელმოწერით არ დაუდასტურებია ევტუშევსკის მოკვლევის ოქმში მისი სახელით შეტანილი სიტყვები, რატომ უნდა ვიწამოთ სინამდვილედ? „ასეთ ოქმში მოგანილ ინფორმაციას, რაიმე მნიშვნელობა ექნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ იგი გამომძიებლის მიერ გადამოწმდე-ბოდა და დაფიქსირდებოდა პროცესუალური წესითა და საშუალებებით.“<sup>1</sup> - წერს ალექსანდრე შუმანაშვილი. მართლაც, დიმიტრი ჯამი 1907 წლის 15 სექტემბრის შემდეგ გამომძიებლების მიერ შედგენილ დაკითხვის ოქმებში არ მიუთითებს, რომ იგი ეკუთვნის სოციალ-დემოკრატების პარტიას.

ევტუშევსკის მიერ 1907 წლის 15 სექტემბერს შედგენილი მოკვლევის ოქმის მნიშვნელოვანი ხარვეზია მასში არსებული არალოგიკურობა. მუქარის წერილი შედგენილია „ადგილობრივი პარტიული მუშების რწმუნებით“. ადგილობრივი პარტია კი სოციალ-დემოკრატების მუშათა პარტია იყო. გამოდის, რომ ჯამმა თავად განუცხადა ევტუშევსკის, რომ იგი სოცდემოკრატების პარტიის წევრია და მას ემუქრებოდნენ სწორედ მისი პარტიის ადგილობრივი პარტიული მუშები. ეს ეწინააღმდეგება სადა აზრს.

ოქმის შედგენისას ევტუშევსკი არაკვალიფიციურად მოქმედებდა, შესაბამისად, მოკვლევის ოქმის სანდოობა საეჭვოა.

ევტუშევსკის 1907 წლის 15 სექტემბრის მოკვლევის ოქმში ჩაწერილის საპირ-წონეა 13 დღით ადრე შედგებილი 1907 წლის 2 სექტემბერის დიმიტრი ჯამის დაკითხვის ოქმი, რომელიც შეადგინა სასამართლო გამომძიებელმა ილიაშენკომ და რომელზედაც დიმიტრი სოფრომის ძე ჯამის ხელმოწერაა. მოვიტანთ ამონარიდს ამ დაკითხვის ოქმიდან: „...მოურავად მუშაობის დროს,ესე იგი ამ ერთი ზაფხულის მანძილზე, გლეხობის მხრიდან თავადის მიმართ რაიმე უკმაყოფილება არ შემიძინებია. პირიქით, გლეხები მას დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. მათ ესმოდათ, რომ თავდი, თუმცა, საერთოდ, მკაცრი კაცი იყო, მაგრამ არასოდეს არ იყო უსამართლო. თვითონ

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილ. ჭავჭავაძის მკვლელობა“, გვ.99. გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1996 წ.;

თავადს არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, გლეს სიმკაცრე კი არ აშინებს, არამედ უსმართლობას ვერ იგანსო. ეს იყო მისი პრინციპი და არასოდეს უარს არ ეუბნებოდა გაჭირვებულებს, ამარაგებდა გლეხებს წამლით, ათხოვებდა ხოლმე გუთანს, ურემს და ა.შ. მაგრამ როცა რამ ეკუთვნოდა გლეხებისაგან, მის მოგანასაც მოითხოვდა. ვიმეორებ, მე არ გამიგია, რომ გლეხები ახშოფოთებული ყოფილიყვნენ თავადბეელანძლათ იგი“.<sup>1</sup>

გარდა ამისა, ევტუშევსკის 1907 წლის 15 სექტემბრის მოკვლევის ოქმს სრულიად აბათილებს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის 1907 წლის გამოძიების საქმეში არსებული მისივე 1908 წლის 1 აგვისტოს დაკითხვის ოქმი, რომელიც შეადგინა კიევის საოლქო სასამართლოს კიევის მაზრის მე-3 უბნის გამომძიებელმა, სადაც პეტრე ევტუშევსკი ჯამთან დაკავშირებით უჩვენებს: „ვერაფითარი მონაცემები იმის დასადასტურებლად, რომ ჯამში, მისი მეუღლე და მოსამსახურეები მკვლელობაში მონაწილეობდნენ, ვერ იქნა გამოვლენილი“.<sup>2</sup>

ბატონი თენგიზ სიმამილი — მკვლევარი, უყურადღებოდ ტოვებს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეში არსებულ ამ ორ დოკუმენტს — 1907 წლის 2 სექტემბრის დიმიტრი ჯამის დაკითხვის ოქმს და 1908 წლის 1 აგვისტოს ევტუშევსკის დაკითხვის ოქმს, რომლებიც სრულიად საწინააღმდეგოს მეტყველებს, ვიდრე ევტუშევსკის 1907 წლის 15 სექტემბრის მოკვლევის ოქმია და აქცენტს აკეთებს სწორედ ამ უკანასკნელზე — ევტუშევსკის მიერ ხარვეზებით შედგენილ 1907 წლის 15 სექტემბრის მოკვლევის ოქმზე და ევტუშევსკის დაწერილ სიტყვებს წარმოგვიდგინეს დიმიტრის სიტყვებად. თან ბატონ სიმამილმა ეს სიტყვები მიიღო, როგორც დიმიტრი ჯამის აღიარება იმის, რომ ის სოციალ-დემოკრატი. ამასთან მცდელობად, რომ თავის პარტიას ეჭვი ააცილოს. იგი წერს: „დაუკვირდით, დიმიტრი ჯამში თვითონვე ამბობს, რომ სოციალ-დემოკრატია და თან ცდილობს რა თავის პარტიას ეჭვი ააცილოს, იძლევა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის იმ ვერსიას, რომელიც ბოლშევიკ ს. თალაკვაძის მიერ 1925 წელს დაწერილი მოსაზრების ანალოგიურია“.<sup>3</sup> ამ სიტყვებით ბატონ თენგიზს სურს დაარწმუნოს მკითხველი, რომ 1907 წლის 15 სექტემბრის მოკვლევის ოქმში ჩაწერილი სიტყვები დიმიტრის ნათქვამია და მის ანალოგიად, მკითხველს წასაკითხად შესთავაზა ბოლშევიკ თალაკვაძის 1925 წელს დაწერილი მოსაზრება.

საჭიროა კიდევ ერთხელ გადავიკითხოთ დიმიტრი ჯამის სხვა ნაწერები, რომლითაც იგი შეუხო ილიას მკვლელობის გარემოებებს და ის შევადაროთ ბოლშევიკი თალაკვაძის დაწერილს. დავაკვირდეთ, დავინახავთ თუ არა მათში ანალოგიას.

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილ. ჭავჭავაძის მკვლელობა“, გვ.99. გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1996 წ.;

<sup>2</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილ. ჭავჭავაძის მკვლელობა“, გვ.211, გამომცემლობა „მერანი“, თბ.;

<sup>3</sup> თ.სიმამილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბ.;

ბატონი თენგიზის აზრით თალაკვაძე და ჯაში ერთნაირად ცდილობენ, ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე პასუხისმგებლობა ააცილონ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომ დავრწმუნდეთ ბოლშევიკ თალაკვაძის წარმოდგენილ ნაწერში და დიმიტრის დაწერილში და გამოთქმულ წინადადებებში ანალოგია არ არის თუ არა, ისინი შევადაროთ.

1925 წელს, ილიას მკვლელობიდან 18 წლის შემდეგ, სოციალ-დემოკრატი ს. თალაკვაძე წერდა: „ფაქტია ის, რომ ილია ჭავჭავაძე მსხვერპლი გახდა აგრარულ ნიადაგზე თავისი სოფლის გლეხობისა. ამ აგრარული მოძრაობის მონაწილე და ამ მკვლელობის ამბავის კარგად მცოდნე დუშელ ამხანაგებს ვიცნობთ ჩვენ ,ისინიც ადასტურებენ ამას“.<sup>1</sup>

თალაკვაძე პირდაპირ წერს, რომ ილია მოკლეს აგრარულ ნიადაგზე თავისი სოფლის გლეხებმა. დიმიტრი ჯაში კი ჯერ კიდევ 1907 წლის 2 სექტემბერს, დაკითხვისას ამბობს: (გავიმეორებთ). „...მოურავად მუშაობის დროს... გლეხობის მხრიდან თავადის მიმართ რაიმე უკმაყოფილება არ შემიმჩნევია...გლეხები მას დიდი პატივისცემა ეპყრობოდნენ. მათ ესმოდათ, რომ თავადი, თუმცა, საერთოდ, მკაცრი კაცი იყო, მაგრამ არასოდეს არ იყო უსამართლო. თვითონ თავადს, არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, გლეხს სიმკაცრე კი არ აშინებს,არამედ უსამართლობას ვერ იგანსო... ვიმეორებ, მე არ გამიგია,რომ გლეხები ასშფოთებული ყოფილიყვნენ თავადზე,ელანძლათ იგი“.<sup>2</sup>

რომ არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ 1907 წლის 2 სექტემბერის დაკითხვის ოქმით, მოვიტანთ დიმიტრი ჯაშის 1908 წლის შემოდგომაზე გაზეთ „სავაჭრო გზაში“ გამოქვეყნებული წერილიდან ამონარიდებს და აგრეთვე, 1913 წელს ქუთაი- სის გუბერნიაში ლექციებით გამოსვლისას დიმიტრი ჯაშის გამონათქვამების კომენტარებს, რომელიც გამოაქვეყნა ქუთაისის გაზეთმა „თანამედროვე ქვეყანა“ 1913 წლის 26 სექტემბერს.

დიმიტრი ჯაში გაზეთ „სავაჭრო გზაში“ წერდა: „...დიდი ხანია დრო იყო, რომ საზოგადოება გასცნობოდა საზარელ მკვლელობას სისწორ-სინამდვილით, მიუდგომლად აღწერას, მაგრამ ჭერჯერობით მსგავსი რამ ჩვენ არ გვინახავს. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ დაიწერა როგორც გაზეთებში, ისე კანიკუნტად ბროშურებშიაც, მაგრამ ყველგან და ყოველთვის პირველობა დათმობილი ჰქონდა მხოლოდ პარტიულ სიმბულვარეს... ერთმანეთის ლანძღვა გინებას, - და ყოველივე ეს ხდებოდა ნეგარსსენებული მგოსნის გაციებული ცხედრის გარშემო. გადავიკითხოთ, მაგალითად, ბ-ნი სილოვან ხუნდაძის წიგნაკი, „მკვლელები და მცველები“, რომელშიც ის ვითომ

<sup>1</sup> ნ. გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“, 2010, თბ.;

<sup>2</sup> ალ. მუშანაშვილი, „ილ. ჭავჭავაძის მკვლელობა“, გამომც. „მერანი“, თბ.;

იცავს ილია ჭავჭავაძეს, და თქვენ დარწმუნდებით ჩემი სიტყვების სიმართლეში. გადაათვალიერეთ აგრეთვე ცნობილი „პატარა ყარამა ნიანები“ ბ-ნ იროდიონ ევლოშვილისა, ჯერ კვალში, მერე მოგზაურში...

... ჩვენ კარგად გვახსოვს, როგორ სარკასტიულად დასცინოდა და მიწასთან ასწორებდა... ილია ჭავჭავაძეს იროდიონ ევლოშვილი! ...გაბზე „დროს“ ერთ-ერთ ნომერში (გამომცემელი და რედაქტორი იყო სტალინი, ამ გაზეთში წერდა „კო“-ს ფსევდონიმით, იგივე კობა. ნოდ.გრიგ.) დაბეჭდა ბ-ნ ევლოშვილმა ფელეტონიპამფლეტი. ავტორი თავშეუკავებლად დასცინოდა ილია ჭავჭავაძეს... და როდესაც თავბარდამცემი მკვლელობა მოხდა, მაშინ ყველაზე უფრო მგლოვიარობა და ჭირისუფლობა გამოიჩინა სწორედ იმ იროდიონ ევლოშვილმა, რომელმაც მგოსანი სიცოცხლეში ათასჯერ ცილისწამებისა და შეურაცხყოფის ჯვარზე გააკრა.

...ახლა ორიოდე სიტყვა „მოგზაურის“ ...კორესპონდენციებზე... ამ კორესპონდენციებზე დაემყარა ბ-ნი ფილიპე მახარაძე და იმავე „მოგზაურში“ ჯვაროსნული ომი გამოუცხადა ილია ჭავჭავაძეს, რომელზედაც რაინდმა პუბლიცისტმა გაჰბედა და დაწერა: ილია ჭავჭავაძე მთავრობის ოფიციალური ჯაშუშიაო! მართალი იყო ყველა ეს? სინამდვილეს ინერებოდა საგურამოელი კორესპონდენტი? მართალს ამბობდა ბ-ნი ფილიპე მახარაძე? ...ამას ჩვენ ქვევით გავარჩევთ სათითაოთ და მუხლ-მუხლად აღვნიშნავთ ყოველივეს, მხოლოდ აქ კი არავის არ მოვერიდებით და საქვეყნოთ ვიტყვით, რომ „მოგზაურის“ კორესპონდენცისაგან აღნიშნული „ფაქტები“- უსირცხვილო ცილისწამება იყო და სხვა არაფერი.<sup>1</sup>

დიმიტრის მხედველობაში აქვს ის, რომ „საზარელი მკვლელობის“ ერთი წლის შემდეგ, ბევრი რამ დაიწერა მკვლელობის შესახებ, მაგრამ იმის მაგივრად, რომ საზოგადოებას გაეგო სინამდვილე, პარტიები, გაზეთების მეშვეობით, ერთმანეთის ლანძღვა გინებით იყვნენ დაკავებული.

როდესაც ახსენებს სოციალისტ-ფედერალისტ სილოვან ხუნდაძის გამოცემას — „მკვლელები და მცველები“ — ალბათ გულიცხმობდა იმას, რომ ხუნდაძემ მის მომცრო წიგნში დაწერა: „თამამად შემიძლია პირდაპირ ვითხრათ თქვენ, ბ-ნო სოციალდემოკრატებო, და გამოგიცხადოთ: დიას თქვენ, თქვენ ხართ საქართველოს მტერი... საქართველოში თქვენი „დიდებული მოძრაობა“ ქართველი ეროვნების უარყოფასა და ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში გამოიხატა“.<sup>2</sup>

დიმიტრი მიუთითებდა, იმაზე, რომ ხუნდაძე შემოიფარგლა რა სოციალდემოკრატიების ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ბრალდებით, ამით ვითომ დაიცვა ილია ჭავჭავაძე. სინამდვილეში, სოციალ-ფედერალისტური პარტიის როლის ამად-

<sup>1</sup> ნ. გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“, გვ. 426, 2010, თბ.;

<sup>2</sup> სილოვან ხუნდაძე, „მკვლელები და მცველები“, 1907 წ.;

ლებასა და დაფასებას მიჰყვა. მიუთითებდა, „პარტიულ სიმძულვარეზე,“ რომელიც ილიას მკვლელობის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა. სოციალისტ-ფედერალისტების იყვნენ იმ პარტიის რიგებში, რომლებიც ილიას აკრიტიკებდნენ, რადგან ილია არ ემხრობოდა პარტიების მოწოდებას რევოლუციური მოქმედებებისაკენ.

სოციალ-დემოკრატების ჟურნალ გაზეთებში, ილიას მისამართით დაბეჭდილი კრიტიკული წერილებისაგან, სოციალისტ-ფედერალისტებს არასოდეს დაუცავთ ილია სიცოცხლეში. რაც შეეხება ილიას ფიზიკურ დაცვას მათ ამაზე საერთოდ არც კი უფიქრიათ. დიმიტრი ჯაშის კრიტიკას ხუნდაძის მხრიდან არანაირი პოლემიკა არ მოჰყოლია. ეს არც მკვლევრებს გაურჩევიათ, რამდენად მართალს წერდა დიმიტრი.

დიმიტრი ჯაშის 1907 წლის 2 სექტემბერის დაკითხვის ოქმში ვერ ვხედავთ ისეთ სიტყვებს, რომ ჯაში ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში გლეხების მონაწილეობაზე მიუთითებდეს. 1908 წლის შემოდგომაზე გაზეთ „სავაჭრო გზაში“ გამოქვეყნებულ წერილებში კი დიმიტრი ჯაში ჯერ მიუთითებს იროდიონ ევლოშვილზე, თუ როგორ დასცინოდა ილია ჭავჭავაძეს და სიცოცხლეში ათასჯერ ცილისწამებისა და შეურაცხყოფის ჯვარზე გააკრა. ბოლოს კი მოურიდებლად აკრიტიკებს ფილიპე მანარაძეს და საქვეყნოდ ამბობს: „მოგზაურის“ კორესპონდენტის „ფაქტები“ უსირცხვილო ცილისწამება იყო და სხვა არაფერიო. იგი აკრიტიკებს იმ რედაქციებს, რომელებმაც საგაზეთო წერილებით გაილაშქრეს ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთ „სავაჭრო გზაში“ დიმიტრიმ სათქმელი ბოლომდე არ ან ვერ თქვა, თავისი პოზიცია სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტ-ფედერალისტების მიმართ ამკარად გამოხატა.

თუმცა, 1913 წლის 25 აგვისტოს, ჩოხატაურში ლექციით გამოსვლისას, მას უთქვამს, რომ მანარაძის წერილებს არ გამოუწვევია ილიაზე თავდასხმა. ამაზე ნოდარ გრიგალაშვილი წერს: „ეს თავისთავად ვერ მოხდებოდა. ის, რასაც ჯაში ლაპარაკობდა 6 წლის განმავლობაში, გადათქვა გურიაში ლექციის დროს. როგორც ჩანს, ის შეაშინეს, ან დაიახლოვეს.“<sup>1</sup>

ვფიქრობთ, გარკვეული გარემოებების გამო, 1913 წლის 25 აგვისტოს, ჩოხატაურში, დიმიტრი ჯაშმა კომპრომისი დაუშვა. დიან კომპრომისი დაუშვა, რადგან ერთი თვის შემდეგ ქუთაისში ლექციით გამოსვლისას ილიას მკვლელობაში კვლავ სოციალ-დემოკრატები დაადანაშაულა. ამას მოწმობს 1913 წლის 26 სექტემბრის, ქუთაისის გაზეთი, „თანამედროვე ქვეყანა“, რომელიც ჯაშზე წერდა: „მას ნაუკითხავს ლექცია ქუთაისში, რომელშიც ის აბრი გაუცარებია, რომ ილიას მკვლელობა შეამზადა „მოგზაურის“ კორესპონდენტებმა, კერძოდ ლექციაზე დამსწრე კორესპონდენტის

---

<sup>1</sup> ნ. გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“, გვ.467, 2010, თბ;

გადმოცემით, „დ. ჯაში „მოგზაურის“ წერილებს თვლის „ილიას სახელის ირგვლივ შეუწყნარებელი ატმოსფეროს მიზგზად“<sup>1</sup>

ჟურნალი „მოგზაური“ 1905 წლის იანვრიდან ქართველი სოციალ-დემოკრატიების ყოველკვირეული ლეგალური გამოცემა იყო. ქუთაისში წაკითხულ ლექციაზე გამოთქმული აზრი — „მკვლელობა შეამზადა „მოგზაურის“ კორესპონდენციებმა“ — იმას ნიშნავს, რომ დიმიტრი ჯაშმა, ილიას მკვლელობაში პირდაპირ მიუთითა სოციალ-დემოკრატიის როლზე.

ახლა უფრო ფართოდ გავეცნოთ ბოლშევიკ თალაკვაძის სიტყვებს: „ამხ. რაჟდენ კალაძეს უნდა დაარწმუნოს ვინმე, რომ ილია მოკლა თვით მონარქიული მთავრობის „ობრანულმა“ ორგანიზაციამ. გაუგონია „ყურწაურული“ ამბავი ვიღაცეიდან და ის უნდა ჭეშმარიტებად გაასაღოს. ცყუილია ეს!!! ... იგი, როგორც ნაციონალისტი, როგორც ქართველი სეპარატისტი, ქართველ ხალხში გაბატონებულ ინტერნაციონალურ სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლაში დასუსტებული იყო, ...რუს შოვინისტებისათვის არავითარ საშიშ ძალას არ წარმოადგენდა, იმას მოკლაგდა მონარქიული მთავრობის რუსი აგენტები, მათი ორგანიზაცია?! ეს მხოლოდ ქართული ნაციონალისტური ახსნაა გარემოების... ფაქტია ის, რომ ილია ჭაჭაყაძე მსხვერპლი გახდა აგრარულ ნიადაგზე თავისი სოფლის გლეხობისა. ამ აგრარული მოძრაობის მონაწილე და ამ მკვლელობის ამბავის კარგად მცოდნე დუშელ ამხანაგებს ვიცნობთ ჩვენ — ისინიც ადასტურებენ ამას.“<sup>2</sup>

სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი თალაკვაძე წერს, რომ ილია მოკლეს აგრარულ ნიადაგზე თავისი სოფლის გლეხებმა. ჯაშის დაკითხვის ოქმი და მისი პუბლიკაციები, როგორც ვხედავთ არ არის ანალოგიური 1925 წელს, სოციალ-დემოკრატი ს. თალაკვაძის მიერ დაწერილისა. ბატონ სიმაშვილს კი სურს, თბილისის პოლიცემისტერის სამმართველოს სამძებრო ნაწილის უფროსის ევტუშევსკის მიერ 1907 წლის 15 სექტემბერის მოკვლევის ოქმი, რომელიც ჯაშის სიტყვებს არ გამოხატავს, ამასთან, ხარვეზებითაა შედგენილი, სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი თალაკვაძის ნაწერის ანალოგიად დაანახოს მკითხველს.

თენგიზ სიმაშვილმა, რადგანაც დოკუმენტურად ვერ დაადგინა დიმიტრი ჯაშის სოციალ-დემოკრატიობა, ცდილობს დიმიტრი ჯაში რევოლუციონერად წარმოუდგინოს მკითხველს და რამენაირად დაასაბუთოს, რომ ჯაში სოციალ-დემოკრატიების შეგზავნილი მოურავია.

კვლევებში მიუთითებს, რომ ილიას მოურავობამდე, ჯაში მეფის ხელისუფლებას დაპატიმრებული ჰყავდა არა სისხლის სამართლის, არამედ პოლიტიკური დანაშაულებების ჩადენის გამო. მკითხველი ამას აღიქვამს ისე, თითქოს ჯაში

<sup>1</sup> გ.შარაძე, „ილია ჭაჭაყაძე“ ტ. II, გვ. 400, „ხელოვნება“, 1990 წ. თბილისი;

<sup>2</sup> ნ. გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“, 2010, თბ.;

ბრძოლებში გამობრძმედილი პოლიტიკური დამნაშავე ყოფილა. სანამ მკითხველი ამაში გაერკვევა, იმასაც იფიქრებს, რომ ქვემოთ ის წაიკითხავს დოკუმენტებს, სადაც ჩამოწერილი იქნება ჯაშის მრავალწლიანი გადასახლებისა და დაპატიმრების ქრონოლოგია. არა, ბატონებო, ჯაში, სანამ მოურავი გახდებოდა, დაპატიმრებული იყო მხოლოდ რამდენიმე კვირით, რაც ორი სიტყვით უკვე აღვნიშნეთ. უფრო ვრცლად მისი დაპატიმრობის მიზეზებს გავცნოთ სიმაშვილის მიერ არქივებში მიკვლეული დოკუმენტებით.

მიკვლეულია: „თბილისის საქალაქო პოლიციის მესამე ნაწილის პრისტავის 1906 წლის 15 თებერვლით დათარიღებული მოხსენება, გაგზავნილი თბილისის პოლიციის მესტერის სახელზე, და გენერალ-მაიორ გიმოფეევის 1906 წლის 16 თებერვლის დადგენილება „გაზეთ „ივერიის“ თანამშრომლის, დიმიტრი ჯაშის, მცხოვრები ქალაქ თბილისში, ვეძინის ქუჩაზე, გოგ(ია)შვილის სახლში, დაპატიმრების და მეტეხის ცხეში მოთავსების შესახებ“, სადაც მითითებულია, რომ „დიმიტრი ჯაშის დაპატიმრება მოხდა მის მიერ „რევოლუციური საქმეებისათვის“ ფულის შეგროვების გამო“.<sup>1</sup>

ბატონი სიმაშვილი საარქივო დოკუმენტებით დეტალურად გადმოგვცემს ჯაშის დაპატიმრების ამბავს: პოლიციის უბნის ზედამხედველობის კანდიდატ პუჩკოვს ბარონის ქუჩაზე შეუმჩნევია საეჭვო პირი, რომელიც მეფისნაცვლის სტამბაში შევიდა. გოროდოვოი სტაცეკს კომენდატურასთან მიუბრუნებია, უთხოვია დახმარება და ჯარისკაცების მეშვეობით დაუპატიმრებია საეჭვო პირი, რომელიც აღმოჩენილა დიმიტრი ჯაში.

დაკავებულს აღმოაჩნდა ქართულ ენაზე ნაწერი სხვადასხვა დოკუმენტი, მათ შორის, ჩანაწერებიანი წიგნაკი და წერილი. მასვე აღმოაჩნდა კაზაკების მიერ 1905 წლის 18 დეკემბერს მოკლული გრიგოლ ფარსადანის ძე ჯაშის გადასვენებისათვის საჭირო ფულის შემომწირველთა სია და საკონდიტროს მუშა-მოსამსახურეების მისამართით რუსულ ენაზე დაწერილი გაფიცვის მოწოდება.

პრისტავის მოხსენებაში, წერს ბატონი თენგიზი, აღნიშნულია: „ჯაში გაფიცვების ერთ-ერთი მოღვაწეა. საქმის მომდევნო ფურცლებზე მოთავსებულია დიმიტრი ჯაშისათვის აღმოჩენილი ქართულ ენაზე დაწერილი მაჩხანელის ლექსები: „მწყემსის ღიღინი“, „ელეგია“ და „გლეხის ანდერძი““.

მკითხველს შევასხენებთ, ვინ იყო დიმიტრი მაჩხანელი: სტეფანეჭრელაშვილის (ილიას დასთან დიმიტრის რეკომენდატორი - ავტ.) მეგობარი და თანამოაზრე, პოეტი, მწერალი. მაჩხანელის მოთხრობები, პიესები, პუბლიცისტური წერილები იბეჭდებოდა პრესაში. 1887 წელს ცალკე წიგნად გამოქვეყნდა მისი „ძმური სიტყვა“. მაჩხანელის ზოგიერთი ლექსი („ჩემ საყვარელ სამშობლოს“, „ვედრება“, „ტურფავ

<sup>1</sup> თ.სიმაშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბილისი;

მოდის, ნუ ხარ მტრულად") სიმღერად იქცა. დიმიტრი ჯამთან აღმოჩენილი ეს ნაწერები მოწმობს ლიტერატურისადმი მის ინტერესს და არარევოლუციონრობას.

ვიკითხოთ: საკონდიტროს მუშა-მოსამსახურეების მისამართით რუსულ ენაზე შედგენილი წერილი გაფიცვის მოწოდებით ჯამის დაწერილი იყო? პასუხი არ ჩანს. დავთანხმობთ ბატონ სიმამვილს და პრისიტავსაც - „ჯამი გაფიცვების ერთ-ერთი მოღვაწეა“. მიუხედავად ამისა, ეს სრულიად არ ეწინააღმდეგება იმას, რაც დიმიტრი-ზე ზემოთ ვთქვით: „...მისი სტატიები არ იყო რევოლუციური პათოსით გამსჭვალული“. გაფიცვებისკენ მოწოდება არ ნიშნავს რევოლუციისკენ მოწოდებას. ეს მხარეთა წინააღმდეგობის დაძლევის ერთ-ერთი მშვიდობიანი ღონისძიების ფორმაა. თუმცა, რუსეთის პირველი რევოლუციის დროს გაფიცვებისკენ მოწოდება, საეჭვოა, ვინმეს ასეთად მიეღო.

განვიხილოთ დიმიტრი ჯამის 1906 წლის 15 თებერვალს დაპატიმრებისას საქმეში ჩაკერებული მისთვის აღმოჩენილი „რევოლუციური“ მნიშვნელობის „სამხილები“.

1. მისი ბინის ჩხრეკისას ნანახი ქართული გაზეთები —1906 წლის 31 იანვრის „ცნობის ფურცლის“ N2992.

მკვლევარი წერს: „ამ გაზეთის კითხვისას თვალში მომხვდა ის, რომ აქ აღწერილია ხელისუფლების სადამსჯელო რაზმების მიერ ჩადენილი დანაშაულებები. მაგალითად, რუბრიკაში „ქართლში“ მოთავსებულია ინფორმაცია, რომ, 14 იანვარს მამბრის უფროს ლეონტიევს მეთაურობით ზემო-ნიქოზში კორნელი კასრაძის ძმას მღვდელ ალექსანდრე კასრაძეს სახლ-კარი გაუნადგურეს და დააპატიმრეს, რადგან მისი ძმა რევოლუციონერია“.<sup>1</sup>

ეს გაზეთი მარტო იმ საშინელებებზე კი არ წერდა, რასაც რუსის ჯარი ჩადიოდა ქართლში, კერძოდ ზემო-ნიქოზში, არამედ იმასაც, რაც ქუთაისში, სენაკში, ყვირილაში დატრიალებულა 1906 წლის იანვრის ბოლო ათ დღეში და რასაც იტყობინებოდა კორესპონდენტი ვ. ყ.

გარდა ამისა, ამ გაზეთში დაბეჭდილია პატარა ინფორმაციები, რომლებიც, შესაძლებელია, დიმიტრი ჯამისთვის საინტერესო იყო, მაგალითად, რომ კვირას, 29 იანვარს ქუთაისის საპყრობილედან გადმოიყვანეს გაზეთ „ვოზროჟდენიეს“ რედაქტორი პართენ გოთუა ან ის განცხადება, რომელიც ეხებოდა საომარი წესების ახსნის შემდეგ „პატარა გაზეთის“ ისევ გამოსვლას.

საინტერესოა, რატომ თვლის ბატონი სიმამვილი დიმიტრი ჯამის ბინის ჩხრეკისას აღმოჩენილ 1906 წლის 31 იანვრის „ცნობის ფურცლის“ ნომერს დიმიტრი ჯამის „რევოლუციონერობის“ სამხილად? ჩვენთვის ეს გაუგებარი დარჩა.ორი

<sup>1</sup> თ.სიმამვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბილისი;

კვირის გაზეთია, რა მოხდა რომ სახლში ჰქონდა რა ჩვენ ორი კვირის გაზეთები, სანამ ინერნეტს ავითვისებდით, არ გვექონია შენახული?

2. „პატარა გაზეთის“ 1906 წლის 1 იანვრის ნომერი. რუბრიკაში „რაამბავია“ არის შემდეგი ინფორმაცია — „გუმინ 30 დეკემბერს ადმინისტრაციამ რამოდენიმე კაცი დააპატიმრა: ფილიპე გოგიჩაიშვილი, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, პეტრე რამიშვილი, სოლომონ ვადაჭკორია, სამსონ ფირცხალავა და ილია ზურაბიშვილი“.

„პატარა გაზეთი“ ყოველდღიურად გამოდიოდა თბილისში 1906 წლის 1 იანვრიდან 2 აპრილამდე, გამოიცა 28 ნომერი, ჯამს შეუნახია მისი პირველი ნომერი. იქნებ, რადაცით მონაწილეობდა მის გამოცემაში. დაკავებულებსაც იცნობდა დიმიტრი ჯამი. მათი დაპატიმრების მიზეზი უნდა ყოფილიყო სავარაუდოდ ის, რომ 1905 წლის 15 დეკემბერს გაზეთმა „ივერიამ“ დაბეჭდა რევოლუციური მოწოდების ტექსტი „ყველა მოქალაქეს“.

საინტერესოა, დიმიტრი ჯამის მიერ დაწერილი გაფიცვის მოწოდება ბატონ სიმამშვილს რატომ აუჭვებს იმაში, რომ ჯამი რევოლუციონერია და „გაფიცვების ერთ-ერთი მოღვაწეა“? თუ ჯამს ამის გამო განიხილავს რევოლუციონერად, რატომ ასევე რევოლუციონერებად არ განიხილავს „ივერიის“ იმდროინდელ შემადგენლობას, რომელმაც 1905 წლის 15 დეკემბერს დაბეჭდა რევოლუციური მოწოდების ტექსტი „ყველა მოქალაქეს“. ბატონმა თენგიზმა კარგად იცის, რომ 1905 წლის პერიოდში ყველა რევოლუციონერობდა ან თანაგრძნობას უწევდა რევოლუციონერებს. მკითხველის ჯამის რევოლუციონერობაში დარწმუნება მისთვის, მხლოდ, ის საშუალებაა, მკითხველმა რომ იფიქროს, დიმიტრის მოურავად შეგზავნა ილიას მკვლელების დასახმარებლად, პარტიული დავალება იყო.

კიდევ უფრო გაურკვეველია, რატომ იყო ბატონი სიმამშვილისთვის „საინტერესო და შეიძლება ითქვას, არცთუ ისე მოულოდნელი“ დიმიტრი ჯამის დაპატიმრებისას აღმოჩენილი ჩანაწერებიანი წიგნაკი.

იგი წერს: „ჩანაწერების წიგნაკის 104-ე გვერდზე მითითებულია გაბზეთ „კვალის“ 1901 წლის N 15-ში მოთავსებული წერილის სათაური „მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეები“. ხოლო დიმიტრი ჯამის წიგნაკის 119-ე გვერდის ჩანაწერი შემდეგი შინაარსისაა: „ორი კვირის წინ თავადმა ილია ჭავჭავაძემ საგურამოში თავის დასაცავად კაზაკები მიიყვანა. კაზაკებმა ოთხი დღის წინ დაიჭირეს ორი ახალგაზრდა ქალი. გლეხები მათ გამოესარჩლნენ... და მეორეს გაუტყვეს თავი“. (გექსტის ბოლოს ცოტა გაურკვეველად წერია, ამიგომ მის ზუსტ თარგმანს ვერ ვაკეთებ) ...აშკარაა, დიმიტრი ჯამი დამოუკიდებლად არ აგროვებდა ინფორმაციას ილია ჭავჭავაძის საწინააღმდეგოდ“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> თ.სიმამშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბილისი;

რატომ მიაჩნია სიმაშვილს, რომ ჯამი ვიდაცის დავალებით ილიაზე ინფორმაციას აგროვებდა და, მით უფრო, მის საწინააღმდეგოდ? „მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეებში“ მართო ილია არ იგულისხმება. ეს რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდია, და ყველა ფაქტი, გაზეთში დაბეჭდილი, აინტერესებდა დიმიტრი ჯაშაძე, როგორც პუბლიცისტს; ამასთან, არა მართო ილიას შესახებ. იმხანად, ინფორმაცია ილიას შესახებ, როგორც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სულის ჩამდგმელზე, საქართველოში საბანკო საქმის ინიციატორზე, მწერალზე და საზოგადო მოღვაწეზე, მუდმივად იბეჭდებოდა, და ეს არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა. მაშ, რა საჭირო იყო ვინმესთვის მისი შეგროვება?

მეცნიერი, ჩანაწერების წიგნაკიდან მხოლოდ 104-ე და 119-ე გვერდების შინაარსს გადმოგვცემს. ილიაზე სხვა გვერდებზეც არის ინფორმაცია თუ არა, არ ვიცით. მაშ, რატომ მიიჩნევს იგი, რომ ჯამი ილიაზე ინფორმაციას აგროვებდა? რაც მთავარია, საიდან უჩნდება ეჭვი იმასთან დაკავშირებით, „...რაიმე კავშირი ხომ არ ჰქონდა მას, 1905 წელს ლეგალურად გამოშვებულ სოციალ-დემოკრატების „მოგზაურის“ მესვეურებთან?“<sup>1</sup>

მისი ეჭვი გაუმაგრებია და პირდაპირ დაუდასტურებია ფილიპე გოგიჩაიშვილის მოგონებას. ბატონი თენგიზი წერს: „ამრიგად, ამ დოკუმენტით პირდაპირ დასტურდება ფილიპე გოგიჩაიშვილის მოგონება. „1905-1906 წლებში ილიას წინააღმდეგ დაიწყო საშინელი კამპანია, „მოგზაურში“ დაიბეჭდა ილიას წინააღმდეგ წერილები“. „ივერიაში“ თანამშრომლების ნაწილი წინააღმდეგი იყო, რომ ილიას „მოგზაურის“ ცილისმამებლური სტატიის წინააღმდეგ „ივერიაში“ პასუხი დაებეჭდათ. მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონაწილე იყო ყოფილა დიმიტრი ჯამი. როგორც ფ. გოგიჩაიშვილი იგონებს, როდესაც მან ილიას პასუხი დამატების სახით, ცალკე გვერდად დაბეჭდა „ივერიაში“, დიმიტრი ჯამი შესულა რედაქციაში მასთან და უთქვამს: „წერილი მაქვს დაბეჭდილი ილიას წინააღმდეგ და უნდა დამიბეჭდოთ“.<sup>2</sup>

ბატონი სიმაშვილი, რომელიც აღიარებს პაატა გუგუშვილის წიგნს, როგორც ფაქტობრივად, ისევ უბრუნდება ამ წიგნს, მასში გოგიჩაიშვილის მოგონებას „ნუთუ?“-ს დაბეჭდვის შესახებ. გოგიჩაიშვილმა ეს წერილი-მოგონება პირველად „სახალხო გაზეთში“, 1913 წელს დაბეჭდა. 1937 წელს, გუგუშვილის დაკვეთით, იგი დაუბრუნდა „ივერიაში“ ილიას პასუხის „ნუთუ?“-ს დაბეჭდვის ამბავს, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად გოგიჩაიშვილის ნაამბობი ჩაიწერა გუგუშვილის გაგზავნილმა ლიტერატორმა, ალექსანდრე სიგუამ. ჩანაწერი გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატუ-

<sup>1</sup> თ.სიმაშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბილისი;

<sup>2</sup> ნ. გრიგალაშვილი, II, თანამდევნი სული“;

რულ საქართველოში" 1937 წლის 28 მაისს, გუგუშვილმა კი, 1938 წელს თავის წიგნში შეიტანა.

ნოდარ გრიგალაშვილი ამ ორ წერილს ერთმანეთს ადარებს და ხაზს უსვამს მათ შორის არსებულ განსხვავებას. ის წერს: „გოგიჩაიშვილმა 1913 წელს დაწერა „როგორ იწერებოდა „ნუთუ?“ და „უკვდავი ბოროტება“. ჭაშის ხსენება არ არის. ავტორი ლანძღავს ფილიპე მახარაძეს. 1937 წელს კი ქვეყნდება გოგიჩაიშვილის იგივე წერილი „როგორ იწერებოდა „ნუთუ?“ სადაც ხსენება არ არის ფილიპე მახარაძისა, სამაგიეროდ ლაპარაკია იმაზე, რომ ჭაში წინააღმდეგი იყო 1905 წელს „ივერიაში“ ილიას პასუხის დაბეჭდვისა, რომ ის სტამბის მუშების გათფიცვით იმუქრებოდა. ...გოგიჩაიშვილი 1913 წელს არ მოერიდა ბოლშევიკთა ბელადის, ფილიპე მახარაძის ხსენებას და შეეძინდა ბოგანო ჭაშის? ან ია ეკლადე რატომ არ ახსენებს ამ ჭაშს, ეკლადეს ხომ 1905-ში „ივერიაში“ უმუშავია?...ვინ არის ამ დროისათვის დიმიტრი ჭაში? 20-21 წლის ასოთამწყობი თუ უკვე კორექტორი... სად არის ლოგიკა? ლოგიკა იმაშია, რომ 1938 წელს გოგიჩაიშვილი და გუგუშვილი, მასწავლებელი და მისი ყოფილი სტუდენტი, ასრულებენ კომუნისტების დავალებას და წერენ ცყუილებს... მაშ ასე, დაილო დოკუმენტი, თურმე ჭაში ილიას სიძულვილით ილიას წერილის არდაბეჭდვას მოით- ხოვდა... კეთილი და პატიოსანი, მაგრამ დავაფიქსიროთ, რომ ეს დოკუმენტი იდება მხოლოდ 1938 წელს, მანამდე არც ერთ მკვლევარს არ უხსენებია არც ჭაშის მუქარა და არც მისი ასოთამწყობად მუშაობის ამბავი. ...“<sup>1</sup>

გოგიჩაიშვილის ამ ორ მოგონებას შორის განსხვავების მიზეზი უფრო ადრე, 2000 წელს ახსნა ალექსანდრე შუმანაშვილმა, რომელსაც ქვემოთ, ცალკე თავში შევხებით.

ბატონი თენგიზ სიმაშვილი, მკვლევარი, რომელიც დოკუმენტურად განიხილავს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებებს და ამასთან დაკავშირებულ 1930-იანი წლების პუბლიკაციებს და 1941-42 წლების სასამართლოს დოკუმენტებს მიიჩნევს ფალსიფიკაციად, გაურკვეველია, რატომ იშველიებს არგუმენტად იმავე პერიოდის ყალბ ჩვენებებს? მან ხომ იცის, ამასთან დაკავშირებით რას წერენ ალექსანდრე შუმანაშვილი და ნოდარ გრიგალაშვილი. და მაინც, მიზანმიმართულად იმეორებს იმ სიცრუეს, რაც გოგიჩაიშვილმა და სიგუამ გუგუშვილის „თხოვნა-დავალებით“ შექმნეს. როგორც ჩანს, ბატონ თენგიზს არ ჰყოფნის არგუმენტები დიმიტრი ჭაშის ბრალდებისთვის და მეოცე საუკუნის 30-იანი წლების ფალსიფიკაციებს ეყრდნობა.

ამის დასტურია, აგრეთვე, მისი შემდეგი მოსაზრება: „ამრიგად, 1941 წელს 5 ივნისს, წინასწარი დაკითხვისას, გიგლა ბერბიჭაშვილი, შემთხვევით არ უთითებდა ვანო

<sup>1</sup> ნ. გრიგალაშვილი, II „თანამდევნი სული“ გვ.448;

ინაშეიღბე და, რაც მთავარია, დიმიტრი ჯაშვი, რომ მათ ამოქონდათ გაბეიბები და მთავრობის და მემაბულეების, განსაკუთრებით, ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ გველა-პარაკებოდნენ, გაბეიბებში დაბეჭდილ წერილებს „გვიკითხავდნენ და გვიჩვენებდნენო.“ როგორც ბემოთ მოყვანილი მასალების ანალიზიდან ჩანს, დიმიტრი ჯაში სოციალ-დემოკრატიების მიერ ილიას წინააღმდეგ წარმოებულ აგიტაცია-პროპაგანდაში აქტიუ-რად იყო ჩართული“.<sup>1</sup>

სამწუხაროა - ამ კონკრეტულ კონტექსტთან დაკავშირებით, ბატონი თენგიზი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საბჭოთა გამოძიებაზე დაყრდნობით, ტყუილ-მართ-ლის ლაბირინთებში დაიკარგა. ბატონი სიმამვილის ზემოთ მოყვანილ ციტატაში ჩვენ ხაზგასმით გამოვყავით სიტყვა - „რაც მთავარია“. მისთვის მთავარია, მკითხვე-ლი დაარწმუნოს ჯაშის ბრალეულობაში, მაგრამ არ გამოსდის. მას შევანსებთ 1942 წლის სასამართლოს დოკუმენტებიდან ჯაშის მისამართით ბერბიჭაშვილის მიერ ნათქვამ სიტყვებს, რაც -არ უნდა გაპარულიყო საბჭოთა სასამართლოს დოკუმენტებ-ში, მაგრამ რაღაც ძალით ისინი შემორჩა. აი ისიც: „1941 წლის 25 დეკემბერი - 1942 წლის 5 იანვარი. ამონაწერი გიორგი ბერბიჭაშვილის ბრალდების საქმის სამსჯავრო განხილვის ოქმიდან. „...გამოქვეყნდა საბრალდებო დასკვნა. ბრალდებულ ბერბი-ჭაშვილს მიეცა სიტყვა ახსნა-განმარტებისათვის მისი ბრალდების გამო: „პატივცემულო მოსამართლენო! ჯერ ერთი ის, რომ ძიებაში ჩემი სიტყვები არა ჩანს, იქ სულ სხვა სიტყვებია ჩანერილი. თითქოს მე ჯაშს ვიცნობდი, როცა მისი სახე სულ არ მინახავს. ...მე პირადად არათერი არ ვიცოდი ჯაშის შესახებ... ჯაშის შესახებ არა ვიცი რა. შეიძ-ლება იყო, შეიძლება არ იყო მთავრობის ახლობელი... მე სრულიად არ ვიცი, ჯაში ვინ იყო. ახლა ვხედავ თქვენთან, თუ ვინ ყოფილა ჯაში...“<sup>2</sup>

აქ შეიძლება მკითხველს კითხვა გაუჩნდეს: ბერბიჭაშვილი რატომ აპელირებს ასე ძალიან ჯაშის ცნობა-არცნობაზე? ჯაშთან ნაცნობობა ედებოდა ბრალად?

ამ კითხვაზე პასუხი ჩვენის აზრით, ასეთია: რადგან დიმიტრი ჯაშის 1909-1911 წლებში „ოხრანკასთან“ თანამშრომლობა გახდა იმის საბაბი, რომ მისთვის დაებრა-ლებინათ ილიას მკვლელობის ხელმძღვანელობა, ბერბიჭაშვილს კი 1907 წლის გამოძიებით ბრალად ედებოდა ილიას მკვლელობაში უშუალო მონაწილეობა, 1942 წლის სასამართლომ ბერბიჭაშვილს დამატებით ბრალდება წაუყენა, რომ იგი —ბერ-ბიჭაშვილი — დიმიტრი ჯაშის, ანუ „ოხრანკის“ აგენტის დავალებას ასრულებდა. ამ მიზეზით ის ალაღად უარყოფს დიმიტრისთან ნაცნობობას. მაგრამ მას არ უარყვია ილიას მკვლელობაში მონაწილეობა. მან ჯაშის ნაცნობობის გარეშე მიიღო ილიას მკვლელობაში მონაწილეობა.

<sup>1</sup> თ. სიმამილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბ;

<sup>2</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილ. ჭავჭავაძის მკვლელობა“, წ. გვ 254, თბ. 1996 წ;

თენგიზ სიმაშვილი კარგად იცნობს 1942 წლის სასამართლოს დოკუმენტებს. აქ მისი დასკვნები იმდენად სუსტია, რომ მეცნიერებათა დოქტორის ნაშრომს არ შეეფერება. იგი მანიპულირებს მკითხველის ყურადღებაზე, რომელიც მის ნაწერს ინფორმაციის სახით იღებს და არც ფიქრობს, იგი კრიტიკულად გაარჩიოს - სად და როდის არის ბატონი სიმაშვილის მიერ დაწერილი აზრები ურთიერთსაწინააღმდეგო.

დავუბრუნდეთ ჯაშის დაპატიმრებისას აღმოჩენილ ჩანაწერების წიგნაკს და მასთან დაკავშირებით სიმაშვილის მსჯელობას.

„ჩანაწერებიანი წიგნაკი“ თუ დათარიღებულია, გვეცოდინება, რომელი ჩანაწერი როდის არის გაკეთებული. თუ არ არის დათარიღებული, უნდა ვიფიქროთ, რომ 119-ე გვერდის ჩანაწერი 1905 წლის აპრილამდე არ არის გაკეთებული, რადგან ამ შემთხვევაში მეცნიერი ეჭვს კი არ გამოთქვამდა - „რაიმე კავშირი ხომ არ ჰქონდა მას 1905 წელს (აპრილში — ავტ.) ლეგალურად გამოშვებულ სოციალ-დემოკრატების „მოგზაური“-ს მესვეურებთან“, არამედ პირდაპირ დაწერდა: ეს იყო საფუძველი „მოგზაურის“ წერილისათ. რადგანაც ეს არ დაწერა, უნდა ვიფიქროთ, რომ 119-ე გვერდის ჩანაწერი გაკეთებულია 1905 წლის აპრილის შემდეგ. ე. ი. მას არანაირი კავშირი არ ჰქონია 1905 წლის 10 აპრილს დაბეჭდილ სოციალ-დემოკრატების ჟურნალ „მოგზაურის“ კორესპონდენციებთან.

ჟურნალ „მოგზაურში“ წერილი ილიას მისამართით დაიბეჭდა 1905 წლის 10 აპრილს, მე-13 ნომერში. ეს კორესპონდენცია გადმობეჭდა „ივერიამ“ 54-ე ნომერში, ხოლო სამი კვირის შემდეგ „ივერიის“ დამატებაში დაიბეჭდა ილიას პასუხი „ნუთუ“? ბუნებრივია, ამ პასუხს იმდროინდელი ქართველობა კარგად იცნობდა და რა გასაკვირია, რომ იქ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, სტრაჟნიკების - კაზაკების ჩაყენება-არჩაყენების საკითხი, დიმიტრის, როგორც მოქმედი პუბლიცისტის, მუდმივი ყურადღების ქვეშ ყოფილიყო.

ილიამ, როგორც თვითონ აღნიშნავს „ნუთუ“-ში, მაზრის უფროსს ადრე მართლაც სთხოვა მისი მამულის დასაცავად სამი „სტრაჟნიკი“ გაეგზავნა, შესაძლებელია, კიდევ ითხოვა, რის შესახებაც დიმიტრიმ გაიგო და ჩაინიშნა, როგორც პუბლიცისტმა.

ბატონმა სიმაშვილმა სამართლიანად იკითხა: დაპატიმრებისას ჩამორთმეული ნივთმტკიცებებიდან რატომ გაქრა წერილი საკონდიტროს მუშა-მოსამსახურეებისათვის გაფიცვის მოწოდებით? რატომ არ არის დაფიქსირებული ფულადი თანხა? აგრეთვე, რატომ არ ადასტურებს უბნის ზედამხედველი გაზეთებისა და წერილების, რაც დიმიტრი ჯაშს აღმოუჩინეს, რევოლუციურ შინაარსს? თუმცა, ამ უკანასკნელზე ვიცით უბნის ზედამხედველის პასუხი: „ქართულის არცოდნის გამო მას აღმოჩენილი მასალები ანტისახელმწიფოებრივი შინაარსისა ეგონა“, მაგრამ ბატონ თენგიზს არ აკმაყოფილებს უბნის ზედამხედველის განმარტება და ყოველივეზე პასუხს, არალოგიკურად, ჯაშის შესაძლო მოქმედებებს უკავშირებს, და სურს გამოიყენოს მისი რევოლუციური საქმიანობის სამხილად. იგი წერს: „თავისთავად ეს ფაქტი საინტერესოა, რადგან გაურკვეველია, რამ გამოიწვია მისი შეხედულებების ასეთი უცაბედი ცრანსფორ-

მაცია. შესაძლოა, ამის მიზეზი იყო ქრთამი, დაშინება ან სხვა. ამის ზუსტი დადგენა უფრო ღრმა, ცალკე ანალიზს საჭიროებს, რასაც შემდგომში შევეცდები<sup>1</sup>.

დაპატიმრებულ დიმიტრის არ შეეძლო მოქრთამა, თუნდაც შეგროვებული ფულით, მის დაპატიმრებაში ჩართული პოლიციის სულ ცოტა, ხუთი მოხელე. თუ მას ფული ხელზე ჰქონდა, შესაძლებელია დაუკითხავად ჩაეჯიბათ, მერე კი არც დაინტერესებულ იყვნენ გაზეთებისა თუ ჩანაწერების რევოლუციური შინაარსით, არც გაფიცვის მოწოდების შემცველი ერთი ხელნაწერით.

იქნებ, ფული ხელზე არ ჰქონდა, უკვე მიტანილი იყო, სადაც უნდა მიეტანა, ან დაუკითხავად დახარჯა არამიზნობრივად? ამ საკითხისა და შესაძლებელი მოქრთამვის დადგენას ბატონი თენგიზი, როგორც თავად წერს, შემდგომში შეეცდება.

„რევოლუციური შინაარსის აკრძალულ ლიტერატურასთან“ დაკავშირებით მოგახსენეთ ჩვენი შეხედულება. ახლა განვიხილოთ საქმეში ჩაკერებული ფულის გადახდის ხელნაწერი ფურცლები. ერთ-ერთ ფურცელს აწერია: „შემოწირულობა გადასატანად ნემთისა 18 ქრისტეშობასთვის გასული წლისა კაზაკებისაგან მოკლული მილიციონერის გრიგოლ ფარსადანის ძე ჯაშისა, თბილისიდან სადგურ საჯავახოში“. სხვა ფურცელს აწერია: „შემოწირულობა ნესტორ შაფაქიძის მეუღლის დასამარხად“. გრიგოლ ფარსადანის ძე ჯაში წარმოშობით სოფელ ზემო აბაშიდან ყოფილა, როგორც დიმიტრი.

პროფესორი სიმამილი წერს: „დიმიტრი ჯაში ფულს აგროვებდა სოციალ-დემოკრატიების „სამხედრო სალაროსათვის“. იგი ახლოს იყო „მთანმინდის ჯგუფთან“. აღმოჩნდა, რომ „მთანმინდის ჯგუფის“ წევრებთან დაახლოებული, ილიკო იმერლიშვილის ბავშვობის მეგობარი, მასთან ერთად სტამბუბში ნამუშევარი დიმიტრი ჯაშიც უშუალოდ იყო ჩართული ამ სახის საქმიანობაში. დიმიტრი ჯაში დააპატიმრეს თბილისის პოლიციის მეორე ნაწილის რაიონში გოროდოვოებმა, რადგან რევოლუციური მიზნებისათვის შემოწირულობების შეგროვებას ეწეოდა. ...კონსპირაციის მიზნით არის ფულის შეკრების უწყისები ასეთი სახით გაკეთებული, რადგან ფულის შემკრებები დიმიტრი ჯაშთან ერთად სწორედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის, და სავარაუდოდ, ბოლშევიკური ფრთის წარმომადგენლები იყვნენ. მოკლული გრიგოლ ფარსადანის ძე ჯაში სოციალ-დემოკრატიების „საბრძოლო რაზმის“ წევრი იყო. ის 1906 წლის (უნდა იყოს 1905 წლის - ავტ.) 18 დეკემბერს „ნაძალადევი“ ხელისუფლების დამსჯელი რაზმებისა და სოციალ-დემოკრატიების „საბრძოლო რაზმის“ წევრების შეგაკებისას დაღუპულა. მასთან ერთად მოკლულ იქნა ცხრა „რაზმელი“ შესაბამისად, ეს ადამიანებიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ზოგი მენშევიკებს და ზოგიც ბოლშევიკებს ეკუთვნოდნენ“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> თ. სიმამილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბ;

<sup>2</sup> თ. სიმამილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბ;

აქ კი მკითხველს ვთხოვთ მეტი გულისყურით წაიკითხოს: „1906 წლის 22 თებერვალს, სახელმწიფო დანაშაულის ჩადენის მტკიცებულებების არარსებობის გამო, დიმიტრი ჯაშის წინააღმდეგ აღძრული საქმისწარმოება შეწყდა“.<sup>1</sup>

ამით პასუხი გაცა მკვლევრის ზემოთ მოყვანილ წინადადებას, დავინახეთ, სახელმწიფო დანაშაულის ჩადენის მტკიცებულებების არარსებობის გამო, დიმიტრი ჯაშის წინააღმდეგ აღძრული საქმის წარმოება შეწყდა, ე.ი. პოლიტიკური დანაშაული არ ჩაუდენია.

არ დადასტურდა „რევოლუციური საქმეებისათვის ფულის შეგროვება“. სხვაგვარად მას არ გაათავისუფლებდნენ, - გაასამართლებდნენ.

ჩვენ მაინც ვიკითხოთ: რატომ ეხმარებოდა დიმიტრი ჯაში რევოლუციონერებს შემოწირულობების შეგროვებაში?

სანამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, წავიკითხოთ ამასთან დაკავშირებით ბატონ სიმამილის დასკვნა: „ცხადია, რომ დიმიტრი ჯაში, გამომდინარე მისი საქმიანობიდან, ფულის გამოძალვას დამოუკიდებლად ვერ გაბედავდა“.<sup>2</sup> პროფესორის აზრით, დიმიტრი შემოწირულობებს კი არ აგროვებდა, არამედ ეწეოდა ფულის გამოძალვას. მისივე მიკვლეულია დოკუმენტი, - ძველი რევოლუციონერის მოგონება: „სახსრების უკეთ შეგროვების მიზნით, სოციალ-დემოკრატიული პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტებმა გამოუშვეს ფურცლები, სადაც აღნიშნული იყო, თუ რომელი კომიტეტის „საბრძოლო სალაროს სასარგებლოდ“ შეჰქონდათ ფული, ვის და რამდენი შეჰქონდა. სალაროში ფულის შემტანს კომიტეტის ბეჭედისმული ქვითარი ეძლეოდა“.<sup>3</sup> დიმიტრიც, როგორც იმ დროს სოცდემოკრატების თანამგრძობი, მოწოდების ფურცლით ხელში, ფულის გამოძალვას კი არ ეწეოდა, არამედ შემოწირულობის სახით აგროვებდა ფულს.

გიორგი ლასხიშვილი თავის მოგონებაში 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ფულის შემოწირულობების ფაქტებს როცა იხსენებს, წერს: „ეს ფაქტი საკმაოდ დამახასიათებელია იმისა, თუ როგორი სულიერი განწყობილება და როგორი გამბედაობა სუფევდა მაშინ რუსეთის ოპოზიციონურ და ინტელიგენტთა მასაში. აღვნიშნავ კიდევ, რომ კრების მონაწილეთა შორის თავისუფლად გროვდებოდა შეწირულება «В. В»-სათვის. ამ ასლებით გულისხმობდნენ მომავალ „შეიარაღებულ აჯანყებას“ (**Вооруженное восстание**)“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> თ. სიმამილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბ;

<sup>2</sup> თ. სიმამილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბ;

<sup>3</sup> თ. სიმამილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ. თბ;

<sup>4</sup> გ. ლასხიშვილი, „მემუარები“, 1935 წ. თბილისი;

ფულადი შემოწირულობების შეგროვების მიმართ გიორგი ლასხიშვილის ასეთი განწყობის მიუხედავად, დიმიტრი ჯაშის ამ საქმეში მონაწილეობაში ჩვენ სხვა მოტივსაც ვხედავთ.

XX საუკუნის დასაწყისში თბილისის მოსახლეობა თითქმის ორჯერ გაიზარდა. ქართველი მოსახლეობის მატება, სხვადასხვა ფაქტორთან ერთად, დასავლეთ საქართველოდან ჩამოსულთა ხარჯზეც ხდებოდა, რომლებიც ერთმანეთთან, ქართული ბუნებიდან გამომდინარე, მჭიდრო კავშირს ამყარებდნენ. გაჭირვების ჟამს ერთმანეთს გვერდში ედგნენ, მით უფრო, ერთი სოფლის და კუთხის ხალხი. ჯაშის მიერ შემოწირულობების შეგროვება, უპირველესად, სწორედ ასეთი ურთიერთობის გამოვლენა გახლდათ. დიმიტრი ჯაში მოკლულ გრიგოლ ჯაშზე ორი წლით უფროსი იყო, ორივე თანასოფლელები არიან, მაგრამ დიმიტრი ჯაში შეიარაღებულ შეტაკებაში არამარტო მასთან ერთად, არამედ საერთოდ არ მონაწილეობს, თუმცა თანაგრძნობას გამოხატავს მოკლულის მიმართ და მოკლულის თანაპარტიელებთან ერთად მონაწილეობს ფულის შეგროვებაში.

ისტორიულ წყაროებში გვხვდება ისეთი ფაქტები, როცა ახალგაზრდას ჯერ კიდევ არა აქვს პარტიული ორიენტაცია, იგი მერყევია და ერთდროულად სხვადასხვა რევოლუციურ პარტიას თანაუგრძნობს.

ამ აზრს ამყარებს სიმაშვილის მიერ მოძიებული დოკუმენტები. იგი წერს: „საიდუმლო პოლიციის მისაღებად დიმიტრი ჯაში თავდაპირველად დასახელებულია სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის, ხოლო ქრთნოლოგიურად მომდევნო დოკუმენტებში კი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრად და ამ პარტიის მხარდამჭერი ქმედებების განმარტაციულად. მაგალითად, 1905 წლით დათარიღებულ თბილისის „ობრანის“ განყოფილების საქმეებში არსებული სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის თბილისის ჯგუფში შემავალი პირების სიაში... დიმიტრი სოფრომის ძე ჯაში დასახელებულია გემოაღნიშნული პარტიის წევრად და გაბეთ „ივერიის“ თანამშრომლად.

საარქივო დოკუმენტებში, ამ ადამიანებისგან განსხვავებით, დ. ჯაშზე შედარებით ვრცელი ინფორმაციაა მოცემული. კერძოდ, აღნიშნულია, რომ: „დიმიტრი ჯაში... ეკუთვნის სოციალისტ-ფედერალისტების პარტიას... იგი მონაწილეობას იღებდა ასევე მუშების ანგისახელმწიფოებრივ შეკრებებში, დანაშაულებრივი მონაწილეების (პროკლამაციების) გავრცელებაში, შემოწირულობების შეგროვებაში...“<sup>1</sup>

იმას, რომ დიმიტრი ჟანდარმერიას სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრთა სიაშიც ჰყავს, მკვლევარი ჟანდარმერიის შეცდომად მიიჩნევს. სავსებით შესაძლებელია, მაგრამ, იქნებ არ არის შეცდომა? იქნებ იგი მართლაც უფრო მეტად

<sup>1</sup> თენგიზ სიმაშვილი ინერნეტ ბლოგი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და დოკუმენტების დადაი“, 2015 წ;

თანაუგრძობდა იმ დროს ფედერალისტებს, მაგრამ მათ იგი თავიანთ პარტიაში არ მიიღეს. თუმცა ეს ბატონ სიმაშვილს არ აინტერესებს — მთავარია, მოინახოს რაც შეიძლება მეტი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს დიმიტრი ჯაშის სიახლოვეს სოციალ-დემოკრატების ბოლშევიკურ ფრთასთან.

ვარაუდი დიმიტრი ჯაშის სოცდემოკრატიობის შესახებ ვარაუდად დარჩა. ჯერჯერობით, არ გამოჩნდა დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს ამ პარტიისადმი დიმიტრი ჯაშის მიკუთვნებულობას.

## კ) მოურავობის შემდეგ ჩადენილი დანაშაულის შესახებ

საარქივო დოკუმენტები, რომლებიც დიმიტრი ჯაშის მიერ ჩადენილ დანაშაულობებზე მეტყველებს, თენგიზ სიმაშვილს დაკვირვებით შეუსწავლია. ფაქტები ჯიუტია, დიმიტრი ჯაშის მიერ მოურავობის შემდეგ ჩადენილი უკანონო ქმედებებიც წარმოაჩენს დიმიტრის, როგორც დამნაშავეს. მიუხედავად ამისა, მკვლევარი არ უნდა ცდილობდეს, რომ ჯაშის დანაშაულებრივი ფაქტები ისე აღწეროს, რომ ისინი გამოყენებული იქნეს მკითხველის დასარწმუნებლად, თითქოს ასეთი დამნაშავე ილიას მკვლელობის მომზადებაში აუცილებლად მიიღებდა მონაწილეობას. თენგიზ სიმაშვილი, როგორც მკვლევარი, საზოგადოების მაღალი ინტერესებიდან გამომდინარე, ვალდებულია საამკარაოზე გამოიტანოს დიმიტრი ჯაშის ცხოვრება. მას დიმიტრი ჯაში აინტერესებს, როგორც მხოლოდ ილიას ყოფილი მოურავი, სხვაგვარად, არც დაინტერესდებოდა მოურავობის შემდეგ ჯაშის მიერ ჩადენილი დანაშაულით. მკვლევრისა და მეცნიერის სტატუსი კი ავალდებულებს, მკითხველს ობიექტურად დაანახოს ფაქტები ჯაშის ცხოვრებიდან, მით უფრო, კრიმინალური, რაც არანაირად არ ეხება ილია ჭავჭავაძესთან მოურავად მისი ყოფნის პერიოდს. ვნახოთ, რამდენად ობიექტურია ამ საკითხში მეცნიერი.

დიმიტრი ჯაშის დანაშაულებრივი ფაქტების გადმოცემას ბატონი თენგიზ სიმაშვილი ასე იწყებს: „დიმიტრი ჯაშის აგენტურული საქმიანობის გამჟღავნება და ე. წ. „პროვოკატორად“ მოხსენიება უკავშირდება 1911 წელს მომხდარ შემდეგ ისტორიას: „საარქივო მასალებით, ივანე კობლაგაძეს, მისი არასრულწლოვნების გამო, მეურვედ დიმიტრი ჯაში ჰყოლია დანიშნული. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ივანე სიმონის ძე კობლაგაძეს ფეხზე გრამვაიმ გადაუარა, დაინვალიდდა და მისთვის საკომპენსაციო 4000 მანეთი მიუციათ. დიმიტრი ჯაშს და ივანე კობლაგაძეს გადაუწყვეტიათ ერთობლივი საქმიანობის დაწყება, თბილისში ე. წ. „ნიკოლაევსკის ნომრების“ (სასტუმრო) დაქირავება

და მართვა. მათ ი. კობლაგაძის მიერ მიღებული ზემოდ - ასახელებული თანხით უყიდიათ სასტუმროსათვის საჭირო ინვენტარი, მაგრამ სასტუმროს ასამუშავებლად ჩასადები თანხის მეორე ნაწილი დ. ჯაშს ვერ მოუძიებია. მას ფული არ ჰქონდა და ამით უსარგებელია ნ. ენიკოლოპოვს, რომელმაც ჯერ არასასურველი მეურვისგან განთავისუფლება ასწავლა ი. კობლაგაძეს, ხოლო შემდეგ დიმიტრი ჯაშის მაგივრად მისი მეურვე და „კომპანიონი“ გახდა დასახელებული სასტუმროს მართვაში.<sup>1</sup>

რაც მკვლევარმა გადმოგვცა, სიმართლეა. დავამატებთ რამდენიმე სიტყვას.

ნიკოლოზ ენიკოლოპოვმა, რომელიც ნომრებს ადრე მართავდა და რაღაც მიზეზის გამო ამ საქმეს ჩამოშორდა ან ჩამოაშორეს, კობლაგაძეს პარტნიორობა შესთავაზა; სავარაუდოდ, თავისი გამოცდილების გათვალისწინებით და საქმეში თანხის დროულად ჩადებით. კობლაგაძე წინადადებას უყოყმანოდ დათანხმდა. დიმიტრის მიერ გაწეული შრომა - ბიუროკრატიულ აპარატთან ურთიერთობა, რუსულად სათანადო ფორმულირებებით განცხადებების შედგენა, მიღებული პასუხებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ინსტანციაში სიარული, რის შედეგადაც კობლაგაძემ მალე მიიღო კომპენსაცია - 4000 მანეთი, შემდეგ, საიჯარო წესით სასტუმრო ნომრების გაფორმებისთვის დიმიტრის დამატებითი აქტიურობაც - კობლაგაძემ არაფრად ჩააგდო, რადგან დიმიტრიმ მისი წილი თანხის წარმოდგენა დროზე ვერ მოახერხა და იგი სასტუმროს ნომრების თანამმართველი ვერ გახდა. კობლაგაძე, დიმიტრის მიერ გაწეული საქმიანობის მიუხედავად, ენიკოლოპოვს გაურიგდა და დიმიტრის ზურგი აქცია. დიმიტრიმაც ჩათვალა, რომ უსამართლოდ მოექცნენ და სასტუმროს საქმიანობიდან გამოძევებულმა, გადაწყვიტა, შური ეძია, მათ შორის იმაზეც, ვისაც ადრე მეურვეობას უწევდა. დიმიტრი იმ დროს „ოხრანკის“ საიდუმლო აგენტიც იყო, ალბათ, ენიკოლოპოვის არალეგალური, ამასთან, დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებაც იცოდა და „ოხრანკას“ ინფორმაცია მიაწოდა სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში მის მიერ ჩაღებულ ბომბების შესახებ.

დიმიტრი ჯაშის პროვოკაციულ საქციელზე და ენიკოლოპოვის რეპუტაციაზე მეტყველებს თენგიზ სიმაშვილის მიერ მიკვლეული როტმისტრ ლეჟ კარპოვის 1911 წლის 25 ივნისის, თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსისადმი გაგზავნილი წერილი.. იგი წერს: „1911 წლის 23 ივნისს მიიღო აგენტურული მონაცემები იმის შესახებ, რომ შესაძლებელია აღმოჩენილი იქნეს სასტუმრო „ნიკოლაეფსკის ნომრებში“, ნეკრასოვის ქ. N3 სახლში ბომბები ასაფეთქებელი ნივთიერებებით, აქ ჩართული უნდა იყოს ამ ნომრების მეპატრონე ენიკოლოპოვი... ჩაგარდა ჩხრეკა.. სასტუმროს მე-12 ნომრის ლუმელში აღმოჩინეს ოთხი ბომბი ... და ენიკოლოპოვის

---

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ.; თბილისი;

სახელზე სასტუმროს ბლანკზე ხელმოწერილი წერილი. წერილში ნახსენები იყო ნომრების ენიკოლოპოვის თანამესაკუთრე კოპლაცაძეც. შიგ ეწერა ამ ბომბებისა და დამატებით ორი მაუზერის შესახებ, რომელიც უნდა ეშოვათ. სათანადო ექსპერტიზით დადგინდა, რომ ბომბები სინამდვილეში მხოლოდ ბომბების მეგალის გარსია, რომელიც შესაძლებელია საჭირო შემთხვევაში დაიგნოს. ...ნიკოლოზ ენიკოლოპოვმა თავი იმართლა, რომ ბომბების გარსები და წერილი ბუხარში შეიძლება ჩაეწყო ამ ნომერში აღრე მცხოვრებ მაქსიმე ლომჟარიას, მასზე - ენიკოპოლოვზე შურისძიების მიზნით... მეორე ვარაუდით - დიმიტრი სოფრომის ძე ჯაშს...“<sup>1</sup>

**ჩადენილი დანაშაულისათვის დიმიტრი ჯაში დამსახურებულად დააპატიმრეს და გაასამართლეს. ამასთან, სასამართლო პროცესზე გამომჟღავნდა, რომ იგი საიდუმლო აგენტი ყოფილა. რის გამოც, არსებული წესების თანახმად, იგი „ოხრანკიდან“ დაითხოვეს.**

**როტმისტრი ლევ კარპოვი 1911 წლის 25 ივნისს გაგზავნილ წერილში, აღნიშნულის გარდა, კიდევ წერს:** „...ნიკოლოზ ენიკოლოპოვი ცნობილი არალეგალურად მოქმედი იატაქვეშა ადვოკატია. 1909 წელს თბილისელი მდიდრის გრიგორი ბაიანდუროვის სიკვდილის შემდეგ, მთელი მისი ქონება უნდა გადასულიყო ბაიანდუროვის დაქვრივებული ცოლის სახელზე. ბაიანდუროვის მოგვარეები პრეგნზიას აცხადებდნენ ნათესავის სიმდიდრეზე. ერთ-ერთმა — ნიკოლოზ ბაიანდუროვმა დახმარებისათვის მიმართა იატაქვეშა ადვოკატს ენიკოპოლოვს. ნიკოლოზ ბაიანდუროვი და ნიკოლოზ ენიკოპოლოვი სახლის პირობებში შეთანხმდნენ იმაზე, რომ საქმის მოგების შემთხვევაში ნიკოლოზ ბაიანდუროვი ენიკოპოლოვს მისცემდა მიღებული შემკვიდრების ნახევარს. დაქვრივებულმა ცოლმა თავისი საქმის წარმოება მიანდო თავის ძმას კაჩაროვს. მას მერე, რაც ნიკოლოზ ბაიანდუროვი და ნიკოლოზ ენიკოპოლოვი საქმეზე შეთანხმდნენ, ქვრივის ძმის სახელზე შექარის წერილები იგზავნებოდა. აგრეთვე, მისი სახლის სადარბაზოსთან ბომბიც აფეთქდა, მაგრამ არავინ დაშავებულა. ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ ყოველივეს ინიციატორი ენიკოპოლოვი იყო. რის გამოც მის თანამშრომელთან ერთად იგი დაპატიმრებული იქნა და თბილისის პოლიცემისგერის სახელზე 1909 წლის 4 აპრილს აღნიშნულზე წარედგინა პატაკი N526, აგრეთვე შუამდგომლობა, თბილისის გენერალ-გუბერნატორობის გერიტორიიდან მისი გასახლების შესახებ.

1910 წელს თბილისის პოლიცემისგერის სახელზე შევიდა ენიკოპოლოვის თხოვნა, რომ მას დაბრუნებოდა მისი სახლის ჩხრეკისას ჩამორთმეული ნივთები. ბერდანკა N64908 და რეველვერი „ნავანის“ სისგემის და მისი 34 ცყვია. იმავე წლის

<sup>1</sup> თ. სიმაშილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ.;

9 მარტს თბილისის პოლიცემისგერმა თავის უწყებიდან მიიღო წარდგინება N733, ზედ თანდართული ცნობით, რომ ენიკოპოლოვის იარაღების შესახებ ინფორმაცია არ მოეპოვებათ.<sup>1</sup>

მიკვლევული საარქივო დოკუმენტების შინაარსს სიმაშვილი გადმოგვცემს არასრულად. ვერ ვიტყვით, რომ იგი აქ არაობიექტურია, მაგრამ აღწერილი ფაქტის გადმოცემისას ავითარებს ისეთ ხედვას, რომელიც მხოლოდ დიმიტრი ჯაშის, როგორც უარყოფითი პიროვნების, დასახასიათებლად სჭირდება. მან თავი აარიდა არსებული პირობებისა და გარემოებების აღწერას ლევ კარპოვის წერილის სრული ტექსტის შესაბამისად, რომ გასაგები ყოფილიყო თუ რატომ ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული დიმიტრი ჯაშმა. ბატონი მკვლევარი მკითხველს არ აცნობს, ნიკოლოზ ენიკოპოლოვის ცხოვრების კრიმინალურ ეპიზოდებს, რომელიც წარმოდგენილია კარპოვის წერილში.

ბატონი სიმაშვილი არც დიმიტრის იმ საქმიანობის შესახებ წერს, რაც კოპლათაძისათვის საკომპენსაციო თანხის მიღებას და სასტუმრო ნომრების საიჯარო წესით გაფორმებას დასჭირდა როგორც ორგანიზაციულად, ისე ინტელექტუალურად, და რაც კოპლათაძემ, ენიკოპოლოვის გავლენით, დიმიტრის არ დაუფასა.

მეცნიერი გადმოგვცემს იმ დანაშაულის შესახებ, რაც მართლაც ჩაიდინა დიმიტრიმ, მაგრამ ამ კონკრეტულ ეპიზოდში მხოლოდ დიმიტრია გამიშვლებული ისე, თითქოს ამას არანაირი მიზეზი არ განაპირობებდა.

სიმაშვილს ამა თუ იმ დოკუმენტის რუსულიდან თარგმნისას შეგნებულად ან შეცდომით მოჰყავს დიმიტრი ჯაშის დამაკნინებელი მოსაზრებები. მაგალითად ის წერს: „სხვადასხვა დოკუმენტების ანალიზიდან ჩანს, გიორგი გვაბაგამ, სასამართლო პროცესზე, შეიგყო რა დიმიტრი ჯაშის აგენტურული საქმიანობის შესახებ, მის დაცვაზე ფაქტობრივად უარი განაცხადა“.<sup>2</sup> ასეთ შეფასებას 1912 წლის 23 იანვარს თბილისის სასამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარის სახელზე დიმიტრის მიერ შედგენილი შუამდგომლობით ადასტურებს და დაწერილის შინაარსს ასე გადმოგვცემს: „დიმიტრი ჯაში წერს, რომ მისი დამცველი გიორგი ბეჟანის ძე გვაბაგა, რომელსაც ის სასამართლოზე „ჰონორარის გარეშე“ უნდა დაეცვა, ჯეროვნად ვეღარ ახერხებდა მის დაცვას, რადგან დრო არ ჰქონდა, ამიტომ, დიმიტრი ჯაში ითხოვდა, რომ დამატებით მისთვის არ დაენიშნათ სახაზინო ადვოკატი, რადგან ამ უკანასკნელებს არ ენდობოდა და იგი საკუთარ თავს თვითონ დაიცავდა“.

თენგიზ სიმაშვილის მიკვლევული ეს დოკუმენტი ქვემოთ არის წარმოდგენილი.

დიმიტრი ჯაში 1912 წ 22 თებერვალს შუამდგომლობით მიმართავს თბილისის სასამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველი დეპარტამენტის თავმჯდომა-

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ.;

<sup>2</sup> თ.სიმაშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011წ.;

რეს და ახსენებს: „... მე უარი მითხრეს 18 თებერვლის შუამდგომლობაზე სასამართლო პალატის კანცელარიაში საქმის გაცნობაზე და განმმარტეს: საქმეს შეუძლია გაეცნოს ჩემი არჩეული ადვოკატი. თუ არ მყავს არჩეული დამცველი, პალატას შეუძლია გამომიყოს სახაზინო დამცველი, იგი გაეცნოს საქმეს და სასამართლო სხდომის დღეს მონაწილეობა მიიღოს ჩემს დაცვაში. ამით მოვასხენებ თქვენს ბრწყინვალეობას, რომ ჩემს მიერ არჩეულმა ნაფიცმა მსაჯულმა ადვოკატმა გიორგი ბეჟანის ძე გვაზავამ ჩემი დაცვა პალატაში ითავა ყოველგვარი ჰონორარის გარეშე, რადგანაც იცნობს ჩემს მდგომარეობას, რომ არ გამაჩნია დაცვისათვის საჭირო სახსრები. ამის გამო მე არა მაქვს ზნეობრივი უფლება მოვთხოვო ჩემს რწმუნებულ გიორგი გვაზავას დაკარგოს მისთვის ძვირფასი დრო ჩემი საქმის გასაცნობად და ამ შრომისათვის არაფითარი ჰონორარი არ მიიღოს. სახაზინო დამცველის აყვანა და მომზადება სასამართლოს ქვეშ მყოფის დასაცავად კი, როგორც სასამართლო აურნალისგური საქმიანობის ხუთწლიანმა გამოცდილებამ დამარწმუნა, ყოვლად უნაყოფო ოცნებაა. ამიტომ მე უარს ვაცხადებ ჩემთვის სახაზინო დამცველის დანიშვნაზე. ჩემი რწმუნებულის ბ-ნ გვაზავას გარდა, იმედი მაქვს, რომ ჩემ თავს მე დავიცავ...“

განსხვავებას ამ ორ ნათარგმნში მკითხველი ამოიკითხავს. შესაძლებელია, გიორგი გვაზავას, როცა სასამართლო პროცესზე შეიტყობდა დიმიტრი ჯამის აგენტურული საქმიანობის შესახებ, მართლაც უარი ეთქვა მის დაცვაზე, მაგრამ რატომ ათქმევინებს სიმაშვილი დიმიტრი ჯამს იმას, რაც არ წერია 1912 წლის 23 იანვარის შუამდგომლობაში, რომ „მისი დამცველი გიორგი ბეჟანის ძე გვაზავა, რომელსაც ის სასამართლოზე „ჰონორარის გარეშე“ უნდა დაეცვა, ჯეროვნად ვეღარ ახერხებდა მის დაცვას, რადგან დრო არ ჰქონდა?!“

მკვლევარი დიმიტრი ჯამის ცხოვრების ამ ეპიზოდს ასე ამთავრებს:

„ისეა თუ ისე, უამრავი განცხადებების, სააპელაციო სასამართლოში შეტანილი საჩივრების და სხვა სახის აქტიურობის შემდეგ, დიმიტრი ჯამი 1912 წლის ნოემბერში ციხიდან გაათავისუფლეს“.<sup>1</sup> აქ ბატონი თენგიზი ტენდენციურად და არაობიექტურად ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ დიმიტრი ჯამი სხვადასხვა სახის აქტიურობის შედეგად გაათავისუფლეს. ასე არ იყო. ჯამს 3 წლით პატიმრობა მიუსაჯეს და 17 თვის შემდეგ გაათავისუფლეს. სახდელი ვადის თითქმის ნახევარი გასული იყო. ამას კანონი ითვალისწინებდა.

ამის შემდეგ სიმაშვილი განაგრძობს: „იგი ბაქოში გადავიდა საცხოვრებლად და სამუშაოდ. დიმიტრი 1913-1914 წლებში მუშაობდა ბაქოს რკინიგზაზე. დოკუმენტების ანალიზიდან ჩანს, მას, როგორც თბილისის „ობრანკის“ განყოფილების გამჟღავნებულ აგენტს, საქართველოში აღარ დაედგომებოდა“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ.;

<sup>2</sup> თ. სიმაშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011 წ.;

მკვლევარი ისევ არაობიექტურია. ამ სიტყვებში, რომელიც ჯამის დასაკნინებლად გამოიყენა, ვერ დავეთანხმებით. ჯამის „ოხრანკაში“ აგენტად ყოფნის ფაქტი 1912 წელს სხვადასხვა პარტიისათვის არ გამხდარა რეზონანსული ამბავი. არანაირი პროტესტი პარტიების მხრიდან ამას არ მოჰყოლია. „ოხრანკაში“ აგენტად ყოფნის ფაქტი მხოლოდ 1917 წლის მარტიდან, ე. ი. 5 წლის შემდეგ გახდა რეზონანსული. გაურკვეველია, რომელი დოკუმენტების ანალიზიდან დაინახა ბატონმა სიმაშვილმა, რომ დიმიტრის საქართველოში აღარ დაედგომებოდა? დოკუმენტებისა და ფაქტების მარტივი შეჯერება მეტყველებს, რომ ეს ასე არ არის.

11

7 - სს. 24 25

Его Превосходительству  
 Господину Председателю 1-го Московского Департамента  
 Тифлисской Судебной Палаты.

Обвиненного Димитрия  
Сотниковича Тамара

ПРОКУРОРЪ  
 ТИФЛИССКАГО  
 Окружного Суда  
 Димитрий

Сегодня, 22 февраля, мне объявлено откомиссией Судебной Палаты  
 1-му Моск. Д-ту отъ 18 февраля 1912 г. за № 6530 въ отнѣсѣ  
 на „примененіи мое о возовѣ мекѣ въ Канцелярїи Палаты при истреб-  
 лѣнїи дѣла, коимъ мнѣ обвиняется, что съ дѣломъ мнѣ не ознакомятъ-  
 а мнѣ зацѣпистъ, а если ево у меня ибѣтъ, то мнѣ Судебн. па-  
 латѣи таковой отъ Палаты, если же я наеграиваю о мнѣ не  
 истреблѣнїи дѣла, тогда яра возмощностъ предсѣдательств. мнѣ въ дѣло  
 судебнаго заведѣнїи.

Ваше поручение мне докладываю Вашему Превосходительству, что защитник  
ваше имеет согласие Прис. Повременной Левин Деманович Чазова,  
который вывел защитника меня и в Суд, и в Палату совершенно  
добровольно, видя мое добровольное пожелание и желание. Выходит  
предель. Поэтому я не имею никакого права требовать от  
Прис. Повр. Чазова теперь до того как не будет  
его дела, не получая за труды решительно никакого вознаграждения.  
Являясь же на казенном защитника и подготовки такового  
защиты подсудимого, как я лично уверенная за время  
и Б. И. И. <sup>судебной</sup> журналистической деятельности, совершенно без-  
оплатная надежда, поэтому отказываюсь от назначения казен-  
ного защитника. Но пошел Прис. Повременной Чазова, я наимен-  
ее защитника исаиль, ибо кому лучше может быть исполнено  
судебное дело, кого больше всего интересуется судебная ураза, как  
самому подсудимому. Взяв же судебную защиту я не могу

დამიტრი ჯამი 1913-1914 წლებში მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე. იგი სამსახურში მიიღო ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელობამ, რომლის ადმინისტრაცია ტიფლისში იყო. დამიტრი ბაქოში საცხოვრებლად არ გადასულა. ის მიმოდოდა თბილისი-ბაქო-თბილისის მატარებლით. ცხოვრობდა თბილისში. ამასთან, ცნობილია, რომ 1913 წლის აგვისტო-სექტემბერში იმყოფებოდა ქუთაისის გუბერნიის სოფლებში და ქალაქებში, სადაც ილიასთან გატარებული ცხოვრების შესახებ ლექციებით გამოდიოდა. რკინიგზაზე ყალბი ბილეთების გაყიდვაში მონაწილეობის გამო 1915 წლის მარტიდან ნოემბრის ჩათვლით ციხეში იჯდა. სიტყვები - „ადარ დაედგომებოდა“ - არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგანაც დამიტრი, როგორც რკინიგზის მუშაკი, ყოველ მეორე დღეს თბილისში იყო.

დომიტრი ჯაშის, როგორც „ოხრანკის“ აგენტის, 1911 წელს გამჟღავნების ამბავს რომ ასრულებს, ბატონი სიმაშვილი მკითხველს მიმართავს: „აი, ასეთი ბიოგრაფიის პატრონი დომიტრი ჯაში, როგორც მენშევიკების მმართველობის პერიოდში, ასევე ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, საკმაოდ კარგ, შემოსავლიან ადგილებზე მუშაობდა“.<sup>1</sup>

ეს სიტყვებიც ისევ მკითხველზე ზემოქმედების მიზნით დაწერა, რომ მის მიერ უკვე ილიას მკვლელობის ხელშემწყობად შერაცხული, მკითხველმა აღიქვას ასე: „ეს გაიძვრა დაინიშნა საკმაოდ კარგ შემოსავლიან სამსახურში“ და ამ სიტყვებს ამაგრებს დომიტრი ჯაშის მეუღლის, დარია ჯაშის მოგონებებით და მიუთითებს, რომ იქ პირდაპირ არის ნათქვამი: „მენშევიკების დროს დომიტრი მსახურობდა სასურსათო ბიუროში, უშუალოდ თვითონ მონაწილეობდა სურსათის შესყიდვასა და მომარაგებაში. მისივე სიტყვებით, ამ საქმიანობის განწყობას 1921 წელს დომიტრი ჯაში აზერბაიჯანში საზღვრის გადაკვეთის დროს დაუპატიმრებიათ და დასახვრეგად განწირული ბაქოს ციხიდან ფილიპე მახარაძეს და მამია ორახელაშვილს გაუთავისუფლებია წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ დომიტრი დაინიშნა სერგო ქავთარაძის რეკომენდაციით ქალაქის ერთ-ერთ სურსათ-მომმარაგებლად“.<sup>2</sup>

ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტი მართლაც დარია ჯაშის მოგონებიდან არის. თუკი მკითხველი გაცნობა გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტში“ 1915-16 წლებში დაბეჭდილ ჯაშის სტატიებს, დარწმუნდება, რომ იმ დროიდან მოყოლებული, ჯაში სისტემატურად აშუქებდა თბილისსა და ქუთაისში არსებულ სასურსათო პრობლემებს და კარგად იყო გარკვეული ამ საკითხებში. ალბათ, ამის გამო, როგორც მენშევიკების მმართველობის პერიოდში, ისე ბოლშევიკურ საქართველოში, იგი დაინიშნა სასურსათო მომარაგების სამსახურში.

მცენიერი მკითხველს ჰპირდება: „ჩემს მიერ მოძიებული, დღემდე გამოუქვეყნებელი სხვა დოკუმენტებიც საკმაოდ საინტერესოდ წარმოაჩენენ დომიტრი ჯაშის ცხოვრების უცნობ ფურცლებს 1921-1922 წლებში. შესაბამისად, ამ თემაზე კვლევას შემდგომში შემოგთავაზებთ“.<sup>3</sup>

უნდა ვიფიქროთ, რომ თენგიზ სიმაშვილი დომიტრი ჯაშის 1921-1922 წლების ცხოვრების უცნობ ფურცლებში დაინახავს და სხვა ინფორმაციის გადმოცემის გარდა მკითხველს დამატებით აუხსნის, თუ რას ნიშნავს „საკმაოდ კარგი შემოსავლიანი ადგილი“. მისთვის ცნობილია, თუ როგორი გაჭირვება იყო სურსათის მხრივ

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, „ჯაშის - თბილისის „ოხრანკის“ აგენტ „სლუჩანინის“ ისტორია“, ბლოგი, 2013წ.;

<sup>2</sup> თ. სიმაშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011წ. თბილისი;

<sup>3</sup> თ. სიმაშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011წ. თბილისი;

საქართველოში როგორც მენშევიკების, ისე ბოლშევიკების მმართველობის დროს. რომ ორივე მთავრობის კანონები სურსათის დამტაცებლების მიმართ სასჯელად უმაღლეს ზომას, დახვრეტას ითვალისწინებდა. დახმარების მიზნით, ბატონ სიმაშვილს შევთავაზებთ საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 4 მარტის N6 ბრძანებას<sup>1</sup> (დანართი N12) და ამ კომიტეტთან არსებული საგანგებო კომისიის 1921 წლის 22 მარტის N2 ბრძანებას (დანართი N13), რომლებშიც შავით თეთრზე წერია:

„აკრძალულია გაგანა, როგორც შესყიდულისა, ისე საქართველოში მიღებული ყოველგვარი საქონლისა და მასალების საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის ნებადართველად“, რომ „ვაჭრების მოქმედება, რომელიც აძვირებს საქონელს 300-400%-ით, ეს ჩაითვლება, როგორც კონტრ-რევოლუციური აქტი საქართველოს მუშათა და გლეხთა და მისი ინტერესების დამცველი საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.“<sup>2</sup> აღვნიშნავთ, ასევე, 1921 წლის 28 დეკემბრის გაზეთ „კომუნისტის“<sup>3</sup> მე-2 გვერდზე, ქრონიკაში გამოქვეყნებულ ცნობას „პურის დარიგების“ შესახებ, სადაც წერია, რომ საბარათო ბიურომ 22 დეკემბერს დაურიგა 4104 ულუფა პური სახალხო კომისარიატების მოსამსახურეებს მტკიცე შტატებით. ყველაზე მეტი, 1215 ულუფა მიეცა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს, მეორე ადგილი უკავია მილიციას (1180 ულუფა) და ყველაზე ნაკლები რაოდენობა - 25 ულუფა მიეცა „მორტრანს“.

იქნებ, იმ პერიოდში, სურსათის დეფიციტის დროს, როცა მისი დატაცება სიკვდილით ისჯებოდა და საბარათო სისტემით თითო ულუფად განაწილებული პურის შესახებ ცნობას გაზეთში აქვეყნებდნენ, დიმიტრიმ შეძლო სახელმწიფოსაგან მოპარული სურსათის რეალიზაციით ისეთი სიმდიდრის დაგროვება, რომელიც ვერ მოახმარა გაჭირვებაში მცხოვრებ საკუთარ შვილებს (ერთი სოფელში, მამიდასთან იზრდებოდა, მეორე კი დედასთან, რომელიც ბავშვების მამასთან 1914 წლიდან განქორწინებული იყო, - ავტ.) და სადმე შენახული დარჩა. ან იქნებ, მოახერხოს და მკითხველს კარგად დაანახოს ამბავი იმის შესახებ, რომ მისი სიკვდილი გამოიწვია იმ ბერდანკის ტყვიამ, რომელიც მის ცოლისძმას გაატანა ფულთან ერთად ლაგოდენში შესაძენი სურსათის დასაცავად და, როცა გაიგო, რომ ფული არამიზნობრივად იყო გაფლანგული, ხელი შემოარტყა ცოლისძმას - მიხაკო კოპლატაძეს. მას კი დიმიტრისთან ჭიდილში ბერდანკა გაუვარდა. გასროლილმა ტყვიამ დიმიტრი დაჭრა, და 25 დღის შემდეგ გარდაიცვალა.

მეცნიერი, რომელსაც სურს, ახალი ფურცელი გადაშალოს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებებში, უფრო ობიექტური უნდა იყოს ნებისმიერი პირის ცხოვ-

<sup>1</sup> საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 4 მარტის N6 ბრძანება;

<sup>2</sup> საგანგებო კომისიის 1921 წლის 22 მარტის N2 ბრძანება;

<sup>3</sup> გაზეთი „კომუნისტის“, 1921 წლის 28 დეკემბერი, გვ.2;

რების ფაქტების გადმოცემისას, ვინც კი ილიას გარემოცვაში ცხოვრობდა და საქმიანობდა.

რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ ბატონი სიმამვილი ჯამის მიმართ ისევეა განწყობილი, როგორც მეოცე საუკუნის 30-იანი წლების მკვლევრები იყვნენ, მაგრამ ბატონი სიმამვილი ჯამის სხვადასხვა დანაშაულის შესახებ, რომლებიც კავშირში არ არის მოურავობასთან, წერს ისეთი განწყობით, რომ ჯამი ილიას მკვლელობაში აუცილებლად დამნაშავედ უნდა გამოიყვანოს. ამას მხოლოდ სიტყვიერი ვარაუდით აწვდის მკითხველს. მტკიცე დოკუმენტი ვერ უპოვია.

ზოგჯერ იმ მეთოდითაც წერს, რომელსაც თავად აკრიტიკებს. გასაგებია, რომ ასე წერდნენ გორდელაძე, კოჭლავაშვილი და გუგუშვილი, რადგან დავალებას ასრულებდნენ. სიმამვილს უნდა, სიმართლედ გაასაღოს ზოგიერთი ძველი სოცდემოკრატიის მოგონებები. მას მოჰყავს მიხეილ კლიმიაშვილის მოგონებაც, რომელიც ჯამზე წერს, როგორც უარყოფით პიროვნებაზე და ამის გასამყარებლად მოაქვს მხოლოდ „ტიფლისკი ლისტოკის“ რედაქტორის, ხაჩატუროვის დაკითხვის 1907 წლის 17 სექტემბერის ოქმი.

მიხეილ კლიმიაშვილი 12 წელი - 1905 წლიდან 1917 წლამდე, თბილისში არ ცხოვრობდა, მუდამ მიმაღვაში და გადასახლებაში იყო. დახვრეტის მუხლით პატიმრობაში მყოფ 60 წელს გადაცილებულ კლიმიაშვილს დიმიტრისთან ურთიერთობაზე 30 წლის შემდეგ რა უნდა გაეხსენებინა, ამიტომაც მისი მოგონებების გასამაგრებლად მოაქვს მხოლოდ „ტიფლისკი ლისტოკის“ რედაქტორის, ხაჩატუროვის დაკითხვის 1907 წლის 17 სექტემბერის ოქმი. ბატონი თენგიზი წერს, კლიმიაშვილი ხალხის მტრად გამოაცხადეს და დახვრიტესო და თან ასეთი ადამიანის მოგონებით უნდა დამაჯერებელი გახადოს და არ დაანახოს მკითხველს, საბჭოთა ხელისუფლებამ 1930-იან წლებში, თუ რა პირობებში დააწერინა ეს მოგონება. როგორც ითქვა, კლიმიაშვილი მოგონებაში „ტიფლისკი ლისტოკის“ რედაქტორის, ხაჩატუროვის დაკითხვის 1907 წლის 17 სექტემბერის ოქმს ეყრდნობა. ეს ოქმი ვერ მოხვდებოდა კლიმიაშვილის ხელში, რადგან, როდესაც ილიას მკვლევლებზე გამოძიება და სასამართლო მიმდინარეობდა, იგი გადასახლებული იყო და ხაჩატუროვის დაკითხვის ოქმის გაცნობის საშუალება არ ექნებოდა. მერე, დაპატიმრებული და დასახვრეტად გამზადებული რომ წერდა მოგონებას, ხაჩატუროვის ოქმი „მინსახკომის“ დახურულ არქივებში ინახებოდა, შესაბამისად, სპეციალური ნებართვის გარეშე კლიმიაშვილი მას ვერ იხილავდა. იგი ჯამზე მოგონების ავტორი გახდა იმიტომ, რომ, როგორც საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრს, თავის ბიოგრაფიაში ჩაწერილი ჰქონდა გამოძიებისათვის მეტად საჭირო ეპიზოდი: „...1899 და 1900 წლებს ემუშაობდი კორექტორად „ცნობის ფურცლის“ და „მოანბის“ რედაქციებში“ (ტიქსტი დაცულია - ავტ.), სწორედ ამან დააინტერესა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებათა გამყალბებლები. მიხეილ კლიმიაშვილს დააწერინეს, რომ იგი „დ. ჯამს 1899 წლიდან

იცნობდა, იმ დროიდან, როცა დ. ჯაში ასოთამწყობის შევირდი იყო „ქართული საგამომცემლო ამხანაგობის“ სტამბაში და დიომიდე კილაძესთან მუშაობდა „ცნობის ფურცლის“ აწყობაზე... 1905 წლიდან დიმიტრი ჯაშვი მონინავე მუშებში ხმები გავრცელდა მისი შანტაჟისგებთან დაახლოების შესახებ“.<sup>1</sup>

მკითხველს შევახსენებთ: სიმაშვილი საფუძველშივე არასანდოდ მიიჩნევს ყოველივეს, რაც გორდელაძემ და გუგუშვილმა 30-იან წლებში დაწერეს. „ჩეკას“ დაკვეთით დაწერილი კლიმიაშვილის მოგონებაც დაემატა კოტე გორდელაძის შეგროვილ სხვა მასალებს და როცა ეს ბატონ სიმაშვილს დასჭირდა, ისე გამოიყენა, როგორც ადრე სხვები იყენებდნენ.


პროფესორი სიმაშვილი თავის შრომებში დიმიტრი ჯაშის სოცდემოკრატიობა-ბოლშევიკობას იმითაც ამტკიცებს, რომ 1922 წლის 4 ივნისის გაზეთმა „კომუნისტი“ დაბეჭდა დიმიტრი ჯაშის გარდაცვალების შესახებ სამგლოვიარო განცხადება. ამას მკითხველს სთავაზობს საარქივო დოკუმენტად. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი მისი ერთგული მკითხველი, თავის საზოგადოებრივ კომენტარებში, ამას ნეკროლოგს უწოდებს.

ბატონმა სიმაშვილმა იცის, გაზეთი „კომუნისტი“ 1922 წელს როგორ ნეკროლოგებს ათავსებდა კომუნისტების გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ნეკროლოგსა და გარდაცვლილის ოჯახის სამგლოვიარო განცხადებას შორის განსხვავებაზე წერა უადგილოა.

ქვემოთ იხილეთ 1922 წლის 4 ივნისის გაზეთ „კომუნისტი“ დაბეჭდილი სამგლოვიარო განცხადება დიმიტრი ჯაშის გარდაცვალების შესახებ“<sup>2</sup>. გაზეთი „კომუნისტი“ 1922 წელს სამგლოვიარო განცხადებებს აქვეყნებდა სათანადო თანხის გადახდით. ეს განცხადება ოჯახმა გაზეთში დაბეჭდა არსებული წესის შესაბამისად, მხოლოდ იმ მიზნით, რომ დიმიტრი ჯაშის გარდაცვალების შესახებ გაეგოთ ნათესავებსა და მეგობრებს. იგი დაკრძალეს ვერეს სასაფლაოზე, ცისფერ ეკლესიასთან ახლოს. 1933 წელს ვერეს სასაფლაო გააუქმეს. დიმიტრი ჯაშის ოჯახს მისი ნეშტის სხვა სასაფლაოზე გადასვენების ნება არ დართეს. ასე დაიკარგა დიმიტრი ჯაშის საფლავი, ხოლო საფლავის ქვა, სხვა მიცვალებულების საფლავების ქვებთან ერთად, რომელთა გადასვენების უფლება ხელისუფლებამ აკრძალა, ვითომდა, უპატრონობის გამო, როგორც ამბობენ, გამოიყენეს ჩელუსკინელების ხიდის მოსაპირკეთებლად. ვერის სასაფლაოს ადგილზე დღეს იმავე სახელწოდების ბაღია.

<sup>1</sup> თ.სიმაშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011წ. თბილისი;

<sup>2</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 4 ივნისი, 1922წ.;



## ლ) დიმიტრი ჯაში — „ოხრანკის“ აგენტი

თავისი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ბატონი სიმაშვილი გადმოგვცემს: „უკვე წლებია, დიმიტრი ჯაშს ხან „ოხრანკის“, ხან კი ჟანდარმერიის აგენტად მოიხსენიებენ. მოძიებული საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ 1907 წელს დიმიტრი ჯაშის თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების აგენტად ყოფნის შესახებ არ არსებობს არც ერთი დამადასტურებელი საარქივო დოკუმენტი. ... ჩემი აზრით, საბჭოთა ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლებმაც კარგად იცოდნენ, რომ იგი 1907 წელს „ოხრანკის“ აგენტი არ იყო. დიმიტრი ჯაში, 1909 წლის გაზაფხულზე იწყებს აგენტად მუშაობას. როცა წერენ, რომ იგი უკვე 1907 წლიდან იყო აგენტი, ამით, ფაქტობრივად, უხანგრძლივებენ არსებობას საბჭოთა ხელისუფლების მიერ ხელოვნურად შეთითხნილ მითს. მისი შექმნა და გავრცელება საბჭოთა ხელისუფლებას, ცხადია, იმიტომ სჭირდებოდა, რომ დაემტკიცებინა, თუ დიმიტრი ჯაში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის პერიოდში „ოხრანკის“ აგენტი იყო, მაშინ სოციალ-დემოკრატები, კონკრეტულად კი მათი ერთ-ერთი ფრთა ბოლშევიკები ილიას მკვლელობაში დაძმანაშავენი არ იყვნენ“.<sup>1</sup>

მაგრამ სიმაშვილი საარქივო დოკუმენტების გარეშე გვარწმუნებს, რომ „ოხრანკის“ მიერ დიმიტრის გადაბირება კავშირშია ილიას მკვლელობაში მის მონაწილეობასთან.

<sup>1</sup> თბილისის „ოხრანკის“ აგენტ „სლუჟაინის“ ისტორია“, ბლოგი, 2013 წ.;

მეცნიერი, დიახ, წერს, რომ მოურავობის დროს ჯამი „ოხრანკის“ აგენტი არ იყო, ვაცხადებთ: „ოხრანკაში“ მუშაობის გამო და სხვა კრიმინალურ საქმესთან დაკავშირებით, როგორც მისი შთამომავალნი, არ ვაპირებთ დიმიტრი ჯამის დაცვას, მაგრამ მკვლევრებმა მის მიერ ცხოვრებაში კანონსაწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯები თუ დაუკავშირეს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებებს, იძულებული ვიქნებით, შევეცადოთ გავერკვეთ, სად არის სიმართლე და სად - ცრუ ბრალდებები.

ცნობები დიმიტრი ჯამის „ოხრანოე ოტდელენიაში“ მუშაობის შესახებ რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გამოჩნდა. ამ დოკუმენტებმა ბევრი დაინტერესებული მკვლევრის ხელში გაიარა. ბატონმა თენგიზმა საზოგადოებას დაუდასტურა მეტად მნიშველოვანი ინფორმაცია: ილია ჭავჭავაძის მკვლელობამდე დიმიტრი ჯამი არ იყო თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების აგენტი.

ამას მეცნიერი ამტკიცებს თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების უფროსის, პოდპოლკოვნიკ კარაულოვის „საატესტატო ფურცელში“ არსებული ჩანაწერებით. მკვლევარი ახალ გარემოებებს ეძებს. ცდილობს ჯამი ჯერ ბოლშევიკად გამოიყვანოს, რათა ბოლშევიკ ტერორისტებს დანაშაულებრივად დაუკავშიროს, შემდეგ დაწეროს, რომ მისი ხელმძღვანელობით ან მისი ხელშეწყობით, წითელრაზმელებმა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ჩაიდინეს. ამ მიზნით იგი განიხილავს დიმიტრი ჯამის, როგორც „ოხრანკის“ აგენტის - „სლუჩაინის“ საქმიანობას.

და წერს: „ჩემი აზრით, დიმიტრი ჯამის გადაბირება, „დააგენტურება“ - ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ძიებისას, 1907 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მოხდა.

1908 წელს დ. ჯამი არ „აქტიურობს“, ჩრდილშია, როგორც დროებით უმოქმედო, „დაკონსერვებული“ აგენტი. შესაბამისად, მისი აგენტობის დამადასტურებელი დოკუმენტები - ხელფასის ალების უწყისები, „ოხრანკისათვის“ მიცემული ინფორმაციები 1909 წლითაა დათარიღებული. ვფიქრობ, მის მიერ აგენტურული საქმიანობის დაგვიანებით დაწყება ორი მიზეზის გამო მოხდა. პირველი, ის, რომ მას გარკვეული დრო სჭირდებოდა პატიმრობის შემდეგ კავშირების აღსადგენად „ოხრანკისათვის“ საინტერესო პარტიების წევრებთან, და მეორე, ჩანს, თავისი როლი ითამაშა თბილისის „ოხრანკის“ ხელმძღვანელების ცვლილებამ 1908 წლის დასაწყისში.<sup>1</sup>

სიმაშვილი მკითხველს არწმუნებს, რომ ჯამს გარკვეული დრო სჭირდებოდა პატიმრობის შემდეგ „ოხრანკისათვის“ საინტერესო პარტიების წევრებთან კავშირების აღსადგენად. აქ არის ლოგიკური წინააღმდეგობა. სიმაშვილის აზრით, ჯამი იმერლიშვილთან და ბოლშევიკებთან ახლობლობდა. გამოდის, რომ დიმიტრის პატიმრობის შემდეგ „ოხრანკა“ ავალეებდა კავშირების აღდგენას ბოლშევიკებთან და, კერძოდ, იმერლიშვილთან, მაგრამ დოკუმენტებით დადასტურებულია, რომ ჯამი

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, „ჯამის - თბილისის „ოხრანკის“ აგენტ „სლუჩაინის“ ისტორია“, ბლოგი, 2013წ.;

„სლუჩაინი“, როგორც საიდუმლო აგენტი, „ოხრანკამ“ აიყვანა სოციალისტ-ფედერალისტების პარტიასთან თანამშრომლობისთვის.

უსაფუძვლოა ისიც, თითქოს თავისი როლი ითამაშა თბილისის „ოხრანკის“ ხელმძღვანელობის ცვლილებამ. აღნიშნული რამდენად სარწმუნოა - თავად განსაჯეთ: რუსეთში პირველი რევოლუციის შემდეგ, რეაქციის წლებში „ოხრანკის“ ახალი უფროსი დიმიტრი ჯაშს 15 თვეს ასვენებს და 1909 გაზაფხულიდან ავალდებულებს ინფორმაციების წარმოდგენას?

რა გარანტია ჰქონდა, რომ დიმიტრი 15 თვის მერე გამოადგებოდა? იმ პერიოდში ადამიანის სიცოცხლეს ჩალის ფასიც არ ჰქონდა - ვინმეს ან შემთხვევით გასროლილ ტყვიას რომ ემსხვერპლა, საიდან მიიღებდნენ ინფორმაციებს?

„თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების უფროსის - კარაულოვის „საატესტატო ფურცელში“ წერია, რომ 1909 წელს პირადად „შეიძინა“ საიდუმლო თანამშრომელი „სლუჩაინი“, ანუ დიმიტრი ჯაში. რატომ დაწერა კარაულოვმა, რომ მან 1909 წელს „შეიძინა“ თანამშრომელი „სლუჩაინი“? ან რატომ არ აღმოჩნდა ისეთი პირის საატესტაციო ფურცელი, რომელიც მსგავს კითხვაზე უპასუხებდა: 1907 წელს შევიძინე აგენტი „სლუჩაინი“ - დიმიტრი ჯაში, რომელიც ერთ წელზე მეტი „დავაკონსერვა“.

სიტყვებს, რაც კარაულოვის საატესტაციო ფურცელშია ჩაწერილი, ვერ ამოვადებთ.

„ჯაში-სლუჩაინი“, — წერს ბატონი სიმამილი, — თბილისის „ოხრანკის“ განყოფილებას სოციალ-დემოკრატიების შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაციას აწვდიდა. მაგალითად, 1909 წლის აპრილში ის აცნობებდა, რომ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკები ამზადებდნენ ძარცვას მომავალი თვის 17-18 რიცხვში. ეს ინფორმაცია თავისთავად საინტერესოა, რადგან, როგორც ვიცით, დიმიტრი ჯაში სწორედ ბოლშევიკების ტერორისტული და ექსპროპრიაციული აქტების ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორთან, იმერლიშვილთან მეგობრობდა. ძალიან საეჭვოდ ემთხვევა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო დაპატიმრებული დიმიტრი ჯაშის 1907 წლის 16 დეკემბერს გათავისუფლება და 1907 წლის 21-22 დეკემბერს კი, იმერლიშვილის ხელმძღვანელობით და მონანილეობით მომზადებული, ყარაიზის სადგურთან საფოსტო მაგარებლის ექსპროპრიაციის ჩაშლა, თავდასხმის მონანილეობის დაპატიმრება.“<sup>1</sup>

აქ მკვლევრის ეჭვებს უნდა გამოვეხმაუროთ:

1. მეფის მთავრობის პროკურატურამ დიმიტრი ჯაში ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით 1907 წ. 14 სექტემბერს დააპატიმრა ადმინისტრაციული წესით და სამხილების არარსებობის გამო, იმავე წლის 16 დეკემბერს გაათავისუფლა;

2. მეცნიერის ვარაუდით, დიმიტრი ჯაში „ოხრანკამ“ აგენტად გადაიბირა 1907 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, მაგრამ არქივებში ამის დამამტკიცებელი დოკუმენტი

<sup>1</sup> თ. სიმამილი, „ჯაშის - თბილისის „ოხრანკის“ აგენტ „სლუჩაინის“ ისტორია“, ბლოგი, 2013წ.;

მან ვერ აღმოაჩინა. დოკუმენტებით, დიმიტრი ჯაში „ოხრანკის“ აგენტია 1909 წლის გაზაფხულიდან;

3. სიმაშვილი ფიქრობს, რომ დიმიტრი ჯაშის „ოხრანკის“ მიერ გადაბირების საფუძველი უნდა ყოფილიყო გარიგება - ერთი მხრივ, „ოხრანკა“ მის სამხილებს გადამალავდა, მეორე მხრივ, დიმიტრი ჯაში „ოხრანკას“ მიაწოდებდა „ღირებულებით“ ინფორმაციებს;

4. ამ პუნქტში დავაზუსტოთ ის, რაც მეტად მნიშვნელოვანია - არსებობდა თუ არა დიმიტრი ჯაშის სამხილები ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით? ბატონი თენგიზის ვარაუდით - დიას. მაგრამ მისთვის ვერ მიუკვლევიან, რადგან ის ფიქრობს, რომ ისინი გადამალა მეფის „ოხრანკამ“;

5. ბატონი თენგიზი გამოთქვამს ეჭვს, რომ დაპატიმრებული ჯაშის 16 დეკემბერს გათავისუფლება ემთხვევა 1907 წლის 21-22 დეკემბერს იმერლიშვილის ხელმძღვანელობით ყარაიაზის სადგურთან მატარებლის ექსპროპრიაციის ჩამლას, თავდასხმის მონაწილეების დაპატიმრებას;

6. თუ ამ ეჭვს საფუძველი აქვს, გამოდის, რომ დიმიტრის გათავისუფლება არ მომხდარა ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით მისი სამხილების გადამალვის გამო შემდგომი თანამშრომლობის პირობით; გათავისუფლების მიზეზი ყოფილა „ოხრანკისათვის“ ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, რომ ყარაიაზის სადგურთან საფოსტო მატარებელზე იგეგმებოდა ექსპროპრიაცია;

7. იქნებ ბატონი მეცნიერი ფიქრობს, რომ ჯაშის „ოხრანკის“ მიერ გადაბირების საფუძველი იყო გარიგება - ერთი მხრივ, „ოხრანკა“ მის სამხილებს გადამალავდა, მეორე - დიმიტრი ჯაში ოხრანკას მიაწოდებდა ღირებულებით ინფორმაციებს, რომელთა შორის სწორედ პირველი იყო ყარაიაზის სადგურთან საფოსტო მატარებლის დაგეგმილი ექსპროპრიაციის გაცემა.

სიმაშვილის აზრით, „დააგენტურება“ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ძიებისას, 1907 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მოხდა. ამ პერიოდში მეტეხის ციხეში დიმიტრი ჯაში ახერხებს სანდო კავშირების დამყარებას ბოლშევიკებთან და შეიტყო, რომ ბოლშევიკებმა 21-22 დეკემბერს ყარაიაზის სადგურთან საფოსტო მატარებლის ექსპროპრიაცია დაგეგმეს და ეს ინფორმაცია დიმიტრი ჯაშმა მიაწოდა „ოხრანკას“ და შედგა გარიგება. „ოხრანკამ“ იგი 16 დეკემბერს გაათავისუფლა. მეცნიერის ვარაუდით, ჯაში „ოხრანკას“ მატარებელზე თავდასხმის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან თვენახევრის შემდეგ გაუთავისუფლებიათ. მაგრამ რა მიზნით დატოვა თვენახევარი კიდევ ციხეში - ვერ აგვიხსნა. ინფორმაციის სანდოობის დასადგენად თუ დატოვეს ციხეში, იგი 16 დეკემბერს კი არ უნდა გამოეშვათ ციხიდან, არამედ 21-22 დეკემბერის შემდეგ, როცა ყარაიაზის სადგურთან მატარებლის ექსპროპრიაციის მცდელობისას მის მონაწილეებს დაიჭერდნენ. დარწმუნდებოდა რა ინფორმაციის სიმართლეში, ინფორმატორს ცოტა ხნით კიდევ დატოვებდნენ საპატიმროში, რომ ბოლშევიკებს მასზე ეჭვი არ მიეტანათ და ციხიდან მერე გაათავისუფლებდნენ.

ეს ვერსია რეალობას მოკლებულია, რადგან სექტემბერ-ოქტომბერში მიღებული ინფორმაცია ჯერ კიდევ აგენტად გაუფორმებელი პირისაგანაა, რომლის ინფორმაციას სათანადო რეგისტრაცია არ მოჰყოლია; ასეთი ინფორმაციის წყარო „ოხრანკისთვის“ ოფიციალურად ცნობილი არ არის, ამიტომ ყარაიაზის სადგურთან საფოსტო მატარებელზე დაგეგმილი ექსპროპრიაციის შესახებ ინფორმაცია შეუძლებელია ჯამის მიწოდებული ყოფილიყო.

მეცნიერი მაინც დარწმუნებულია და წერს: „დიმიტრი ჯამის გადაბირება“-„დააგენტურება“ მოხდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის 1907 წელს წარმოებული ძიებისას. ანუ, როგორც ჩანს, ამ მკვლელობასთან კავშირში მისი მამხილებელი დოკუმენტების ძიების საქმიდან ამოდების სანაცვლოდ და შესაბამისად, მისთვის სასჯელის არიდების მიზეზით“.

საარქივო მასალებით ასეთი რამ სულაც არ ირკვევა. ფაქტია, რომ საარქივო მასალებში ჯამის სამხილები არ არსებობს. ასეთი სამხილები რომ ყოფილიყო, იგი, 1934 წლიდან მოყოლებული, მრავალჯერ დაიბეჭდებოდა პრესაში თუ მკვლევრების ნაშრომებში. სამხილების არარსებობის ფაქტის მიუხედავად, სიმაშვილი დარწმუნებულია, რომ იგი ამოიღეს დიმიტრი ჯამისათვის სასჯელის არიდების მიზნით.

სიმაშვილი აგრძელებს: „იბადება კითხვა: ისეთი რა საინტერესო და ღირებული ინფორმაციების მინოდება შეეძლო დიმიტრი ჯამს რუსეთის საიდუმლო პოლიციის ადგილობრივი ორგანოს თბილისის „ოხრანკის“ განყოფილებისათვის, რომ მათ დათარგმნა და გაასაიდუმლოეს დიმიტრი ჯამის როლი სახელმწიფო საბჭოს წევრის ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში?“.

ამ კითხვაზე პასუხს დიმიტრი ჯამის აგენტურული საქმიანობა იძლევა... და საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდებში ჩვენ მიერ მოძიებული მისი აგენტობის დამადასტურებელი დოკუმენტები - ხელფასის აღების უწყისები, „ოხრანკისათვის“ მიცემული ინფორმაციები, 1909-1911 წლებით დათარიღებული.“<sup>1</sup>

მას მოჰყავს არქივში მიკვლეული დიმიტრი ჯამის „დონოსების“ ქართული თარგმანი და ფოტოასლები, რომლებიც, ძირითადად, სოციალ-ფედერალისტებს ეხება. ეს „დონოსები“ სიმაშვილისთვის არგუმენტიანია, თუ რა მიზეზით გაასაიდუმლა „ოხრანკამ“ დიმიტრი ჯამის სამხილები და საზოგადოებას დარწმუნებით აუწყებს, რომ „დიმიტრი ჯამს დიდი როლი მიუძღვის სახელმწიფო საბჭოს წევრის, ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში“.

ასეთი განცხადება მეცნიერ სიმაშვილს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. დოკუმენტური სამხილები ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ჯამის როლის შესახებ მას ვერ წარმოუდგენია, მაგრამ მაინც საქვეყნოდ აცხადებს, ჯამს ამ საქმეში დიდი როლი მიუძღვისო. მიკვლეული დოკუმენტებით დამტკიცებულია, რომ ჯამი აგენტი

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, „ჯამის - თბილისის „ოხრანკის“ აგენტ „სლუჩანის“ ისტორია“, ბლოგი, 2013წ.;

1909 წელს გახდა, მეცნიერი სიმაშვილი კი, მხოლოდ თავის ალღოზე დაყრდნობით, გვარწმუნებს, რომ ეს მოხდა 1907 წლის სექტემბერ-დეკემბერში.

დიდი პასუხისმგებლობაა, მეცნიერმა ასეთი აზრები მიაწოდოს მკითხველს. ბატონმა სიმაშვილმა ისეთი მეცნიერული ალღო დაგვანახა, რომ ჯერ კიდევ მიუკვლეველი, ე. ი. არარსებული დოკუმენტებით, რომელიც, მისი აზრით, მეფის ხელისუფლებამ გადამალა, საზოგადოებას აცნობა ამბავი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ჯამის დიდი როლის შესახებ. ხომ არ ვიფიქრებთ, რომ კვლევისას გადამალული სამხილების ხილვა ჰქონდა? მართლაც, დიდი პასუხისმგებლობაა.

ბატონ მეცნიერს შევეკითხოთ: 1907 წლის 16 დეკემბრამდე „ოხრანკა“ საქმიდან რატომ ამოიღებდა ან გაანადგურებდა ილიას მკვლელობაში დიმიტრი ჯამის სამხილებს?

თუ „ოხრანკას“ სჭირდებოდა აგენტი დიმიტრი ჯამი, არათუ არსებული მტკიცებულებები ილიას მკვლელობაში მისი მონაწილეობის შესახებ - კომპრომატი - ამოეღო, არამედ, რომც არ ჰქონოდა, იგი უნდა შეექმნა და მონდომებით შეენახა. კომპრომატის სათანადო შენახვა იყო გარანტია, რომ დიმიტრი, როგორც აგენტი, იმუშავებდა. აგენტის თვალწინ მის მაკომპრომეტირებელ დოკუმენტს არავინ გააქრობდა, რადგან არ იარსებებდა იძულების დოკუმენტური საფუძველი. ასეთი დოკუმენტი კარგად უნდა შეენახათ არქივში, მაგრამ არ ჩანს, რატომ? პასუხი: არ არსებობდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ჯამის მამხილებელი დოკუმენტები.

ბატონი სიმაშვილი წერს, რომ რომ ილიას მკვლელობაში დიმიტრის სამხილები გადამალეს 1907 წლის შემოდგომაზე საქმის გამოძიებისას. თავს უფლებას მივცემთ, მისი ეს წინადადება დავაკონკრეტოთ: მისი აზრით, სამხილები გადამალეს გამოძიების პირველ ეტაპზე — მოკვლევის დროს, რადგანაც დიმიტრი ჯამის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა, შესაბამისად, მის მიმართ გამოძიებაც არ დაწყებულა და სასამართლომდე დიმიტრი ჯამი, როგორც ბრალდებული, არ მისულა. ე. ი. ილიას მკვლელობაში დიმიტრის სამხილები ამოიღეს ან საიდუმლო გრიფი დააღეს მოკვლევის პროცესში. მკვლევარს შევახსენებთ შუმანაშვილის წიგნიდან „წიწამურის ტრაგედია“ ციტატას: „მოკვლევის ოქმები მგვიცვებს არ წარმოადგენდა. სასამართლოში სასამართლოში მათი გამოქვეყნებაც კი აკრძალული იყო“<sup>1</sup> (გვ.35). თუ ამ ციტატას არ დაეყრდნობა, ვთხოვთ, მას კიდევ ერთხელ გადაფურცლოს მეფის რუსეთში მოქმედი სისხლის სამართლის წარმოების კანონმდებლობა.

სამხილი - ეს ისეთი დოკუმენტია, რომელიც ადგენს, ადასტურებს სისხლის სამართლის დანაშაულს. თენგიზ სიმაშვილმა, რომელმაც შეისწავლა მეფის რუსეთში არსებული სისხლისსამართლის საქმის წარმოება, იცის, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პირველადი რგოლი მოკვლევა იყო. მისი წარმოების პროცესში შეუძლებელია დანაშაულის დადგენა, თუ გამოძიება — სისხლის სამართლის საქმის

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „წიწამურის ტრაგედია“ 2000 წ. თბილისი;

შემდგომი ეტაპი — არ გაგრძელდა. ამდენად, სავსებით არალოგიკურია იმის ვარაუდი, რომ დიმიტრის სამხილებისთვის საიდუმლო გრიფი მოკვლევის პროცესში დაედო.

მაინც გავყვით ბატონი თენგიზის მოსაზრებას. ვიფიქროთ, რომ დიმიტრის სამხილებს მოკვლევის დროს საიდუმლო გრიფი დაადეს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გაანადგურეს, რადგან, როგორც ითქვა, გადაბირებული აგენტის კომპრომატებს არ ანადგურებენ, პირიქით, მათ საიდუმლოდ და საგულდაგულოდ ინახავენ.

სოცდემოკრატიების მიერ შეგზავნილი მოურავის სამხილს, „ოხრანკა“, ცარიზმის დამხობის შემდეგ ადგილზე არ გაანადგურებდა და არც რუსეთში გაიტანდა. ეს საიდუმლო სამსახური სულ მალე თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის 4 მარტს, დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებით გაუქმდა. ჯაშის „დოსიე“ სხვა დოკუმენტებთან ერთად თბილისის „მუშათა დეპუტატთა საბჭოების საგამოძიებო კომისიის“ წევრებს დაუტოვეს. დიმიტრის „დოსიე“ რომ მნიშვნელოვანი ყოფილიყო, „ოხრანკის“ არქივის გახსნისას იმასაც გაანადგურებდნენ, რაც დიმიტრიზე 1917 წლის გაზაფხულზე ცნობილი გახდა და რის გამოც გამოაშკარავებული „ოხრანკის“ აგენტი დააპატიმრეს.

თუ 1907 წლის შემოდგომაზე დამალეს ჯაშის სამხილები, ილიას მკვლელობაში ბრალდებულებმა, როცა მათ 1908 წლის 28-29 ნოემბერს კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს სხდომებზე, რომლებსაც მრავალი დამსწრე ჰყავდა და განაჩენი— ჩამოხრჩობა—სამ დღეში, პირველ დეკემბერს გამოუტანეს, ილიას მკვლელობაში დიმიტრი ჯაშის მნიშვნელოვანი როლის შესახებ რატომ არაფერი თქვეს? რით ავსნათ? პირი აუკრეს? ოჯახის ამოწყვეტით დაემუქრნენ?

შემდეგ, როცა მთავარმა სამხედრო სასამართლომ 1909 წლის 29 იანვარს განაჩენი გააუქმა და 1909 წლის 3 თებერვალს საქმე თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორს დამატებითი გამოძიებისათვის დაუბრუნდა, რომელმაც საქმის გამოძიება 1909 წლის 8 ივნისს დაამთავრა და ინაშვილის, ლაბაურის და ხიზანიშვილის საქმე 1909 წლის 10 აგვისტოს სასამართლოს დია სხდომაზე იქნა განხილული, არც ამ პერიოდის განმავლობაში ბრალდებულებს ჯაში არ უხსენებიათ და ილიას მკვლელობაში არც მისი მნიშვნელოვანი მონაწილეობის შესახებ უთქვამთ. არც 11 აგვისტოს, როცა განაჩენი გამოიტანეს და ლაბაურს, ხიზანიშვილს და ინაშვილს მიესაჯათ ჩამოხრჩობა და არც 1909 წლის 21 აგვისტოს, როცა ემაფოტზე აყავდათ დასასჯელად, მათ არაფერი არ უთქვამთ ჯაშის ბრალეულობის შესახებ. სასიკვდილოდ განწირულთ რა ჰქონდათ დასაკარგი, რომ ჯაშის დანაშაულის შესახებ ვერ გაბედეს ლაპარაკი?

პირველ სასამართლო პროცესებს სხვადასხვა გაზეთის რეპორტიორი ესწრებოდა და მათ რეპორტაჟებით სასამართლოზე ნათქვამი ყოველი სიტყვა და ყოველი ნიუანსი მკითხველთან მიჰქონდათ. მაგალითისთვის მოვიყვანთ 1908 წლის 2 დეკემბრის გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილ ინფორმაციას. უკანასკნელ სიტყვაში ბრალდებულმა თედო ლაბაურმა ისიც განაცხადა, რომ „მოდღერიშვილის შესახებ მე არა მითქ-

ვამს რა, იგი არ მინახავს თავდასხმის დროს და იმის ცოდვაში ნუ ჩამაყენებთო“.<sup>1</sup> რეპორტიორმა გაზეთის მკითხველს აცნობა ბრალდებული ლაბაურის შიში - უღანაშაულო კაცის ბრალეულად დასახელების ცოდვის გამო. დიმიტრი ჯამს თუნდაც უმნიშვნელო როლი რომ შეესრულებინა ილიას მკვლელობაში, ეს ეცოდინებოდა ლაბაურს და უფრო დიდ ცოდვაში, დიმიტრის გაუთქმელობის გამო, არ ჩადგებოდა.

მივუბრუნდეთ ჯამის მიერ სასტუმროს ნომერში ჩადენილი დანაშაულის ფაქტს. ამის გამო ჯამი გაასამართლეს. სასამართლოზე კი, ის, როგორც საიდუმლო სამსახურის აგენტი, გამჟღავნებულ იქნა და ამ მიზეზით აგენტად მუშაობის სულ რაღაც 15 თვის თავზე „ოხრანკიდან“ დაითხოვეს.

თუ სასამართლო პროცესის მსვლელობისას გამოამჟღავნა საიდუმლო აგენტის სახელი, „ოხრანკამ“ იგი რატომ არ დასაჯა? თან, ილიას მკვლელობის საქმეში მისი დიდი როლის გამო, პასუხისგებაში რატომ არ მისცა? გაეხსნათ მისი სამხილები და დაესაჯათ სათანადოდ. ეს მაგალითი იქნებოდა სხვა აგენტებისთვის. ვიფიქროთ, რომ მეფის ხელისუფლების საიდუმლო სამსახური ვერ აცნობიერებდა აგენტურასთან მუშაობის სერიოზულობას და ზერელედ ეკიდებოდა? აგენტს არ სთხოვდნენ სათანადო დისციპლინას?

ამ კითხვებზე პასუხები ბატონმა სიმამშილმა თავის შრომაში წარმოგვიდგინა. იგი გვაწვდის ინფორმაციას „ოხრანკის“ განყოფილებების საქმიანობისათვის შემოღებული სპეციალური ინსტრუქციის შესახებ. ინსტრუქცია N 120 - „საიდუმლო აგენტურის მართვაზე და ორგანიზებაზე“ - შედგებოდა ხუთი თავისგან, რომლის ბოლო, მე-5 თავი საიდუმლო თანამშრომელზე ზრუნვას ეხებოდა.

„ამ ინსტრუქციაში დანერგვით არის დამუშავებული აგენტურის გამოყენების ხერხები, - წერს ბატონი თენგიზი. - აგენტებად მომზადება და რეგულაციურ ორგანიზაციაში შეგზავნა ძალიან რთული იყო. პოლიტიკური პოლიციის აზრით, „დააგენტურებას“ ყველაზე მეტად შეესაბამებოდნენ ძიების ქვეშ მყოფი სუსტი ნებისყოფის ადამიანები, ან ისინი, ვისაც დაპატიმრებისას აღმოუჩინეს ნივთმტკიცებები, გააჩნდათ მისი დანაშაულის დამადასტურებელი ფაქტები, ვისაც უჭირდა მაგერიალურად, გამოქცეული იყო გადასახლებიდან და სხვა... „დააგენტურება“ ტექნიკურად ხშირად ასე ხდებოდა: დანაშაულში ეჭვმიტანილის დაკითხვისას პროკურატურის წარმომადგენლები, პროკურორის თანაშემწე ან სასამართლოს გამომძიებლები ხედავდნენ, რომ ერთის მხრივ, ხელთ ჰქონდათ ბრალდების დამადასტურებელი უცყუარი მტკიცებულებები, მეორეს მხრივ კი, ბრალდებული ფსიქოლოგიურად იყო დათრგუნული, აძლიერებდნენ მის „დამუშავებას“. შემდეგ ატყობინებდნენ საიდუმლო (პოლიტიკური) პოლიციის, ანუ „ოხრანკის“

---

<sup>1</sup> გაზეთი „დროება“ 1908 წლის 2 დეკემბერი;

შესაბამის წარმომადგენელს. ეს უკანასკნელი შედიოდა კონტაქტში ბრალდებულთან. ...სთავაზობდა არჩევანს — ან ციხე, კაცორლა, გადასახლება, ჩამოხრჩობა, ანდა თავისუფლებაზე ყოფნა, აგენტად მუშაობის პერსპექტივა და ყოველთვიური სტაბილური ხელფასი“.<sup>1</sup>

მეცნიერი აღწერს „დააგენტურების“ პროცედურას, რომელიც თავისი ვარაუდის დასამტკიცებლად სურს მოარგოს დიმიტრი ჯაშს. ზემოთ თქმული ვერ მოერგება დიმიტრი ჯაშს შემდეგი მიზეზების გამო: ჯერ ერთი, დიმიტრი არ ყოფილა ძიების ქვეშ; მეორე, — დაპატიმრებისას მას ვერ აღმოუჩინეს ნივთმტკიცებები, ვერც მისი დანაშაულის დამადასტურებელი ფაქტები, მესამე - იგი არ იყო გამოქვეული საპატიმროდან, არც გადასახლებიდან. გარდა ამისა, ბატონი თენგიზის სიტყვებით ისე გამოდის, რომ დამნაშავე, მაგრამ გადმობირებული აგენტი თავიდანვე კარგავდა საიდუმლო სტატუსს, რადგან პროკურატურისა და სასამართლოს თანამშრომლები-სათვის, ვისაც შეხება ჰქონდა ასეთ პირებთან, ისინი მათთვის თავიდანვე ცნობილი ხდებოდნენ. და თუ მართლა ასეთი მეთოდით ხდებოდა საიდუმლო აგენტების გადაბირება, გაუგებარია, როგორ მოხდა, რომ დიმიტრი, როგორც საიდუმლო აგენტი, 1911 წელს სასამართლოზე გამომქდავდა? პროვოკაციის მოწყობის გამო, რომლის დროსაც არავინ დაშავებულა, მნიშვნელოვანი აგენტი რატომ დაკარგა?

მკვლევრის მიერ მიკვლეული დოკუმენტების ანალიზში ვხვდებით არალოგიკურ კავშირებს დოკუმენტის შინაარსსა და დასკვნებს შორის. ამის მაგალითი ზემოთ იხილეთ, ახლა ქვემოთაც ვნახოთ.

სახრჩობელას გადარჩენილმა დიმიტრი ჯაშმა როგორ დაუშვა ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომლის გამო 17 თვე ციხეში იჯდა და დაკარგა სამსახური, რომელიც მისი სიცოცხლის გარანტი იყო. გამოდის, რომ „ოხრანკამ“ არჩია, ცოცხლად დაეტოვებინა ჯაში, სამაგიეროდ, მისგან მიიღო 15 თვის განმავლობაში ღირებულებითი ინფორმაციები, თან ამ საქმეში კარგი ფულიც გადაუხადა. შემდეგ, როცა აგენტი გამქდავებულ იქნა, „ოხრანკა“ მხოლოდ ბიუროკრატიული ფორმალობით შემოიფარგლა - დაითხოვა სამსახურიდან. მაშ, რა საჭირო იყო ილიას მკვლელობაში მისი მნიშვნელოვანი სამხილების გადამალვა, თუ ის „ოხრანკას“ ხანგრძლივი დროით არ გამოადგებოდა? მართალია, იგი ხანგრძლივი დროით „ოხრანკას“ ვერ გამოადგა, მაგრამ მოკლე დროში შეძლო მეტად ღირებული ინფორმაციების მიწოდება, - ასე მიიჩნევს ბატონი სიმაშვილი.

ჩვენი წინაპრის „ოხრანკასთან“ საქმიანობის გარჩევას არ შევუდგებით, ეს სიმაშვილმა, თავის შრომებში, სხვადასხვა ფაქტით წარმოადგინა. ბუნებრივია, სასიამოვნო არ არის არათუ გარჩევა, არამედ მათი წაკითხვაც კი, მაგრამ იმისათვის, რომ დავინახოთ, რამდენად ობიექტურად შეაფასა იგი სიმაშვილმა, იძულებული ვართ შევეხოთ მის მიერ გამოტანილ დასკვნებს.

<sup>1</sup> თ.სიმაშვილი „რუსეთის იმპერიის საიდუმლო პოლიცია და აგენტურა“ „ბლოგი,4 ივლისი 2015წ;

ბატონი თენგიზი გვარწმუნებს, რომ „ოხრანკას“ ჯაში მიაჩნდა მეტად მნიშვნელოვან აგენტად, რადგან იგი „ოხრანკას“ ღირებულებით ინფორმაციას აწვდიდა. ამას დაუმატებთ, რომ მეცნიერის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების თანახმად, ამ საქმისთვის კარგ ანაზღაურებასაც უხდიდა. რატომ უხდიდნენ ბევრს? რატომ გადაუხადეს მიწოდებული ინფორმაციების მნიშვნელობის მიხედვით, მით უფრო, თუ, სიმამზილის აზრით, იგი თავიდანვე გარიგებაში იყო „ოხრანკასთან“? თუ ასე იყო, იგი ვალდებულიც იყო ილიას მკვლელობაში დიდი როლის შესახებ მისი სამხილების გასაიდუმლების სანაცვლოდ „ოხრანკისთვის“ ინფორმაციები სულაც უსასყიდლოდ მიეწოდებინა, რადგან, როგორც სიმამზილი ამტკიცებს, დიმიტრი ჯაშს ამ საქმისთვის კარგი ფასი (სიცოცხლე შეუნარჩუნეს - ავტ.) თავიდანვე გადაუხადეს.

თუ ასეა, ამაზე მეტი რა უნდა გადაეხადათ მისთვის? ადამიანს სიცოცხლე და თავისუფლება შეუნარჩუნეს, რომ „ოხრანკისთვის“ ემუშავა, მაგრამ ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ საიდუმლო აგენტებიდან ყველაზე მეტს იმას უხდიდნენ, ვისაც ამ საიდუმლო სამსახურის წინაშე ყველაზე დიდი ვალდებულება ჰქონდა. ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობითაც, ბატონი სიმამზილის ვარაუდი, რომ დიმიტრი ჯაშის სამხილები გადამალეს, უსაფუძვლოა.

ბატონი სიმამზილი „ოხრანკისათვის“ ღირებულებით ინფორმაციებად მიიჩნევს ფედერალისტების შესახებ მიწოდებულ ინფორმაციების. ამასთან, მკვლევარს 1910 წელს სოციალისტ-ფედერალური პარტიის საქმიანობის შეწყვეტაში დიმიტრი ჯაში მთავარ დამნაშავედ გამოჰყავს.

ფედერალისტების პარტიის ცკ-ის წევრი გიორგი ლასხიშვილი იგონებს: „...1910 წელს მოხდა ჩვენი პარტიისათვის - გფილისისა და მთავარი კომიტეების ლიკვიდაცია. 30 აპრილს მეც დამატესალეს... გადაჭრით გამოუცხადე, რომ მე პარტიაში არა ვარ, მხოლოდ თანაუგრძობდი საქართველოს ავტონომიის იდეას, რომელიც პარტიამ წამოაყენა და გაზეთში ლეგალურად ვწერდი ამის შესახებ...“<sup>1</sup> სიმამზილიც წერს: „...სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ეფექტური საქმიანობის შეჩერებაში ავენტ ჯაში-სლუჩაინის დიდი „წვლილი“ იყო... ამრიგად, დიმიტრი ჯაში 1909-1911 წლებში თავისი ავენტურული საქმიანობით სწორედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეორე ფრთის, კერძოდ, მენშევიკების წისქვილზე ასხამდა წყალს, ...ბუნებრივია, რომ თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების მიერ 1910-1911 წლებში ეროვნული სულით გაჟღენთილი სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის დემორგანიზაციის, მისი აქტიური წევრების დაპატიმრების შედეგად, სწორედ სოციალისტური იდეოლოგიური ბაზის მქონე სოციალ-დემოკრატი მენშევიკების გავლენა გაიზარდა ქართულ საზოგადოებაში“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> გ. ლასხიშვილი, „მეზუარები“, 1935 წ. თბილისი;

<sup>2</sup> თ. სიმამზილი, „ჯაშის - თბილისის „ოხრანკის“ აგენტ „სლუჩაინის“ ისტორია“, ბლოგი, 2013წ.;

მეცნიერის ასეთი დასკვნები აგენტ ჯამი-„სლუჩაინის“ საქმიანობასთან დაკავშირებით გადაჭარბებულია, მით უფრო, როცა იგი წერს: „მენშევიკების წისქვილზე ასხამდა წყალს“. ჯამი-„სლუჩაინის“ საქმიანობის ისეთი შეფასება, რომ ფედერალისტების საქმიანობის შეჩერება მარტო ჯამის და სხვა აგენტების ინფორმაციებს დააბრალდოს, ისე, რომ აქცენტი ჯამზე გააკეთოს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის მხრიდან, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია. ისტორიულ ფაქტებს მოვიტანთ და მკითხველთან ერთად შევაფასოთ იმ მიზნით, რომ დიმიტრი ჯამს არ დაბრალდეს ის, რაც მის ძალებს აღემატებოდა.

სოცფედერალისტური პარტიის საქმიანობის ჩავარდნა 1910-1913 წლებში დაბრალდეს ზოგადად „ოხრანკის“ აგენტებს, მათ შორის კი, განსაკუთრებულად, ერთს (ვინც არ უნდა იყოს იგი), — შეუძლებელია.

ცნობად უნდა აღინიშნოს, რომ „ოხრანკისათვის“ ცნობილი იყო ფედერალისტური პარტიის საპროგრამო დოკუმენტები, რასაც მისი აქტივისტები ლეგალურად ბეჭდავდნენ პარტიის გაზეთში, ამას გიორგი ლასხიშვილი თავის მოგონებებში ადასტურებს.

საქართველოს სოცფედერალისტური პარტიის საქმიანობის ჩავარდნას, სოცდემოკრატების ფონზე მათ სუსტ საქმიანობას ბევრი ობიექტური მიზეზი ჰქონდა; მკითხველი რომ გავრკვეს, ჯამის აგენტურული საქმიანობის მიზეზით მართლა დაგვიანდა თუ არა ქართული ეროვნული სახელმწიფოს შექმნა, ამისათვის მოკლედ მიმოვიხილოთ მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიაში, განსაკუთრებით, 1912 წლიდან, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის საქმიანობა.

რადგან ეს თემა დიდია და ისტორიის მკვლევრის კომპეტენციაში შედის, შევეცდებით, ამ პარტიის საქმიანობის მცირე ეპიზოდები ქრონოლოგიურად გადმოვცეთ ივანე ჯავახიშვილის შრომიდან - „საქართველოს ისტორია. მეოცე საუკუნე“.

„...1912 წელს ეროვნულმა ძალებმა შექმნეს ორგანიზაცია „ქართველი ხალხის უფლებების დაცვის კავშირი“. მიზანი იყო გეორგიევსკის ტრაქტატზე დაყრდნობით ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიული უფლებების პროპაგანდა ევროპაში და ამ გზით საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა. კავშირის შექმნის ინიციატორები იყვნენ სოცფედერალისტური პარტიის ცკ-ს წევრები არჩილ ჭორჭაძე და კიკა აბაშიძე... 1912 წლის 13 დეკემბერს მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს სოციალისტ-ფედერალისტების დეპუტატმა ვარლამ გელოვანმა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში წამოაყენა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა...

... პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ პოლიტიკური პარტიები ცდილობდნენ შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში თავიანთი სამოქმედო გეგმის დასახვას.

ემიგრაციაში წასულმა ეროვნულ-დემოკრატიკებმა 1913 წელს ჩაუყარეს საფუძველი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს“. კომიტეტმა 1915 წელს საქართველოში მოაწვდინა გიორგი მაჩაბელი. მან პოლიტიკურ ძალებს გერმანიის დახმარებით რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა შესთავაზა... საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტებს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების დაწყება ავანტიურად მიაჩნდათ. ამას სხვა პარტიებმაც მხარი არ დაუჭირეს.

...1917 წელს 25 ოქტომბერს რუსეთში ბოლშევიკებმა განახორციელეს სახელმწიფო გადატრიალება და დაამყარეს ბოლშევიკების დიქტატურა.

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა გაიხსნა 1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში. ყრილობის რეზოლუციის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს სოციალისტ-ფედერალისტებმა: გიორგი ლასხიშვილმა, გრიგოლ რცხილაძემ, გრიგოლ გველესიანმა, იასონ ბაქრაძემ, იაკობ ფანცხავამ, სამსონ ფირცხალავამ, დიმიტრი უზნაძემ, აკაკი ფალავამ.

რეზოლუციის პროექტში პოლიტიკური ორიენტაცია ვაკუთდა დემოკრატიულ რუსეთზე. პროექტი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას არ ითვალისწინებდა.

საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ დაამტკიცა რეზოლუცია. მისი პირველი მუხლი ასეთი რედაქციის იყო: „1. ქართველი ერი, როგორც ამ ასი წლის განმავლობაში, სდგას რუსეთის ორიენტაციის ნიადაგზე. ქართულმა დემოკრატიამ თავისი სეპედი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის დემოკრატიას და მასთან ერთად მოქმედებით ფიქრობს თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და ნაციონალური მისწრაფებანი განახორციელოს.

... 1917 წლის 14 ნოემბერს ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის დროებითი მთავრობა, ხოლო ამავე წლის 19 ნოემბერს მოწვეულ იქნა საქართველოს ეროვნული ყრილობა, 22 ნოემბერს კი არჩეულ იქნა ეროვნული საბჭო 88 წევრით, მათ შორის 11 იყო სოციალ-ფედერალისტი“<sup>1</sup> ანუ 12,5%.

დიმიტრი ჯაში, 1917 წლის მარტიდან მოყოლებული, მეტეხის ციხეში იჯდა, არკვევდნენ, რას აკეთებდა „ოხრანკაში“ და თან მისგან ითხოვდნენ აღიარებით ჩვენებას ილიას მკვლელობაში მონაწილეობის შესახებ. ილიას მკვლელობაში მონაწილეობის შესახებ ჯაშმა კატეგორიული უარი განაცხადა. შესაბამისად, არანაირი აღიარებითი ჩვენება არ დაუწერია. იგი „ოხრანკის“ აგენტობისთვის დააპატიმრეს და გაასამართლეს, მაგრამ მალე გათავისუფლდა.

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი - „საქართველოს ისტორია. მეოცე საუკუნე“;

ამ ისტორიული მნიშვნელობის პერიოდში დიმიტრი ჯაშს არ შეეძლო სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრების წარმატებისთვის ხელი შეეშალა. მიუხედავად ამისა, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წარმომადგენელთა მანდატი ეროვნულ საბჭოში მხოლოდ 12,5 პროცენტს შეადგენდა. მათ 1918 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კოალიციურ მთავრობაში ჰყავდათ ორი მინისტრი, 1919 წლის 14-17 თებერვალს ჩატარებული საყოველთაო არჩევნებით, არჩეული იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების 130 დეპუტატი. მათ შორის, სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან – მხოლოდ 8 დეპუტატი, ანუ მისი შემადგენლობის 6,15%.

1919 წლის 21 მარტს დამტკიცებულ მთავრობაში სოციალისტ-ფედერალისტები ვერ მოხვდნენ. ყველა მინისტრი მენშევიკი სოცდემოკრატი იყო. ამ მთავრობამ მხოლოდ ორი წელი იმუშავა. 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიამ საქართველო დაიპყრო და ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. მენშევიკური მთავრობა და სხვადასხვა პარტიის წევრების უმრავლესობა, მათ შორის, ბევრი სოციალისტ-ფედერალისტი, იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო და ემიგრაციაში წასულიყო...

სოციალ-ფედერალისტები 1923-1924 წლებში საქართველოში ბოლშევიკების წინააღმდეგ აჯანყების მომზადებაში მონაწილეობით, რომლის დროს ანტიბოლშევიკური ბლოკი დამარცხდა, სოციალ-ფედერალისტების პარტიამ თავისი მოღვაწეობა საქართველოში დაამთავრა. მათი წარუმატებლობის მიზეზი არ შეიძლება ერთი პირი ყოფილიყო. ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ ჰეგელის შეხედულებებს ვერ მოვარგებთ დიმიტრი ჯაშს. მკვლევრის ასეთი ირიბი მცდელობა მიუღებელია.

ბატონ სიმამზილს მოაქვს დიმიტრი ჯაშის „ოხრანკაში“ 1907 წლის დეკემბერში გადაბრების კიდევ ერთი „დოკუმენტი“. იგი იმონებს ვასო წულაძის მოგონებას, „როგორ აღმოვაჩინეთ „ოხრანკის აგენტები“. „პირველი ჯაშუში, რომელიც ჩვენ დავიჭირეთ, იყო დიმიტრი ჯაშ, – ყოფილი მოურავი ილია ჭავჭავაძისა, უკანასკნელის მოკვლამდე. – ეს პატარა ტანის კაცი, გარეგნულად ძლიერ არასასიამოვნო იყო... მან მშვენიერად იცოდა ქართული ენა და, სხვათა შორის, მას მივანდეთ ნიკოლოზ მეფის მანიფესტის გადათარგმნა, რაც კარგად შეასრულა... ერთ დღეს ნამესცნიკის კანცელარიიდან დაგვიძახეს, რომ საიდუმლო აგენტების სიაში დიმიტრი ჯაშიც არისო!.. შემოვიდა თუ არა ჯაშ, ნოე რამიშვილმა პირდაპირ მიახალა: შენ ჯაშუში ყოფილხარ! დაპატიმრებული ხარ! ...ნოე რამიშვილის წინადადებით იქვე შეუდგა და ჩამოსწერა, თუ როგორ, ჯერ კიდევ 1907 წ. ბოლოს, იგი დაიჭირეს, ელექტრონის სკამზე დააჭინეს და

სხვა ასეთი ძალდატანებით გამაჭაშუქესო. ჩემი ფსევდონიმი იყო „სლუჩაინი“. ...ნოე რამიშვილმა არ დააყოვნა, ბიჭებს გამოუძახა და ჭაში მეტეხის ციხეში გააგზავნა“.<sup>1</sup>

მკვლევარს მიაჩნია, რომ ეს დოკუმენტი ადასტურებს მის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დიმიტრი ჯაში „ოხრანკის“ აგენტი გახდა 1907 წლის ბოლოს. ვერ დავკავშირებთ, რადგან ვასო წულაძე ცრუობს.

ჯაშთან დაკავშირებით პირველსავე წინადადებაში იმეორებს მიხეილ ჯავახიშვილის „წიწამურაში“ დაწერილს. ვასო (ვასილი) წულაძე იყო სოციალ-დემოკრატი, მუშაობდა გაზეთ „თანამედროვე აზრში“. 1917 წლიდან. იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს, 1919 წლის მარტიდან საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 წელს დატოვა საქართველო. წულაძის ეს მოგონება დაიბეჭდა პარიზში გამომავალ ჟურნალში „კავკასიონი“ 1967 წელს. იგი, როცა წერს ჯაშზე, რომ იგი იყო „გარეგნულად ძლიერ არასასიამოვნო“ - ვფიქრობთ, მკითხველს, ქვემოთ, დავარწმუნებთ, რომ დიმიტრი ჯაში გარეგნულად არ იყო ასეთი.

ბევრი მკვლევარი არა მარტო წერდა, რომ დიმიტრი ჯაში გარეგნულად ძლიერ არასასიამოვნო ადამიანი იყო, არამედ, მხატვრებიც ხატავდნენ მას გარეგნულად არასასიამოვნო ადამიანად. ამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ნაწყვეტს დარია ჯაშის მოგონებიდან, რომელიც დაიბეჭდა შალვა მარკოზაშვილმა წიგნში „ილია ჭავჭავაძის ბოლო მოურავი“. „30-იან წლებში ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი მხატვართა ნახატების დიდი გამოფენა მოეწყო თბილისში, მხატვართა გალერეაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოეტი გიორგი ლენინძე. მხატვარ გიორგი ნადირაძეს ნარმოდგენილი ჰქონია ნახატი „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა წინამურში“. „იმ ნახატზე, — იხსენებს დარია ჯაში, — მოურავი ხნიერი სახით იყო ნარმოდგენილი. ეცვა ჩოხა-ახალუხი და მორგებული ჰქონდა ხანჯალი. დიდუღვაშა, თვალებგადმოკარკლული და კბილებ დაკრეჭილი ადამიანი დამთვალეირებლის ზიზღს იწვევდა“. დარია ჯაშს გაუპროტესტებია ნახატის შინაარსი. მან ლენინძეს განუცხადა: „მე დიმიტრის ყოფილი მეუღლე გახლავართ და მოვითხოვ ნადირაძის სურათმა შეცდომაში არ შეიყვანოს მნახველები. მე 1907 წლის ზაფხულში ქმართან ერთად საგურამოში ვცხოვრობდი. დიმიტრი იმ დროს 23 წლის გახლდათ და მას ჩოხა არასოდეს არ ცმია.“<sup>2</sup> ლეონიძის დავალებით ნადირაძის ნახატი ექსპოზიციიდან ჩამოუხსნიათ“.

ფაქტია, 1930-იან წლებში დიმიტრი ჯაშს, თითქმის ყველა, ვინც პარტიის დაკვეთით წერდა, მახინჯ ადამიანად აღწერდა. ჯაში დიდი ხნის გარდაცვლილი იყო. ბევრი მკვლევარი თუ მწერალი დიმიტრის პირადად არ იცნობდა, ისინი ჯავახიშვილის დაწერილს ეფუძნებოდნენ. ვასო წულაძეც, ჯაშის გარეგნობის აღწერისას, ჯავახიშვილს დაეყრდნო.

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, „ჯაშის - თბილისის „ოხრანკის“ აგენტი „სლუჩაინის“ ისტორია“, ბლოგი, 2013წ.;

<sup>2</sup> დ. კობლატაძე-ჯაში, „მოგონებები“ მანქანაზე დაბეჭდილი, გვ.73, 1965 წ. ბათუმი;

ვასო წულაძე შეგნებულად კიდევ ერთ ტყუილს წერს, რომ დიმიტრი ჯაშმა „ჩამოსწერა, თუ როგორ, ჯერ კიდევ 1907 წ. ბოლოს, იგი დაიჭირეს, ელექტრონის სკამზე დააჯინეს და ძალდატანებით გააჯაშუმესო.“

თუ დავაკვირდებით, წულაძე ისე წერს, უნდა დაადასტუროს დიმიტრის „ოხრანკაში“ თანამშრომლობის დაწყება 1907 წლის ბოლოს. ამას ხაზგასმით აღნიშნავს: „ჯერ კიდევ 1907 წ. ბოლოს“. ჩვენი აზრით, საქმე იმაშია, რომ, ვასო (ვასილი) წულაძე, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, დანაშაულს გრძნობდა ილიას მიმართ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ ცრუ საგაზეთო ბრალდებების გავრცელებისა და ილიაზე განხორციელებული ტერაქტის გამო. ვასო წულაძეს აწყობდა ბოლშევიკების მიერ 1942 წელს სასამართლოთი გაფორმებული ილიას მკვლელობის „ოხრანკისეული“ ვერსია და ჯაშის პირით დაწერა, თითქოს, იგი, ჯერ კიდევ 1907 წ. ბოლოს დაიჭირეს და ძალდატანებით გააჯაშუმეს. ვასო წულაძე, რომ ცრუობს ამას დიმიტრი ჯაში ადასტურებს თავისი 1917 წლის 2 მაისის განცხადებით, სადაც აღიარებს, რომ იგი „ოხრანკის აგენტი“ იყო 1909 წლის ზაფხულიდან 1911 წლის ივლისის შუა რიცხვამდე.

როგორც ვხედავთ, წულაძის მოგონება შეუსაბამოა დიმიტრი ჯაშის 1917 წლის 2 მაისის განცხადებასთან, რომელიც მუშათა დეპუტატთა საბჭოების საგამოძიებო კომისიას გაუგზავნა. ჯაშმა 1917 წლის მარტში ნოე რამიშვილს თუ „ჩამოწერა“, რომ იგი 1907 წ. ბოლოს გააჯაშუმეს, 1917 წლის 2 მაისის განცხადებაში, ტყუილს ვერ ჩაწერდა, შესაბამისად, ვასო წულაძის თანდასწრებით „ოხრანკის“ აგენტობაში აღიარებისას, 1907 წლის ბოლოს კი არ მიუთითებდა, არამედ 1909 წელს. ბატონ სიმამშვილის მიკვლეული დოკუმენტებიც ადასტურებს, რომ დიმიტრი ჯაში „ოხრანკასთან“ თანამშრომლობდა 1909 წლიდან.

წულაძის სიტყვები არადამაჯერებელია: თუ ნოე რამიშვილი და იქ დამსწრე პირები დაავალდებდნენ ჯაშს, ჩამოეწერა, როგორ გახდა „ოხრანკის“ ჯაშუში, იმას ნამდვილად არ დასჯერდებოდნენ, რომ დიმიტრის ფაქტები 1907 წლის ბოლოთი დაეთარილებინა და მეტი კონკრეტულობა მისთვის არ მოეთხოვათ. წლის ბოლო დეკემბრის დასაწყისიც არის და ბოლო რიცხვებიც. ვიცით, რომ დიმიტრი პატიმრობიდან 16 დეკემბერს გათავისუფლდა. მხოლოდ წულაძის სიტყვებს, ჟურნალში დაბეჭდილს, ვერ დავყვრდნობით. სად დაიკარგა ის ქალაქი, რომელზედაც დიმიტრიმ „ჩამოსწერა“ მისი 1907 წლის ბოლოს „ოხრანკაში“ გადაბირების აღიარებითი ჩვენება? ვასო წულაძე გადმოგვცემს დიმიტრის „მონაყოლს“, მაგრამ მისი ხელნაწერი არ ჩანს.

დიმიტრი ჯაში არ წერს, რომ ის ძალდატანებით გააჯაშუმეს, ის მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ ის იძულებით იმყოფებოდა „ოხრანკასთან“ 1909 წლის ზაფხულიდან 1911 წლის ივლისის შუა რიცხვებამდე. ჩვენი აზრით, უსახსრობამ და ოჯახის გაჭირვებამ აიძულა იგი ჩამდგარიყო „ოხრანკის“ სამსახურში. ამას ხაზგასმით იმიტომ აღვნიშნავთ, რომ, თუ ჩვენ მიერ გამოთქმული მიზეზი მიუღებელია პროფე-

სორ სიმამჭვილისათვის, ჩვენთვის ბევრად უსაფუძვლოა პროფესორი სიმამჭვილის აზრი იმის შესახებ, რომ ილიას მკვლელობაში დიმიტრის მონაწილეობის შესახებ სამხილები გადამალეს და ამ მიზეზით იგი „ოხრანკასთან“ თანამშრომლობას დათანხმდა. ვფიქრობთ, რომ ამ მოსაზრების უსაფუძვლობა ჩვენ წარმოვადგინეთ. ამასთან, დიმიტრის „ოხრანკასთან“ იძულებით თანამშრომლობას ვგულისხმობთ 1909 წლის გაზაფხულიდან, რასაც ადასტურებს სათანადო საარქივო დოკუმენტები, მათ შორის, დიმიტრი ჯაშის 1917 წლის 2 მაისის რუსულ ენაზე დაწერილი განცხადება, რომლის ფრაგმენტი, (ფ.1844, არწ, 2, N41, ფურც5-9), სადაც იგი აღიარებს, რომ წყეულ „ოხრანკასთან“ საქმიანობდა ორი წელი 1909 წლის ზაფხულიდან 1911 წლის ივნისამდე გურამ შარაძემ მოიტანა თავის ორტომეულში „ილია ჭავჭავაძე“ ტ. II, გვ. 402.

1909-1911 წლებში ჯაშის „ოხრანკაში“ აგენტურული საქმიანობის დამამტკიცებელი დოკუმენტები ურყევი მასალაა ჯაშის უარყოფით პირად დასახასიათებლად. მაგრამ მკვლევრის მიერ ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნების მიუხედავად, უკვე მერამდენედ ვწერთ, რომ ეს დოკუმენტები არანაირად არ მოწმობს ილია ჭავჭავაძესთან მოურავად დიმიტრი ჯაშის შეგზავნას ან ილიას მკვლელობაში მის როლს.

სიმამჭვილმა დაგვანახა, მართალია, გუმანით, თუ რატომ შეიძლება ჩამდგარიყო ჯაში ამ სამსახურში.

მცენიერის მიერ წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტები, კერძოდ, „ოხრანკის“ ხელფასების უწყისებით დასტურდება, რომ მიწოდებული ინფორმაციებისათვის იგი კარგ გასამრჯელოს იღებდა, რაც მეტყველებს შემოსავლის მიღების მიზნით, ე. ი. ჩვენი აზრით გამოთქმულ მოტივაციაზე – უსახსრობამ და ოჯახის გაჭირვებამ აიძულა იგი ჩამდგარიყო „ოხრანკის“ სამსახურში.

ფაქტია, რომ ჯაშის მიერ „ოხრანკაში“ წარდგენილი ინფორმაციის ნაწილი ეხება სოციალ-დემოკრატებს, უმეტესი კი ფედერალისტების საქმიანობას. გამოდის, რომ იგი მათზე შურს იძიებდა. რატომ უნდა ჰქონოდა დიმიტრი ჯაშს შურისძიების გრძნობა ამ პარტიების, განსაკუთრებით, ფედერალისტების მიმართ?

როგორც თავად წერს, ფედერალისტები იყვნენ ისინი, ვინც პირველად მას ილიას მკვლელობაში ბრალი დასდო და მოითხოვდნენ სამართლებრივად მის დასჯას. იქნებ, ეს იყო მიზეზი, რომ ფედერალისტების წინააღმდეგ გამოსულიყო, მაგრამ არა ღიად, ამიტომაც გახდა „ოხრანკის“ ინფორმატორი სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის მხრიდან. იქნებ, კიდევ იყო სხვა მიზეზი? რევაზ გაბაშვილი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი, დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის წევრი, ემიგრანტი, 1959 წელს წიგნში „რაც მახსოვს“ წერს: „1912 წელს მოხდა საშინელი ჩვენი (ე. ი. საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივობის) მორალური მარცხი... უდიდესი მასშტაბით: კიევიში მომხდარ „რუსეთის არასახელმწიფოებ-

რევ ერთა კონფერენციაზე“, რომელიც ხდებოდა საიდუმლოდ, – „კოლპერაციის კონფერენციის“ კამუფლაჟით, – საქართველოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა: სოციალ-დემოკრატიკა ნოე რამიშვილმა და სილიბისტრო ჯიბლაძემ და სოციალისტ-ფედერალისტმა – ოსიკო ბარათაშვილმა და სამსონ ფირცხალავამ თავიანთი პარტიების სახელით, ბოროტება ჩაიდინეს: მომავალ — ტერიტორიალურ-ეროვნულ განსაზღვრებაში, — საინგილო მორალურად მიაკუთვნეს აზერბაიჯანს, აფხაზეთი — ჩრდილოკავკასიის და ახალციხე-ახალქალაქი, ბორჩალოს მამრა ნავთლულამდის — სომხებს; რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრინციპების მიხედვით: „რეალური მოსახლეობისა“. ეს თეორიულ-მორალური გაცემა სახელმწიფოებრივ ტერიტორიის მთელი პროვინციებისა, – რაც ასე კარგად უდგებოდა საერთოდ რუსეთის პოლიტიკას საქართველოს მიმართ... დადასტურებული იყო ჩვენი ზემოაღნიშნული „სოციალისტების“ არა მარტო ხელის მოწერით, არამედ კიევიდან ჩამოტანილ რუკაზედაც აღნიშნული“.<sup>1</sup> (სტილი დაცულია).

იქნებ, დიმიტრი სოციალისტ-ფედერალისტების და სოციალ-დემოკრატების გეგმას — ქართული სახელმწიფოს მომავალი დანაწევრების შესახებ — „რეალური მოსახლეობის“ პრინციპების მიხედვით, უფრო ადრე, 1909 წელს იცნობდა, მანამდე, სანამ კიევში ამ პარტიის წევრები დაადასტურებდნენ ამ გეგმას თავიანთი ხელმოწერებით. როგორც პუბლიცისტს, შესაძლებელია, პრეტენზია ჰქონოდა იმ პოლიტიკური ხაზის ცოდნის შესახებ, რასაც სოციალისტური პარტიები საქართველოს მოწყობის საკითხებში ხედავდნენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება მასაც გაუჩნდა ამ პარტიების წევრების მიმართ სიძულვილი, რაც დამატებით მოტივად იქცა, რომ თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების ინფორმატორი გამხდარიყო.

მიუხედავად ზემოთ აღწერილი მოტივაციებისა, რომლის გამო იგი შეიძლება გამხდარიყო „ოხრანკის“ აგენტი, ვფიქრობთ, დიმიტრი ჯაშს უფრო სუბიექტური მიზეზი გააჩნდა – ამოფარებოდა საიდუმლო პოლიციის სამსახურს და ისე დაეწყო ბრძოლა როგორც სოცფედერალისტების, ისე სოცდემოკრატების წინააღმდეგ, ამასთან, ოჯახიც შეენახა. ეს მიზეზი სოციალ-დემოკრატების მიერ ილიას მკვლელობა იყო. ილიასთან მუშაობით იგი პირადი ცხოვრების გაუმჯობესებას გეგმავდა და ეს გეგმები სამ თვეში გაქრა. ამას დაემატა ილიას მკვლელობაში მისი მონაწილეობის შესახებ ყარამან ფალავას ინიციატივით გავრცელებული ხმები, რომელთა მოგერიებას ცდილობდა პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ. ათი თვის შემდეგ შეძლო გაზეთ „სავაჭრო გზაში“ დაებუჭდა ის, რითაც საზოგადოებას აუხსნა, თუ როგორ მოხვდა ილიასთან მოურავად, მაგრამ სოციალისტური პარტიების გავლენით, ბოლომდე არ დაუბუჭდეს სათქმელი. ისევ პარტიების ზეგავლენით, რო-

<sup>1</sup> რ. გაბაშვილი, „რაც მახსოვს“, მიუნხენი, 1959 წ.;

გორც ასოთამწყობი, კორექტორი და პუბლიცისტი გაზეთებმა არ მიიღეს. ოჯახის სარჩენად სამუშაოს ძებნამ ის, ალბათ, „ოხრანკამდე“ მიიყვანა.

უკვე განვაცხადეთ: „ოხრანკასთან“ თანამშრომლობისთვის დიმიტრი ჯამის დამცველები ვერ ვიქნებით. ეს მის სინდისზეა. ასი წლის გადმოსახედიდან გვინდა გავერკვეთ მის მოტივაციაში და რაც მთავარია, იმ საკითხში, თუ როგორ გამოიყენა მისი აგენტობის ფაქტი საბჭოთა ხელისუფლებამ.

## მ) 1917 წელს ჯამის დაპატიმრების ამბავი

მეცნიერი სიმაშვილი ჯამის – აგენტი „სლუჩაინის“ საქმიანობის შესწავლაზე ისე გადავიდა, რომ დოკუმენტებით არ დაუდასტურებია, იმერლიშვილმა შეაგზავნა თუ არა დიმიტრი ჯამი ილიასთან მოურავად. დიმიტრი ჯამის ცხოვრებაში ამ შავი ლაქის ჩვენებით ბატონ მეცნიერს სურს საქმე გაიაღვილოს, დამაჯერებლობა შემატოს თავის ვერსიას.

იგი წერს: „საინგერესოა, რომ 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, „ოხრანკის“ აგენტობაში ბრალდებული და დაპატიმრებული დიმიტრი ჯამი ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან არსებული საგანგებო საგამოძიებო კომისიის სახელმძღვანელოდან გაგზავნილ ვრცელ რამოდენიმე გვერდიან წერილში, ასევე, ნ. ჟორდანიას და მთელი ქართული საზოგადოების სახელმძღვანელო გაგზავნილ შვიდ გვერდიან დეპეშაში ყველანაირად აძაგებს სოციალისტ-ფედერალისტებს“.<sup>1</sup>

ქვემოთ გაცანობთ ამ წერილისა და დეპეშის ტექსტებს.

მანამდე, ვნახოთ, რა პოლიტიკური ფონზე წარიმართა ყოველივე.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებით, რუსეთში არსებობა დაასრულა კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციამ. 18 მარტს მუშაობას შეუდგა „ოზაკომი“. რუსული აბრივატურა - **Особый Закавказский Комитет**-ის. მისი ქართველი წევრები იყვნენ სოციალისტ-ფედერალისტი კიტა აბაშიძე და სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი. მოღვაწეობა დაიწყო საქართველოს ინტერპარტიულმა საბჭომაც. ინტერპარტიულ საბჭოში შევიდნენ ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები. დაიწყო მსჯელობა საქართველოს მომავალზე.

ინტერპარტიულ საბჭოში წამყვანი როლი სოციალ-დემოკრატებს ეკავათ, მაგრამ სოციალისტ-ფედერალისტებსა და ეროვნულ-დემოკრატებსაც გარკვეული როლი ერგოთ. 1917 წლის მარტში თბილისში მუშაობდა რევოლუციური ხელისუფლების

---

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, „ჯამის - თბილისის „ოხრანკის“ აგენტ „სლუჩაინის“ ისტორია“, ბლოგი, 2013წ.;

ორგანო, თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. ამ საბჭოში მთავარ როლს ასრულებდნენ სოციალ-დემოკრატები, მათთან ერთად თანამშროლობდნენ სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები.

1917 წლის მარტში ჯაშის დაპატიმრების ამბავს იხსენებს 1953 წელს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი შალვა ალექსიმესხიშვილი: „ჩემი თავმჯდომარეობით იყო გამოყოფილი კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა... „ობრანოე ოგდელენის“ საბუთების შესწავლა და საიდუმლო თანამშრომლების გამოვლენა ... გამოვლინდა შემდეგი თანამშრომლები: დ.ჯაში, ..., ..., ...“ თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, 1917 წლის მარტს დ. ჯაში დააკავეს და მეტეხის ციხეში გადაიყვანეს. აინგერესებდათ, რას აკეთებდა იგი ობრანკაში“.<sup>1</sup>

თენგიზ სიმამზილიც მოკლედ გვამცნობს, თუ რას წერდა 1917 წლის 2 მაისს მეტეხის ციხიდან დიმიტრი ჯაში „მუშათა დეპუტატთა საბჭოების საგამომძიებო კომისიის წევრებს, კოლეგია-მოქალაქეებს“: „განცხადებაში იგი თავდაპირველად ითხოვს, რომ გამოიკვლიონ შედიოდა თუ არა იგი, 1906 წლიდან 1917 წლამდე, რომელიმე რევოლუციურ ორგანიზაციაში, ან ჯგუფში, ან ცდილობდა თუ არა მათში შესვლას. იყო თუ არა პოლიტიკური პარტიის და ორგანიზაციების წევრი, დანყებული კადეტებით და დამთავრებული ანარქისტებით. „შეისწავლეთ და ნახეთ, გარკვევით ... პირიქით მთელი დრო მე ვცდილობდი ვყოფილიყავი შორს ყველასა და ყველაფრისაგან“, აღნიშნავს, რომ ის იძულებით იმყოფებოდა „ობრანკასთან“ ივლისის შუა რიცხვებამდე...“<sup>2</sup>

მეცნიერი ბოლო წინადადებაში შეგნებულად არ მიუთითებს დიმიტრი ჯაშის მიერ ჩაწერილ — 1909 წლის გაზაფხულიდან 1911 წლის ივლისის შუა — თარიღს და არ ეძებს ამ განცხადების დაწერის მიზეზს, მოკლედ აღნიშნავს: „...დიმიტრი ჯაში წერს, რომ მხოლოდ დღეს, 2 მაისს, მას შემთხვევით ჩაუვარდა ხელში გაზეთ „სახალხო ფურცელის“ 1917 წლის 25 მარტის ნომერი და წაიკითხა ვინმე ბ(რ)ეზიან-შვილის მიერ მასზე დაწერილი „შემოქმედება“ (სტატიის სათაურია „ჯაშუში დიმიტრი ჯაში“ – თ.ს.).

მთა ბადრიძე გვაწვდის განცხადების დაწერის მიზეზს: „დაპატიმრებული დ. ჯაში წერილით მიმართავს მუშათა და დეპუტატების საბჭოს საგამომძიებლო კომისიას. იგი აღნიშნავს: მხოლოდ ახლად შეიგყო, რომ მის შესახებ წერილი დაბეჭდილია გაზეთ „სახალხო ფურცელში“, უკმაყოფილოა ავტორებით ... დ.ჯაში შენიშნავს, რომ

<sup>1</sup> შ. ბადრიძე, „წინამურის ტრაგედიის გამოცანები“, 1991 წ. თბილისი;

<sup>2</sup> თ. სიმამზილი, „ჯაშის - თბილისის „ობრანკის“ აგენტ „სლუჩანის“ ისტორია“, ბლოგი, 2013წ.;

სწორედ ის ავტორები არიან, რომ „ილია ჭავჭავაძის მოკვლის შემდეგ, 1907 წლის სექტემბრიდან, როცა ისინი ცდილობდნენ წინასწარ გამოვეცხადე ჭავჭავაძის მკვლელობა, გამოძიებას ავანსად თხოვდნენ ჩემს დამნაშევდ მიჩნევას და საამისოდ სიკვდილით დასჯას, მაშინ ვერ მოახერხეს და ვერც ვერავითარი სასამართლო შესძლებს ამას. მე პოეტის მკვლელობის მონაწილედ გამომაცხადეს, ვინაიდან ეს არ ყოფილა, არა და არ შეიძლებოდა ყოფილიყო, და არაფერზე კი სასამართლო არ არსებობს“.<sup>1</sup>

**დიმიტრი ჯაშის განცხადების შინაარსის გადმოცემისას, გურამ შარაძე წერს:**

„დაბოლოს, ჯაში აცხადებს, ვიცი, გაუქმებულია სიკვდილით დასჯის კანონი, მაგრამ მე ვითხოვ შემდგომლობას, რათა გამონაკლისის სახით დაუშვან ჩემზე სიკვდილით დასჯა, თუ აღმოჩნდება რაიმე დამამტკიცებელი საბუთი ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ჩემი მონაწილეობის თაობაზე“.<sup>2</sup>

**ბატონი სიმამზილი კი ცდილობს, მკითხველს ჯაში დაანახოს შემდეგი თვისებებით:** „...მისი შინაარსი ნათლად გვიჩვენებს, რომ ამ ადამიანს ჰქონდა მოქნილი ჭკუა, ფლობდა ადამიანებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების კარგ უნარს და შესანიშნავად იცოდა ადამიანურ გრძობებზე თამაში. მაგალითად, იგი „სახალხოელებს“ და მათ წინამორბედებს აცხადებს დამნაშავეებად, რომ მათი მიზეზით გარდაეცვალა 11 თვის ბავშვი. დიმიტრი ჯაში წერს: „ეს იმიტომ მოხდა, რომ... ამ ბატონების წყალობით დაუნდობლად ვიდევნებოდი და ვინამლებოდი.“ ცხადია, იგი დევნაში გულისხმობდა იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულ ხმებს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეში მისი მონაწილეობის შესახებ. ... მთელი განცხადება გამსჭვალულია პათოსით, რომ ის მზადაა აგოს პასუხი, მაგრამ „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნებული შენიშვნის გამო, ვერ მიანდობს თავის სიცოცხლეს ამ გაზეთის იდეოლოგიურ მხარდამჭერ პარტიას, ანუ სოციალისტ-ფედერალისტებს. ასევე წინააღმდეგია, რომ სოციალისტ-ფედერალისტების წარმომადგენლები იყვნენ სასამართლოს შემადგენლობაში. დიმიტრი ჯაშის სიტყვებით, მისი გამასამართლებელი სასამართლოს წევრებად აუცილებელად უნდა იყვნენ ნეიტრალური ნაციონალიზმის პირები (?), გამონაკლისებად მიიჩნევს: „სოციალ-დემოკრატებს, ნაციონალურ საკითხებში ყოველთვის სრული ობიექტურობის დამცველებს“.<sup>3</sup>

სიმამზილი ამ კონტექსტით ცდილობს დაგვანახოს, რომ ჯაში იდევნებოდა იმდროინდელი ქართული საზოგადოების მიერ, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეში მისი მონაწილეობის შესახებ ფართოდ გავრცელებული ხმების გამო; ამასთან,

<sup>1</sup> შ. ბადრიძე, „წინამურის ტრაგედიის გამოცანები“, 1991 წ. თბილისი;

<sup>2</sup> გ. შარაძე, „ილია ჭავჭავაძე“, ტ. II, 1990 წ. თბილისი;

<sup>3</sup> თ. სიმამზილი, „ჯაშის - თბილისის „ონრანკის“ აგენტ „სლუჩანის“ ისტორია“, ბლოგი, 2013წ.;

სრულ იგნორირებას უკეთებს დიმიტრის ტექსტს, სადაც წერია, რომ იგი დაუნდობლად იღვენებოდა „სახალხოელების“, იგივე სოციალისტ-ფედერალისტების წყალობით.

დიმიტრის მიერ წერილში შვილის გარდაცვალების ფაქტის მოტანას სიმაშვილი მიიჩნევს მის ფსიქოლოგიურად ზემოქმედების კარგ უნარად და ადამიანურ გრძნობებზე თამამად. ეს შეფასება პროფესორისათვის, ვფიქრობთ, არასამართლიანია. დადასტურებული ფაქტია, რომ დიმიტრის პატიმრობისას მისი ცოლი დარია - მძიმე მორალურ და მატერიალურ გაჭირვებაში აღმოჩნდა. ეს ჩვილის მოვლა-პატრონობას დაეტყო – ტვინის ანთებით გარდაიცვალა. რაც შეეხება სიტყვებს: „სოციალ-დემოკრატებს, ნაციონალურ საკითხებში ყოველთვის სრული ობიექტურობის დამცველებს“ – დიმიტრი ჯამი მარქსისტების კოსმოპოლიტიზმს, ალბათ, ამ შინაარსით აღიქვამდა.

1917 წლის 3 ივლისს, დაპატიმრებიდან სამი თვის შემდეგ, დიმიტრი ჯამი ციხიდან მიმართავს დეპუტებით რუს პოეტს კონსტანტინ ბალმონტს, მრავალ რედაქციას, კიტა აბაშიძეს, ნოე ჟორდანიას...

„უკვე ათი წელია, რაც ჩემი არსებობა შეგნებულად იღვენება ბილნი ცილისწამებით, ჩემს უკან ჩურჩულით აღაუღენენ საზარელ ბრალდებას ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობის შესახებ. პალაგის პროკურორს მირთმეული აქვს თხოვნა – საგამოძიებო კომისიის ასლი, რომელიც მოითხოვს, უმკაცრესად იქნეს გამოძიებული პოეტის მკვლელობა, პასუხისგებაში იქნენ მიცემული სისხლის სამართლის ათწლიანი ხანდაზმულობის ვადამდე, ვინაიდან ყველა დანარჩენი საფუძველი ბოროტგანზრახული მკვლელობაა. შეუძლებლად მიმაჩნია ჩემი საქმის მოსმენა სასამართლოს მიერ პოეტის მხეცურად მოკვლის გარემოებათა უმკაცრეს გამოძიებამდე, ჩემი მასში მონაწილეობის, ანუ არ მონაწილეობის ხარისხის მიზნით. ჭეშმარიტების გულისთვის სასამართლომ აუცილებლად მიმაჩნია გაარკვიოს დამნაშავე პოეტის სიკვდილში, რომლის გამოც ცილისმწამებელთა მიერ განჯული მსხვერპლი ვარ.

... ისტორიის, შთამომავლობის წინაშე პასუხისმგებლობის სახელით, გთხოვთ ყველას, გემუდარებით, მოვითხოვ, მოვითხოვ, ყოველნაირად მოვითხოვ, ერთხელ და სამუდამოდ გაიხსნას ილიას მკვლელობა ყველა პარტიის, თავადაზნაურობის, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით.

ჩემთან ერთად, ბრალდების ჩრდილი ...ესდევების პარტიას მიაყენეს ჩემამდე ...ჯერ კიდევ ჩურჩულობენ, თითქოს ესდევების პარტიამ გამგზავნა მოურავად... მკვლელობის ორგანიზების მიზნით. ნოე ნიკოლოზისძე, ათეული წელია უდანაშაულოდ ვიგანჯები შეუბრალებელი სასჯელით. ათი წელია საზარელი ცილი აქვს აკიდებული თქვენს მშობლიურ პარტიას. აქ ყველასათვის ცნობილია, რომ მე არასოდეს არც ერთ

პარტიას არ ვეკუთვნოდი, მაგრამ, გაფიცებ თქვენს ლეიბლში პარტიას, ნითელ დრომას... ახლაც მაღლა რომ გიკავიათ თქვენი ძალა და გოლიათური ენერჯით, ეცადეთ ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიებას ყველა ქართული პარტიის მიერ, ...მე დაბატონებული ვარ და ორგანულად ატროფირებული, მოკლებული ვარ საშუალებას, ზემოქმედება მოეხდინო ძიების მსვლელობაზე. კაცი არ მოიძებნება, რომ ჩემ სასარგებლოდ უჩვენოს, რათა ახლა მაინც გაირკვეს სიმართლე, ან მე მაშხილეთ, ან სატელევიზიო ცილისმწამებელები შეარცხვინეთ, ფარდა ახადეთ, ნამდვილი დამნაშავეები აღმოაჩინეთ, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი.“

...ეკვებაშვილი, ნ.ნაკაშიძე, კ.აბაშიძე, თავადი აფხაზი, ფირცხალავა, ლასხიშვილი, აბაშელი, გრიშაშვილი, რუხაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ყიფშიძე, ყველა მწერალო, ხმა აღიმადლეთ, იმოქმედეთ... დუმილი დანაშაულია. ილიას სახელი გავალდეხლებთ, წამებულის აჩრდილი გაფიცებთ, აღსდგეთ ათწლეულის სიგრძეზე უხეშად გათელილი ჭეშმარიტების დასაცავად... ილია თქვენი დიდი მოძმეა. იგი მოკლეს, მაგრამ ჩემი სინდისი კი სუფთაა. ჩემი ხელები მისი სისხლით არ შეღებულა... იყავით დიდი მოციქულისა და ჭეშმარიტების ღირსი, დაიცავით ჭეშმარიტება. დამეხმარეთ მე მივალწიო გამოძიებას... მოითხოვეთ გამოძიება, რის მიღწევასაც ვცდილობ...“<sup>1</sup>

წერილი და დეპეშები დაწერილია რუსულად, ნაწყვეტი გამოქვეყნებული აქვს გურამ შარაძეს ორტომეულში „ილია ჭავჭავაძე“. შოთა ბადრიძემ და შალვა მარკოზაშვილმა ქართულად ნათარგმნი, თავიანთ წიგნებში დაბეჭდეს. რაც შეეხება თენგიზ სიმაშვილს, ის თავის შრომებში ქართულად მოკლედ, მაგრამ თავისთვის საჭირო კონტექსტში, გამოგვცემს მეტეხის ციხეში დაწერილ დიმიტრი ჯაშის 1917 წლის 2 მაისის განცხადებას.

დიმიტრი ჯაშის განცხადებას ადამიანებზე ზემოქმედების თვალსაზრისით რომ განიხილავს, თენგიზ სიმაშვილს, იქნებ, სრულად ეჩვენებინა მისი დეპეშების შინაარსიც. შესაძლებელია, მას არ სჯერა ჯაშის გულწრფელობის, მაგრამ თავად რატომ არ გააანალიზა დეპეშების ტექსტი იმის დასადგენად, თუ რომელი სიტყვებით ჩანს მისი არაგულწრფელობა. ადამიანი სახალხოდ აცხადებს, რომ არც ერთ პარტიას არ ეკუთვნოდა, როცა ეს „პარტიულობა“ შესაძლებელია სასარგებლოც კი ყოფილიყო, რადგანაც ქვეყანას და იმ კომიტეტს, რომელმაც იგი დააპატიმრა, სოცდემოკრატების გარდა სხვა პარტიის წარმომადგენლებიც ხელმძღვანელობდნენ. რომელიმეს ხომ სთხოვდა მხარდაჭერას ან რომელიმე ხომ იტყოდა: ცრუობს ჯაში, იგი ჩვენი პარტიის წევრი იყო.

თუ ის ოდესმე სოცდემოკრატებს ეკუთვნოდა და ნამდვილად ამ პარტიის შეგზავნილი მოურავიც იყო, მაგრამ საქვეყნოდ უარყოფდა, თან ღიად უცხადებდა

<sup>1</sup> შ. მარკოზაშვილი, „ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი მოურავი“, 2004, თბილისი;

პარტიის მენშევიკური ფრთის ლიდერს და საზოგადოებისთვის ცნობილ სხვა პიროვნებებს, რომ ეს ასე არ ყოფილა, ასეთი განცხადების გაკეთება მისთვის, როგორც პატიმრისთვის, სარისკო იყო. სოცდემოკრატების მენშევიკური ან ბოლშევიკური ფრთის ხელმძღვანელები უკეთეს მომენტს ვერ იპოვიდნენ იმისათვის, რომ საზოგადოების მიერ ეჭვებით „დამნაშავედ“ შერაცხული ჯაში, მათი აზრით, როგორც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ხელმძღვანელი – პარტიული დავალების შემსრულებელი, მკვლელობის დამკვეთთა გვარების კარგად მცოდნე, მათთვის უკვე არასასურველი ცოცხალი მოწმე, მეტეხის ციხეში, სასამართლოს გარეშე მოემორებინათ. თუ დიდი ილია მოკლეს, მათთვის რას წარმოადგენდა დიმიტრი ჯაში, რომ, როგორც საქმის მონაწილე და უკვე სრულიად არასასურველი პირი, თავიდან მოემორებინათ.

ზემოთ უკვე ითქვა იმის შესახებ, რომ დიმიტრი 1917 წლის მარტში დააპატიმრეს, „მუშათა დეპუტატთა საბჭოების საგამოძიებო კომისიის წევრებს, კოლეგია-მოქალაქეებს“ განცხადება გაუგზავნა 2 მაისს, დაპატიმრებიდან თითქმის ორი თვის - თავზე, როცა მას ხელში ჩაუვარდა 25 მარტის გაზეთი, სადაც დაბეჭდილი იყო მის შესახებ სტატია. თვითნასწავლ ჟურნალისტს კარგად ესმოდა, რომ ფედერალისტების გაზეთში დაბეჭდილმა სტატიამ მის მიმართ შექმნა უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი. დაპატიმრებული ჯაში სოციალისტ-ფედერალისტების მისდამი მტრული დამოკიდებულებისგან თავს იცავს. გარდა ამისა, ორივე მხარემ კარგად იცოდა ერთმანეთის მტრობის ამბავიც. ერთი მხრივ, დიმიტრიმ, როცა ილიას მკვლელობის გამოძიებისას ფედერალისტებმა იგი ილიას მკვლელად შერაცხეს და ამას განცხადებაშიც აღნიშნავს, მეორე მხრივ, ფედერალისტებს ხელთ ჰქონდათ დიმიტრის მიერ ფედერალებზე 1909 წლიდან „ოხრანკისათვის“ მიწოდებული „დონოსები“, რისთვისაც ჯაშზე შურს იძიებდნენ. სწორედ ამ მიზეზით იგი ფედერალისტებს არ ენდობოდა მისი გასამართლების პროცესში, როგორც მხარეს.

ის ფაქტი კი, რომ დიმიტრი ჯაში ილიას მოურავი გახდა, მოულოდნელი და, შესაბამისად, მიუღებელი იყო ფედერალისტური პარტიის ხელმძღვანელობისათვის. ილიას ვერაგულად მკვლელობის გამოძიების პირველსავე დღეებში მის მოურავზე თავიანთი ეჭვიც გაანმოვანეს. ასეთმა ურთიერთობამ იგი სამტროდ გადაკიდა ფედერალისტებს.

პროფესორი სიმაშვილი გადმოგვცემს, რომ დიმიტრი ჯაშის მიერ „ოხრანკისათვის“ 1909 წლის მარტიდან 1911 წლის ივნისამდე მიწოდებული ინფორმაციები 1917 წლის საგამოძიებო კომისიამ შეგნებულად არ შეამჩნია. ის წერს: „იმ დროს სრულყოფილი ინფორმაცია დიმიტრი ჯაშის აგენტურული საქმიანობის შესახებ, სოციალ-დემოკრატიული მენშევიკური პარტიის ლიდერებს, სურვილის შემთხვევაში თავისუფლად, იოლად შეეძლოთ მოეპოვებინათ. სწორედ ამ პარტიის ლიდერები და წარმომადგენლები იყვნენ საგამოძიებო კომისიის წევრები. მათ დიმიტრი ჯაშის აგენტურ-

რული საქმიანობის შესახებ მასალები არ მოიძიეს, ანდა მათ ხელთ არსებულ დოკუმენტებს ყურადღება არ მიაქციეს“.<sup>1</sup>

აქაც მკვლევარს მკითხველი შეცდომაში შეჰყავს. ცნობილია, რომ კომისიაში, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეესწავლა „ოხრანკის“ განყოფილების საიდუმლო თანამშრომლების საქმიანობა, სოციალისტ-ფედერალისტური და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებიც შედიოდნენ. ამ კომისიის თავმჯდომარის, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, შალვა ალექსი მესხიშვილის მოგონება ზემოთ მოვიტანეთ. სიმაშვილს უნდა, მკითხველი დაარწმუნოს, თითქოს კომისია მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული მენშევიკური პარტიის წევრებისაგან შედგებოდა. ამავე დროს, ის არ პასუხობს კითხვაზე: სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრმა ამ კომისიის თავმჯდომარემ და ამ პარტიიდან კომისიის სხვა წევრებმა დიმიტრი ჯაშის „ოხრანკაში დონოსებს“ ყურადღება რატომ არ მიაქციეს? ის ხომ წერს თავის ნაშრომში: „თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების მიერ სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ეფექტური საქმიანობის შეჩერებაში აგენტ ჯაში-„სლუჩაინის“ დიდი „წვლილი“ იყო“. ვიფიქროთ, რომ სოციალისტ-ფედერალისტებმა ეს დიმიტრის აპატიეს? რატომ?

მეცნიერი სიმაშვილი გვამცნობს: „კვლევის ამ ეტაპზე ვერ შეძლო, ეპოვა საგანგებო კომისიის მიერ თბილისის საოლქო სასამართლოში გადაგზავნილი დიმიტრი ჯაშის ორმოცდათხუთმეტყურცლიანი საქმე. ... იგი 1917 წლის 21 აგვისტოს თბილისის საგუბერნიო კომისიის და თბილისის საოლქო სასამართლოს წევრ ა. ა. კარასევიანს გადაუგზავნიათ. სასამართლოში 1917 წლის 26 აგვისტოს დანიშნულა კიდევ დიმიტრი ჯაშის საქმის განხილვა. ასევე, ჩატარებულა სასამართლოს სხდომაც, რასაც ადასტურებს თანამედროვეების მოგონებები და საარქივო მასალები.

განსაკუთრებული კომისიის საქმეში ჩაკერებულია „კავკაზსკი ვესტნიკის“ 1917 წლის №195 ნომრიდან გადმოთხრობილი სტატიის ასლი, რომლის სათაურია „სასამართლო პროცესები“. მასში საუბარია „ოხრანკის“ სხვადასხვა აგენტის შესახებ, მათ შორის, დიმიტრი ჯაშზე. მითითებულია, რომ 1917 წლის 26 აგვისტოს გაიხსნა თბილისის გუბერნიის კომისიის სხდომა, რომელიც არასასამართლო წესით აგენტების საქმეებს იხილავდა. განუხილავთ ბოლშევიკ კოპლექსიონის საქმე და იგი უცვნიათ დამნაშავედ... დიმიტრი ჯაშზე კი აღნიშნულია, რომ: „ჯაში თანამშრომლობდა თბილისის გაზეთებში, მონაწილეა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის, თანამშრომლობდა „ოხრანკასთან“ და აშუქებდა ძირითადად საზოგადოების ლიგერაგურულ განწყობას. საქმე გადადებულია დამატებითი დაკითხვისათვის 6 სექტემბრამდე“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, „ჯაშის - თბილისის „ოხრანკის“ აგენტ „სლუჩაინის“ ისტორია“, ბლოგი, 2013წ.;

<sup>2</sup> თ. სიმაშვილი, „ჯაშის - თბილისის „ოხრანკის“ აგენტ „სლუჩაინის“ ისტორია“, ბლოგი, 2013წ.;

სიმაშვილს გვინდა ვკითხოთ: 26 აგვისტოს თბილისის გუბერნიის კომისიის სხდომამ, რომელიც არასასამართლო წესით აგენტების საქმეებს იხილავდა, რის საფუძველზე მიიჩნია, რომ დიმიტრი ჯაში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილე იყო? როგორ დადგინდა ეს არასასამართლო წესით, გამოძიების გარეშე? მით უფრო, რომ დიმიტრი ჯაშს ამ საქმეში თავი დამნაშავედ არ უცვნია. თუ გამოძიებით დაადგინეს, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილე იყო, რატომ არ გაასამართლეს? რაც მთავარია — სად არის ამ კომისიის სხდომის ოქმი, რომელშიც ყოველივე ეს წერია?

სამაგიეროდ, ვიცით ის, რომ 1917 წელს დიმიტრი ჯაშს ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობის აღიარება მოთხოვეს, მაგრამ რადგან არ მონაწილეობდა, დიმიტრი ჯაშმა არ აღიარა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობა.

საინტერესოა, დიმიტრი მეტეხის ციხიდან დეპუტით რატომ მიმართავს სამსონ ფირცხალავას და გიორგი ლასხიშვილს, კიტა აბაშიძეს, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დამფუძნებლებს. გამოდის, ვისაც აძაგებს, იმათ მიმართავს იმოქმედონ ილია ჭავჭავაძის მკვლელების დასადგენად გამოძიების დაწყების მოთხოვნით. იქნებ, დიმიტრი იცის, თუ რა იციან სოციალისტ-ფედერალისტებმა ამ საქმესთან დაკავშირებით და მათ სთხოვს, გაერკვნენ სიმართლეში? ან სამსონ ფირცხალავამ, გიორგი ლასხიშვილმა და კიტა აბაშიძემ იმ დროს საზოგადოებას რატომ არ აცნობეს — ეს „ოხრანკის“ აგენტი ჯაში ჩვენ რატომ მოგვმართავს, რა პირობით?

მოგვიანებით, ნოე რამიშვილის შვილის აკაკი რამიშვილის გადმოცემით გავიცავთ, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობა შეეცადა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიებასა და მკვლელების გასამართლებას. „როდესაც ნოე რამიშვილმა დააჭერინა ილიას მკვლელობის მონაწილეები, ფილიპე მახარაძე და ბერბიჭაშვილი, და მკვლელობის გამოსაძიებლად საკითხი წარუდგინა დამფუძნებელ კრებას (1919 წ. მარტი), გამოიყო საგანგებო კომისია. ამ დროს კი ნოე ჟორდანიამ ფარულად გამოაშვებინა ციხის უფროსს დამნაშავეები და თავის მძლავრ თავისივე სახელმწიფო მანქანით ჩააყვანინა ვლადიკავკაზში“.<sup>1</sup> გამოდის, რომ ჟორდანიას არ აწყობდა სიმართლის დადგენა.

რამდენად სიმართლეა, რასაც აკაკი რამიშვილი წერს? არის თუ არა დაფიქსირებული ნოე რამიშვილის წარდგენილი წინადადება ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიების გარემოებების შესასწავლად საგანგებო კომისიის გამოყოფის შესახებ? წარდგენილ წინადადებაში მახარაძის, ბერბიჭაშვილის გარდა, თუ არის ნახსენები ჯაში?

იმედია, ბატონი სიმაშვილი უყურადღებოდ არ დატოვებს აკაკი რამიშვილის ინფორმაციას და მისი შესწავლის საგანი გახდება ნოე რამიშვილის ინიციატივა. იქ

---

<sup>1</sup> ა. რამიშვილი, „ჩვენი შეცდომები, 1918-1921 წწ.“, თბ., 2000 წ.;

უნდა ფიგურირებდეს ჯაშის გვარი, თუ არ ფიგურირებს, გამოდის, რომ მას მათთან საერთო ამ საქმეში არ ჰქონია.

იქნებ ბატონმა თენგიზმა ამის შესახებ უკვე დაწერა და მას ვერ მივაკლიეთ.

ნოე რამიშვილმა თუ დააპატიმრა ფილიპე მახარაძე – ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ხელმძღვანელობაში ექვმიტანილი და გიგლა ბერბიჭაშვილი კი როგორც 1907-1909 წლებში გამოძიებით დადგენილი მკვლელი, თუ ეს მართლა ასეა, იქნებ ბატონმა თენგიზმა გვიპასუხოს: 1907 წლიდან მკვლელობის მონაწილედ ეჭვებით შერაცხული დიმიტრი ჯაში რატომ არ დააპატიმრა? იქნებ, იმ მიზეზით, რომ ნოე დიმიტრის მამიდის ქმრის ნათესავი იყო ან იქნებ, ნოე რამიშვილს ახსოვდა, რომ დიმიტრი ჯაში, როგორც „ოხრანკის აგენტი“, დაპატიმრებული ყავდა უფრო ადრე 1917 წლის გაზაფხულიდან შემოდგომამდე და გამოძიებით თუ საქმის შესწავლით, საქმის კურსში იყო იმასთან დაკავშირებით, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მისი დანაშაული არ დადგინდა. ყოფილ მოურავს აღიარებითი ჩვენება მოსთხოვეს, მაგრამ უშედეგოდ. და რაკი ამ საქმეში აღმოჩენილი ვერ იქნა მისი არათუ დიდი როლი, არამედ მცირედი წვლილიც კი, იგი გათავისუფლებული იქნა.

ამის შესახებ იცოდა, ალბათ, ნოე ჟორდანიამაც, თორემ მახარაძე და ბერბიჭაშვილი რომ გააპარა სახელმწიფო ავტომობილით რუსეთში, იმ ავტომობილში დიმიტრი ჯაშსაც მოუძებნიდა ადგილს და საქართველოდან გააპარებდა, როგორც, ბატონ სიმამშვილის აზრით, მკვლელობის ხელშემწყობსა და მკვლელობის ორგანიზატორ პირთა კარგად მცოდნე მოწმეს.

საბჭოთა ხელისუფლებას, დიმიტრი ჯაშის სოცდემოკრატიების და მათ მიერ-დიმიტრი ჯაშის ილიასთან მოურავად შეგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტისათვის რომ მიეკვლია, არ დამალავდა. რადგანაც ვერ მიაკვლია, ალბათ, ბუნებაში არ არსებობდა. 1909-1911 წლებში დიმიტრის „ოხრანკის“ აგენტობა სრულებით არ მეტყველებს ილიას მკვლელობაში მის მონაწილეობაზე.

## ნ) სხვა ხედვა დიმიტრი ჯაშზე

თენგიზ სიმამშვილი წერს: „დიმიტრი ჯაში 1905-1906 წლებში გაზეთ „ივერიაში“ და „ცნობის ფურცელში“ მართლაც მუშაობდა. პროფესიით იგი ასოთამწყობი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ის თავისი კოლეგებისაგან განსხვავებით საკმაოდ განათლებულ და განვითარებულ პიროვნებას წარმოადგენდა. ამას მოწმობს 1905 წელს გაზეთ „ივერიის“ დამატებაში დაბეჭდილი დიმიტრი ჯაშის მიერ თარგმნილი მაქსიმ გოლკის მოთხრობა „საპყრობილე“, „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული მის მიერ თარგმნი-

ლი ბულგარელი მწერლის ვინმე ი.გ. გეშივის მოთხრობა „ლილა“. ვფიქრობ, დიმიტრი ჯაშის პიროვნების დახასიათება არასრულყოფილი იქნება, თუ მას მხოლოდ ერთი მხრიდან შევაფასებთ, ამიტომ მოვლენებს მინდა გავუსწრო და დავამატო, რომ იგი ამ სახის ლიტერატურულ საქმიანობას აგრძელებდა შემდგომ წლებშიც. მაგალითად, 1911 წელს დიმიტრი ჯაშს თავისი მეუღლისადმი მიუძღვნია ნორმანდიული ბალადის თარგმანი „ღედის გული“.

სხვადასხვა დოკუმენტები ადასტურებენ იმასაც, რომ დიმიტრი ჯაში ასევე ყურადღებით ეკიდებოდა საზოგადოებრივ საქმიანობას. თბილისის საზოგადოების (მოსამსახურეთა) წერილობით მილოცვაში, ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილის აღსანიშნავად, დიმიტრი ჯაშის ხელმოწერის არსებობა, ესეც დიმიტრი ჯაშის ცხოვრების ერთ-ერთი მხარე იყო.<sup>1</sup>

დავუმატებთ, რომ დიმიტრი და დარია ჯაშები 1907 წლიდან იყვნენ „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრებიც.

რატომ მოვიტანეთ ეს ფაქტები? უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ყურადღება გავამახვილოთ: დიმიტრი ჯაშს პრეტენზია ჰქონდა, ყოფილიყო ლიტერატორი და ჟურნალისტი, რაც გარკვეულწილად შეძლო კიდევ.

1895 წელს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ქართველი სტუდენტების რაოდენობა 210-ს შეადგენდა (სამსონ ფირცხალავას მოგონებიდან - ავტ.). წოდებრივად 23 სტუდენტი იყო გლეხი. მათგან უმრავლესობა 1900 წელს მშობლიურ მხარეს დაუბრუნდა.

წრე, რომელშიც ცხოვრობდა და საქმიანობდა დიმიტრი ჯაში 1904-1917 წლებში, შეიძლება გავყოთ ორად: განათლებამიღებულ და თვითნასწავლ კატეგორიებად. განათლებამიღებულებში იგულისხმება კლასიკური განათლების მქონენი და ნასტუდენტარები, რომლებიც მეოცე საუკუნის დამდეგისთვის ქართულმა საზოგადოებამ მიიღო იმ 210 სტუდენტისაგან.

დიმიტრის მამა, სოფრომ ჯაში სასულიერო პირი იყო. მან ვაჟიშვილისთვის სამკლასიანი დაწყებითი განათლების მიცემა შეძლო. 12 წლის დიმიტრი უკვე ტიფლისშია, დიდ ცხოვრებასთან შესახვედრად. მისი შემდგომი ისტორიით არავინ დაინტერესდებოდა, რომ არა ილიას მოურავად დადგომა, ამიტომაც გვიწევს ახსნა იმისა, თუ რა გარემოში მოუწია ცხოვრება. მიუხედავად დაბალი განათლებისა, იგი არა მარტო ასოთამწყობი და კორექტორი გახდა, არამედ ჟურნალისტი და ლიტერატორიც, რომლის ნაწერი და ნათარგმნი ილიასთან მოურავად დადგომამდე იბეჭდებოდა ქართულ გაზეთებში, მოურავობის შემდეგ კი, 1914-1916 წლებში, რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ ცენტრალურ გაზეთში.

---

<sup>1</sup> თ.სიმამილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშ. ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011წ. თბ.;

1904-1906 წლებში რევოლუციონერებთან მისი ნაცნობობის მიუხედავად, არსად ჩანს მისი რევოლუციურ თემაზე დაწერილი წერილები და რევოლუციური პოლემიკა, მით უფრო – მონაწილეობა ტერორისტულ აქტებსა თუ ექსპროპრიაციებში. თავისი დამოუკიდებელი ხედვა რომ ჰქონდა, ეს დიმიტრის ცხოვრების მრავალი ფაქტით არის დადასტურებული. უმეტეს შემთხვევაში, ბრმად არავის მიჰყვებოდა. მიღებული თვითგანათლებით შექმნილი ეკამათა უნივერსიტეტებში განსწავლულ პირებთან, რომლებიც მისი განათლების დაბალი დონისა და, ამავე დროს, მაღალი ინტელექტუალობის გამო, არა მარტო გაკვირვებას, ხშირად, გაღიზიანებასაც ვერ მალავდნენ. ამას ერთვოდა დიმიტრის ფიციხე ხასიათიც, რის გამოც ამგვარი კამათი ყოველთვის მის სასარგებლოდ როდი მთავრდებოდა. ეს კი საზოგადოებაში მისი დამკვიდრებისათვის ხელის შემშლელი ფაქტორი გახდა.

ფაქტია, 1909 წლამდე ცდილობდა განათლებულ ახალგაზრდებსა და მასზე უფროსი თაობის წარმომადგენლებს შორის თავისი ადგილის პოვნას, რადგანაც უმეტესად ასეთი ხალხის გარემოში მუშაობდა და წერდა. ვერ დამკვიდრდა. მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლობდა ცნობილ და შემდგარ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად. თავიანთ მოგონებებში არც ერთი არ მოიხსენიებს დიმიტრი ჯაშს. იგი მის თანამედროვეთა გაწყვეტილი მესხიერების მაგალითია. თავიანთ მოგონებებში, სადაც ასახულია თბილისის ინტელექტუალური ყოფა 1904-1906 წლებში, არსად ახსენებენ დიმიტრი ჯაშს – არც დადებითად, არც უარყოფითად. როცა 1917 წელს ამხილეს „ოხრანკასთან“ თანამშრომლობაში, ბუნებრივია, ვინც მას იცნობდა, ის არ ახსენებდა, რადგან „აგენტად“ თანამშრომლობის გამო განკიცხული დარჩა. დიმიტრი ჯაშში გარდაცვალებიდან დაახლოებით 12-14 წლის შემდეგ ბევრმა „გაიხსენა“, როგორც ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში დამნაშავედ შერაცხული და ამავე დროს ფიზიკურად „მახინჯი“.

ილიას მკვლელობის შემდეგ დიმიტრი ჯაშში პოლიტიკურად სარისკო საქმეებში იყო ჩართული, თუმცა მისი საქმიანობა არსად იკვეთებოდა იმერლიშვილის საქმიანობასთან. ერთ მხარეს იყო „ოხრანკის“ აგენტი და მეორე მხარეს – ტერორისტი. ჯაშში ბუნებით იყო იმერლიშვილის საპირისპირო მხარეს.

რევოლუციონერების მხრიდან 1909-1911 წლებში მუდმივი საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა. ადრეულ 1904-1906 წლებში თანაუგრძობდა სოციალ-დემოკრატებს თუ სოციალისტ-ფედერალისტებს, მაგრამ იგი, მათ მიერ ორგანიზებულ ტერორისტულ აქტებში და შეიარაღებულ შეტაკებებში არასდროს მონაწილეობდა. არ იზიარებდა რევოლუციური ბრძოლის სისხლიან გზას. ალბათ, არ მოსწონდა ბრძოლის ეს ფორმა. დროთა განმავლობაში ადამიანი იცვლის თავის ხედვას, შესაძლებელია, ასე დაემართა დიმიტრი ჯაშსაც. ამის მაგალითი ბევრია ისტორიაში.

იროდიონ ევდოშვილი, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, თავის პოლიტიკურ იდეალებს გაემიჯნა. ამის მიზეზი კი ილია ჭავჭავაძის მკვლე-

ლობის ორგანიზებაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის მონაწილეობა გახდა. გადასახლებაში მყოფი იროდიონ ევდოშვილი 1911 წლის 23 ნოემბრით დათარიღებულ წერილში წერდა: „...ამ გადამთხვეულებმა ილიას მოხუც, ნაჭირნახულებ გულს ცყვია დაახალეს. ეს ცყვია მეც მომხვდა, როგორც სამგლოვიარო სევდა. აქ განყდა ჩემსა და მათ შორის შემაერთებელი ძაფი. მაგრამ, ძაფი კი არა, ნამდვილი ჭაჭვი. ჭაჭვი, იმიტომ რომ მათთან ვიყავი მიჯაჭვული, მთელი 10-12 წლის განმავლობაში, იდეურად. ძნელი იყო 12 წლის ნაჭედი ჭაჭვის განყვეტა და აი, ილია დამეხმარა მე, თავისი სიკვდილით. იცოდე, ასეთი უკუღმართი შეხედულება ეროვნულ საკითხზე, არცერთი ქვეყნის სოციალ-დემოკრატიას არ აქვს. და, თუ დღეს ქართველ მუშებს ასეთი უკუღმართი შეხედულება აქვს ეროვნულ საკითხზე, ამაში რასაკვირველია ქართველი ებღეკი ინტელიგენციაა დაშნაშაფე. მეც ერთი მათგანი ვარ და მინდა ჩემი შეცდომა გავასწორო“.<sup>1</sup>

რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ დიმიტრის შემთხვევაშიც სწორედ ასე მოხდა. ის გაემიჯნა იმერლიშვილს მანამდე, სანამ მოურავი გახდებოდა. გაემიჯნა თუნდაც ლიტერატურისადმი მიდრეკილების გამო. იგი აღმერთებდა ქართველ პოეტებს, იცნობდა რუს პოეტებსა და მწერლებს. რუსულიდან თარგმნიდა მოთხრობებს, პიესებს. 1908 წლის შემოდგომაზე გაზეთ „სავაჭრო გზაში“ დაბეჭდილი მისი პუბლიკაცია ერთ-ერთი პირველია იმ წელს პრესაში დაბეჭდილ ქართულ პუბლიკაციებს შორის, სადაც ავტორმა ილიას დასაცავად დიად გააკრიტიკა „მოგზაურის“ იდუმალი კორესპონდენტი, ჟურნალ „მოგზაურის“ რედაქტორი ფილიპე მახარაძე და იროდიონ ევდოშვილი. ამასთან, მიუთითა, რომ ამ წერილების დაბეჭდვა არც სოციალ-დემოკრატების, არც სოციალ-ფედერალისტების გაზეთებში არ უცდია. იცოდა, რომ ეს გაზეთები მის წერილებს არ დაბეჭდავდნენ მხოლოდ ერთი მიზეზით: ეს ილიას დაცვას ეხებოდა. იგი წერს:

„ეხლა ორიოდე სიგყვა „მოგზაურის“ იხტიბარ გატეხილ კორესპონდენციებზე, რომელიც საგურამოდან იყო გამოგზავნილი (1905 წ.) და რომელზედაც ხელს აწერდა ვილაც ვაჟბატონი ვ. ნ. ამ კორესპონდენციებზე დაემყარა ბ-ნი ფილიპე მახარაძე და იმავე „მოგზაურში“ ჯვაროსნული ომი გამოუცხადა ილია ჭაჭვავაძეს...“<sup>2</sup>

„ივერიის“ ყოფილმა რედაქტორმა, ფილიპე გოგიჩაიშვილმა, ილიას გამოსარჩელება მხოლოდ მისი მკვლელობიდან ექვსი წლის შემდეგ გაბედა.

ნოდარ გრიგალაშვილი წერს: „...რატომ გამოექომაგა დიმიტრი ილიას, მკვლელობის შემდეგ? რა ცოდვები აწუხებდა მის მიმართ ჩადენილი? ამას ჯაში წერს 1908 წელს. ცოცხალნი არიან მახარაძეც, გოგიჩაიშვილიც, „ივერიის“ თანამშრომლებიც, ცოც-

<sup>1</sup> ნ. გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“, II, 2010წ. თბილისი;

<sup>2</sup> ნ. გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“, II, 2010წ. თბილისი;

ხალი ილია არათურად ჩააგდო, „შექვრა“, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, ილიას მოურავად და როცა ილია აღარ არის, ილიას გამო ბრძოლა გამოუცხადა მახარაძეს, ვ.ნ.-ს? თან არაეინ გამოეხსუება, არაეინ ეეყვის, შენ არ იყავი ჩვენი შეგზავნილიო? ამ წერილში, მახარაძის გარდა, ილიას მკვლელებსაც ლანძღავს, მაშინ, როცა სამი მკვლელი ჯერ კიდევ გარეთ არის“.<sup>1</sup>

რამ აიძულა დიმიტრი ჯაში, ილიას დასაცავად წერილები გამოექვეყნებინა? შეიძლება მკვლევარმა გვიპასუხოს, თავის მართლებისთვისო. მართალიც იქნება, რადგან მის მიმართ გავრცელებული ხმების საპასუხოდ დაწერა, მაგრამ თვითონ თუ თავს იმართლებდა, სხვებს, ვისაც ეხმარებოდა – ზოგიერთის აზრით, ილიას მკვლელებს – ამ საზარელ საქმეში, მათ ხომ კიცხავს.

1908 წლის აგვისტოში იმერლიშვილი „წითელრაზმელებთან“ ერთად თავს დაესხა ხიმშიაშვილის ოჯახს – როგორ გაბედე და ილიას მკვლელად გამომაცხადეო, მაგრამ თავდასხმა ხიმშიაშვილის ვაჟმა გიორგიმ სახლის მცველებთან ერთად მოიგერია. ერთი თვის შემდეგ, მის მიერ „შეგზავნილი“ მოურავი გაზეთ „სავაჭრო გზაში“ აქვეყნებს წერილს, სადაც ილია ჭავჭავაძის მკვლელებსა და მათ დამქაშებს სამარცხვინო ბოძე აკრავს ისე, რომ მრისხანე ტერორისტის და ილია ჭავჭავაძის მკვლელის არ ეშინია.

1908 წლის შემოდგომაზე გაზეთ „სავაჭრო გზაში“ გამოქვეყნებულ წერილებში დიმიტრი კიცხავს იროდიონ ევდოშვილს გაზეთ „დროში“ ილია ჭავჭავაძის მისამართით დაბეჭდილი კრიტიკული წერილისათვის. ყოველდღიური ქართული გაზეთი „დრო“ – ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი – თბილისში 1907 წლის მარტსა და აპრილში ჯუღაშვილის ხელმძღვანელობით გამოდიოდა. გამოიცა 31 ნომერი. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე და სხვები. დიმიტრი ჯაში თავის წერილებში ევდოშვილის კრიტიკის გამო ნახსენებ გაზეთ „დროსთან“ ერთად, ირიბად მიანიშნებდა, რომ ილია ჭავჭავაძის ევდოშვილისეულ კრიტიკას ჯუღაშვილიც იზიარებდა.

1908 წლის სექტემბრის წერილებში დიმიტრი ჯაში რომ „ვაჟბატონ“ ვ.ნ. კორესპონდენტს ახსენებს, ამ კორესპონდენტის ვინაობა გაგვაცნო ნოდარ გრიგალაშვილმა თავის წიგნში „თანამდევნი სული“: „...ეს უაცი გახლდათ ცალკე პოლიციის აგენტი და ცალკე სოციალისტების აქტივისტი, წერა-კითხვის მცირე-მცოდნე. მედუქნე ვასო ნაცვლიშვილი. მასზე მოგონება დაგვიტოვა იასე ცინცაძემ“<sup>2</sup>

დიმიტრი ჯაში არ იცნობდა „მოგზაურის“ კორესპონდენტ ვ.ნ.-ს, სხვა შემთხვევაში მის გვარს დაწერდა. თუ ფილიპე მახარაძეს ახსენებს, რატომ მოერიდებოდა ნაცვლიშვილს. ცნობილმა რევოლუციონერმა, სტალინის თანამებრძოლმა რაჟდენ

<sup>1</sup> ნ. გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“, II, 2010წ. თბილისი;

<sup>2</sup> ნ. გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“, II, 2010წ. თბილისი;

კალაძემ ბოლშევიკების ჟურნალ „რევოლუციის მატეანეში“ (1925 წ., N3) გამოაქვეყნა წერილი, სადაც ილიას მკვლელობა დიმიტრი ჯაშს დააბრალა. ამ დროისთვის უკვე 8 წელია ცნობილია, რომ დიმიტრი „ოხრანკის“ აგენტი იყო.

ნოდარ გრიგალაშვილი წერს: „რაჟდენ კალაძეს დავალებული ჰქონდა ბოლშევიკების პარტიის ისტორიის შემქმნელი ჯგუფის ხელმძღვანელობა. იგი იცნობდა ილიას მკვლელობის პარტიულ „საშინაო“ ძიების დოკუმენტებს. გეროროსტ ს. თალაკვაძეს რომ ეკამათება, წერს: „დიდი ჭორი და ცილისწამებაა გავრცელებული ჩვენს ნაციონალურ ინტელიგენციაში (ფედერალისტები, ეროვ. პარტია) ილია ჭავჭავაძის მოკვლის გამო. იმდროინდელ თბილისის სოცდემოკრატიულ პარტიაზე და იმდროინდელ ბოლშევიკური ფრაქციის ერთ-ერთ ლიდერთაგანზე. ჩვენი ვალია ეს ჭორი და ცილისწამება ეხლა მაინც გავაქროთ. ...ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მომწყობი იყო თვით ილიას გაიძვერა-გაქნილი მოურავი დ. ჯაში, რომელსაც რაღაც მიზანით ამოქმედებდა ჯერ ისევ გამოუცნობ-გაურკვეველი ჯგუფი; ხოლო მკვლელობის ჩამდენი, იმდროინდელი „წითელი რაზმები“, რომლებიც რეაქციის დანაშაულის გამო ტყვეში იყვნენ გახიზნული, ხსენებულმა ჯაშმა და მისმა მომავლინებელმა უცნობმა ჯგუფმა, ს. დ. ყალბი დოკუმენტის ყალბი მინოდების საშუალებით შეცდომაში შეიყვანეს, მოჰკლეს ილია. ხოლო ... დ. ჯაში დაუსჯელი დარჩა ... როგორც ირკვევა, ს-დ რაიკომის ბეჭედ-დასმული „ქალაქი“ ყალბათ არის შედგენილი „ტყის ძმების“ ხელმძღვანელის შეცდომაში შეყვანის მიზნით. ვინ შეადგინა სახელდობრ ეს ყალბი ქალაქი? ან ჰქონდა თუ არა ამ სიყალბესთან რაიმე კავშირი სოცდემოკრატებს, ეს დღესაც გაურკვეველია. ყოველ შემთხვევაში, ის კი აშკარაა, რომ ამ მკვლელობაში არაერთი მონაწილეობა არ მიუღია მინის მუშას, გლეხს“.<sup>1</sup> სოცდემოკრატები და სხვა პარტიის წევრები 1917 წელს შეეცადნენ დიმიტრისგან, როგორც ყოფილი ილიას მოურავისაგან, მიეღოთ ილიას მკვლელობაში მისი მონაწილეობის შესახებ აღიარებითი ჩვენება. მათ ეს ვერ შეძლეს — დიმიტრი კატეგორიულად უარყოფდა ილიას მკვლელობაში მონაწილეობას. სიცოცხლეში მისთვის ამ საქმეში ბრალი ოფიციალურად არც ერთხელ არ წაუყენებიათ. საბჭოთა პერიოდის დასაწყისში, 1921 წლის თებერვლიდან, 1934 წლამდე, ბოლშევიკების მხრიდან ილია განიხილებოდა, როგორც სასტიკი მემამულე და მის ეროვნულ იდეებს ნაციონალისტურ იდეებად ნათლავდნენ. მიუხედავად ამისა, ახალი ისტორიის შემქმნელები ფრთხილად ეკიდებოდნენ ილიას მკვლელობის გამოძიებას. ფაქტია, გასაბჭოებიდან ერთი წელი და სამი თვე ისე გავიდა, რომ ცოცხალი დიმიტრი ჯაშით არავინ დაინტერესებულა.

<sup>1</sup> ნ. გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“, II, 2010წ., „რევ. მატეანე“, 1925 წ., N3 თბილისი;

ეტყობა, ბოლშევიკებმა 1925 წლიდან დაიწყეს ნიადაგის მოსინჯვა – სიტყვიერი ბრალდებებით და არა ყალბი დოკუმენტებით – 1917 წლიდან გაცხადებული „ოხრანკის“ აგენტისათვის - დიმიტრი ჯაშისთვის დაებრალებინათ ილიას მკვლელობის მომზადება. ამით სოცდემოკრატები გააქრობდნენ ფედერალისტურ და ეროვნულ პარტიაში გავრცელებულ დიდ ჭორსა და ცილისწამებას (როგორც ამას წერდა რაჟდენ კალაძე), ჩამოირეცხავდნენ სისხლიან ლაქას, რომელიც ილიას მკვლელობის გამო დარჩათ. ბოლშევიკები, ფილიპე მახარაძის ხელმძღვანელობით, ილიას იხსენიებენ, როგორც მემამულეს. მათ შორის, ზოგი ამაცობს, რომ ბოლო მოუღო სასტიკ მემამულეს და სეპარატისტს. ვინც მიიღო დავალება, დიმიტრი ჯაშისთვის დაებრალებინათ ის, რაც ბოლშევიკებმა ჩაიდინეს, ისევ ბოლშევიკი რევოლუციონერების მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა, რადგან ილიას მკვლელობა განიხილებოდა უმწეო გლეხების მიერ მემამულის წინააღმდეგ ჩადენილ რევოლუციურ აქტად. ამას მოწმობს ორი ძველი ბოლშევიკის პოლემიკა, 1925 წლის ბოლშევიკების ჟურნალ „რევოლუციის მატეანეში“ დაბეჭდილი, რომელიც ნოდარ გრიგალაშვილს მოჰყავს თავის წიგნში: „ბოლშევიკების ჟურნალ „რევოლუციის მატეანეში“, 1925 წ. N3-ში, ორი ძველი ბოლშევიკი ერთმანეთს ეკამათებოდა პარტისტორიის საკითხებზე. ვის მოუვიდოდა აზრად, რომ ნაფიცი კომუნისტების პოლემიკაში (ორივე იმ დროს გამოჩენილი იდეოლოგი იყო) ჩვენთვის საინტერესო საკითხზე აღიარებით ჩვენებას წააწყდებოდა? ყურადღებით წავიკითხოთ პარტის არქივის ხელმძღვანელის ამხანაგ სევასტი თალაკვაძის ეს ამონარიდი: (ამონარიდის ფრაგმენტი ზევით მოვიტანეთ- ავტ.)

„ამხ. რაჟდენ კალაძეს უნდა დაარწმუნოს ვინმე, რომ ილია მოკლა თვით მონარქიული მთავრობის „ოხრანულმა“ ორგანიზაციამ, გაუგონია „ყურწაკრული“ ამბავი ვილაციდან და ის უნდა ჭეშმარიტებად გაასაღოს. ცყუილია ეს!!! ვის მოუვიდოდა აზრად ის, რომ, როცა ღელავდა ხალხი, ...დღეღღებზე ემუქრებოდა რუსეთის რევოლუციონერ ხალხთან ერთად მონარქიული მთავრობის წაქცევას, როცა ილია ჭავჭავაძე, როგორც მემამულე, თავადი მქონებელ კლასის ბანაკში — ობიექტურად ხელს უწყობდა მთავრობას თავისი ანტირევოლუციონერობით და მშრომელი ხალხის მებაირახტრე — სოციალ-დემოკრატიული პარტის მოძულეებით, როცა იგი, როგორც ნაციონალისტი, როგორც ქართველი სეპარატისტი, ქართველ ხალხში გაბატონებულ ინტერნაციონალურ სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლაში დასუსტებული იყო, წაშლილი იყო მისი როლი უკვე და რუს შოვინისტებისათვის არავითარ საშიშ ძალას არ წარმოადგენდა, იმას მოკლავდა მონარქიული მთავრობის რუსი აგენტები, მათი ორგანიზაცია?! ეს მხოლოდ ქართული ნაციონალისტური ახსნაა გარემოების, ეს მხოლოდ ნაციონალისტური მიდგომაა საკითხზე. სამწუხაროდ... ამხ. რაჟდენ კალაძე ხშირად იფლობა ამ

ნუშპეში. ფაქტია ის, რომ ილია ჭავჭავაძე მსხვერპლი გახდა აგრარულ ნიადაგზე თავისი სოფლის გლეხობისა. ამ აგრარული მოძრაობის მონაწილე და ამ მკვლელობის ამბავის კარგად მცოდნე დუშელ ამხანაგებს ვიცნობთ ჩვენ – ისინიც ადასტურებენ ამას.

ილია ჭავჭავაძე გახდა მსხვერპლი, როგორც მემამულე, გამწარებული, უმიწანყალო ქართველი გლეხებისა – გავეუსათ ამას ხაზი და დავიმახსოვროთ. ასე შევა ეს ისტორიაში, ვინც და რამდენიც არ უნდა ეცადნონ მის შეცვლას, შელამაზებას“ სევესტი თალაკვაძის ოპონენტი, ასევე, ძველი ბოლშევიკი ამხ. რაჟდენ კალაძე, სტალინის მეგობარი 1898 წლიდან, ...სტალინის ძველი თანამებრძოლი აღიარებს გლეხების ჭკუფს, ხოლო მკვლელობის ჩამდენი იმდროინდელი ნითელი რაზმები ს. დ. ყალბი დოკუმენტის მინოდების საშუალებით შეცდომაში შეიყვანეს, მოჰკლეს ილია.... ეს გარემოებაც აშკარად მონშობს იმას, ცერორისტები მათ მიერ ჩადენილ საქმეებზე გულწრფელად ყვებიან 20-იან წლებში, ჟურნალ-გაზეთებში...მერე აუკრძალეს ამბების ბეჭდვა.“<sup>1</sup>

ვფიქრობთ, არა მარტო ვარაუდი იმის შესახებ, რომ დიმიტრის მოურავად დადგომა იმერლიშვილის ინიციატივა იყო, არამედ ამაზე გაფიქრებაც კი არალოგიკურია, რადგან, ეს რომ მართლა ასე ყოფილიყო, არქივებში ამის დამამტკიცებელი დოკუმენტებისთვის მკვლევრებს უნდა მიეკვლიათ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში.

რაჟდენ კალაძე საქართველოს გასაბჭოების სათავეებთან იდგა. ის შეუდრეკელი კომუნისტი იყო, რომელსაც მეოცე საუკუნის ბოლშევიკური პარტიის საქმიანობის თითოეული დოკუმენტი გადაკითხული ჰქონდა. რომ მოეძიებინა დოკუმენტი, რომელიც მის სიტყვებს დაამტკიცებდა, სევასტი თალაკვაძეს ჯერ ცხვირწინ დაუდებდა და შემდეგ დაბეჭდავდა ბოლშევიკების ჟურნალ „რევოლუციის მატეანეში“, ჯამის მომავლინებელ უცნობ ჯგუფს უბრალოდ კი არ აღნიშნავდა, არამედ დაწერდა – იმერლიშვილის დავალებას ასრულებდაო. ამას კი თანამედროვე მკვლევრები იოლად მოიძიებდნენ.

იმერლიშვილთან თანამშრომლობა დიმიტრისთვის უგუნური ქცევა იქნებოდა, რადგან ილიას მკვლელობით გამოწვეული საყოველთაო ტრაგედია მას დაასამარებდა, როგორც მთარგმნელსა და დამწყებ პუბლიცისტს, რისი გამოხატული პრეტენზია ნამდვილად ჰქონდა. დიმიტრის თავისი ინტელექტი, მიუხედავად განათლების დაბალი ცენზისა, ამას მიახვედრებდა. სხვა ხელვითაც: იმერლიშვილისათვის ილიას მკვლელობის საქმეში ხელი რომ შეეწყო, ეს იმის ტოლფასი იქნებოდა, რომ მოეჭრა ის ტოტი, რომელზეც თავად იჯდა. რევოლუციური იდეალები მას არ გააჩნდა, შესაბა-

<sup>1</sup> ნ. გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“, II, 2010წ. თბილისი;

მისად, უაზროდ ოჯახს არ განირავდა. სამწუხაროდ, ილიას მკვლელობით ისიც და მთელი მისი ოჯახიც სწორედაც რომ განწირული აღმოჩნდნენ. მართლაც, კატასტროფის წინაშე დადგა დიმიტრი და მისი ოჯახი. ამას უსახსრობა და ის ყოფითი ნივთები მოწმობს, რაც ოჯახს ილიასთან მოურავობის შემდეგ დარჩა. ეს ქონებაც 1907 წლის 14 ოქტომბერს ჩამოერთვა, როგორც ნაქურდალად მიჩნეული.

მკვლევრები, ვისაც დიმიტრი ილიას მკვლელობის ხელმძღვანელად მიაჩნდათ, ნიშნისმოგებით წერდნენ, რომ დარიამ საგურამოდან ილიას და ოლღას ნივთები მოიპარა. ბუნებრივია, ამით საზოგადოებას კიდევ უფრო მეტი სიძულვილით განაწყობდნენ დიმიტრი ჯაშის ოჯახის მიმართ. მათ არც კი უცდიათ გარკვეულიყვნენ საკითხში – ქალი ქურდობისათვის პასუხისგებაში რად არ იქნა მიცემული. მეფის ხელისუფლება ქურდობისთვის ჩვილბავშვიან ქალებსაც კი არანაირ შეღავათს არ აძლევდა. თუ ილიას მკვლელობის შემდეგ ნივთები, რომელებიც დარიამ თავის დეიდას მიაბარა, მართლა დადგენილი იქნა, როგორც ნაქურდალი, რატომ არ აგებინეს დარია ჯაშს ამაზე პასუხი?

ჩხრეკას წინ უსწრებდა მცხეთის ბოქაულისათვის გაგზავნილი დუშეთის მაზრის მმართველის 1907 წლის 10 ოქტომბრის საიდუმლო წერილი, რომელშიც ფაღავა სარწმუნო ცნობების თანახმად ატყობინებდა, რომ ილიას მოურავის მეუღლემ თავადის მკვლელობის შემდეგ განსვენებულის საგურამოს სახლიდან სხვადასხვა თეთრეული და ნივთები წაიღო და სოფელ ჯიდაურში მიაბარა თავის დეიდას. ფაღავა იმთავითვე მოპარულად მიიჩნევდა ნივთებს და მცხეთის ბოქაულმა გრიციუნასმაც, ჩხრეკის შედეგად ნაპოვნი ნივთები, დუშეთის მაზრის მმართველის საიდუმლო წერილის შესაბამისად, გამოძიების გარეშე გააფორმა ილია ჭავჭავაძის კუთვნილ ნივთებად.

ისევ გავიმეორებთ ზემოთ დასმულ კითხვას: ნაქურდალის გამო დარია ჯაში პასუხისგებაში რატომ არ მისცეს? ამ კითხვაზე პასუხს დარია პირდაპირ თუ ირიბად თავის მოგონებაში გვაძლევს:

„დიმიტრიმ საბოლოოდ გადაწყვიტა წასვლა საგურამოში. სამი დღის შემდეგ იგი დაბრუნდა ილიას ეგლით. თბილისში მეეგლე თელო დილაძე დარჩა. დილით აუცილებელი ბარგი დაუანწყვეთ ეგლში და ბავშვიანათ ეტლში ჩაგუჯექით... დღის პირველ საათზე საგურამოში ვიყავით. ეზოში ჩავედით და შემოგვეგება ოლღა, ილიას მეუღლე. შუბლზე მაკოცა, ბავშვი გამომართვა და კოცნა დაუნყო. ჩემი ოფელია მესხეთე თვეში იყო... შევედით მეორე სართულის ბალაში, იქ სუნდუკი გააღო ოლღამ ორი ოქროს თუმნაინი მაჩუქა ბავშვისათვის, წმინდა მარიამის ხატთან მიმიყვანა დამლოცა მე და ბავშვი...“<sup>1</sup> — აქ დარიას მენსიერებაში აერია ოლღასთან შეხვედრის დრო. იგი კვინა ოლღას დახვდა საგურამოში, რადგან ოლღა იქ ილიამ მოგვიანებით ჩაიყვანა.

<sup>1</sup> დ. კობლატაძე-ჯაში, „მოგონებები“ მანქანაზე დაბეჭდილი, 1965წ. ბათუმი;

მოგონებების მე-17 გვერდზე წერს: „მე ოლღასთან კარგს ხშირად ფულბეც ვთამაშობდი. ოლღა მოგებას და წაგებას ერთნაირი ხალისით ღებულობდა...“<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, ახლად შექმნილ ოჯახს ბევრი ბარგი არც კი ჰქონია. დარია -- თავის მოგონებაში რამდენიმე ადგილას აღწერს ოლღას გულუხვობას, მაგრამ არსად წერს, რომ მას ჭურჭელი ან თეთრეული აჩუქა. მიუხედავად ამისა, არ გამოვრიცხავთ ოლღასა და ახალგაზრდა დარიას შორის ისეთ ურთიერთობას, რომ ოლღამ დარიას ფულის გარდა რაიმე საყოფაცხოვრებო ნივთიც აჩუქა, მით უფრო, როცა ქალბატონი დაინახავდა, მათთან სამუშაოდ და საცხოვრებლად რა ბარაქის მქონე მოურავის ოჯახი ჩავიდა. არც იმას გამოვრიცხავთ, რომ შეთანხმების მიხედვით დიმიტრიმ ილიასაგან მიიღო ზოგი რამ. ილიას მკვლევლობის შემდეგ, დარია დამოუკიდებლად შეუდგა საგურამოდან თბილისში გადმოსვლის სამზადისს. დაჭრილსა და უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოლღას თბილისში მკურნალობდნენ. შესაძლებელია, ნაჩუქარი ან შეთანხმების მიხედვით აღებული ნივთებიც, დარიამ, სასახლიდან დაუფარავად გაიტანა. ამ ნივთების თბილისში წაღების შესახებ ნებართვა არავისგან უთხოვია — ზაალ ჭავჭავაძეს ასეთი ნებართვისათვის ვერ მიმართავდა. მას არ ეცოდინებოდა, ოლღამ დარიას რა აჩუქა ან რისი აღების ნება დართო. თუ საგურამოში წასვლის წინ მცირედი ბარგი თან წაიღეს, რატომ უნდა იყოს გასაკვირი, ილიასთან მოურავობის სამი თვის თავზე ცოტა მეტი ჭიქით დაბრუნებულიყო. იმ დიდი უბედურების შემდეგ, რაც ილიას მკვლევლობით ჭავჭავაძეების ოჯახს დაატყდა, არც არის გასაკვირი, რომ მართლ დარჩენილმა დარიამ, ქმარი 14 სექტემბერს დააპატიმრეს, არავის არ უთხრა ნივთების შესახებ და ისე გაიტანა და თბილისში ჩატანაში დეიდა დაინმარა. მცხეთის ბოქაულმა კი ეს ქურდობაში ჩაუთვალა. დარიამ, მცხეთის ბოქაულთან განაცხადა, რომ ნივთები თავის დეიდას მან გადასცა, მაგრამ თუ საიდან მოხვდა მის ხელში – ეს დოკუმენტებში არ ჩანს. შეიძლება დარიამ ვერ ახსნა, ვერ დაუსაბუთა, რომ ეს ოჯახის ნებართვით მიიღეს იმ სიტყვებიდან გამომდინარე რაც ილიამ უთხრა დიმიტრის: „მე შენ წინასწარ ლუკმას არ გიზომავ სამსახურისათვის და ჭამაგირს არ გინიშნავ, რამდენიც გინდა შენი ცოლშვილისთვის იმდენი აიღე და მოიხმარე ფული, პროდუქტი, საჭმელი...“ (დარია ჯამის „მოგონებები“—ავტ).

ვიდრე ნაქურდალად ჩათვლიდნენ ილიას სახლიდან გატანილ ნივთებს, სჯობდა მკვლევრები გარკვეულიყვნენ ილიას საგურამოს მამულების დავთრებში და დაედგინათ მოურავის მიერ 1907 წლის ზაფხულში ფაქტიურად მიღებული და შეთანხმების შესაბამისად მისაღები ჯამაგირის ოდენობა. ასე გაირკვეოდა, მოურავის ოჯახს მიღებული ჰქონდა თუ არა კუთვნილი ჯამაგირი. დადგინდებოდა, მოპარული იყო თუ არა ნივთები, რაც გრიციუნასმა ოქმით ამოიღო. ამასთან, გაეცემოდა პასუხი კითხვას — თუ ეს ქურდობა იყო, რატომ არ აგო დარიამ პასუხი. იქნებ

<sup>1</sup> დ. კობლატაძე-ჯამი, „მოგონებები“ მანქანაზე დაბეჭდილი, 1965 წ. ბათუმი;

გარკვევს კიდევ, რომ ნაქურდალი არ იყო, მაგრამ გაფორმებულ ოქმებში ცვლილებები არ შეიტანეს, შესაბამისად, დარიას პასუხისმგებლობის საკითხიც აღარ დაუყენებიათ.

წინამურის ტრაგედიის მონაწილეებზე კი პოლიტიკური პარტიებიც და ხალხიც თავის ვერსიებს აგებდა. ილიას მკვლელობის დასაბუთებულ თუ დაუსაბუთებელ მონაწილეთა სახელებს ხშირად მოურიდებლად აქდერებდნენ. გასაგებია, რომ ეს ხმები დიმიტრი ჯაშაყცეს უსმოდა.

არკადი ხუნდაძე თავის ერთ-ერთ მოგონებაში აღნიშნავს: „როცა თბილისში დაესახლდი, გასაბჭოების შემდეგ, დიმიტრი ჩემი ხშირი სტუმარი იყო, როგორც ახლო ნათესავი. გაიგო თუ არ ია ეკლავაძემ, ჩემმა ყოფილმა მასწავლებელმა, რომ დ. ჯაშაყცის ნათესაობა მაკავშირებს, ერთი დიდი წინასიგყვაობისა და შესავლის შემდეგ მთხოვა, რათა მეკითხა დიმიტრისათვის ილიას მკვლელობის შესახებ რაიმე. მე წინასწარ ვიცოდი, აქედან არაფერი გამოვიდოდა. დიმიტრი ჯაშაყცე გაუბოლდა ამ მკვლელობის შესახებ საუბარს. მე მოკრძალებულ ფორმაში გადავეცი მას ნათქვამი. დიმიტრი თოფნაკრავივით წამოვარდა და აღელვებით თქვა: „ესენი მაინც გაჩერდნენ, გაჩუმდნენ“ და სიტყვა გაჩერდნენ ორჯერ და სამჯერ გაიმეორა და დასძინა: ილიას მკვლელობაზე ლაპარაკი არ ღირს, თორემ ამას თუ გამოვევიდეთ, შეიძლება ისეთი ვინმეები გაეხსნას მახეში, რომელმაც არაფერს ეჭვი არ მოუვაო.“<sup>1</sup>

„ესენი მაინც გაჩერდნენ, გაჩუმდნენ“ — ია ეკლავაძე-ცინცაძის მისამართით იმიტომ თქვა დიმიტრიმ, რომ ია ეკლავაძე სოციალისტ-ფედერალიტების ჯგუფში იყო. მიუხედავად სოციალისტ-ფედერალიტების ილიასადმი გამონათქვამი დიდი პატივისცემისა, ილია ჭავჭავაძე მათი მხრიდან არათუ უხერხულ მდგომარეობაში, არამედ მძიმე მდგომარეობაშიც ჩავარდნილა.

ია ეკლავაძე წერდა: „მაშინ („ნუ თუ?“-ს გამოქვეყნების დროს, ე.ი. 1905 წელს. - ავტ.) ყველა სოციალისტობდა, დიდი განხეთქილებაც იყო ორ მოპირდაპირე დასს შორის და „ივერიელებიც“ საგონებელს მიეცნენ, ზედმეტ აყალმაყალს ერიდებოდნენ, რადგანაც ილიას წერილი აშენებულა წმინდა ეროვნულ და კერძო საკუთრების დროებით დაცვის საფუძველზე. დიას, საგონებელში იყო „ივერიის“ მაშინდელი რედაქცია, მაგრამ მოჭირნახულე კაცისათვის რომ არ ეწყინებიათ, გადასწყვიტეს „ნუ თუ?“ დაეხატათ „ივერიის“ ცალკე დამატებად, რაც ასრულებული იქნა. იმ დროს მე მდივანთ ვახლდით განახლებულ „ივერიის“ რედაქციისა, და ეს ამბავი ძალიან კარგად მახსოვსო“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> შ. მარკოზაშვილი, „ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი მოურავი“, გვ. 66 2003 წ. თბილისი;

<sup>2</sup> გაზეთი. "თემი" 1913 წ. N 118, ი. ეკლავაძე;

გასაბჭოების შემდეგ დიმიტრიმ იცოცხლა მხოლოდ ერთი წელი და სამი თვე. არკადი ხუნდაძე არ აზუსტებს თარიღს, როდის გადასცა ეკალაძის ნათქვამი დიმიტრის. „შეიძლება ისეთი ვინმეები გაებას მახეშიო“, რომ თქვა, დიმიტრის, ალბათ, ფილიპე მახარაძე, სერგო ორჯონიკიძე ან სულაც სტალინი ჰყავდა მხედველობაში, ერთად ან ცალ-ცალკე.

1921 წლის 8-16 მარტს ჩატარდა რკპ(ბ)— რუსეთის კომუნისტური ბარტიის, ბოლშევიკების მეათე ყრილობა, რომელმაც აირჩია პარტიის ცენტრალური კომიტეტი 25 კაცის შემადგენლობით, მათ შორის იყო ორი ქართველი - სტალინი და ორჯონიკიძე. სტალინი პოლიტიბუროს შემადგენლობაში შევიდა. იმავე წლის ბოლოს სტალინი არჩეული იქნა რკპ (ბ) ორგბიუროს და ცკ სამდივნოს წევრად, სადაც ის დაასახელეს პარტიის გენერალურ მდივნად. სერგო ორჯონიკიძე 1922 წლის თებერვლიდან რსდმპ(ბ) — რუსეთის სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი გახდა.

ალბათ, ყოველივე ეს ცნობილი იყო დიმიტრისთვისაც და ამ ფაქტების გათვალისწინებით, სავარაუდოდ, 1921 წლის შემოდგომაზე ან 1922 წლის გაზაფხულზე, ეუბნებოდა არკადი ხუნდაძეს, რომ ილიას მკვლელობაში შეიძლება ისეთი ვინმეები გაებას მახეში, რომელზედაც არავის ეჭვი არ მოუვაო. ალბათ, საინტერესო უნდა იყოს არკადი ხუნდაძის კითხვაზე დიმიტრი ჯამის ასეთი რეაქცია. ბოლშევიკმა სოცდემოკრატებმა საქართველოში ძალაუფლება ხელში აიღეს. სტალინის თანაგუნდელები, როგორც გამარჯვებულები, იხსენებდნენ მათთვის საამაყო საქმეებს. ამაზე 1922 წლიდან ჟურნალ-გაზეთებში წერდნენ. „გაწითლებულ“ საქართველოში ილიას მკვლელობის აქტი იმ დროს სამარცხვინო საქმედ არ იყო მიჩნეული. დიმიტრიმ ბოლშევიკების დავალებით თუ სხვა მიზნით მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში, რატომ უნდა გაეღიზიანებინა იგი ხუნდაძისაგან გადაცემულ ია ეკალაძის სიტყვებს. თუ მას წვლილი მიუძღოდა — იმხანად გაბატონებული ბოლშევიკური შეხედულების მქონე მჩაგვრელი მემამულის მიმართ ტერორისტული აქტის განხორციელებაში, რატომ ნერვიულობდა და რატომ თოფნაკრავივით რეაგირებდა? ის უკვე ერთი წელია ბოლშევიკური მილიციის სურსათით მომარაგების სამსახურშია, რა აქვს სანერვიულო? თანაც, ილიას ხსენება დადებით კონტექსტში არ შეიძლება, ჰოდა, დიმიტრისაც ხომ შეუძლია თქვას - სასტიკი მემამულე გააქრესო და ამ საქმეში ჩემი მონაწილეობით კიდევაც ვამაყობო... პირიქით იქცევა, ვისაც წვლილი მიუძღოდა ილიას შურაგნყოფაში, სიტყვიერად ან საქციელით, ყველას კიცხავს. საბჭოთა საქართველოს ოფიციალური ხელმძღვანელობიდან ილიას დადებითად ხსენებას ის აღარ მოსწრებია.

ახლა გავცეთ პასუხი კითხვას: თუ დიმიტრიმ უღალატა სოცდემოკრატიულ მუშათა პარტიას და გახდა 1909 წელს „ოხრანკის“ აგენტი, მასზე ტერორი რატომ არ

მოაწყვეს? ასეთ პირებს სოცდემოკრატების ბოლშევიკური პარტია სიკვდილით უსწორდებოდა, რასაც თენგიზ სიმაშვილის მოძიებული მოგონებებიც ამტკიცებს.

1922 წლის მაისში დიმიტრის სასიკვდილოდ დაჭრა არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ბოლშევიკების მიერ „ოხრანკის“ ყოფილი აგენტის ლიკვიდაციის მიზნით მოწყობილი აქტი. შემთხვევით გავარდნილი თოფის ტყვიით დაჭრილი დიმიტრის 24 დღის შემდეგ გარდაცვალება ვერ იქნება ბოლშევიკების მიერ განზრახ ჩაღვნილი მკვლელობა, რადგან ეს ლოგიკურ კალაპოტში ვერ ექცევა.

1921 წლის თებერვლიდან — საქართველოს გასაბჭოებიდან, 1922 წლის მაისამდე, დიმიტრის გარდაცვალებამდე, ბოლშევიკებს ილია ჭავჭავაძე არც ახსოვდათ. მისი დადებითად ხსენება, როგორც მემამულის, აკრძალულიც იყო. არც მისი მოურავი აინტერესებდათ. ბოლშევიკი რევოლუციონერები „რევოლუციურ მატთანეში“ თითქმის 1934 წლამდე წერდნენ ისტორიულ მოგონებებს, რომლებშიც სიამაყით აღწერდნენ თავიანთ მონაწილეობას ტერორისტულ აქტებში — მემამულე თავადებისა და მაღალი თანამდებობის პოლიციელების, ასევე, ჟანდარმერიის წარმომადგენლების მკვლელობებში. დიმიტრი ჯაში თუ მართლა ხელმძღვანელობდა იმ დროს ბოლშევიკების მხრიდან სასტიკ მემამულედ მიჩნეულ ილია ჭავჭავაძის მკვლელობას, 1922 წლის მაისში მას რატომ გაუსწორდებოდნენ? ბოლშევიკებს 1922 წელს აზრადაც არ მოუვიდოდათ, რომ ათი-თორმეტი წლის შემდეგ მათი ლიდერები ილიას სახელს ისე დააფასებდნენ, რომ მის ნააზრევს თავის იდეოლოგიას მიუსადაგებდნენ, ცოცხლად დარჩენილ მკვლელობის მონაწილეს — ბერბიჭაშვილს 19 წლის შემდეგ ილიას ვერაგული მკვლელობისათვის გაასამართლებდნენ, ხოლო 20 წლის გარდაცვლილ ჯაშს, 1909-1911 წლებში „ოხრანკის“ აგენტად ნამუშევარს, საბჭოთა სასამართლო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ხელმძღვანელად შერაცხავდა.

დარია ჯაში მოგონებებში წერს: „დიმიტრიმ საავადმყოფოში დაწერა საცირულ ლექსად „ჩემი ანდერძი“ და მასში მოიხსენია მისი ახლო მეგობრები, მწერლები და პოეტები. იგი არ ფიქრობდა სიკვდილზე და ეგონა, რომ ლექსს ჩემს ამხანაგებს საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ წაუკითხავდა. იგი გადასცა მისი დედის ნათესავს ...არკადი ხუნდაძეს“<sup>1</sup>. „ჩემი ანდერძზე“ თავად ხელი მოაწერა ასე: დ.ჯაში (დ.ივარიელი), 6-7 მაისი 1922 წელი. დარიას მოგონებებში მოკლედ აღწერილი აქვს, რომ დიმიტრი ჯაშსა და მიხაკო კობლატაძეს შორის მომხდარი ინციდენტი. „ჩემმა ძმამ იგი სასიკვდილოდ დაჭრა სამსახურებრივი საქმეზე შეტაკების გამო სრულიად გაუპართლებლად, რადგან დიმიტრი მართალი იყო. შემთხვევით გასროლილმა ტყვიამ დიმიტრი მუხლში დაჭრა. ქირურგიული ოპერაცია ჩატარდა, დაჭრილი სიკვდილზე არ ფიქრობდა, მაგრამ მაისის ბოლოს ანემიით გარდაიცვალა“<sup>2</sup>. დიმიტრი დაიჭრა არა მაისის დამლევს, როგორც ამას წერენ, არამედ, როგორც ჩანს, მაისის დასაწყისში.

დარია მოგონებებში წერია მიხაკო კოპლატაძის სიკვდილის მიზეზიც: მეტეხის ციხეში დაპატიმრებული, იგი, ტიფით დაავადდა და გარდაიცვალა.

თუ ბოლშევიკებმა 1922 წლის მაისში გადაწყვიტეს დიმიტრი ჯაშის მკვლელობა მიხაკო კოპლატაძის ხელით, და როცა პირველივე გასროლით არ მოკვდა, დაჭრილი, თითქმის 24 დღე ცოცხალი რატომ დატოვეს, სანამ თავისით, არ გარდაიცვალა. იმ დღეების განმავლობაში „მიხაელის“ სავადმყოფოში მის მოსაკლავად არც არავინ მისულა. თუ დიმიტრის დასჯა სურდათ, როგორც „ოხრანკის“ ყოფილი აგენტის, ამის კანონიერი საფუძველიც არსებობდა. მას დააპატიმრებდნენ, ყველას დასანახად გაასამართლებდნენ და დახვრეტდნენ - რაც არ მომხდარა.

დიმიტრიმ, როგორც აღინიშნა, საავადმყოფოში ორ გვერდზე ლექსი „ჩემი ანდერძი“ დაწერა (იხ. დანართი 14), რომელშიც მოიხსენიებს თავის ნაცნობებს, იმდროინდელ ცნობილ პიროვნებებს, ცოცხლებსა და გარდაცვლილებს. ცოცხლებს თავის დანაბარებს უთვლის. თუ მან რითიმე ხელი შეუწყო ილიას მკვლელობას და თუ ის გრძნობდა მოახლოებულ სიკვდილს, როგორც მორწმუნემ, რატომ არ მოინანია? რატომ არ დაწერა იმის შესახებ, რაც იცოდა ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით? თუნდაც ორი სიტყვით, ლექსში შენდობა რატომ არ სთხოვა უფალს? თვით ილიას რატომ არ სთხოვა პატიება? ლექსის ბოლო სტროფში ხომ დიდ ილიას და პარმენ ცახელს მიმართავს, მკვეთრად გამოხატული პესიმისტური განწყობით წერს:

„ნება მიბოძეთ, ვუსამძიმრო დიდსა ილიას  
და მისი ბედით მოკლებულ ჩვენს მგოსან ცახელს,  
ვუამბობ, თუ რა აუგია და რა სირცხვილი,  
ჩვენში ქართველი აგარებდეს ქართველის სახელს.“<sup>1</sup>

ამ სტრიქონებს როცა წერდა, ალბათ, მხედველობაში ჰქონდა ის, რომ ილია ჭავჭავაძე და პარმენ ცახელი (საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი - ავტ.), ორივე ქართველმა მოკლა.

ვალერიან გუნია, ილიას მკვლელობიდან შვიდი თვის თავზე წერდა: „...ადვილი მისახვედრია, თუ ვინ ყოფილან ილიას მკვლელები. ესენი იყვნენ ბრმა იარაღნი იმ ნამდვილ მკვლელთა, რომელნიც თვალთმაქცურად პარტიის და კომიტეტის ფარდას ეფარებინან. ვიკითხოთ ახლა, ვინ არ მიიღო მონაწილეობა ილიას დასაფლავებაზე? ვისი კომიტეტი გადგა განზე? ვინ აუკრძალა გლეხებს და მუშებს ილიას დაკრძალვაზე დასწრება? ვინ არა სცა პატივი ფეხზე წამოდგომით ილიას ხსოვნას და არ მოისურვა სამძიმრის დეპეშის გამოგზავნა პეტერბურგიდან? ვინ აღიარა გაზეთში უბრალო „ნათლგათ“ ილია ჭავჭავაძე? ვინ გამოექომაგა ილიას მკვლელებს? რატომ? რისთვის?!“<sup>2</sup>

<sup>1</sup> დ.კოპლატაძე-ჯაში, „მოგონებები“ მანქანაზე დაბეჭდილი, 1965 წელი, ბათუმი;

<sup>2</sup> ნ. გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“, II, გვ. 325 2010წ. თბილისი;

ამ კითხვას პასუხობს ისტორიული ფაქტი - ასე მოიქცნენ მხოლოდ სოციალ-დემოკრატები. ილია ჭავჭავაძის დასაფლავების დღეს მისი ჭირისუფალი მთელი საქართველო იყო, სოცდემოკრატების გამოკლებით.

არსებობს ილიას დაკრძალვის დღეს, მის კუბოსთან მდგარ მგლოვიარეთა ისტორიული ფოტო. დავხედოთ! მართალია, ილიას დასაფლავების დღეს მამადავითის გალავანში შეშვება მხოლოდ ბილეთებით იყო შესაძლებელი და ამ მიზეზით ხალხმრავლობა შეიზღუდა, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ სოციალ-დემოკრატების მუშათა პარტიის ბოლშევიკურმა ფრთამ თავის წევრებს აუკრძალა დაკრძალვაზე დასწრება.

ფოტოზე დიმიტრი ჯაში ილიას კუბოსთან დგას. თენგიზ სიმაშვილის აზრით, „სოციალ-დემოკრატიული მუშათა ბოლშევიკების პარტიის დავალების შემსრულებელი“ არც კი ცდილობს, მოერიდოს ფოტოობიექტივს. და მაინც, დიმიტრი ჯაში ფოტოზეა აღბეჭდილი ჭირისუფლად საზოგადოების წრეში. ეს — ფოტომატიანეა.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ეროვნული ფოტომატიანე, „ილია ჭავჭავაძის დაკრძალვა“, „ივერიელი“;



მთაწმინდის პანთეონი, ილია ჭავჭავაძის დასაფლავება.  
(ისრით მითითებულია დიმიტრი ჯაში)



ისრით მითითებულია დიმიტრი ჯაში. გადიდებული ფრაგმენტი - დიმიტრი

ფილმში „ვინ მოკლა ილია...“ სიმამილი ძველ ფოტოზე, რომელზეც აღბეჭდილი არიან ილიკო იმერლიშვილის წითელრაზმელები, ტერორისტთა შორის ბერბიჭაშვილის სახის ავთენტურობას ეძებს. ეს თავისთავად საჭირო საქმეა, მაგრამ საერთოდ არ განიხილავს ილიას დასაფლავების დღეს გადაღებულ ისტორიულ ფოტოს.

თუ ბატონი სიმამილის აზრით იმერლიშვილი და ჯაში მეგობრობდნენ, მარტო ჯაში რატომ აღმოჩნდა ამ სურათზე? მისი აზრით, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ჯაში იმ დღესაც ბოლშევიკების დავალებას ასრულებდა. ილიას მკვლელობის მონაწილეები 1907 წლის 9 სექტემბერს – ილიას დასაფლავების დღეს, გამოძიებისათვის ცნობილნი არ იყვნენ. იმ დროს ლაბაურს ბერბიჭაშვილი, როგორც მკვლელობის მონაწილე, ჯერ არ ჰყავდა დასახელებული, მით უფრო, არ იყო მხილებული „იმერელი“ - იმერლიშვილი. მას შეეძლო დასწრებოდა ილიას დაკრძალვას, მაგრამ ალბათ, ცენტრიდან აუკრძალეს.

აკრძალვის გარდა, ამის მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ 1907 წლის თებერვალში, პორუჩიკ ლოლაძის მკვლელობის გამო, იმერლიშვილმა ვერ გაბედა ხალხში გამოსვლა და ალბათ, ჯაშს დაავალა, ილიას დაკრძალვას დასწრებოდა. მეცნიერის აზრით, დიმიტრი ჯაში ამ ფოტოზეც იმერლიშვილის დავალების შემსრულებელი აღმოჩნდა. მას რომ დაკვირვებით გაერჩია ფოტო, მისი სამეცნიერო ცენზი და გამოცდილება უკარნახებდა, შეეფასებინა ფოტოზე აღბეჭდილი ჯერ კიდევ ილიას მამულების მოურავის ფსიქოლოგიური განწყობა. ასეთ მეთოდს ფლობენ ფსიქოლოგები. იქნებ რომელიმე მათგანთან განიხილოს ეს ფოტო და დაადგინოს, მიახლოებით მაინც, თანხვედრამია თუ არა დიმიტრი ჯაშის ფსიქოლოგიური განწყობა ფოტოზე აღბეჭდილი უმრავლესობის გულით გამოხატულ სამგლოვიარო განწყობასთან.

ვერ ვიტყვით, რომ აქ დიმიტრი ჯაში გამოხატავდეს იმერლიშვილის დავალების შემსრულებელი ადამიანის სახეს და მისი თვალები ხარბად აღბეჭდავდეს არსებულ გარემოს, რათა კარგად დაიმახსოვროს, რაც ხდება, რომ დაწვრილებით მოუყვეს მის გამომგზავნს.

1907 წლის 15 სექტემბერს ფაღავა წერილს უგზავნის სასამართლო გამომძიებელს ილიაშენკოს, რითაც სრულიად საიდუმლოდ აცნობებს: „დ. ჯაში 5 სექტემბერს, ოთხშაბათს, საგურამოდან თბილისში ნამდვილად წავიდა ცხენით. გზაში შეხვდა თავადის კაცს გიგოს, რომელმაც გადასცა მას, რომ ბაალი უბრძანებს, მეორე დღეს, ოთხის ნახევარზე, მუხათგვერდის ახლოს მგვერზე გამავალ რკინიგზის ხილთან ჩაფრები დაახვედროს. ჯაში უკან არ დაბრუნდა. მისი თქმით, ის დილით აპირებდა თბილისიდან დაბრუნებას და ხილთან ჩაფრების გაგზავნას მოასწრებდა. ჯაში ღამე თბილისში თავის ბინაში დარჩა. მთელი ღამე სახლის ეზოში იქვე იდგა მისი ცხენი. მეორე დღეს მივიდა პუშკინის პასაჟში, კოსტუმის ასაღებად, მაგრამ ჯერ მზად არ იყო და თხოვა საგურამოში გამოეგანებინათ თავადის მეურმეებისათვის, რომლებიც ქალაქში შეშას ეზიდებოდნენ გასაყიდად. ჯაში ბაალთან ნამდვილად არ მისულა. როგორც თვითონ გან-

მარცა, თბილისში ჩავიდა იმისათვის, რომ ილიას დამკრძალავი კომისიისათვის ეცნობებინა, საგურამოში თუ ბევრი ხალხი ჩამოვა გადმოსასვენებლად, იქ არავითარი მომზადება არ არის. გაზეთ „ნაკადულის“ რედაქციაში ჯამს უთხრეს, კომისია დეპუტატთა საკრებულოშია და იქ გაემართა. აქ მან ნახა გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი თავადი ბაგრატიონ-დავიდოვი, მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლო თავადი ცუმიანოვი, გენერალი თავადი ივანე ჭავჭავაძე, თავადი ამირეჯიბი (კომისიის მდივანი), ვალერიან გუნია, და სხვები. შემდეგ შეიარა ქართველთა შორის წკგეს-ში სადაც ნახა მსახიობი ივანიძე, გრიგოლ ჩარკვიანი, სპირიდონ ლოსაბერიძე, შიო კუჭუხაშვილი, ვასო ედილაშვილი და სხვები. ჯამში თბილისიდან 6 სექტემბერს დღის სამ საათზე გავიდა და საგურამოში ჩავიდა საღამოს, ზაალ ჭავჭავაძის ჩასვლის შემდეგ.“<sup>1</sup>

ამ მოკლე, მაგრამ ტევადი ინფორმაციის მატარებელი ბარათით, ფაღავა ცდილობს, ილიაშენკოს მიაწოდოს ჯამის მაკომპრომეტირებელი ცნობები. იქნებ, თბილისში მისი წამოსვლა სხვა მიზანს ემსახურებოდა. სწორად მოიქცა თუ არა დიმიტრი ჯამი, როცა თბილისში ჩამოვიდა და მოიარა „ნაკადულის“ რედაქცია, დეპუტატთა საკრებულო, სადაც იკრიბებოდა დამკრძალავი კომისია? ჯამი 5 სექტემბერს წამოვიდა საგურამოდან და უკან დაბრუნდა 6 სექტემბერს საღამოს. ის დრო დახარჯა, რომ საქმის კურსში ჩაეყენებინა დამკრძალავი კომისიის მდივანი და სხვა წევრები, თუ როგორი სამზადისი იყო საგურამოში და თავადაც გაეგო, თუ რა სამზადისი იყო თბილისში ილიას დასაფლავებასთან დაკავშირებით. ამ ყველაფერს დღენახევარი დაჭირდა; ვფიქრობთ, ბევრი დრო არ დაუკარგავს, რომ როგორც მოკლული თავადის მოურავი საქმის კურსში სათანადოდ ყოფილიყო.

რადგან დასაფლავების დღეს ჯამი საერთო ფოტოზეა, ვხედავთ დგას მთაწმინდის პანთეონის გალავნიან ეზოში, სადაც შესვლა მხოლოდ ბილეთებით იყო შესაძლებელი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი სწორად მოიქცა, როცა 5 სექტემბერს, თბილისში ჩამოვიდა. მან, როგორც მოკლული ილიას მოურავმა, შესძლო საქმის კურსში ჩაეყენებინა დამკრძალავი კომისიის წევრები საგურამოში არსებულ სამზადისთან დაკავშირებით და მათთან მოეგვარებინა ილია ჭავჭავაძის დასაფლავების ცერემონიალში მისი მონაწილეობის საკითხი. იგი მთაწმინდის პანთეონში ვერ მოხვდებოდა, რადგან გალავნის შიგნით შესასვლელი ბილეთი არ ექნებოდა და არც სამგლოვიაროდ შემოსილი (შავ კოსტუმში—ავტ), გააცილებდა უკანასკნელ გზაზე ილია ჭავჭავაძეს. ზოგიერთი მკვლევარიც, ყარამან ფაღავას მსგავსად, ჯამის 5 სექტემბერს საგურამოდან თბილისში წასვლას მის „გაუჩინარებად“ მიიჩნევს და ამას ეჭვის თვალთ უყურებს. მხოლოდ ასეთი რეაქცია აქვთ, სხვა ვერაფერი დაუდგენიათ.

დიმიტრი ჯამის განვლილი ცხოვრება მეტყველებს მის ცოდვებზე, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენით ველოდებით იმ დღის დადგომას, როცა სამართლიანი სასამართლოს განაჩენით, ილიას მკვლელობის მონაწილედ დიმიტრი ჯამი არ იქნება მოხსენიებული.

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, „მერანი“, 1996 წ. თბილისი;

# წერილი მესამე

## ფილმის მაყურებელსა და ამ წიგნის მკითხველს

გურამ ასათიანი, ქართული კრიტიკული აზროვნების მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, წერდა: „სიყალბეს მწერლობაში აზრის სიმდაბლე ან წვრილმანი ანგარება იწვევს“.

ვფიქრობთ, არამართო მწერლობაში. ამასთან, „წვრილმანი ანგარებას“ საკითხის მიმართ კონიუნქტურული მიდგომა იწვევს და სრულიადაც არ გახლავს წვრილმანი ანგარება, რადგან საქმე ეხება „ყოფნა-არყოფნას“. ასე იყო წარსულში, როცა პარტიის აზრის საწინააღმდეგო თვალსაზრისის გამოთქმა ავტორის ფიზიკურ არსებობას საშიშროებას უქმნიდა. საბედნიეროდ, ასეთი მიდგომა წარსულს ჩაბარდა, მაგრამ მაინც დარჩა „წვრილმანი ანგარებად“ სიფრთხილე - თუ რას იტყვის მავანი, გამოთქმულ სიმართლესთან დაკავშირებით. დღეს მკვლევარს კითხვა უჩნდება: დამოუკიდებელმა საქართველოს თემიდან რატომ არ დააყენა საკითხი 1942 წლის სასამართლო განაჩენის გადახედვის შესახებ? ამის საფუძველი არსებობდა, ჯერ კიდევ საქართველოს ეროვნული მოძრაობის გამლის პერიოდში, 1987 წელს, როდესაც საქართველოს საზოგადოებამ შექმნა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ნამდვილი გარემოებების დამდგენი სპეციალური კომისია. კომისიამ გარკვეული საქმიანობა ჩაატარა. არსებობს ამ კომისიის სხდომების ოქმები და სხვა ჩანაწერები. კომისიის წევრების უმრავლესობის აზრით ილია ჭავჭავაძის მკვლელობა არ დაუგეგმავს მეფის რუსეთის „ოხრანკას“, არამედ ეს მკვლელობა დაგეგმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომლის განხორციელებაც ქართველ სოცდემოკრატ ტერორისტებს დაევალათ. კომისიის წევრები, რომლებიც აშკარად უმცირესობაში იყვნენ, ხელმძღვანელობდნენ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საბჭოური გამოძიებითა და 1941-1942 სასამართლოს განაჩენით. სამწუხაროდ, კომისიას არ შეუქმნია დასკვნითი დოკუმენტი - ახალი გარემოებები - რომელიც საფუძველი უნდა გამხდარიყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სამართლებრივი წესით განხილვის. შესაბამისად, საბჭოთა წესწყობილების ნგრევის პერიოდში 1987-1991 წლებში საქართველოს თემიდას არ ჰქონდა 1942 წლის სასამართლო განაჩენის გადახედვის სამართლებრივი საფუძველი. დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, გაჩაღებული სამოქალაქო დაპირისპირების, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში გამლილი სეპარატისტული მოძრაობის გამო, რომელიც ომებში გადაიზარდა და შედეგად, საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით მეოთხედი რუსეთის ფედერაციის ჯარების მიერ ოკუპირებული დარჩა, საქართველოს ხელისუფლებას და შესაბამის ორგანოებს არ მიეცათ საშუალება დაეწყოთ საქმიანობა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებების ობიექტურად, ამასთან სამართლებრი-

ვად დასადგენად. დიახ, დღეს მკვლევარს მხოლოდ სუბიექტური მიდგომით, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, თავისი ვარაუდების გამოხატვის საშუალება აქვს, მაგრამ, ალბათ, იმასაც ფიქრობს, რომ 1942 წლის განაჩენი აწყობს ქვეყანას და ისიც თავის ნაშრომს, თავის ნაფიქრალს ამ განაჩენს უღებს საფუძვლად. ფილმშიც დავინახე ასეთი მიდგომა. რადგან სახელმწიფომ ჯერ ვერ მოიცალა სამართლებრივად განეხილა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებები, ფილმის შემქმნელებიც ფიქრობენ, რომ უფლება აქვთ დიმიტრი ჯაში თავიანთი თვალსაწიერით დამნაშავედ დაინახონ. მიხეილ ბერინაშვილი მისთვის გაგზავნილ წერილს გაეცნო. პასუხი ტელეფონით გვაცნობა. არ დაგვეთანხმა, რომ დიმიტრი ჯაში ფილმში ტენდენციურად არის წარმოდგენილი. სატელეფონო საუბარში აზრი დაკარგა ფილმში დოკუმენტების არასწორი ინტერპრეტაციის შედეგად გაუქურებული სიცრუის და ცილისწამების გარჩევამ.

ბატონ სიმამშვილის ბოლოდროინდელი შრომებიც გაჯერებულია დიმიტრი ჯაშის მისამართით უსაფუძვლო ბრალდებებით. მეცნიერი რიგ შემთხვევაში აკრიტიკებს 1930-იან წლებში ჯაშის მიმართ შექმნილ ყალბ დოკუმენტებს. მაგრამ ამავე დროს ქმნის ახალ თეორემას — ჯაშის „ოხრანაკაში“ გადაბირების შესახებ, რომლის სანაცვლოდაც „ოხრანაკამ“ გადამალა ილიას მკვლელობის მომზადებაში ჯაშის სამხილები. მიუხედავად იმისა, რომ სიმამშვილის შრომებში წარმოდგენილია ჯაშის 1909-1911 წლებში „ოხრანაკასთან“ თანამშრომლობისა და სხვა დანაშაულში მისი მონაწილეობის შესახებ საარქივო დოკუმენტები, მას არა აქვს უფლება დადასტურებულად გამოაცხადოს ჯაშის დანაშაული ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობის შესახებ, თუ რა თქმა უნდა იგი არ იზიარებს ბერბიჭაშვილის მიმართ 1942 წლის საბჭოთა სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს. ბატონ სიმამშვილს საარქივო დოკუმენტებში დღემდე ვერ აღმოუჩენია ილიას მკვლელობაში დიმიტრი ჯაშის დანაშაულის შესახებ რაიმე დოკუმენტი, მაგრამ „ოხრანაკასთან“ ჯაშის თანამშრომლობა მიაჩნის იმ არგუმენტად, რომ მას ბრალი მიუძღოდა 1907 წელს ილიას მკვლელობაში. სხვა სიტყვებით სიმამშვილი იყენებს იმავე მეთოდს, რა მეთოდსაც 1930-1942 წლებში იყენებდა საბჭოთა მართლმსაჯულება, კერძოდ, 1907 წლის ზაფხულის მიწურულს, ილიას მკვლელობის ხელმძღვანელობა მის ბოლო მოურავს დიმიტრი ჯაშს იმიტომ დააბრალეს, რომ იგი 1909-1911 წლებში „ოხრანაკასთან“ თანამშრომლობდა.

ბატონი თენგიზ სიმამშვილი არ ვიცით როგორ შეხვდება ჩვენს წერილებს, მაგრამ დარწმუნებული ვართ, ფილმით შექმნილი და ბატონ თენგიზის შრომებით შექმნილი საზოგადოების შთაბეჭდილების კორექტირება ამ წერილებსა და დროს უნდა მივანდოთ. სამართლებრივად კი - მართლმსაჯულებას.

კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, მუხლი 16, „ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის ფარგლები“, პირს ცილისწამებისათვის არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა

სცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა. ამას ფილმის შემქმნელების მიმართ ვერ ვიტყვი, რადგან თავად გაანალიზეს საარქივო დოკუმენტები და ისე შექმნეს ფილმი. ის ფალსიფიკაცია, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ 1942 წლის სასამართლო განაჩენისთვის შეთხზა, კარგად იციან, ნაწილობრივ, ფილმშიც გაახმოვანეს, და ბატონ თენგიზის შრომებშიც აისახა, მიუხედავად ამისა, დიმიტრი ჯაშის მისამართით არ თქვეს ობიექტური სათქმელი, გარდა ამისა, დიმიტრი ჯაშს ცილი დასწამეს.

ამ კანონის მე-15 მუხლით, პირს ენიჭება კვალიფიციური პრივილეგია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადებისათვის, თუ:

ა) მან მიიღო გონივრული ზომები ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად, მაგრამ ვერ შესძლო შეცდომის თავიდან აცილება და გაატარა ქმედითი ღონისძიებები ცილისწამებით დაზიანებული პირის რეპუტაციის აღსადგენად;

ბ) იგი მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს;

ამ პუნქტებიდან გამომდინარე, რეჟისორი ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად, გონივრული ზომების მიღების ნაცვლად, მცდარი ფაქტის შემცველ განცხადებას ავრცელებს, პირის რეპუტაციის აღსადგენად არ ატარებს ქმედით ღონისძიებებს.

რაც შეეხება საზოგადოების კანონიერ ინტერესს - იცოდეს სიმართლე ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებებთან დაკავშირებით, ეს, ბუნებრივია, ჩვენს ინტერესებშიც შედის, მაგრამ ილიას მკვლელობაში ჯერ ცილი დასწამო დიმიტრი ჯაშს და ბრალდებულად გამოაცხადო, შემდეგ მისი შვილის ქმედებების შესახებაც ტყუილი გადასცე ფილმის მაყურებელს, ეს არ უზრუნველყოფს საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას - გაიგოს სიმართლე. ასეთ ქმედებას საზოგადოება, კერძოდ, მაყურებელი შეცდომაში შეჰყავს.

ამ კანონის მე-19 მუხლი - სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა ცილისწამების შესახებ, 100 დღეს ითვალისწინებს. ეს 100 დღე აითვლება მას შემდეგ, რაც პირი, ანუ ჩვენ გავეცანით ან შეგვეძლო გავცნობოდით გავრცელებულ ინფორმაციას.

ფილმის ყოველი დემონსტრაცია სიცრუის ტირაჟირებაა, რაც გვაიძულებს, მივმართოთ სასამართლოს. თუმცა არ ვჩქარობთ, იმ მიზეზით, თუ სასამართლო გაიზიარებს საჩივარს, იგი აიძულებს ფილმის შემქმნელებს გამოვიდნენ პრესაში განცხადებით მხოლოდ სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით. ვეჭვობთ, ფილმში გაჟღერებული სიცრუე ამოღებული იქნეს. ამ ეტაპზე საჭიროდ ჩავთვალეთ წერილების წიგნად პუბლიკაცია, რომ მკითხველმა გადაწყვიტოს ჯაშის მიმართ რამდენად მართლები არიან ფილმის შემქმნელები.

ცილისწამებით გამოსატული პიროვნების პატივისა და ღირსების შელახვის გამო დაირღვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 18, პირადი არაქონებრივი უფლებები, რის გამოც, უფლება გვაქვს, სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დავიცვათ დიმიტრი ჯაში სიკვდილის შემდეგ პატივისა და ღირსების შელახვისაგან, როგორც მემკვიდრეებმა და შესაბამისად, საამისოდ ღირსი

ინტერესების მქონე პირებმა, ისე, რომ კანონმა ხანდაზმულობის ვადების ჩარჩოებში არ მოგვაქციოს, რადგანაც ამავე კოდექსის 128-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება პირად არაქონებრივ უფლებებზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

აღნიშნული კანონებით, უფლებას ვიტოვებთ, სასამართლოში გავასაჩივროთ დოკუმენტურ-მხატვრული ფილმის „ვინ მოკლა ილია...“ შემოქმედებითი ჯგუფის მიერ დიმიტრი ჯაშისა და მისი შვილის მისამართით ფილმში გაჟღერებული ცილისწამება და სიცრუე. დიახ, უფლებას ვიტოვებთ, თუმცა ამ უფლების გამოყენება არ არის ჩვენი მთავარი მიზანი.

მკითხველს სიმართლე რომ დავანახოთ, ამას ცილისწამების გავრცელება ხელს ვერ შეუწყობს. სწორედ ასე იყო 1930-იან წლებში. დიმიტრი ჯაშის მიმართ შეგნებული ცილისმწამებლური ნაწერები იქმნებოდა და იბეჭდებოდა ჟურნალ გაზეთებში. XX საუკუნის მეორე ნახევარი და XXI საუკუნის დასაწყისიც ამ მხრივ არ იყო გამონაკლისი. ძვირფასო მკითხველო, სწორედ ამის ილუსტრაციას შევეცდებით წიგნის შემდგომ თავებში. წარმოვადგინოთ აღნიშნულ პერიოდებში გამოცემულ რამდენიმე წიგნში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებების ავტორისეულ ხედვას, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საგამოძიებო დოკუმენტებით ჩატარებული გამოძიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შეფასებას, რომელთა ავტორები, ზოგიერთი მიიჩნევს, ზოგი არა, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებებში დიმიტრი ჯაშის როლს.

მკითხველს შევახსენებთ: ცილისწამება ნიშნავს ვინმესთვის რამე დანაშაულის დაბრალებას, მაშინ, როცა მას ეს არ ჩაუდენია ან დანამდვილებით არ ვიცით, ჩაიდინა თუ არა.

## II ნაწილი

### ქართველთა რეაქცია ილიას მკვლელობამდე და მკვლელობის შემდეგ

ილია ჭავჭავაძის სიცოცხლის ბოლო ათი წელი ემთხვევა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისს. იმ დროს კავკასიის მხარე რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ ერთეულებში შედიოდა. ამ მხარეში 1897 წლიდან და 1907 წლამდე ქართული მიწები, ძირითადად, წარმოდგენილი იყო ორი გუბერნიის: თბილისისა და ქუთაისის სახით, და ბათუმის ოლქით - ბათუმის, ართვინისა და აჭარის ოკრუგებით, ზაქათალის ოკრუგით. ქუთაისის გუბერნიას გამოეყო სოხუმის ოკრუგი, ხოლო ბათუმის ოლქი 1906 წლისთვის იყოფოდა ბათუმისა და ართვინის ოკრუგებად. კავკასიის მხარეს 1897-1905 წლებში ხელმძღვანელობდა კავკასიის ადმინისტრაციის უმაღლესი მთავარსარდალი გრიგორი გოლიცინი, 1905 წლიდან - მეფის-ნაცვალის გრაფი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი.

თბილისი - კავკასიის ცენტრად ითვლებოდა. მისი მოსახლეობა 1906 წელს დაახლოებით 140 ათასამდე გაიზარდა. აქედან უმეტესობა სომეხი იყო - 33%, რუსები - 30%, ქართველები - 25%, დანარჩენს შეადგენდნენ თათრები, ებრაელები, სპარსი. ქალაქში გამოდიოდა ექვსი სომხური გაზეთი, ხუთი - რუსული და ოთხი - ქართული. ქალაქის მდიდარ ფენას წარმოადგენდნენ სომეხი მაგნატები, რუსი ჩინოვნიკები, სამხედრო გენერლები და გამონაკლისი - ქართველი თავადები. თბილისელი მუშები ძირითადად რკინიგზის დეპოსა და პატარა სახელოსნოებში მუშაობდნენ<sup>1</sup>.

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში საქართველოს მუშათა კლასი, ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, სოციალ-დემოკრატი მენშევიკების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. იმ პერიოდში რსდმპ თბილისის მენშევიკურმა კომიტეტმა, ნოე რამიშვილის მეთაურობით, შეიარაღებული საბრძოლო რაზმები შექმნა. არსებობდა ორი სამხარეო ორგანო: ბოლშევიკური რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი და მენშევიკური რსდმპ კავკასიის ბიურო.

1906 წელს აირჩიეს რსდმპ ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი, რომლის უმრავლესობა მენშევიკები იყვნენ. ბოლშევიკებმა პოზიციები დათმეს. საქართველოში იმ დროს, სოციალ-დემოკრატების შემდეგ, მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ სოციალისტ-ფედერალისტებს, განსაკუთრებულად - ქართულ ინტელიგენციამში.

ილიას მოსალოდნელი მკვლელობის შესახებ მოარული ხმები 1907 წლის აგვისტოში გავრცელდა. ამას მოწმობს არტურ ლაისტის, ალექსანდრე ყიფშიძის, მარიამ

---

<sup>1</sup> ივანე ჯავახიშვილი, „საქართველოს ისტორია, მეოცე საუკუნე“, თავი პირველი - საქართველო მეოცე საუკუნის დამდეგს;

ორბელიანის ნაწერები და მიხეილ გაჩეჩილაძის მოგონება ზაქარია ჭიჭინაძის ცემის შესახებ. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია ბატონ ნოდარ გრიგალაშვილის წიგნში „თანამდევნი სული“. 54 წლის საზოგადო მოღვაწე, ქართული ენისა და მწერლობის ქომაგი ზაქარია ჭიჭინაძე, მას მერე, რაც 1907 წლის აგვისტოში, ილიას მკვლელობამდე სამი დღით ადრე, სოციალ-დემოკრატიამ მუშებმა ილია ჭავჭავაძის დღეგრძელობის გამო ღუქანში გალახეს და თავი გაუტეხეს, აქვე, მეღუქნისაგან შეიტყობს - ილიას მოკვლას უპირებენო, მაგრამ მაინც ვერ გაუბედავს ილიას გაფრთხილებას.

მოარული ხმები ილიას მოსალოდნელი მკვლელობის შესახებ ქართულ საზოგადოებას ესმოდა, მიუხედავად ამისა, არავინ გამოჩნდა, ვინც მის დაცვაზე პასუხისმგებლობას აიღებდა.

იმ პერიოდში ფედერალისტების პარტია რევოლუციური აქტივობით გარკვეულ ძალას წარმოადგენდა. ფედერალისტების სამხედრო რაზმის წევრებმა 1907 წლის აპრილში ღუშეთის ხაზინიდან 315 ათასი რუბლი გაიტაცეს. ილიას მკვლელობის შესახებ მოარულ ხმებს მეტი სერიოზულობით რომ მისდგომოდნენ, შეძლებდნენ ილიას დაცვას. თუმცა მისი გარკვეული ნაწილი ილიას კიდევ ემუქრებოდა. 1906 წლის მიწურულს მოკლეს ილიას განუყრელი მეგობარი ნიკო ხიზანიშვილი, რომელიც გამომძიებლად მუშაობდა. პასუხისგებაში მიცემული ძმები კასრაძეებიდან ერთ-ერთმა ნიკო ხიზანიშვილი ქუჩაში მოკლა. მკვლელი სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი იყო. ხიზანიშვილის დაკრძალვაზე, პროკლამაციები გადმოყარეს, რომლის ტექსტი იყო: „შენც მალე მოგიღებთ ბოლოსო“, ილია იგულისხმებოდა.<sup>1</sup>

ფედერალისტების მმართველ ძალას, შესაძლებელი იყო ილიასათვის შეეთავაზებინათ, მისთვის მშვიდობიანი გარემოცვის უზრუნველყოფა, მით უფრო, წერილის „ნუ თუ?“-ს წაკითხვის შემდეგ, საიდანაც ჩანს, რომ 1905 წელს ილიამ საგურამოს მამულში მშვიდობიანი ატმოსფეროს აღდგენის მიზნით, დახმარება ღუშეთის მაზრის უფროსს დეპუტით სთხოვა, რომელმაც სტრაჟნიკები გაუგზავნა. ილია 1906-1907 წლებშიც განიცდიდა ამ მხრივ, დახმარების საჭიროებას. ფედერალისტებს შეეძლოთ, ილიას დასაცავად თავიანთი სამხედრო დაჯგუფებიდან ხალხის გამოყოფა. თუ იარაღით ვერ დაიცავდნენ, ის მაინც შეეძლოთ, რომ ილია ჭავჭავაძის ხელშეუხებლობის გარანტია მოეთხოვათ როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობისაგან, ისე 1906 წლიდან მეფისნაცვლის ადმინისტრაციისაგან. მით უფრო, რომ ილია უკვე რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად იყო არჩეული.

ილიას მკვლელობის შემდეგ ფედერალისტების ერთ-ერთი ლიდერი, სამსონ ფირცხალავა წერდა: „...ილია მოკლეს ავაზაკურად, ერმა ვერ მოუარა მას, ვერ დაიცვა, რატომ? მარტო ხომ მტრები არ ეხეიენ ილიას გარშემო? სად იყვნენ მეგობრე-

<sup>1</sup> ნ. გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“, 2010წ. II ნაწილი, თბილისი;

ბი, მოკეთენი, რაგომ არ მიაშველეს თავიანთი ფარი?... ვინ მოკლა ილია? ვინ იყო ამის ჩამგონებელი და ვინ ფიზიკური ამსრულებელი? მე ამაზე არ მინდა ვილაპარაკო...“<sup>1</sup>

სამსონ ფირცხალავა ისე წერს, თითქოს ფედერალისტები არ მოიაზრებდნენ თავს ილია ჭავჭავაძის მეგობრებად, მოკეთებებად. ფედერალისტების ცნობილი ლიდერი გიორგი ლასხიშვილი თავის მოგონებებში გადმოგვცემს, რომ, მიუხედავად მათი მხრიდან ილიას ზოგიერთი შეხედულების კრიტიკისა, მათ ილია ჭავჭავაძე მიაჩნდათ ქართველი ერის მედროშედ და საკუთარი თავი - ილიას იდეებზე გამოზრდილად, მაგრამ მაინც იგი დაწერს: „...ილიას არავინ გამოექომბა, ხმა არ შეაწია, ნუგეში არ უთხრა.“

ფედერალისტებმამარ მოინდომეს ილიას დაცვა არც იარაღით, არც მორალურად.

და მაინც, ჩვენი აზრით, საქართველოში არსებობდა ძალა, რომელიც ვალდებულ იყო, დაეცვა ილია ჭავჭავაძე. ცნობილია, რომ 1905 წლის 15 ოქტომბრამდე ილიამ მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღო მომავალი პარტიის „ქართველ პროგრესისტთა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის“ (ეროვნული პარტია - ავტ.) ჩამოყალიბებაში. 1906 წლის 18-19 იანვარს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა 74-პუნქტიანი „პროგრამა ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიისა“. რატომ არაფერი იღონა მის მიერ დაარსებულმა პარტიამ 1907 წლის ზაფხულის დასაწყისში, როცა ილიას მოურავი მოუკლეს და შემდგომ, ილიას დასახმარებლად? ალბათ, ამ პარტიას არ ჰყავდა იმ დროს სამხედრო რაზმები ან სულაც ჯერ არ იყო შექმნილი, მხოლოდ პროგრამა იყო შედგენილი, მაგრამ ილიას ამ პროგრამის ჩამოყალიბებაში ხომ რამდენიმე ათეული თანამოაზრეც ჰყავდა, ვინც მასთან თანამშრომლობდა. მით უფრო, ამ პარტიის სულის ჩამდგმელთა გადაწყვეტილებით, თუ საქართველო ავტონომიას მიიღებდა, პრეზიდენტობის კანდიდატად ილია ჭავჭავაძე უნდა დასახელებულიყო. ამ მომავალი პარტიის პროგრამას ხომ იზიარებდა ათასი ადამიანი თუ არა, სულ ცოტა მისი მეათედი. ნუთუ მათგან ათ შეიარაღებულ პირს არ შესწევდა ძალა, იმ ავბედით ზაფხულში შეექმნათ პირადი დაცვა მათი პარტიისა და მთელი საქართველოს წინამძღოლისათვის?

ფაქტია, ქართულმა საზოგადოებამ ვერ შეძლო დიდი ილიას დაცვა, სწორედ ამ მიზეზით, მთელი შემდგომი საქართველო მორალურად დაეცა. დამოუკიდებელი საქართველოს პერსპექტივა თითქმის ერთი საუკუნით დაიკარგა, რაც ისტორიამ დაადასტურა.

ილიას მკვლელობიდან პირველივე დღეებში გავრცელდა ხმები, რომ მკვლელობა ჩადენილია პოლიტიკური პარტიების წაქეზებითა და მონაწილეობით. ამ ხმების გამო პარტიებმა დაიწყეს თავის მართლება, მოითხოვდნენ თვითონ პარტიებს გამოძიება ჩაეტარებინათ. „ასეთი წინადადება გაზეთმა „კავკაზიამ“ 1907 წლის პირველი სექტემბრის სარედაქციო წერილში გამოაქვეყნა. ამ წინადადებას პირველ

<sup>1</sup> ს.ფირცხალავა, „ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების გარემო“, 1907 წ. თბ;

ხანებში სოციალ-დემოკრატიები (მენშევიკები) დუმილით შეხვდნენ, ხოლო ილიას მკვლელები როცა დააპატიმრეს, მოითხოვეს პოლიტიკურ პარტიათა ერთობლივი კომისიის შექმნა მკვლელობის მიზეზებისა და ორგანიზატორების დასადგენად<sup>1</sup>.

საქართველოს ხელისუფლებაში ახლად მოსული მთავრობები (ოზაკომი, მენშევიკური მთავრობა - ავტ.) და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებიც შეეცადნენ, გამოციბით დაედგინათ ილიას მკვლელობის ხელმძღვანელები.

1917 წლის მარტში, თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭომ მეფის რუსეთის საიდუმლო პოლიციის - „ოხრანკის“ ყოფილი აგენტების საქმიანობის შესასწავლად შექმნა სპეციალური კომისია, რომელიც სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებისაგან იყო შემდგარი. კომისიამ „ოხრანკის“ აგენტობაში მხილებული დიმიტრი ჯაში დააპატიმრა და რადგან იგი ილიას მკვლელობის დროს მისი მოურავი იყო, შეეცადნენ მისგან ილიას მკვლელობაში მონაწილეობის აღიარებითი ჩვენება მიეღოთ. დიმიტრი ჯაში „ოხრანკასთან“ თანამშრომლობისთვის გაასამართლეს, ხოლო ილიას მკვლელობაში მონაწილეობა ვერ დაუდგინეს, არც თავად აღიარა.

მეტეხის ციხეში ჯაშის დაკითხვის ეპიზოდს გადმოგვცემს პეტრე გელეიშვილი: „მაშინ მე, სილიბისგრო ჯიბლაძესა და ნოე რამიშვილთან ერთად, მხვდა წილად რამდენიმე შპიკის დაკითხვა მეტეხის ციხეში, სადაც სხვა მრავალთა შორის დატყუარებული გყავდა დიმიტრი ჯაში, რომელსაც როგორც ხალხის ხმა, ისე პოლიციის წინასწარი გამოძიება თვლის „წინამურის ტრაგედიის“ მთავარ ხელმძღვანელად... დიდხანს ვაგრძელდა ჯაშის დაკითხვა, რომელმაც არაფერი შედეგი არ მოგვცა: რაკი ვერაფერს ვაგზდით, გადავწყვიტეთ მისთვის პირში წაგვეყენებინა დოლიძე, რომელიც იმ დროს იმავე მეტეხის ციხეში კატორღელთა შორის იჯდა, რომელსაც ხალხის ხმა ილიას ერთ-ერთ ფიზიკურ მკვლელად ასახელებდა. რაკი უკვე გვიან იყო და საჭირო საბუთები (პოლიციის წინასწარი გამოძიება) ხელთ არა გვექნოდა, გადავწყვიტეთ, საქმე ორი დღით გადაგვედო. სამწუხაროდ, ორი დღე ორ კვირად გადაგვექცა, ამან კი სულ ერთიანად ვაგვიცრუა იმედეები... ორი კვირის შემდეგ დაკითხვა განვაახლე და დიმიტრი ჯაშს წინადადება მივეცი: თქვი სიმართლე თუ არა სულერთია, ახლავე დოლიძეს წამოგიყენებ პირში და ის გაგტყის თქვა, - პასუხად ჯაშმა გაიცინა და მითხრა: დოლიძე თქვენ ვერაფერს გეტყვის, ის უკვე მკვდარია.მართლაც ციხის უფროსმა გამომიცხადა, რომ დოლიძე ერთი კვირის წინ მომკვდარიყო და დაესაფლავებინათ“<sup>2</sup>.

მუშანაშვილი ამას შემდეგ კომენტარს უკეთებს: „პეტრე გელეიშვილი წინასწარი გამოძიების მასალებს თუ მართლა იცნობდა, ისიც უნდა სცოდნოდა, რომ დოლიძე გათავისუფლებული იყო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. ილია ჭავჭავა-

<sup>1</sup> ალ. მუშანაშვილი, „წინამურის ტრაგედია“, თბ, 2000წ., გვ. 154;

<sup>2</sup> ალ. მუშანაშვილი, „წინამურის ტრაგედია“, თბ, 2000წ., გვ. 154;

ძის მკვლევლობაში არც თავი უცვნია დამნაშავედ და არც დიმიტრი ჯაშის მამხილებელი ჩვენება მიუცია. ამიტომ გაუგებარია, რაში უნდა გამოეცხა დოლიძეს დიმიტრი ჯაში. პეტრე გელეიშვილს თუ დოლიძეს ჰყავდა დაკითხული და მისგან ჯაშის მამხილებელი რაიმე ინფორმაცია ჰქონდა მიღებული, თავის მოგონებაში, ალბათ ამასაც აღნიშნავდა.<sup>1</sup>

რაც შეეხება გელეიშვილის მუქარაზე ჯაშის გაცინებას — თუ ეს სიმართლეა, ეს ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ გელეიშვილს უნდა სცოდნოდა საჭირო მოწმე — პატიმარი როდის და რა ვითარებაში მოკვდა.

გარდა ამისა, შესაძლებელია, ეს ირონიული სიცილი იმით იყო გამოწვეული, რომ დიმიტრი ჯაშმა იცოდა, სამი წლით ადრე გელეიშვილი სალექციო გამოსვლებში ილია ჭავჭავაძეს გმობდა, ახლა კი მის წინ იდგა, როგორც, ილიას დიდი გულშემამატკივარი. ჟურნალი „კლდე“, 1914 წლის 4 მაისი, (დანართი N11).—„გელეიშვილის ლექციაზე“, ავტორი რევაზ გაბაშვილი: „...გელეიშვილის ლექციაზედ ქუთაისში, არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა: სტვენა, ბოლოვებისა და კვერცხის სროლა, იქ, საცა „ილია ჭავჭავაძის პოეზიასა და პუბლიცისტობაზე“ იყო ლაპარაკი. გაადგეს სცენიდან ლექტორი, რომელიც ბღალავდა ეროვნულ გრძნობას და ჩირქსა სცხებდა დიდებულ ილიას. ვგონებ არც ერთ ერში არ მოიძებნება ისეთი სულმდაბალი ელემენტები, რომელიც მოჰკლავდნენ თავიანთ ერის დამამშვენებელ გმირს... მაგრამ როდესაც მოკლულ გმირსაც არ ასვენებენ საფლავში, როდესაც იმისთანა (ღმერთო შევცოდე) ინტელიგენტები, როგორც გელეიშვილები, ნულუკიძენი და სხ. გამოდიან და საჯაროდ გამოხატავენ დიდებულებთან ადამიანს, იმიტომ, რომ ლაქიას ფული არ მისცაო, ან გლეხს წყალი არ დაანებაო - ეს მხოლოდ საქართველოშია შესაძლებელი... მარტო საქართველოში მოიძებნება ისეთი მაგალი ადამიანი, რომელიც, გონიერებისა და გრძნობების მინიერებაში ჩაფლული, ვეღარა ხედავს ბეცას, თავისი ვარსკლავებით, მთვარითა და ცისარტყელითა... ჩვენში დასჯასაც არ აკმარებენ, მკვდარსაც თხრიან და სჯიან, როგორც მხეცები, ...თქვენ, თქვენ, გელეიშვილებო, მახარაძეებო, რა გინდათ კიდევ, რა? გინდათ ხალხს ჩაუნერგოთ სიძულვილი და უკუნიითი-უკუნისამდე ანათემა ათქმევიინოდ? ...მაგრამ ხომ ხედავთ, ივსება ფიალა მოთმინებისა და დასცხერით, მოასვენეთ დიდებული ქართველი თქვენი ბილწი ენისაგან, თქვენი ლექციებისაგან“.<sup>2</sup>

ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის - ალექსანდრე სულხანიშვილის მოგონებების მიხედვით (ქვემოთ განვიხილავთ - ავტ), კიდევ უფრო გასაოცარია გელეიშვილის, როგორც უტიფარი ადამიანის პოზა. თუ სულხანიშვილი სიმართლეს წერს, ნოე რამიშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე და პეტრე გელეიშვილი იმ ადამიანთა ჯგუფში

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „წინამურის ტრაგედია“, გვ. 162, თბილისი, 2000წ.;

<sup>2</sup> რ. გაბაშვილი ჟურ. „კლდე“ N 18, „გელეიშვილის ლექციაზე“, 1914 წ. 4 მაისი;

მედოიდნენ, რომლებმაც ილიას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. თუ ასე იყო, გამოდის, რომ გელეიშვილის მიერ ჯაშის დაკითხვა მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა: თავისი სისხლიანი ხელები შეეხრცა დიმიტრი ჯაშზე, რაც არ გამოუვიდა.

მკვლევრები ვერ ასახელებენ ზუსტ თარიღს, თუ როდის შექმნასოციალ-დემოკრატიების (მენშევიკები) პარტიამ ილიას მკვლელობის გარემოებათა დასადგენად კომისია. თუ მიხვილ კლიმიაშვილი გახდა ამ კომისიის წევრი, იგი 1905 წლიდან 1917 წლამდე თბილისში არ ცხოვრობდა, გარდა ამისა, დიმიტრის „ოხრანკის“ აგენტობის შესახებ ცნობა 1917 წლის მარტში გავრცელდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი კომისია შეიძლება შეიქმნა ადრეც, მაგრამ უფრო სავარაუდოა 1917-1920 წლებში. 1921 წლიდან მენშევიკებს ილიას მკვლელობის გარემოებების დასადგენად არ ეცალათ. უმრავლესობამ, ვინც მთავრობაში იყო, თავისი ნებით დატოვა საქართველო, ნაწილი ებრძოდა წითელი რუსეთის საოკუპაციო ჯარს. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ზოგი დახვრიტეს ან წითელი რუსეთის ციხეებში დაატუსაღეს. ვინც გადარჩა, ისინიც ემიგრაციაში აღმოჩნდნენ.

მოძიებული ცნობებით, ილიას მკვლელობის გარემოებათა გასარკვევად, სოციალ-დემოკრატიების კომისია მუშაობდა, ალბათ, 1919-1921 წლებში. კომისიას ხელმძღვანელობდა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი ვასილ ცაბაძე. მას ათეული პირისთვის დაუვალებია ილიას მკვლელობის გარემოებების დადგენა, მაგრამ ვასილ ცაბაძეს და მის ამხანაგებს რაიმე კონკრეტული ვერ დაუდგენიათ.

მუშანაშვილი წერს: „ყოფილი მენშევიკი სოციალ-დემოკრატი ვანო ტატიშვილი ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესზე დამატებით მონშედ როცა დაიკითხა, ერთი ამბავი გაიხსენა: „ილიას მკვლელობის შემდეგ დამიბარა ვასო ცაბაძემ და მითხრა, ამ დანაშაულს ჩვენს პარტიას აბრალებენ და იქნებ ჩახვიდე საგურამოში რაიმე გაიგო. ვანო ტატიშვილი ჩასულა საგურამოში და იქაურ ამხანაგებს უთქვამთ, ილია ერთობის სახელით მოკლეს ვერაგულად და უხერხულია ისევ ერთობის სახელით ამ ამბის კვლევაო. ასეთი რჩევის შემდეგ იგი დაბრუნებულა და ცაბაძისთვის მოუხსენებია. 1921 წელს ვანო ტატიშვილი შეხვედრია ვასო ცაბაძეს, რომელსაც შეუჩივლია, სტალინს უთქვამს, რა ხალხი ხართ, ილიას მკვლელებიც ვერ დაგიდგენიათ“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, კომისიის წევრები უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. საგურამოელებს უთქვამთ, „ილია ერთობის სახელით მოკლეს ვერაგულად და უხერხულია ისევ ერთობის სახელით ამ ამბის კვლევაო“. ჩვენთვის, არაისტორიკოსებისთვის, გაურკვეველი დარჩა „ერთობის“ შინაარსი. ამ სიტყვაში, ალბათ, სოცდემოკრატიების - მენშევიკებისა და ბოლშევიკების ერთობა იგულისხმება, თუ მათთან კიდევ სხვა რევოლუციური პარტიები?

<sup>1</sup> ალ. მუშანაშვილი, „წიწამურის ტრაგედია“, თბილისი, 2000წ.;

1924 წელს ზაქარია გურული სუზდალის საპატიმროდან გამოგზავნილი წერილით იტყობინებოდა, რომ ვასილ ცაბადისათვის მას მიუწოდებია ზოგიერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც „უტყუარად ყოფილა დადგენილი, რომ ილიას მკვლელობა მოაწყო მეფის „ოხრანკამ“ დიმიტრი ჭაშის მეშვეობით, ხოლო პროვოკაციის ანკესზე წამოგებული პატრიოტები ფილიპე მახარაძეს აღანაშაულებდნენ და ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ. წერილის ერთ პირს ზაქარია გურული საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ კომისიასაც უგზავნის და იმედს გამოთქვამს, რომ ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიექცევა“<sup>1</sup>

**ალექსანდრე შუშანაშვილი ზაქარია გურულის ამ წერილს შემდეგ კომენტარს უკეთებს:** „შესაძლოა, ავტორის ძირითადი მიზანიც სწორედ ეს იყო. პარტიულ ხელმძღვანელობას და ფილიპე მახარაძეს ეს ინფორმაცია ღიად ეამებოდათ და შესაძლოა რეპრესირებული და სამშობლოდან გაძევებული ავტორისათვის წყალობის თვალთაც გადმოეხედათ. იმ დროს მენშევიკები ხშირად იყენებდნენ ამგვარ მეთოდებს, გმობდნენ თავიანთ პოლიტიკურ შეცდომებს, ითხოვდნენ პატიებას და შეწყალებას.“<sup>2</sup>

**ალექსანდრე შუშანაშვილი გვამცნობს:**

„1989 წელს მიხეილ კეკელიას გამოუქვეყნებია ვინმე ანდრო თოდუას მოგონება, სადაც ასეთი რამაა ნათქვამი: „როდესაც ილია ჭავჭავაძე მოკლეს, გავრცელდა არაოფიციალური მიმოთქმა, რომ ვითომ წინასწარ განზრახვით მესამედასელებს მოეკლათ ილია. ამისთანა მითქმა-მოთქმის გამო გამოუყვიათ სამი მუშა ამის გასარკვევად. ამ კომისიის თავმჯდომარე ყოფილა რკინიგზის მუშა ზაქარია გურული. ამ პირთ დეგალურად გამოუკვლევიათ ილიას მკვლელობის საკითხი. მიუკვლევიათ იმ ცნობამდე, რომ ილიას სიკვდილში მთავარი როლი ითამაშა ახანდარმერიამ და „მოურავმა“ ჭაშმა.“

მესამე დასის არალეგალურ კომიტეტს დაუნიშნია ტერორი დიმიტრი ჭაშისათვის. ეს გაუგია ახანდარმერიას და ვითომ დაჭერის სახით სადღაც შორეულ მხარეს გაუგზავნია სამუშაოდ. პირადად ზაქარიამ განმიცხადა, ყველა ეს საბუთები, რომელიც ჩვენმა გამოძიებამ მოაგროვა, გაიგზავნა (დედნები) მეორე ინტერნაციონალში.“<sup>3</sup>

**ამ მოგონებას ალექსანდრე შუშანაშვილი არ ენდობა:** „ამ მოგონებებში ბევრი რამ საეჭვოა და საკამათო. არავითარი ცნობები არ მოიპოვება, რომ ახანდარმერიამ

<sup>1</sup> ალ. შუშანაშვილი, „წინამურის ტრაგედია“, გვ 156, თბილისი, 2000წ.;

<sup>2</sup> ალ. შუშანაშვილი, „წინამურის ტრაგედია“, გვ 156, თბილისი, 2000წ.;

<sup>3</sup> ალ. შუშანაშვილი, „წინამურის ტრაგედია“, გვ 156, თბილისი, 2000წ.;

დიმიტრი ჯაში სადღაც შორეულ მხარეში გააგზავნა მესამე დასის მიერ დანიშნული ცერორისაგან გადარჩენის მიზნით“.<sup>1</sup>

ამ მონათხრობით გამოდის, რომ მესამედასელებს 1907-1908 წლებში მიუკვლევიან იმ ცნობამდე, რომ ილიას სიკვდილში მთავარი როლი ითამაშა ჟანდარმერიამ და „მოურავმა“ ჯაშმა. ჯაშზე შურისძიების მიზნით ორი ღონისძიება დაუგეგმავთ:

1. მესამე დასის არალეგალურ კომიტეტს დაუნიშნია ტერორი ჯაშისათვის. ეს ვერ განუხორციელებიათ, რადგან ეს გაუგია ჟანდარმერიას და ჯაში ვითომ დაჭერის სახით სადღაც შორეულ მხარეს გაუგზავნია სამუშაოდ.

დიმიტრი ჯაშის ბიოგრაფიაში მისი გადასახლების ფაქტი არ არსებობს. მკვლევარ კეკელიას ეს უნდა სცოდნოდა;

2. მეფის რუსეთის პერიოდში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გასარკვევად მესამედასელებს გამოუყვიათ სამი მუშა. რადგან, მეფის რუსეთში მესამე დასელები სამართალს ვერ იპოვნდნენ, ზაქარია გურულს ანდრო თოდუასთვის განუცხადებია, ყველა ეს საბუთები, რომელიც ჩვენმა გამოძიებამ მოაგროვა, გაიგზავნა (დედნები) მეორე ინტერნაციონალში. თუ ამ მონაცოლს სიცრუედ არ მივიჩნევთ, გვრჩება ერთი არჩევანი: ამ ქცევის უმიზნო არსი დავანახოთ მკითხველს.

რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციამ, მეორე ინტერნაციონალის რიგებში მემარჯვენებს, ცენტრისტებსა და მემარცხენებს შორის გაამწვავა დამორიშორება. ამის შემდეგ იქ დიდ როლს თამაშობდნენ რეფორმისტები, რომლებსაც მემარცხენებმა წაუყენეს ოპორტუნიზმში ბრალდება, სხვა სიტყვებით, იმაში, რომ ისინი მოერგენ შექმნილ სიტუაციას და დაკარგეს იდეური ბრძოლის უნარი. 1912 წლიდან მეორე ინტერნაციონალი ბალკანეთის ომში ხედავდა იმის საშიშროებას, რომ იგი გადაიზრდებოდა საერთო-ევროპულ ომში და თავის კონგრესებზე იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მოწოდებით მანიფესტებს დებულობდა. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში II ინტერნაციონალი, ფაქტობრივად, არ ფუნქციონირებდა. 1920 წლის ივლისში, ჟენევის კონგრესზე გამოცხადდა მეორე ინტერნაციონალის ხელახალი შექმნა. მეორე ინტერნაციონალს დამორდნენ მრავალი ქვეყნის, მათ შორის, რუსეთის მუშათა და სოციალისტური პარტიები. ერთი წლის შემდეგ შეიქმნა ვენის ინტერნაციონალი.<sup>2</sup>

მე-2 ინტერნაციონალში, გათიშულობისა და რეორგანიზაციის პერიოდში ილიას მკვლელობის მასალების გაგზავნა რა მიზანს ემსახურებოდა, ძნელად გასაგებია. არადამაჯერებელია ისიც, რომ გამოძიების მიერ შეგროვებული საბუთების დედნები იქ გაიგზავნა და საქართველოში დამნაშავეთა გასამართლებას გამოძიებით მოპოვებული დოკუმენტების ასლებით აპირებდნენ (?!). როგორც ჩანს, იმ პერიოდში ამაზე სულაც არ ფიქრობდნენ.

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „წინამურის ტრაგედია“, გვ 156, თბილისი, 2000წ.;

<sup>2</sup> ვიკიპედია, თავისუფალი ენციკლოპედია, რუსულ ენაზე. მე-2 ინტერნაციონალი;

თუ როგორ უკიდებოდა ილიას მკვლელობის გამოძიებას მენშევიკური მთავრობა, ამის შესახებ წერს ნოე რამიშვილის ვაჟი, აკაკი რამიშვილი, მოგონებებში - „ჩვენი შეცდომები 1918-1921“. ამონარიდი აკაკი რამიშვილის მოგონებებიდან, ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ, საიდანაც ვიცით, რომ ნოე რამიშვილმა ილიას მკვლელობის მონაწილეები, ფილიპე მახარაძე და ბერბიჭაშვილი დააჭერინა. ნოე ჟორდანიამ კი, ციხის უფროსს ფარულად გამოაშვებინა დამნაშავეები და თავის მძღოლს თავისივე სახელმწიფო მანქანით ჩააყვანინა ვლადიკავკაზში“.<sup>1</sup>

საგულისხმოა დავაკონკრეტოთ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლს, ალექსანდრე სულხანიშვილს იმ ადამიანების ჩამონათვალში, ვინც ილიას მოკვლა დაადგინა, რატომ ჰყავს დასახელებული ნოე რამიშვილი. ლოგიკას მოკლებულია ის, რომ თუ რამიშვილი იყო იმ პირთა წრეში, ვინც ილიას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, რატომ დააპატიმრებინა მან მახარაძე და ბერბიჭაშვილი - ილიას საქმეში მისი თანამოაზრე და მკვლელობის ერთ-ერთი შემსრულებელი. მკვლევრების დასადგენია, ნოე რამიშვილმა მართლა დააყენა თუ არა საკითხი დამფუძნებელი კრების წინაშე: ილიას მკვლელობის გამოსაძიებლად გამოეყოთ საგანგებო კომისია.

მკვლევრები გადმოგვცემენ, რომ ნოე რამიშვილს ილიას მკვლელობის გამოძიება ემიგრაციაში, პარიზში გაუგრძელებია, მაგრამ იქაც ვერ დაასრულა. 1930 წელს ის მოკლეს. ვფიქრობთ, ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასაც არ შეეძლო, ილიას მკვლელობის საქმე საფუძვლიანად გამოეკვლია. ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ნოე რამიშვილს, სანამ მოკლავდნენ, 8-9 წლის განმავლობაში უნდა გაერკვია ბევრი რამ. მენშევიკურ ემიგრაციას რაიმე სერიოზული დოკუმენტები რომ ჰქონოდა, პროფესორი გურამ შარაძე, რომელიც მთელი სიცოცხლე ილიას ცხოვრება-მოდვანობას იკვლევდა და ახლო კავშირი ჰქონდა საფრანგეთში ცოცხლად დარჩენილ ქართულ ემიგრაციასთან, მათ შთამომავლებთან - მოიძიებდა და ჩამოიტანდა.

ალექსანდრე შუმანაშვილს წიგნში „წინამურის ტრაგედია“ 59-ე გვერდზე მოაქვს შალვა ნუცუბიძის მოგონება, წყაროდ მითითებული აქვს 1990 წლის ჟურნალი „განთიადი“, N-2, გვ.181, სათაურით „შალვა ნუცუბიძე, ადამიანები და შეხვედრები“. „ოცდაათიანი წლების დასაწყისში, მუხრანში გამართულ ერთ-ერთ წვეულებაზე, შალვა ნუცუბიძისთვის ბერბიჭაშვილს უთქვამს: „მართალია, მე მივიღე მონაწილეობა ილიას მკვლელობაში, მაგრამ მე არ მომიკლავს. მე ვიჯექი მეურმედ და მევალებოდა ილიას ეტლის შეხვედრის დროს ისე უხეიროდ გამეჩერებინა ჩემი ურემი, ილიას ეტლი შემეჩერებია და ამ დროს მას ესროდნენ. მართალია, რომ მეც მედო თოფი ურემზე, მაგრამ მე ის არ მისვრია. მე მხოლოდ მივეცი საშუალება სხვებს, რომ მე არ მომიკლავს, იმათ მოკლეს, მე ამ საქმეში მართალი ვარ.“<sup>2</sup>

<sup>1</sup> აკ. რამიშვილი, მოგონებებში - „ჩვენი შეცდომები 1918-1921“;

<sup>2</sup> ალ. შუმანაშვილს „წინამურის ტრაგედია“, 2000 წ. თბილისი;

შალვა ნუცუბიძის გადმოცემით, დაახლოებით 1923 თუ 1924 წელს მან და ნიკო ჯანაშიამ სოფელ მუნრანში გიგლა ბერბიჭაშვილს „საზოგადოებრივი“ დაკითხვა მოუწყვეს. დაკითხულმა სთხოვა, მისი მონაყოლი საიდუმლოდ შეენახათ, მაგრამ, როგორც შალვა ნუცუბიძე წერს: „ნიკო ჯანაშიამ და მე ვერ შევასრულეთ გიგლა ბერბიჭაშვილის თხოვნა. ჩვენი შეთანხმების შედეგად ბერბიჭაშვილის ნაამბობი გადაეცა ახალგაზრდა მკვლევარს კოტე გორდელაძეს, რომელიც ოფიციალური დაკვეთით მუშაობდა ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის მასალებზე“.<sup>1</sup>

ამასთან დაკავშირებით ხაზს გავუსვამთ იმ ფაქტს, რომ ნუცუბიძე და ჯანაშია მთელი 10 წელი გიგლა ბერბიჭაშვილის თხოვნას საიდუმლოდ ინახავდნენ. კოტე გორდელაძეს ინფორმაცია გადასცეს მას შემდეგ, როცა სტალინის მითითებით გადაწყდა ილიას მკვლევლობის საბჭოური გამოძიების დაწყება.

საკითხავია, რატომ შემოიფარგლა შალვა ნუცუბიძე ასეთი მწირი ინფორმაციით. რატომ არ განუმარტა ბერბიჭაშვილმა, „იმათში“ ვის გულისხმობდა? რატომ არ დაინტერესდნენ დამსწრე პირები „იმათი“ გამიფვრით? შეუძლებელია, ისეთ პიროვნებას, როგორც შალვა ნუცუბიძე იყო, არ ეკითხა „იმათი“ გვარები და ისიც, თუ ვისი დავალებით მოქმედებდნენ. ბერბიჭაშვილმა თუ დაასახელა მკვლევლობის ხელმძღვანელად დიმიტრი ჯაში, რატომ არ დაწერა ნუცუბიძემ ამის შესახებ? თუმცა ბერბიჭაშვილს ჯაშზე რა უნდა მოეყოლა, როცა მას არც იცნობდა. შალვა ნუცუბიძე გარდაიცვალა 1969 წელს. 1957 წელს, როდესაც აღინიშნა ილიას დაბადების 120 წელი, შალვა ნუცუბიძემ ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებითაც კი არ მოინდომა გაეხსენებინა და საზოგადოებისთვის გაეცნო ილიას მკვლევლობის დეტალები, რაც ბერბიჭაშვილისაგან გაიგო 1924 წელს.

1942 წლის სასამართლო პროცესის დამთავრების შემდეგ, შალვა ნუცუბიძემ დაწერა: „არ დაფხნობიყარ ბერბიჭაშვილის პროცესს და არ ვიცი ბუსტად, რა თქვა მან იქ. მაგრამ ეს ჩემთვის ინტერესმოკლებული იყო, რადგან მოვისმინე ბერბიჭაშვილის ნათქვამი ისეთ გარემოში, სადაც მას მეტი საშუალება ჰქონდა ეთქვა ის, რისი თქმაც სურდა“.<sup>2</sup> შალვა ნუცუბიძის სხვა ჩანაწერი 1942 წლის პროცესის შესახებ არ არსებობს. რადგან ნუცუბიძემ მოისმინა ბერბიჭაშვილის ნათქვამი ისეთ გარემოში, სადაც მას მეტი საშუალება ჰქონდა ეთქვა ის, რისი თქმაც „სურდა“, ვფიქრობთ, მისი ნათქვამი 1942 წლის 5 იანვრის სასამართლო განაჩენში ჩაწერილს სრულიად ეწინააღმდეგებოდა. შალვა ნუცუბიძეს კი, სავარაუდოდ, არ სურდა საბჭოთა სასამართლოს ბრალდების ვერსიის საწინააღმდეგო ეთქვა ან დაეწერა.

სიმაშვილის ცნობით, ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის მასალები და დიმიტრი ჯაშის „ოხრანაკასთან“ კავშირის შესახებ დოკუმენტები დაუმუშავებია ვასილ ხმალა-

<sup>1</sup> ჟურნალი „განთიადი“ N-2, 1990 წ. „შალვა ნუცუბიძე, ადამიანები და შეხვედრები“;

<sup>2</sup> ჟურნალი „განთიადი“ N-2, 1990 წ. „შალვა ნუცუბიძე, ადამიანები და შეხვედრები“;

ძეს, რომელიც 1928 წლიდან საქართველოს „საისტორიო-სარევოლუციო არქივის“ დირექტორის მოადგილე იყო. მას ეხმარებოდა „კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს“ ყოფილი საქმის მწარმოებელი რიაზინცევი. შედგენილი მასალები მათ გადაუციათ ბერიასათვის. რიაზინცევი მალე დაუპატიმრებიათ და საქართველოდან გაუსახლებიათ.

რამ გამოიწვია ასეთი რეაქცია? ხელს არ აძლევდათ ის, რომ რიაზინცევა ბევრი რამ შეიტყო. ბატონი სიმაშვილი ამასთან დაკავშირებით წერს: „ვეარაუდობ, აღნიშნული დოკუმენტები ცხადად აჩვენებდა, რომ დ. ჯაში „ოხრანკის“ აგენტად გახდა ილიას მკვლელობის შემდეგ. ის დოკუმენტები კი, რაც საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივშია, სწორედ ჩემს მოსაზრებას ამტკიცებს - ილია ჭავჭავაძის მკვლელობის პერიოდში, 1907 წელს, დიმიტრი ჯაშის საიდუმლო პოლიციასთან კონტაქტის შესახებ დოკუმენტური დასაბუთება არ მოიპოვება არც ერთ დღემდე გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებელ მასალაში“.<sup>1</sup>

ალბათ, არ უნდოდათ ქართულ საზოგადოებას გაეგო, რომ დიმიტრი ჯაში 1907 წელს „ოხრანკის“ აგენტი არ იყო და „ოხრანკას“ იგი არ გაუგზავნია ილიასთან მოურავად. სურდათ საზოგადოებისთვის ეს მასალები ისე მიეწოდებინათ, როგორც ბოლშევიკური პარტიისთვის იქნებოდა მომგებიანი, კერძოდ, ის, რომ დიმიტრი ჯაში „ოხრანკის“ აგენტი იყო 1907 წლიდან და რომ „ოხრანკამ“ გააგზავნა იგი ილიასთან მოურავად.

„ოზაკომის“ არსებობისას, როცა ცნობილი გახდა დიმიტრი ჯაშის „ოხრანკასთან“ თანამშრომლობის ფაქტი, იგი რევოლუციური სიმკაცრით არ დაუსჯიათ. არც მენშევიკურ მთავრობას დიმიტრი ჯაშის მიმართ, როგორც „ოხრანკის“ ყოფილ თანამშრომელზე, არ აღუძრავს სისხლის სამართლის დანაშაულის საქმე.

საქართველოს გასაბჭოებიდან ერთი წლის თავზე, 1922 წლის 2 მარტს, თბილისში, საქართველოს საბჭოების I ყრილობამ საქართველოს პირველი საბჭოთა კონსტიტუცია მიიღო. კონსტიტუციის 102-ე მუხლით, საარჩევნო უფლება წაერთვა მოქალაქეთა კატეგორიას, მათ შორის, ყოფილ პოლიციის აგენტებს.

1922 წლის 2 მარტიდან დიმიტრი ჯაში „ოხრანკასთან“ თანამშრომლობისათვის საქართველოს არასრულუფლებიან მოქალაქედ გადაიქცა. ამის გამო იგი ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მისი მონაწილეობის შესახებ გავრცელებული ხმების მოსაგერიებლად, უკვე, ვერ იქნებოდა აქტიური. თუმცა იმ პერიოდში, ილიას მოურაობას მას არავინ ახსენებდა, რადგან დრო იყო ისეთი, ილიაზე კარგის დაწერა არ შეიძლებოდა და არც მის მოურავს ახსენებდნენ. საბჭოთა საქართველოს არასრულუფლებიანი მოქალაქის — დიმიტრი ჯაშის — ცხოვრება სამ თვეში შეწყდა. შეწყდა მისი სახელისა და გვარის ხსენებაც. პრესის ფურცლებზე დიდხანს არაფერი იწერებოდა,

<sup>1</sup> თ.სიმაშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011წ. თბ;

როგორც ყოფილი „ოხრანკის“ აგენტის და უფრო ადრე ილია ჭავჭავაძის ყოფილი მოურავის შესახებ. თუმცა 1928 წელს იყო საბაბი, ვინმეს იგი განსენებოდა, არა როგორც ილიას მოურავი, არამედ მეფის საიდუმლო პოლიციის - „ოხრანკის“ აგენტი. 1928 წელს საბჭოთა საქართველომ მიიღო ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის მუხლი 50-<sup>13</sup> სამეფო წესწყობილების დროს მოქმედ საიდუმლო აგენტების მიმართ ითვალისწინებდა სასჯელის უმაღლესი ზომას — დახვრეტას.

დიმიტრი ჯაში 1928 წელს ცოცხალი რომ ყოფილიყო, შეიძლება დაეპატიმრებინათ, გაესამართლებინათ და დაეხვრიტათ, როგორც სამეფო წესწყობილების დროს მოქმედი საიდუმლო აგენტი. თუ ეს 1928 წელს არ მოხდებოდა, იგი ცოცხალი 1936-1937 წლების რეპრესიებს ვერ გადაურჩებოდა, რადგან, ილიას მკვლელობის „ნამდვილი“ გარემოებების დასაფარად მოხდა ყველა დონის ბოლშევიკის მობილიზაცია. სწორედ ამ მიზნით, როგორც ილიას მოურავს და „ოხრანკის“ აგენტს, რეპრესიის პერიოდში გამსვლელი „სამეული“ განაჩენს გამოუტანდა. ბერბიჭაშვილის საქმის პროცესამდე მას ცოცხალს არ მიიყვანდნენ, რადგან საჭოთა მართლმსაჯულებას დიმიტრი ჯაში ბერბიჭაშვილის საქმის გამოძიებისას და სასამართლო პროცესის დროს მკვდარი ერჩივნათ რომ ჰყოლოდათ. იგი არასოდეს აღიარებდა იმას, რაც არ ჩაუდენია. ამის ფაქტები დარჩა ისტორიაში.

ბერბიჭაშვილის საქმის განხილვა, სათანადო შედეგით, საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების დემონსტრირება უნდა ყოფილიყო. ამ მიზნის შესასრულებლად მზადყოფნაში იყვნენ გამომძიებლები, სასამართლო პროცესის თავმჯდომარე, მსაჯულები, სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატი და თვით საქართველოს ცაკი (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი). ბერბიჭაშვილის დანაშაული ილიას მკვლელობაში მოქმედი კანონმდებლობით ხანდაზმული იყო, შესაბამისად, ილიას მკვლელობის გამო მისი გასამართლება იმ დროის სისხლის სამართლის კოდექსით შეუძლებელი იყო. 1928 წელს მიღებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით, რომელიც 1941 წელსაც ძალაში იყო, საბჭოთა სასამართლო ფლობდა ათზე მეტ მუხლს (58<sup>1</sup>-დან 58<sup>13</sup>-ის ჩათვლით), რომლებშიც სათანადო დანაშაულისთვის გათვალისწინებული იყო სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, ამასთან, ეს მუხლები დანაშაულის ხანდაზმულობას არ ითვალისწინებდა. ბერბიჭაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე მუხლი 58<sup>13</sup>-ით აღიძრა, რომლის მიხედვით, სასჯელის უმაღლესი ზომა შეეძლოთ გამოეტანათ შემდეგი ქმედებებისათვის: „აქციური მოქმედება ან აქციური ბრძოლა მუშათა კლასის და რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, რაც გამოუჩენია პასუხსაგებ ან საიდუმლო (აგენტურა) თანამდებობაზე მყოფ პირს სამეფო წესწყობილების დროს ან კონტრრევოლუციონურ მთავრობასთან.“<sup>1</sup>

<sup>1</sup> საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 58-13-ი, 1928 წ. რედაქცია, თბილისი;

ბერბიჭაშვილს მსგავსი დანაშაულებები ჩადენილი არ ჰქონდა, მაგრამ, 1928 წლის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის შენიშვნა მიუთითებდა: „სასამართლოზე დამოკიდებული შეუფარდოს ან, არ შეუფარდოს, აგრეთვე შეუცვალოს ან არ შეუცვალოს სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება — დახვრეცა იმ პირს, ვინც სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში იქნება მიცემული მუშათა კლასისა და რევოლუციური მოძრაობის საწინააღმდეგო აქტიური მოქმედებისა და აქტიური ბრძოლისათვის, რაც მას გამოუჩენია პასუხისგება ან საიდუმლო თანამდებობაზე სამეფო წესწყობილების დროს კონტრრევოლუციურ მთავრობასთან სამოქალაქო ომის დროს“.<sup>1</sup> ალექსანდრე შუშანაშვილი სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის შენიშვნას ასეთ კომენტარს უკეთებს: „გასაგებია, რომ ეს მუხლი სწორედ 58-<sup>13</sup> მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს გულისხმობს.“

სისხლის სამართლის საკითხებში ალექსანდრე შუშანაშვილს ოპონენტად ჩვენ ვერ გამოვალთ და დავეთანხმებით, თუმცა თავს უფლებას მივცემთ გამოვთქვათ შემდეგი ვარაუდი: რადგან ილიას მკვლელობა მეფის „ოხრანკას“ უნდა დაბრალდებოდა, მკვლელობის ხელმძღვანელობა კი - მის ყოფილ მოურავს, დიმიტრი ჯაშს, რომელიც 1909-1911 წლებში იყო „ოხრანკის“ საიდუმლო აგენტი, აქედან გამომდინარე, გამოძიებამ „დაადგინა“, რომ ბერბიჭაშვილი ილიას მკვლელობაში „ოხრანკის“ აგენტმა — დიმიტრი ჯაშმა ჩაითრია, ანუ დაემორჩილა „ოხრანკის“ აგენტის ნებას. შესაბამისად, ბერბიჭაშვილზე იოლად გაავრცელეს მუხლი 58-<sup>13</sup>-ით გათვალისწინებული სასჯელი. ჩვენს ვარაუდს ადასტურებს ბერბიჭაშვილის ბრალდების საქმეზე დადგენილ 1942 წლის 5 იანვრის განაჩენში ჩაწერილი წინადადება: „დამნაშავეები მოსყიდული იყვნენ ოხრანკის მიერ“.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ დიმიტრი ჯაში 1922 წლის მაისში რომ არ მომკვდარიყო, მას ელოდა 1937 წლის რეპრესიები. „სამეულის“ გადაწყვეტილებით „ოხრანკის“ ყოფილ აგენტს დახვრეტდნენ და როგორც ილია ჭავჭავაძის მოურავს, ილიას მკვლელობის ხელმძღვანელობასაც დააბრალდებდნენ. რეპრესიები შეეხებოდა დიმიტრი ჯაშის ოჯახსაც.

შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ დიმიტრი ჯაშმა დიდი ცოდვა დაიდო „ოხრანკის“ აგენტობით, მან, თავისი სიკვდილით 1922 წლის მაისში გადაარჩინა საკუთარი ოჯახის წევრები, რადგან ისინი აუცილებლად გახდებოდნენ რეპრესიების მსხვერპლი.

1942 წელს საბჭოთა გამოძიებამ და სასამართლომ 20 წლის გარდაცვლილი დიმიტრი ჯაშის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა ოფიციალურად ვერ შეძლო, მაგრამ 1942 წლის 5 იანვრის სასამართლო განაჩენში ერთი აბზაცით ჩაწერეს: „... ილია ჭავჭავაძის მკვლელობა მოწყობილია მეფის ოხრანკის მიერ დაქირავებული

<sup>1</sup> საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 58-13-ი, 1928 წ. რედაქცია, თბილისი;

აგენცის, ილია ჭავჭავაძის ყოფილი მოურავის, დიმიტრი სოფრომის ძე ჭაშის ხელმძღვანელობით...“.<sup>1</sup>

ამ წინადადებით სასამართლომ დიმიტრი ჭაშის მიმართ ყალბი სამართლებრივი შეფასება გამოიტანა, რასაც ადასტურებს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად ალექსანდრე შუმანაშვილის მიერ წარდგენილი შრომა, რომლის დაცვის შემდეგ, დიდმა სამეცნიერო საბჭომ, მას იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიანიჭა. აი რას წერს ალექსანდრე შუმანაშვილი:

„ ... სასამართლომ დიმიტრი ჭაშის ბრალეულობის საკითხიც გამოიკვლია და სამართლებრივი შეფასება მისცა, რითაც უხეშად დაარღვია იმ დროს მოქმედი საქართველოს სსრ 1923 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი.“<sup>2</sup>

პირის ბრალეულობა უნდა დადგენილიყო გამოძიებით და საქმე განსახილველად სასამართლოს უნდა მიეღო. პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. ზემოთ რამდენჯერმე აღვნიშნეთ, რომ ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით, დიმიტრი ჭაშის მიმართ არასოდეს აღძრულა სისხლის სამართლის საქმე, შესაბამისად, იგი თავის სიცოცხლეში ილიას მკვლელობისათვის არც გასამართლებულა.

1942 წლის საბჭოთა სასამართლო დაეყრდნო დუშეთის მაზრის უფროსის ყარამან ფაღავას 1907 წლის 17-22 სექტემბრის მოკვლევის ოქმს, მაგრამ საბჭოთა სასამართლომ მოკვლევის ოქმი გაასადა, როგორც გამოძიების ოქმი. ეს კი საგამოძიებო დოკუმენტების გაყალბების ფაქტია.

განაჩენში ჩაწერეს: „...დუშეთის მაზრის უფროსი ყარამან ფაღავა მის მიერ წარმოებული გამოძიების ოქმში 1907 წლის 17-22 სექტემბერს ნათლად აღნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორი არის მისი მამულების მოურავი დიმიტრი სოფრომის ძე ჭაში...“.<sup>3</sup>

დუშეთის მაზრის უფროსს ყარამან ფაღავას 1907 წლის 17-22 სექტემბერს გამოძიება არ უწარმოებია და არც გამოძიების ოქმი შეუდგენია. სინამდვილეში მან შეადგინა 1907 წლის 17-22 სექტემბრის მოკვლევის ოქმი. განაჩენში ჩანაწერის საფუძველი რადგან მოკვლევის ოქმი გახდა, სასამართლოს თავმჯდომარემ ოდიშვილმა განაჩენში სიცრუე ჩაწერა — მოკვლევის ოქმი გამოძიების ოქმად გაასადა. ამ მიზეზით ოდიშვილი მას შეგნებულად მიუთითებს როგორც გამოძიების ოქმს და არა მოკვლევის ოქმს.

თბილისის გუბერნატორის კანცელარიის მმართველის 1907 წლის 13 სექტემბრის წერილი ადასტურებს, რომ თავად ი. გ. ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეზე დუშე-

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „წინამურის ტრაგედია“, თბილისი, 2000წ.;

<sup>2</sup> ალ. შუმანაშვილი, „წინამურის ტრაგედია“, თბილისი, 2000წ.;

<sup>3</sup> ალ. შუმანაშვილი, „წინამურის ტრაგედია“, თბილისი, 2000წ.;

თის მაზრის მმართველს ფაღავას დავალებული ჰქონდა მხოლოდ მოკვლევის წარმოება. ამასთან, ჩატარებული მოკვლევის მონაცემი დაუყოვნებლივ უნდა გადაეზავნა სასამართლო პროკურორისათვის. ილიაშენკომ რამდენჯერმე არ გაიზიარა ფაღავას მოკვლევის ოქმებში ჩაწერილი მოსაზრებები. იგი საერთოდ არ იყო კმაყოფილი ფაღავას საქმიანობით. მის მიმართ საქმეც აღძრეს გამომძიებლის მითითებათა შეუსრულებლობისა და ბოროტმოქმედთა დასაკავებლად ზომების მიუღებლობისათვის, რისთვისაც ის 1907 წლის შემოდგომის მიწურულს ჩამოაშორეს საქმეს.

„მოკვლევის ოქმს რაიმე მტკიცებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ასეთ ოქმში მოგანილ ინფორმაციას მნიშვნელობა ექნებოდა მაშინ, თუ იგი გამომძიებლის მიერ გადამოწმდებოდა და დაფიქსირდებოდა პროცესუალური წესითა და საშუალებებით“<sup>1</sup>. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამომძიების საქმეში იყო და არის ყარამან ფაღავას 1908 წლის 3 ივლისის დამატებით დაკითხვის ოქმი, რომლითაც მან უჩვენა, რომ „ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეში მოურავი ჭაშის მიმართ უტყუარი მონაცემები ვერ მოვიპოვე“<sup>2</sup>.

1942 წლის საბჭოთა სასამართლომ ყარამან ფაღავას 1908 წლის 3 ივლისის დაკითხვის ოქმი მხედველობაში არ მიიღო, რადგანაც არ აწყობდათ.

აღსანიშნავია, რომ „1941 წელს ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებაში მონაწილეობდნენ და სასამართლო სხდომებზე უწყებრივ ზედამხედველობას ახორციელებდნენ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარი რაფაეა და კონგრდაბვერვის განყოფილების უფროსი მაიორი კოჭლავაშვილი“<sup>3</sup>.

ასე მიმდინარეობდა ილიას მკვლელობის მონაწილის ბერბიჭაშვილის 1941 წლის გამოძიება და 1942 წლის სასამართლო, რომლის განაჩენს დღესაც ამშვენებს ზემოთ მოყვანილი ჩანაწერი. ისტორიამ დაგვარწმუნა, რომ ბოლშევიკების მცდელობა ამ საკითხში იყო მოჩვენებითი. მათ ხალხის დასანახად ჩაატარეს მკვლელობის გამოძიება და სასამართლო, რაც, სინამდვილეში, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვას ითვალისწინებდა. ისინი არ იყვნენ მოტივირებული, დაედგინათ ილიას მკვლელობის ნამდვილი ხელმძღვანელები.

1987 წელს, საქართველოში კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის (ცკ) წინადადებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და მწერალთა კავშირმა შექმნა კომისია, რომელსაც დაევალა შეესწავლა ილიას მკვლელობის მიზეზები და ფაქტობრივი გარემოებები, ემხილებინა ამ დანაშაულში ორგანიზატორთა ვინაობა. კომისიის შესახებ ინფორმაციას გადმოგვცემს ალექსანდრე შუმანაშვილი:

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, „მერანი“, 1996 წ. თბილისი;

<sup>2</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, „მერანი“, 1996 წ. თბილისი;

<sup>3</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, „მერანი“, 1996 წ. თბილისი;

„კომისია თავდაპირველად განისაზღვრა 23 წევრით. ასეთი წარმომადგენლო - ბითი კომისიის შექმნა, გამონეუელი იყო იმით, რომ საქართველოში ეროვნული მოძრაობის გამოცოცხლებისა და აღმავლობის ფონზე მიმდინარეობდა კომუნისტური რეჟიმის დროს ჩადენილ ბოროტებათა დაგმობა. ერთ-ერთ ასეთ ბოროტებად, საფესებით სამართლიანად, მიჩნეული იქნა ხელისუფლების ოფიციალური დოქტრინა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მთლიანად მეფის ოხრანკისათვის გადაბრალების შესახებ. ქართველი ხალხი ყოველთვის ეჭვის თვალთ უყურებდა ამ დაკანონებულ ვერსიას. ეჭვი კიდევ უფრო გააძლიერა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესმა, რომელიც ჩატარდა კანონიერების უხეში დარღვევით, თვალის ახვევით, მტკიცებათა გაყალბებისა და თვითნებობის დემონსტრირებით. შეიქმნა აზრი, რომ ეს ყველაფერი გაკეთდა ხელისუფლების დავალებით, რომელსაც არ სურდა გამჟღავნებულიყო ილიას მკვლელობაში ბოლშევიკთა ლიდერების მონაწილეობა“.<sup>1</sup>

საყურადღებოა ამ კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ციციშვილის განცხადება:

„თუ კომისია დაადგენს მკვლელობის ორგანიზატორთა შესახებ ამჟამად ოფიციალურად აღიარებული აზრის უსაფუძვლობას (ჯამის მიერ მკვლელობის ხელმძღვანელობის უსაფუძვლობას - ავტ.), თუ იგი დაასაბუთებს, რომ ილიას მკვლელობა მონაწილე არა მეფის ოხრანკამ, არამედ სხვა ორგანიზაციამ ან პირმა, ვისაც არ უნდა ეხებოდეს ეს და რა პოლიტიკური პროფილის პიროვნებას არ უნდა იყოს, არავის მოვერიდებით, სრულ სიმართლეს ვიგყვით და გამოვაქვეყნებთ კიდევ, რომ ჩვენმა ხალხმა გაიგოს ამ საუკუნის საიდუმლოება.“<sup>2</sup>

ეს სიტყვები, სამწუხაროდ, მხოლოდ ლიტონ სიტყვებად დარჩა. კომისიამ ვერც ოფიციალურად აღიარებული აზრის საფუძვლინობა დაადგინა და ვერც მისი უსაფუძვლობა. ვერანაირი შედეგი ვერ დადო.

და მაინც, ჩვენი აზრით, ამ კომისიის შექმნა სწორედ იმის აღიარება იყო, რომ 1942 წლის სასამართლოს განაჩენში დიმიტრი ჯამის შესახებ სიმართლე არ წერია!

ისტორიის მკვლევრები, როცა მე-20 საუკუნეში იხილავდნენ დიმიტრი ჯამის როლს ილიას მკვლელობის გარემოებებში, ხშირად, ფაქტებს შეგნებულად ამახინჯებდნენ. ასეთი ფაქტები, სამწუხაროდ, 21-ე საუკუნეშიც გვხვდება.

ჩვენ ერთ მაგალითს მოვიყვანთ. ბატონ თომა ჩაგელიშვილის მიერ 2002 წელს შექმნილ დ/ფილმში „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, პროფესორი ვახტანგ გურული დიმიტრი ჯამის შესახებ ეპოზოდს ასე გადმოგვცემს: „ილიას მკვლელობიდან რამდენიმე ხანში, დანაშაულის ადგილზე მივიდა მისი მოურავი, ცხედარს დახედა და გზა გააგრძელა თბილისისაკენ. ილია საგურამოში როცა მოასვენეს, ჭაში აქ არ ყოფი-

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, გვ. 169, „მერანი“, 1996 წ. თბილისი;

<sup>2</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, გვ. 169, „მერანი“, 1996 წ. თბილისი;

ლა. სალამოსაც ელოდნენ, ჯაში იმ ღამითაც არ მოვიდა. ჯაში დილით გამოჩნდა. გამოძიებელმა ეს კითხვა დაუსვა მას: „სად იყავი, როცა შენი ბატონი მოასვენეს? სად წახვედი? ჯაში ვერაფერი ვერ უპასუხა“<sup>1</sup> - ასე ამთავრებს ამბავს ბატონი გურული.

რამდენად შესაბამეა სიმართლეს ის, რაც პროფესორმა ვახტანგ გურულმა ფილმში გაახმოვანა? ალექსანდრე შუმანაშვილის წიგნში „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ თავმოყრილია გამოძიებისა და მოკვლევის დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც, არავინ უჩვენებს იმის შესახებ, რომ მოურავი ჯაში მკვლელობის დღეს საგურამოში არ დაბრუნებულა და იმ დამით საგურამოში არ ყოფილა.

დიმიტრი ჯაში თავის ჩვენებაში, რომელიც 1907 წლის 2 სექტემბერს გამოძიებელ ილიაშენკოს მისცა (ალ. შუმანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, გვ. 94-96), ყვება, თუ როგორ მიასვენეს მოკლულები საგურამოში და როგორ მიიყვანეს დაჭრილი ოღდა საგურამოში, რომ მეეტლე ლაბაურმა ალექსანდრე ჭავჭავაძე წაიყვანა თბილისში ექიმის ჩამოსაყვანად. ჯაშის ჩვენებით, იგი 30 აგვისტოს ღამით საგურამოში იყო და არც გამოძიებელს დაუსვამს მისთვის კითხვები: „სად იყავი, როცა შენი ბატონი მოასვენეს? სად წახვედი?“ (ხაზგასმა ჩვენი—ავტ.).

პროფესორ ვახტანგ გურულს ფილმში მოყვანილი ფაქტი დიმიტრი ჯაშის 1907 წლის 30 აგვისტოს გაუჩინარების შესახებ, რაიმე დოკუმენტით არ დაუდასტურებია. შესაბამისად, საიდან მოაქვს მკვლევარს ეს მტკიცებულება, ჩვენთვის საინტერესოა.

ცნობილია, რომ დიმიტრი ჯაში ილიას მკვლელობიდან მე-6 დღეს, 1907 წლის 5 სექტემბერს, ოთხშაბათს, საგურამოდან თბილისში ნამდვილად წავიდა და უკან დაბრუნდა 6 სექტემბერს საღამოს, რამაც ზაალ ჭავჭავაძის გულისწყრომა და ამასთან ერთად, ყარამან ფალავას მიერ ილიაშენკოსადმი 1907 წლის 15 სექტემბრის საიდუმლო წერილის გაგზავნაც კი გამოიწვია. დიმიტრი ჯაში ილიას მამულების მოურავობას 1907 წლის 14 სექტემბრამდე, მის დაპატიმრებამდე, აგრძელებდა. ყარამან ფალავას 1907 წლის 15 სექტემბრის საიდუმლო წერილით კი ირკვევა, რომ ჯაშის თბილისში წასვლის მიზანი იყო ილიას დამკრძალავი კომისიისათვის ეცნობებინა, საგურამოში თუ რა სამზადისი იყო ილიას გადმოსასვენებლად. ტიფლისის ქალაქის დეპუტატთა საკრებულოში უნახავს გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი თავადი ბაგრატიონ-დავიდოვი, მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი თავადი ტუმანოვი, გენერალი თავადი ივანე ჭავჭავაძე, თავადი ამირეჯიბი (კომისიის მდივანი), ვალერიან გუნია და სხვები. აგრეთვე, მისულა „ნაკადულის“ რედაქციაში და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“.

დიმიტრი ჯაშის მისამართით შეუსაბამო ფაქტებზე ბევრი მკვლევარი წერდა.

მთელი მეოცე საუკუნისა და შემდგომი პერიოდის საქართველოც ილიას ხსოვნის წინაშე ვალშია, რომ ვერ მოხერხდა ილიას მკვლელობის ნამდვილ ორგანიზა-

<sup>1</sup> თ. ჩაგელიძევილი, დ/ფილმი „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, 2002 წელი;

ტორთა დადგენა. ილიას მკვლელობაში მონაწილე იყო თუ არა დიმიტრი ჯაში - საქართველოს სამართლიან სასამართლოს ჯერ არ დაუდგენია.

## მიხეილ ჯავახიშვილის „წიწამურა“ და მასში დანახული სინამდვილე

იმას, რასაც ახლა მოგახსენებთ, ამ წიგნში მოგვყავს მხოლოდ იმის საჩვენებლად, თუ როგორ, ყველანაირი ხერხით, ცდილობდა საბჭოთა იდეოლოგია ილიას მკვლელად დიმიტრი ჯაში გამოეყვანა. ამ მიზნით, შევეცდებით, თავი მოვუყაროთ იმ სიცრუის ნაწილს მაინც, რაც დაწერილა დიმიტრი ჯაშის მიმართ და შეძლებისდაგვარად, ვამხილოთ.

დიმიტრი ჯაშის შესახებ ეჭვები, ილიას მკვლელობაში მისი მონაწილეობის შესახებ, პირველად გამოთქვა დუშეთის მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ყარამან ფალავამ. ჯაში დააპატიმრეს 1907 წლის 14 სექტემბერს ადმინისტრაციული წესით. სამი თვის შემდეგ გათავისუფლდა.

უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი დიმიტრი ჯაშის მიმართ გავრცელდა 1917 წლის გაზაფხულზე, როდესაც რუსეთის მეფე გადადგა და ხელისუფლების ცვლილების შედეგად დადგინდა, რომ იგი 1909-1911 წლებში „ოხრანკის“ აგენტი ყოფილა. ამის შესახებ საზოგადოებას აცნობა ფედერალისტების გაზეთმა. ახალმა ხელისუფლებამ ჯაში „ოხრანკის“ აგენტობისთვის დააპატიმრა და გაასამართლა. შეეცადნენ გაეგოთ ილიას მკვლელობაში მისი მონაწილეობის შესახებ. დიმიტრი ჯაშმა კატეგორიულად უარყო ილიას მკვლელობაში მისი მონაწილეობა. რამდენიმე თვის შემდეგ იგი გაათავისუფლეს.

1921 წლიდან დაწყებული საბჭოთა ხელისუფლება ილია ჭავჭავაძეს დადებით კონტექსტში არ ახსენებდა. 1922 წლის მაისის ბოლოს გარდაცვლილი დიმიტრი ჯაშიც არავის ახსოვდა.

1934 წლიდან 1938 წლის ჩათვლით, გარდაცვლილი ჯაში მოიხსენიება მოგონებებში, სადაც ძნელია ადამიანი გაერკვეს - სად მთავრდება სიმართლე და სად იწყება ტყუილი. ასეთ მოგონებებს ბერიას თანამშრომლების „დახმარებით წერდნენ“ ის პირები, ვინც ცხოვრებაში შეხვედრია დიმიტრი ჯაშს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა 1936-1937 წლებში გამოქვეყნებულმა მოგონებებმა. მათ შორის ერთი მიხეილ ჯავახიშვილს ეკუთვნოდა, რომელიც 1904-1906 წლებში გაზეთ „ივერიის“ რედაქციის გამგე იყო, ხოლო მეორე - ფილიპე გოგიჩაიშვილს, რომელიც 1905-1906 წლებში ამავე გაზეთის რედაქტორი გახლდათ.

სწორედ ამ პერიოდში იყო დიმიტრი ჯაში გაზეთ „ივერიის“ ჯერ ასოთამწყობი, შემდეგ კი - ქრონიკის გამგე.

ფილიპე გოგიჩაიშვილის წერილი-მოგონება ილიას „ნუთუ?“-ს დაბეჭდვასთან დაკავშირებით, პირველად „სახალხო გაზეთში“ 1913 წელს გამოქვეყნდა. მეორედ - გუგუშვილის დაკვეთით 1937 წელს. ფილიპე გოგიჩაიშვილმა ილიას „ნუთუ?“-ს დაბეჭდვასთან დაკავშირებული ამბავი 1937 წელს ალექსანდრე სიგუას უამბო და ჩააწერინა, მან კი გაზეთ „მუშაში“ დაბეჭდა.

ფილიპე გოგიჩაიშვილის მოგონებები, ადრეული - 1913 წლის და გვიანდელი - 1937 წლის, ერთმანეთთან შედარებული, ნოდარ გრიგალაშვილმა წარმოგვიდგინა ორტომეულში „თანამდევნი სული“. მან ახსნა, თუ რატომ არ ახსენებს ადრეულ მოგონებაში გოგიჩაიშვილი ჯაშს, ხოლო 1937 წელს დაბეჭდილ მოგონებებში რა მიზეზით იქცა დიმიტრი ჯაში ილიას მტრად.

ამ საკითხზე ალექსანდრე შუშანაშვილიც წერს თავის უკანასკნელ წიგნში „წინამურის ტრაგედია“.

რაც შეეხება მიხეილ ჯავახიშვილის მოგონებას - მიყვებით მას და შევეცადოთ დავინახოთ, სად წერს თავად ჯავახიშვილი და სად აწერინებენ მას დიმიტრი ჯაშზე იმას, რაც, დიდი მწერლის ნააზრევნი, ბერიას დავალების შემსრულებლებს 14 წლის გარდაცვლილი დიმიტრი ჯაშის დასაკნინებლად ძალიან სჭირდებათ.

მიხეილ ჯავახიშვილი დიმიტრიზე ოთხი წლით უფროსი იყო. სწავლობდა ჯერ წინამძღვრიანთკარის, შემდეგ ყირიმის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში, რომელიც ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის გამო არ დაუმთავრებია. საქართველოში 1901 წელს დაბრუნდა.

გიორგი ლასხიშვილი, „ივერიის“ რედაქტორი 1902 წელს, თავის მემუარებში მიხეილ ჯავახიშვილზე წერს: „ერთხელ რედაქციაში შემოვიდა ფერმკრთალი ახალგაზრდა ხელთნაწერით ხელში... ყურადღება არ მივაქციეთ ... მეორე დღეს რედაქციის მდივანმა ილია აღლაძემ მითხრა, გუშინ რომ ყმაწვილმა მოთხრობა მოიგანა, ყურადღების ღირსია, კარგია. მის ავტორს უეჭველად ნიჭი ეგყობა და კარგი მწერალი დადგებაო. ეს იყო მიხეილ ჯავახიშვილი. პირველი მოთხრობა „ჩანჩურა“ დაიბეჭდა და მას მოჰყვა სხვებიც. ამის შემდეგ ჯავახიშვილი გახდა ჩვენი რედაქციის წევრად და პარგიაშიაც დაიწყო აქტიური მუშაობა.“<sup>1</sup>

ლასხიშვილის მოგონებას დაუბრუნდებით, მანამდე, წავიკითხოთ ნაწყვეტი მიხეილ ჯავახიშვილის მოგონებიდან - „წინამურა“, რომელიც 1936 წლის 18 ივლისს გაზეთმა „ლიტერატურული საქართველო“ გამოაქვეყნა.

„...1904 წელს, „ივერიის“ რედაქტორმა მ. ყიფშიძემ რედაქციის გამგედ მიმიწვია... პირველად ჯაშს იქ შევხვდი. ის ასოთამწყობი იყო. ყოველდღე სტამბიდან რედაქციაში ამოდიოდა ხოლმე და ერთს ან რამდენიმე საგაზეთო შენიშვნას დამიდებდა ნინ.

<sup>1</sup> გიორგი ლასხიშვილი, „მემუარები“, 1935 წ. თბილისი;

ვინაობა გამოვეკითხე. განათლება დაბალი ჰქონდა, სამაგიეროდ, ფრიად ნიჭიერი აღმოჩნდა. მის ნაწერს თითქმის არ ესაჭიროებოდა გასწორება. მცირე ხნის შემდეგ ეს ახალგაზრდა ქრონიკის გამგედ დაფინანსდა. ჯაში გაბედნიერდა: საშუალოდ ამოვიდა სტამბიდან და სუფთა საქმეს მოჰკიდა ხელი... ძლიერ მოხერხებული და ნიჭიერი კაცი იყო-მეთქი, მაგრამ გარეგნობა მიუკარებელი და შემზარავი ჰქონდა. საშუალოზე დაბალი და მხატვრულად განისა იყო. თმა - მწითლი, პირისახე - ჭორფლიანი, ტუჩები ოდნავ ღია და მუდამ დუჟიანი. უმთავრესი კი მისი თვალებია: წირპლიანი, თევზისებური, ყინულივით ცივი, თვალები მედუზისა, რომელიც გბურღავენ და სულის ყოველ კუნჭულს გიხსრეკავენ. როცა თავხალუნული ვიქეცი ხოლმე და ჯაში იქვე ახლოს იდგა, იმის თვალებს მაშინაც კი ვგრძნობდი და მეგონა, თითქოს ის ასი ათასი სველი და ცივი სანერტილით მსინჯავდა და მხსრეკდა. ასეთ კაცს ალღოთი ერიდები და ლამობ, მალე მოიშორო, ან შენ თვითონ დაემალო...“<sup>1</sup>

მიხეილ ჯავახიშვილის „წიწამურადან“ ეს ამონარიდი სიმართლეს არ შეესაბამება.

დიმიტრი ჯაში არ იყო გარეგნობით ისეთი, როგორც მას ჯავახიშვილი აღწერს. დიმიტრი ჯაშის გარეგნობაზე მკითხველს წარმოდგენა რომ დარჩეს, გთავაზობთ მის და მისი ოჯახის წევრების ფოტოებს. როგორც ვხედავთ, დიმიტრის არ ჰქონია გარეგნობა მიუკარებელი. „მიუკარებელი“ გარეგნობისა არც მამა ჰყოლია, არც და და არც შვილი. გენეტიკა ისეთია, ვინმე „მწითური“ ან „წირპლიანი“ თვალების მატარებელი მაინც უნდა გამოსვლოდა შთამომავალში, მაგრამ მსგავსი არავინ გაჩენილა. თავის მოგონებაში დიმიტრის ცოლი— დარია ჯაში ,იხსენებს: „1907 წლის ბათუმში ქმართან ერთად საგურამოში ვცხოვრობდი. დიმიტრი იმ დროს 23 წლისა გახლდათ, რომელსაც მუდამ ევროპული განსაცემელი ეცვა და გამოიყურებოდა, როგორც სასიამოვნო შეხედულების ახალგაზრდა.“<sup>2</sup> დარიას გადმოცემით, მას თმა წაბლისფერი ჰქონდა, პირისახე არასოდეს ჰქონია ჭორფლიანი. წირპლიან თვალებზე ლაპარაკი მეტისმეტია.

რისთვის დასჭირდა საზოგადოებისათვის საპატივცემულო მწერალს - მიხეილ ჯავახიშვილს დიმიტრის გარეგნობის ასეთი აღწერა? ის სიცრუე, რაც მან „წიწამურაში“ დიმიტრი ჯაშის შესახებ დაწერა? მის დაწერილ სიცრუესა და ამ სიცრუის დაწერის მიზანს მკითხველი მიხვდება, როცა წაიკითხავს, ჩვენს მიერ მიგნებულ დიდი მწერლის სავალალო მდგომარეობას, რაც, ნაკლებად ცნობილია საზოგადოებისათვის. ამ სავალალო მდგომარეობაში მიხეილ ჯავახიშვილი საკუთარი მოქმედებებით აღმოჩნდა, არა მწერალი, არამედ მოქალაქე მიხეილ ჯავახიშვილი, ჯერ

<sup>1</sup> მ.ჯავახიშვილი, „წიწამურა“, 1936 წ. 8 ივლისი „ილიას სამრეკლო“ თბ. , განათლება, 1987;

<sup>2</sup> დ. კოპლატაძე-ჯაში , „მოგონებები“ მანქანაზე დაბეჭდილი,1965წ.ბათუმი;

1922-1924 წლებში, შემდეგ, 1932-1937 წლებშიც, როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.



დimitრი მამასთან - სოფრომთან და დასთან - ივლითთან ერთად, 1906 წელი;



დimitრი - გადიღებული ფრაგმენტი.



დimitრის უმცროსი ვაჟი - იური ჯაში, 1937 წელს და 1952 წელს.



ჯავახიშვილის ნაწერში სიცრუესთან ერთად ალოგიკურობასაც ვხედავთ, როგორც თავად ამბობს: „ახალგაზრდა ჯაში ქრონიკის გამგედ დაფინანსე“. თუ მართლა ისეთი მიუკარებელი და შემზარავი გარეგნობა ჰქონდა ჯაშს, რის გამოც „ასეთ კაცს ერიდები და ლამობ, მალე მოიშორე, ან დაეძალო“, რედაქციის გამგეს - მიხეილ ადამაშვილს (ჯავახიშვილს) ეს სიმანინჯე მანამდე უნდა შეემჩნია, სანამ მას დააწინაურებდა. მისი მიუკარებელი გარეგნობა, მისთვის იმის სანერვიულო და საფიქრალი არ გამხდარიყო, რომ რედაქციაში ყოფნისას, შემზარავ გარეგნობას სად დამალვოდა.

ქართული მწერლობის ერთ-ერთ ავტორიტეტს, მიხეილ ჯავახიშვილს, რატომ უნდა დაეწერა ტყუილი დიმიტრი ჯაშის გარეგნობის შესახებ? ჯავახიშვილი, რომელიც ზედმიწევნით კარგად იცნობდა ილიას ბუნებას, რატომ აფიქრებინებს ქართველ საზოგადოებას, რომ ილია ჭავჭავაძემ იმ ისტორიულ მომენტში, რუსეთის იმპერიაში მემამულეებისა და გლეხების დაძაბული ურთიერთობის პერიოდში, მიუკარებელი და შემზარავი გარეგნობის ადამიანი მოურავად აიყვანა! ისედაც დაძაბული ურთიერთობა ახალი მოურავის გარეგნული სიმანინჯით რატომ გაამძაფრა?

მიხეილ ჯავახიშვილმა 1937 წლის ზაფხულში, თავისი ბოლო ნაწერით, ილიას კულტურა და გემოვნება დაგვანახა, მისი ხასიათის სიმტკიცე გადმოგვცა. ილიას მოურავის - დიმიტრი ჯაშის მანინჯი გამოხედვის შესახებ როცა წერდა, რატომ დააკნინა ილიას ბუნება და ნატიფი ესთეტიკა? ილია რატომ გაიმეტა დიმიტრი ჯაშის „შემზარავი“ გარეგნობის თუ „მანინჯი“ გამოხედვის საცქერლად, რომელსაც ჯავახიშვილი, „ივერიაში“ მუშაობისას, თურმე არ იცოდა, სად დამალოდა. და საერთოდ, რატომ უნდა შეეყვანა მწერალს შეცდომაში ქართველი საზოგადოება, როცა შემზარავი გარეგნობით „შეამკო“ სრულიად ნორმალური გარეგნობის მქონე დიმიტრი ჯაში. იგი გარეგნობით მანინჯი რომ ნამდვილად არ იყო, თავადაც კარგად იცოდა. 1936 წელს, ილიას მკვლელობაში დიმიტრი ჯაშის ბრალეულობის შესახებ საბჭოთა ხელისუფლებას არ ჰქონდა არანაირი არგუმენტები და ამის გამო, სხვა სიყალბესთან ერთად, იგი ფიზიკურად მანინჯადაც შერაცხეს, რომ შესაბამისად, საზოგადოებას იგი სულით მანინჯი დაენახა. გვინდა ვირწმუნოთ, რომ ჯავახიშვილმა „წიწამურა“ თავისი სურვილით არ დაწერა. ჩვენ ამ მოსაზრებას ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ. მაგრამ თანამედროვე მკვლევრები, რომლებიც დიმიტრი ჯაშის გარეგნობის გადმოცემისას ჯავახიშვილის „წიწამურას“ თავიანთი ინტერპრეტაციით „ამდიდრებენ“, ერთხელაც არ დაფიქრებულან, ამით როგორ აკნინებენ ილიას. ციტირებენ იმ ნაწერს, რომელიც მორალური ზეწოლის შემდეგ მიხეილ ჯავახიშვილმა თავად დაწერა ან დააწერიან, ხოლო ერთი წლის თავზე ავტორს, ფიზიკურად გათელილს, აღიარებინეს, რომ ის ხალხის მტერი იყო და დახვრიტეს.

დომიტრი ჯამის გარეგნობის აღწერამდე, „წიწამურაში“ ჯავახიშვილი წერს: „1907 წელს ევროპიდან დროებით დავბრუნდი და „ისრის“ რედაქციაში დავინყე მუშაობა. 30 აგვისტოს საღამოს 8-9 საათზე ილიას მოკვლის ამბავი გავიგეთ. მეორე დღესვე ავედი საგურამოში. ეგლიდან რომ გადმოვდიოდი, დომიტრი ჯამი შემეფეთა. „შენ აქ რა გინდა?“ - ვკითხე მას გოცეხულმა, - „ილიას მოურავი ვარ“, - მიპასუხა მან.

ეს ამბავი ელდასავით მეცა. მაშინვე მივხვდი, ალღომ მიმახვედრა, ჩემ წინ ილიას მკვლევლობის მონაწილე იდგა. ჯამისთვის აღარათფერი მითქვამს. მოუშორდი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი ვიკითხე. მაზრის უფროსი ფალავა თურმე იქვე ყოფილიყო. განზე გავწიე და ჯამზე ვუთხარი, მან ყველაფერი უნდა იცოდეს... მერე სოფელში ჩავედი და ოთხიოდე საათს დავდიოდი კარი-კარს და ყველას ვესაუბრებოდი. გლეხები რამოდენიმე თვის წინათ მოკლულს, ილიას მოურავს ქებით იხსენიებდნენ, ხოლო ჯამზე კბილებს ილესავდნენ. ერთმა გლეხმა მითხრა: „კაცო, ილიამ ყაზახ-სალდათების ეკვეუცია აგვაცილა და სამაგიეროდ ისეთი მოურავი დაგვიყენა, რომ ეგ კაცი ყველაფერს შეგვისრულებს, რაც ილიამ აგვაცდინაო“. გლეხებისგანაც ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რაც ილიას მოსამსახურეებისაგან: ჯამმა ყველაფერი უნდა იცოდესო. იმ საერთო ეჭვს ერთი რამეც დაემატა: ილიას მოსვლის მოლოდინში ჯამი თურმე მეგად მოუსვენრად იყო და კაკლის ხეზედაც კი ასულიყო და ქვემოთ გამლილ გზას იქედან ათვლიერებდა. ილიას და მის მეუღლეს ჯამი თურმე სამინლად ეზიზღებოდათ. ილია მის დათხოვნას აპირებდა, მაგრამ ჯამმა დაასწრო და თვითონ ილია დაითხოვა სააქაოდან.

...არასოდეს დამავინყდებია ის ღამე. სხვებმა დამასწრეს და ლოგინები დაირიგეს. დარჩა მხოლოდ ერთი ბალიში, ...ილიას სისხლით მოსვრილი. - ის ბალიში წყაროსთან კაკლის ხის ქვეშ დავდე... ზედ ცხვირსახოცი დავათარე. — ფსიქიურად დატანჯულმა და ფიზიკურად დაქანცულმა მამლის ყვილისას ძლივს ჩავიძინე.

...ჯამი მალე დააპატიმრეს და მალე გამოუმეფეს. ამან საზოგადოებაში აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ საქმე ამით გათავდა. უნდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საზოგადოებამ უდიდესი აღშფოთება და მგრძნობიარობა გამოიჩინა, მაგრამ მას სათანადო აქტიური შეუპოვრობა, მუდმივობა და დაჟინება არ აღმოაჩნდა, თორემ ეს სამინელი საიდუმლოება, რომელიც 30 წელიწადი ანვალეს ყველა შეგნებულ მოქალაქეს, მაშინვე იქნებოდა გახსნილი.

ილიას მკვლელის გამოსარკვევად კომისია დაარსდა, კომისიის ხელმძღვანელი ესტატე ავალიშვილი მეგად პაციოსანი კაცი იყო, მაგრამ ამავე დროს გულჩვილი და ღმობიერი. ერთხელ კომისიის სხდომას მე და ვაჟა ფშაველა დავესწარიით. მე წინადადება შევიტანე - ჯამი მოიტაცეთ, სადმე ჯურღმულში ჩაავადეთ და მტკიცე პირობა

მიეცით, რომ სიმართლის თქმა მას სიცოცხლეს შეუნარჩუნებს, ხოლო კერპობა სიცოცხლეს გამოასალმებს. ვაჟამ ცხარედ დამიჭირა მხარი, ავალიშვილმა ეს ხერხი იუკადრისა ...ლასხიშვილსა და რცხილაძეს მოველაპარაკე და ვეცადე დამეცერებინა, რომ საიდუმლოების გახსნა მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი. ვერ დავაჭერე. მომავალმა მათი იმედი არ გაამართლა. საიდუმლოება თავისთავად არ გაიხსნა. ჭაშმა იგი სამარეში ჩაიგანა...“<sup>1</sup>

უაღრესად მნიშვნელოვანია მსჯელობა იმის თაობაზე, როგორი სულისკვთებით დაწერა მიხეილ ჯავახიშვილმა "წიწამურა". შესაძლებლადაც მივიჩნევთ, რომ მან წიწამურა თავის ნებით დაწერა. თუმცა იგრძნობა „დამკვეთის“ სიახლოვე. „წიწამურა“, რომ მწერლის შემოქმედების „გვირგვინი“ არ არის ეს იქედანაც ჩანს, რომ ეს მოგონება ეწინააღმდეგება ჯავახიშვილის მიერ 1933 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებულ წერილს „როგორ ვწერ“. ამ წერილით იგი მკითხველს აუწყებს თავისი წერის მეთოდზე და საკუთარი შემოქმედებით წყაროზე, რომელიც, როგორც თვითონ ამბობს, თავისი ცხოვრებიდან მოედინება. კონკრეტულად აი რას წერს: „...რა მასალა უფრო მშველის - ავტობიოგრაფია, დაკვირვება, წიგნი თუ ჩანაწერები? ...დაკვირვება და ავტობიოგრაფია განუყრელად არის ერთმანეთში ჩახლართული. განცდილი და საკუთარი თვალთ ნანახი ისევე არა ჰგავს მოგონილს, როგორც სულიერი უსულოს. ერთი მხრივ მე ბედნიერი მწერალი ვარ: ძალიან ბევრი მივლია, მინახია, განმიცდია და გამიგონია, ამიტომ ავტობიოგრაფიული დუღაბი საკმაოდ მომეპოვება“.<sup>2</sup>

1936 წელს მწერლის შემოქმედებითი „წყარო“ რამდენად ამღვრეული იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რომ გავარკვიოთ, საჭიროა, მის მიერ განვლილ ცხოვრებას 15-20 წლით უკან გადავხედოთ.

„1917 წლიდან ჯავახიშვილი აქტიურად იყო ჩაბმული ეროვნულ მოძრაობაში. აღნიშნული წლიდან იგი იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი და შედიოდა ამ პარტიის მთავარ კომიტეტში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918—1921) ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის (1921 წლის თებერვალი-მარტი) შემდეგ იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე. 1922—1924 წლებში იგი შედიოდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში და აქტიურად მონაწილეობდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მომზადებაში.“<sup>3</sup>

ქეთევან ჯავახიშვილის (მიხეილის ქალიშვილის-ავტ.) მოგონებით, მიხეილი პირველად 1923 წელს დააპატიმრეს და დახვრეტა მიუსაჯეს. სერგო ორჯონიკიძეს-

<sup>1</sup> მ.ჯავახიშვილი, "წიწამურა", 1936 წ. 8 ივლისი „ილიას სამრეკლო“ თბ., განათლება, 1987;

<sup>2</sup> მ.ჯავახიშვილი, "წიწამურა", 1936 წ. 8 ივლისი „ილიას სამრეკლო“ თბ., განათლება, 1987;

<sup>3</sup> მასალა ვიკიპედიიდან — თავისუფალი ენციკლოპედია;

თან თხოვნით მივიდა პავლე ინგოროყვა და რამდენიმე მეგობარი, დახვრეტას გადაურჩა. 30-იანი წლების დასაწყისში ლავრენტი ბერიამ მეტენის ეკლესიის დანგრევა ბრძანა, რამაც ქართველი მწერლები აღაშფოთა. მიხეილ ჯავახიშვილს ბერიასათვის უთქვამს: ასეთ ძეგლს ევროპაში ოქროს ზარდახმაში ჩასვამდნენო! ბერიამ განკარგულება შეცვალა, მაგრამ მასთან მისული მწერლები კარგად დაიმახსოვრა.

საზოგადოება დაარწმუნეს, რომ მიხეილზე, აქვე, ზემოთ დაწერილი, სიმართლე იყო. საარქივო მასალებით კი ირკვევა, რომ ეკლესიის გადარჩენის თაობაზე ბერიასთან მისული დელეგაცია გერმანე მაგლობლიშვილის (დახვრეტეს 1937 წ. მაისში) ინიციატივით ყოფილა შედგენილი. დელეგაციაში შედიოდნენ: დიმიტრი შევარდნაძე (დახვრეტეს 1937 წ. დეკემბერში), გიორგი ჩუბინაშვილი, სანდრო ახმეტელი (დახვრეტეს 1937 წ. 29 ივნისს) და თენგიზ ღლონტი (იხ. სუკ-ის არქივი, საქმე N9997, ფ.143).<sup>1</sup>

1996 წელს ქუთაისში, ქალბატონ ნესტან-ელისაბედ კირთაძის გამოცემული წიგნი „1924 წლის აჯანყება საქართველოში“ და იმავე წელს გამოცემული ქალბატონ მანანა ხომერიკის წიგნი „პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს“, მოგვითხრობს მიხეილ ჯავახიშვილის, როგორც პიროვნების იმ სუსტ მხარეზე, რომლის გამოც მან ვერ შეძლო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის ტვირთის ტარება.

„1922 წელს მენშევიკები, ეროვნულ-დემოკრატიების (ნაციონალ-დემოკრატიების), სოციალ-ფედერალისტების, სხიველების და მემარჯვენე ესერების პარტიები გაერთიანდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად და ე.წ. „პარიტეტული კომიტეტი“ ანუ „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ აირჩიეს. ... მოგვიანებით, შეიქმნა პარიტეტული კომიტეტის სამხედრო კომისია... მენშევიკების მხრიდან კომისიაში შევიდა მინათმომცემების ყოფილი მინისტრი ნოე ხომერიკი, ხოლო ეროვნულ-დემოკრატიების პარტიიდან - ამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ჯავახიშვილი. (იხ. სუკ-ის არქივი, პარიტეტული კომიტეტის სქმე. არქივი N8, ფ. 6).“<sup>2</sup>

ისტორიული ფაქტია: თავისი ფართო აგენტურული ქსელის საშუალებით და გამცემლობის შედეგად, ბოლშევიკურმა საგანგებო კომისიამ (ე. წ. „ჩეკა“) 1923 წლის მარტში, პატიმრობაში აიყვანეს „დამკომის“ თავმჯდომარე ნიკოლოზ ქარცივაძე და სამხედრო კომისიის წევრები: მიხეილ ჯავახიშვილი, გენერლები კოტე აფხაზი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე, როსტომ მუსხელიშვილი, პოლკოვნიკები: ელიზბარ გულისაშვილი, გიორგი ხიმშიაშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, დიმიტრი ჩრდილელი, როტმისტრები: ლევან კლიმიაშვილი, სიმონ ბაგრა-

<sup>1</sup> მ. ხომერიკი, „პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს“ 1996 წ. თბილისი;

<sup>2</sup> მ. ხომერიკი, „პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს“ 1996 წ. თბილისი;

ტიონ-მუხრანელი, ფარნაოზ ყარალაშვილი, კაპიტნები: ივანე ყარანგოზიშვილი, ნიკოლოზ ზანდუკელი, იასონ კერესელიძე, სიმონ ჭიაბრიშვილი და ივანე ქუთათელაძე.

1996 წელს ქალბატონ ნესტან-ელისაბედ კირთაძის წიგნში მოტანილია ბოლშევიკების მიერ დაპატიმრებული „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ და სამხედრო კომისიის წევრების დაკითხვის ოქმები, მათ შორის მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილის 1923 წლის 7,15,22,29 მარტის, 13,16 აპრილის, 12 მაისის ჩვენებები და დაკითხვის ოქმები.

მცენიერი ნესტან-ელისაბედ კირთაძე წერს: „ქართველი პატრიოტები ამზადებდნენ აჯანყებას. საქეგას და ზაქეგას (საქართველოს და ამიერკავკასიის სახელმწიფო უშიშროების ორგანოები- ჩეკა,-ავტ.) აგენტურა კი ყოველდღიურ მასალას აგროვებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მცდელობის გასაწირად.“<sup>1</sup>

ქალბატონი მანანა ხომერიკი კი გვაუწყებს: „დიდად სამწუხაროა, მაგრამ, ფაქტია, რომ „აგენტურ მონაცემებში“ რამდენჯერმე არის მოყვანილი მიხეილ ჯავახიშვილის ჩვენებიდან აღებული მონაცემები“.<sup>2</sup>

1923 წლის 20 მაისს თბილისში, დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე, ბოლშევიკებმა დახვრიტეს კოტე აფხაზი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე, როსტომ მუსხელიშვილი, ელიზბარ გულისაშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, გიორგი ხიმშიაშვილი, ლევან კლიშიაშვილი, სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი, დიმიტრი ჩრდილელი, ივანე ყარანგოზიშვილი, ფარნაოზ ყარალაშვილი, იასონ კერესელიძე, სიმონ ჭიაბრიშვილი, ივანე ქუთათელაძე და ნიკოლოზ ზანდუკელი.

1923 წლის მარტის დასაწყისში დაპატიმრებულებიდან არ დაუხვრეტიათ ნიკოლოზ ქარცივაძე და მიხეილ ჯავახიშვილი. გაათავისუფლეს ისინი „ჩეკამ“, მაინც, 14 წლის შემდეგ, 1937 წელს დახვრიტა.

1923 წლის 8 აგვისტოს გაზეთი „კომუნისტი“ აქვეყნებს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვითღიკვიდაციის დეკლარაციას. სხვებთან ერთად დეკლარაციას ხელს აწერს მიხეილ ჯავახიშვილი.

მანანა ხომერიკი წერს: „ 1934 წელს, პერსონალური პენსიის დანიშვნის თაობაზე დაწერილ განცხადებაში ჯავახიშვილმა თავისი დამსახურება აღნიშნა: „1923 წელს დამაპატიმრეს და 6 თვის შემდეგ გამანთავისუფლეს. იმავე წლის დასასრულს ერ.დემოკრატიის პარტიის ლიკვიდაცია მოხდა და ამ საქმეში მეც ვღებულობდი მონაწილეობას...1923 წელს, როგორც ჩანს, მჯავახიშვილს პირადი ურთიერთობა ჰქონდა სერგოს ორგანიზაციისთან, რაზედაც წერდა ჯავახიშვილი: „1923 წელს გზაგარედინზე

<sup>1</sup> ნ. კირთაძე, „1924 წლის აჯანყება საქართველოში“, 1996 წ. ქუთაისი;

<sup>2</sup> მ. ხომერიკი, „პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფიებს“ 1996წ.თბილისი;

ვიდეო და სერგოს მგრძობიარე გული რომ არა, მე ვერ ვაფხდებოდი მწერალი, სერგო ღამესმარა, გამამხნევა თავისი მეგობრული, ბრძნული რჩევით“.<sup>1</sup>

1923-1924 წლების შემდეგ, ქვეყნის მამსტაბით მოწყობილ პოლიტიკური რეპრესიების შემდეგ, რომელსაც ჯავახიშვილი გადაურჩა, მიხეილ ჯავახიშვილი 30-იან წლებშიც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობასა და კავშირის წევრებს შორის პოლიტიკური ცილისწამების, რაც ადამიანთა გაწირვის ტოლფასი იყო, მონაწილე გახდა. ნამდვილ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის პერიპეტეებში ჩაება და თავადაც ამ ქვეყნისთვის სამარცხვინო კომპანიას შეეწირა.

სწორედ ამ მიზეზით ძნელია გავარკვიოთ, სად წერს ჯავახიშვილი „წიწამურაში“ სხვისი ზემოქმედებით, და სად წერს თავისი ნებით, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, მის მიერ გამოგონილს, ბოლშევიკების საამებლად. დიმიტრი ჯაშის გარეგნობის შესახებ, რა თქმა უნდა, ჯავახიშვილმა თავისი გამოგონილი დაწერა სხვების საამებლად. „წიწამურა“, ჩვენ გვჯერა, რომ სწორედ ასეთ პირობებში დაიწერა, ამ მიზეზით მასში სინამდვილე არ არის.

მივყვეთ ნაწერს.

„ივერიის“ რედაქციის ყოფილი გამგე და იმ დროს გაზეთ „ისრის“ თანამშრომელი მიხეილ ადამაშვილი დუშეთის მაზრის მმართველს, ყარამან ფაღავას რომ შეხვედროდა და როგორც თვითონ წერს: „განზე გავწიე და ჯაშზე ვუთხარი“, ეტყოდა იმას, რაშიც „საკუთარმა აღლომ მიახვედრა“. ჯავახიშვილი სხვა გლეხებივით სიკვდილის შიშით ვერ ეტყოდა - ამას გამოძიებისას ვერ დაგიდასტურებო. ამ მნიშვნელოვან ინფორმაციას ფაღავა აუცილებლად ჩაწერდა და მის გვარსაც დააფიქსირებდა, მაგრამ ფაქტია, გვაქვს მაზრის მმართველის ყარამან ფაღავას ხელმოწერილი 1907 წლის 31 აგვისტოს რაპორტი, შედგენილი თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის სახელზე, სადაც აღწერილია შემთხვევის ადგილი, თავად ზაალ ჭავჭავაძის და დიმიტრი ჯაშის მონაყოლი, ხოლო, რასაც მიხეილ ჯავახიშვილი წერს, - მაზრის უფროსი ფაღავა „განზე გავწიე და ჯაშზე ვუთხარი“, - ფაღავას 1907 წლის 31 აგვისტოს რაპორტში „გამორჩენია“. იქნებ, რაპორტი ფაღავამ უფრო ადრე დაწერა, სანამ მიხეილი მას შეხვდებოდა? არა, რაპორტი 31 აგვისტოთი არის დათარიღებული, რომელშიც წერს: „...თავად ჭავჭავაძისა და მსახურ ბითარაშვილის გვამები ურძით გადაასვენეს. შემდეგ ... ბოქაული ორი ჩაფრის თანხლებით გაემგზავრა შემთხვევის ადგილზე. სადაც მოაწყო ბოროტმზრასველებთა ძებნა. შემდეგ, ღამის 12 საათზე მეც ჩავედი...“<sup>2</sup>

ადამაშვილს-ჯავახიშვილს სერიოზული მიზეზი ჰქონდა, რომ არ შეხვედროდა ყარამან ფაღავას. თავის ბიოგრაფიაში ჯავახიშვილი 1936 წლის ნოემბერში წერს:

<sup>1</sup> მ. ხომერიკი, „პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს“ 1996 წ. თბილისი;

<sup>2</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილ. ჭავჭავაძის მკვლელობა“, 1996 წ. თბილისი;

„1906 წელს „გლეხის“ რედაქტორობისთვის სამართალში მიმცეს. მე შეეიცარიამი გავიპარე.“ ამ გარემოების გათვალისწინებით, 1907 წლის აგვისტოს ბოლოს ევროპიდან ინკოგნიტოდ, დროებით დაბრუნებული და „ისრის“ რედაქციაში „მ.ად-ლის“ სახელით მომუშავე, რომელიც კვლავ ემალებოდა ხელისუფლებას, ვერ მივიდოდა მეფის რუსეთის მაზრის მმართველთან, თავად ყარამან ფაღავასთან, ვერც გვერდზე გაიყვანდა და ჯამის შესახებ რაიმეს ვერ აცნობებდა. ასეთი ქცევით ის თავს გაამძღავნებდა, რადგან ფაღავა გვარს და სამუშაო ადგილს შეუკითხებოდა, ჩაიწერდა, შემდეგ გამომძიებელთან დაიბარებდა. ამ რისკზე ჯავახიშვილი არ წავიდოდა. თუ წავიდოდა, ყარამან ფაღავა ჯავახიშვილს ნამუსს ვერ შეუნახავდა, დააპატიმრებდა. იქნებ სხვისი პასპორტით მივიდა? 1907 წლის 31 აგვისტოს რაპორტში, არც ვინმე ახალგაზრდის ცნობა ფაღავას არ ჩაუწერია, რომელმაც ჯამზე აცნობა - „მან უნდა იცოდეს ილიას მკვლელობის შესახებ“.

ჯავახიშვილი თავის ბიოგრაფიაში, რომელიც 1936 წლით დაათარიდა, არ წერს, რომ 1907 წელს თბილისში იმყოფებოდა. იგი წერს: „1907 წელს პარიზში გადავედი და იქაურ უნივერსიტეტში ვსწავლობდი. მცირე ხანს შეეიცარიამი, იტალიაში, ჩრდილო აფრიკაში, ინგლისში, ბელგიაში და გერმანიაში ვიმოგზაურე... 1909 წლის დამლევს სხვისი პასპორტით დავბრუნდი სამშობლოში“.<sup>1</sup>

ამას გიორგი ლასხიშვილიც, „მოგონებებში“ ადასტურებს: „...იმ ხანებში ადმინისტრაციას განზრახვა ჰქონდა ჯავახიშვილის დაჭერა და პასუხისგებაში მიცემა, მაგრამ მან თავს უშველა და ცოცხალი ხნით საზღვარგარეთაც გაიხიზნა“.<sup>2</sup>

მაგრამ ფაქტი ჯიუტია, მიხეილ ჯავახიშვილი 1907 წლის აგვისტოს ბოლოს თბილისში იმყოფებოდა და გაზეთ „ისრის“ 1907 წლის 1 სექტემბრის ნომერში, „მ.ად-ლის“ ფსევდონიმით, გამოაქვეყნა წერილი „მოკლეს პოეტი“. ამასთან ერთად, გაზეთ „ისარს“ 1907 წლის 1 სექტემბრის ნომერში, ე.ი. იმავე ნომერში გამოქვეყნებული აქვს „პირველი ცნობები ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ“, სადაც წერია: „დაკარგული ამხანაგი დაგვიბრუნდა და სამხიარულოთ მცხეთისაკენ გავემგზავრეთ, ...ჩასვლისთანავე საშინელი, დაუცერებელი ამბავი მოგვახალეს: ილია ჭავჭავაძე მოკლესო. არაფის სჯეროდა, - გულმა არ დამიჭერა და -ამხანაგთან ერთად მცხეთიდან გავემგზავრეთ ცხენით... საგურამოს რომ მიუუახლოვდით, წინ შემოგვეყარა ეტლი: ტფილისში მოჰყავდათ თოფის კონდახით ნაცემი და დაბეგვლი მუღლენ... მივედით საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლში დამოურავმა მიცვალებულის ოთახში შეგვიყვანა“.<sup>3</sup>

წერილის ავტორი გაზეთში მითითებული არ არის. გიორგი ლასხიშვილი გადმოგვცემს, რომ ილიას მკვლელობის ამბავი მცხეთაში შემთხვევით მყოფმა

<sup>1</sup> მ.ჯავახიშვილი, „ავტობიოგრაფია“, 1936 წ.ნოემბერი, „ილიას სამრეკლო“ თბ. , განათლება, 1987;

<sup>2</sup> გ.ლასხიშვილი, „მეშუარები“, 1935 წ.თბილისი;

<sup>3</sup> გაზეთი „ისარი“, „პირველი ცნობები ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ“, 1907 წ. 31 აგვისტო;

ამხანაგმა ლორთქიფანიძემ დეპუტით შეატყობინა. გურამ შარაძე, რომელიც ზედ-მიწევნით იკვლევდა ყველა დოკუმენტს, ლასხიშვილს ეყრდნობა და ადასტურებს, რომ ეს ამხანაგი ვლადიმერ ლორთქიფანიძე იყო. შარაძე წერს:

„წინაპურის ველზე მომხდარი დაუტყერებელი ტრაგედიის ცნობა დედაქალაქში გამოგზავნა შემთხვევით იმ დღეს მცხეთაში მყოფმა გაზეთ „ისრის“ თანამშრომელმა ვლ. ლორთქიფანიძემ, რომლის დეპუტე რედაქციაში საღამოს მეცხრე საათზე მიუვიდათ, როცა გაზეთი (31 აგვისტოს ნომერი) უკვე დაბეჭდილი იყო და პროფინციაში ნასაღებად უკვე სადგურში გაგზავნილი. ამიგომ თვით სტამბაში მოესწროთ ორი სტრიქონის ჩამაგება და ისიც თბილისელი ხელის მომწერებისათვის: „საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და დაუჭრიათ მისი მეუღლე“.<sup>1</sup>

აქ დასაზუსტებელია, ვლადიმერ ლორთქიფანიძე და მისი ამხანაგი როდის ავიდნენ ცხენებით მცხეთიდან საგურამოში. ვფიქრობთ, რომ იმ დღესვე, ანუ 30 აგვისტოს არ მომხდარა, რადგან, ამას ამტკიცებს ლორთქიფანიძის შემდეგი წინადადება: „საგურამოს რომ მივუახლოვდით, წინ შემოგვეყარა ეტლი: ტფილისში მოჰყავდათ თოფის კონდახით ნაცემი და დაბეგვილი მეუღლე“, - ანუ მათ შეხვედრიათ ეტლი, რომლითაც ზაალ ჭავჭავაძეს და ექიმ კიმონტს ოღლა მიჰყავდათ თბილისში. გურამ შარაძეს ორტომეულში „ილია ჭავჭავაძე“ მოტანილი აქვს თბილისში გამოშვებული რუსული გაზეთის „კავკაზ“-ის 1 სექტემბრის ნომერი, სადაც წერია: „...ლამის 12 საათზე (31 აგვისტოს შუალამეს—ავტ.) მივიდა ექიმი კიმონტი. გასინჯა კნენია... შეუკრა ჭრილობები ... და თქვა საჭიროა დაჭრილი კნენიას ცფილისში ჩაყვანა ... გუმბინ კნენია უგრძნობელი ჩამოიყვანეს თბილისში“.<sup>2</sup>

ზაალ ჭავჭავაძე, ილიას მკვლელობის დღეს, ლაბაურმა თბილისში ეტლით წაიყვანა ოლღასთვის საგურამოში ექიმის ჩასაყვანად, უკან, საგურამოში დაბრუნებულა ექიმ კიმონტთან ერთად 30 აგვისტოს, ღამის 12 საათზე. მეორე დღეს, 31 აგვისტოს, დღის შუქზე, ოღლა თბილისში წაიყვანეს. ლორთქიფანიძეს და მის ამხანაგებს საგურამოსკენ ცხენით მიმავალთ, გზაში თუ ეტლი შემოხვდათ, რომლითაც ოღლა თბილისში მიჰყავდათ, ის დღე 31 აგვისტო ყოფილა.

1907 წლის 1 სექტემბრის გაზეთ „ისარში“, თითქმის ერთ სვეტში დაბეჭდილი „მ.ად-ლის“-ა და ლორთქიფანიძის წერილები მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, რათა ვიფიქროთ შემდეგი: ლორთქიფანიძის „დაკარგული ამხანაგი“ მიხეილ ჯავახიშვილი იყო. ამით იმის თქმა გვინდა, რომ, ჩვენი აზრით, დიდი ალბათობით, ლორთქიფანიძე და ჯავახიშვილი ერთად ავიდნენ საგურამოში. ლორთქიფანიძე ამხანაგთან ერთად საგურამოში ჩასვლის თარიღს არასწორად გვაწვდის.

<sup>1</sup> გ. შარაძე, „ილია ჭავჭავაძე“, „ხელოვნება“, გვ. 317, 1990 წ., ტ. II;

<sup>2</sup> გ. შარაძე, „ილია ჭავჭავაძე“, „ხელოვნება“, გვ. 317, 1990 წ., ტ. II;

გაზეთ „ისრის“ ახალგაზრდა თანამშრომლები, რომლებიც 30 აგვისტოს სამხიარულოდ მცხეთაში ჩავიდნენ, მაგრამ მას მერე, რაც საზარულ ამბავს გაიგებდნენ და დეკემბით შეატყობინებდნენ რედაქციას, დაუყოვნებლივ გაემგზავრებოდნენ საგურამოსკენ. მაგრამ, ვვარაუდობთ, რომ იმ დღესვე ვერ შესძლეს საგურამოში ასვლა და მეორე დღისთვის გადადეს.

ერთხელ კიდევ გამოვხატავთ ჩვენს აზრს იმის შესახებ, რომ ვლადიმერ ლორთქიფანიძისთვის და „ისრის“ რედაქციის სხვა თანამშრომლებისათვის დაკარგული ამხანაგი, რომელიც მეგობრებს დაუბრუნდა, უნდა ყოფილიყო მიხეილ ადამაშვილი, რომელიც „ისრის“ რედაქციას დროებით შეუერთდა. თავადაც წერს: „1907 წელს ევროპიდან დროებით დავბრუნდი და „ისრის“ რედაქციაში დავიწყე მუშაო -ბა“... „30 აგვისტოს საღამოს 8-9 საათზე ილიას მოკვლის ამბავი გავიგეთ. მეორე დღესვე ავედი საგურამოში“.

მეორე დღეს მცხეთიდან საგურამოში ცხენით გაემგზავრნენ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვლადიმერ ლორთქიფანიძე და მიხეილ ჯავახიშვილი ერთად იყვნენ. მიხეილი ზედმიწევნით კარგად იცნობდა მცხეთიდან საგურამომდე გზას.

ილიას მკვლელობის მეორე დღე იყო 31 აგვისტო. „წინამურაში“ ჯავახიშვილიც წერს, რომ ღამე საგურამოში გაათია. მისთვის 1 სექტემბერი საგურამოში გათენდა. თუ ასე იყო, ჯავახიშვილის წერილი „მოკლეს პოეტი“ 1 სექტემბრის გაზეთში ვერ დაიბეჭდებოდა. ამას ადასტურებს სტამბაში გაზეთის ბეჭდვის დადგენილი გრაფიკი. სტამბაში გაზეთის ნომერი ერთი დღით ადრე იბეჭდებოდა. 1 სექტემბრის გაზეთი დაიბეჭდა 31 აგვისტოს საღამოს.

ადამაშვილის წერილი - „მოკლეს პოეტი“ 1 სექტემბრის „ისარში“ რომ დაებეჭდათ, წერილი ასაწყობად რედაქციაში უნდა ჰქონოდათ არაუგვიანეს 31 აგვისტოს საღამოს. 31 აგვისტოს ნომერში წერილის გამოქვეყნებას ვერც ადამაშვილი და ვერც ლორთქიფანიძე ვერ მოასწრებდნენ, თუ ხელნაწერები 31 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში რედაქციაში არ იქნებოდა. საგურამოში მყოფი ჯავახიშვილის წერილი 1 სექტემბრის გაზეთში ვერ დაიბეჭდებოდა, თუ ხელნაწერს ვლადიმერ ლორთქიფანიძეს რედაქციაში არ გამოატანდა.

ჩვენს ვარაუდს, რომ ვლადიმერ ლორთქიფანიძის დაკარგული ამხანაგი იყო მიხეილ ადამაშვილი და 31 აგვისტოს ორივე ერთად გაემგზავრა საგურამოში, მიხეილი იქ დარჩა, ხოლო ლორთქიფანიძე დაბრუნდა და რედაქციაში მიიტანა წერილების ხელნაწერები, რომლებიც გაზეთ „ისრის“ 1 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა, ამყარებს ის, რომ წერილი „მოკლეს პოეტი,“ რომელიც ჯავახიშვილის ემოციებით არის სავსე, და ვფიქრობთ, მას შემდეგ დაწერა, რაც მოკლული ილია საგურამოში ნახა და მის ცხედარს ჭირისუფლად ედგა.

შესაძლებელია ვცდებით, რომ ლორთქიფანიძე და ჯავახიშვილი ერთად ჩავიდნენ საგურამოში. ილიასადმი მიძღვნილი ჯავახიშვილის წერილი - „მოკლეს პოეტი“, 1 სექტემბრის გაზეთ „ისარში“ დაბეჭდილი იმის ფაქტია, რომ მიხეილ ჯავახიშვილი

იმ დროს ახლოს იყო ტრაგედიასთან. მან ნახა განგმირული ილია. მაინც ვიკითხოთ როდის დაწერა „მოკლეს პოეტი“? სანამ საგურამოში ავიდა, თუ მერე? როგორც თვითონ წერს იგი საგურამოში ავიდა 31 აგვისტოს. შესაძლებელია, რომ წერილი - „მოკლეს პოეტი“ დილით ადრე დაწერა და რედაქციაში დატოვა გაზეთში დასაბეჭდად, შემდეგ საგურამოსკენ გასწია. საგურამოში 31 აგვისტოსა და 1 სექტემბერს მიღებული შთაბეჭდილების შესახებ, იგი ადწერს „წიწამურაში“, 29 წლის შემდეგ. ეს იმის ფაქტია, რომელიც ადასტურებს იმას, რომ მას ადრე არ დაუწერია იმ შთაბეჭდილებების შესახებ, რაც ნახა საგურამოში 1907 წლის აგვისტოს ბოლო დღეს. გასაკვირია, ისიც, რომ მიხეილ ჯავახიშვილი საგურამოში ნანახითა და გაგონილი შემზარავი ინფორმაციით დატვირთული ჩამოდის თბილისში და წერს, მხოლოდ, „მოკლეს პოეტი.“ გაზეთ „ისრის“ რედაქციაში“ არავის უზიარებს იმის შესახებ, რაც მან საგურამოში შეიტყო და „გუმანით მიხვდა“. არ ბეჭდავს ინფორმაციას 1907 წლის 2 სექტემბერს და არც ილიას დასაფლავების შემდეგ, რაც 29 წლის შემდეგ დაწერა. გასაკვირია ისიც, რომ თუ მიხეილ ჯავახიშვილმა მოისმინა აკაკის, იაკობ გოგებაშვილის, სიტყვები ილიას დასაფლავებაზე წარმოთქმული, თუნდაც მხოლოდ, ვაჟასი: „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ საქართველოსაც მოჰკლავდნენ!“, რატომ არ აიღო კალამი და სააშკარაოზე რატომ არ გამოიტანა დიმიტრი ჯაში, მისი მახინჯი სული და „შემზარავი“ გარეგნობა. მიხეილ ჯავახიშვილს არც 1907 წლის შემოდგომა-ზამთარში, ამის შესახებ, არაფერი დაუწერია.

„1906-1908 წლებში სოციალისტ-ფედერალისტების გამომავალი გაზეთები იყო: „შრომა“, «ისარი», „ამირანი“, „მეგობარი“, სადაც იმ დროს ჯაშუ არ წერდნენ. არც „მ.ად-ლი“-ს (ადამაშვილის ფსევდონიმი-ავტ), და, არც, ადამაშვილ-ჯავახიშვილს ხელმოწერით დაწერილა რაიმე ჯაშის შესახებ. გაზეთმა „ისარმა“ დაბეჭდა „მ.ად-ლის“ წერილი, „მოჰკლეს პოეტი!“ და წერილი ნოე ჟორდანიას პასუხად. 1907 წლის 27 ოქტომბერს, ილია ჭავჭავაძის მოსაგონად გამართულ ლიტერატურულ სადამოზე სიტყვა წარმოთქვა ცნობილმა ქართველოლოგმა, ილიას მეგობარმა არტურ ლაისტმა. გაზეთმა «ისარმა» მეორე დღესვე ეს წერილი სრულად დაბეჭდა. ლაისტს, რომელიც ილიას მკვლელობამდე მთელი ერთი კვირა საგურამოს სტუმრობდა, დიმიტრი ჯაშუ არაფერი უთქვამს, თორემ „ისარი“ დაბეჭდავდა.<sup>1</sup>

გაზეთი «ისარი» 1908 წლის დასაწყისშიც დიმიტრი ჯაშუ არ წერდა. მერე დახურეს. 1908 წელს გამოვიდა გაზეთი «ამირანი». 1906-1908 წლებში არსებულ ოთხ სოციალისტ-ფედერალისტურ გაზეთში ჯავახიშვილს არ დაუწერია ჯაშის შესახებ, იმის მსგავსი წინადადება, რაც 1936 წლის ზაფხულში „წიწამურაში“ დაწერა. „წიწამურაში“ თავმოყრილია ჯაშის მიმართ წლების განმავლობაში გამოგონილი ცრუ ინფორმაციები, რომლებიც ჯავახიშვილს 1936 წლის ზაფხულში შეგნებუ-

---

<sup>1</sup> ნ.მიქელაძე, „ქართული სოციალისტ - ფედერალისტური პრესა 1906 -1908 წლებში“ დისერტაცია , 2008 წ. თელავი;

ლად დაწერა ან დააწერინეს, რაც სრულიად არ ასახავს 1907 წლის 31 აგვისტოს მის მიერ „ნანახსა და გაგონილ“ ამბებს. რაც შეეხება სიტყვებს, რომ „ჯაშმა დაასწრო და თვითონ ილია დაითხოვა სააქოდან“ - ეს სამართლის ენაზე, რბილად რომ ვთქვათ, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის კლასიკური მაგალითია. კანონის ეს მოთხოვნა, 1936-1937 წლებთან დაკავშირებით რა მოსატანია.

როგორც აღინიშნა „წიწამურაში“ ჯაშის მისამართით დაწერილი სიმართლე არ არის. თუ ჩვენ ვცდებით, ამის დასამტკიცებლად ვთხოვთ მკვლევრებს მოიტანონ ისტორიული დოკუმენტები, გაზეთებში გამოქვეყნებული მიხეილ ჯავახიშვილის წერილები, სადაც მან უფრო ადრე, ვიდრე 1936 წლის ზაფხული დადგებოდა, დაწერა დიმიტრი ჯაშის შესახებ, თუნდაც ერთი წინადადება, იქიდან რაც „წიწამურაში“ წერია. განსაკუთრებით მივმართავ იმათ, ვინც ჯავახიშვილის ავტორიტეტს ამოფარებულები ციტირებენ „წიწამურას“ და მკითხველი, დღესაც, შეცდომაში შეჰყავთ.

სოციალ-ფედერალისტების რევოლუციურ პარტიას რომ შეექმნა ილიის მკვლელობის გამძიების კომისია, ჯავახიშვილი, სიმართლის გასაგებად, ალბათ, კომისიის წინაშე დააყენებდა საკითხს ჯაშის მოტაცების შესახებ, მაგრამ იმ დროს პრესაში მსგავსი რამ არც ჯავახიშვილს დაუწერია და არც კომისია შექმნილა.

გიორგი ლასხიშვილი 1934 წელს გამოცემულ მემუარებში, არ წერს, რომ სოცფედერალისტებმა შექმნეს ილიას მკვლელობის შემსწავლელი კომისია. არც ჯავახიშვილის წინადადებაზე - ჯაშის მოტაცებაზე წერს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთი კომისია შეიქმნა 1915 წელს, მაგრამ იმ დროს გაზეთი „ისარი“ 7 წელი არ გამოდიოდა. შესაბამისად, ავალიშვილიც რედაქტორი აღარ იყო. ვაჟა-ფშაველა კი 1915 წლის დასაწყისიდან მძიმე ავად იყო და 27 ივლისს გარდაიცვალა. ასეთი კომისია იმ დროს თუ შეიქმნებოდა, ვაჟა-ფშაველა ჯავახიშვილის მხარეს ვერ დაიჭერდა.

სამსონ ფირცხალავა, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დამფუძნებელი, გაზეთ „გლეხის“ ფაქტობრივი რედაქტორი, რომელთან ერთად მიხეილ ჯავახიშვილი ამ გაზეთს თანარედაქტორობდა, მემუარებში არ ახსენებს ფედერალისტების მიერ შექმნილ კომისიას. ადამიანს, რომელსაც ერთ კრებულში - „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“ - აღწერილი აქვს ილიას საგურამოდან ჩამოსვენება, მისი სიონის ტაძარში დასვენება, იქ ჩატარებული საეკლესიო რიტუალი, ილიას დასაფლავების ცერემონიალი და ერთ ყდაში მოაქცია ყველა გამომსვლელის სიტყვა, წარმოთქმული ილიას დასაფლავების დღეს, შეუძლებელია უყურადღებოდ დარჩენოდა ფედერალისტების მიერ ილიას მკვლელობის გარემოებების შემსწავლელი კომისიის შექმნა და მისი მუშაობა.

აღნიშნული კომისიის შექმნისა და საქმიანობის შესახებ კომენტარს აკეთებს ალექსანდრე შუმანაშვილი 2000 წელს გამოცემულ წიგნში „წიწამურის ტრაგედია“: „კომისიის შექმნის შესახებ წყაროებში არაფერია. ყოველ შემთხვევაში, ასეთ რამეს ჩვენ

ვერ მივაკვლიეთ. ამ წყაროებიდან აშკარად ჩანს, რომ მკვლევლობის გამო სოციალისტ-ფედერალისტები სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაევიდნენ სოციალ-დემოკრატებს, ილიას მკვლევლების დაპატიმრების შემდეგ სასტიკი წინააღმდეგობები იყვნენ კიდევ რაიმე კომისიის შექმნისა და თვითონ თუ მაინც შექმნეს და რაღაც ახალი მასალები მოიძიეს, ალბათ, ამის გამოქვეყნებისა და აფიშირებისაგან თავს არ შეიკავებდნენ.“<sup>1</sup>

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომისიის შესახებ „წიწამურაში“ დაწერილი სიც-რუეა, 1936 წელს მოგონილი ამბავია.

მიხეილმა „წიწამურაში“ სხვისი ნათქვამი ან თავის გამოგონილი ჩაწერა: „საგურამოში ერთი საგულისხმო სურათი მიახვს. გზაში თურმე ოლლა გონს მოვიდა და გვერდით ჭაში რომ დაინახა, კვილი მორთო: „მომამორეთ, დაკარგეთ, ნულარ დამანახებთ“.<sup>2</sup> ეს ტყუილია. 1907 წლის ილიას მკვლელობის გამოძიებისას შედგენილ დაკითხვის ოქმებში, ვინმეს ჩვენებაში, ვერ ვხედავთ ამ ფაქტის ამსახველ სიტყვებს, არც ასეთ სიტყვებს: „მომამორეთ, დაკარგეთ, ნულარ დამანახებთ“.

„არასოდეს არ დამავიწყდება ის დამე“ - ჯავახიშვილის სიტყვებია. სამწუხაროდ, იმ დროს ქვეყანაში სისხლიანი კალო იდგა და ვინც მმართველი პარტიის ხელმძღვანელი მუშაკების მიერ მიღებულ პოლიტიკური გეზიდან გადახვევას გაბედავდა, მხოლოდ სიკვდილი „იხსნიდა“. 1936 წლის ზაფხულში ერთი მხრივ ხელისუფალთა მხრიდან ზემოქმედებამ, მეორეს მხრივ მწერალთა კავშირში, პირდაპირი გაგებით, ცილისწამებებით გაჩაღებულმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლამ „დაავიწყა“ მას სინამდვილე. საუკუნის გადმოსახედიდან აშკარაა, რომ „წიწამურაში“ სიმართლე არ წერია, დაწყებული დიმიტრი ჯაშის გარეგნობის აღწერით, ფედერალისტების მიერ შექმნილი კომისიითა და ადამაშვილის წინადადებით - ჯაშის მოტაცების შესახებ, დამთავრებული - ფაღავასთან ადამაშვილის ვითომ შეხვედრითა და სიტყვებით - „ფაღავა გვერდზე გავწიე“.

გასაკვირი არ არის, ჯავახიშვილი რომ წერს: „...რამდენიმე თვის წინ მოკლულს ილიას მოურავს ქებით იხსენიებდნენ, ხოლო ჯაშზე კბილებს ილესავდნენ“.

მიხეილ ჯავახიშვილს არ გაახსენებოდა ილიას წერილები, რომელშიც ილია მოკლულ მოურავს წერს, რომ გლეხებს მკაცრად არ მოქცეოდა და საყვედურობდა იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რასაც მას მოურავის საქციელზე ატყობინებდნენ.

ერთში წერილში წერია: „მოსე, ჩვეულებრივ „გამარჯობას“ არა გწერ, შენზე ძლიერ გაჭაგრებული ვარ. ამ წინაზე ორი უსახელო საჩივრის ქალაღლი მომივიდა შენზე - თურმე გლეხებს დამუქრებისარ. ჩვენზე თუ კნიაბთან გიჩივლიათ, ვაი თქვენი ბრალიო.

<sup>1</sup> ა. შუმანაშვილი, „წიწამურის ტრაგედია“, „ორიონი“, 2000 წ., თბილისი;

<sup>2</sup> მ.ჯავახიშვილი, „წიწამურა“, 1936 წ. 8 ივლისი „ილიას სამრეკლო“ თბ., განათლება, 1987;

ახლა კიდევ სოფლის დაეალებით ხუთიოდე საგურამოელი ბიჭი მოვიდა ჩემთან და შემატყობინეს, რომ ეგზეკუცია ჩაუყენებიათ...“<sup>1</sup>

რა თქმა უნდა, არ არის გასაკვირი, როცა ჯავახიშვილი წერს: „გლეხებისგანაც ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რაც ილიას მოსამსახურეებისაგან: ჯაშმა ყველაფერი უნდა იცოდესო. იმ საერთო ეჭვს ერთი რამეც დაემატა; ილიას მოსვლის მოლოდინში ჯაში თურმე მეგად მოუსვენრად იყო, კაკლის ხეზედაც კი ასულიყო და ქვემოთ გაშლილ გზას იქიდან ათვალიერებდა. ილიას და მის მეუღლეს ჯაში თურმე საშინლად ეგზიზმებოდათ. ილია მის დათხოვნას აპირებდა, მაგრამ „ჯაშმა დაასწრო და თვითონ ილია დაითხოვა სააქაოდანაო“<sup>2</sup>

ჯავახიშვილი ამას ისე წერს, თითქოს, საგურამოში ჩასვლის შემდეგ, იქ ყოფნაში შეიტყო ყოველივე. 31 აგვისტოს საგურამოში ჩასულმა მიხეილმა ვისგან შეიტყო ჯაშის კაკლის ხეზე ასვლის ამბავი? ეს ამბავი ვასილ ემეცის 1907 წლის 2 სექტემბრის დაკითხვის ოქმშია ჩაწერილი. ჯავახიშვილი ამას 31 აგვისტოს ვერ გაიგებდა, რადგან კაკლის ხეზე ჯაშის ასვლის მოწმე, მხოლოდ ურიადნიკი ემეცი იყო. დაკითხვის დროს, ილიას მოსამსახურეებიდან ამაზე, სხვას არავის უთქვამს. სოფლელების დამოწმება, რომლებიც იმ დროს ჭავჭავაძის მამულის ეზოში არც კი ყოფილან, უსაფუძვლოა. რაც შეეხება ილიას მიერ მოურავის დათხოვნის შესახებ, სიტყვებს, პირველად ამის შესახებ ოღლა გურამიშვილმა გამომძიებელ ილიაშენკოს 1907 წლის 18 სექტემბერს მოუყვა და ეს ამბავი მას შემდეგ გახდა ცნობილი. ჯავახიშვილი ამასაც ვერ გაიგებდა ილიას მკვლელობის ვერც პირველ და ვერც მეორე დღეს.

ჯავახიშვილს სხვა გზა არ ჰქონდა - თავის გადასარჩენად უნდა ეწერა.

„წიწამურაში“ წერია: „1910 წელს მეგების ციხის პატიმარი ვიყავი. ერთხელ ციხეს ელვასავით მოედო ამბავი - ილიას მკვლეელი დიმიტრი ჯაში მოიყვანესო. მოიყვანეს და გარედან ისიც შემოგვითვალეს... ჯაშს ვისერი მოუგრისებო... ჯაშს ჩვენზე უკეთ ახლადარმერია იცნობდა, ამიტომ ის ცალკე საკანში ჩასვეს და გადაარჩინეს. თურმე მას ვილაცისთვის ფულის დაცანცვლა უნდოდა და პროვოკაცია მოაწყო. ოთახის ღუმელში ყუმბარები შეაწყო. სად იშოვნა მან ყუმბარები? ვინ იცის. ის კი ვიცოდი რომ ჯაშს მჭიდრო კავშირი ჰქონდა „ოხრანკასთან“, შანგაჟისგებთან და ცალკე გასულ გერორისგებთან და ყველა ჯურის ნაძირლებთან. ამავე ხანებში ეს ბნელი ადამიანი საგახგო ქალაქების მეგად გავლენიანი ვაზეთების კორესპოდენტად ითვლებოდა.“<sup>3</sup>

რასაც ჯავახიშვილი დიმიტრის მოწყობილ პროვოკაციაზე წერს, ეს მოხდა 1911 წლის ივნისში. დიმიტრი ჯაში 1910 წელს არ ყოფილა მეტეხის ციხის პატიმარი. ის იმ

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილ. ჭავჭავაძის მკვლელობა“, 1996 წ. თბილისი;

<sup>2</sup> მ.ჯავახიშვილი, „წიწამურა“, 1936 წ. 8 ივლისი „ილიას სამრეკლო“ თბ. , განათლება, 1987;

<sup>3</sup> მ.ჯავახიშვილი, „წიწამურა“, 1936 წ. 8 ივლისი „ილიას სამრეკლო“ თბ. , განათლება, 1987;

დროს „ოხრანკის“ აგენტი იყო. ვფიქრობთ, მხოლოდ მოსკოვის გაზეთებში წერდა. მისი ოხრანკასთან საქმიანობა ჯავახიშვილმა 1917 წლის მარტში შეიტყო.

1905 წლიდან ჯავახიშვილი საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტიის წევრი გახდა და 1905-1907 წლებში მთავარი კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდა. 1906 წლის ბოლოს ან 1907 წლის დასაწყისში იგი ცოტა ხნით საზღვარგარეთაც გაიხიზნა. 1907 წლის ზაფხულში, დროებით დაბრუნდა თბილისში. სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის სამხედრო ორგანიზაციას 1907 წლის აპრილში უკვე ჰქონდა განხორციელებული დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაცია, რომლის დროსაც 315 ათასი რუბლი გაიტაცეს.<sup>1</sup> ეს 65 ათასი რუბლით მეტი იყო, სოცდემოკრატების - სტალინისა და კამოს ხელმძღვანელობით, 1907 წლის 13 ივნისს, თბილისში, რუსეთის სახელმწიფო ბანკის დილიჟანზე მოწყობილ თავდასხმის დროს გატაცებულ 250 ათას რუბლზე. სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის მთავარ კომიტეტს ხელი არ შეუშლია დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციისათვის. ამ პარტიის მთავარი კომიტეტის წევრებმა მომავალი სარგებლის მოლოდინში თვალი დახუჭეს. ჯავახიშვილი მთავარი კომიტეტის წევრი იყო. ფედერალისტებმა სად წაიღეს და როგორ გაინაწილეს 315 ათასი რუბლი საიდუმლოდ დარჩა. ერთს კი აღიარებდნენ, რომ ამ ფულით პარტიამ სტამბა შეიძინა, რასაც დატაცებული თანხის 1 % არ დასჭირდებოდა, მაგრამ იმაზე არ წერდნენ, რა თანხები გაიყოლეს თან ამ პარტიის წევრებმა, რომლებმაც დროებით თუ სამუდამოდ ევროპას შეაფარეს თავი. 1907 წლის ზაფხულში, როცა დროებით დაბრუნდა თბილისში, ჯავახიშვილი ამ პარტიის კომიტეტს შეუერთდა, ხოლო 1907 წლის ბოლოს ისევ ევროპაში გაიხიზნა საქართველოში 1909 წელს დაბრუნდა. ევროპაში გახიზნული, პარიზის უნივერსიტეტში სწავლობდა. იმოგზაურა შვეიცარიაში, იტალიაში, ჩრდილო აფრიკაში, ბელგიაში, ინგლისსა და გერმანიაში. ძმები გოგი და ლეო კერესელიძეები, რომლებიც დუშეთის ხაზინის ძარცვაში მონაწილეობდნენ, ქენევის უნივერსიტეტში სწავლობდნენ. ფედერალისტური პარტიის ამ წარმომადგენლებთან ჰქონდა თუ არა რაიმე კავშირი ევროპაში დროებით გახიზნულ მიხეილ ჯავახიშვილს, ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ მისი ამ პარტიაში აქტიური საქმიანობის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, მას ჰქონდა მათთან კავშირი და, შესაძლებელია ისიც, რომ ევროპაში ორწლიანი ცხოვრებისა და მოგზაურობის ხარჯებიც, გარკვეულად, გოგი და ლეო კერესელიძეებმა, დუშეთის ხაზინიდან ნაძარცვი თანხებიდან გაიღეს. არც იმას გამოვრიცხავთ, რომ მიხეილი თავისი ნიჭითა და შრომით ახერხებდა ევროპაში ცხოვრებისათვის საჭირო თანხების გამომუშავებას. ქვემოთ კიდევ მოვიტანთ მისი ბიოგრაფიიდან ცხოვრების დღიურებს.

მიხეილ ჯავახიშვილი 1921 წლიდან ხელისუფლებას ოპოზიციაში ედგა და მის დასამხობად მოქმედებდა. 1923 წელს დააპატიმრეს და ისეთ დღეში ჩააყენეს,

---

<sup>1</sup> „კვირის პალიტრა“ 9 დეკემბერი 2013 წ. „დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაცია“;

რომ ხელი აიღო ეროვნულ მოძრაობაზე, მერე ბოლშევიკებთან თანამშრომლობდა, პირადად მათ ლიდერთან - სეგო ორჯონიკიძესთან. იგი დიდი მწერალი დადგა, მაგრამამას ვერ ვიტყვით მის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები როცა დახვრიტეს, ადვილი მისახვედრია, რა საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა მიხეილ ჯავახიშვილი. იგი ასეთ მდგომარეობაში ცხოვრობდა დახვრეტამდე - 1937 წლის 30 სექტემბრამდე. ბერია ჯავახიშვილის ყოველ სიტყვასა და ნაბიჯს აკონტროლებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნებით თუ უნებლიეთ მიხეილ ჯავახიშვილი გარკვეულ თანამშრომლობაში იმყოფებოდა საბჭოთა ხელისუფლებასთან, სულიერად ეწინააღმდეგებოდა მათ, რაც კარგად ჩანს მისი უბის წიგნაკის ჩანაწერებიდან. თავის უბის წიგნაკში 1925 წელს გააკეთა ჩანაწერი, რომლითაც მწერალი თავის პოლიტიკურ საქმიანობას ასე აფასებდა: „ჩემი საიდუმლო მუშაობა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში 1921-1923 წლებში ჰგავდა ადამიანის საქციელს, რომელმაც ცურაობა არ იცის, მაგრამ სხვის დასახმარებლად ისკუბა ხიდიდან და წყალში გადავარდა. ამის ახსნა შეუძლებელია. აქ მუშაობს იდუმალი ძალა, ალღო მოძმის მიშველიების და ამ ალღოს ასკერ მეტი ძალა აქვს, ვიდრე შეგნებას“<sup>1</sup> მიხეილ ჯავახიშვილმა 1930 წელს გრიგოლ რობაქიძე გააფრთხილა მისი მოსალოდნელი დაპატიმრების შესახებ და გერმანიაში გაქცევაში დაეხმარა.

1936 წლის ზაფხულში საქართველოში იმყოფებოდა ფრანგი მწერალი ანდრე ჟიდი - ლიტერატურის დარგში მომავალი ნობელის პრემიის ლაურიატი (მიენიჭა 1947 წელს). მასპინძელთა შორის იყო მიხეილ ჯავახიშვილიც. ფრანგ მწერალს მიანიშნეს, რომ საბჭოთა კავშირში ყველაფერი კარგად არ არის. გააგებინეს, რომ მწერლობა განიცდის მკაცრ კონტროლს და არ ეძლევა აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალებას. ყოველივე ეს ცნობილი გახდა „შინსახკომის“ აგენტებისთვის, რის გამოც ჯავახიშვილი 1936 წლის ზაფხულშივე ბერიას აგენტების მჭიდრო გარემოცვაში აღმოჩნდა, ხოლო 1936 წლის ბოლოს, როცა გამოქვეყნდა ანდრე ჟიდის წიგნი „საბჭოთა კავშირიდან დაბრუნება“, საბჭოთა პროპაგანდამ ჯავახიშვილი ხალხის მტრად გამოაცხადა.

1936 წლის ზაფხულში, „შინსახკომის“ წნეხის ქვეშ მყოფი ჯავახიშვილი ადვილად დაიყოლიეს ბერიას დავალების შემსრულებლებმა, რომლებიც იდეოლოგიურ საფუძველს ქმნიდნენ ილიას მკვლელობის მეფის რუსეთის „ოხრანკისთვის“ დასაბრალებლად. ყველას, ვისაც შეხება ჰქონდა ილიას მოურავთან, „სთხოვდნენ“ რაიმე დაეწერათ დიმიტრი ჯაშუე. გვერდს არ აუვლიდნენ მიხეილ ჯავახიშვილს, როგორც 1904 წელს „ივერიის“ რედაქციის გამგეს და იგი როგორ არ დაწერდა ამ რედაქციის

<sup>1</sup> მ.ჯავახიშვილი, „ჩანაწერები უბის წიგნაკებიდან“, 2011 წელი, თბ. „ინტელექტი“;

სტამბის ასოთამწყობზე, მის მიერ ქრონიკის გამგედ დაწინაურებულ დიმიტრი ჯაშუ, ყოველივეს, რაც „წიწამურაში“ დაწერა.

ჯავახიშვილს 1922 წლიდან 1936 წლის ზაფხულამდე, გარდაცვლილი დიმიტრი ჯაში, როგორც ილიას მოურავი, არც ახსოვდა. იგი 1921—1923 წლებში ბოლშევიკების წინააღმდეგ აჯანყებას ამზადებდა. როცა დაიჭირეს საფიქრალი მხოლოდ თავი ჰქონდა. როგორც თვითონ წერს, ორჯონიკიძის წყალობით, 10-12 წლის განმავლობაში საკუთარი შემოქმედებით იყო დაკავებული. დაწერა „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „ჯაყოს ხიზნები“, „გივი შადური“, „თეთრი საყელო“, „არსენა მარაბდელი“. გარდა ამისა, 1936 წლამდე ჯავახიშვილს დიმიტრი ჯაში არ ახსოვდა იმ პრობლემების გამოც, რაც საბჭოთა მთავრობამ შექმნა საბჭოთა საქართველოს მწერალთა კავშირში-გაუტანლობის ატმოსფეროს შექმნის გამო. თავის გადასარჩენად იგი საბჭოთა მთავრობის საქებარ სიტყვებს წერდა. 1936 წლის 10 დეკემბერს ჯავახიშვილმა დაწერა, მისი სულისკვეთების საწინააღმდეგო - „რასაც საკუთარი დულაბი არ მოეპოვებოდა“, მაგრამ სტალინის საქებარი სიტყვები: „ჩვენი უსაყვარლესი ბელადის სიტყვა და საქმე ნაღლია“.

10 დეკემბერს წერს - „შარავანდელით შეიმოსება“.<sup>1</sup>

„სტალინური კონსტიტუცია დამტკიცდა. იგი საძირკველად დაედო ჩვენს ცხოვრებას, რომელიც უფრო მეტად გაიფურჩქნება და შარავანდელით შეიმოსება. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება მკვეთრად ასახულია სტალინურ კონსტიტუციაში.“

კონსტიტუციის დამტკიცების დღე ყოველწლიურ დღესასწაულად გამოცხადდება. ეს დღე ღრმად ჩაიწერა კაცობრიობის ისტორიაში და მას ვერავითარი ძალა ვერ ამოშლის“.

მიხეილ ჯავახიშვილმა ბოლო, 1937 წლის 3 აგვისტოს წერილი ილიას მიუძღვნა. აქაც მოჩანს ბერიას დაკვეთა. ბოლო წინადადებაში წერს: „აქ ესეამ წერტილს. მკვლელობის ამბავი 1936 წელს 18 ივლისის „ლიგერატურული საქართველოში“ მაქვს ნაამბობი.“<sup>2</sup> მკითხველო, სწორედ ეს ნაამბობი გახლავთ „წიწამურა“. მიხეილ ჯავახიშვილმა ბოლო წერილი, რომელიც ილიას მიუძღვნა, დაწერა მწერალთა კავშირიდან განდევნილმა და „შინსახკომის“ მიერ იმ ადამიანთა სიაში შეყვანილმა, რომლებიც ფიზიკურად უნდა მოესპოთ.

1937 წლის 26 ივლისს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება: „მიხეილ ჯავახიშვილი, ჯაშუში და დივერსანტი, განდევნილ იქნას მწერალთა კავშირიდან და ფიზიკურად განადგურდეს“. მწერალი 1937 წლის 14 აგვისტოს დააპატიმრეს, წამების ქვეშ, „ალიარებაზე“ ხელი მოაწერინეს და 30 სექტემბერს დახვრი-

<sup>1</sup> მ.ჯავახიშვილი, „ჩანაწერები უბის წიგნაკებიდან“, 2011 წელი, თბ. „ინტელექტი“;

<sup>2</sup> მ.ჯავახიშვილი, „ილია ჭავჭავაძე“ 1936 წ. 18 ივლისი „ილიას სამრეკლო“ თბ. , განათლება , 1987;

ტეს. აი, ასეთი 16-წლიანი პერიპეტიების პერიოდში და ტრაგიკული დასასრულის წინ, მიხეილ ჯავახიშვილი თავისი ნებით ვერ მოიცლიდა დიმიტრი ჯამის შესახებ მოგონება - „წიწამურა“ დაეწერა.

დავაკვირდეთ „წიწამურაში“ მოყვანილ სიტყვებს: „რომელიც 30 წელიწადი აწვალებს ყველა შეგნებულ მოქალაქეს“, 1907 წლის 30 აგვისტოდან (ძველი სტილით) მკვლელობის შემდეგ 30 წელი გადიოდა 1937 წლის 12 სექტემბერს. მან „წიწამურა“ დაწერა 1936 წლის 18 ივლისს, ერთი წლით ადრე, სანამ ილიას მკვლელობიდან 30 წელი გავიდოდა.

როგორც ვიცით, იმხანად დაიწყო ილიას 100 წლის იუბილესათვის მზადება. 1937 წელს სრულდებოდა ილიას დაბადებიდან 100 წლისთავი და მკვლელობიდან - 30-ე წელი. ამ უკანასკნელ თარიღს ხაზი განსაკუთრებით უნდა გასმოდა.

1936 წლის ზაფხული იდგა. ჯავახიშვილი ვერ დაწერდა, რომ ილიას მკვლელობიდან 30 წელია გასული. მას თავისი სურვილით რომ დაეწერა, დაუმატებდა სიტყვას — დაახლოებით ან თითქმის. 1932 წელს, ილიას მკვლელობიდან 25-ე წლისთავზე, ჯავახიშვილი თავისი სურვილით მწერალთა კავშირის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა და აღნიშნა, რომ მკვლელობიდან 25 წელია გასული, მაგრამ მისი ეს სიტყვა გაზეთებში არ დაბეჭდილა.

დავუბრუნდეთ „წიწამურას“ ტექსტს. „წიწამურაში“ წერია ასეთი სიტყვები; „...ილიას მოსვლის მოლოდინში ჯამი თურმე ...კაკლის ხეზედაც კი ასულიყო და ქვეით გაშლილ გზას იქედან ათვალთქვებდა...“<sup>1</sup>

ჯავახიშვილი არ წერს, რომ ამ კაკლის ხიდან მოჩანს წიწამური. მან დაწერა, რომ ჯამი კაკლის ხიდან „ქვეით გაშლილ გზას“ ათვალთქვებდა. როგორც აღინიშნა, ჯავახიშვილი ზედმიწევნით კარგად იცნობდა საგურამოს შემოგარენს და იცოდა, რომ კაკლის ხეზე ასული კაცი წიწამურის სანახებს ვერ დაინახავდა. ილიას მკვლელობის შესახებ გამოცემული წიგნების ზოგიერთ ავტორს დაწერილი აქვს, რომ ილიას კაკლის ხიდან მოჩანს წიწამური და დიმიტრი კაკლის ხიდან გასცქეროდა, თურა ხდებოდა წიწამურის სანახებში. ილია ჭავჭავაძის მამულის ეზო-კარი და ის კაკლის ხე, რომლის კენწეროდან ჯამი 1907 წლის აგვისტოს „გაჰყურებდა“ წიწამურის სანახებს, ისევ თავის ადგილზეა, ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის ეზოში. წიწამურის გზაზე, სადაც მკვლელობა მოხდა, ობელისკი აღიმართა, საგურამოდან სამხრეთის მხარეს მას ეფარება საგურამოს ქედის ნაწილი. ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის მამულის ეზოდან, 30 მეტრის სიმაღლიდანაც კი, შეუძლებელია ვინმემ წიწამურში აღმართული ობელისკი დაინახოს.

<sup>1</sup> მ.ჯავახიშვილი, „წიწამურა“, „ილიას სამრეკლო“ თბ. , განათლება, 1987 წ.;

მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც მწერალი, დიდი ავტორიტეტი იყო, ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ დიმიტრი ჯაშის მიმართ მისი ნაწერები არ შეესაბამება სინამდვილეს, ზოგიერთი მკვლევარი მას დღესაც წყაროდ იყენებს.

ჯავახიშვილს თავის უბის წიგნაკში გაკეთებული აქვს ჩანაწერები, რომლებიც „წიწამურას“ შინაარსის საპირწონეს - სინამდვილეს მეტყველებს:

„2/VI-25 წ. მუხრანში ვიყავი. ილია ჭავჭავაძის მკვლელი მაჩვენეს. არ დავიჯერე. ლევან მეგრეველმა დამიდარსტურა. შუა ტანის ჩასხმული მხეცი. ხშირი უღვაში. გრუბა. გმირად არის ჩათვლილი. ეხლა ყოველივე ცხადია. მაგონდება: 1909 ან 10 წელს სამიოდე იმის ამხანაგს სიკვდილი გადაუწყვიტეს. საზოგადოებამ პატივებს თხოვა. ოღონდ საც მიანერინეს წერილი. აპატიეთ. მაგრამ ისტორია გვაპატიებს? დიდად მნიშვნელოვანი ფაქტია. დაწერილებით განვითარდეს. ეს კაცი მერე ხვრეცდა იმ ხალხს, რომელთაც ის გადაარჩინეს. ილია ჭავჭავაძის მკვლელი ბერბიჭაშვილი — აღმ-ის თავ. მუხრანში. ბერბიჭაშვილი — ილიას მკვლელი 1925/XII აირჩიეს ცსაკ. კომ. წევრად! კადეტის კარაგაივის მკვლელებს (1906 წ.) ეხლა ასამართლებენ, ილიას მკვლელი ბერბიჭაშვილი კი საკ. კომისის წევრია: ცხადია ყოველივე“.<sup>1</sup>

1925 წელს მიხეილ ჯავახიშვილმა რატომ არ გააკეთა ისეთი ჩანაწერი დიმიტრი ჯაშის საგურამოში შეხვედრის შესახებ, რომელიც „წიწამურაში“ დაწერა. უბის წიგნაკის ჩანაწერები ამტკიცებს, რომ მას 1925 წელს არ ჰქონია ისეთი აზრები, რაც „წიწამურაში“ 11 წლის შემდეგ, 1936 წლის 18 ივლისს დაწერა.

უბის წიგნაკში 1931-1933 წლებში გაკეთებული ჩანაწერებიდან რამდენიმეს კიდევ მოვიტანთ: „ჯულა - ქურიდან გამოშვებული დამდნარი ლითონი ან შლაკი. ჯულელი კაცი - გულდრძო, უგულო. ჯულაშვილი“ „სოციალიზმი სულის ჭლეტია, გამოთფიტულ გონებას შეეპარება, ჩაბლუჯავს, დაიმორჩილებს, გამოხრავს და მოჰკლავს“.<sup>2</sup>

ჯავახიშვილს ჯუღელის, ჯუღაშვილის მისამართით და სოციალიზმის შესახებ კარგი აზრები არ ჰქონია. ამაში დავრწმუნდით. იგი საჯაროთ ერთს წერდა, თავის უბის წიგნაკში კი სულ სხვას.

საყურადღებოა 1935 წელს იმერლიშვილის შესახებ გაკეთებული ჩანაწერი: „ილია ჭავჭავაძის მკვლელი ყაჩაღ იმერლიშვილთან მივიდა და უთხრა: „ძმად უნდა გაგეფიცო“. „ვინა ხარ?“ - „მე ძალღი მოვკალი“ - „ვინა?“ - „ილია მოვკალი“. იმერლიშვილმა იქვე მოკლა“.<sup>3</sup> აღბათ, ილიკო იმერლიშვილზეა ლაპარაკი. თუ ასეა, საინტერესოა, საიდან გაიგო ჯავახიშვილმა, როგორ მოიქცა ყაჩაღი იმერლიშვილი? ილიას მკვლელი ყაჩაღებიდან ან რევოლუციონერებიდან არავის მოუკლავს. ჯავახიშვილმა თავად შეთხზა? როცა ლიტერატურის დარგში წარმატებული მოღვაწეო-

<sup>1</sup> მ. ჯავახიშვილი, „ჩანაწერები უბის წიგნაკებიდან“ გამომცემლობა „ინტელექტი“. თბილისი, 2011 წ.;

<sup>2</sup> მ. ჯავახიშვილი, „ჩანაწერები უბის წიგნაკებიდან“ გამომცემლობა „ინტელექტი“. თბილისი, 2011 წ.;

<sup>3</sup> მ. ჯავახიშვილი, „ჩანაწერები უბის წიგნაკებიდან“ გამომცემლობა „ინტელექტი“. თბილისი, 2011 წ.;

ბისტვის 1935 წელს „შრომის წითელი დროშის“ ორდენით დასაჯილდოებლად წარდგენილს (დააჯილდოვეს 1936 წლის 22 მარტს, 1937 წელს მოუხსნეს. - ავტ.) კობა ჯუღაშვილის მიმართ განწყობა შეეცვალა და როგორც მწერალი, ალბათ, ფიქრობდა „არსენა მარაბდელის“ შემდეგ კიდევ შექმნა სოციალური უსამართლობისათვის მებრძოლი ხალხის წარმომადგენლის, კობა ჯუღაშვილის მეგობრის, ილიკო იმერლიშვილის ლიტერატურული სახე. სხვაგვარად რას მივაწეროთ იმერლიშვილის შესახებ 1935 წელს ჯავახიშვილის მიერ უბის წიგნაკში გაკეთებული ეს ჩანაწერი?

1937 წელს სანდრო შანშიაშვილმაც ჩაწერა თავის მოგონებაში მსგავსი: „ილია ჭავჭავაძის ერთი მკვლელი გაიქცა და უნდოდა ერთ-ერთ „ტყის ძმას“ შეფარებოდა. დიდი ძებნის შემდეგ შეხვდა ერთ პოლიტიკურად დევნილს ... ტყის ძმამ ჰკითხა: ვინ ხარ, რისთვის მოსულხარო. როდესაც გაიგო, რომ მასთან მისული იყო ილია ჭავჭავაძის მკვლელი, იშეშვლა რევოლუციური და უთხრა: „შენ კაკოს ავტორი მომიკალ, შენ კაკო განა მაგას გაპატიებსო“, და იქვე დასცა.“<sup>1</sup>

ჯავახიშვილის ჩანაწერი და ნაწყვეტი შანშიაშვილის მოგონებებიდან ერთი და იგივე შინაარსისაა, იმ განსხვავებით, რომ ჯავახიშვილი აკონკრეტებს პერსონას - იმერლიშვილს, შანშიაშვილი კი გვარს არ ასახელებს, საზს უსვამს მის პოლიტიკურ დევნილობას. უნდა ვიფიქროთ, რომ ჰქონდათ განზრახული, ლიტერატურაში დაეხატათ იმერლიშვილის, როგორც სახალხო გმირის სახე, მაგრამ გადაიფიქრეს.

დავუბრუნდეთ იმას, რითიც დავიწყეთ ჯავახიშვილის „წიწამურას“ გარჩევა — დიმიტრი ჯაშის გარეგნობას. დავადგინეთ, რომ ჯაში არ იყო „მიუკარებელი შესახედაობისა“, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ არც მიხეილ ჯავახიშვილი ტოვებდა გოლიათის შთაბეჭდილებას - იყო გამხდარი და წელში ოდნავ მოხრილი, ნაყვავილარი სახე ჰქონდა, მაგრამ მისი ფოტოებით თუ ვიმსჯელებთ, ის ნამდვილად არ გამოიყურებოდა მიუკარებელ ადამიანად. საბჭოთა ხელისუფლებამ კი იგი, როგორც როგორც მწერალი, 20 წლის განმავლობაში, ქართველი ხალხისათვის „მიუკარებელი“ გახადა, ვითარცა განკიცხული და კეთროვანი მანამ, სანამ არ მოხდა მისი რეაბილიტაცია.

ბედის ირონიაა?!

საქართველომ მაინც დაინახა დიდი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი.

---

<sup>1</sup> ნ. გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“, გვ. 445, 2010 წ. თბილისი;

## სიმართლეა თუ მოგონილი ოლღას ჩვენება?

ამ სათაურით გვინდა განვიხილოთ ორი წინადადება. პირველი, გახმოვანებული ფილმში „ვინ მოკლა ილია...“: „...ილიამ ძალევე ამოიციხა მისი მოურავის ნამდვილი სახე, მაგრამ ზომების მიღება აღარ დასცალდა“, და მეორე, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილმა „წიწამურაში“ დაწერა: „...ილიას და მის მეუღლეს ჭაში თურმე საშინლად ეზიზღებოდათ. ილია მის დათხოვნას აპირებდა, მაგრამ ჭაშმა დაასწრო და თვითონ ილია დაითხოვა სააქაოდანაო“.<sup>1</sup>

პირველი წინადადების შესახებ ჩვენი აზრი გამოვხატეთ. მეორე წინადადებაც სიცრუეა. რატომ ვფიქრობთ ასე?

ფილმში - „ვინ მოკლა ილია...“ - გახმოვანებული აზრი და მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვები ეფუძნება 1908 წლის 2 დეკემბრის გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილ ილიას მკვლელობის სასამართლოს ქრონიკას. გაზეთში დაბეჭდილია დაზარალებულისა და მოწმის - ოლღა ჭავჭავაძის ჩვენება. ოლღა ჭავჭავაძე ავადმყოფობის გამო ვერ დასწრებია 1908 წლის დეკემბრის დასაწყისში გამართულ სასამართლოს, მაგრამ გამოაქვეყნეს მისი 1907 წლის 18 სექტემბრის ჩვენება, რომელიც მას ადრე გამოძიებისათვის მიუცია. იგი უჩვენებს: „...საფულეში მქონდა მეუღლის წერილები, დავითის ფსალმუნს და სხვადასხვა წერილები... მეუღლის წერილებიდან ერთი ივლისში იყო საგურამოდან გამოგზავნილი. ამ წერილში ის მაგყობინებდა, რომ მოურავი ჭაში მაგყუარა და არაკეთილსინდისიერი კაცი გამოდგა და როცა ახალ მოურავს ვნახავ, მერე ჩამოვალ. ივლისში მეუღლე ორ კვირას ცხოვრობდა საგურამოში ჩემს გარეშე. მე თბილისში ვიყავი. როცა საგურამოში დაჭრილი მიყვავდი, მომეჩვენა, რომ თავდამსხმელებს შორის მეოფე კაცი მკაუვებდა. მაშინ არ ვიცოდი ვინ მკაუვებდა, მაგრამ ამ კაცის მიმართ რაღაც უსიამოვნო გრძნობა გამიჩნდა...“<sup>2</sup>

ოლღამ ეს ჩვენება მისცა ილიას მკვლელობიდან 17 დღის შემდეგ, როცა 1907 წლის 1 სექტემბერს სასამართლო-სამედიცინო შემოწმების ოქმით მიხაილოვის საავადმყოფოს ექიმმა მიხეილ კიმონტიმ 64 წლის ოლღას ჭრილობების აღწერის შემდეგ თავისი მოსაზრება დააფიქსირა: „ყველა ჭრილობა მძიმე დაზიანების კატეგორიას მიეკუთვნება... შემონმებულის მდგომარეობა მძიმეა, აღენიშნება გვინის შერყევა, დაზინდული ცნობიერება, გულის რევა და თავბრუსხვევა“.<sup>3</sup> თავის ტვინის მძიმე ტრავმის მკურნალობა ითვალისწინებს 20 დღეზე მეტს წოლით რეჟიმს. გამომძიებელმა ილიაშენკომ მწოლიარე ოლღა დაკითხა, მაგრამ ყურადღებას იპყრობს მისი მუხ-

<sup>1</sup> მ.ჯავახიშვილი, „წიწამურა“, 1936 წ. 8 ივლისი „ილიას სამრეკლო“ თბ., განათლება, 1987;

<sup>2</sup> გაზეთი „დროება“ 1908 წლის 2 დეკემბერი;

<sup>3</sup> ა. შუმანაშვილი, „წიწამურის ტრაგედია“, „ორიონი“, 2000 წ., თბილისი;

სიერება. ზოგი რამ არ ახსენდება. ამასთან, ჩვენებაში ილიას წერილი, სადაც ილია ჯაშის შესახებ ატყობინებდა, კარგად გაიხსენა. ასევე ადვილად გაიხსენა, თუ რა მოეჩვენა, როცა იგი დაჭრილი საგურამოში მიყავდათ — რომ თავდამსხმელებს შორის მყოფი კაცი აკავებდა. მაშინ არ იცოდა ვინ აკავებდა, მაგრამ ამ კაცის მიმართ უსიამოვნო გრძნობა გაუჩნდა. აქ ოღლა, უკვე შეგნებულად მიანიშნებს ჯაშზე, რადგანაც 17 დღის შემდეგ, მან უკვე იცის გადმოცემით, რომ მას აკავებდა დიმიტრი ჯაში. გარდა ამისა, ოღლა როცა ამბობს, რომ მაშინ არ იცოდა ვინ აკავებდა, მაგრამ ამ კაცის მიმართ უსიამოვნო გრძნობა გამიჩნდაო, მისი სიტყვები არადეკვატურია, ამასთან, არადამაჯერებელია თავდამსხმელის მიმართ უსიამოვნო გრძნობის გაჩენის შესახებ. მას თუ მართლა მოეჩვენა თავდამსხმელი, თავისი რეაქცია რადიკალური ემოციით უნდა გამოენახატა, ალბათ, თუ შესძლებდა, ან უნდა ეკივლა, ან ჩურჩულით მაინც ეთქვა: - დააკავეთ, მან მოკლა ილია! ოღლა ჭავჭავაძე ჭრილობების გამო, დასწრებული, ისე ცუდად იყო, რომ იგი ვერ დასწრებია 1908 წლის დეკემბრის დასაწყისში გამართულ სასამართლოს, ე.ი. მიყენებულმა ჭრილობებმა მას საშუალება არ მისცა, ერთი წლის შემდეგაც, სასამართლო სხდომას დასწრებოდა, ხოლო სასამართლო გამომძიებელს — ილიაშენკოს, ამ ჩვენებას აძლევდა მასზე თავდასხმიდან 17 დღის შემდეგ. ბუნებრივია, რომ შეიძლება ეჭვის ქვეშ დავაყენოთ ოღლას 18 სექტემბერს ჩვენება და ვიფიქროთ, რომ მასში მოჩანს სხვისი აზრების გადმოცემა. დაკითხვისას უჩვენებს:

„...წინამურთან ახლოს, დუქნებთან ცხენებს წყალი დავალევეინეთ. შემდეგ რა დაგვემართა, არაფერი მახსოვს, ვინ დაგვესხა, რამდენი იყვნენ, რა ეცვათ, როგორ მივიღე დაზიანებები, ჩემს მეუღლეს რა დამართა, არაფერი ვიცი. მახსოვს მხოლოდ ის, როცა უკვე თავდასხმის შემდეგ საგურამოში მიყავდით, მგონი, მაშინ ვილაცხა ქართულად ვუთხარი, რას აკეთებთ-მეთქი და ვთხოვე გაეშვათ ხელი, რომლითაც ვილაც მაკავებდა. მახსოვდა აგრეთვე, რომ არ მინდოდა ზევით სართულზე ასვლა, დაბლა დაგოვებას ვთხოვდი... საგურამოში ეკიპაჟიდან გადმოსვლაში ვინ მომეხმარა არ მახსოვს.“<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, ოღლა თავისი ჩვენებით ადასტურებს, რომ საერთოდ არ ახსოვს, რა მოხდა, მაგრამ იმავე ჩვენებით ყვება, - მაშინ ვილაცხა ქართულად ვუთხარი, რას აკეთებთ-მეთქი და ვთხოვე გაეშვათ ხელი, რომლითაც ვილაც მაკავებდა. ე.ი არ ახსოვდა ვინ იყო ეს „ვილაც“. ამასთან, არ ახსოვს საგურამოში მისვლისას ეკიპაჟიდან გადმოსვლაში ვინ დაეხმარა.

უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ტრაგედიის შემდეგ, ოღლა მისი ნათესაობისა და მეგობრების ყურადღების ქვეშ აღმოჩნდა. მეტ-ნაკლებად მოშუშებული და საზოგადოებისკენ მობრუნებული ოღლა, ილიას მკვლელობის გამომძიებლისა და ბრალდე-

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, „მერანი“, 1996 წ. თბილისი;

ბულთა სასამართლოს დასრულებამდე და შემდეგაც, განიცდიდა სიტყვიერ ზემოქმედებას ახლო გარემოცვისაგან, როგორც ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად რჩევების მიღების დროს, ისე გამოძიებისათვის მისაცემი ჩვენებების ჩამოყალიბების შესახებ. მორალურად დათრგუნული და ფიზიკური ტკივილებისაგან შეწუხებული 64 წლის ქალბატონი სავარაუდოა, რომ ყველას რჩევას ადვილად იღებდა, მათ შორის, მითითებებს დაინტერესებული პირებისაგან - თუ როგორ მოქცეულიყო, როგორი ჩვენება მიეცა, ვისთან, რა შინაარსის წერილები გაეგზავნა. წერდა რასაც ურჩევდნენ. არ გამოვრიცხავთ, მის საახლობლო წრეში ყოფილიყვნენ მკვლელობის შესახებ სუბიექტური აზრის მქონე პირები, თუნდაც, ყარამან ფაღავა, რომლის აზრებიც დიმიტრი ჯაშუე ცნობილია.

ასეთ პირობებში მყოფ ოლღა ჭავჭავაძეს, შესაძლებელია, გამოძიებისათვის ჩვენების მიცემამდე უკარნახეს, თუ რა ეთქვა დიმიტრი ჯაშის შესახებ, კერძოდ ის, რომ მოურავი ჯაში მატყუარა და არაკეთილსინდისიერი კაცი გამოდგა და როცა ახალ მოურავს ვნახავ, მერე ჩამოვალო. ზემოთ აღვნიშნეთ, მაგრამ ერთხელ კიდევ დავწერთ, ოლღას მიერ გადმოცემულ სიტყვებში თუ გავერკვევით, გამოდის, რომ ილიამ წერილი გააგზავნა 2-3 ივლისს. 8 ივლისს თავადაც თბილისში წავიდა და საგურამოში ოლღასთან ერთად დაბრუნდა 16 ივლისს. ე.ი. ილიამ, სულ რაღაც 10-12 დღეში მიხვდა, რომ დიმიტრი არა მარტო შეუფერებელი მოურავი, არამედ მის წინააღმდეგ შეგზავნილი პირიც იყო, მაგრამ მის მოსამორებლად არაფერი გააკეთა — ორი თვე კიდევ დაიტოვა მოურავად. ოლღა ჭავჭავაძე ამ სიტყვებს თვითონ არ იტყოდა, მას ეტყოდნენ - ასე თქვიო, რადგან ის იმ დროს ვერ მიხვდებოდა, რომ მისი სიტყვების შინაარსი და ილიას მოქმედება ურთიერთსაწინააღმდეგო იყო.

საყურადღებოა, რომ, როცა ოლღა ჭავჭავაძე 1907 წლის 18 სექტემბერს სასამართლო გამოძიებელს ასეთ ჩვენებას აძლევდა, დიმიტრი ჯაში უკვე ოთხი დღის დაპატიმრებული იყო.

საინტერესოა, რატომ მიიჩნია ილიამ ის მატყუარა და არაკეთილსინდისიერ კაცად? თან მისი მოურავად აყვანის სულ რაღაც ათი-თორმეტი დღის მერე. დიმიტრი მოურავობისათვის შეუფერებელი რომ იყო, ილიამ თავიდან იცოდა. ე.ი. მოურავის არაკომპეტენტურობა მას არ გააკვირვებდა. თუ ილიამ ათ დღეში მოურავში შეიცნო მატყუარა და არაკეთილსინდისიერი კაცი, მაშინ მას თავის მამულში ერთ დღესაც არ გააჩერებდა.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე საგურამოში ახალ მოურავთან ერთად ჩასვლის შემდეგ, სიფრთხილეს იჩენდა. მისთვის რას წარმოადგენდა 23 წლის დიმიტრი ჯაში, რომ თავიდანვე ვერ აღეკვეთა. თუ საეჭვო რამ შეამჩნია დიმიტრის ქმედებაში, თავდაცვის მიზნით ზომები არ მიიღო და ეს მხოლოდ წერილით შეატყობინა ოლღა გურამიშვილს?

ოლღას ჩვენებით, ილიას 8 ივლისამდე, ანუ თბილისში წასვლამდე, ახალი მოურავი უნდა მოეძებნა, მაგრამ თბილისში ისე წავიდა, რომ 8 დღის განმავლობაში

მამული მატყუარა და არაკეთილსინდისიერ ადამიანს დაუტოვა, რაც ილიას ხასიათთან შესაბამისი ქცევა არ იყო. როგორც ჩანს, თბილისშიც 8 დღის განმავლობაში ვერ იპოვა ისეთი საიმედო კაცი, რომელიც მოურავად გამოადგებოდა და მხოლოდ მეუღლესთან ერთად დაბრუნდა საგურამოში. დიმიტრიც, დარჩენილი ზაფხული, ილიას მოურავად დარჩა.

პროფესორ სიმაშვილის ვარაუდით, დიმიტრი ჯაში უშუალოდ იმერლიშვილის შეგზავნილი მოურავი იყო. ამ ვარაუდის შესაბამისად, ილიას ახალ მოურავში სოცდემოკრატი ბოლშევიკი უნდა აღმოეჩინა, რომელსაც მემამულის სამსახურში მდგარ მოსამსახურეებსა და მოჯამაგირეებში ბუნტსა და დაუმორჩილებლობას დათესდა. ასეთ ფაქტს მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ არა ივლისში, არამედ 26 აგვისტოს, თავად ილია ჭავჭავაძის თბილისში გამგზავრების წინა დღეს, როცა მსახურებმა საჭმელზე უარი გამოაცხადეს. ისინი უსაფუძვლოდ უკმაყოფილო იყვნენ საჭმლით (ზაალ ჭავჭავაძის 1907 წლის 1 სექტემბრის დაკითხვის ოქმი, ალ. შუმანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, 1996 წ.). ეს ფაქტი არ შეიძლებოდა დიმიტრის არაკეთილსინდისიერების მიზეზი გამხდარიყო, რადგან ცნობილია, ამის მოთავენი იყვნენ ილიას მსახური მოძღვრიშვილი და მეეტლე ლაბაური. ამაში მოურავი არ იყო ჩართული, მაგრამ მასზე უჭვიც რომ შექმნილიყო, ამის შესახებ ილია ივლისის დასაწყისში ვერ მისწერდა ოლდას. ახალი მოურავის არაკეთილსინდისიერების დამადასტურებელი ფაქტი, რომელიც საგურამოს იმდროინდელ მაცხოვრებლებს მეხსიერებაში შემორჩა და დაფიქსირდა ვინმეს მოგონებაში ან წერილში, არ არსებობს.

მაშ, რაში გამოიხატა მამულების მოურავის, დიმიტრის „მეტყუილეობა და არაკეთილსინდისიერება“? ჩვენი აზრით, არაფერში, მაგრამ მოურავობის პერიოდში ილია მართლაც უკმაყოფილებას გამოხატავდა დიმიტრის მიმართ, რაც დაკავშირებული იყო მოურავის მოვალეობის არასათანადოდ შესრულებასთან. ილიას მოჯამაგირეებმა და მსახურებმა კარგად იცოდნენ თავიანთი ვალდებულებები. როგორც ირკვევა, ილიას თითოეულ მათგანთან გაფორმებული ჰქონია „პირობის წერილი“ (ხელშეკრულება), სადაც ყველა თავის ვალდებულებას ხელმოწერით ადასტურებდა, თუ რა, როდის და როგორ ეკეთებინა.

ამას მოწმობს „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის მიერ საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლში ახლად გახსნილ სკოლაში მასწავლებლად მიწვეული ილია რუსაძე. იგი იქ 1908 წლის ნოემბრიდან ცხოვრობდა და მუშაობდა. თავის მოგონებებში „საგურამოში ნახული და გაგონილი 1908-1911 წლებში“, ის წერს: „...ილია ცდილობდა ... წესრიგი შეეცანა მამულის მართვა-გამგეობაში. მე აქ მოვიგან ორ საბუთს, დაბეჭდილ ბლანკებს. ეს ბლანკები ვნახე ილიას კაბინეტის ბუხრის თავბე“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ილია რუსაძე. მოგონებები „საგურამოში ნახული და გაგონილი 1908-1911 წლებში“;

ჩვენს ხელთაა ასლი, რუსხადის მიერ ილიას ოთახში ნაპოვნი „ბლანკებისა“, რომელთაც აწერია „პირობის წერილი“.

„190- წელსა — დღესა ჩვენ ამისა ქვემოთ ხელის მომწერი თ. ილია ჭავჭავაძე და — მაზრის სოფელს მცხოვრებელი — ვდებთ — ერთმანეთში შემდეგს პირობას:

1) მე ----- ვუდგები თ. ილია ჭავჭავაძეს მოჯამაგირედ წელიწადში — მანეთად — წლის ვადით;

2) თუ ვინცობაა ვადაზედ ადრე გავედი, ან დაუკითხავად და ნება დაურთველად ნავედი სადმე, ჯამაგირზედ ხელი ავილო და თუ მიღებული წინად მექნება რამე ნამსახურობისა, ისიც უკანვე უნდა დავუბრუნო თ. ჭავჭავაძეს;

3) თუ რაც ჩაბარებული მექნება, ჩემის უთაურობით და მოუვლელობით დავკარგე, უნდა ვბლო იმ სიით, რომელიც ამ წერილზედვე დანიშნული იქნება;

4) მე თ. ჭავჭავაძემ უნდა ვაძლიო წელიწადში — მანეთი;

5) თუ ვინცობაა წინათვე მოითხოვა ჯამაგირი, მე ჭავჭავაძე მოვალე ვარ მხოლოდ ნახევარი ჯამაგირი იმ ხნის კვალობაზედ, რაც ხანი ნამსახურობა ექმნება;

6) ჯამაგირის მიღების ნიშნად ყოველი მიღებული ამ ქალაქზედ დანიშნული უნდა ჰქონდეს მოჯამაგირეს და ამიგომაც ყოველთვის, როცა კი ჯამაგირს მოითხოვს მოჯამაგირე, ეს პირობის წერილი უნდა წარმოადგინოს;

7) თუ მოჯამაგირეს ან ლოთობა შეეატყე, ან ხელთ მრუდობა, ან ზარმაცობა, მე ჭავჭავაძეს ნება მაქვს მაშინვე დაფითხოვო და ნამსახურის ჯამაგირზედ ხელი ავაღებინო;

8) თუ მოჯამაგირე ან ავადმყოფობის გამო, ან სხვა რაიმე მიზეზით დამეთხოვება, ეს ქალაქი უნდა წარმოადგინოს და ამბედევი დაინიშნოს, რა დღივამ არის დათხოვნილი;

9) ერთი პირი ამ წერილისა თ. ჭავჭავაძეს უნდა ჰქონდეს და მეორე მოჯამაგირეს“.<sup>1</sup>

საყურადღებოა „პირობის წერილის“ მეშვიდე მუხლი, რომლის მიხედვით, ილია მოჯამაგირეს „მაშინვე“ დაითხოვს. ჰქონდა თუ არა ილიას გაფორმებული თავის მოურავთან „პირობის წერილი“? დადგენილი არ არის. მაგრამ მოურავისთვის არათუ ჯამუშობა, რაიმე „ხელთმრუდობა“ რომ შეენიშნა, „მაშინვე“ მოიშორებდა.

ახლა გავცნოთ ილია რუსხადის მიერ აღმოჩენილ მეორე „ბლანკს“:

„პირობის წერილი 189- წ. - დღესა ჩვენ ამისი ქვემოთ ხელის მომწერი თ. ილია გრიგოლის-ძე ჭავჭავაძე და - მაზრის სოფელში მცხოვრებელი - ვდებთ ურთიერთ-შორის შემდეგს პირობას:

<sup>1</sup> ილია რუსხადე. მოგონებები „საგურამოში ნახული და გაგონილი 1908-1911 წლებში“;

1) მე თ. ილია ჭავჭავაძე ნებას გაძლევ შენ, — საგურამოში და წინამურში, რაც ჩემს ხელთ მამულებია, ნათესებ, ვენახებ, ბალებ, ბოსტნებ და ყორულებ გარდა, საქონელი ატარო საძოვრად, ცყეში კი, საცა მე დაგინიშნავ, იმ ადგილებს საძოვრად მოახვედრო საქონელი წელიწადში მარტო ერთს აპრილის თვის განმავლობაში და მე — უნდა გაძლიოთ თქვენ თ. ჭავჭავაძეს ყოველს უცადს, თუ მოცადს სულზე წელიწადში სამი აბაზი;

2) მე თ. ჭავჭავაძე ნებას გაძლევ შენ -- საგურამოში და წინამურში, რაც ჩემთ ხელთ ცყეებია, შეშა გამოიგანო ურმის სიგრძისა საფნობლივ იმ ადგილებიდან, საცა მე თ. ილია ჭავჭავაძე წინადვე დაგინიშნავ და მე -- უნდა გაძლიო თვითო საყენში თითო თუმანი;

3) მე — რაც სახნავი მიწები მომეცემა საღალედ თ. ილია ჭავჭავაძისაგან, ყოველი ნიშნობლივ თავის მიჯნებით და ზომით ამ წერილში უნდა იყოს დანიშნული; ღალა უნდა ვაძლიო მოსავლის მეოთხედი ძნითა და ჩემის ურმით მივუტანო იქ, საცა დამინიშნავს თ. ჭავჭავაძე. გარდა ამისა, მე — ვალდებული ვარ ყოველ ამისთანა მიწაში, რაც ჭავი და ძეძვი იქნება, ამოვიღო, ყოველს წელიწადს ნახევარი საღალე მიწებისა ვხნა და ვთესო; როცა თვით თ. ილია ჭავჭავაძეს დასჭირდეს თავისთვის საკუთრად და არა სხვისათვის გადასაცემად, ყოვლის უარის უთქმელად ამ წერილით მოცემული მიწები დაუბრუნო როგორც მისი ხელ-უხლებელი საკუთრება;

4) საბალახე რაც შემხვდება სულზე სამ აბაზობაზე მე უნდა გადავიხადო არა უგვიანეს 15-ს ღვინობის თვისა;

5) ცყის ბაჟი საყენზე თითო თუმანი უნდა ვაძლიო წინად, ვიდრე გამოვიგანდე და თუ მოჭრისა და დადგმის დღიდან ერთის წლის განმავლობაში შეშა არ გამოვიგანე, ჭავჭავაძეს ნება აქვს, აღარ მომეცეს შეშა და თავის საკუთრებად დაინარჩუნოს მუქთად;

6) თუ მე - რომელიმე მუხლი ამ პირობის წერილისა დავარღვიე, თ. ჭავჭავაძეს ნება აქვს ათი თუმანი ჯარიმა გამომართოს და ეს პირობის წერილიც გააბათილოს;

7) ერთი პირი ამ პირობის წერილისა, მამასახლისისაგან შემონმეხული, თ. ილია ჭავჭავაძეს უნდა ჰქონდეს და მეორე პირი, თ. ჭავჭავაძისაგან ხელმოწერილი, მე - <sup>1</sup> „**გარდა ზემოთ ნაჩვენები პირობის წერილებისა, თავის ცნობილ წერილში „ნუთუ?“**

**ილია აღნიშნულ ურთიერთობებზეც წერს:** „...იმ ხუთ სოფელში, რომელნიც საგურამოს შეადგენენ, სულ სახელმწიფო გლეხნი დგანან და იქა ჰხენენ და სთესენ, საცა მამულის პატრონს მოურიგდებიან. ამ სოფლებში დიდის ხნიდან დანესებულია, რომ ვინც სხვის მამულს მოხვდება საბალახედ, მამულის პატრონს უნდა აძლიოს

<sup>1</sup> ილია რუსაძე. მოგონებები „საგურამოში ნახული და გაგონილი 1908-1911 წლებში“;

თვეში ერთი შაური თითო სულს საქონელზე. ესე იგი წელიწადში სამი აბაზი, სოფელ წინამურის გარდა, საცა თითო სულზე თითო მანეთს იხდიან წელიწადში, რადგანაც საძოვრად უფრო კარგი მამულია და ქალაქზე უფრო ახლოა; მაშინ,

როდესაც მთიულები და სხვა შორიდან მორეკილ საქონლის პაგრონები, სულ ცოტა რომ ვსთქვა, ექვს-შვიდს აბაზს და ზოგჯერ ორ მანეთსაც იძლევიან თითო სულზე საბალახეს, ისიც ხუთს-ექვს შემოდგომის და ზამთრის თვეებში და არ ამთელის წლის განმავლობაში...“<sup>1</sup>

პირველი დოკუმენტით ილია ხელშეკრულებას აფორმებდა სოფლის მაცხოვრებლებთან, რომლებიც მოჯამაგირებად დაუდგნენ მას. მეორე დოკუმენტით ფორმდებოდა ურთიერთობის პირობა იმ პირებთან, ვინც სარგებლობდა მამულის მიწებით, ტყითა და საძოვრებით. მოურავს, ალბათ, ხელმოწერილი „პირობის წერილის“ შესრულების კონტროლიც ევალებოდა. ამიტომაც იყო საჭირო წერა-კითხვის კარგი მცოდნე მოურავი. ალბათ, მოურავთანაც იყო გარიგებული. ასე გავიდა მოურავისთვის 19 ივნისიდან დაწყებული 27 აგვისტოს ჩათვლით 70 დღე. სტამბაში გაზრდილი, 23 წლის ახალგაზრდა, „პირობის წერილის“ შესაბამისად სოფლის გაუნათლებელ, მაგრამ კუნთმაგარ გლეხობას გადასახადების აკრეფისას ვერ უმკლავდებოდა. იძულებული იყო, გლეხებთან წინააღმდეგობის ასაცილებლად საერთო ენა გამოენახა. ამის გამო მათ დიდხანს ელაპარაკებოდა. შეიძლება არწმუნებდა, რომ გადაეხადათ, მაგრამ მცირე დათმობაზე მიდიოდა, დამატებით დროს აძლევდა, რითიც ილიას გულისწყრომას იმსახურებდა. მოურავი კი ილიას ვერ ეუბნებოდა სიმართლეს, მთავარ მიზეზს - თავის სისუსტეს, რის გამოც ვერ ახერხებდა გლეხებისაგან გადასახადის დროულად აკრეფას; ამას მოყვებოდა ილიასთან თავის მართლება, რასაც ილია მის ტყუილად აღიქვამდა. ვფიქრობთ, ასეთი გარემოებების გამო უთხრა ილიამ თავის მეფუტკრეს, მასლოვს, დიმიტრიზე - ამდენ ხანს რას აკეთებს, ლექციას ხომ არ კითხულობსო და თავად მოურავსაც: „გხედავ რასაც აკეთებთ. გინდათ ხალხის თვალში ანგელობად გამოიყურებოდეთ, მე კი მტარვლად წარმომადგინოთ, მაგრამ არ გესმით, რომ ხალხი თქვენზე მეტად მიყვარს“<sup>2</sup> (მასლოვის ჩვენებიდან, - ავტ.).

ზემოთ მკითხველი გაეცნო, თუ რა ვალდებულებები ჰქონდათ მხარეებს - მემამულეს და გლეხებს, ახლა ვიკითხოთ - როგორი ვალდებულება ჰქონდა ახალ მოურავს ილიასთან და ილიამ რა ჯამაგირი დაუნიშნა მას? მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მკვლევრის მიერ მოკვლეულ დოკუმენტებს გავეცანი, ვერსად ვერ შევხვდით დიმიტრი ჯაშის ჯამაგირის ცნობას. არც „პირობის წერილის“ მსგავს ხელშეკრულებას, ილია ჭავჭავაძესა და დიმიტრი ჯაშს შორის გაფორმებულს. იქნებ

<sup>1</sup> „ნუთუ?“, „ივერია, №68. დამატება 1905 წ.;

<sup>2</sup> ალ. შუშანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, „მერანი“, 1996 წ. თბილისი;

დღიმიტრი არც იყო კმაყოფილი ილიას შეთავაზებით? შეიძლება ამ მიზეზით რაიმე არაკეთილსინდისიერი საქმე ჩაიდინა?

დღიმიტრი ჯამის - ილიას მოურავის ანაზღაურების შესახებ ცნობას თავის მოგონებებში გვაწვდის დღიმიტრის მეუღლე დარია ჯამი, რომელიც წარმოვადგინეთ შემოთ, როდესაც დღიმიტრის ილიასთან მოურავად დადგომის მოტივაციები განვიხილეთ. კიდევ ერთხელ და ბევრჯერ მოვიტანთ ამ ჩანაწერს, რომ დარწმუნდეს მკითხველი, თუ რას ჰპირდებოდა ილია თავის მოურავს კეთილსინდისიერი შრომისათვის. „ილიამ დღიმიტრის უთხრა, მე შენ წინასწარ ლუკმას არ გიზომავ სამსახურისათვის და ჯამაგირს არ გინიშნავ. რამდენიც გინდა შენი ცოლშვილისათვის იმდენი აილე და მოიხმარე ფული, პრადუქტი, საჭმელი, სასმელი, რამდენიც დაგჭირდება, თუ კარგად იმუშავებ, ერთ წელიწადში ბანკიდან რეკვიზირებული 12 ოთახიან სახლს შეგაძენინებ თბილისში და 25 დესეცინა მამულს ან საგურამოში ან მუხრანში, რომ შენს ცხოვრებაში წელგამართული ეკონომიურად და ბედნიერად იცხოვროს შენმა ცოლშვილმა.“<sup>1</sup>

რადგან მკვლევრების მიერ არ არის მიკვლეული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორც იყო მემამულესა და მოურავს შორის გარიგება, შესაბამისად, არ არის დადგენილი, თუ რამდენს უხდიდა ილია დღიმიტრის ან რას ჰპირდებოდა სამომავლოდ, დარიას მოგონებიდან ის ფრაგმენტი, რომელიც ანაზღაურებასა და სხვა სიკეთეს ეხება, გარკვეულწილად, რეალურად უნდა მივიჩნიოთ. ილია თუ მიმართავდა სახელშეკრულებო ურთიერთობას და „პირობის წერილი“ გაფორმებული ჰქონდა მოჯამაგირებთან, მისი მამულის სიკეთით მოსარგებლებთან, შეუძლებელია, მას მოურავისათვის ხელშეკრულება არ გაეფორმებინა, წერილობითი ან სიტყვიერი, შესაბამისად, მისთვის კარგი ჯამაგირი არ დაენიშნა. ილიას სიტყვიერ პირობას დღიმიტრის ცოლიც ესწრებოდა, რაც მეხსიერებაში მოგონებად დარჩა დარიას.თუ სიტყვიერი გარიგება იყო მათ შორის, არც ის შეიძლება, რომ დარიას სიტყვებით გადმოცემული ილიას დაპირება საეჭვოდ მივიჩნიოთ.

ახლა ვიკითხოთ: ისეთი რა არაკეთილსინდისიერი საქციელი ჩაიდინა დღიმიტრიმ, რომ ყოველივე ილიასგან დაპირებული სიკეთე 10-12 დღეში წყალში გადაყარა?

მოურავის მხრიდან გლეხებისაგან აღებული დალის მითვისებას, რასაც ქურდობა და არაკეთილსინდისიერი საქციელი ეწოდება, ადგილი არ ჰქონია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ერთი ფაქტი ილიას მიერ მოურავი ჯამის დაუყონებლივ დათხოვნას და პასუხისმგებაში მიცემას, ხოლო დღიმიტრის არაკეთილმოსურნეების მხრიდან კრიტიკული წერილების და მოგონებების წერას გამოიწვევდა, რაც არ მომხდარა.

<sup>1</sup> დ. კობლატაძე-ჯამი , „მოგონებები“ მანქანაზე დაბეჭდილი,1965წ.ბათუმი;

შესაძლებელია, ილიას არ მოეწონა არა მარტო არაკომპეტენტური მოურავი, არამედ მისი ფეთქებადი ხასიათი, რომლითაც გამოირჩეოდა დიმიტრი ჯაში. მაგრამ ასეთი ბუნების კაცი არაკეთილსინდისიერად მიეჩნია - ნაკლებად დასაჯერებელია. ქართულ სინონიმთა ლექსიკონის მიხედვით, არაკეთილსინდისიერის სინონიმია: უპატიოსნო, უსირცხვილო. ამ სიტყვებს კიდევ 70-ზე მეტი სინონიმი აქვს, მათ შორის - ურცხვი, მოურიდებელი, უნამუსო, უბოდიშო, უტიფარი, სინდისგარეცხილი, ზნედაცემული, გარყვნილი, გათახსირებული, წამხდარი, უწმინდური.

თუ ილია ჭავჭავაძე თავის მოურავს ზემოთ მოტანილ თუნდაც ერთი სიტყვის შესაბამის თვისებას შეამჩნევდა, არ ვფიქრობთ, რომ რაიმე მიზეზი შეაჩერებდა მას. მისი მოურავად დატოვება უფრო მეტ ზიანს მოუტანდა მამულს, ვიდრე უმოურავოდ დარჩენილი მამულიდან მიღებული შემოსავალი იქნებოდა, რომელიც გლეხების სინდის-ნამუსით, საკუთარი ნებით გადახდილი შეკვეცილი გადასახადიდან შეგროვდებოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ილიას ოლღასათვის არ მიუწერია ის სიტყვები, რაც მან გამომძიებელს უთხრა. მაშ, საიდან გაჩნდა ოლღას სიტყვები: „ილია მწერდა: „დ.ჯაში მეტყუილე და არაკეთილსინდისიერი კაცი აღმოჩნდა“.

1908 წლის 28-29 ნოემბერს, კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლომ დია სამსჯავრო სხდომაზე, განიხილა ლაბაურის, მოძღვრიშვილის და ხიზანიშვილის ბრალდების საქმე. პირველ დეკემბერს განაჩენი გამოცხადდა და სამივე განსასჯელს მიესაჯა სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით.

ორი კვირის თავზე, 1908 წლის 13 დეკემბერს, გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა წერილი სათაურით: „ილია ჭავჭავაძის ქვრივის თხოვნა“, რომლითაც ოლღა ჭავჭავაძემ თბილისის გენერალ-გუბერნატორს მიმართა დამნაშავეთა შეწყალებით.

დავსვათ კითხვა, ხომ არ აქვთ რაიმე საერთო ერთმანეთთან ოლღა გურამიშვილის გაზეთ „დროებაში“ 1908 წლის 13 დეკემბერს გამოქვეყნებულ წერილსა და მის იმ ჩვენებას, სადაც ჯაშს „მეტყუილედ“ მოიხსენიებს. ჩვენი აზრით - აქვთ. ორივე ეს განცხადება ოლღა გურამიშვილმა ნაცნობ-მეგობრების ზემოქმედებით დაწერა და თქვა. ამას ადასტურებს გურამ შარაძის შემდეგი ჩანაწერი: „ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოღლეს ბიბლიოთეკაში მივაკვლიე მარტორი უორდროპისადმი 1909 წლის 11 მარტს გაგზავნილ ოლღა ჭავჭავაძის უცნობ წერილს, საიდანაც ირკვევა, რომ მის მიერ ილიას მკვლელთა შეწყალება გამონეუული ყოფილა მკვლელთა ორგანიზაციის საგან მისი დაშინებითა და იძულებით, და ეს დაშინებულები რომ მეფის ოხრანკა არ იყო, გასაგებია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ილიას მკვლელებს მეფის მთავრობა შეიწყალებდა და არ ჩამოახრჩობდა. აი, რას წერს ოლღა ჭავჭავაძე ინგლისელ მეგობარ ქალს: „რაც შეეხება ჩემს წიგნს, რომელიც „დროებაში“ იყო დაბეჭდილი (...1908 წ. 13 დეკემბერს... გ.შ.), გარემოებამ მიხელმძღვანელა, მეთხოვა პატიება.

წერილით ყველაფერს საესებით ვერ გაგაგებინებთ და თუ ღმერთი მალერსებს თქვენს ნახვას, მაშინ თქვენ თვითონ გაითვალისწინებთ“.

„როგორც ვხედავთ, ოღლა ჭავჭავაძე ვერ ბედავს წერილით შეაგყობინოს მარტორი უორდროპს, თუ ვინ აიძულა ...ეთხოვა ილიას მკვლელობა შეწყალება და ჰპირდება, როცა პირადად შეხვდება, მაშინ უამბობს ნამდვილ მიზეზს. სამწუხაროდ, მათი შეხვედრა ვერ მოხდა“.<sup>1</sup>

ოღლა ჭავჭავაძეს „ოხრანკა“ რომ არ აიძულებდა, ეთხოვა შეწყალება, ვრწმუნდებით იქიდან, რომ რუსეთის სათათბიროს, სხვა საკითხებთან ერთად, მეფისა და სახელმწიფო საბჭოს წინაშე სურდა დაეყენებინა საკითხი სიკვდილით სასჯელის გაუქმების შესახებ, რასაც მხარს უჭერდა ილია, ხოლო სასტიკი წინააღმდეგი იყო სტოლიპინი, რუსეთის პრემიერმინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი. იგი, თავისი „ოხრანკის“ დეპარტამენტის მონაცემებით, არწმუნებდა რუსეთის მეფეს, რომ რუსეთის „ღუმა“ გაერეკა, რაც მოხდა კიდევ.

ორტომეულში წარმოდგენილი დოკუმენტით, გურამ შარაძემ დაგვანახა, რომ ოღლა ჭავჭავაძე, მასთან დაახლოებულ პირებს დაჰყვავა და თანხმობა მისცა, მისი სახელით წერილობით მიემართათ ვორონცოვ-დაშკოვისთვის თხოვნით დამნაშავეთა შეწყალების შესახებ. უფრო ადრე, 1908 წლის 26 იანვარს, მასთან დაახლოებულ თავადაზნაურობის რჩევით თუ გავლენით, წერილი მისწერა (შესაძლებელია, ოღლას თანხმობით, სხვამ დაწერა -ავტ.) მეფისნაცვალს:

„ჩემი ქმრის გრაგიკულმა სიკვდილმა ააღელვა თავად-აზნაურობა და სხვა წოდებანი ...მთელი საზოგადოება მოუთმენლად მოეღის, რომ ...მკვლელობა გამომკარავდება. ...მაგრამ საგამოძიებო კამერამ ჯერ კიდევ ვერ უთხრა საზოგადოებას სიმართლე, ვერ დაუდ გინა მკვლელები, რომლებიც სასამართლოსა და სასჯელს ემალეებიან...მეყო გამბედაობა, შევანუხო თქვენი ბრწყინვალეობა უაღრესად მოკრძალებული თხოვნით: უბრძანოთ ხელისუფლებას... დამნაშავეთა შესაპყრობად...“<sup>2</sup>

დნელია, იმის გაფიქრება, რომ ოღლას ნაცნობ-მეგობრებიდან ვინმე ახლობლობდა ილიას მკვლელობის ორგანიზატორებთან, მაგრამ, ნურაფერს გამოვრიცხავთ.

მნიშვნელოვანი ფაქტია: ამ წერილის დაწერამდე ერთი თვით ადრე, 1907 წლის 16 დეკემბერს, დიმიტრი ჯაში პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

ოღლას 1907 წლის 18 სექტემბრის ჩვენება და მისი 1908 წლის 26 იანვარს მეფისნაცვალისთვის წერილის გაგზავნა აჩენს საეჭვო კავშირებს დიმიტრის დაპატიმრებასა და გათავისუფლებასთან. მკვლელობის ორგანიზატორებს, ალბათ, ძალიან უნდოდათ ილიას მკვლელობა მის მოურავს დაბრალებოდა.

<sup>1</sup> გ. შარაძე, ტ. II „ილია ჭავჭავაძე“, „მერანი“, 1990 წ. თბილისი;

<sup>2</sup> გ. შარაძე, ტ. II „ილია ჭავჭავაძე“, „მერანი“, 1990 წ. თბილისი;

ზემოთ მოყვანილი მასალითა და მსჯელობით, ჩვენც ვფიქრობთ, ჯერ კიდევ გონს ვერმოსული ოღლა ასევე აიძულეს, ეთქვა გამომძიებლისათვის, მოურავის შესახებ შემდეგი სიტყვები: „ილიამ მომწერა, ახალი მოურავი მეტყუილე და არაკეთილსინდისიერი კაცი აღმოჩნდა“. დაუჯერებელია, რომ ასეთი სიტყვების შემდეგ ილიამ დიმიტრი მოურავად დაიტოვა, ან — დაუჯერებელია ილიას ასეთი სიტყვები მიეწერა ოლდასათვის და ოლდამ ზაფხულის თითქმის ორი თვე ისე გაატარა, რომ კითხვებით, ერთხელაც არ შეახსენა ილიას, — თუ ჩვენი მოურავი არაკეთილსინდისიერი კაცია, რად ცხოვრობს იგი ჩვენს გვერდით? რატომ არ დაითხოვ? ილიას ზნეობაზე წერას ჩვენ ვერ გავბედავთ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ილია ჭავჭავაძე მეტყუილე და არაკეთილსინდისიერ ადამიანს, თავის მამულში, ერთ დღესაც არ დატოვებდა და მასთან ერთად, თავის მამულში, ერთ დამესაც არ გაათვდა. სწორედ ამ მიზეზით, ოლდას ჩვენება, რომელსაც ბევრი მკვლევარი დაეყრდნო, ჩვენი აზრით, სიმართლეს არ შეესაბამება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯამის წინააღმდეგ გამოთქმული სიტყვები გამომდინარეობს ოღლა გურამიშვილის ჩვენებიდან, რომელიც, ამ თავში მოყვანილი დოკუმენტებითა და მსჯელობით, ილიას არ უნდა ეკუთვნოდეს. და თუ მაინც ილია ჭავჭავაძის ნააზრევია, ამასთან დაკავშირებით მკითხველს შევთავაზებთ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვან სათქმელს:

თუ დიდ ილიას დიმიტრი ჯამი არაკეთილსინდისიერ ადამიანად მიაჩნდა, სამწუხაროა, რომ იგი დროზე არ დაითხოვა. მაშინ დიმიტრი იძულებული გახდებოდა, დავალება - ხელმძღვანელობა გაეწია ილიას მკვლელობის მომზადებისათვის, თუ ასეთი რამ მას მართლა დავალებული ჰქონდა, შეესრულებინა ტერორისტებთან ერთად, ღიად. მკვლელობის უშუალო შემსრულებლები კი არა მარტო „იმერელსა“ და ბერბიჭაშვილის ვინაობას დაასახელებდნენ, არამედ დიმიტრისაც ამხელდნენ, იტყოდნენ, ეს იყო ჩვენი ხელმძღვანელიო. ილიას ყოფილ მოურავს მკვლელობის შემდეგ დააპატიმრებდნენ ან მიმალვაში აღმოჩნდებოდა „იმერელივით“ და ბერბიჭაშვილივით. დადგენილი იქნებოდა მისი კონკრეტული ბრალეულობა ყოველგვარი ბუნდოვანი ვარაუდების გარეშე და სასჯელი არ ასცდებოდა. მის დაცვას მისი გვარიდანაც კი ვერავინ გაბედავდა.

ამის დასტურია ფრაგმენტი არკადი ხუნდაძის მოგონებიდან: „როდესაც ილია ჭავჭავაძის მოკვლის ამბავი სოფლად ჩამოვიდა, ამასთან ერთად, ამ მიზეზით დიმიტრი ჯამი დაუჭერიათო. დიმიტრის ოჯახში დიდი მწუხარება შეიქმნა, მით უმეტეს, რომ ილიას მოკვლა დიმიტრის ბრალდებაო. დიმიტრის დედამ (გათხოვებამდე ხუნდაძე-ავტ.) დაინყო შვილის გამოცირება და ლოყებ დაკანონული გლოვობდა მას. დიმიტრის მამა სოფრომ ჯამი უფრო სხვა ხასიათის აღმოჩნდა, მოტირალ ცოლს დატყუებდა

დაუნყო - „თუ ილიას მკვლელობაში დიმიტრის ხელი აქვს, არ გაბედო მასზე ხმის ამოღება, რაც მოუკა, არ ვიდარდებო.“<sup>1</sup>

ოლღას ჩვენებაში წარმოდგენილი საკვანძო ფრაზა, დარწმუნებული ვართ, არ იყო ილია ჭავჭავაძის ნააზრევი, სხვაგვარად, ილია მალევე დაითხოვდა დიმიტრი ჯამს.

## ყარამან ფაღავას შესახებ

თენგიზ სიმამვილი ყარამან ფაღავას შესახებ წერს, რომ მან საბჭოთა მართლ-მსაჯულებას 1941 წელს ხელისუფლებისათვის მისაღები ინფორმაცია მიაწოდა. მოვიყვანოთ მის სიტყვებს:

„უთელი, რომ ყარამან ფაღავას ჩვენება სწორი არაა. ვფიქრობ, რომ საკმაოდ ასაკიანმა, ოციანი და ოცდაათიანი წლების რეპრესიებს გადარჩენილმა, როგორც მას ახასიათებდნენ თანამედროვეები, კარგმა პიროვნებამ და ადამიანმა, საბჭოთა მართლ-მსაჯულებას ხელისუფლებისათვის მისაღები, ნაწილობრივ შეცვლილი ინფორმაცია მიაწოდა. დაახლოებით იმდღევარი, როგორცაა, 1942 წლის 5 იანვარს გ. ბერბიჭაშვილის სასამართლოზე მის მიერ, აშკარად საბჭოთა ხელისუფლების საამებლად ნათქვამი შემდეგი სიტყვები: „ცხეში სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებმა ზაბასტოვა გამოაცხადეს, საკმელი არ მიიღეს ილიას მკვლელობის გამო.“ არადა მას, 1907 წელს, ამ საკითხთან დაკავშირებით სულ სხვა, მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია გააჩნდა.

ჩემი ამ მოსაზრების დასადასტურებლად მომეყვას ყარამან ფაღავას მიერ 1907 წელს დაწერილი განმარტებითი ბარათიდან შემდეგი მასალა. 1907 წლის 7 დეკემბერს, ყ. ფაღავა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით წერს: „მე ვცდილობ დავაკუო ილია ჭავჭავაძის მკვლელეები ფშავლიშვილი, ინაშვილი და ბერბიჭაშვილი, მაგრამ შედეგი არ ჩანს. ეს მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო მკვლელეებთან, არამედ სხვა ადამიანთა დიდ მასასთან, რადგან თავად ი. გ. ჭავჭავაძის მკვლელობა, ცნობილია, რომ ჩადენილია პოლიტიკურ ნიადაგზე ცნობილი პარტიისაგან და რომ ამ მკვლელობას თანაუგრძნობს როგორც ადგილობრივი, ასევე ქალაქ თბილისის მოსახლეობის ნაწილი. ამიტომ, მკვლელეები ყველგან

<sup>1</sup> შ. მარკოზაშვილი, „ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი მოურავი“, გვ.66, 2004 წ. თბილისი; გ. მარაძე, ტ. II „ილია ჭავჭავაძე“, „მერანი“, 1990 წ. თბილისი;

ნახულობენ თავშესაფარს, რათა დაემალონ ხელისუფლების მხრიდან დევნას“.

ცხადია, „ცნობილი პარტია“ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია იყო, რომლის მემკვიდრე რუსეთის კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტია 1930-იანი წლების შუა პერიოდში სასტიკ რეპრესიებს მიმართავდა და ახშობდა ყოველგვარი საწინააღმდეგო აზრის გამოვლინებას. შედეგად კი, როგორც ვნახეთ, იღებდა მისთვის სასურველ ჩვენებებს და როგორც უნდოდა, ისე აყალბებდა ისტორიას.

...მინდა აღვნიშნო რომ მის ჩვენებებში საკმაოდ ბევრი უზუსტობებია. მაგალითად, 1941 წლის 12 ივნისს, გ. ბერბიჭაშვილის საქმეზე წინასწარი გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებაში ყ. ფალავა შეცდომით უთითებს, ილია ჭავჭავაძის პროცესზე დიმიტრი ჭაშის არგამოცხადებას. სინამდვილეში, როგორც ვაგვით „დროების“ 1908 წლის 2 დეკემბრის ნომერში ვკითხულობთ: „ილია ჭავჭავაძის მკვლელებზე სასამართლო პროცესზე მონაწიეების მოკითხვის დროს სხვათა შორის არ აღმოჩნდა ერთი მონაწიე, ილიას ნამოურავალი დიმიტრი ჭაში. ბოლოს, როცა მონაწიეები მოიკითხეს ფიცის მისაღებად, ჭაში სასამართლოს წინაშე წარსდგა და განაცხადა: მე სასამართლოში მოვედი, როგორც ვაბ. „უაჯუბის“ წარმომადგენელი. თუმცა მე უწყება არ მიმიღია, მაგრამ თუ სასამართლო მოისურვებს, ვაჩვენებ რაც ვიცი ამ საქმის.“ (დოკ.- 36.2) აქვეა მოთავსებული დიმიტრი ჭაშის, როგორც მონაწიის ჩვენებაც.

საკმაოდ დიდი განსხვავებებია, ასევე, ყ. ფალავას სხვა ჩვენებებსა და მოგონებებში: „დავიჭირეთ ეს მწყემსი, თოფიც ნახეს. ის რომლის ცყვია შუბლიდან ამოუღეს ილიას, ამ თოფის არის. მეორე ბერდენკის ცყვია გულში ჰქონდა მოხვედრილი ილიას.“ სინამდვილეში კი, როგორც ვიცით, ილია ჭავჭავაძეს მხოლოდ ერთი ცყვია ჰქონდა მოხვედრილი - გულში, რომელმაც სხეულში გაიარა და ცხადია, ექიმმა ცხედრის გაკვეთისას ის ვერც იპოვა“.<sup>1</sup>

დავეთანხმებით ბატონ მეცნიერს ყარამან ფალავას მიერ 1941-1942 წლებში მიცემული ჩვენებების შეფასებაში. ისინი სიმართლეს რომ არ შეესაბამებოდა, ამის შესახებ ადრე წერდნენ მეცნიერები - შუშანაშვილი და გრიგალაშვილი. გადავხედოთ ალექსანდრე შუშანაშვილის წიგნში წარმოდგენილ დოკუმენტაციას, რომელიც საბჭოთა გამოძიებამ და სასამართლომ 1941-1942 წლებში შეადგინა.

1941 წლის 12 ივნისი—3 ივლისი. ამონაწერი წინასწარ გამოძიებაზე 84 წლის ფალავას დაკითხვის ოქმიდან: „...ქურდობა იყო სოფ. საგურამოში. დავაყენე სტრაჟა... ..ურიაღნივი ემეცი... როცა მივედი მეორედ საგურამოში და ვინახულე ი. ჭ., მითხრა არა

<sup>1</sup> თ.სიმაშილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011წ. თბილისი;

ვარ თქვენგან კმაყოფილი. ეს ეკბეკეცია არ არის, რომ თქვენ სტრაჟა დააყენეთო, საგურამოს გლეხები დამნაშავეები არ არიანო. ჩავედი ქალაქში და ვინახულე ანგონ ფურცელაძე, რომ მოვდივარ ...ვხედავ ჟანდარმერიიდან გამოვიდა ჯაში. მას შემდეგ არ გასულა სამი თვე და ილია მოკლეს... მივდივარ და ვფიქრობ, ეს მთავრობა ილიას უყურებს როგორც მტერს და მისი მოურავი ჟანდარმერიიდან გამოვიდა, როცა ამას ვფიქრობდი, გავიხედე და მცხეთის ჟანდარმერიის უფროსი მოდის და მე ვუთხარი იმ ჟანდარმს, მითხარით გეთაყვა, თქვენი კანცელარიიდან რომ კაცი გამოვიდა ...იცნობთ. როგორ არაო, ილია ჭავჭავაძის მამულის მოურავია, გვარად ჯაში, ჩვენი აგენციაო“... ერთი კვირის შემდეგ გავიარე საგურამოში და ი.ჭ. მითხრა, სად მიდიხარო.“<sup>1</sup>

1938 წელს გუგუშვილის მოთხოვნით ყარამან ფაღავამ მოგონება დაწერა, რომელიც შევიდა იმავე წელს გამოცემულ გუგუშვილის წიგნში „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“. ამ ნაწერში ყარამან ფაღავა კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორი დიმიტრი ჯაში იყო და ეს წერილი გუგუშვილმა მანამდე გააცნო საზოგადოებას, სანამ ბერბიჭაშვილის საქმეზე ძიება დაიწყებოდა და სასამართლო გაიმართებოდა. გუგუშვილის სცენარით დადგმული ფარსი ბევრმა მკვლევარმა ისე გაიმეორა, რომ ყურადღება არ მიაქცევს ყარამან ფაღავას დროსა და სივრცეში შეუსაბამო ჩვენებებს.

ზემოთ მოყვანილი გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებაში ფაღავა სიმართლეს არ ამბობს, იგი ან ცდება, ან შეგნებულდ მიუთითებს იმას, რასაც მისგან მოითხოვენ:

საგურამოში ქურდობა კი არ იყო, არამედ ილიას მოურავი მოკლეს. „სტრაჟა“-ოთხი ჩაფარი და ურიადნიკი ემეცი მას არ დაუყენებია, იგი დააყენა იმ დროს დუშეთის მაზრის უფროსის მ.მ. კაპიტანმა შმერლინგმა;

ფაღავა მაზრის უფროსი გახდა 1907 წლის 14 აგვისტოს. მანამდე იგი მუშაობდა ახალქალაქის მაზრაში. მისი ჩვენებით, როცა ჯაში ჟანდარმერიიდან გამოსული დაინახა, მას შემდეგ არ გასულა სამი თვე და ილია მოკლეს. დიმიტრი მოურავი გახდა 19 ივნისს, 26-27 ივნისს თბილისში იყო ჩასული საგურამოში თავისი ოჯახის წასაყვანად. ფაღავამ ჟანდარმერიიდან გამოსული ჯაში იმ დროს თუ დაინახა, ეს, ილიას მკვლელობამდე სამი თვით კი არა, ორი თვით ადრე ყოფილა; „...ვხედავ ჟანდარმერიიდან გამოვიდა ჯაში“. მისი სიტყვებით, ეს ხდება ილიას მკვლელობამდე სამი თვით ადრე. იმ დროს ყარამან ფაღავა ახალქალაქის მაზრაში თავის მოვალეობის ასრულებდა, მაგრამ, თუ მაინც თბილისში იყო და დაინახა ჯაში, იგი მას ყურადღებას არ მიაქცევდა, რადგან ფაღავამ ჯაში გაიცნო 1907 წლის 14 აგვისტოს შემდეგ, როცა იგი შეუდგა დუშეთის მაზრაში მუშაობას;

„ერთი კვირის შემდეგ გავიარე საგურამოში და ილია ჭავჭავაძემ მითხრა სად მიდიხარო“... მხედველობაში აქვს ის დრო, როცა ჟანდარმერიიდან გამოსულმა ჯაში

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილ.ჭავჭავაძის მკვლელობა“, „მერანი“, თბ., 1996 წ.

დაინახა. ამ დროს ფაღავა ახალქალაქის მაზრის უფროსის თანამემწეა. ილია ჭავჭავაძეს ეს რომ ეთქვა სად მიდიხარო, ფაღავას იგი უნდა ენახა. ახალქალაქის მაზრის მნიშვნელოვანი თანამშრომელი ჟანდარმერიიდან გამოსული ჯაშის დანახვის შემდეგ ერთ კვირაში რატომ გაივლიდა საგურამოში? მას იქ არაფერი ესაქმებოდა. ფაღავას ჩვენებაში კიდევ არის მსგავსი შეუსაბამობა: „ერთი თვით ადრე ილიას მკვლელობამდე, როგორც მაზრის უფროსი, სტუმრად ვიმყოფებოდი ილიასთან სადილათ“. ფაღავა ღუშეთის მაზრაში დაინიშნა მკვლელობამდე 16 დღით ადრე. შესაბამისად, ერთი თვით ადრე, როგორც მაზრის უფროსი, საქმიანი სტუმრობით ვერ მივიდოდა ილიასთან;

შესაძლებელია, რომ 84 წლის ადამიანს არ ახსოვდა 34 წლის წინ მომხდარი ფაქტები. იმისათვის, რომ ყარამან ფაღავას საქმიანობა ობიექტურად განვიხილოთ, შევაჯეროთ მის მიერ 1907 წელს ჩატარებული მოქმედებებიც.

ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით პირველი დოკუმენტი, რომელიც ფაღავამ 1907 წლის 31 აგვისტოს შექმნა, იყო თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის სახელზე შედგენილი რაპორტი, სადაც წერს, რომ მკვლელობის ადგილზე გვიან 12 საათზე ჩავიდა, ე.ი. როცა დამთავრდა 30 აგვისტო.

ამას ადასტურებს 1907 წლის 3 სექტემბრის სტანისლავ გრიციუნასის დაკითხვის ოქმი: „შემთხვევის შესახებ შეგცობინების მიღებისთანავე ჩემთან მყოფ ჩაფრებთან ერთად გავემგზავრე ბოროტგმზრახველთა საძებრად. მაგრამ ვერაფერ აღმოვაჩინე. შემდეგ ჩამოვიდნენ მაზრის უფროსი და დაცვის ოფიცერი ჩაფრებით.“<sup>1</sup> ე.ი. ყარამან ფაღავა მკვლელობის ადგილზე 30 აგვისტოს გრიციუნასის შემდეგ ჩავიდა.

ალექსანდრე შუშანაშვილს თავის წიგნში „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ 109-გვერდზე მოტანილი აქვს ფაღავას 5-6 სექტემბრის მოკვლევის ოქმი: „მე ღუშეთის მაზრის მმართველი თავადი ფაღავა ჩამოვედი სოფ. საგურამოში თავად ი.გ. ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეზე დამატებითი მოკვლევის ჩასატარებლად და ფარული გზით მივიღე ცნობები, რომ ამ მკვლელობაში მონაწილეობდნენ განსვენებული თავადის მსახური სოფ. საგურამოს მცხოვრები გოგლა მოძღვრიშვილი და ყოფილი მოურავის, მოსე მემარნიშვილის და მისი ცოლის მკვლელობაში ეჭვიმტანილი, სოფ. ახალსოფლის მცხოვრები პავლე ფშაველიშვილი (აფციაური) და ორი უცნობი. — სარწმუნო წყაროებიდან მოპოვებულია ცნობები, რომ თავად ი.გ. ჭავჭავაძის მკვლელობის გეგმა თვითონ თავადის სახლში შედგა და სავარაუდოა, რომ ეს მოხდა მოურავ ჯაშის ხელმძღვანელობით (ჯაში არ არის სანდო ვაცი, როგორც ირვევეა, მოურავად გახდომამდე რაღაც საიდუმლო ორგანიზაციის წევრი ყოფილა, რაშიც მოკვლეული თავადის ახლო ნათესავებიც ეჭვობენ)...“.

<sup>1</sup> ალ. შუშანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, „მერანი“, 1996 წ. თბილისი;

1907 წლის 3 სექტემბრის დადგენილებით, ილიაშენკომ ლაბაური პასუხისგებაში მისცა და პატიმარი მეტეხის ციხეში გადაიყვანეს.

თენგიზ სიმაშვილის მიერ მიკვლეული სამძებრო პოლიციის ჩინოვნიკის გ.(პ) ფიცხელაურის 1907 წლის 4 სექტემბრის წერილში, რომელიც თბილისის სამძებრო განყოფილების უფროს პეტრე ევტუშევსკის გაეგზავნა, არსებობდა ინფორმაცია, რომ თავად ჭავჭავაძის მკვლელების შესახებ უნდა სცოდნოდა დუშეთის მაზრის სოფელ მცხეთის მცხოვრებს ვინმე „ილია მცხეთელს“. ფიცხელაური წერილში მიუთითებს, რომ საჭირო იყო „ილია მცხეთელისა“ და ასევე მეფაიტონის დაჭერა, რომელიც იცნობდა პირებს, ვინც ჩაიდინა თავად ჭავჭავაძის მკვლელობა.

ყარამან ფაღავამ როცა შეადგენა 1907 წ. 4-6 სექტემბრის მოკვლევის ოქმი, მას არ ეცოდინებოდა „ილია მცხეთელის“ შესახებ. ამ ინფორმაციას იგი 15 სექტემბერს ევტუშევსკისთან შეხვედრის შემდეგ გაეცნობოდა, როცა საგურამოში ჩავიდა ევტუშევსკი და მოიკვლია ილიას მკვლელობის გარემოებები. ამ შეხვედრისას ორივე ვალდებული იყო, ერთმანეთისათვის მოპოვებული ინფორმაციები გაეზიარებინათ. ფაღავა გაეცნობოდა ფიცხელაურის 1907 წლის 4 სექტემბრის წერილს და წაიკითხავდა, რომ საჭირო იყო „ილია მცხეთელისა“ და ასევე მეფაიტონის დაჭერა. მაგრამ ფაღავას მიერ შედგენილ 1907 წლის 17-22 სექტემბერის მოკვლევის ოქმშიც, არანაირი ჩანაწერი არ არსებობს „ილია მცხეთელის“ შესახებ. სამაგიეროდ, ფაღავა ისევ ჯამზე მიუთითებს და ასათიანს ამბობს: (იქვე, გვ.141): „ჩავატარე ღამაგებითი მოკვლევა. გამოირკვა, რომ ...მკვლელობას ხემძღვანელობდნენ, ი. ჭავჭავაძის მოურავი დ. ჭაში, რომლის შესახებ ცნობები 5-6 სექტემბრის ოქმშია გადმოცემული და ლავრენცი ასათიანი.“<sup>1</sup> გარდა აღნიშნულისა, ილიას მკვლელებად ლაბაურის ინფორმაციით ოქმში დასახელებული ჰყავს ფშავლიშვილი, მოძღვრიშვილი, ბერბიჭაშვილი, ინაშვილი, შერმადინი, მაგრამ „ილია მცხეთელის“ შესახებ ისევ არ წერს. ჩვენი აზრით, ფაღავამ შეგნებულად აარიდა თავი „ილია მცხეთელის“ მიმართ მოკვლევის დაწყებას. მოგვიანებით, იგი, ყველა ჩვენებაში თავს იმართლებს უხეიროდ მოკვლევის დაწყებისათვისა და ზემდგომი გამომძიებლის სხვადასხვა დავალების შეუსრულებლობას უსუსური მიზეზებით ხსნის.

წავიკითხოთ თბილისის გუბერნატორისათვის 1907 წლის 5 ნოემბერს გაგზავნილი თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის წარდგინება, სადაც აღნიშნულია: „ბაგონ თბილისის გუბერნატორს. სახელმწიფო საბჭოს წევრის, თავად ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეზე წინასწარი გამოძიებისას განსაკუთრებულ მნიშვნელოვან საქმეთა სასამართლო გამომძიებელმა ილიაშენკომ დუშეთის მაზრის მმართველს თავად ფაღავას შეატყობინა ამ საქმეზე მის ხელთ არსებული ზოგიერთი გარემოება და დაავალა მათი საპოლიციო მოკვლევიტ შემონშება. სხვათა შორის,

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, „მერანი“, 1996 წ. თბილისი;

დაავალა საფუძვლიანად შეემონებინა გლეხების, პავლე ფშაველიშვილისა და გიგოლა ბერბიჭაშვილის პიროვნება, რომელთაც ბრალდებული ლაბაური აღნიშნული დანაშაულის უშუალო მონაწილეებად ასახელებს. მაზრის მმართველ თავად ფალავასათვის მაშინვე იყო ცნობილი, რომ ფშაველიშვილსა და ბერბიჭაშვილს, პოლიციის ურიადნიკი ვასილ ემეცი კარგად იცნობს და ადრეც იცნობდა. ამა წლის 5 ნოემბერს N161 მიმართვით მაზრის მმართველს მეც დაუუდასტურე, სასწრაფოდ შეესრულებინა სასამართლო გამომძიებლის ილიაშენკოს მოთხოვნა საქმეზე მოკვლევის ჩატარების შესახებ. მიუხედავად ამისა, თავადი ფალავა აყოვნებდა მოკვლევას და სასამართლოს გამომძიებლის დავალება ფშაველიშვილის და ბერბიჭაშვილის პიროვნებისა და მათი ადგილსამყოფელის დადგენის შესახებ დღემდე არ შეუსრულებია, ამასთან შესაძლებლად მიიჩნია ურიადნიკი ვასილ ემეცის ართვინის ოლქში გადაყვანა, მაშინ როდესაც სწორედ მას შეეძლო ფშაველიშვილის და ბერბიჭაშვილის დაძებნაში დიდი სამსახურის განწევა, რადგანაც მათ კარგად იცნობდა.

გარდა ამისა, თავად ფალავას იმავე სასამართლო გამომძიებელმა დაავალა, მოკვლევის გზით შეემონებინა მონაცემები იმის შესახებ, რომ თავდასხმისას მხარში დაჭრილი ერთ-ერთი ბოროტმზრახველი ორი კვირის მანძილზე მკურნალობდა რაჭის მაზრის გლეხებთან, რომლებიც იმ დროს სოფ. წინამურის ახლოს ნახშირს წვავენენ. თავადმა ფალავამ არც ეს დავალება შეასრულა.

ვაცნობებ რა აღნიშნულს თქვენს აღმაგებულებას, გთხოვთ მაზრისა და ქალაქის პოლიციის მესვეურებს დაავალთ მიიღონ ენერგიული ზომები ფშაველიშვილის და ბერბიჭაშვილის დასაკავებლად, რომელთაგან ერთ-ერთი, ჩემი მონაცემებით, ორჯერ უკვე გამოჩნდა თბილისში, მაგრამ დღემდე არაა დაკავებული. პროკურორის ხელმოწერა.“<sup>1</sup>

**ბრალდებული ბერბიჭაშვილი 1941 წლის 24 მაისი-31 აგვისტოს წინასწარ დაკითხვის ოქმებიდან და სტენოგრაფიული ჩანაწერებიდან გაკეთებულ ამონაწერში მიუთითებს:** „მკვლელობის შემდეგ მე პირადად რევოლვერი დავიტოვე და წავედი ჩემი სახლისაკენ. სოფელში ვინახავდი თავს ოქტომბერ-ნოემბრის თვემდე, რის შემდეგ სპარსეთში წავედი.“<sup>2</sup>

ზემოთ წარმოდგენილი მასალის ანალიზით, ფალავას აქტიური ზომები უნდა მიეღო „ილია მცხეთელის“ ვინაობის დადგენის მიზნით, მაგრამ ამ მიმართულებით არავითარი კვლევა-ძიება არ უწარმოებია. გარდა ამისა, ფალავას ილიაშენკოს დავალების შესაბამისად რომ ემოქმედა და შეემონებინა გიგოლა ბერბიჭაშვილის პიროვ-

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილ.ჭავჭავაძის მკვლელობა“. „მერანი“, თბ., 1996 წ.;

<sup>2</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილ.ჭავჭავაძის მკვლელობა“. „მერანი“, თბ., 1996 წ.;

ნება, მისი საცხოვრებელი ადგილი, რისთვისაც უნდა ჩასულიყო სოფელ ახატანში, იგი იქ უთუოდ ბერბიჭაშვილს გადაეყრებოდა.

ყოველივე ამის სანაცვლოდ, ის 1907 წლის 3-4 ნოემბერს მეტეხის ციხეში მიდის და ისევ გამოკითხა ლაბაური, რომელმაც კიდევ ერთელ დაასახელა ილიას ეტლზე თავდამსხმელები: ფშავლიშვილი, ბერბიჭაშვილი, მოძღვრიშვილი და ინაშვილი, რომელთა შესახებ ფაღავამ უკვე იცოდა 1907 წლის 22 სექტემბერს, რადგანაც ეს ინფორმაცია შესულია მოკვლევის ოქმში, რომელიც ფაღავამ 1907 წლის 17-22 სექტემბრით დაათარიდა. ფაღავამ გააგრძელა მეეტლე ლაბაურის დაკითხვები, მაგრამ „ილია მცხეთელის“ ვინაობის დადგენის მიმართულებით არავითარი კვლევა-ძიება არ აწარმოა.

შუშანაშვილს წიგნში მოყვანილი დოკუმენტების ქრონოლოგიით ვხედავთ, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორი და საოლქო სასამართლოს გამომძიებელი ილიაშენკო, დარწმუნდა რა ფაღავას შეგნებულად დაგვიანებულ მოქმედებებსა და ზოგიერთი დავალების მიმართ უმოქმედობაში, 1907 წლის 5 ნოემბერს წარდგინებით მიმართავს თბილისის გუბერნატორს, რის შედეგადაც ფაღავა ჩამოაშორეს მოკვლევას. მაზრის უფროსად ივან სტრიჩევი დაინიშნა, ფაღავა დროებით იქვე დატოვეს მაზრის უფროსის თანაშემწედ, ხოლო შემდეგ გორში გადაიყვანეს მაზრის უფროსის თანაშემწედ. ჩვენი აზრით, ურიადნიკ ემეცის გადაყვანა დუშეთის მაზრიდან ართვინში ფაღავას მონაწილეობით ან მისი თანხმობით მოხდა. გამოდის, რომ თანამშრომელი, რომელიც იცნობდა და შეეძლო ფშავლიშვილი და ბერბიჭაშვილი დაეკავებინა, მაზრიდან მოიშორა. ამასთან, დოკუმენტები მეტყველებს, რომ ფაღავა შეგნებულად თავს არიდებდა სასამართლოს გამომძიებლის დავალების დროულად შესრულებას. ევტუშევსკის ინფორმაციითა და ილიაშენკოს დავალებით ფაღავას რომ დროულად ემოქმედა, შესაძლებელია, იმერლიშვილი და ბერბიჭაშვილი ილიას მკვლელობაში მონაწილეობისათვის სხვებთან ერთად ეშაფოტზე ასულიყვნენ.

1907 წლის 6 დეკემბერს უკვე მაზრის უფროსის თანაშემწედ დაქვეითებული ფაღავა ასეთ ახსნა-განმარტებას იძლევა (იქვე, გვ, 171): „ჩემს მიერ დაშვებულ უმოქმედობის თაობაზე განემარტავ შემიძღეს ... პაგარა შეფერხებას თუ ჰქონდა ადგილი, ეს ხდებოდა იმ ადგილების სიშორის გამო, სადაც ამ ცნობების შეკრება იყო საჭირო ან იმის გამო, რომ ახალქალაქის მაზრიდან გადმომიყვანეს დუშეთის მმართველობაში 14 აგვისტოს, ხოლო თავად ჭაჭაყაძის მკვლელობა მოხდა 30 აგვისტოს და მოკვლევას ამ საქმეზე პირადად ვაგარებდი, თანაც თანაშემწის გარეშე“.<sup>1</sup>

ახატანი დუშეთიდან დაშორებულია 24 კილომეტრით. ასეთი სიშორე დავალების შეუსრულებლობის მიზეზი არ უნდა ყოფილიყო. შუშანაშვილის წიგნში წარმოდგენილი დოკუმენტები (58, 61, 62, 63) ადასტურებს, რომ ფაღავასა და მცხეთის

<sup>1</sup> ალ. შუშანაშვილი, „ილ.ჭაჭაყაძის მკვლელობა“. „მერანი“, თბ., 1996 წ.;

ბოქაულს საქმიანი მიმოწერა ჰქონდათ, რითაც ფაღავა მოკვლევის საქმის დაჩქარების მიზნით დავალებებს აძლევდა მცხეთის ბოქაულს და ეს უკანასკნელი მოახსენებდა დავალების შესრულების შესახებ (ალ. შუმანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, 1996 წ., გვ. 152-155). გარდა ამისა, 1907 წლის 13 სექტემბრის წერილით, თბილისის გუბერნატორის კანცელარიის მმართველი თბილისის საოლქო სასამართლო გამოძიებულს — ილიაშენკოს აცნობებდა: „თავად ი. გ. ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეზე მოკვლევის წარმოება დავალებული აქვს ღუშეთის მაზრის მმართველს თავად ფაღავას, რის შესახებ მას 5 სექტემბერს წერილი გაეგზავნა და მაშინათვე სართიჭალის ბოქაული გედევანოვი მასთან იქნა დასახმარებლად მივლინებული. ამასთან, ღუშეთის მაზრის მმართველს მითითება აქვს მიცემული ამ საქმეზე მოკვლევის ყველა მონაცემი დაუყონებლივ თქვენ გამოგიგზავნონ“.<sup>1</sup>

ყარამან ფაღავა 1908 წლის 10 აპრილის დაკითხვის ოქმში, რომელიც შედგა გორში (იქვე, გვ. 200), დიმიტრი ჯაშს საერთოდ არ ახსენებს, ხოლო, 1908 წლის 3 ივლისს ბორჯომში დამატებითი დაკითხვისას, რომელიც თბილისის საოლქო სასამართლოს სასამართლო გამოძიებულმა ცვეტკოვმა ჩაატარა, აცხადებს: „გასულ წელს სექტემბერში შევუდექი მოკვლევას, ფარული გზით მივიღე ცნობები, რომ მოთავე იყო დ. ჯაში, ...შემდგომი მოკვლევიტ დანაშაულის ჩადენაში ჯაშის მონაწილეობის დასადგენად რაიმე დადებითი და უტყუარი მონაცემები ვერ მოვიპოვე...“<sup>2</sup>

აი ასეთი უსუსური ჩვენებით იმართლებდა თავს ყარამან ფაღავა, რომლის ქმედებამ და უმოქმედებამ, ფაქტია, შეგნებულად შეაფერხა ძიება. ეს მართო ჩვენი აზრი არ არის. ყარამან ფაღავას საქმიანობის შეფასებისას, ალექსანდრე შუმანაშვილი წერს:

„პროკურატურა და გამოძიება საერთოდ კმაყოფილიც კი არ იყო ფაღავას საქმიანობით. საქმეც კი აღძრეს მის მიმართ გამოძიებლის მითითებათა შეუსრულობისა და ბოროტმოქმედთა დასაკავებლად აქტიური ზომების მიუღებლობისათვის. მან მოძღვრო-შეილის ბრალეულობის დასამტკიცებლად ამოიღო მისი თოფი და ფალასკა და გამოძიებულ ილიაშენკოს წარუდგინა. მოახსენა, თოფის კონდახს სისხლის კვალი ამჩნევიაო. საგამოძიებო წესით ჩატარებული შემოწმებით თოფზე და ფალასკაზე ვერც ადამიანის სისხლის კვალი იპოვეს და არც თოფისა და იაკობის (მოკლული მოახლე — ავტ.) გვამიდან ამოღებული ტყვიებისა და საფანტის იგივეობა არ დადასტურდა. ფაღავამ სხვა რამდენიმე პირი დააკავა ადმინისტრაციული წესით, მაგრამ გამოძიებამ ისინი არათუ პასუხისგებაში მისცა, არამედ მონმედაც არ დაუკითხავს.“<sup>3</sup>

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილ.ჭავჭავაძის მკვლელობა“. „მერანი“, თბ., 1996 წ.;

<sup>2</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილ.ჭავჭავაძის მკვლელობა“, გვ. 207, „მერანი“, თბ., 1996 წ.;

<sup>3</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილ.ჭავჭავაძის მკვლელობა“, გვ. 207, „მერანი“, თბ., 1996 წ.;

საინტერესოა ბატონი სიმამზილის მიკვლევითი დოკუმენტი, რომლითაც ასახუ-  
თებს, რომ ილია „მცხეთელის“, ანუ ილიკო იმერლიშვილის შესახებ ყარამან ფაღავას  
ისედაც უნდა სცოდნოდა, რადგან აბესალომ ფაღავა, სავარაუდოდ, ყარამან ფაღავას  
ძმა, კარგად იცნობდა დუშეთის მაზრაში მოქმედი ერთ-ერთი „წითელი რაზმის“  
შემადგენლობას. 1908 წლის 25 დეკემბრით დათარიღებულ ოქმში აბესალომ გიორ-  
გის ძე ფაღავა, დუშეთის მაზრის პოლიციის ჩაფრების (სტრაჟნიკები) უფროსი  
ურიადნიკი წერს: „პაულე ფშავლიშვილთან ერთად მის ბანდაში იმყოფებოდნენ —  
1. პაულე ფშავლიშვილი, 2. იმერლიშვილი, 3. ნოე მჭედლიშვილი, 4. სანდრო მჭედ-  
ლიშვილი, 5. ლაბარე გაბიჭაშვილი, 6. გიორგი ნიკლაური 7. ბასილ სიღნაღელი, 8.  
თელაველი ლადო, 9. ვანო ინაშვილი, 10. თუში ვანო, 11. რუსი დლორდენკო, 12. გიგ-  
ლა ბერბიჭაშვილი, 13. გიორგი პარხაშვილი“.<sup>1</sup>

მართალია, 1908 წლის 25 დეკემბერს ფაღავა დუშეთის მაზრაში უკვე არ  
მუშაობდა, მაგრამ აბესალომ ფაღავა ადრეც ფლობდა ამ ინფორმაციას და ვფიქრობთ,  
საქმის კურში ჰყავდა თავისი ნათესავი.

მისი ქცევების, ჩვენებებისა და ქვემოთ მოყვანილი ფაქტების გათვალისწინე-  
ბით, ჩვენი აზრით, არსებობის უფლება აქვს ისეთ ვერსიას, რომლის მიხედვით  
შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ყარამან ფაღავამ გარკვეული როლი შეასრულა ილიას  
მკვლელობის გამოძიების შესაფერხებლად.

ილიას მკვლელობის გამოძიების შეფერხებისათვის ყარამან ფაღავას გამიზნუ-  
ლი საქმიანობის სავარაუდო განხილვაც კი მკვლევრებს დიმილს მოგვრის, მაგრამ  
მაინც რატომ არ შეიძლება, საეჭვოდ მივიჩნიოთ შემდეგი ფაქტები:

- ფაღავამ ილიას მკვლელობის შესახებ პირველად გაიგო 30 აგვისტოს. ის  
მაზრის გამომძიებელს არ ატყობინებს (?!). დუშეთის მაზრის გამომძიებელმა ილიას  
მკვლელობის შესახებ გაიგო თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის მიერ  
თბილისიდან გამოგზავნილი დეპეშით. „საგურამოში მოკლულია ჭავჭავაძე, გაემგ-  
ზავრეთ შემთხვევის ადგილას...“. ის ფაქტი, რომ მაზრის მმართველი ილიას მკვლე-  
ლობის შესახებ ინფორმაციას არ აწვდის იმავე მაზრის გამომძიებელს, კითხვებს  
ბადებს: მკვლელობის დღეს გამოძიების დაწყება შეგნებულად ხომ არ შეაფერხა?  
მაზრის გამომძიებლის მაგივრად, თავად იწყებს მოკვლევას. ამასთან, მკვლელობის  
ადგილზე გვიან გავიდა, ღამის 12 საათზე (24 საათზე);

- რომ ყარამან ფაღავა 16 დღით ადრე გადმოიყვანეს ილიას მამულის ადგილ-  
სამყოფლის, დუშეთის მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად;

- ოთხ დღეში, ფარული ინფორმაციით, მკვლელობის ხელმძღვანელად ასახე-  
ლებს დიმიტრი ჯაშს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ორი კვირის დანიშნულმა მაზრის  
უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა შეძლო სანდო ინფორმატორთა ქსელის

---

<sup>1</sup> თ. სიმამზილი ინერნეტ ბლოგი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და დოკუმენტების დადადი“, 2015 წ.;

გაშლა და ამ გზით ოთხ დღეში მიიღო ინფორმაცია, არათუ მკვლელობაში ვინმე მონაწილის, არამედ მისი ხელმძღვანელის ვინაობის შესახებ, იმ დროს, როდესაც მკვლელობის ფაქტი, რომელიც 30 აგვისტოს შუადღისას მოხდა, ფაქტად შეიტყო 10-11 საათის დაგვიანებით. მას რომ სანდო ინფორმატორთა ქსელი ჰქონოდა, ამბავს 1-2 საათში დამოუკიდებლად შეიტყობდა;

- სამძებრო პოლიციის ჩინოვნიკის, გ. ფიცხელაურის 1907 წლის 4 სექტემბრის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ამ დანაშაულის ჩადენის შესახებ უნდა სცოდნოდა მცხეთის მცხოვრებ ვინმე „ილია მცხეთელს“, ის იგნორირებას უკეთებს, მაგრამ ფიცხელაურის სავარაუდო ინფორმაციის მიხედვით, - რომ საჭიროა ასევე მეფაიტონის დაჭერა, რომელიც იცნობს პირებს, ვინც ჩაიდინა თავად ჭავჭავაძის მკვლელობა, ყურად მიიღო, დაპატიმრებულ ლაბაურისაგან მიიღო ინფორმაცია, თუ ვინ მონაწილეობდა ილიას ეტლზე თავდასხმაში. ამ სარწმუნო ინფორმაციიდან რატომ უგულებელყო ცნობა „ილია მცხეთელის“ შესახებ და არაფერი მოიმოქმედა და ამაზე უსაფუძვლო ახსნა-განმარტებით შემოიფარგლა;

- ოცი დღის შემდეგ მომდევნო ოქმით აზუსტებს მკვლელობის ორგანიზატორებად ისეთ პირებს, რომელთათვის გამოძიებას არც ბრალი წაუყენებია და არც მოწმეებად დაუკითხავს. შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ ეს იყო დუზინფორმაცია, რითიც იგი ცდილობდა გამოძიებისათვის კვალის არეკას;

- თბილისის გენერალ-გუბერნატორისათვის გაგზავნილი 1907 წ. 17-22 სექტემბრის მოკვლევის ოქმის მეორე პირით ფაქტად მას სთხოვს, ჯაში და სხვები, სასამართლოს მიერ გამართლების შემთხვევაშიც კი, ადმინისტრაციული წესით გადაასახლოს რუსეთის შორეულ ჩრდილოეთის გუბერნიებში. რატომ? ალბათ, გამართლებული ადამიანის ეშინია, რომ არ ამხილონ დუზინფორმაციაში;

- იგი წერს: „ჯაში არ არის სანდო კაცი, რაშიც მოკლული თავადის ახლო ნათესავებიც ეჭვობენ“. ეს ეჭვი ილია ჭავჭავაძის არც ერთ ნათესავს თავის ჩვენებაში არ გამოუთქვამს;

- მცდელობა, თავი მოაჩვენოს გამოძიებას, რომ თავდაუზოგავად ატარებს მოკვლევას;

- შეაფერხა გამოძიება ჯერ იმიტომ, რომ დროულად არ შეასრულა გამომძიებლის მიერ დავალებული საპოლიციო ქმედება. გარდა ამისა, თანამშრომელი, რომელიც უკეთ იცნობდა მაზრას და მაზრის მაცხოვრებლებიდან იმათ, ვინც დასახელებული იქნა მკვლელობის მონაწილეებად, თავისთან არ დაიტოვა და დაეთანხმა მის გადაყვანას მკვლელობის ადგილიდან შორს, ართვინში;

- ფაქტად 1908 წლის 3 ივლისს ჩვენებაში წერს, რომ „მოთავე იყო დ. ჯაში ... ასე მეუბნებოდა ბევრი გლეხი, მაგრამ გამოკითხვისას მთხოვდნენ მათი ვინაობა არ გამეხმაურებინა...“ აქ ცრუობს, რადგან მის მიერ ადრე შედგენილი ოქმებიდან ირკვევა, რომ თუ ვინმე სთხოვდა არ გაეხილა ინფორმაციის წყარო, ეს იყო მოძღვრიშვი-

ლის ინფორმატორი. ამ ჩვენებით იგი თავს იმართლებს დეზინფორმაციის გავრცელების გამო;

- ყარამან ფაღავა იყო პირველი, ვინც დიმიტრი ჯამს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ხელმძღვანელობა დააბრალა. მის მიერ შედგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ იგი ხშირად ცდებოდა თავის ვარაუდებში. დავამატებთ: კი არ ცდებოდა, არამედ დეზინფორმაციას ავრცელებდა;

- დიმიტრის დაპატიმრების შემდეგ ყურადღება გადააქვს დიმიტრის ცოლზე, როგორც თანამზრახველზე. 1907 წლის 10 ოქტომბერს წერილობით შეტყობინებას უგზავნის მცხეთის ბოქაულს, რომ ილიას მკვლელობის შემდეგ დარიამ - დიმიტრის ცოლმა, საგურამოს სასახლიდან საოჯახო ნივთები გაიტანა. მცხეთის ბოქაულს დაავალა, ჩაეტარებინა ჩხრეკა სახლში, სადაც ღროებით ცხოვრობდა დარიას დეიდა გაიანე მახარაშვილი. შემდეგ დარიას სახლი და მახარაშვილის საცხროვებელი ბინაც გაეჩხრიკა თბილისში. რადგან, მცხეთის ბოქაულისათვის მიწერილ წერილში ფაღავა წინასწარ მიუთითებს, რომ ეს ნივთები, დარიამ სასახლიდან გაიტანა, ანუ მოიპარა, მცხეთის ბოქაულმა ფაღავას მითითებისამებრ ოქმში შეიტანა როგორც ნაქურდალი. ჩხრეკის შედეგები 13 და 14 ოქტომბრის ოქმში შევიდა და ამოღებული ნივთები გამომძიებელს გადაეცა, როგორც ნივთმტკიცება, მიუხედავად ამისა, ყარამან ფაღავა 19 ოქტომბერს განმეორებით წერილობით მიმართავს მცხეთის ბოქაულს და მითითებას აძლევს, რომ პირადად მას შეატყობინოს ამოღებული ნივთების ჩამონათვალი. ფაღავას რატომ აინტერესებდა გატანილი ნივთების ჩამონათვალი? ნივთები ხომ გამომძიებელს არსებული წესების შესაბამისად გადაეცა. მას სურდა, გამოძიების შედეგებთან დაკავშირებით ყველაფრის საქმის კურსში ყოფილიყო, რაც გამოძიების დამთავრებამდე მის მოვალეობაში არ შედიოდა. ალბათ, სხვა დაინტერესებულ პირთათვის სჭირდებოდა;

- მაზრის უფროსი არ დაინტერესდა საგურამოს მამულების დავთრებით, რათა დაედგინა, ილიამ რა ჯამაგირი დაუნიშნა მოურავს, ხოლო მოურავმა ზაფხულის თვეების ნამუშევრის მიხედვით ანაზღაურება მიიღო თუ არა. ფაღავას წერილით, მცხეთის ბოქაულმა ნივთები ნაქურდალად გააფორმა და ამოიღო, როგორც ნივთმტკიცება. ქართულ საზოგადოებაში ეს ფაქტი ისევ ფაღავას მეშვეობით განმარტდა მანამდე, ვიდრე საგამომძიებო საქმიანობა სრულად დამთავრდებოდა, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. ფაქტია, არც ყარამან ფაღავამ და არც მცხეთის ბოქაულმა დარია პასუხისგებაში არ მისცეს. რატომ? იქნებ დარწმუნდნენ, რომ ნივთები ილიასა და დიმიტრის სიტყვიერი გარიგების მიხედვით იქნა აღებული! თუ ასეა, ნაქურდალად რატომ ჩათვალეს?

- ყარამან ფაღავა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის წარმომადგენლობაში სათანადო ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც თავადი და პოლიციის მოხელე. ალბათ, ამის გათვალისწინებით, მას მაზრის უფროსის და მაზრის უფროსის თანამშემწის თანამდებობაზე ნაკლები არ ეკავა, მაგრამ არც უფრო მეტი, ჩინით პრაპორმ-

ჩიკი იყო. ვფიქრობთ, ისიც უკმაყოფილო იყო მის მიმართ ასეთი „ნდობით“ და სხვა ურთიერთობებსაც ეძებდა. გარდა ამისა, ისიც გრძნობდა რუსეთის ხელისუფლებაში მოსალოდნელ ცვლილებებს და ამაზე, ბუნებრივია, იმ დროს ყველა ლაპარაკობდა. შესაძლებელია, იგი თავის ახალგაზრდა მოგვარებთან ან ნათესავებთან ხშირად საუბრობდა. 1907 წელს ერთი ასეთი მოგვარე ან ნათესავი შეიძლება ყოფილიყო გიორგი (გოგიტა) ფაღავა, სოცდემოკრატი, რომელიც კარლო ჩხეიძესთან და ნოე ჟორდანიასთან დაახლოებული, სანდო პირი იყო. 1924 წლის აჯანყების მომზადების აქტიური მონაწილე ბოლშევიკებმა დახვრიტეს.

ხომ არ ასრულებდა ყარამან ფაღავა გიორგი ფაღავას შუამავლობით ნოე ჟორდანიას დავალებებს? ამ მიზეზით ხომ არ აყოვნებდა ბერბიჭაშვილისა და „იმერელის“ ადგილსამყოფელის დადგენას?

- 1908 წლის 25 დეკემბრით დათარიღებულ დოკუმენტში აბესალომ გიორგის ძე ფაღავა როცა პავლე ფშაველიშვილის ბანდის წევრების გვარებს ასახელებს, წერას ასე იწყებს: „პავლე ფშაველიშვილთან ერთად მის ბანდაში იმყოფებოდნენ“ - და 13 კაცში ჩამოთვლის ილიას მკვლელობის მონაწილეებს: პავლე ფშაველიშვილს, იმერლიშვილს, ვანო ინაშვილს და გიგლა ბერბიჭაშვილს. აბესალომ ფაღავა ამ წერილს წარსულ დროში წერს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ბანდის შესახებ ადრეც იცოდა, გარდა ამისა, წარსულ დროში წერილის შედგენისას იმ ფაქტსაც აღნიშნავს, რაც მისთვის უკვე ცნობილი იყო, რომ 1908 წ. 14 დეკემბერს პოლიციამ დააკავა ვანო ინაშვილი, ხოლო პავლე ფშაველიშვილი 17 დეკემბერს პოლიციელებთან შეტაკებისას მოკლეს. შედგენილი წერილი 25 დეკემბრითაა დათარიღებული, ანუ დაწერა ათი დღის შემდეგ. ამ წერილით აბესალომ ფაღავა ბანდის უფროსად მიიჩნევს პავლე ფშაველიშვილს, უკვე მოკლულს, როცა ცნობილია, რომ ამ შეიარაღებულ რაზმს იმერლიშვილი ხელმძღვანელობს. ერთობ საეჭვოა, რომ აბესალომ ფაღავამ თავისი ნათესავი ყარამანის გავლენით, შეგნებულად ხომ არ დამალა ბანდის უფროსის იმერლიშვილის გვარი;

- დუშეთის მაზრის უფროსის მიერ შედგენილ მოკვლევას ოქმებში და სხვა დოკუმენტებში, სადაც ჩაწერილია ილიას ეტლზე თავდამსხმელთა გვარები, იმერელის უკან ფაღავა მიუთითებს გიგოლა მოძღვრიშვილს, ანუ ფარავს იმერლიშვილს;

- ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა ფაღავას შექმნილი დუზინფორმაცია მოძღვრიშვილის ილიას მკვლელობაში მონაწილეობის შესახებ, რომელიც მან მოკვლევას ოქმებში შეიტანა, გარდა ამისა, ფაღავამ აიძულა ლაბაური, რომ მოძღვრიშვილი დაესახელებინა ილიას ეტლზე თავდამსხმელთა შორის. ამას ლაბაური სასამართლოზე, რომელმაც მას ჩამოხრჩობა მიუსაჯა, უარყოფდა. ამის შესახებ წერდა გაზეთი „დროება“ 1908 წლის 2 დეკემბერს დაბეჭდილ ინფორმაციაში. „უკანასკნელ სიტყვაში ბრალდებულმა თედო ლაბაურმა ისიც განაცხადა, რომ მოძღვრიშვილის შესახებ მე არა მითქვამს რა, იგი არ მინახავს თავდასხმის დროს და იმის ცოდვაში ნუ ჩამაყენებთო“.

შემდეგ, განმეორებით გამოძიებისას, დაკითხვაზე უჩვენა, რომ ეს არ იყო სიმართლე და თავად სიკვდილმისჯილი ნანობდა, რომ მოძღვრიშვილი დაასახელა.

ფაღავა რომ განსაკუთრებული მონდომებით, მაგრამ უსაფუძვლოდ მიიჩნევს მოძღვრიშვილს ილიას ეტლზე თავდამსხმელებს შორის, ამას ადასტურებს შუშანაშვილის წიგნში „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ მოყვანილი შემდეგი დოკუმენტები:

1. 1907 წლის 4-6 სექტემბრის ფაღავას მოკვლევის ოქმი;

2. ფაღავას მიერ ილიაშენკოსათვის გაგზავნილი 1907 წლის 12 სექტემბრის წერილი, რომლითაც ილიას მკვლელად მოძღვრიშვილი მიაჩნია, ხოლო მკვლელობის იარაღად - მისთვის ჩამორთმეული ორლულიანი თოფი, რომელსაც თითქოს ადამიანის სისხლის ნაკვალევი აჩნდა. ამ წერილით ჯერ ფაღავა ადასტურებდა ილიას გვამის გაკვეთისას ამოღებული რამდენიმე საფანტისა და მრგვალი ტყვიის შეღარებით მოძღვრიშვილისათვის ჩამორთმეული თოფის ვაზნებიდან ამოღებულ საფანტთან და ტყვიებთან სრულ მსგავსებას;

3. 1907 წლის 18 სექტემბრის წარმოდგენის ოქმი, ხელს აწერს ილიაშენკო. ფაღავა იმ დღეს გამომძიებელთან გამოცხადდა და წარმოადგინა გიგოლა მოძღვრიშვილისათვის ჩამორთმეული თოფი, ტყვია-წამალი და ფალასკა ვაზნებით;

4. 1907 წლის 8 ოქტომბრის ექსპერტიზის ოქმი, ტყვიებისა და საფანტების შეღარების შესახებ, რომლითაც არ დადასტურდა ფაღავას ჰიპოთეზა;

5. 1907 წლის 24 ოქტომბრის თოფის ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევის დასკვნა, რომლის მიხედვითაც ლულის ბოლოს, სამიზნესთან არსებული სისხლის ლაქა არის ძუძუმწოვარი ცხოველის.

მოწმეთა და ბრალდებულთა დაკითხვის ოქმებით, არავინ ასახელებს მოძღვრიშვილს ჭავჭავაძის ეტლზე თავდამსხმელებს შორის. მხოლოდ ყარამან ფაღავა ასახელებს თავის მოკვლევის და გამოკითხვის ოქმებში გიგოლა მოძღვრიშვილს ჭავჭავაძის მკვლელთა შორის. მოგვიანებით, კი მიუხედავად, იმისა რომ უკვე არსებობს 1907 წლის 8 ოქტომბრის ექსპერტიზის ოქმი, და 24 ოქტომბრის ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევის დასკვნა, რომლებმაც გააქარწყლა ფაღავას ჰიპოთეზა, მან 1908 წლის 10 აპრილის დაკითხვის ოქმით მისცა ასეთი ჩვენება:

„... თავად ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილე იმერელი, რომლის გაცემა ფშაველიშვილმა არ ისურვა, ჩემი აზრით, უნდა იყოს ჭავჭავაძის მსახური გიგოლა მოძღვრიშვილი, რომელიც მასთან აღმოჩენილი გასისხლიანებული თოფით, საფანტითა და ტყვიებით უკვეა მხილებული. ფშაველიშვილი მას იმერლად იმიტომ იხსენიებდა, რომ უნდოდა პატიმრობიდან გამოეხსნა. ინაშვილი და ბერბიჭაშვილი კი მიმაღვაში იყვნენ.<sup>1</sup>

გორის მაზრის უფროსის თანაშემწედ დაქვეითებული, როდესაც უკვე მყარად გაისმის ილიას ფიზიკურ მკვლელებში იმერლის სახელი, ყარამან ფაღავა პირველია

<sup>1</sup> ალ. შუშანაშვილი, „ილ.ჭავჭავაძის მკვლელობა“. წ.;გვ.გვ.200-201 „მერანი“, თბ., 1996;

და ერთადერთი, რომელიც იმერლად მის მიერ დაპატიმრებულ მოძღვრიშვილს მიიჩნევს.

ჩვენი ვარაუდით, მოძღვრიშვილისთვის უსაფუძვლო ბრალდების წაყენებით და „იმერლად“ მოძღვრიშვილის წარმოჩენით, ყარამან ფალავა ცდილობდა, რომ გამოძიება ილიკო იმერლიშვილის კვალზე არ გასულიყო.

ამას ადასტურებს, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, თვით ყარამან ფალავა, თავის მოგონებით, რომელიც ჩაუწერია მის მეგობარს შალვა ფხაკაძეს, სათაურით- „მოგონებები ყარამან გრიგორის ძე ფალავას ნაამბობიდან“. ეს მოგონება დაცულია გ.ლონინის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში, ალ.კოჭლავაშვილის პირად არქივში. ყარამან ფალავას ეს მოგონება გივი ჟორდანიამ წიგნში „მარტვილობა მესიისა“ მოიტანა 197-გვერდზე, იმ მიზნით, რომ მკითხველისათვის ყარამან ფალავა წარმოედგინა, „ვითარცა უმნიველო, პატიოსანი და თანამემამულეთა მოსიყვარულე ღამიანი“. აი რა უამბო ყარამან ფალავამ შალვა ფხაკაძეს: „ღუშეთის მაზრის უფროსად ჩემი მუშაობის დროს 1900-იან წლებში ძლიერ გახშირებული იყო რევოლუციური მოძრაობის პროპაგანდა გორის, ღუშეთისა და სხვა მაზრების სოფლებში... ხშირად შიკრიკი, სოფლის მცხოვრებთაგანი, მოირბენდა და გვაცნობებდა, რომ ამა და ამ დღეს სოფელში ფარული კრება არის მონეული, მემამულეებს აძაგებენ და მეფის წინააღმდეგ გამოდიანო... ჩვენს რაზმულში საიდუმლოს ვანდობდი შერჩეულ კაცს, რომელსაც წინასწარ ვგზავნიდი სოფელში, რომ კრება გაეფრთხილებინა და დაშლილიყვნენ. შემდეგ რაზმულით მივდიოდი კრების ადგილზე, ალყას შემოვარტყამდით და ცხადია, არავინ დაგვხდებოდა, ასეთ შემოსევებს ბევრჯერ ჰქონდა ადგილი“.<sup>1</sup>

ზემოთ მოტანილი მისი ნაამბობი იმას მოწმობს, რომ ფალავა დაახლოებული იყო სოციალ-დემოკრატებთან, ალბათ იმერლიშვილთანაც. მოძღვრიშვილის დადანიშნულებისას, ყარამან ფალავა, ვფიქრობთ, სოციალ-დემოკრატების ინტერესით მოქმედებდა. მან მეფის მოხელეებიც დაარწმუნა მოძღვრიშვილის დადანიშნულში და ისინი შეცდომაში შეიყვანა.

1921 წლის 7 სექტემბრის გაზეთი „კომუნისტი“ (N154) რუბრიკით „წარმოებითი პროფკავშირები“ წერს: „1921 წლის 25 აგვისტოს გაიხსნა ღუშეთის მაზრის ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა კონფერენცია. კონფერენცია გახსნა აშხ. ხოშტარიაძემ... შემდეგ სიტყვა ეძლევა სამაზრო პარტკომის მდივანს ბედუკაძეს, რომელიც სამაზრო პარტკომის სახელით მიესალმა კონფერენციას. ის აკეთებს ვრცელ მოხსენებას დღევანდელ მომენტზე, ასურათებს საერთოდ რუსეთის, საქართველოსა და საერთაშორისო მდგომარეობას. აშხ. ფალავა აკეთებს მოხსენებას ფასანაურის რაიონი-

<sup>1</sup> გ. ჟორდანი, „მარტვილობა მესიისა“, 2005 წ. თბ;

დან. ასურათებს ფასანაურის ფოსტის მუშა-მოსამსახურეთა განსაცდელს სურსათისა და განისამოსისის უქონლობის გამო.“<sup>1</sup> (სტილი დაცულია).

ფაღავა მოხსენიებულია მხოლოდ გვარით. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ეს არის ვინმე არსენ ფაღავა, რომელიც სარგებლობდა კეთილი ადამიანის სახელით და კარგი რეპუტაცია ჰქონდა სოცდემოკრატების ორივე ბანაკში. როგორც ვხედავთ, იგი ბოლშევიკი გამხდარა. ხომ არ არის დასაშვები, რომ დუშეთის მაზრის ყოფილი უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, თავად ყარამან ფაღავას, არსენ ფაღავა მეგობრული ან ნათესაური ურთიერთობის გამო ილიას მკვლელობის საქმის გამოძიების კურსში შეჰყავდა? და მისგან ხომ არ იღებდა დავალებას, რომ მოკვლევაში დუშინ-ფორმაცია შეეტანა? არსენ ფაღავა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკებმა ამავე მაზრის განაპირა ქვემო მთიულეთის სოფლის, ფასანაურის ფოსტის უფროსად დანიშნეს, რომელიც ქვემო ხევის სოფელ სტეფანწმინდის ფოსტასთან ერთად, ბოლშევიკურ რუსეთთან დამაკავშირებელი საფოსტო კვანძი იყო. იგი არჩეული იყო დუშეთის მაზრის კომიტეტში. როგორც 1921 წლის გაზეთ „კომუნისტი“ ინფორმაციით ვხედავთ, არსენ ფაღავა აქტიური კომუნისტია.

ზემოთ ჩამოთვლილი საეჭვო ფაქტები და ოთხი მოგვარის: ყარამან ფაღავას, აბესალომ ფაღავას, გიორგი ფაღავასა და არსენ ფაღავას შესაძლებელი კავშირების არსებობა გამყარებდა იმ ვერსიას, რომლის მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ყარამან ფაღავამ რაღაც როლი შეასრულა ილიას მკვლელობის ძიების შეფერხებაში.

და მაინც, ჩვენი აზრით, ილიას მკვლელობის გამოძიების პირველ ეტაპზე ჩამოთვლილი საეჭვო ფაქტები და ოთხი ფაღავას არსებობა იმის საფუძველს გვაძლევს, რომ მკვლევრებს შევთავაზოთ მათი ურთიერთობების შესახებ ისტორიული კვლევის ჩატარება. ამ წიგნში არაერთი დოკუმენტი მოვიტანეთ, საიდანაც, ჩვენი აზრით ჩანს, ყარამან ფაღავას მიერ დუშინფორმაციის გავრცელების ფაქტები ილიას მკვლელობის გამოძიების შეფერხების ან კვალის არევის მიზნით.

## გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ კორესპონდენტი

თენგიზ სიმაშვილი კვლევებში მიუთითებს, რომ ჯამი წერდა რუსეთის იმპერიის ცენტრალურ გაზეთებში: „პეტერბურგსკიე ვედომოსტისა“ და „მოსკოვსკიე ვედომოსტში“. მკვლევრის მიერ წარმოდგენილ კოტე გორდელაძის მასალაში გვხვდება ჩანაწერი: „დ. ჯამის წერილები გაზ. „მოსკ. ვედომოსტი“. გორდელაძე „მოსკოვსკიე ვედომოსტით“ რატომ დაინტერესდა და „პეტერბურგსკიე ვედომოსტით“ არა? გორ-

<sup>1</sup> გაზეთი „კომუნისტი“ N154, 1921 წლის 7 სექტემბერი;

დელაძე უზრუნველყოფილი იქნებოდა საჭირო ლიტერატურით, არ გაუჭირდებოდა გაზეთ „პეტერბურგსკიე ვედომოსტის“ მოძიება. რადგან ჩანაწერებში არ არის „პეტერბურგსკიე ვედომოსტი“, ეს იმას მიგვანიშნებს, რომ დიმიტრი იქ არ წერდა. ეს, ალბათ, ვილაცის ფანტაზიაა.

პირველი მსოფლიო ომის დროს პეტერბურგს დაერქვა პეტროგრადი. გაზეთსაც „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“ დაერქვა. ინტერნეტსაიტებზე ჩვენი ძიებაც, ჯერჯერობით, ადასტურებს, რომ ჯაში მხოლოდ „მოსკოვსკიე ვედომოსტში“ წერდა „ქუჩუკ“-ის — რუსულად — „Кучук“ — ფსევდონიმით.

ქვემოთ წარმოგიდგენთ თითოეული წერილის მოკლე შინაარსს, ქართულად ნათარგმნს, თან გაზეთში მოთავსებული წერილების ფოტოასლები დავურთეთ.

დანართი N15-ით წარმოდგენილია ამ გაზეთის სატიტულო გვერდის ფორმატი.

„მოსკოვსკიე ვედომოსტის“ 1914 წლის 28 დეკემბრის N300 (დანართი N16), გაზეთის პირველ გვერდზე „ქუჩუკის“ ხელმოწერით დაბეჭდილია „წერილები კავკასიიდან“, სადაც კავკასიის სამხედრო შტაბის 18 დეკემბრის ბიულეტენზე დაყრდნობით, აღწერილია სამხრეთის ფრონტზე, სარიკამიტან (თურქეთი, ყარსის ვილაეთი - ავტ.) რუსეთ-თურქეთის ჯარების ბრძოლის შედეგები. „კუჩუკი“ წერს: „თურქეთის არმიამ დიდი დანაკლისი განიცადა დაღუპულთა მხრივ. მათ შორის არის ერთი გენერალი. დაჭრილთა რაოდენობა ჯერ არ არის დაზუსტებული. ცყვეთ აიყვანილია 27 ოფიცერი და 2000 ჯარისკაცი. თურქი ცყვეები ცუდად გამოიყურებიან, როგორც ჩაცმულობით, ისე მათ ჩანთებში შენახული კვების რაციონით“.<sup>1</sup>

იგი გადმოგვცემს ქურთების მოქმედებების შესახებ, რომლებმაც თითქოს რუსების მხარე დაიჭირეს, მაგრამ თურქების გამოჩენისთანავე მათ მხარეზე გადადიან. წერს თურქულ შეიარაღებაზე, რომ რეგულარულ ჯარს გერმანული იარაღი აქვს, დანარჩენს ძველი ათტყვიანი „აინალუ“, რომელიც მას აჩვენეს და უფრო მძიმე ყოფილა, ვიდრე რუსული „ვინტოვკა“. „ქუჩუკი“ წერილს ასე ამთავრებს: „რუსეთ-თურქეთის ფრონტზე ერთი შეხედვით სწრაფად ცვალებადმა მდგომარეობამ გამახსენა არდაგანთან ბრძოლების ისტორია, რომელთანაც დაკავშირებულია 1877-78 წლების კამპანიის დროს ჩვენი არმიის დიდების ფურცლები. არ იქნება ურიგო მკითხველებს მესხიერებაში აღფუდვინოთ ზოგიერთი ცნობები ამ ციხესიმაგრესთან დაკავშირებით, რომლის აღებისას წარსულ ომში ჩვენი გმირები არცთუ ისე ცოცხა დაეცნენ“.<sup>2</sup>

1914 წ. 31 დეკემბრის „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ N302, მე-4 გვერდზე, რუბრიკაში „პროვინციალური ცხოვრებიდან“, მოთავსებულია წერილი (დანართი N17), სათაურით „საგანგაშო დღეები ტიფლისში“, რომელსაც 20 დეკემბრით ხელს აწერს „ქუჩუკი“. წერილში კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ 19 დეკემბერს ტიფლისი

<sup>1</sup> გაზეთი „МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ“ ,N300, 28 декабря , 1914;

<sup>2</sup> გაზეთი „МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ“ ,N302, 31 декабря , 1914;

განგაშმა მოიცვა: „ენვერ ფაშას თურქული ჯარი ციფლისის წინ დამდგარაო, დროა ხალხმა ციფლისი დაეგოვოთ“. კორესპონდენტს იმ ღამეს და მეორე დღეს მოუვლია ციფლისში არსებული თითქმის ყველა სამხარეო ინსტანცია და დარწმუნებულა, რომ განგაშის საფუძველი არ არსებობდა. მოქალაქეებს შეეძლოთ ციფლისში დარჩენა და მშვიდად ცხოვრება. ბოლოს წერს: „ვეცხოვრობთ, როგორც სამხედრო ბანაკში, იმ განსხვავებით, რომ ზარბაზნებისა და თოფების სროლის ხმა ჯერ არ გვესმის“.<sup>1</sup>

1915 წლის 15 იანვრის „მოსკოვსკიე ვედომოსტის“<sup>2</sup> N11 (დანართი N18), დაბეჭდილია წერილი ქუჩუკის ხელმოწერით. როგორც გაზეთის ფორმატიდან ვხედავთ, სტატიას - „წერილები კავკასიიდან“ - გაზეთის მეორე გვერდის თითქმის ნახევარი უკავია. „ქუჩუკი“ წერას იწყებს ბათუმის რკინიგზის სადგურზე ჩასვლისას შექმნილი შთაბეჭდილების გადმოცემით. მატარებლიდან ჩასულებს ადგილობრივები ეკითხებიან: „ეს სიპართლეა? მართალია?“, რაზეც ბათუმში ჩამოსულები თავის დაკვირვებით დასტურს იძლევიან.“ წერილში აღწერილია თურქესტანისა და ციმბირელი კაზაკებისგან შემდგარი პოლკების გმირული ბრძოლების შესახებ, რომლებმაც არდაგანის და ყარსის ტერიტორიაზე გაანადგურეს ოსმალეთის იმპერიის არმიის მე-9, მე-10 და მე-11 კორპუსები. ხაზგასმულია ყარაურგანთან ბრძოლისას მტრის - ოსმალეთის არმიის მიერ გამოჩენილი მხედრული სიმამაცე და ღირსება. წერილის ბოლოს ქუჩუკი წერს, რომ ბათუმში შეიტყო კავკასიის სამხედრო შტაბის დამის ბიულეტენით ცნობები, სადაც აღნიშნულია აჭარის ჭოროხს იქით და ბათუმის ოლქში რუსეთის გამარჯვებების შესახებ.

1915 წლის 29 იანვრის „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ N23-ში (დანართი N19) დაბეჭდილია „წერილები კავკასიიდან“, რომელსაც გაზეთის მე-2 გვერდის ნახევარი უკავია. წერილი ეხება თბილისში ლტოლვილთა რაოდენობას, მათ გაუსაძლის ცხოვრებას. აღწერს თბილისში მეფისნაცვლის სასახლის გვერდით მდგარ ალექსანდრე ნეველის ტაძრის ეზოში მოწყობილ სამხედრო ალაფის გამოფენას. განსაკუთრებით გამოყოფილი აქვს ქობულეთელ მუსულმან ბურსუნ სულიეიმან-ოღლი ჯაფარიძესთან და აზიზ იუსუფ-ოღლი ჯამთან შეხვედრა და მათთან საუბარი. ხაზგასმული აქვს, რომ მას შეხვედრია აზიზი იუსუფ-ოღლი ჯამში, რომელმაც „არ იცოდა რა ქობულეთში ჩემი ჩამოსვლის მიზეზი, როცა გაიგო ჩემი გვარი, ჯაფარიძესთან ერთად, როგორც ახლობელი ერთმორწმუნე, ისე შემხვდა და ღიად მესაუბრა. ქობულეთელებმა თავისი ძალებით შეკრიბეს და აღჭურვეს 400 ფეხოსანი და 129 ცხენოსანი მეომარი. რუსეთის ჯარის ნაწილების გენერალს სთხოვეს, მათთვის მეთაურად დაენიშნათ ქართველი ქრისტიანი მართლმადიდებელი. ქობულეთელებმა საოცა-

<sup>1</sup> გაზეთი „МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ“ ,N11, 15 Января, 1915;

რი სიმაძავე გამოიჩინეს არდაგანის მისასვლელებთან და სულგან სელიმის მთაზე გამაგრებულ პოზიციებში თურქ-ოსმალეებთან გამართულ ბრძოლაში.<sup>1</sup>

წერილში ავტორი ეხება ასლან-ბეგ აბაშიძის ცხოვრების ეპიზოდებს. წერს, რომ ის 1903 წლიდან ითვლებოდა იდეურ რევოლუციონერად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გურიის ორგანიზაციაში. 1905 თუ 1906 წელს მას წარედგინა ბრალდება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის გამო და რომ არ დაეჭირათ, გაიქცა თურქეთში, რიზეში, სადაც მისი ძმა მემედ-ბეგ აბაშიძე ცხოვრობდა და სასამართლოს პროკურორად მუშაობდა. ძმები რუსეთის ხელისუფლებამ მაინც დააპატიმრა და თბილისში, მეტეხის ციხეში მოათავსა.

კორესპონდენტი ისევ ეხება თურქი ტყვეებისა და დაჭრილების მდგომარეობას. იგი აღნიშნავს, რომ მათ შორის არის ენვერ ფაშას უმცროსი ადიუტანტი ჰასან შევკიბეი. თურქები კმაყოფილი არიან ექიმების მომსახურებით და აღნიშნავენ, რომ მათ ისე მკურნალობენ, როგორც რუსეთის არმიის ჯარისკაცებს. ქურუკი წერილის ბოლოს წერს: „სანამ დავამთავრებდი ამ სტრიქონებს, კავკასიის სამხედრო შტაბის უკანასკნელი ბიულეტენიდან შევიგყვე, რომ 17 იანვარს რუსეთის ჯარის ნაწილებს გაუნთავისუფლებიათ ქალაქი თავრიზი“ (ირანში - ავტ.).

1915 წლის 14 თებერვლის „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ N36 (დანართი N20). დაბეჭდილია წერილი სათაურით „საქართველოს წუხილი“. კორესპონდენტმა ამ სათაურით გამოხატა პატარა საქართველოს მწუხარება აკაკი წერეთლის გარდაცვალების გამო. „ომის თემბე, მორიგი კორესპოდენციის დასაწერად საწერ მაგიდას მიფუჯექი, რომ გელეგრაფიის არაკეთილი ცნობის ძლიერმა ძალამ, რომელმაც შემაგყობინა, რომ პატარა საქართველოს მზე ჩაესვენა, გარდაიცვალა მისი წუხილის, ქართველი ხალხის ფიქრის და გონების განმკარგველი. კალამი, რომლითაც ქალაქის თეთრ ფურცელზე უნდა დამწერა ცნობები ომის შესახებ, ხელიდან გამაგდებინა.

ახლა უკვე არა გვყავს ქართული ლირიკის მეფე, ულამაზესი საქართველოს ბუღბული, ქართული სახალხო-ლიტერატურული ენის შემოქმედი...“ ამით ქურუკი აკაკი წერეთლის გარდაცვალებას ამცნობს გაზეთის მკითხველებს. ეს წერილი მოკლე ნარკვევია იმის შესახებ, თუ ვინ იყო აკაკი წერეთელი, სად და როგორ იზრდე - ბოდა, სად სწავლობდა, როგორი ლირიკული შემოქმედება დაუტოვა თავის ხალხს, რომლის ბედის გამო არაერთი ლექსი ჰქონდა დაწერილი. წერილში მოყვანილია ლექსები: „ავადმყოფი“ და „სურვილი“, ცოლ-ქმარ თხოროქვესკების მიერ ივან-დამარიას ფსევდონიმით რუსულად ნათარგმნი. „ქურუკმა“ რუსეთის მკითხველებს აკაკი წერეთელი გააცნო როგორც კრილოვის იგავ-არაკების, ამავე დროს, დიდი რუსი პოეტების - პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, ნიკიტინას, ნადსონის და სხვა მრავალის რჩეული ლექსების ქართულად მთარგმნელი. სტატიის ავტორი ხაზს

<sup>1</sup> გაზეთი „МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ“, N23, 29 Января, 1915;

უსვამს ქართველი ერისადმი აკაკის მოწოდებას, რომელიც გაზეთ „თემის“ ფურცლებზე დაიბეჭდა, და რომლიდანაც ციტირებს: „კიდევ ერთხელ დავანახოთ თავი ძირძველი მართლმადიდებლური საქართველოსა და მისი ერთმონიერე მფარველის მტრებს. ვაჩვენოთ თურქებს, რომ საქართველოში კიდევ ცოცხალია სამხედრო ღირსებისა და სულის წმინდა გრადიცია“.<sup>1</sup>

1915 წლის 17 თებერვლის „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ N38 (დანართი N21). ქუჩუკი მკითხველს უზიარებს აკაკი წერეთლის დასაფლავების ცერემონიალის შთაბეჭდილებებს, რომელიც შედგა თბილისში 9 თებერვალს. გადმოგვცემს, რომ პანაშვილებს და დასაფლავების ცერემონიას ესწრებოდნენ თბილისის მაღალი ჩინოსნები და ეკლესიის წარმომადგენლები. მისი აზრით, ასეთი ხალხმრავლობა, რომელიც 200 000-ს შეადგენდა, ჯერ ტიფლისს არ უნახავს. აღწერილია ქაშუეთის ეკლესიაში ჩატარებული სამგლოვიარო ცერემონია. „დასაფლავების დღეს, შაბათს, დილიდან შეუწყვეტელი პანაშვილი მიმდინარეობდა. ლიგურციას ატარებდნენ იმერეთის, გორისა და ერევნის ეპისკოპოსები. რიგ-რიგობით გალობდა თერთმეტი გუნდი. ჩოჩქოლი ატყდა კითხულობენ - რა მოხდა? დიდებული გარდაცვლილის ვაჟს ხელმკლავით მოყავს მოხუცებული დედა, მსცოვანი პოეტის ხანგრძლივი მიწიერი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი, თავადის ასული ნაგალია პეგრონა, დაბადებით ბაზილევსკაია. იგი ცუდად გახდა და ძირთვას ადამიანზე დამხობილი ძლივს მოაშორეს კუბოს.“

დღის 12 საათზე მოვიდა მისი უწმინდესობა, ივერიის ეკლესიის ეგზარქოსი პიცირი, რომელმაც ლიგურცია ჩაატარა უძველესი ქართველი კათალიკოსების წესებით. ლოცვის შეძახილებს თვით ეგზარქოსი ქართულად წამოთქვამდა. კუბოსთან იდგნენ კავკასიის მეფისნაცვლის საქმეთა შემსრულებელი, ინფანტერიის გენერალი ა. ბ. მიშლავესკი, სენატორი ა. ა. ჩებიშევი, სასამართლოს დეპარტამენტების და პალატების წარმომადგენლები, თბილისის გუბერნატორი ი. მ. სტრახოვესკი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლო თავადი ვ. ნ. აფხაზი, ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ა. მ. ფედლოროვი, ამიერკავკასიის შიხი ულ-ისლამ და მუფტიები. სხვა მრავალი წარმომადგენელი. აკაკი წერეთელი დაკრძალეს გრიბოედოვისა და ორი ქართველის - ყიფიანისა და ჭავჭავაძის - გვერდით, რომლებიც მოკლულ იქნენ ბოროტი მკვლელების ხელით“.<sup>2</sup>

ქუჩუკი ცალკე აბზაცით გამოყოფს: „როგორც ცნობილია, 1907 წელს მოკლული იქნა ქართული ლიგურაციურისა და საზოგადოებრივი აზრის კიდევ ერთი თავთავი, თავადი ი. გ. ჭავჭავაძე“.

<sup>1</sup> გაზეთი „МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ“ ,N36, 15феврал 1915 г;

<sup>2</sup> გაზეთი „МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ“ ,N38, 17 Феврала, 1915;

1915 წლის 26 თებერვლის „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ N46 (დანართი N22). პუბლიკაციაა ქუჩუკის ხელმოწერით - „წერილები კავკასიიდან“, რომელსაც უჭირავს მე-2 გვერდის ერთ მესამედზე მეტი, ეხება ზემო და შუა აჭარის დაცლილ სოფლებს. „არის გადაძწვარი სახლები, რომლის ბუხრები დგანან ეზოს დარაგებად. სად გაიქცა ხალხი? რატომ მიატოვა ადამიანმა თავის ეზო-კარი-უძრავი ქონება და დატოვა ბედის ანაბარა?“

საქმე ის არის, რომ აჭარის მოსახლეობა კარგად იცნობდა დღევანდელ აჭანყე-ბულთა მეთაურებს ქემალ-ბეგ თავდგირიძეს, ასლან ბეგ აბაშიძეს, დედე ბეგ ბეჟანიძეს და სემილ ქუთუოლლის. ეს უკანასკნელი პოპულარული იყო და აჭარის გლეხობა კარგად იცნობდა, დიდ პატივს სცემდა. როცა დაიწყო თურქებთან ომი, ისინი მტრის მხარეზე გადავიდნენ, თან უბრალო ალალ-მართალი თანასოფლელების დიდი რაოდენობა მიიმხრეს. სელიმმა, მისმა მომხრეებმა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ზოგი შიშით, ზოგი თანდაყოლიებით დაითანხმეს გადასახლებულიყვნენ თურქეთის სიღრმეში. აი მათი მზაკვრული შრომის შედეგი სახეობა: „დაცლილი სოფლები“.<sup>1</sup>

„ქუჩუკი“ წერს, რომ კავკასიის სამხედრო მტაბის ცნობით, რუსეთმა დაიკავა ლაზისტანის ქალაქი პორტი - ხოფა. წერს ხოფას შესახებ, მის გეოგრაფიულ მდებარეობაზე და სავაჭრო თვალსაზრისით მის მნიშვნელობაზე. კმაყოფილებას გამოხატავს, რომ ხოფა რუსეთის ხელშია. იმედს გამოთქვამს, რომ კიდევ ბევრი ტერიტორია გადმოვა რუსეთის ხელში. ამავე დროს იტყობინება, რომ „ტყვედ ჩავარდნილი თურქი მეომრები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ ენვერ-ფაშა ამზადებს ახალ შეტევებს ჩვენი ჯარების წინააღმდეგ. ამ მიზნით მან ფრაკიაში შეაგროვა 250 000-იანი არმია და მცირე აზიაში, ერზურუმთან განათავსა“.

1915 წლის 26 თებერვლიდან - 1916 წლის 7 აპრილამდე წყდება დიმიტრი ჯამის წერილების პუბლიკაცია. ამის მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ 1915 წლის მარტიდან ნოემბრის ჩათვლით დიმიტრი ჯამი ბაქოშია დაპატიმრებული. გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ კორესპონდენტობამდე, 1913-1914 წწ. ის მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე რევიზორად, საიდანაც დაითხოვეს ყალბი ბილეთების რეალიზაციის საქმეში მონაწილეობისათვისა და საქმეც აღიძრა. დიმიტრის პირველი პუბლიკაცია დაიბეჭდა 1914 წლის 28 დეკემბრის გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ N300-ში. იბეჭდებოდა 1915 წლის წლის 26 თებერვლის ჩათვლით. შემდეგ გაასამართლეს და პატიმრობაში იყო. პატიმრობიდან გათავისუფლებული, 1916 წლის 7 აპრილიდან ისევ აქვეყნებს პუბლიკაციებს 1916 წლის 7 სექტემბრის ჩათვლით.

1916 წლის 7 აპრილის გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ N80 (დანართიN23)<sup>2</sup>, იბეჭდება ქუჩუკის ფელეტონი: „ბედკრული სახლი“. მასში ავტორი აკრიტიკებს

<sup>1</sup> გაზეთი „МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ“, N46, 26 Февраля, 1915;

<sup>2</sup> გაზეთი „МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ“, N80, 7 Апрель 1916;

ტიფლისის საქალაქო მმართველობაში ქალაქის ხაზინიდან თანხების ხარჯვას. მოხსენიებული ჰყავს ქალაქის თავი ხატისოვი, ქალაქის თვითმართველობის წევრი ჯაბარი, რუსეთის ქალაქების კავშირის კავკასიის განყოფილების უფროსი, რუსეთის მიწათმოქმედების მინისტრის რწმუნებული კავკასიაში შასკოვი, სპარსეთის ქვეშევრდომი - აირაპეტ-მელიკ მუშკამბარიანცი და სტეპან დანდურიანცი, რომლებიც ერთდროულად ორ მაღალ ანაზღაურებად ადგილს იკავებს: ქალაქის თვითმმართველობის მდივნისა და სრულიად რუსეთის ქალაქების კავშირის კავკასიის განყოფილების მდივნისა. ქუჩუკი მკითხველს უამბობს, თუ როგორ უყარათოდ, არამიზნობრივად იხარჯება სრულიად რუსეთის ქალაქების კავშირის კავკასიის განყოფილების მიერ სახელმწიფო ხაზინიდან და ტიფლისის მმართველობის სალაროდან გამოყოფილი თანხები. მოჰყავს ამის დამადასტურებელი ფაქტები.

1916 წლის 14 აპრილის გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ N85 (დანართი N24),<sup>1</sup> ქუჩუკის სტატიია - „წერილი კავკასიიდან“, რომელსაც გაზეთის სამი სვეტი უკავია. ეხება კავკასიაში, კერძოდ, ტიფლისისა და ქუთაისის გუბერნიებში პირველადი მოხმარების საქონელზე ფასების ზრდას. მოჰყავს მაგალითები ქუთაისში პურის ფქვილის გაძვირებასთან დაკავშირებით, ქუთაისელი ვაჭრების მაქინაციების შესახებ. სტატიაში ეხება ჭიათურის მარგანეცის გამო მდინარე ყვირილას დაბინძურებას, რის გამოც, იმ სოფლების მოსახლეობა, სადაც ყვირილა ჩამოდის, იძულებულია მდინარის წყლით არ ისარგებლონ, რაც მათ უკმაყოფილებას იწვევს.

1916 წლის 17 მაისის გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ N113 (დანართი N25), ქუჩუკის წერილია „ფხიზელი სიმთვრალის შესახებ“, რომელიც ეხება რუსეთის იმპერიაში ალკოჰოლის მოხმარების შეზღუდვით გამოწვეულ შედეგებს. გამოეხმაურა რა ამ თემაზე „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ 101-ე ნომერში დაბეჭდილ კორესპონდენტ ნ.ვ.ტ.-ს წერილს — „სიფხიბლისადმი ფხიზელი მიდგომა“ — ქუჩუკი აღნიშნავს: „უკვე ორი წელია, სპირტის სასმელების მოხმარების აკრძალვამ ერთბაშად შექმნა ერთი შეხედვით ფხიზელი რუსეთი, მაგრამ სინამდვილეში მოიგანა ბევრი უბედურება. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაში ალკოჰოლიზმის საკითხი უკეთესად გამოიყურება, ვიდრე რუსეთის სიღრმეში, კავკასიაშიც ამით გამოწვეულია მთელი რიგი ნაკლოვანებები. უპირველესად აღენიშნავენ კანონის სუსტ მხარეს. თუ შენარმე, რომელსაც აქვს ქარხანა, საავადმყოფო, სახლების გათბობის სისტემა და სხვა დანადგარები, რომლის ექსპლოატაციისათვის საჭიროა გექნიკური სპირტი, მას თავისუფლად შეუძლია იათფასიანი სააქციბო მარკით მოითხოვოს გექნიკური სპირტის დადგენილი მინიმალური რაოდენობა - „გექნიკური საჭიროებისათვის“, რომელიც სხვა დანიშნულებით იქნება გამოყენებული. მისგან ჩამოასხამენ სუროგატს და სხვადასხვა ფალსიფიცირე-

<sup>1</sup> გაზეთი „МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ“, N85, 14 Апрель 1916;

ბულ არაყს, რომელიც ერთი ათად ძვირად გაიყიდება“.<sup>1</sup> წერილში აღწერს კავკასიიდან რუსეთის მსხვილ ქალაქებში რკინიგზით სუროგატული სპირტის ტრანსპორტირებისათვის სპეციალურად დამზადებულ ორძირიან ჩემოდნებს, რომლის ქვედა ძირში სუროგატული სპირტი ასხია.

1916 წლის 1 ივნისის „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ N125 (დანართი N26), კურუკის წერილია რუბრიკით — „წერილები კავკასიიდან“. წერილს გაზეთის მეორე გვერდის თითქმის ნახევარი - შვიდი სვეტი უკავია. პირველ და მეორე სვეტში წერს რუსეთის სამხედრო და დიპლომატიურ წარმატებაზე ირანის ჩრდილოეთში, სადაც რუსეთის ძალებით გაყვანილ იქნა რკინიგზის ხაზი რუსულ ჯუღფასა და თავრიზს შორის. კორესპონდენტი წერს: „წინააღმდეგობათა კედლის პირველი ბზარი გასხნილია. მას მოყვება შემდეგი, არანაკლებ მნიშვნელოვანი: ქართველმა გიორგი ხოშგარიამ სპარსეთის მთავრობისაგან 99 წლით, ამასთან კარგი სარგებელით, მიიღო უდიდესი კონცესიები, რომლითაც უფლება მოიპოვა სხვადასხვა წიაღისეულის და ნავთობის მოპოვების, ხე-ტყის ჭრის, ბამბის კულტურების მოყვანის და სხვა საქმიანობისათვის, რაც დიდად შეუწყობს ხელს რუსეთ-ირანის მომავალ ეკონომიკურ ცხოვრებას და რაც უდავოდ მნიშვნელოვნად გააძლიერებს ირანში ჩვენს გავლენას.“

შემდეგ სვეტში ქურუკი გადმოგვცემს ადგომის კვირაში ბათუმში ჩასვლისა და იქ არსებული მდგომარეობის შესახებ. „მისი უდიდებულესობის სამეფო მხედარმთავრობის ბრძანებით, 1916 წლის 16 აპრილს ბათუმის თავდაცვითი მდგომარეობა მოხსნილი იქნა. ბათუმში ჩასვლა მხოლოდ საშვებით შეიძლება. მაგარებელი დაუბრკოლებლივ ქობულეთამდე მიდის, შემდეგ ჩაქვის სადგურში მონმდება ყველა პირი და ვისაც საშვი არ ექნება, მისი ვინაობის დადგენის შემდეგ, უკან აბრუნებენ“.

წერს, ქალაქი ბათუმი თავდაცვითი მდგომარეობიდან როგორ გადავიდა მშვიდობიანი ცხოვრების ფაზაში. აღწერს ბათუმის სიმშვიდეს და ულამაზეს ზღვისპირა ბულვარში გასეირნებას. „ქალაქში სუფევს აბსოლიტური სინყნარე, ყველას სახე ღიმილს, სიხარულსა და კმაყოფილებას გამოხატავს, არანაირი წუხილისა და განგაშის ჩრდილები, დიახ, ეს ბათუმში ხდება „გებენისა“ და „ბრესლაუს“ — გერმანული სამხედრო საზღვაო სახაზო კრეისერების — მთავარ სამიზნე ქალაქში. ერთი სიგყვით, ბათუმი, რომელიც ფრონტის წინა პოზიციიდან გადავიდა ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის პოზიციაში, დღეს ცხოვრობს მშვიდობიანი ყოფით, ყველაფერი გამოიყურება მშვიდათ. 24 აპრილს რალაც გულის ტვიფილით დავტოვე ბათუმი, ეს უმშვენიერესი მინიერი სამოთხის ნაწილი“.

წერილის მესამე ნაწილში გადმოგვცემს:

<sup>1</sup> გაზეთი „МОСКОВСКІЯ ВЕДОМОСТИ“, N 113, 17 МАЯ, 1916;

„ქართული და რუსული საზოგადოება, კავკასიაში ქართული და რუსული ბეჭდვითი გამოცემები აღმოფოთებულია ულტრალიბერალურ გაზეთში „რუსული უწყება“, 14 აპრილის ნომერში, მათი კორესპონდენტის ბინძური პროვოკაციული გამოხტომით, რომელიც მოკრძალებული ფსევდონიმის „პ-ვა“-ს ქვეშ წინდახედულად დამალულა.

რა თქმა უნდა, მე ვლავარაკობ და დანამდვილებით ვწერ კავკასიაში რუსულ საზოგადოებაზე და რუსულ ბეჭდვით გამოცემებზე და არა ისეთ სომხურ ორგანოებზე, რომლებიც იბეჭდება რუსულ ენაზე. როგორცაა „კავკასკოე სლოვო“, უსახური „ტიფლისკი ლისტოკი“, ვერმიშევის „ბაქო“, კაზაროვის „ტერეკი“ და სხვა ორგანოები, რომლებიც გამორჩეულად თავიანთ სომეხ მეპატრონეთა თვითრეკლამისათვის არიან შექმნილები. დასახელებული გაზეთის 14 აპრილის ნომერში, სტატიის — „კავკასიის ცხოვრებიდან“ — ავტორი ვადმოგვცემს: „ერთმა სომეხმა მოღვაწემ, რომელიც მე ვნახე, სრულიად სერიოზულად მაცნობა: ქართველები ემხრობიან თურქულ ორიენტაციას, ისინი მოექცნენ გერმანული გავლენის ქვეშ და აქედან იწყებს სათავეს სომხების მიმართ სიძულვილი (ხასვასმა ჩემია — ქუჩუკი). ვინმე „პ-ვა“ ყოველგვარი სირცხვილის გარეშე მოგვითხრობს თავხედურ და ბინძურ ტყუილს, რომელიც აშკარა პროვოკაციისათვის არის ვათვალისწინებული და ამ პროვოკაციულ სიცრუეს თავის სვეტებს უთმობს ვაზეთი „რუსკიე ვედომოსტი“, რომელიც ბევრს მიაჩნია ავადემიურ-სერიოზულ ვაზეთად. როგორ მოვწონთ თქვენ ეს: ქართველები თურქულ ორიენტაციას მიეკუთვნება! ეს ის ქართველები, რომლებმაც თავიანთი მცირერიცხოვნობის ვამო ვერ ვაუძლეს თურქების, სპარსელებისა და მონღოლთათრების მუდმივად, ზურგში და მკერდში დარტყმებს და სისხლიდან დაცლილებმა, კვნესით მოიტანეს ერთმონწმუნე რუსებთან ახლო აღმოსავლეთის მართლმადიდებლობის ვასალები და მთლიანი და ხელშეუხებელი ჩაბარეს თავის ერთმონწმუნე მძლავრ და ძლიერ ძმებს რუსებს. ნებაყოფლობით და არა ცეცხლისა და ხმლის ძალით, თავისი ბედი შეუერთეს რუსეთის ბედს!

ხედავთ, „თურმე ქართველები თურქულ ორიენტაციაზე დვანან“, ისინი გერმანელთა გავლენის ქვეშ მოექცნენ“ - სწორედ ის ქართველები, რომლებმაც თავიანთი მართლმადიდებლური რწმენის ვადასარჩენად და ძალადობრივი ვათურქებისავან თავის დასაღწევად უარი თქვეს თვითმართველობაზე და თავიანთ პოლიტიკური დამოუკიდებლობა ვაცვალეს რუსეთის ქვეშევრდომ მდგომარეობაზე! ქართველები, რომლებიც რუსებთან ერთად მიდიოდნენ და მიდიან რუსეთის, შესაბამისად, საქართ-ველოს მტრების წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში, იციან რომლის ბოლო ან სიკვდილია, ან ვამარტყება. ამას დაადასტურებენ დღევანდელი სამხედრო ვამპანის მხედარმთავრები.

დე ამ „პ-ვამ“ „რუსული უწყებებიდან“ დაასახელოს ის სომეხი მოღვაწე, რომელიც ნახა და რომელმაც სრულიად სერიოზულად განუცხადა, აშკარა პროვოკაციული მიზნებისათვის გამორჩეულად ბინძური და ცრუ ამბავი, დე, გვითხრას თუ ვინ იყო და ჩვენ მერე წარმოვადგენთ მთელ რიგ სხვა მონაცემებს, რათა ჩამოვხსნათ ამ სომეხ მოღვაწეს, - პროვოკაციის მთესველს - სირცხვილის ფერი, თუ მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სირცხვილისაგან განითლების თვისება“.<sup>1</sup>

შემდეგ სვეტში ქუჩუკი წერს სუბომილოვის - ყოფილი რუსეთის თავდაცვის მინისტრის დაპატიმრების შესახებ. ავტორი კრიტიკულად აღწერს სუბომილოვის კავკასიაში მოღვაწეობას.

1916 წლის 4 ივნისის გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ N128 (დანართი N27), ქუჩუკის წერილია რუბრიკით „წერილები კავკასიიდან“. განხილულია, თუ როგორ მოაწყობო პოლიციის სამსახურმა ქალაქში პურის საცხობები. „პოლიცმაისგერმა პოლკოვნიკმა კ. ა. ზდანოვსკიმ კეთილი საქმე გააკეთა არა მარტო პოლიციის სხვადასხვა ჩინოსანისთვის, არამედ მოსახლეობისთვის. ასეთ პურის საცხობებში ფასი ერთ ფუტ პურზე ნახევარი -1 კაპიკით ნაკლებია, ვიდრე კერძო საცხობებში. მომავალში გაიხსნება 12 პოლიციის პურის საცხობი, რომლებიც ტიფლისის ყველა პოლიციის განყოფილების მომსახურე გერიგორიაზე უზრუნველყოფს ღარიბი მოსახლეობის პურის მომარაგებას კერძო საცხობებთან შედარებით დაბალ ფასებში“.<sup>2</sup>

მეორე სვეტი ეხება რუსეთის ქალაქების კავშირის თბილისის განყოფილების საქმიანობას. „ქუჩუკი“ აღნიშნავს, რომ ამ კავშირმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ისეთ საქმეში, როგორც არის ჯარის მომარაგება და დაჭრილების მკურნალობა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აქ ადგილი აქვს ახლო ნათესავების დანიშვნით სახსრების გაფლანგვას. „საქმე იმაშია, რომ ეს კავშირი ფინანსდება იმპერიის ხაზინიდან და ომის პირობებში მნიშვნელოვანია ამ თანხების ეკონომიური და მიზნობრივი ხარჯვა. არღუტინსკიმ, რომელიც თბილისის დაჭრილთა კომიტეტის თავმჯდომარეა და ამავე დროს ქალაქის თავის მოადგილეა, კომიტეტის სხდომაზე წარმოადგინა სრულიად საშუალო დონის ნაფიცთა მსაჯულის კ.ნ. კანანიანცის განცხადება, რომელიც აღნიშნავს, რომ რუსეთის ქალაქების კავშირის მიზნით მან იბარალა 1800 მანეთით და თხოულობს ამ თანხის მიღებას. რა ბარალა ასეთი? კ.ნ. კანანიანცს მწვავე ინფექციის დაავადებათა ლაბარეთში მიუყვანია თავისი ნათესავი. როდესაც სახლში ბრუნდებოდა, ლაბარეთის ებოში ჩავარდნილა ღიად დატოვებულ „ლუქში“ და მიუღია მკერდის დაზიანება. ლუქი, რომ ვიღაცამ ღიად დატოვა, ეს რუსეთის ქალაქების კავშირის ბრალი ყოფილა. პაციენტმა თუ რა დაზიანება მიიღო და მის შრომისუნარიანობას ხელი როგორ

<sup>1</sup> გაზეთი „МОСКОВСКІЯ ВЕДОМОСТИ“ ,N125, 1 Іюня 1916;

<sup>2</sup> გაზეთი „МОСКОВСКІЯ ВЕДОМОСТИ“ ,N128, , 4 Іюня 1916;

შეშალა, ამაზე არაერთი სამედიცინო აქტი არ არის. კანანიანცი იქვე ლაზარეთში მოათავსეს და იქ ერთი კვირა იწვა, შემდეგ განერეს და ექიმის მომსახურებას სახლში ლეზულობდა. არაფინ არ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდა ასე, მხოლოდ მისი თქმით - მკურნალობა სამ თვეს გაგრძელდებოდა.

კანანიანცი თურმე ახლომხედველია და ვერ დაინახა ღია ლუქი, მაგრამ დაჭრილთა კომიტეტის სხდომის ოქმში კომიტეტის თავმჯდომარემ გადაწყვეტილება ასე ჩაწერა: საკითხი მიზანშეწონილია გადაწყდეს მშვიდობიანად და ნაფიც მსაჯულ კ.ნ. კანანიანცს გაეცეს მოთხოვნილი თანხა. აქ უკეთესია ითქვას არა მიზანშეწონილობაზე, არამედ იმ დახმარების შესახებ, რომელიც სახელმწიფო ხაზინიდან მისცა ახლობელმა თავის კაცს. საკითხი სასამართლოში რომ განხილულიყო, ასეთ მიზანშეწონილობას არც ერთი სასამართლო არ მიიღებდა“.

გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ 1916 წლის 20 აგვისტოს N192-ში<sup>1</sup> (დანართი N28) და 23 აგვისტოს N194-ში<sup>2</sup> (დანართი N29) არის “ქურუკის” „წერილები კავკასიიდან“, სადაც აღწერს ე. წ. ტაქსას გაუქმებას, რამაც საქონლის გაძვირება გამოიწვია, ამის გამო ივნისში მომხდარი ქალთა ბუნტის შესახებ, რომელიც გადაიზარდა ქალების მიერ მაღაზიების დარბევამდე. მოტანილია მაგალითები საქონლის დეფიციტის ხელოვნურად შექმნის თაობაზე. სტატიის დასაწყისში ავტორი პატიებას სთხოვს თბილისის პროკურატურას, რამეთუ უზურპაცია გაუკეთა მათ საქმეს და ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაციის - „განსაკუთრებული სათათბირო ქალაქის მოსახლეობის სურსათის საკითხებში“ - საქმიანობაზე და ამ სათათბიროს წევრების მიმართ, პირველად ადგენს „საბრალდებლო აქტს“. მათი გვარები და თანამდებობები მითითებულია საბრალდებლო აქტში, რომელიც გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ მკითხველთა სამსჯავროზე გამოაქვს. ავტორი სქოლიოში მიუთითებს, რომ ამ სტატიის ხელნაწერი სრულად მოახსენეს თბილისის უმაღლესი სასახლის წარმომადგენლებს. მასში არსებული ცნობები ეყრდნობა თბილისის გუბერნატორის კანცელარიაში გაცნობილ დოკუმენტს, რომელიც წარმოადგენს მოხსენებას და რომლითაც თბილისის უმაღლესი ხელმძღვანელობის წინაშე წარსდგა თბილისის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ადმინისტრატორი.

გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ 1916 წლის 24 აგვისტოს N195-ში (დანართი N30). “ქურუკი“-ს „წერილები კავკასიიდან“, რომელშიც ავტორი საუბრობს სურსათის დეფიციტის კიდევ უფრო ხელოვნურად შექმნაზე და ამის გამო საქონელზე ფასების მეტისმეტად გაძვირების თაობაზე. წერილები წარმოადგენს გაზეთის წინა ნომრებში დაბეჭდილი მასალის გაგრძელებას.<sup>3</sup>

<sup>1</sup> გაზეთი „МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ“, N 192, 17 Августа 1916;

<sup>2</sup> გაზეთი „МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ“, N194, 23 Августа 1916;

<sup>3</sup> გაზეთი „МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ“, N 192, 17 Августа 1916;

1916 წლის 7 სექტემბრის გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ N207-ში დაბეჭდილია (დანართი N31), „წერილები კავკასიიდან“. ამ წერილში ნათქვამია, რომ წინა წერილებში მხილებული პირების მიმართ სამეფო კარის დავალებით დაწყებული საპროკურორო გამოძიება. წერს, იმის მიუხედავად, რომ ტიფლისში სხვადასხვა ენაზე გამოდის ორ ათეულზე მეტი ბეჭდვითი ორგანოს გაზეთი, მხოლოდ ერთადერთმა „კავკასია რაჩ“ დაბეჭდა წერილები კავკასიაში სურსათის დეფიციტის შექმნის გამო და მასზე ფასების მომატების შესახებ. „კუჩუკი“ სტატიამი მხარს უჭერს „კავკასია რეჩ“-ში დაწერილი სტატიების ავტორს და კონკრეტულად მიუთითებს პასუხისმგებელი პირების - ბატონების ჯაბარისა და შაშკოვსკის ქმედებებით შექმნილ, დოკუმენტებით დადასტურებულ ფაქტებზე.<sup>1</sup>

1914 წლის 28 დეკემბრიდან 1916 წლის სექტემბრის ჩათვლით კუჩუკის ფსევდონიმით დიმიტრი ჯაშს გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტში“ დაუბეჭდეს 16 წერილი, საიდანაც 14 წარმოვადგინეთ.

„მოსკოვსკიე ვედომოსტში“ კუჩუკის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილებით მკითხველი დაინახავს, რომ დიმიტრი ჯაშს არ გამოირჩევა წერის განსაკუთრებული მანერით და მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების განხილვით. მით უფრო, არ გამოხატავს მონარქიის მიმართ თავდადებას. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ კუჩუკის წერილებში არ გვხვდება რუსეთის მიმართ პატივისცემის აღმნიშვნელი სიტყვები, მაგრამ ამ წერილებში საკმაოდ არის გამოხატული პატრიოტიზმი საქართველოს მიმართ. დიმიტრის განსაკუთრებით აწუხებს საქართველოს მთლიანობა, რუსეთ-თურქეთის ომის გამო ქართველი ხალხის შეჭირვებული მდგომარეობა. აკაკის გარდაცვალების გამო საქართველოს წუხილი, ავტორმა თავისი წერილის სათაურად გამოიტანა და ამ მონარქისტულ გაზეთში ყველას წასაკითხად დაწერა, რომ ეგზარქოსი პიტირის მიერ ჩატარებული ლიტურგია შესრულდა უძველესი ქართული საკათალიკოსო წესებით, რომლის დროს ლოცვის შეძახილებს თვით ეგზარქოსი ქართულად გამოთქვამდა. აღნიშნულ წერილში კუჩუკი მიუთითებს, რომ, სადაც აკაკი დაიკრძალა, აქვე განისვენებს გენიალური შემოქმედის, დიდებული პიესის „ვაი ქუისაგან“ ავტორის ა.ს.გრიბოედოვის ნეშთი. აქვეა ბოროტი ხელით მოკლული საქართველოს ორი დიდებული შვილის - დიმიტრი ყიფიანისა და უდიდესი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის, სახელმწიფო საბჭოს ყოფილი წევრის, ილია ჭავჭავაძის განსასვენებელი.

კიდევ ერთხელ ვიტყვით: ჩვენი აზრით, ამ წერილებში განსაკუთრებული ჟურნალისტური ხელოვნება არ მოჩანს, თუმცა მათში ნამდვილად არის გამოხატული სამშობლოს მიმართ პატრიოტიზმი. რა თქმა უნდა, ჯერ რუსეთის სახელმწიფოს მიმართ, შემდეგ — მშობლიური საქართველოსი. მხოლოდ საქართველოსადმი პატრიოტული გრძნობით გამსჭვალულ წერილებს, ბუნებრივია, არც გამოუქვეყნებდნენ.

რაც შეეხება ქართველი მკვლევრების მიერ დიმიტრის წერილების შეფასებას, თითქოს იგი სპეციალურად წერდა ვორონცოვ-დაშკოვის საამებლად ასეთი შინაარ-

<sup>1</sup> გაზეთი „МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ“ ,N207, 7 Сентября 1916;

სის წერილები „მოსკოვსკიე ვედომოსტიში“ ვერ ვნახეთ. მართალი ყოფილა ალექსანდრე შუშანაშვილი, როდესაც წერდა: „რაც მთავარია, დღემდე ვერაფერ ადმოაჩინა ის სტატიები, რასაც ასე აღფრთოვანებაში მოუყვანია მეფისნაცვალნი.“

„მოსკოვსკიე ვედომოსტიში“ მხოლოდ „ქუჩუკი“-ს წერილები ვნახეთ. არც ერთი ეხება მეფისნაცვალის ვორონცოვ-დაშკოვის საქმიანობას. შესაძლებელია, ამ წერილებმა დააინტერესა მეფისნაცვალნი და გამოიძახა ავტორი, მაგრამ „ჯიგიტად“ რატომ იხსენიებს? იქნებ, მართლაც წერდა „ჯიგიტის“ ფსევდონიმით, მაგრამ არა გვგონია პეტროგრაფში გაგზავნილი წერილები განსხვავებული ყოფილიყო მოსკოვში გაგზავნილისაგან.

აქ საჭიროდ ჩავთვალეთ აგვედინინა, რომ 1916 წლის „მოსკოვსკიე ვედომოსტიში“ 17 იანვრის გაზეთი N13-ში დაბეჭდილია ვორონცოვ-დაშკოვის გარდაცვალების შესახებ მწირი ინფორმაცია, რომელშიც ერთი მოკლე აბზაცი გამოხატავს ცნობას კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე მისი სამსახურის შესახებ. ხელს აწერს ვინმე - მ. ბ. 1916 წლის იანვარში დიმიტრი ჯაშს „მოსკოვსკიე ვედომოსტიში“ როგორც კორესპონდენტს კავშირი შეწყვეტილი ჰქონდა. ვორონცოვ-დაშკოვის გარდაცვალების და კავკასიაში მისი მოღვაწეობის შესახებ ფაქტია, ჯაშს არ დაუწერია.

ვორონცოვ-დაშკოვის კავკასიიდან წასვლის შემდეგ „მოსკოვსკიე ვედომოსტიში“ დაბეჭდილი დიმიტრი ჯაშის წერილები ეხება იმდროინდელ თბილისში არსებულ სასურსათო კრიზისს და ამით გამოწვეულ, ერთი მხრივ, ხალხის უკმაყოფილებას, მეორე მხრივ - ტიფლისის ქალაქის საკრებულოში მოკალათებული თანამდებობის პირების მიერ სასურსათო დეფიციტის ხელოვნურად გამოწვევას და აქ მცხოვრები მეფის მოხელეების დანაშაულებრივ საქმიანობას, დაკავშირებულს სახაზინო თანხების უყაირათო ხარჯვასთან. ამ შინაარსის წერილებს თავისი შედეგი გამოუღია. ყველა მხილებული პირის მიმართ სამეფო კარის დავალებით დაწყებული საპროკურორო გამოძიება.

დიმიტრი ჯაშსი რუსეთის მონარქისტული იმპერიის ინტერესების გამომხატველი კორესპონდენტი რომ იყო, ეს ჩანს მის ნაწერებში. ამასთან, იმასაც ვხედავთ, რომ რუსული სამხედრო ძალის ქებით ცდილობს თურქული აგრესიისაგან საქართველოსა და ქართველი ხალხის დაცვას.

იქნებ დიმიტრი ჯაშს მესხიერებაში შემორჩა ილია ჭავჭავაძის წერილი „ასის წლის წინათ“, რომელიც გაზეთმა „ივერიამ“ 1899 წლის ნოემბრის ბოლოს გამოაქვეყნა და რომელშიც ილია საქართველოს გადარჩენის გზას რუსეთის მფარველობაში ხედავდა. ილია ამ წერილში წერდა: „...წინათ ბევრჯერ ააოხრეს საქართველო, ბევრჯერ მიანგრ-მოანგრის, ...ხოლო გული კი ვერ შეუნგრის. საქართველო იბრძოდა, ჯვარს ეცმობდა და გულს კი არ იტყებდა. ამ ტანჯვა-წამებით მოაწია ამ პაგარა ქვეყანამ, ამ ერთმა მუჭა ერმა მეფურამეგე საუკუნის დასასრულამდე. შეირჩინა რეკული, ენა, თავისი ეროვნული ვინაობა და თავისი ქვეყანა. როცა გაძლიერებულმა რუსეთმა ფეხი მოაბ-

ჯინა ჩრდილო-კავკასიის მთებს და წამებულმა საქართველომ რუსეთისაკენ მიიხედა და გული მიიბრუნა, მაშინ უფრო გაუმძვინვარდნენ მტრები და წამეგნავად სპარსეთი. ალა-მაჰმად-ხანის მოსევა და თავდასხმა 1795 წელს — რუსეთთან საუბრის გამართვამ გამოიწვია და ოსმალთაც ამ მიზეზმავე თავს წამოგვაყენა, და ერთიც და მეორეც, თუმცა ცალ-ცალკე-კი, უფრო მეტის მძვინვარებით მოგვისია ...დიდი წვალება გამოიარა რუსის ჯარმა, რაკი კავკასიის მთებში შემოსდგა ფეხი. ვიწრო აღმართ-დაღმართები, თოვლი და ყინვა, გაფუჭებული გზები, ზოგან სურსათის ნაკლებობა, — ყოველივე ეს ერთად, აბრკოლებდა ჯარს. ბარბაზნები და სხვა არცილერიის კუთვნილებანი ზოგან ხელდა-ხელ და ზურგით გადმოჰქონდათ ჯარისკაცებს, რადგანაც სხვანაირად ვერა ხერხდებოდა. როგორც იყო, ჯარმა ყოველს დაბრკოლებას სძლია, გადმოიარა მთები და გადმოხედა არაგვის ხეობის დაბლობებს. აქ ჯარს მიეგება ბატონიშვილი ვახტანგ, მიაგება ოთხმოცი უღელი ხარ-კამეჩი, გამომცხვარი პური და სხვა ...ასე შემოვიდა რუსის ჯარი ტფილისში. ამ დიდის ყოფით და ამბით დახვდა რუსეთის ჯარს მეფე და ერი. სასონარკვეთილმა მეფემ და ერმა ძლივს ნუგეშით და იმედით გაიცოცხლა გული. მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქობამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა. ყველას, დიდიდამ პატარამდე, ქალით კაცამდე, გული აეგსო იმ სანატრელ იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში საქართველოს მოუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერადა და უგვივრად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეების განმავლობაში ასე თავგამეცებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და თავისის სისხლით ჰრწყავდა ყოველს კუთხეს თავისის ქვეყნისას.

ამ ღირსსახსოვარ დღიდან საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა აქერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემადრწუნებელ სახსოვრად-ლა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინალამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უძნელ, უნუგეშ, ყველასაგან შორს, მარტოდ-მარტო იხოცებოდნენ

ქრისტეს სარწმუნეობის სადიდებლად და თავისი ვინაობის გადასარჩენად. დაიდვა საზღვარი მშვიდობის-მყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ველარავინ გადმო-  
ლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს, კვლავ სასოება-გაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისს მომა-  
ვალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული. დღეს, 26 ნოემბერს 1899 წ., სწორედ ასი წელიწადია მას აქეთ“.<sup>1</sup>

დიმიტრი ჯამი იმ წერილებით, რომლებშიც ამხელდა თბილისელი ვაჭრებისა და თბილისის გამგეობაში მოკალათებული თანამდებობის პირების დანაშაულებრივ საქმიანობას, ცდილობდა, ეკონომიურად წელში გაწყვეტილი ქართული საზოგადოე-  
ბის დაცვას. წერილების შინაარსი არ ემთხვევა ზოგიერთი ქართველი მკვლევრის მიერ დიმიტრი ჯამის წერილების შეფასებას, რომ ყოველ პუბლიკაციას შავრაზმული იდეების მხარდასაჭერად წერდა. მისი წერილები შავრაზმელთა მხარდაჭერას არ გამოხატავს, მაგრამ მონარქისტული რეჟიმის მხარდამჭერი კი იყო. ვინც წაიკითხავს ქუჩუკის წერილებს, შესაძლებელია, მასში განსაკუთრებული ვერაფერი აღმოაჩინოს, მაგრამ, ვფიქრობთ, თვითნასწავლის კვალობაზე, გაბედულად ასრულებდა თავის ჟურნალისტურ საქმიანობას. ის უთუოდ კარგად იცნობდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, მათ შორის, წერილს - „ლიტერატურული პატიოსნება“, რომელიც გა-  
ზეთმა „დროება“ ჯერ კიდევ 1875 წელს დაბეჭდა. მასში ილია პუბლიცისტს მიმარ-  
თავს: „... ერთი გაბედე და ცოცა რამ ლაქა მონახე ვისმეს საზოგადო ცხოვრებაში და მოქმედებაში, გაბედე და საქვეყნოდ გამოააშკარავე ისეთი ნაკლულეგანება და მოქ-  
მედება რომლისაჲმე პირისა, რომელსაც რამე საზოგადო მნიშვნელობა აქვს, და მაშინ ნახავ. თუ როგორ შემოგიკურთხებენ, რა ეპიგეტებით და სახელებით შეგამკობენ!“<sup>2</sup>

„ქუჩუკმა“ 1914-1916 წლებში გადაიმტერა იმდროინდელი ტფილისის გამგეო-  
ბის თანამდებობის პირები, შეძლებული ტფილისელი და ქუთაისელი ვაჭრები, ბათუმის ოლქში მცხოვრები გავლენიანი გვარის წარმომადგენლები, რომლებმაც ადგილობრივი მოსახლეობა დაარწმუნეს დაეტოვებინათ მშობლიური საკარმიდამო და თურქეთის სიღრმეში გადასახლებულიყვნენ. ქართველების დაცვის მიზნით, ის აკრიტიკებდა კავკასიაში გამომავალი ზოგიერთი გაზეთის რედაქტორებს, ასევე, კრიტიკულ წერილებს წერდა რუსეთის ქალაქების კავშირის თბილისელი ხელმძღვა-  
ნელების უყაირათო საქმიანობაზე, კიდევ ბევრ ჩინოვნიკსა თუ მოსამართლეზე. ამასთან, პოლიციისა და ჟანდარმერიის მიმართ დადებით წერილებს აქვეყნებდა. ამ ფაქტების მოყვანით დიმიტრი ჯამის ხასიათზე მივანიშნებთ - ის არავის არ ეპუებოდა, მაგრამ პოლიციის საქმიანობას თავის ნაწერებში კარგად მოიხსენიებდა, მასთან ერთად, მეფის ხელისუფლებას. მისი ნაწერები არ გამოხატავდა რევოლუ-

<sup>1</sup> გაზეთი „ივერია“, ილია ჭავჭავაძე, „ასი წლის წინათ“, 1899 წლის ნოემბერი;

<sup>2</sup> გაზეთი „დროება“ ილია ჭავჭავაძე, „ლიტერატურული პატიოსნება“, 1875 წელი, თბილისი;

ციურ განწყობას, არც რევოლუციონერთა მიმართ თანადგომას ან კრიტიკას. ეს, ალბათ, გაზეთის სარედაქციო პოლიტიკით იყო გამოწვეული. შესაძლებელია, იგი არც იყო მომხრე მომავალი რევოლუციური ცვლილებებისა და საქართველოში მშვიდობიანი ცხოვრების გარანტიად მეფის რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს ხედავდა. დიმიტრი ჯაშს რომ ჰქონოდა მისწრაფება - რევოლუციურ მოძრაობაში გამოეხატა თავისი როლი, ეს მის პუბლიკაციებში უთუოდ გამოჩნდებოდა. მას, შეეძლო რევოლუციური მოძრაობის მიმართ თავისი სიმპათიის გამოხატვაც რაიმე ფორმით, თუნდაც ალეგორიულად, მაგრამ მსგავსს ვერაფერს ვხვდებით. მკითხველს რომ ჩვენი აზრი არ მოვახვიოთ, დანართების სახით წარმოგიდგენთ დოკუმენტალურ მასალას - 1904-1908 წლებში ქართულ გაზეთებში დაბეჭდილ და 1914-1916 წლების გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტი“-ს სტატიების ფოტოასლებს.

## ალექსანდრე შუშანაშვილის „წიწამურის ტრაგედია“

საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის ცნობილია ალექსანდრე შუშანაშვილის შრომები, რომლებიც ეხება ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებებს.

1996 წელს გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა შუშანაშვილის წიგნი „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“. 1997 წელს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად მკვლევარმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიებისა და მკვლელობის ფაქტობრივი გარემოებების, სხვადასხვა ვერსიების, დასკვნებისა და ვარაუდების ანალიზი და შეფასება“.

სადოქტორო დისერტაციის ფართო მკითხველისათვის გასაცნობად გამომცემლობა „ორიონმა“, 2000 წელს, გამოსცა შუშანაშვილის წიგნი „წიწამურის ტრაგედია“. სამწუხაროდ, ეს წიგნი მცირე ტირაჟით გამოვიდა. მკვლევარი განსაკუთრებული ყურადღებით იხილავს სხვადასხვა დროს ილიას მკვლელობის გარემოებების შესწავლისა და გამოძიების მასალებს, მათ შორის, 1987 წელს საბჭოთა საქართველოში შექმნილი ილიას მკვლელობის ნამდვილი გარემოებების შემსწავლელი კომისიის საქმიანობას.

ალექსანდრე შუშანაშვილის შრომებში, შევხებით იმ საკითხებსაც, რომელზეც მეცნიერ იურისტს თავისი ხედვა აქვს. ცნობილი ბახვის კრებისა და ილიას მკვლელობაში ერმილე დოლიძის მონაწილეობის შესახებ წერს: „საქმის მასალებით არც ბახვში კრების ჩაგარებაა დადასტურებული და არც მკვლელობაში ერმილე დოლიძის მონაწილეობა“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ალ. შუშანაშვილი, „წიწამურის ტრაგედია“, გვ. 136-139, 2000 წ.;

ამ საკითხზე საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს ნოდარ გრიგალაშვილს: „სოციალისტების გამართულ ამ კრების უტყუარობაში ეჭვი მხოლოდ 1941 წელს, ბერბიჭაშვილის პროცესზე, საბჭოთა სასამართლომ შეიტანა. ცოცხალად კი პ. გუგუშვილმა თავის უკუღმართ ნაშრომში. აბა რას იზამდნენ, ხომ არ დაადასტურებდნენ, რომ პარტიამ კრება გამართა ილიას მოკვდინებასთან დაკავშირებით. ადგნენ და მარტივად უარყვეს ბახვის კრების ჩატარების ფაქტი“.<sup>1</sup>

ეს ორი მკვლევარი, რომლებიც დიმიტრი ჯაშს ილიას მკვლელობაში უდანაშაულოდ მიიჩნევენ, ბახვის კრების რეალურად ჩატარებასთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგო აზრს გამოხატავენ.

შუმანაშვილის წიგნიდან „წინამურის ტრაგედია“, მოვიტანთ ჩვენთვის საყურადღებო სხვა ფრაგმენტებს.

მე-5 თავში ავტორს მოჰყავს ალექსანდრე სიგუას მიერ ჩაწერილი ფილიპე გოგიჩაიშვილის, ლუარსაბ ხელაძის, ალექსანდრე ვადაჭკორიას, ალექსანდრე სულხანიშვილის ნაწერები.

შუმანაშვილს წყაროდ მოაქვს რა ალექსანდრე სიგუას შრომები - წიგნი „ვინ მოკლა ილია ჭავჭავაძე“, თბილისი, 1991 წ. და ჟურნალი „მნათობი“, 1989 წ., N6, იგი წერს: „ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით მოგონებების სიუხვით განსაკუთრებით ალექსანდრე სიგუა გამოირჩევა. მან ჯერ კიდევ 1937 წლის 28 ნოემბრის გაზეთ „მუშაში“ გამოაქვეყნა წერილი „ოხრანკა და დიმიტრი ჯაში“. ესაა პერიოდი, როცა ილია ჭავჭავაძე ოფიციალურად რეაბილიტირებულია და მისი მკვლელობის ორგანიზაცია დიმიტრი ჯაშის მიერ, ოხრანკის დავალებით, ერთხმად აღიარებულია და დაკანონებულია. აღნიშნული წერილიც სწორედ ამ ვერსიის განმტკიცებას ეხმარება. ავტორს ჩაუწერია ვინმე ლუარსაბ ხელაძის, ასოთამწყობ ალექსანდრე ვადაჭკორიას და ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტის ფილიპე გოგიჩაიშვილის მოგონებები დიმიტრი ჯაშზე... ამ მოგონებებში დიმიტრი ჯაში დახასიათებულია, როგორც ხელისუფლებასთან ახლომდგომი პიროვნება და ილიას დაუძინებელი მტერი... სიგუა საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ჩვენს მიზანს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ისტორიის გამოკვლევა კი არ წარმოადგენს, არამედ შეგროვილი მოგონებების საფუძველზე დიმიტრი ჯაშის დახასიათება, რასაც ილიას მკვლელობის მომავალი მკვლევარი გამოიყენებს. ამ დათქმის მიუხედავად, ავტორი მაინც ვერ ფარავს თავის განწყობილებას, ვერ ცოცხებს მიუკერძოებელი მეისტორიის შთაბეჭდილებას. დიმიტრი ჯაშს იგი უწოდებს ჟანდარმერიის აგენტს, ილიას მკვლელობის სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს. ამასთან, გამოხატავს დიდ კმაყოფილებას იმ დახასიათების გამო, რაც გაზეთმა „პრავედამ“ მისცა ილია

<sup>1</sup> ნ. გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“ ტ. II, გვ. 258, 2010 წ. თბ.;

ჭავჭავაძის პიროვნებას. არც ერთ ქართველ კრიტიკოსს - ილია ჭავჭავაძის მკვლევარს არ გაუგია ილიას შემოქმედებისა და ცხოვრების შინაგანი სამყარო, ისე, როგორც „პრაუდამ“ გაიგო, აღნიშნავს იგი.

და აი, ნახევარი საუკუნის შემდეგ, როცა დიამეტრიულად შეიცვალა სიტუაცია და ილია ჭავჭავაძის მკვლევლობაში სოციალ-დემოკრატების დადანიშნულებამ წინა პლანზე წამოიწია, ალექსანდრე სიგუამ გადახედა პოზიციებს და გაზეთ „მუშაში“ თავისი წერილის შინაარსი და გამოქვეყნების ისტორია შეალამაზა და ახალ ვითარებას მიუხადა. „ჩემი დიდი ხნის ნაშრომი ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის შესახებ (ოც ვგერდამდე) 1934 წელს გადავეცი დასაბეჭდად გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას. ...ნარკვევი გაზეთში არ დაიბეჭდა. ამის შემდეგ, 1936 წელს, წერილი მივუტანე გაზეთ „მუშის“ რედაქციას, მაგრამ არც იქ ჩქარობდნენ მის გამოქვეყნებას, შემდეგ, როგორც იქნა, 1937-1938 წლებში გაზეთ „მუშაში“ დაიბეჭდა, ...სათაურით „ილია ჭავჭავაძის მკვლევლობა, მეფის ოხრანკა და დიმიტრი ჯაში“. წერილი შინაარსობრივად შეცვლილი იყო. მართალია, დიმიტრი ჯაშისა და ოხრანკას ხშირად ვისხენებდი წერილში ...რადგანაც ის იყო ოხრანკის აგენტი და, რასაკვირველია, ასეთი სულით დაცემული კაცი, არც მარქსისტებს ეგყოდა უარს, რომ ილიას წინააღმდეგ აგიტაცია-პროპაგანდა გაეწია, რათა დაეჩქარებინა ერის დიდი მოძღვრის გრაგიული მკვლევლობა. ...წერილის დაბეჭდვიდან რამოდენიმე დღეში ... ფილიპე მახარაძემ გამომიძახა და კატეგორიულად მითხრა: თავი დაანებეთ ჭავჭავაძის მკვლევლობის შესახებ კვლევა-ძიებას, მასალების ძებნასო\* **ალექსანდრე შუმანაშვილი ამაზე ასეთ კომენტარს აკეთებს:** „იგი (სიგუა) ისე ხაგავს ვითარებას, თითქოს ჯერ კიდევ მაშინ, მეფის ოხრანკას კი არ მიიჩნევდა ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის ორგანიზატორად, არამედ კომუნისტებს ...მის წერილში ასეთი რამ მინიშნებითაც არ იგრძნობა. პირიქით, მის მიერ ჩანწერილ სამივე მოგონებაში დიმიტრი ჯაშისა და ოხრანკის ურთიერთობას ხაზი აქვს გასმული სწორედ ილია ჭავჭავაძის მკვლევლობასთან მიმართებაში. ამ მოგონებების საფუძველზე, ალექსანდრე სიგუა საგაზეთო წერილში ცალსახად აცხადებს, რომ დიმიტრი ჯაშმა შეასრულა „საბიზლარი ახანდარმერიის უსაბიზლარესი დავალება - ილია ჭავჭავაძის მკვლევლობა“.

გაუგებარია, ამ სულისკვეთებითა და ასეთი დასკვნებით დაწერილ წერილს რატომ უნდა შეეშოთთებინა ფილიპე მახარაძე, რატომ უნდა გაეფრთხილებინა სიგუა, ილიას მკვლევლობის ძიებას თავი დაანებო. ერთი ვარაუდებაც, გაზეთი „კომუნისტი“ პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ხოლო გაზეთი „მუშა“ - პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანო იყო. ალექსანდრე სიგუას წერილში კომუნისტების მიმართ რაიმე ეჭვი რომ ყოფილიყო გამოთქმული, იგი ამ წერილს პარტიულ გაზეთში არ მიიტანდა,

ხოლო თუ მიიგანდა, რედაქციები მას კი არ შეასწორებდნენ, არამედ სხვა მიმართულებას მისცემდნენ... ალექსანდრე სიგუას მიერ მოთხრობილ ამბებსა და ფაქტებს დიდი სიფრთხილით უნდა განხილვა, რადგან აშკარად იგრძნობა, იგი არც ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის საქმეებს იცნობს და არც ამ საკითხზე არსებულ ლიტერატურას<sup>1</sup>.

**მუშანაშვილმა სიგუას მიმართ თავშეკავებული კომენტარი გააკეთა. ის შეიძლება ასევე გავიგოთ: სიგუა მედროვე კაცია. წერდა კონკრეტული რეალობიდან გამომდინარე, ქვეყნის ხელმძღვანელობის საამებლად.**

**მუშანაშვილი სიგუას მიერ ჩაწერილ გოგიჩაიშვილის ნაამბობზე წერს:**

„1937 წელს გაზეთ „მუშაში“ გამოქვეყნებულ წერილში ფილიპე გოგიჩაიშვილის ნაამბობი სიგუას მიერ გადმოცემულია შემდეგნაირად: „როდესაც გაზეთ „ივერიაში“ რედაქტორად ვმუშაობდი, რედაქციაში დამხვდა დიმიტრი ჯაში. „ივერიაში“ მუშაობდა როგორც ასოთამწყობი და რეპორტიორი. ჯაში ჩემზე არ სტოვებდა კარგ შთაბეჭდილებას. მე მას არაფერში არ ვენდობოდი ...ჯაში არ ეკუთვნოდა არცერთ პროგრესულ პარტიას, ის არ ყოფილა რომელიმე პროგრესული პარტიის წარმომადგენელი. ის უფრო თანაუგრძობდა მეფის რეჟიმს. იგი ყოვლად საზიზღარი და ლანჩირაკი პიროვნება იყო. მე შეხვედრასაც კი ვერიდებოდი ჯაშთან.“

1905-1906 წლებში ილიას წინააღმდეგ დაიწყო საშინელი კამპანია. „მოგზაურში“ დაიბეჭდა ილიას წინააღმდეგ წერილი. ილიამ დაწერა საპასუხო წერილი და გადმოცა „ივერიაში“ დასაბეჭდად ...უნდა მოგახსენოთ, რომ რედაქციაში იყვნენ ბევრი თანამშრომლები, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ თუ ილიას პასუხი დაიბეჭდებოდა გაზეთში, მაშინვე გათიქვას მოვანწყობთ. ერთადერთი სასტიკი მონინააღმდეგე იყო დიმიტრი ჯაში, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა არ დამეხებოდა ილიას პასუხი. ...მეშუქებოდა ყველა მუშის საერთო გათიქვით. ვერ მოვახერხე ილიას პასუხის დაბეჭდვა „ივერიაში“. ვფიქრობდი, თავი დამეჩვენებინა რედაქტორობისათვის, რადგან ვამბობდი: არ ღირს ამ რედაქციაში მუშაობა, სადაც არ დაიბეჭდება ილიას პასუხი-მეთქი.

მიემართე სხვა საშუალებას, რათა დამეხებოდა ილიას პასუხი. წერილი ავანყვე ცალკე გვერდად და დამატების სახით ჩავდე „ივერიაში“ და თანაც შენიშვნა გავუკეთე, რომ ავტორის ზოგად მოსაზრებას რედაქცია არ იზიარებს (აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამით ილია გულმოსული დარჩა) ...ის იყო ილიას წერილი დაიბეჭდა „ივერიაში“, რომ ჯაში შემოვიდა ჩემთან რედაქციაში გულმოსული და მითხრა: წერილი მაქვს დაბეჭდილი ილიას წინააღმდეგ და უნდა დამიბეჭდოთ. მე კატეგორიულად უარი განვაუცხადე...“

<sup>1</sup> ალ..მუშანაშვილი, „წინამურის ტრაგედია“, 2000 წ.;

სიგუამ მის მიერ ჩანერილ გოგიჩაიშვილის ნაამბობში რამდენიმე კორექტივი შეიცანა. ამოიღო გოგიჩაიშვილის ნათქვამი იმის შესახებ, რომ დიმიტრი ჯაში არ ეკუთვნოდა არც ერთ პროგრესულ პარტიას, არ ყოფილა რომელიმე პროგრესული პარტიის წარმომადგენელი. ალექსანდრე სიგუამ, რაგომ გააკეთა ეს, ალბათ, ამის მიხედვით არაა ძნელი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დროს ყველაზე პროგრესულ პარტიად სოციალ-დემოკრატიული პარტია ითვლებოდა და დიმიტრი ჯაში თუ მათთან არ იყო დაკავშირებული, ბუნებრივია, ამ მკვლელობის ორგანიზაციას მათი დავალებით ვერ მონაწილეობდა. ახალი პირობების შესაბამისად კი, სიგუა იმ თვალსაზრისზე დადგა, რომ ილიას მკვლელობა კომუნისტებმა მოაწყვეს და ამ მკვლელობის ორგანიზატორი მათთან დაახლოებული პირი იყო და მათი მითითებით მოქმედებდა. ახალი სქემის შესახებ ალექსანდრე სიგუამ სხვა რამეებიც გაიხსენა. გოგიჩაიშვილის ნაამბობის ჩანერის შემდეგ იგი რამდენჯერმე მისულა მასთან და ეს ჩანაწერები უჩვენებია და მის მიერ მოგროვილი სხვა პირთა მოგონებები. ფილიპე გოგიჩაიშვილი დიდი ყურადღებით გაცნობია ამ მასალას და უთქვამს, დიდ საქმეს აკეთებთ, თქვენს მიერ მოგროვილი და ჩანერილი საბუთები სრულიად საკმარისია, რომ დადგინდეს ილიას მკვლელთა ვინაობა. თან გაუფრთხილებია, ილიას მკვლელები დღეს თანამდებობის პირები არიან და არაფერი აგიტყვონ.

ცოცა საექვო კია, - **განაგრძობს მუშანაშვილი**, - იმ წლებში ფილიპე გოგიჩაიშვილი, რომელიც კომუნისტებს დიდად არ ეხატებოდათ გულზე. ასე გაუშინაურდებოდა უცხო კაცს და ასეთ რამეებს ეგყოდა. ...ამ ნაამბობს პაატა გუგუშვილი სიგუას საგაბეთო წერილზე მითითებით აქვეყნებს, არც ეს არის გასაკვირი. ფილიპე გოგიჩაიშვილი მენშევიკური მთავრობის წევრი იყო და ასეთ კაცთან საჯარო ურთიერთობის დემონსტრირება არ იყო იმ დროს იოლი და მომგებიანი.

მეგად საგულისხმოა ისიც, რომ ფილიპე გოგიჩაიშვილმა თურმე თავისი მოგონება სიგუას ჩაანერინა და თანაც უთხრა: „უკვე ხანდაბმული ვარ, ამიგომ მე ვიამბობთ, თქვენ ჩაინერეთ“. ეს მოხდა 1935 წელს. ფილიპე გოგიჩაიშვილი მაშინ 62 წლის იყო და მეგად ნაყოფიერ მეცნიერულ და მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა. ისე, რომ ერთი-ორი გვერდის დანერა მას არ გაუჭირდებოდა. მით უმეტეს „ივერიაში“ ილიას „ნუთუს?“ დაბეჭდვის ისტორია მას უფრო ადრე საკმაოდ ვრცლად და ამომწურავად ჰქონდა განხილული 1913 წლის 14 აპრილს „სახალხო გაზეთში“, სადაც განმარტავს, თუ რაგომ მოხდა „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძის „ნუთუს?“ დაბეჭვდა დამატების სახით და რედაქციის შენიშვნით. არც იმას ფარავს, რომ „მოგზაურის“ ბინძურმა პუბლიკაციამ ინტელიგენციისა და რედაქციის თანამშრომელების გარკვეული ნაწილი ილიას წინააღმდეგ განაწყო. „ილიას პასუხის დაბეჭდვის შემდეგ, მეორე თუ მესამე დღეს, ჩემთან

რედაქციაში შემოვიდა ვილაც უცნობი. როგორც გაირკვა, ფ. მახარაძის „ჯარისკაცი“, - წერს გოგიჩაიშვილი, - და მითხრა, ილიას პასუხის „პასუხი“ უნდა დამიბეჭდოთო. მე ცივი და მკვახე უარი ვუთხარი, რაზედაც უცნობი შემომწერა, „**ПРЕЗРЕННЫЙ БУРЖУА**“-ო მომადახა და „მოგზაურისაკენ“ გაეშურა.

ნიშანდობლივია, რომ ამ წერილში დიმიტრი ჯაში საერთოდ არ არის ნახსენები... ფილიპე გოგიჩაიშვილი დიმიტრი ჯაშს კარგად იცნობდა და, რასაკვირველია, იგი რომ ყოფილიყო დებოშის ამგები, მისი პიროვნების დასახელებასაც არ მოერიდებოდა და არც უცნობად მოიხსენიებდა.<sup>1</sup>

გოგიჩაიშვილთან სიგუას მისვლის შესახებ და მისი ნაამბობის ჩაწერასთან დაკავშირებით, მკითხველს ჩვენს აზრსაც მივაწოდებთ. ცნობილია, რომ პაატა გუგუშვილი, ვინც ერთ-ერთი ძირითადი შემოქმედი იყო „ოხრანკისეული“ ვერსიისა, იმ დროს, რა თქმა უნდა, ბერიას ნდობით სარგებლობდა. პაატა გუგუშვილი 18 წლის ასაკიდან ფილიპე გოგიჩაიშვილის სტუდენტი იყო. იგი თავს მის მოწაფედ თვლიდა. 1918 წლის 28 ივნისს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ფილიპე გოგიჩაიშვილი აირჩია სახელმწიფო კონტროლიორად. გოგიჩაიშვილის მენშევიკურ მთავრობაში მუშაობის გამო, მასთან პირდაპირი ურთიერთობის დემონსტრირება კომუნისტებისათვის არ იყო მიზანშეწონილი.

გოგიჩაიშვილს 1913 წლის „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებული ჰქონდა წერილი ილიას პასუხის „ნუთუ?“-ს გაზეთ „ივერიის“ დამატებაში დაბეჭდვის ამბავი, სადაც ნახსენებიც არ ყოფილა დიმიტრი ჯაში. ფილიპე გოგიჩაიშვილის 1913 წლის ასეთი შინაარსის წერილი გუგუშვილს ხელს არ აძლევდა, მას არც ის უნდოდა, ფილიპე გოგიჩაიშვილს გაზეთ „ივერიის“ დამატებაში ილიას პასუხის „ნუთუ?“-ს დაბეჭდვის ახალი ისტორია დაეწერა, იცოდა რა, რომ გოგიჩაიშვილთან პირდაპირი ურთიერთობა კომუნისტებს არ მოეწონებოდათ. ამასთან, გუგუშვილი გოგიჩაიშვილს ვერ უკარნახებდა, ასე და ასე დაწერეო. იმისათვის, რომ განმეორებით გამოექვეყნებინა ფილიპე გოგიჩაიშვილის გაზეთ „ივერიის“ დამატებაში ილიას პასუხის „ნუთუ?“-ს დაბეჭდვის ამბავი, სადაც მკითხველის თვალში ჯაშს ილიას მტრად წარმოაჩენდნენ, ბერიას ნდობით აღჭურვილი პაატა გუგუშვილი „შეუთანხმდა“ თავის მასწავლებელს - გოგიჩაიშვილს, რომ მასთან გააგზავნიდა ალექსანდრე სიგუას, რომელიც ჩაიწერდა მის ნაამბობს. გუგუშვილმა სასწრაფოდ მოაგვარა გოგიჩაიშვილის ნაამბობის სიგუასეული ჩანაწერის თავისი ინტერპრეტაციით გაზეთში დაბეჭდვის საქმე ისე, რომ თავად გოგიჩაიშვილიც, „ივერიის“ ყოფილი რედაქტორი, მართალ კაცად გამოიყვანა და ათქმევინა ის, რაც მას არასოდეს უთქვამს: „ვფიქრობდი, თავი დამენებებინა რედაქტორობისათვის, რადგან ვამბობდი: არ ღირს ამ რედაქციაში მუშაობა, სადაც არ დაიბეჭდება ილიას პასუხი-მეთქი“.

<sup>1</sup> ალ. მუშანაშვილი, „წიწამურის ტრაგედია“, გვ 22-23, 2000 წ.;

ფილიპე გოგიჩაიშვილი „ივერიას“ რედაქტორობდა ილიას პასუხის „ნუთუ?“-ს დაბეჭდვის შემდეგ, კიდევ წელიწადნახევარს, სანამ გაზეთი არ დაიხურა. ასე რომ, მას ფიქრადაც არ მოსვლია, რედაქტორობისთვის თავის დანებება.

ამის შემდეგ ალექსანდრე შუშანაშვილი გადმოგვცემს, თუ როდის და რა მიზნით ჩაიწერა სიგუამ ლუარსაბ ხელაძის მოგონება:

„ლუარსაბ ხელაძის მოგონება ალექსანდრე სიგუამ 1934 წელს ჩაწერა. ეს მოგონება დიმიტრი ჭაშბე, შემდეგ დაისტამბა უფრო გაფართოებული და შელამაზებული სახით, სიგუასეული „რედაქციით“. როგორც ირკვევა, ლუარსაბ ხელაძე იმ დროისათვის ციხის მოხელე იყო, რომელსაც ლიგერაგურაში, სიგუას მონდომებით, სტამბის ასოთამწყობად მოიხსენიებენ.

გაბაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს ლუარსაბ ხელაძე დაუბარებია თბილისის პოლიცემისგერს და უთქვამს, შენ, როგორც ციხის მოსამსახურეს, დიმიტრი ჭაში გეცოდინება, როგორმე უნდა მომიყვანო. ხელაძეს მეორე დღესვე შეუსრულებია ეს დაავლება და როცა რამდენიმე ხნის შემდეგ შეხვედრია მას, უკითხავს — პოლიცემისტერი რაზე გიბარებდაო. ამის შემდეგ ხელაძე უკვე ჭაშის მონათხრობს გადმოგვცემს: „პოლიცემისტერმა მითხრა, რომ მეორე დღეს თორმეც საათზე გამოეცხადდე აუცილებლად ნამესცნიკთან ვორონცოვ-დაშკოვთან...“

დიმიტრი სხვადასხვა ფსევდონიმით წერდა რუსეთის მონარქისტულ გაზეთებში პუბლიკაციებს, კავკასიის ნამესცნიკს მოსწონებია თბილისელი კორესპონდენტის წერილები და მიინდომა მისი გაცნობა. დიმიტრის მონაყოლით მეფისნაცვალს უკითხავს: „ჭივიტი“ თქვენ ხართ, პეტერბურგისა და მოსკოვის უწყებებში რომ წერთ ჩემზე?“ „მე დაფუდასტურე და შემაქო: ყოჩაღ, ყოჩაღ, სამშობლოს ერთგული კაცი ყოფილხარო.“ შემდეგ ხელაძე ყვება: „დარბაზობის შემდეგ ჭაში როგორ მიიწვიეს რესტო-რანში, როგორი ყურადღებით იყო იქ გარემოცული და თავისი უკბილო ოხუნჯობებით ყველას როგორ მონანონა თავი.“<sup>1</sup>

სიგუამ ეს დაბეჭდა სათაურით: „ლუარსაბ ხელაძის მოგონება“, 1940 წელს, კრებულში „ლიტერატურული მატრიანე“, წიგნი 1-2, გვ. 194-195.

როდესაც ალექსანდრე შუშანაშვილი გადმოგვცემს სიგუას მიერ ხელაძის ნაამბობს, წერს: „რაც მთავარია, დღემდე ვერაფერს აღმოაჩინა ის სტატიები, რასაც ასე აღფრთოვანებაში მოუყვანია მეფის ნაცვალი.“<sup>2</sup>

„მოსკოვსკიე ვედომოსტში“ გამოქვეყნებული ჯამის წერილები უკვე გავაცანით მკითხველს. ისინი ხელმოწერილია მხოლოდ „კუჩუკის“ (რუსულად—ავტ) ფსევდონიმით. „ჯიგიტის“ სტატიები, „მოსკოვსკიე ვედომოსტში“ და „პეტროგრადსკიე

<sup>1</sup> ალ..შუშანაშვილი, „წიწამურის ტრაგედია“, „ორიონი“2000 წ.თბილისი;

<sup>2</sup> ალ..შუშანაშვილი, „წიწამურის ტრაგედია“, „ორიონი“2000 წ.თბილისი;

ვედომოსტში“ ვერ მოვიძიეთ, სიგუა პეტერბურგის უწყებებს ახსენებს. უნდა აღინიშნოს, რომ იგი გარკვეული არ ყოფილა იმასთან დაკავშირებით, რომ 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, ქალაქ პეტერბურგს სახელი შეეცვალა, პეტროგრადი დაერქვა, შესაბამისად, იმ დროს გაზეთი „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“ გამოდიოდა. სიგუამ ხელაძეს, ალბათ, არარეალური და მეტად საეჭვო მოგონება დააწერინა.

ალექსანდრე შუმანაშვილის წიგნი „წიწამურის ტრაგედია“ ერთ ავტორისეულ, მნიშვნელოვან დასკვნებს შეიცავს: „ ... სასამართლომ დიმიტრი ჯაშის ბრალეულობის საკითხიც გამოიკვლია და სამართლებრივი შეფასება მისცა, რითაც უხეშად დაარღვია იმ დროს მოქმედი სქართველოს სსრ 1923 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის დევნა არ შეიძლება აღრძული იქნას, ხოლო აღრძული დევნა არ შეიძლება განგრძობი იქნას და უნდა მოისპოს პროცესის რა სტადიაშიც უნდა იყოს საქმე, უკეთუ ბრალდებული გარდაიცვალა. გარდაცვალებულის მიმართ საქმის წარმოება მაშინაც და ახლაც დასაშვებია იყო და არის მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა საჭიროა მისი რეაბილიტაციისათვის.“<sup>1</sup>

„ილიას მკვლელობაში დიმიტრი ჯაშს, რომ არაფითარი მონაწილეობა არ მიუღია, საქმის მასალებით უდავოდ ჩანს“.<sup>2</sup>

რაც შეეხება „მოსკოვსკიე ვედომოსტში“ დაბეჭდილ ჯაშის წერილებს, რომლებიც სიგუას და მის მსგავსად მოაზროვნეებს მიზანმიმართულად ვორონცოვ-დაშკოვის საამებულად დაწერილად და აგრეთვე, შავრაზმული სულისკვეთებით გაჟღენთილ წერილებად მიაჩნიათ, ამას ალექსანდრე შუმანაშვილი არ იზიარებს. „მოსკოვსკიე ვედომოსტში“ დაბეჭდილი დიმიტრი ჯაშის წერილების შინაარსი, როგორც წინა თავში დავინახეთ, ამას არ ადასტურებს.

ალექსანდრე შუმანაშვილი თავის 1996 და 2000 წლებში გამოცემულ წიგნებში „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ და „წიწამურის ტრაგედია“, თითქმის, ორივე წიგნში, ერთი და იგივე ტექსტით გადმოგვცემს „ვიდაც იმერელის“ შესახებ. იგი ამ მნიშვნელოვან საკითხზე — „ვიდაც იმერელზე“- მსჯელობას არ მიიჩნევს საკადრისად. შუმანაშვილი წერს, რომ ილიას მკვლელობის არც საგამოძიებო საქმეებში და არც სასამართლო დოკუმენტებში სერგო ორჯონიკიძის მონაწილეობის შესახებ არაფერი დევს და არც მკვლევრებს აღმოუჩენიათ ისეთი საარქივო დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება განდეს საფუძველი სერგო ორჯონიკიძის ილიას მკვლელობაში დადანაშაულების. მანამდე, ვიდრე ეს ჯერ არ მომხდარა და ზოგიერთი მკვლევარი „ვიდაც იმერელის“ უკან სერგო ორჯონიკიძეს განიხილავს, მხოლოდ, ვიდაცის მონაყოლით, უფლებას ვიტოვებთ ეს არ გავიზიაროთ და ამ საკითხში მივწინააღმდეგებოდეთ ალექ-

<sup>1</sup> ალ..შუმანაშვილი, „წიწამურის ტრაგედია“, გვ. 77, „ორიონი“ 2000 წ. თბილისი;

<sup>2</sup> ალ..შუმანაშვილი, „წიწამურის ტრაგედია“, გვ.126, „ორიონი“ 2000 წ. თბილისი;

სანდრე შუმანაშვილის მოსაზრებებს. ამ მიზნით თითქმის, სრულად მოვიტანთ ტექსტს ალექსანდრე შუმანაშვილის წიგნიდან „წიწამურის ტრაგედია“, თავი- „ვიღაც იერელი“-ის შესახებ:

„საგამოძიებო და სასამართლოს დოკუმენტების მოშველიებით ზოგი ავტორი დადგენილად მიიჩნევს, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ერთ-ერთი აქტიური ფიგურა იყო „ვიღაც იმერელი“. ამ საკითხზე ათიოდე წლის წინათ აკაკი ბაქრაძემ გაამხვილა განსაკუთრებული ყურადღება და ბიძგი მისცა სხვა უფრო გაბედულ პროგნოზებსა და დასკვნებს. მონოგრაფიას ილია ჭავჭავაძეზე აკაკი ბაქრაძე ასე ამთავრებს:

„ილია მოკლეს:

თედო ლაბაურმა- ჩამოახრჩვეს 1909 წლის 21 აგვისტოს.

გიორგი (იგივე ლომა) ხიზანიშვილმა- ჩამოახრჩვეს 1909 წლის 21 აგვისტოს.

ივანე ინაშვილმა-ჩამოახრჩვეს 1909 წლის 21 აგვისტოს.

პავლე ფშავლიშვილმა (იგივე აფციურმა)-მოკლეს 1908 წლის 17 დეკემბერს სოფელ მიმკოდასთან, როცა პოლიციამ ყაჩაღების გუნდი ამოწყვიტა.

ვიგლა ბერბიჭაშვილმა - გაასამართლეს 1942 წელს და მიუსაჯეს სიკვდილი. ვიღაც იმერელმა (какой-то имеретин)-წერია სასამართლო დოკუმენტში, რომლის ვინაობა დღესაც დაუდგენელია და არვინ უწყის მოხერხდება თუ არა მისი დადგენა ოდესმე“.

იქვე სქოლიოში ავტორი განმარტავს, რომ „იმერელი“ გულისხმობს დასავლელ ქართველს, აღმოსავლეთ საქართველოში გლეხობა ყველა ლიხთიმერ ქართველს იმერელს უწოდებსო. „ამ იმერელს „მკვლელთაგან არავინ იცნობდა, ბერბიჭაშვილის გარდა. იგი მკვლელობის წინა ღამით ჩავიდა წინამურში. ბანდიტები მის სადაურობას მხოლოდ მეტყველების კილოთი მიუთითებენ.“

ამ მსჯელობაში რამდენიმე უზუსტობაა. პირველი ის, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელთა სია არაა სრული... შემდეგ სასამართლო დოკუმენტში არსად წერია, რომ „ვიღაც იმერელიც“ მონაწილეობდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში.

ამ დოკუმენტიდან არ ჩანს, რომ „იმერელს“ მხოლოდ ბერბიჭაშვილი იცნობდა... საეჭვოა ავტორის მტკიცება, თითქოს აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობა დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ყველა ქართველს იმერელს უწოდებდეს და იმერელს ვერ არჩევდეს მეგრელების, გურულებისა თუ აჭარლებისაგან.

„ვიღაც იმერელის“ შესახებ უფრო კატეგორიულ დასკვნებს აკეთებს შოთა ბადრიძე. „იმთავითვე „იმერლის“ შესახებ ძიებას არაერთხელ უჩვენეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ილიას მკვლელობაზე დაპატიმრებულებმა. „იმერელი“ მკვლელობის შემდეგ ბერბიჭაშვილთან ერთად საიმედოდ მიიძალა. მეფის დროინდელი ძიების

პროცესში სისტემატიურად ფიგურირებდა ამ „ვილაცა იმერელის“ სახელი, მაგრამ დაკითხულები აცხადებდნენ, რომ ამ იმერელს კონკრეტულად არ იცნობდნენ...თუმცა ის უდავოა, რომ ეს პიროვნება ნამდვილად იყო მკვლელობის ადგილზე, სწორედ მისი ნასროლი უნდა იყოს, გბერბიჭაშვილთან ერთად, ბერდანკის ცყვია, რომლითაც განგმირული იქნა ილია. ავტორი უფრო შორს მიდის და საგამოძიებო დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე ასეთ რეზიუმეს აკეთებს: „ამრიგად ის რაც ჩვენ „ვილაცა იმერელზე“ ვიცით, იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა, რომ ეს პიროვნება ილიას მკვლელობაზე, როგორც 1908 წლის მასალები მონიშნავენ, გბერბიჭაშვილსა და ვ. ინაშვილთან ერთად მოვიდა აქციის წინააღმდეგ. „იმერელი“ ცხადია, სოციალ-დემოკრატი და პროფესიონალი ტერორისტია, ერთგვარი ინსტრუქტორი ამ აქციაზე. მისი სოციალ-დემოკრატიობა იქიდან ჩანს, რომ ვ. ინაშვილი სოციალ-დემოკრატია და როგორც ვნახავთ, ამავე პარტიის მსახურია გ. ბერბიჭაშვილიც“.

საგამოძიებო დოკუმენტები სულ სხვა რამეს მონიშნავენ და სულ სხვა რამეზე მეტყველებენ.

„იმერელი“ პირველად მოხსენიებულია დუშეთის მაზრის უფროსის ივანე სტრიჟევის მიერ თავის თანამემდინის ყარამან ფალავასა და მცხეთის ბოქაულის ნიკოლოზ მარკოვიჩის თანდასწრებით 1908 წლის 10 თებერვალს შედგენილ ოქმში, სადაც აღნიშნულია, რომ გამოკითხვით ბოქაულის მიერ დაკავებული და წარმოდგენილი ლადო ჩირიკაშვილი (ფეიქრიშვილი) და პავლე ფშავლიშვილი (ათციური), რომელიც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეზე ბრალდებულად იყო მიცემული და იძებნებოდა. გამოკითხვისას ლადო ჩირიკაშვილს უთქვამს პავლე ფშავლიშვილი მივიყვანე სახლში და ღამე ჩათრები მის დასაკავებლად მოვიდნენ, მითხრა, ნამდვილად ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეზე მკავებენ, ამ მკვლელობაში მე ვმონაწილეობდი და ჩემთან ერთად იყო იყო გ.ბერბიჭაშვილი და ერთი იმერელი. სწორედ ის ვის შესახებაც გავიგე უკვე დაკავებულია და შორეულ გუბერნიაშია გადასახლებული. ამ გამოკითხვისას პავლე ფშავლიშვილს უთქვამს, ბერბიჭაშვილმა, ინაშვილმა და ერთმა იმერელმა ძალით წამიყვანეს და როდესაც იმ ადგილას მივედი, სადაც საფარი უნდა მოგვეყვო, თავადი მოვიდა და მოკლესო...“

როგორც აღნიშნეთ, გამოკითხვის ოქმი საპოლიციო დოკუმენტს წარმოადგენდა და მას რაიმე მკვიციებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ასეთ ოქმში მოგანილ ინფორმაციას, რაიმე მნიშვნელობა ექნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ იგი გამოძიებლის მიერ გადამოწმდებოდა და დაფიქსირდებოდა პროცესუალური წესითა და საშუალებებით. გამოძიებელთან დაკითხვაზე ჩირიკაშვილმა და ფშავლიშვილმა კატეგორიულად უარყვეს სტრიჟევის მიერ შედგენილ ოქმში აღნიშნული ფაქტები...“

გამომძიებელმა დაკითხა ივანე სტრიჟევი, ყარამან ფალავა და ნიკოლოზ მარკოვიჩი, რომელთაც დაადასტურეს მათ მიერ შედგენილი ოქმის სისწორე. ამით დამთავრდა ყველაფერი. არ მოხდა მათი დაპირისპირება ჩირიკაშვილთან და ფშავლიშვილთან. არ გაირკვა მათ ჩვენებებში არსებული წინააღმდეგობები. არავითარი ზომები არ იქნა მიღებული იმ „ვილაცა იმერელის“ პიროვნების დასადგენად.

ასევე უკანონო მეთოდებით იქნა მიღებული „ვილაც იმერელზე“ სიზანიშვილის აღიარება, როდესაც მცხეთის ბოქაულიმა ნიკოლოზ მარკოვიჩმა დააკავა სიზანიშვილი და თავისი ხელქვეითების ვარსყვანოვისა და მოსიძის თანდასწრებით შეადგინა 1908 წლის 18 თებერვალს სიზანიშვილის გამოცხადების ოქმი. ამ ოქმის მიხედვით სიზანიშვილს ასეთი განმარტება მიუცია. „თავად ჭავჭავაძის მკვლელობის წინა ღამეს, სოფ. წინამურში პავლე ფშავლიშვილის ნათესავებთან ვიყავი. დაბინდებისას იქ მოვიდნენ პავლე ფშავლიშვილი გიგოლა ბერბიჭაშვილი, ვანო ინაშვილი და ვილაც იმერელი, რომელიც პირველად ვნახე. ისინი ლაპარაკობდნენ კომიტეტმა გადაწყვიტა ჭავჭავაძის მოკვლა, იმიტომ რომ იგი ხალხის მავნე წევრია, გლეხებს ავნაროებსო...“ ბრალდებულად დაკითხულმა სიზანიშვილმა უარყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობა და ბოქაულთან ამის აღიარება. განმეორდა იგივე პროცედურა და მარკოვიჩმა და მისმა ქვეშევრდომებმა დაადასტურეს თავიანთი ოქმის სისწორე, ხოლო გამომძიებას არც უცდია სხვა მტკიცებულებათა მოპოვება და მათი ჩვენებების გადამოწმება.

აი ასეა წარმოდგენილი საგამომძიებო დოკუმენტებში „ვილაცა იმერელი“, რომელზეც მთელი ზღაპრებია შექმნილი და მართლაც არავინ იცის კიდევ რამდენი შეიქმნება. ასეთი უკანონო, საეჭვო და შეუძომებელი დოკუმენტები უდევს საფუძვლად „ვილაცა იმერელის“ რეალურ პიროვნებად და ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ორგანიზატორად მიჩნევას. ასეთი დოკუმენტებით ზოგი იმასაც ამტკიცებს „ვილაცა იმერელი“ სერგო ორჯონიკიძეა და სწორედ მან მოკლა ილია ჭავჭავაძე. ვრცლად ეხება ამ საკითხს ვახტანგ გურგენიძე. იგი პაატა გუგუშვილის წიგნის დამონშემებით ჩამოთვლის საგამომძიებო დოკუმენტებში „იმერელი“ რამდენჯერაა მოხსენიებული და გაოცებას გამოთქვამს, ამ წიგნში უფრო საინტერესო ფაქტები რატომ არაა შეგანილი. მაგალითისათვის ასახელებს დუშეთის მაზრის უფროსის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის კალინინის 1908 წლის 19 დეკემბრის საიდუმლო მიმართვას გამომძიებლისადმი, სადაც ნათქვამია, რომ ხელისუფლების მიერ იძებნება უცნობი „იმერელი“, რომელიც წარმოდგენს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ბანდის მეთაურსო. ავტორი არათუ არ ამბობს თვითონ ამ დოკუმენტის შინაარსზე, რასაც არავითარი კავშირი არ აქვს სერგო ორჯონიკიძესთან. დოკუმენტში ნათქვამია ...რატომ ოზივეს არ იჭერენო. სწორედ ის არის „იმერელი“ რომელსაც ეძებენო. კალინინი გამომძიებელს იმასაც აცხადებინებს

ობიევი დავაპაციმრეო და ...იქნებ მსჯავრდებულმა მკვლელებმა ამოიციონო.1909 წლის 10 მარტს გამომძიებელმა იანჩევსკიმ ობიევი წარუდგინა ლაბაურს და მოახდინა მათი დაკითხვა...ლაბაურმა განაცხადა ვილაც იმერელის არც სახელი ვიცი და არც გვარი, სახეზე არ მინახია და რომ მაჩვენოთ კიდევ ვერ ვიცნობო... ობიევსაც პირველად ხედავ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში იგი არ მონაწილეობდაო.

... ამ საკითხთან დაკავშირებით ვახგანგ გურგენიძემ სხვა უფრო სენსაციური განცხადება გააკეთა. ვაზ. „სოფლის ცხოვრების“ 1992 წლის 24 ნოემბრის ნომერში გამოაქვეყნა წერილი „ილიას მკვლელობის ერთი უცნაური ფაქტი“,სადაც ასეთი რამ წერია: „სერგო ორჯონიკიძემ საშა გეგეჯორს ჯილდოდ გადასცა მისი კუთვნილი ილია ჭავჭავაძისეული საათი“. ეს საათი და ილიასეული პორტსიგარიც, თურმე საშა გეგეჯორის მეუღლეს მიუყიდა ყაზბეგის მუზეუმისათვის და მუზეუმის დირექტორისათვის სტეფანე ალიბეგაშვილისათვის ისიც გაუშვლია, ნივთები იმ უცნობი „იმერელი ბიჭისა“,რომელიც წინამურის გრაგედიაში მონაწილეობდაო. ვახგანგ გურგენიძეს ეს ყველაფერი ყაზბეგის მუზეუმის ყოფილი მცველის იორამ ლუდუშაურისაგან შეუტყვია და საკმარისად მიუჩნევია ასეთი დასკვნებისათვის: „ილიას მკვლელობის დროს ორივე ნივთი ერგო „ვილაც იმერელს“— სერგო ორჯონიკიძეს. ვფიქრობ სხვა საარქივო მასალებიც რომ არ გადაარჩენილიყო წინამურის გრაგედიაში, სერგო ორჯონიკიძის უშუალო მონაწილეობის შესახებ, ეს ნივთები საკმარისი იქნებოდა იმის დასამტკიცებლად, რომ „იმერელი ბიჭის“ სახით ილიას მკვლელობაში მონაწილეობდა სერგო ორჯონიკიძე.“ სხვა მასალები რომ გადაარჩა, სწორედ ამიგომბა საეჭვო ვახგანგ გურგენიძის მონათხრობი. ამ მასალებში არსად არაა ნათქვამი, რომ მკვლელობის დროს გატაცებული იქნა ილიას პორტსიგარი, რომელიც მის საათთან ერთად „ვინმე იმერელს“ ერგოო. ილია არც პაპიროსს ეწეოდა და არც პორტსიგარს ატარებდა. ესეც არ იყოს, აბა რა დასაჯერებელია, რომ სერგო ორჯონიკიძე, რომელიც ილიას მკვლელობაში თურმე უაღრესად კონსპირაციულად მონაწილეობდა, ისე გაბრიყვდა, ილიასეული ნივთები საშა გეგეჯორს აჩუქა და ისიც უთხრა ისინი მასთან საიდან აღმოჩნდა, ან ყაზბეგის მუზეუმის თანამშრომლები ისე გულუბრიყვილონი როგორ იყვნენ, რომ ვერ მიხვდნენ, რასთან ჰქონდათ საქმე და ეს სენსაციური ამბავი არავის შეაგყობინეს.

სერგო ორჯონიკიძის და „ვილაც იმერელის“ იგივეობას მეტად საეჭვო არგუმენტით ასაბუთებს ალექსანდრე სიგუა. თურმე ყარამან ფალავას მისთვის საიდუმლოდ უთქვამს: „იმერელი ბიჭის სახელით ცნობილი პიროვნება, რომელიც სხვებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში, საგამომძიებლო ორგანოსაც აინტერესებდა, უნდოდა დაედგინა მისი ვინაობა, მაგრამ მაშინ არ მოხერხდა და არ დადგინდა მისი ვინაობა; მეც...ვერ შევძელი. ახლა მოხუცებული ვარ და

არ მინდა საფლავში ჩავიტანო, უნდა გაგიმჟღავნოთ, რომ მაშინ ჩემთან, ილიას მკვლელობის გამოძიების დროს ბევრი ქართველი ინტელიგენტი, მამულიშვილი მოდიოდა, და მეუბნებოდნენ თუ რატომ არ ზის საბრალდებლო სკამზე იმერელი ბიჭი — სერგო ორჯონიკიძე, რომელიც ბერბიჭაშვილის გვერდით იდგა ბერდანკით ხელში და მისი თოფიდან გასროლილი ცეცხლი მოხვდა ილიას შუბლში“. ვინც საფუძვლიანად იცნობს საგამოძიო დოკუმენტებს, ფაღავეას საიდუმლოს ცოცხალი კრიტიკულად შეხედავს. საქმე ისაა, რომ როდესაც გამოძიება „ვიღაც იმერელის“ პიროვნებით დაინგერესდა ყარამან ფაღავეა მაზრის უფროსის თანაშემწე იყო, ამ საქმის მოკვლევისას და გამოძიებასთან უშუალო კავშირი არ ჰქონდა და ქართველი ინტელიგენტები და მამულიშვილები მას ვერ შესჩივლებდნენ სერგო ორჯონიკიძე საბრალდებლო სკამზე რატომ არ ზისო. ასეთი რამ თუ მართლაც ხდებოდა იგი აუცილებლად მოახსენებდა თავის ხელმძღვანელობას და პროკურატურას. თავის რაპორტებში ყარამან ფაღავეა ყურმოკრულ ამბავსაც კი აღნიშნავს და ასეთ ამჟამად ინფორმაციას რატომ დამალავდა. საოცარი ისიც, ილია ჭავჭავაძის შინაურებმა ქართველ მამულიშვილებისაგან რატომ ვერაფერი შეიტყვეს სერგო ორჯონიკიძეზე და არ მოითხოვეს მისი დაპატიმრება, ან თვითონ ყარამან ფაღავეამ სხვა ეჭმიტანილთა ანალოგიურად რატომ ისიც არ დააპატიმრა და არ დააყენა საკითხი მისი გასახლების შესახებ. ყარამან ფაღავეამ იმ პერიოდში რომ არაფერი იცოდა სერგო ორჯონიკიძის „იმერლობაზე“, აშკარად ჩანს საგამოძიებო დოკუმენტებიდან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყარამან ფაღავეა ესწრებოდა დუშეთის მაზრის უფროსის მიერ პავლე ფშავლიშვილისა და ლადო ჩირიკაშვილის გამოკითხვას, სადაც პირველად მოხდა „იმერლის“ დასახელება. 1908 წლის 10 აპრილს გამოძიებელმა ლიხთოვიჩმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაკითხა ყარამან ფაღავეა, რომელმაც დაადასტურა პავლე ფშავლიშვილისა და ლადო ჩირიკაშვილის მიერ „ვიღაც იმერელის“ დასახელების ფაქტი და საკუთარი ინიციატივით შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: „... თავად ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილე იმერელი, რომლის გაცემა ფშავლიშვილმა არ ისურვა, ჩემი აზრით, უნდა იყოს ჭავჭავაძის მსახური გიგოლა მოძღვრიშვილი, რომელიც მასთან აღმოჩენილი გასისხლიანებული თოფით, საფანჯრითა და ცეცხლით უკვეა მხილებული.“ ამ ჩვენების მიცემისას ყარამან ფაღავეა უკვე გორში მუშაობდა და ქართველ ინტელიგენტებსა და სერგო ორჯონიკიძეზე თუ მართლა რაიმე ინფორმაცია ჰქონდა მიღებული, ეს უფრო ადრე უნდა ყოფილიყო და იგი გიგოლა მოძღვრიშვილს „იმერლად“ არ მიიჩნევდა.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში სერგო ორჯონიკიძის მონაწილეობის დასამტკიცებლად ალექსანდრე სიგუას ერთი საბუთიც მოაქვს. გადასახლებიდან რომ დავბრუნდი ალექსანდრე ბურთიკაშვილმა მითხრა, ბერბიჭაშვილმა პროცესზე რამდენჯერმე

განაცხადა მის გვერდით ბერდანის თოფით სერგო ორჯონიკე რომ მდგარა და ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობდა, მაგრამ ეს ოქმში არ ჩაუნერიათო. ბერბიჭაშვილის პროცესზე უკვე ვეჭონდა საუბარი, აქ მხოლოდ იმას ვიგყვით, რომ ბერბიჭაშვილს არც წინასწარ გამოძიებაზე და არც სასამართლო პროცესზე სერგო ორჯონიკე საერთოდ არ უხსენებია.

სერგო ორჯონიკეს იმდენი ცოდვები აქვს ჭირადაც ეყოფა, ლხინადაც. მისთვის კიდევ, რაღაც გამოგონილი და დაუსაბუთებელი ბრალდების წაყენება იმ დანაშაულებსაც ეჭვევემ დააყენებს, რაც მას სინამდვილეში აქვს ჩადენილი.

მაინც ვინ შეიძლება ყოფილიყო „ვილაცა იმერელი“? ამ კითხვაზე გადაჭრით რამის თქმა ძნელია. ერთი ვარაუდია კი იქცევეს ყურადღებას. იმ ხანებში მცხეთის შემოგარენში დათარეშობდა ვანო იმერლიშვილის ბანდა. იგი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მიმდევარაში მყოფ მონაწილეებთან იყო დაკავშირებული და პოლიციამ ის და პავლე ფშავლიშვილი ერთად დახოცა შეგაკების დროს, რის შემდეგ „ვილაცა იმერლისადმი“ პოლიციის ინტერესი მინელდა. ხომ არ აპირებდნენ იმ იმერლიშვილისათვის ილიას მკვლელობაში შარის მოღებას და ამიტომ ამოაგვიგვივეს „ვილაცა იმერელი“? რასაკვირველია ეს მხოლოდ ვარაუდია. ფაქტი ისაა, რომ არც ორჯონიკიძე ყოფილა „ვილაცა იმერელი“ და არც ილიას მკვლელებს დაუსახელებიათ ასეთი პიროვნება.

გამოძიებამ არ გაარკვია საგურამოს შემოგარენში მოთარეშე ბანდების კავშირი ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან. ყოველ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ეს არ ჩანს. ვაზეთ „ისრის“ 1907 წლის 23 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულია ასეთი ცნობა: „ილია ჭავჭავაძის მოკვლის შემდეგ, მეორე დღეს სოფ. ნაოზაში მოკლეს გლეხი სანდრო კორპუსოვი (შთამომავლობით რუსი იყო, გაქართველებული).მესამე დღეს სოფელ მლაშეში მოკლეს გლეხი შიო ჩობაკაური. იმავე დღეს, საღამოს დუშეთში მოკლეს ვაჭარი ივანე მარტიროსოვი. სოფლები ნაოზა და მლაშე მდებარეობენ საგურამოსა და დუშეთს შორის. ხმა დადის სამივე გაყაჩაღებულმა ერთობის კაცებმა მოკლესო. შესაძლებელია, რომ ილია ჭავჭავაძის მოკვლა მათი საქმე იყოს.

ეს მეტად საგულისხმო ინფორმაცია გამოძიებას არ შეუმონშებია. უნდა ითქვას, რომ რუსმა მოხელეებმა, რომლებიც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეს აწარმოებდნენ ან ვერ გააცნობიერეს ამ დანაშაულის მნიშვნელობა ან საერთოდ აგდებულად ეკიდებოდნენ თავიანთი სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებას. სწო-

რედ ესაა მიზეზი იმის, რომ ბევრი საკითხი დღესაც სადაოა და თავსატეხია, გზას უხსნის სხვადასვა ჭორებსა და ფანტაზიას.<sup>1</sup>

რაც შეეხება კობა სტალინის როლს ილიას მკვლელობის საქმეში შუშანაშვილი არათუ გამოთქვამს აზრს ამის შესახებ, არამედ შოთა ბადრიძეს, მისი სიტყვებისათვის აკრიტიკებს და ირემაშვილის მიმდევრადაც მოიხსენიებს. ბადრიძე წერს: „რამდენადაც ილია ბოლშევიკი გეროლისტების მონაწილეობით იქნა მოკლული, ეს აქტი ვერ განხორციელდებოდა კობას გარეშე, რომელიც 1906-1907 წლებში საქართველოში ბოლშევიკური ექსესების და გეროლისტული ოპერაციების მომწყობი იყო. საქმე უბრალო ექსეს როდი ეხებოდა. ილიას კლავდნენ, ილიას, რომლის მკვლელობაზე, ილიას დასაცავად, ვიდრე არ დასჭირდა, დიდი ხნის მანძილზე, სიგყვა არ დაუძრავს, არც ავად, არც კარგად. განა ეს ცოტაა?“<sup>2</sup>

ალექსანდრე შუშანაშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით ბოლოს წერს: „ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში კობა-სტალინის დადანაშაულება უსამართლობაა თუ მეტი არა.“<sup>3</sup>

ჩვენი კომენტარი ასეთია: იყვნენ, არიან და იქნებიან ადამიანები - იოსებ ჯუღაშვილის – სტალინის თაყვანისმცემელები.

## ბერიას ერთი ერთგული კადრი

ბერიამ საქართველოში შექმნა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებათა შემსწავლელი კომისია თუ ჯგუფი, რომელსაც ამოცანად დაუსახეს, ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით მოემზადებინათ საზოგადოებრივი აზრი – ილია მოკლა მეფის „ოხრანკამ“. საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში ლომის წილი მიუძღოდა იმდროინდელ პარტიულ ნომენკლატურას და „შინსახკომის“ მაღალი რანგის თანამშრომლებს, რომელთა შორის იყო ბერიას გამორჩეული ერთი კადრი – ნიკოლოზ კოჭლავაშვილი. აქვე აღვნიშნავთ: ბერიამ ნამდვილად იცოდა ერთგული კადრების შერჩევა.

ნიკოლოზ კოჭლავაშვილმა შექმნა ხელნაწერები, რომლებიც ეხება ილიას მკვლელობის გარემოებებთან დაკავშირებით ბერბიჭაშვილის დაკითხვას, მასთან პირად საუბარს, მის მიერ გამოგონილი გიგლა ბერბიჭაშვილისა და დიმიტრი ჯაშის ურთიერთობას, ამ ურთიერთობის სხვადასხვა ეპიზოდის „ფაქტებს“. ილიას მკვლელობის გარემოებების შესახებ საკუთარი ხელით დაწერილ „დოკუმენტებს“ ქმნიდა

<sup>1</sup> ალ..შუშანაშვილი, „წინამურის ტრაგედია“, „ორიონი“2000 წ.თბილისი;

<sup>2</sup> ალ..შუშანაშვილი, „წინამურის ტრაგედია“, „ორიონი“2000 წ.თბილისი;

<sup>3</sup> ალ..შუშანაშვილი, „წინამურის ტრაგედია“, „ორიონი“2000 წ.თბილისი;

1941-1942 წლებში და შემდეგაც. მან ისიდორე ოდიშვილის წიგნს „წინამურის ტრაგედია“ 1954-1956 წლებში ხელნაწერი შენიშვნები გაუკეთა. კოჭლავაშვილი ამას აკეთებდა დავალების შესაბამისად, რომ სასამართლოს დოკუმენტებში გაპარული არასაჭირო ჩანაწერების საწინააღმდეგო, სასურველი ჩანაწერები შეექმნა, რათა უფრო დამაჯერებელი გამხდარიყო ილიას მკვლელობის საბჭოური ვერსია.

ხელნაწერები — კოჭლავაშვილის ფონდის სახით, 1986 წელს ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა. ამ ხელნაწერებიდან ჩვენ ვიცნობთ იმ ნაწილს, რომელიც, როგორც დოკუმენტური ლიტერატურა, გამოყენებული და შეტანილი აქვთ თავიანთ წიგნებში მკვლევრებს, რომლებიც ილიას მკვლელობის ხელმძღვანელად ჯაშს მიიჩნევენ. ამ წიგნებში ლიტერატურულ „წყაროდ“ გამოყენებული კოჭლავაშვილის ხელნაწერებისა და ილიას მკვლელობის გარემოებების შესახებ გამოცემული საარქივო დოკუმენტების ერთმანეთთან შედარებით, აგრეთვე, იმ მკვლევრების შრომების გაცნობით, ვინც არ იზიარებს ბერბიჭაშვილის საქმეზე 1942 წლის 5 იანვრის სასამართლოს განაჩენში დიმიტრი ჯაშის შესახებ არსებულ ჩანაწერს, მივხვდით იმ დასკვნამდე, რომ კოჭლავაშვილის ე. წ. „ფონდში“ მთავარი ადგილი უჭირავს ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით საეჭვო ჩანაწერებს. ზოგჯერ კი, იგი გადმოგვცემს სიცრუისა და სიმართლის ისეთ ნაზავს, რომლითაც ქართული საზოგადოების ნაწილი დაარწმუნეს ილიას მკვლელობის „ოხრანკისეულ“ ვერსიაში.

თენგიზ სიმამელი თავის ნაშრომში „უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ წერს:

„მე მოვიძიე ახალი საარქივო მასალები და აღმოჩნდა, რომ ილიკო იმერლიშვილის „იმერელთან“ იგივეობის შესახებ ძალიან კარგად იცოდა ალექსანდრე კოჭლავაშვილმა, რომელიც, თავის დროზე, იყო უშიშროების საგამოძიებო ნაწილის უფროსი. მან 1941 წელს ილიას მკვლელობის საქმეზე წინასწარი ძიების პროცესში დაჰკითხა კიდევ დაპატიმრებული გიგლა ბერბიჭაშვილი.

1950-იანი წლების ბოლოს ა. კოჭლავაშვილმა დაიწყო ილიას მკვლელობის შესახებ მასალების მოძიება 1957-1962 წლებში უნიკალური მასალები და დოკუმენტები მოაგროვა, დააარქივა და დაიწყო ილიას მკვლელობის შესახებ წიგნის წერა... და ჩანს, რომ ილიკო იმერლიშვილზე, როგორც ილიას მკვლელობის მეოთხე მონაწილის კვალზე გავიდა... გავიდა და შემდეგ სხვადასხვა მიზეზის გამო არ გამოაქვეყნა არაფერი. მიზეზი, ჩანს, მდგომარეობდა იმაში, რომ მოძიებული მასალებიდან ა. კოჭლავაშვილმა დაასკვნა, რომ ილიკო იმერლიშვილი უშუალოდ იყო დაკავშირებული არა მარტო ბოლშევიკებთან, არამედ იოსებ ჭულაშვილთან — სტალინთან. ა. კოჭლავაშვილი

კი ამ ადამიანის ერთ-ერთ თაყვანისმცემელთა რიცხვში შედიოდა... თუმცა ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია“.<sup>1</sup>

დავითანხმებით ბატონ სიმაშვილს, რომ კოჭლავაშვილი იოსებ ჯუღაშვილის თაყვანისმცემელთა რიცხვში შედიოდა, მაგრამ უფრო დავაკონკრეტებთ: იგი ბერიას ერთგული კადრი იყო. იმისათვის, რომ მკითხველი ამაში დავარწმუნოთ, ჩვენს წერილებში მოვიტანთ კოჭლავაშვილის ბიოგრაფიას, საიდანაც კარგად ჩანს, რომ კოჭლავაშვილის კარიერული წარმატება და მარცხიც დამოკიდებული იყო ბერიას აღზევებასა და დაცემასთან.

ალექსანდრე კოჭლავაშვილი დაიბადა 1906 წელს. საქართველოს გასაბჭოებიდან ერთ თვეში, 15 წლის ასაკში საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტში კურიერ-ექსპედიტორად დაიწყო მუშაობა. 1921-26 წლებში სწავლობდა თბილისის მე-15 მუშათა სკოლაში. მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში მჭედლად, 1928 წლის სექტემბრიდან კომკავშირულ სამუშაოზე ზესტაფონის მაზრის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, ორ თვეში თბილისის ალკკ (ახალგაზრდა ლენინური კომკავშირი) კომიტეტის პროპაგანდისტია. 1930 წლის აპრილიდან გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ სამრეწველო განყოფილების გამგეა. 1931 წლის ნოემბრიდან სწავლობს ამიერკავკასიის სამთო-მეტალურგიის ინსტიტუტში, 1933 წლის მაისიდან, საქართველოს კომკავშირის პასუხისმგებელი მდივანია, 1934 წლის აპრილიდან ფერომარგანეცის ქარხნის პასუხისმგებელი მდნობელია, შემდეგ – ინჟინერ-კონსტრუქტორი. 1936 წლის თებერვლიდან თბილისის ფილიალის ქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა, 1937 წლის მაისიდან საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგის მოადგილეა, 1938 წლის იანვრიდან 1939 წლის აპრილამდე – განყოფილების გამგეა. კოჭლავაშვილი საქართველოს კომპარტიის ცკ-ის აპარატიდან გადაყვანილ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინსახკომის (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი) სახალხო კომისრად, სადაც მუშაობდა 1939 წლის მაისიდან 1941 წლის მარტის პირველ რიცხვებამდე, 1941 წლის მარტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სუკ-ის (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი - ავტ.) სახალხო კომისარია. 27 დღის შემდეგ საქართველოს შინსახკომის უშიშროების თანამშრომელია 1941 წლის ივლისამდე, 1941 წლის აგვისტოდან 1943 წლის 12 ივნისის ჩათვლით უწყების კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსია. 1943 წლის 12 ივნისიდან 1945 წლის 18 მაისამდე საქართველოს სსრ შს სახალხო კომისრის ჯერ მოადგილე, შემდეგ პირველი მოადგილეა. 1945 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. 1945-1947 წლებში სოხუმის სპეცობიექტზე სსრკ შსს რწმუნებულია, 1947-1952 წლებში სოხუმის სპეცობიექტზე სსრკ მინისტრთა საბჭოს რწმუნებული და

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, „უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012, თბილისი;

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია. 1952 წლის 9 ივნისიდან 1953 წლის 16 მარტამდე საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრია, სულ რაღაც ხუთი დღით – შინაგან საქმეთა მინისტრი, ხოლო 1953 წლის 10 აპრილიდან 24 სექტემბრამდე საქართველოს შს მინისტრის მოადგილეა. 24 სექტემბერს დაითხოვეს სამსახურებრივი შეუთავსებლობის მოტივით. სამი თვის უმუშევრობის შემდეგ, 1953 წლის დეკემბრიდან 1954 წლის დეკემბრამდე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის მოადგილეა კადრების დარგში. 1954 წლის დეკემბრიდან 1963 წლის აპრილამდე, ოფიციალური მონაცემებით, არსად მუშაობდა. 1963 წლიდან მუშაობდა უფროს მეცნიერ მუშაკად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტში, 1964 წლის სექტემბრიდან – ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. კოჭლავაშვილი გარდაიცვალა 1977 წელს.<sup>1</sup>

გავაკეთებთ მცირე ექსკურსს სოხუმის სპეცობიექტის მნიშვნელობის შესახებ.

იაპონიის ქალაქ ხიროსიმაზე ატომური თავდასხმიდან ორი კვირის თავზე, 1945 წლის 30 აგვისტოს, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, რომელსაც სტალინი ხელმძღვანელობდა, გამოსცა დადგენილება ატომური ენერჯის გამოყენებისათვის საჭირო ყველა საშუაოს კოორდინაციის მიზნით სპეციალური კომიტეტის შექმნის შესახებ. კომიტეტს ბერია ხელმძღვანელობდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირში ჩამოიყვანეს ასობით გერმანელი მეცნიერი, ვინც მესამე რაიხის ურანის პროექტზე მუშაობდა. საბჭოთა კავშირის ატომურ პროექტში ჩაერთო 7000 გერმანელი, რომელთაგან დაახლოებით 300 მუშაობდა სოხუმში, სადაც, 1945 წელს, სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის დადგენილებით, სანატორიუმები „სინოპი“ და „აგუძერა“ გადაკეთდა საილუმლო ობიექტებად და შეიქმნა სოხუმის ფიზიკო-ტექნიკური ინსტიტუტი, რომელიც შედიოდა სსრკ-ის ატომური ობიექტების სისტემაში. იქ მუშაობდნენ ცნობილი გერმანელი ფიზიკოსები და ქიმიკოსები: მანფრედ ფონ არდენი, გუსტავ ლუდვიგ გერცი, ნიკოლაუს რილი, მაქს ფოლმენი. ორივე ობიექტს იცავდა ბერიას უწყების სამხედრო ნაწილი, რომლის კონტროლი ევალებოდა გენერალ კოჭლავაშვილს, როგორც სოხუმის სპეცობიექტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს და ამავე დროს, როგორც სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს რწმუნებულს. 1945-1950 წლებში სოხუმის ფიზიკო-ტექნიკურ ინსტიტუტში შექმნეს ციკლოტრონი და დიდი სინათლის ძალის პირველი საბჭოთა მას-სპექტოგრაფი.<sup>2</sup> კოჭლავაშვილს ევალებოდა სოხუმის ფიზიკო-ტექნიკური ინსტიტუტის საილუმლო სტატუსის უზრუნველყოფა და ობიექტის მკაცრი დაცვა. ასეთი მნიშვნელოვანი დავალების შემსრულებელი გახლდათ გენერალი კოჭლავაშვილი. როგორც ფაქტები მოწმობს, ამ დავალებას მან თავი ჩინებულად გაართვა.

<sup>1</sup> ინტერნეტსაიტი: “Справочник по истории Коммунистической партии и Советского Союза 1898-1991”. Кочлавашили Александр Иванович“;

<sup>2</sup> ინტერნეტურნალი „საქართველოდა მსოფლიო“ 8.04.2015. „ქართველთა როლი საბჭოთა ატომური ბომბის შექმნაში“;

დარწმუნებულები ვართ იმაში, რომ ალექსანდრე კოჭლავაშვილს სახელმწიფო მნიშვნელობის ბევრი დავალება აქვს უნაკლოდ შესრულებული. იმასაც რეალურად მივიჩნევთ, რომ როდესაც კოჭლავაშვილი ილიას მკვლელობის გამოძიებასთან დაკავშირებით, როგორც უშიშროების მაღალი თანამდებობის პირი, გამოძიების და სასამართლოს მიმდინარეობას სათანადო კურატორობას უწევდა და ქმნიდა ხელნაწერ დოკუმენტებს ილიას მკვლელობის საბჭოური ვერსიის გასამტკიცებლად, ამ დროს იგი სახელმწიფო მნიშვნელობის დავალებას ასრულებდა.

მას შემდეგ, რაც ბერია დააპატიმრეს და დახვრიტეს, ბერიას გარემოცვიდან დახვრიტეს კოჭლავაშვილის პირადი უფროსი – დეკანოზიშვილი. დახვრიტეს რამდენიმე მისი კოლეგა, ბევრიც დააპატიმრეს, მათ გენერლის წოდებაც მოუხსნეს. ინტერნეტგვერდზე „Комиссары лишённые званий“ გამოქვეყნებული ინფორმაციით 47 გენერალ-მაიორი პასუხისგებაში არ ყოფილან მიცემული, მაგრამ 1954-57 წლებში ჩამოერთვათ გენერალ-მაიორის წოდება, რადგან სამსახურებრივი შეუთავსებლობის მოტივით დათხოვნილ იქნენ თანამდებობიდან. კოჭლავაშვილიც ამ მოტივით დაითხოვეს, მაგრამ გენერლის წოდება არ მოუხსნიათ. მის ბიოგრაფიაში ყურადღებას იპყრობს შვიდწლიანი უმუშევრობის პერიოდი — 1954 წლის დეკემბრიდან 1963 წლის აპრილამდე. ოფიციალურად ამის შესახებ ჩვენს მიერ მოძიებულ დოკუმენტებში არ წერია. უნდა ვიფიქროთ, რომ ხრუშჩოვის ეპოქაში მას კარგი დამცველი გამოუჩნდა. კოჭლავაშვილი ამ შვიდწლიან უმუშევრობის პერიოდში შენიშვნებს უკეთებს ოდიშვილის წიგნ „წიწამურის ტრაგედია“-ს. იგი ჩავიდა ბათუმში და ჩაიწერა იმერლიშვილზე ის, რაც მას უამბო დარია ჯაშმა. უნებურად გვებადება კითხვა: იგი უკვე სახელმწიფო მნიშვნელობის დავალებების შემსრულებელი არ არის, მაგრამ რატომ არის დაინტერესებული ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესის დოკუმენტებით, რატომ ქმნის დამატებით ხელნაწერებს? იმ მიზეზით ხომ არა, რომ ბერბიჭაშვილის 1942 წლის სასამართლომ ვერ დაარწმუნა საქართველოს საზოგადოება ილიას მკვლელობაში დიმიტრი ჯაშის დანაშაულში? ჩვენი ვარაუდით, ამ საქმეს ალექსანდრე კოჭლავაშვილი ასრულებდა ქართული ლიტერატურის მოამაგისა და ავტორიტეტის, ორგზის სტალინური პრემიის ლაურიატის – გიორგი ლეონიძის დავალებით. იქნებ, გიორგი ლეონიძეს აწუხებდა ის გარემოება, რომ ილია მოკლეს სოცდემოკრატებმა თავიანთი ლიდერების დავალებით და მას არ უნდოდა ამ ლიდერებში ვინმეს დაენახა სტალინის სახე? იქნებ, ამ მოტივით დაავალა გიორგი ლეონიძემ კოჭლავაშვილს, შეექმნა ახალი ხელნაწერი დოკუმენტები, სადაც უფრო არგუმენტირებული იქნებოდა ილიას მკვლელობაში „ოხრანკის“ დანაშაული. კოჭლავაშვილის ასეთი, არასანქცირებული საქმიანობა, რაც უსაფუძვლო დოკუმენტების შექმნას ისახავდა მიზნად, ჩვენი აზრით დანაშაულის ტოლფასია.

ვფიქრობთ, მკითხველმაც უნდა იცოდეს, თუ ვისი შექმნილია ეს ე.წ. „ფონდი“.

ალექსანდრე კოჭლავაშვილი 1941 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოს შინსახკომის უშიშროების მაიორი და კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსია.

ილიას მკვლევლობების გარემოებებთან დაკავშირებით, სათანადო დავალების შესაბამისად, პირადად აწარმოებდა ბერბიჭაშვილის დაკითხვას და დასახული მიზნის მისაღწევად ჩანაწერებს გულმოდგინედ აკეთებდა. უფრო ადრე, 1937 და 1938 წლებში, ალექსანდრე კოჭლავაშვილი საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილებაში მუშაობდა და ვალდებული იყო შეესრულებინა ყველა დავალება, რომელიც იმ დროს სახელმწიფო მნიშვნელობის დავალებად იყო მიჩნეული.

მეოცე საუკუნის 30-იან წლებში სსრკ-ში, მათ შორის, საბჭოთა საქართველოში, ათასობით ადამიანის სასიკვდილო განაჩენს საფუძვლად დაედო მრავალი წერილობითი ყალბი ბრალდება. დახვრეტილები – რეპრესირებულნი, სულ მცირე ნაწილის გარდა – 1950-იან წლებში რეაბილიტირებულ იქნენ. ე.ი. დახვრეტეს უდანაშაულო ადამიანები, მაგრამ თხუთმეტი წლით ადრე კოჭლავაშვილი, თავის კოლეგებთან ერთად, მიიჩნევდა, რომ რეპრესირებულმა პირებმა საკადრისი სასჯელი დაიმსახურეს.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საერთაშორისო საზოგადოება „მემორიალთან“ თანამშრომლობით, 2011-2013 წლებში შეადგინა 3600 რეპრესირებული ადამიანის ელექტრონულ მონაცემთა ბაზა, რომელსაც ეწოდა „სტალინური სიები საქართველოდან“. ეს ინფორმაცია ყველასათვის ღიაა.

1937 და 1938 წლებში, როდესაც ალექსანდრე კოჭლავაშვილი საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტის სამრეწველო და სატრანსპორტო განყოფილებას ხელმძღვანელობდა, უდანაშაულოდ დახვრეტილთა ჩამონათვალში – სტალინურ სიებში – მრავლად არიან საბჭოთა საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგის მუშაკები, რომლებიც 1950-იან წლებში რეაბილიტირებულ იქნენ. საბჭოთა საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგებში გამოვლენილი და დაპატიმრებული ბოლშევიკური პარტიის წევრ ხალხის „მტრების“ პარტიის რიგებიდან გარიცხვას აწარმოებდნენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები და გადაწყვეტილებებს, უგზავნიდნენ საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილებას, სადაც მზადდებოდა კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განსახილველი დადგენილების პროექტები. ეს პროექტები საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ დამტკიცებულია დადგენილების სახით და ინახება შესაბამის არქივებში, რომლებშიც მოწონებულია ხალხის „მტრების“ მიმართ ე. წ. „სამეულის“ მიერ გამოტანილი სასჯელი. „სტალინურ სიებში“ 3600 რეპრესირებული პირიდან, საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკთა რაოდენობა დიდია. მკითხველის ყურადღებას მისი საერთო რაოდენობის ნახევარზე შევაჩერებთ. 1800 რეპრესირებული პირიდან 209 დაპატიმრებამდე საბჭოთა საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკი იყო. სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა გამოუტანეს 202-ს. შვიდს მიესაჯა 10-დან 15 წლამდე პატიმრობა,

საიდანაჯ ცოცხალი არავინ დაბრუნებულა. რაოდენობის მიუხედავად, რამდენიც არ უნდა ყოფილიყო ამ სიებში კოჭლავაშვილის საკურატორო დარგების თანამშრომელი, ის დამოკიდებულება რეპრესირებულთა მიმართ, რაც კოჭლავაშვილს და მის კოლეგებს – პარტიული ნომენკლატურული თანამდებობის პირებს - გააჩნდათ, ვერ შესუსტდებოდა, რადგან დარგებში მასობრივ წმენდას, პარტიული კურატორობიდან გამომდინარე, კოჭლავაშვილი არა მარტო აკვირდებოდა, არამედ სინქრონულად მიყვებოდა, როგორც ღონისძიების შედეგების ნაერთი ინფორმაციების შემდგენელი.

აღნიშნული დოკუმენტები ინახებებოდა საკავშირო კპ (ბ) ცკ-თან არსებული მარქსი-ენგელსი-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალში, რომელიც 1938 წლიდან რუსთაველის გამზირზე აშენებულ ახალ შენობაში გადაიტანეს. პარტიული არქივი იქ დაცული იყო 2007 წლამდე, შემდეგ საქართველოს შსს არქივში მიუჩინეს ადგილი, სადაც დღესაც ინახება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის (1921-1991 წწ.) დოკუმენტებში – ფონდი N14. საქართველოს შსს არქივის ინტერნეტგვერდზე მოცემულია ინფორმაცია ფონდებზე – პარტიული ფონდები – სადაც წერია: „... საარქივო დოკუმენტებში გამორჩეულ ადგილს იკავებს ისეთი საკითხები, როგორცაა საქართველოს სსრ ჩამოყალიბება (XX საუკუნის 20-იანი წლები), 1921-1924 წლებში ანგისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა და აგვისტოს აჯანყება, ... 1935-1936 წლებში საქართველოს კომპარტიის რიგებში ჩატარებული წმენდები, 1937-1938 წლების რეპრესიები... მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საქართველოს კპ ცკ-ში შექმნილი სხვადასხვა განყოფილებების მიერ წარმართული საქმიანობა. ეს განყოფილებებია: ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის, აგიტაცია-პროპაგანდის, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ... განყოფილებები“.

1937 წლის 5 მაისიდან 1938 წლის 1 იანვრამდე საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგის მოადგილე, ხოლო 1938 წლის იანვრიდან 1939 წლის აპრილამდე – ამავე განყოფილების გამგე ალექსანდრე კოჭლავაშვილი რა დოზით მონაწილეობდა რეპრესიებში, ვერ მოგახსენებთ. ყველა შემთხვევაში, საქმის კურსში იყო, როგორც დარგების პარტიული კურატორი, რომელიც თავის მოვალეობას გულმოდგინედ ასრულებდა, რადგან მიაჩნდა, რომ პარტიის კურსი სწორი იყო და ამ ადამიანებმა დაიმსახურეს დახვრეტა, მათ პარტია სათანადოდ მოექცა.

საქმისადმი ასეთი გულმოდგინე დამოკიდებულობის გამო საქართველოს კპ (ბ)ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგის თანამდებობიდან კოჭლავაშვილი 1939 გაზაფხულზე გადაიყვანეს საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის ორგანოებში, 1938 წელს მოსკოვში სამუშაოდ გადასული ბერიას დაქვემდებარებულ უწყებებში და მუშაობის ხუთი წლის შემდეგ კოჭლავაშვილს

1945 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. 1946 წლის 19 მარტს ბერია დაინიშნა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის – სტალინის მოადგილედ. კურატორობდა სსრკ შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროებისა და სახელმწიფო კონტროლის სამინისტროებს. ასეთი სიმაღლიდან და ასეთი ძალაუფლებით აღზევებული ლავ-რენტი ბერიას კადრმა კოჭლავაშვილმა განაგრძო კარიერული აღმასვლა.

სწორედ ეს ადამიანი, როგორც აღვნიშნეთ, 1941-1942 წლებში აწარმოებდა ბერბიჭაშვილის დაკითხვა-დამუშავებას, რათა 1922 წელს - ოცი წლის წინ გარდაცვლილ დიმიტრი ჯაშს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორის როლი დასაბრალებოდა, შეექმნა და ხელთ ჰქონოდა სათანადო ჩვენებები, რომლებიც სასურველ ფორმატში მოაქცია. 1953-1963 წლებში კვლავ აგრძელებდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ ხელნაწერების შექმნას, რათა დაერწმუნებინა საზოგადოება 1941-1942 წლების ბერბიჭაშვილის სასამართლო განაჩენის ობიექტურობაში. ასე შეიქმნა კოჭლავაშვილის ფონდი.

სარწმუნო წყაროდ რატომ უნდა მივიჩნიოთ ალექსანდრე კოჭლავაშვილის – იმ ადამიანის მიერ შექმნილი ფონდი, რომელიც, გასაგები მიზეზით, რეპრესიებს ვერ შეეწინააღმდეგებოდა, მაგრამ გულმოდგინედ ასრულებდა პარტიულ სამუშაოზე ყოფნის პერიოდში ამ საქმეებს, კერძოდ, სათანადო პათოსით ქმნიდა დოკუმენტებს, რომლებიც ამართლებდა პარტიის კურსს და რეპრესირებულთა მიმართ გატარებულ ღონისძიებებს. რამდენად დასაჯერებელია ასეთი ადამიანის ობიექტურობა, რომელსაც ერთი მიზანი ამოძრავებდა – ბერიას დავალების რაც შეიძლება გულმოდგინედ შესრულება.

ისეთი დოკუმენტები, რომლებიც შედგენილია რეპრესიების დროს აქტიურად მოქმედი პარტიული და ძალოვანი ორგანოების თანამშრომლების მიერ, უნდა გადაიხედოს, რათა დადგინდეს მათი ობიექტურობა. კოჭლავაშვილი იმ დროს წარმოადგენდა ორივე უწყებას – პარტიულ და ძალოვან ორგანოებს.

ვინმემ შეიძლება ბრძანოს: დრო იყო ასეთი. მართალიც იქნება, მაგრამ ადამიანთა რეპრესიების პერიოდის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა პარტიულმა ნომენკლატურამ, თანამდებობის პირმა, შექმნას ხელნაწერი დოკუმენტები ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ჩვენი წინაპრის მონაწილეობის შესახებ, თან ეს გააკეთოს უშიშროების სამინისტროს განყოფილების უფროსის რანგში მიღებული დავალების გათვალისწინებით დავალებაზე მოსარგებად, შემდეგ, დავალების შესაბამისად კორექტივები შეიტანოს და შექმნილ ხელნაწერებს თავისი სახელობის ფონდი დაერქვას, რომელიც დაინტერესებული პირებისათვის დოკუმენტალურ წყაროდ შეირაცხება – ვიტოვებთ უფლებას, არ ჩავთვალოთ ეს ხელნაწერები ობიექტურ დოკუმენტებად.

თენგიზ აბულაძის ფილმი „მონანიება“ წარმოგვიდგენს მთავარ უარყოფით პერსონაჟებს: ვარლამს, მის თანაშემწეებს – დოქსოპულოს და რიკტაფელოვს. ჩვენთვის შეიძლება კოჭლავაშვილი მათთან ასოცირდებოდეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი იყო იდეური კომუნისტი და უშიშარი ადამიანი. კოჭლავაშვილის მიერ სახელმწიფო

მნიშვნელობის დავალებების დაუზოგავი ძალისხმევით შესრულებების მიუხედავად, იგი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც თავისი პარტიული და უწყების ხელმძღვანელების დავალებებს გულმოდგინედ და უსიტყვოდ ასრულებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, რეპრესიების მსხვერპლნი თავად გახდებოდნენ – ასეთი ატმოსფერო იყო გამეფებული. კოჭლავაშვილი გარდაცვლილი დიმიტრი ჯაშის მიმართ აწარმოებდა ბრალდებების ფაბრიკაციას. დიმიტრი ჯაში იმ დროს რომ ცოცხალი ყოფილიყო, ბუნებრივია, დახვრეტა არ ასცდებოდა. „შინსახკომის“ მაიორის, შემდეგ „ჩეკას“ გენერლის ჩანაწერები, კოჭლავაშვილის ფონდის სახით, როგორც უკვე ითქვა, ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. ეს ხელნაწერები – მუზეუმის უნიკალური ექსპონატი – მუზეუმის სტუმრებისთვის, სწორედ, საჩვენებელი უნდა იყოს, როგორც ბერიას კადრის მიერ თავისი წინამძღოლის დავალების „გულმოდგინედ“ შესრულების ნიმუში.

ასეთი მუშაკი ბერიას წყალობით აღზევდა და დაეცა. ამას ალექსანდრე კოჭლავაშვილის ბიოგრაფიის დეტალები ადასტურებს.

გენერალ კოჭლავაშვილის ხელნაწერები, რომელსაც „ფონდი“ დაარქვეს, არ გამოხატავს სინამდვილეს. იგი ისეთივე მონდომებით არის დაწერილი, როგორი მონდომებითაც იგი ადგენდა 1937-1938 წლებში დოკუმენტებს, სადაც „ობიექტურად“ გამოხატავდა გატარებული ღონისძიებების აუცილებლობის შესახებ არა მარტო პარტიის, არამედ საკუთარ აზრსაც.

წარმოგიდგინთ საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგებიდან 1937-1938 წლებში რეპრესირებული 209 პირის მონაცემებს.<sup>1</sup> მივუთითეთ მხოლოდ მათი ინიციალები. საწარმოსა და ორგანიზაციის დასახელება, თანამდებობა, სამუშაო ადგილი, დახვრეტის თარიღი – გადმოვეცით, როგორც მითითებულია „სტალინური სიებში“.

1. ა.ნ.ა.- ოსოვიახიმის (ავიაციისა და ქიმიური მშენებლობის ხელშემწყობის საზოგადოების) სამშენებლო ნაწილის უფროსი- 03/14/1938;

2. ა.ბ.კ. - „ფერომარგანეცის“ ქარხანის მუშა - 12/02/1937;

3. ა.გ.ა.- საქენერგოს დაგეგმვის განყოფილების უფროსი -03/26/1938;

4. ა.გ. ა.- ჭიათურის სამშენებლო დაწესებულების „საქქარხმშენის“ უფროსი - 12/26/1937;

5. ა.შ.ლ.-ამიერკავკასიის რკინიგზის საორთქლმავლო მეურნეობის მეორე განყოფილების ხელმძღვანელი- 03/10-1937 წელს;

6. ა.ზ.ი.-ლაგოდენის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ხელმძღვანელი- 04/30/1938;

7. ა.ნ.ნ.-კასპის ცემენტის ქარხნის მთავარი ინჟინერი- 11/10/1937;

8. ა.ნ.მ.-მე-10 სარკინიგზო პოლკის მეთაურის თანამშემწე- 12/27/1937;

---

<sup>1</sup> ელექტრონულ მონაცემთა ბაზა-ინტერნეტსაიტი- „სტალინური სიები საქართველოდან“.

9. ა.მ.მ. -ახალქალაქში გადასახლებულთა დასახლების მშენებლობის უფროსი- 12/11/1937; 10. ა.ლ.მ. -„საქჩარჩოს“ ინჟინერ-მექანიკოსი-11/10/1937;
11. ნ.თ.ს.-სოხუმის თამბაქოს ქარხნის დირექტორი- 03.10.1937;
12. ა.პ.ი.-ორთქლმავალშემკეთებელი ქარხნის ინჟინერ-მექანიკოსი- 09/13/1937;
13. ა.ვ.კ.-საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი, მარმარილოს ფილების წარმოების საქმრეწვის დირექტორი -12/02/1937;
14. ხ.მ.გ.-საქართველოს საგზაო სამმართველოს ინჟინერ-პროექტორი- 05/26/1938;
15. ხ.ვ.ა.-მარგანეცის ტრესტის საბადოს მონაკვეთის გამგე - 05/06/1938;
16. ლ.ბ.ნ.-ტყვარჩელნახშირის მადაროს მმართველი - 09/17/1937;
17. ლ.ვ.დ.- აზერბაიჯანის ნავთობის გასაღების აფხაზეთის გ. მმართველი- 11/03/1937;
18. ლა.უ.ფ. - ზესტაფონის მანქანა-ტრაქტორების სადგურის დირექტორი - 04/30/1938;
19. ლ.დ.ს.- „ინჟმშენის“ ბუღალტერი - 12/17/1937;
20. ლ.ი.გ.- „საქართველოს კვების მშენებლობის“ ავჭალის კანტორის ხელმძღვანელი - 01/20/1938;
21. ლ.შ.კ.- კავზამშენის საგზაო სანიტარიული განყოფილების უფროსი. ქირურგი- 09/20/1937;
22. ლ.ა.გ.- „ხრამქვის“ ავტობაზის უფროსი- 12/25/1937;
23. ლ.კ.პ.- ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო სამსახურის საშენის გამგე - 01/17/1938;
24. ლ.დ.გ.- საგზაო-სანიტარიული ბავშვთა პოლიკლინიკის დირექტორი- 10/11/1937;
25. ლ.მ.პ.- თბილისის ტრამვაის გაფართოებული ხაზის მშენებლობის ინჟინერი- 06/22/1938;
26. მ.ვ.ი.- ინჟინერ-მექანიკოსი. მაუდის ფაბრიკის კამვოლის საამქროს ნორმადარი- 01/20/1938;
27. მ.ი.ი.-სოჭის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ხელმძღვანელი- 04/30/1938;
28. მ.ვ.ს.-საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახკომის აბრეშუმის მრეწველობის სამმართველოს უფროსი- 09/13/1937;
29. მ.შ.პ.-დეპო-თბილისის სასაქონლო საამქროს ოსტატი - 12/11/1937;
30. მ.ბ.ტ.- ამიერკავკასიის რკინიგზის პროფკავშირის თავმჯდომარე - 30/09-1937;
31. კ.ვ.გ.-ამიერკავკასიის რკინიგზის სამშენებლო განყოფილების უფროსი - 11/10/1937;

32. კ.ბ.ე.-რკინიგზის საავადმყოფოს ექიმი -10 (ათი) წლით პატიმრობა 23/11-1937; \*

32. კ.მ.ბ.-კასპის ცემენტის ქარხნის თანამშრომელი 10/04/1937წ. მიესაჯა 10 წელი;\*

33. კ.გ.შ.-ამიერკავკასიის რკინიგზის II რაიონის პროკურორი- 11/10/1937;

34. კ.მ.პ.-ასურეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორი- 03/04/1938;

35. კ.მ.ს.- მანქანა-ტრაქტორების სადგურების ტრესტის უფროსი -05/12/1938;

36. კ.ვ.თ.-რადიოაპარატების თბილისის რადიოკვანძების უფროსი- 12/11/1937;

37. კ.ნ.მ.-საქონსერვტრესტის მმართველის მოადგილე- 09/11/1937;

38. კ.ა.ლ.- საქონსერვტრესტის ეკონომიკის დაგეგმვის სექტორის უფროსი - 12/02/1937;

39. კ.ნ.ი.-დრმაღელის აგურის მექანიზებული ქარხნის დირექტორი - 12/22/1937;

40. ზ.გ.-კავკასიის სატრანსპორტო პროექტის ხელმძღვანელი - 03/04/1938;

41. კ.გ.ი.-საქართველოს კპ(ბ) ჭიათურის რაიკომის მდივანი, ბრალად ედება: ეწეოდა დამანგრეველ საქმიანობას მარგანეცის მრეწველობაში- 12/30/1937 ;

42. კ.ა.გ.-ინჟინერ-მშენებელი; თბილისის ხე-ტყის ინსტიტუტის კათედრის გამგე, ბრალად ედება: ეწეოდა კ/რ საქმიანობას საქართველოს მრეწველობაში- 01/20/1938;

43. კ.დ.ა.-სტალინის სახ. ტყიბულტრესტის მალაროს უფროსი ინჟინერი 12/11/1937;

44. კ.ი.ი.-მეხუთე საგზაო მონაკვეთის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე - 03/17/1938;

45. კ.მ.ნ.-ჭიათურის მარგანტრესტის მთავარი ინჟინრის მოადგილე -01/16/1938;

46. კ.გ.ს.- საქართველოს სსრ-ის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ფინანსური კონტროლის სექტორის გამგე -11/14/1937;

47. კ.ა.ი.-საქართველოს სსრ-ის კვების მრეწველობის სახალხო კომისარის მოადგილე-12/17/1937;

48. კ.გ.ბ.-თბილისის საორთქლმავლო დეპოს უფროსი- 3/10-1937;

49. კ.კ.ტ.-„საქნავთობის“ მთავარი ბუღალტერი-თ/ა 10 (ათი) წლით- 08/11/1937; \*

50. კ.ა.გ.- საქნავთობის ინჟინერი -01/20/1938;

51. კ.ნ.დ.-მაუდის ქარხნის დირექტორი- 01/24/1938;

52. კ.ს.ე.-ბათუმის პორტის ბარგის მტვირთავი - 08/17/1937;

53. კ.ე.ა.-ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე- 10/05/1937;

54. კ.ა.ე.- მსუბუქი მრეწველობის სახკომის თბილისის სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის მმართველი -07/01/1937;

55. კ.მ.ი.-ამიერკავკასიის რკინიგზის დაცვის უფროსი-10/13/1938;

56. კ.ს.ა.-თბილისის სარკინიგზო ტრანსპორტის საინჟინრო ინ-ტის ხე-ნელი - 03/04/1938;

57. კ.ა.ა.-რადიოქარხნის ინჟინერი- 12/11/1937;
58. კ.გ.მ.- ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტიკური განყოფილების უფროსი - 03/04/1938;
59. კ.ვ.ლ.- საქართველოს ხე-ტყის სამრეწველო კავშირის პრეზ. თავმჯდომარე - 06/22/1938;
60. კ.შ.კ.-მარგანტრესტის მთავარი ინჟინრის მოადგილე-01/16/1938;
61. კ.ნ.მ.-ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი- 10/11/1938;
62. კ.პ.შ.-ინჟინერ-მექანიკოსი; ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის დირექტორი- 03/27/1938;
63. კ.ს.ა.-თბილისის მაუდის ფაბრიკის საამქროს გამგე. 09/14/1937;
64. კ.ა.ფ.-ფარმქიმრეწვის უფროსი-06/29/1937;
65. კ.ა.ბ.-საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამკერვალო საქონლის „კერვა-გასაღების“ გამგე-25/06-1937;
66. კ.შ. ვ.-ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანი - 03/04/1938;
67. კ.ვ.ს.-ბათუმის პორტის მე-2 რაიონის უფროსის მოადგილე-12/11/1937;
68. კ.ა.ვ.-საქ. საავტომობილო მეურნეობის მმართველის მოადგილე-11/10/1937;
69. კ.ვ. ა.-საქართველოს სსრ-ის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ინსპექტორ-კონსულტანტი- 10/11/1938;
70. კ.ა.ი.-ლენინის სახ. მაღაროს მთავარი ინჟინერი- 09/12/1937;
- 71.კ.გ.ო.-თელავის აბრეშუმსახვევი ფაბრიკის დირექტორი- 09/20/1937;
72. კ.კ.ვ.- №25 საბადოს დირექტორი- 01/16/1938 ;
73. კ.ზ.ს.-ამიერკავკასიის სარკინიგზო მაგისტრალის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი- 10/03/1937;
74. კ.ე.მ.- ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს მთავარი ინჟინრის დამხმარე - 01/19/1938 ;
75. კ.ი.ნ.-ფოთის პორტის სარემონტო სახელოსნოების დირექტორი -03/04/1938;
76. კ.ა.მ.-თბილისის მატარებლების დეპოს მე-3 კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი-12/26/1937;
77. კ.გ.ფ.-საქართველოს მაღალი ძაბვის ელქსელების სამმართველოს მთ. ინჟინერი-06/28/1937;
78. კ.მ.ს.-საკონსერვო მრეწველობის სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი - 10/07-1937;
79. ლ.ბ.ნ.-ტყვარჩელნახშირის მაღაროს მმართველი- 09/17/1937;
80. ლ.პ.ა.-სოხუმის პორტის უფროსი- 01/16/1938;
81. ლ.ვ.დ.-აზერბაიჯანის ნავთობის გასაღების აფხაზეთის განყ-ის მმართველი. 11/03/1937;
82. ლ.გ.მ.- „აფხაზეთამბაქოს ნედლეულის“ კანტორის მმართველი- 11/03/1937;
83. ც.ვ.კ.-ტრესტ „ტყიბულის ნახშირის“ კადრების უფროსი- 01/17/1938;

84. ც.დ. მ.-მატარებლების რევიზორი -12/26/1937 წ;
85. ც.ვ.ი.-საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ეკონომისტი - 06/14/1938;
86. ც.ი.ი.- მცხეთის ხე-ტყის სახერხი ქარხნის თანამშრომელი- 12/23/1937;
87. ც.გ.ი.-ხე-ტყის გადამმ. არტელ „წითელი საქართველოს“ გამგეობის წევრი- 01/02/1937;
88. ც.დ.ს.-ინჟ.მენავთობე, მოლიბდენმშენებლობის სამშენებლოს ხელმძღვანელი - 25.12.1937;
89. ც.შ.კ.-ნაგებობათა კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი - თ/ა 10 (ათი) წლით 08/30/1937;
90. ც.შ.ი.-ტყვარჩელის ნახშირის მაღაროს მთავარი ინჟინრის თანაშემწე - 02/08/1938;
91. ც.გ.მ.-სადგურ „ქარელის“ უფროსი - 01/20/1938;
92. ც.გ.ი.-სამშენებლო სამმართველოს №326-3130 უბნების სამხედრო-სამშენებლობის მთავარი ინჟინერი - 09/30/1937;
93. ც.ა.ა.-ხაშურის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის ადგილობრივი წარმოების განყოფილების უფროსი- 01/31/1938 ;
94. ფ.გ.კ.-აჭარისწყლის ჰესის შრომითი განყ-ის უფროსი- 09/15/1937;
95. ფ.ა.ზ.-რიონჰესის დირექტორი- 01/24/1938; 10 წლით თავისუფლების აღკვეთა;\*
96. ფ.დ.ს.-ფოთის პორტის მტვირთავი- 02/10/1938;
97. ფ.შ.ს.-ინჟინერ-მექანიკოსი, ახალი ფეხსაცმლის ფაბრიკის უფროსი - 03/04/1938;
98. ბ.გ.გ.-თბილისის ქალაქის ფაბრიკის დირექტორი-11/10/1937;
99. ბ.ი.ვ.- არტელ „ქიმწარმოების“ ხელმძღვანელი-10 (ათი) წლით თ/ა 11/18/1937;
100. ბ.ე.ნ.-ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ცვლის ინჟინერი 11/15/1937;
101. ბ.ვ.ვ.- ტყვარჩელის მაღაროს მონაკვეთის უფროსი- 01/16/1938;
102. ბ.მ.ნ.-საქართველოს ადგ. მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე - 03/17/1938;
103. ჯ.გ.ს.- „ტყიბულნახშირის“ მმართველი- 12/10/1937;
104. ჯ.ა.ზ.-„სოიუზტრანსის“ ავტოტრესტის სახელოსნოების უფროსი- 12/22/193;
105. ჯ.ვ.პ.-საქკონსერვტრესტის ინჟინერ-ინსპექტორი -10/05/1937;
106. ჯ.პ.ა.-სამტრესტის კონიაკისა და არყის ქარხნის დირექტორი -06/26/1937;
107. ჯ.დ.ა.-ელექტროკავშირების გაერთიანების თავმჯდომარე- 01/17/1938;
108. ჯ.გ.ს.- სტალინირის მანქანა-ტრაქტორთა პარკის დირექტორი 12/11/1937;
109. ჯ.ს.ზ.-კავკასიის გზების მშენებლობის ტრესტის უფროსის მოადგილე - 03/04/1938

110. ჯ.ნ.ნ.- საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის პროფესორი-10/10/1938;
111. ჯ.ი.პ.-სოხუმის ჰესის მშენებლობის უფროსი-03/04/1938;
112. ჯ.თ.ა.-ბათუმის რაიადმასკომის თავმჯდომარე - 12/11/1937;
113. ჯ.მ.გ.-კავთისხევის ხიდის მშენებლობის უფროსი -12/11/1937 :
114. ჯ. ვ.ნ.-საქ. სსრ კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული-11/10/1937;
115. ჯ.მ.გ.-ხრამჭესის ინჟინერი და ტრესტის მმართველის მოადგილე - 10/03/1937;
116. ჯ.ვ.ნ.-თბილისის საქალაქთ.კავშირგ. სადგურის დირექტორის მოადგილე - 11/10/1937;
117. ჯ.გ. დ.-ფოთის პორტის პარტორგი. -12/15/1937;
118. ჯ.ა.კ.-თბილისის ტრამვაის დენგამტარი საამქროს უფროსი-12/26/1937;
119. ჯ.ა.გ.-შამპანური ღვინ. ქარხნის მშენებლო საქმეთმწარ-მოებლის თანამემწე-03/07/1938;
120. ჯ.ა.მ.-თბილისის ქიმიკობინატის ეკონომისტი-10/13/1938;
121. .ჯ.მ.მ.-ხიდის სამუშაოების უფროსი მდ. გუმისთაზე -10/05/1937;
122. ჯ.პ.მ.-სოხუმჭესის მშენებლობის უფროსი- 01/19/1938;
123. ჯ.ი.ი.-ტრამვაის კონდუქტორი- 09/14/1937;
124. ჯ.კ.ს.-რკინიგზის სადგურ სამტრედიის ჯანდაცვის გაერთიანების უფროსი - 04/20/1938;
125. ჯ.გ. კ.-საქართველოს კავშირგაბმულობის მე-4 კვანძის უფროსი- 01/02/1938;
126. ჯ. ი.დ.-მძღოლი - 06/29/1937;
127. ჯ.კ.დ.-ბათუმის საბაჟოს დირექტორი-06/29/1937;
128. ჟ.გ.ი.-„კავკასიის საგზაო მშენებლობის“ ინჟინერი-11/10/1937;
129. ჟ.მ.გ.ლენინის სახელობის მაღაროს უფროსი.-12/11/1937;
130. ჟ.გ.ნ.-ჩხარის ადგილობრივი მრეწველობის დირექტორი -03/07/1938;
131. ჟ.ვ.ი.-ბათუმი,ქალაქის საბჭოს კეთილმოწყობის სამმართველოს ხელმძღ.-05/06/1938;
132. ჟ.ი.ა.-ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტიკური განყოფილების კულტურული სექტორის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი-12/29/1937;
133. ჟ.ა.ი.- ამიერკავკასიის რკინიგზის სატვირთო სამსახურის ტექნიკური მინიმუმების კურსების გამგე-03/17/1938;
- 134 ჟ.შ.ზ.-საქართველოს სსრ-ს კავშირგაბმულობის სამმართველოს I განყოფილების ყოფილი უფროსი -11/11/1937;
135. ჟ.ბ.ა.-ინჟინერი; მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ჰიდროენერგოპროექტის ტრესტის მმართველი, მოსკოვის კუიბიშევის სახ. საინჟინრო-სამშე-

- ნებლო ინსტიტუტის პროფესორი, ლენინგრადის ჰიდროენერგეტიკული სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ნამდვილი წევრი 10.10.1937;
136. ქ.ვ.ი.-ზესტაფონის რკინიგზის სადგურის უფროსი-03/07/1938 ;
137. ქ.მ.ი.-აცანის ჩაის ფაბრიკის თანამშრომელი; თ/ა 10 (ათი) წლით-12/14/1937;
138. ქ.კ.ს.-სამთო საქმის ინჟინერი,მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე 03/04/1938;
139. ქ.ნ. ა.-ზესტაფონის საგრენაჟო (აბრეშუმის) ფაბრიკის აგრონომი 11/12/1937;
140. ქ.ვ. ა.-ზემო სვანეთის გზის მშენებლობის უფროსი -01/17/1938 ;
141. ქ.გ.ზ.-გორის მანქანა - ტრაქტორთა სადგურის დირექტორი - 01/27/1938;
142. წ.ი.გ.-საქართველოს ღვინისა და სპირტის ინსპექციის და საქართველოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ფინანსურ-ეკონომიკური განყოფილება-ის უფროსი-10/11/1938;
143. წ.ი.ე.- კავშირგაბმულობის ინჟინერთა ინსტიტუტის გამოყენებითი რადიო-ტექნიკის კათედრის გამგე -11/10/1937;
144. დ.ს.ზ.-გორის რ-ნის სოფ.ახალსოფლის მ/ტრაქტორთა პარკის დირექტორი - 12/25/1937;
145. დ.მ.ს.-მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე-09/14/1937;
146. ჩ.ვ.ნ.-საქართველოს ინდუსტრიული ინსტ. ქიმიის ფაკ. დეკანის მოადგილე - 3/04/1938;
147. ჩ.ს.ა.-ჭიათურის მანგანუმის ტრესტის მმართველი. - 02/02/1938;
148. ჩ.გ.დ.-დუბო-თბილისის მორიგე -12/11/1937;
149. ჩ.ლ.ვ.-ამიერკავკასიის გეოლოგიური ტრესტის ინჟინერ-გეოლოგი- 11/04/1936;
150. ჩ.ა.მ.-რიწის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ხელმძღვანელი - 06/22/1938;
151. ჩ.კ.ვ.-ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო-სანიტ. განყოფილების უფროსი - 07/14/1938;
152. ჩ. ნ. მ.-„კავშირიდარიშხანის“ გეოლოგიური დაზვერვის პარტიის ინჟინერი - 06/15/1938;
153. ჩ.გ.ი.-ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორი- 12/11/1937;
154. ჩ.ბ.პ.-რკინიგზის ხელოსანი. სასჯელის ზომა: თ/ა 10 (ათი) წლით - 04/13/1937;
155. ჩ.მ.კ.-თბილისის ახალი ფეხსაცმლის ფაბრიკის მთავარი ინჟინერი - 11/12/1937;
156. თ.ა.ი.-აგურის ქარხნის დირექტორი -06/25/1937
157. ჩ.ვ.მ.-ფეროშენადნობთა ქარხნის სადნობი საამქროს უფროსი-11/10/1937;
158. ჩ.ე.ა.-სტალინის სახელობის მადაროს ელექტრომექანიკოსი -12/11/1937;

159. ჩ. ა. ე. -საქჰიდროელექტროპროექტის მმართველი და მთ. ინჟინერი 10/01/1937;
160. ჩ. ა. ს. -საქართველოს ხე-ტყის ადგილობრივი მრეწ. განყოფილების უფროსი-11/12/1937;
161. ჩ. გ. მ. -თბილისის ნაგებობების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი - 06/22/1938;
162. ჩ. ს. ა. -ჰიდროენერგეტიკის ინსტიტუტის დირექტორი-09.07-1937;
163. ჩ. ა. ბ. -№2 პურის ქარხნის დირექტორი- 04/30/1938;
164. ჩ. ლ. ლ. -ხრამპქსის მომარაგების განყ. ხელმძღვანელის მოადგილე - 12/10/1937;
165. ჩ. პ. ბ. -ქუთაისის აზოტსასუქის კომბინატის დირექტორი - თ/ ა 10 წლით. 31.06-1937;
166. ჩ. ს. ს. -ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ტექნიკური დირექტორი - 11/12/1937;
167. ჩ. ვ. ს. -კამოს სახ. ქარხანის მთავარი ინჟინერი - 12/02/1937;
168. ჩ. ა. ი. -„კავკასიის საგზაო მშენებლობის“ კადრების განყოფილების უფროსი - 04/30/1938;
169. ჩ. ბ. ა. -შავი ზღვის გზატკეცილის სამუშაოთა მწარმოებელი -03/19/1938;
170. ჩ. თ. პ. -ელექტრომემდულებელი სამხედრო აეროდრომზე -09/11/1937;
171. ჩ. დ. პ. -ამიერკავკასიის რკინიგზის მიმოსვლის გზებისა და კავშირგაბმულობის საგზაო რევიზორის თანამემწე-04/30/1938;
172. ჩ. ვ. ა. -აჭარის ოსოავიახიმის (თავდაცვის,საპ. ეიმ. მშენ. ხელმეწ. საზ.) თავმჯ. 12/11/1937;
173. ზ. მ. დ. -თბილისის დეპოს ამწეს საამქროს ბრიგადირი -12/11/1937;
174. ზ. ს. ვ. -რკინიგზის სადგურ ნავთლუღის მეშვიდე საგზაო ნაწილის მეჯინიბე-03/04/1938;
175. ზ. დ. ვ. -ახალი ფეხსაცმლის ქარხნის ჩამომსხმელი -თ/ა 10 (ათი) წლით 25/11-1937;
176. ზ. ა. ი. -ტრესტ „კავკასიის საგზაო მშენებლობის“ სამშ-ტექნიკური მომ. უფ. 03/04/1938;
177. ზ. ვ. ე. -ბორჯომის კავშირგაბმულობის ავტოგარაჟის ზეინკალ-მექანიკოსი 06/25/1937;
178. ზ. ა. თ. -სამტრესტის მმართველის მოადგილე-12/26/1937;
179. ზ. ი. კ. -ბათუმის მანქ. ქარხანაში სახარატო საამქ. ტექნიკოს-კონტროლიორი-10/16/1938;
180. ზ. ა. გ. -ბათუმის ნავთობის ქარხნის მთავარი ინჟინერი-10/10/1938;
181. ზ. მ. გ. -ახალი ფეხსაცმლის ფაბრიკის მხატვარი- 09/17/1937;
182. ზ. ა. ს. -„საქართველოს ჩაის“ ცენტ. საცდელი საწარმოო ტრესტის სამმართველოს უფროსი და პარტკომის თავმჯდომარის მოადგილე-12/26/1937;

183. ზ.ს.დ.-საგზაო მშენებლობის სამმ. სანიტარული განყოფილების უფროსი - 04/30/1938; \*
184. ზ.ი.ნ.-ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროს უფროსი ბუღალტერი- 03/19/1938;
185. ზ.დ.გ.- ახალი ფეხსაცმელების ფაბრიკის ტექნიკური ხელმძღვანელი 29/09-1937;
186. ზ.პ. ვ.-საქვიდროპროექტის ხრამჭესის დაგეგმარების პროექტის უფროსი- 11/10/1937;
187. ზ.ი.ს.-თბილისის სატელეფონო ავტომატური სადგურის დირ. მოადგილე- 03/04/1938;
188. ზ.პ.ფ.-ახალი ფეხსაცმლის ფაბრიკის მექანიკოსი-11/12/1937;
189. ზ.გ.ი.-თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხნის ტექნიკური დირექტორი- 12/11/1938;
190. ნ.ი.გ. -რკინიგზის საგზაო სამსახურის რევიზორ-ინსტრუქტორი- 01/17/1938;
191. ნ.გ.ა.- ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო-სანიტ.განყ. ექიმი-ეპიდემიოლოგი - 06/22/1938;
192. ნ.გ.ვ.- ინჟინერ-მენავთობე; „საქნავთობის“ მირზაანის ნაკვეთის დირექტორი - 01/20/1938;
193. ნ.მ.ს.-ბათუმის ელექტროკავშირგაბმულობის ტერიტორ. კვანძის ინჟინერი - 01/08/1938;
194. ნ.თ.გ.- ამიერკავკ.რკინიგზის პოლიტგანყოფ.თბილისის პარტკაბინეტის გამგე 12/11/1937;
195. ნ.ს.ვ.-თბილისის დეპოს მემანქანე -12/11/1937;
196. ნ.გ.რ.-ამიერკავკ.რკინიგზის №3 გზის დისტანციის ქუთაისის სადგურის უფროსი - 08/02/1937;
197. ნ.ლ.ნ. - ორთქლმავლების მეურნეობის საწვავის საწყობის უფროსი- 12/11/1937;
198. ნ.შ.ა.-ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ინჟინერი - 11/15/1937;
199. ნ.ი.ფ.-სადგურ თბილისის აღმდგენი მატარებლების უფროსის მოადგილე - 12/11/1937;
200. ნ.ტ.ს.-ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების ხელმძღვანელი - 01/01/1938;
201. ნ. ე. ნ.-ტყიბულის ნახშირის სტალინის სახ.მაღაროს ინჟინერი.თ/ა ათი წლით- 01/29/1938;
202. ნ.ბ.ნ.-ხრამჭესის მშენებლობის თბილისის განყ. უფროსი.- 06/22/1938;
203. ნ.დ.ა.-ტრესტ „კავკასიის საგზაო მშენებლობის“ მმართველი -03/04/1938;

204. ნ.ი.ვ.-26 კომუნარის სახელობის ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორი-12/29/1937;

205. ნ. გ. ტ. - თბილისის №1 ღვინის ქარხნის დირექტორი-10/04/1937;

206. ნ.ი.რ. - ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ტექნიკური-11/10/1937 ;

207. ნ.ე.მ.-ინჟინერ-მშენებელი, საქართველოს სახპროექტის დირექტორი - 12/29/1937 ;

208. ნ.ა.დ.-მცხეთის ხე-ტყის სახერხი ქარხნის სახანძრო დაცვის უფროსი - 12/23/1937;

209. კ.ჰ.დ. (ი).-აჭარის ასსრ-ის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავარი ინჟინერი- 01/02/1938.

აი, ამ დახვრეტილი ხალხის „მტრებზე“ ჩუმად მომზირალი და მათზე სათანადოდ შემდგენელი ანგარიშების ავტორი გახლავთ ალექსანდრე კოჭლავაშვილი, რომელმაც თავისი სახელობის ე.წ. „ფონდი“ ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს გადასცა. ამ ე. წ. „ფონდს“ ლიტერატურულ წყაროდ იყენებს ბევრი მკვლევარი, ვისაც დიმიტრი ჯაშის მიმართ შექმნილი სიყალბეები სინამდვილე ჰგონია. მკვლევრები ისე ბრმად ენდობიან მის ე.წ. „ფონდს“, რომ ვერც კი აანალიზებენ ამ „ფონდის“ შექმნისათვის კოჭლავაშვილის მიერ ჩადენილ დანაშაულს.

ალექსანდრე კოჭლავაშვილი სამსახურებრივი შეუთავსებლობის მოტივით 1953 წლის 24 სექტემბერს დაითხოვეს საქართველოს შს მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან. დახვრეტას გადარჩენილი, უმუშევარი, 1954 წლის 12 დეკემბერს ვრცელ შენიშვნებს უკეთებს 1953 წელს გამოცემულ ისიდორე ოდიშვილის წიგნს „წიწამურის ტრაგედია“-ს. იგი უნებლიედ, თავის ჩანაწერებში საკუთარი დანაშაულის შესახებაც გადმოგვცემს, რაც გივი ჟორდანიამ წიგნში „მარტვილობა მესიისა“ მოიტანა:

„როდესაც ამასწინათ წინასწარი ძიების საქმე გადავსინჯე, ვერ ვნახე ზოგიერთი საბუთი..., რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის სრული წარმოდგენისათვის... ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ, საქმეში არ აღმოჩნდა ჩემ მიერ დაკითხული ბერბიჭაშვილის ჩვენებათა 1-2 ოქმი და, აგრეთვე, ის ცნობა, რომელიც, ციხეში ბერბიჭაშვილთან უკანასკნელი საუბრის შესახებ დავწერე და საქმეში დასართავად გადავგზავნე სათანადო განყოფილებაში. ეს ოქმები და ცნობა შეიცავენ ასეთ მნიშვნელოვან ჩვენებას როგორცაა:

ჯაშს ბერბიჭაშვილისთვის უთქვამს: მცხეთაში მივდივარ და გამოძიებ. ისიც წაყლია. მცხეთაში ჯაშს ბერბიჭაშვილი ერთ ადგილას გაუჩერებია და თვითონ სადღაც წასულა. ერთი საათის შემდეგ დაბრუნებულა და გიორგისათვის უთქვამს: - წავიდეთ, შენც გეძახიანო. გიორგი უსიგყოდ გაყლია და მცხეთის პოლიციის უფროსის ოთახში შესულან. უფროსს კარგად მიუღია და შემდეგ გიორგისთვის უთქვანს: „რასაც ეს (ე.ი.ჯაშ-ი-გ.ჟ.) გეტყვის შეასრულე და შემდეგ კიდევ მოგელაპარაკებო... ბერბიჭაშვილი

იმიტომ ლანძღავდა ჭაშს და მცხეთის პოლიციას, რომ მათ ჩაითრეს ამ საქმეშიო.<sup>1</sup>

კიდევ ასეთი შინაარსის წინადადებებია: „ვანიჭებდი რა გ. ბერბიჭაშვილის ჩვენების თითოეულ სიტყვას უაღრესად დიდ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მნიშვნელობას, გადავწყვიტე, დახვრევის წინ, ციხეში, კიდევ ერთხელ მენახა გ. ბერბიჭაშვილი და გამომეკითხა: რაიმე საგულისხმო ხომ არ დარჩა რა საჩვენებელი. ჩვენს შორის გაიმართა ხანგრძლივი საუბარი... მე- გიორგი, დავალებული მაქვს გაცნობოთ, რომ უმაღლესმა სასამართლო ორგანომ დაამტკიცა განაჩენი - თქვენი დახვრევა ...ეს განაჩენი დღეს ღამით სისრულეში იქნება მოყვანილი, ხომ არა გსურთ რაიმე დამატებით გვაცნობოთ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარშემო? იგი - ...არავითარი დამიძალია თქვენთვის, თავის დროზე მოგახსენეთ, თუ როგორ ჩამაბეს მის შესრულებაში... აძალღვეს ჭაში და მცხეთის პოლიციის უფროსი...“<sup>2</sup>

ეს „ჩვენებები“ ხელნაწერების სახით შეიტანა თავის ე.წ. „ფონდში“ 1954 წლის 24 დეკემბერს. რომ წერს, „ვერ ვნახე ზოგიერთი საბუთიო...“ აქვე აღვნიშნავთ: ვერავინ გაბედავდა, განსაკუთრებით იმ წლებში, საქმიდან დოკუმენტის ამოღებას. შეგნებულად წერს, რომ საქმეში ყალბი ჩვენება ჩაამატოს.

სწორედ ეს არის დანაშაულებრივი საქმიანობა, როდესაც, 1953 წლის აპრილში უფლება აყრილი, უკვე, სხვისი თხოვნით, და არა, ბრძანებით გაწერილი დავალებით, ჰქმნის დავალების მიმცემისთვის, სასურველ, ამავე დროს მის მიერ გამოგონილი შინაარსის ხელნაწერებს, რომლებმაც ოფიციალური საარქივო დოკუმენტების ადგილი დაიკავა საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში.

გენერალმა, როცა მის ფუნქციებში არ შედიოდა აღნიშნული საქმე, 1954 წლის 24 დეკემბერს შენიშნები გაუკეთა 1953 წელს გამოცემულ წიგნს „წინამურის ტრაგედია“-ს, რომლის ავტორი, არც მეტი, არც ნაკლები, 1942 წლის იმ სასამართლოს დავმჯდომარე იყო, რომელმაც განაჩენი გამოუტანა ბერბიჭაშვილს და განაჩენში, ყოვლად უსაფუძვლოდ ილიას მკვლელობის ხელმძღვანელად დიმიტრი ჯაში ჩაწერა.

კოჭლავაშვილი კარგად აცნობიერებდა რას აკეთებდა. ილიას მკვლელობაში „ოხრანკის“ დანაშაული 1941-1942 წლის სასამართლო დოკუმენტებში საკმარისად არ იყო არგუმენტირებული, ამიტომ მან შექმნა ახალი ხელნაწერი დოკუმენტები, სადაც, მისი აზრით, ილიას მკვლელობაში ჯაშის მონაწილება, საზოგადოებას გამოკვეთილად დაანახა. მიუხედავად იმისა, რომ იგი დათხოვნილი იყო უშიშროების სამსახურიდან, ინერციით გააგრძელებინეს ის, რასაც ადრე აკეთებდა. სამწუხაროდ, მხოლოდ ყალბი ბრალდებების ამსახველი ჩანაწერები გააკეთა. ამით დანაშაული ჩაიდინა. ასე გაჩნდა მის პირად არქივში ყარამან ფაღავას საეჭვო მოგონება, ჩაწერილი 1942 წელს, იგივე ყარამან ფაღავას მოგონება, რომელიც მის მეგობარ შალ-

<sup>1</sup> გ.ჟორდანიას, „მარტივობა მესიისა“ თბ.2005 წ.გვ.270.;

<sup>2</sup> გ.ჟორდანიას, „მარტივობა მესიისა“ თბ.2005 წ.გვ.270.;

ვა ფხაკაძეს 1962-1966 წლებში ჩაუწერია, აგრეთვე ძველი სოციალ-დემოკრატიის ალისტრო ვადაჭკორიას მოგონება, რომელიც კოჭლავაშვილმა ჯერ 1958 წელს, შემდეგ კი 1960 წლის 3 თებერვალს დააწერინა და სხვა.

კოჭლავაშვილის ჩანაწერის კორექტირების მცდელობის ფაქტიც გამოჩნდა. 2004 წლამდე, ვინც წყაროდ მიუთითებდა კოჭლავაშვილის ჩანაწერს, მის ერთი წინადადება ასე იბეჭდებოდა: „გადავწყვიტე, დახვრეტის წინ, ციხეში, კიდევ ერთხელ მენახა გ. ბერბიჭაშვილი და გამომეკითხა...“ ასე წერია შუშანაშვილისა და ჟორდანიას წიგნებში. რადგან ბერბიჭაშვილი არავის დაუხვრეტია, აშკარა იყო, რომ კოჭლავაშვილის ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოდიოდა რეალობასთან. იმისათვის, რომ კოჭლავაშვილის სიცრუე სააშკაროდ დანახული, რამენაირად შეეფუთა, 2004 წელს, პროფესორმა ყორანაშვილმა თავის მონოგრაფიაში ზემოთ მოტანილ წინადადებას დაუმატა: „...შემდეგ გაირკვა, რომ ციხეში ყოფილა მეორე პატიმარი, ...ისიც გიორგი ბერბიჭაშვილი და სწორედ ამ მეორე პატიმრის საქმეზე გამოცხადებული განაჩენი ყოფილა დამტკიცებული.“<sup>1</sup>

ბატონი ყორანაშვილი, რომ სიმართლეს წერდეს, სიტყვით კი არ დაგვარწმუნებდა მკითხველებს, რომ თურმე ყოფილა მეორე პატიმარი, ისიც გიორგი ბერბიჭაშვილი, არამედ, ამ მეორე გიორგი ბერბიჭაშვილის ბიოგრაფიას გააცნობდა მკითხველს და დახვრეტის განაჩენის ფოტოასლს მოიტანდა თავის წიგნში.

1941-1942 წლის სასამართლომ ჯაშის დანაშაულებრივი ქმედების არგუმენტბად ყარამან ფადავას ცრუ მოგონება მიიღო, რომელიც 1937 წელს გუგუშვილის თხოვნით დაიწერა და გამოძიების დროს ალექსანდრე კოჭლავაშვილმა „დააზუსტა“, როგორც გამოძიებისა და სასამართლოს კურატორმა.

კოჭლავაშვილს თუ დავუჯერებთ, წითელრაზმელი ტერორისტი ბერბიჭაშვილი, რომელიც, ჯერ კიდევ ილიას მკვლელობამდე, ილიკო იმერლიშვილთან ერთად მონაწილეობდა თბილისის ქუჩებში შეიარაღებულ შეტაკებაში და ექსპროპიაციებში, და რომელმაც, ილიას მკვლელობის შემდეგ, იგივე იმერლიშვილთან ერთად მოკლა თავადი ნიკო ხიმშიაშვილი და სხვა მკვლელობაც ჩაიდინა, – თურმე ილიას მკვლელობაში დიმიტრი ჯაშს ჩაუთრევია. ამას როცა წერს კოჭლავაშვილი, დიმიტრი ჯაშის ტერორისტულ აქტებში მონაწილეობის შესახებ დამამტკიცებელი საარქივო დოკუმენტები ვერ წარმოუდგენია.

კოჭლავაშვილის ე. წ. „ფონდში“ არსებული ჩანაწერები ეწინააღმდეგება სასამართლო დოკუმენტს, კერძოდ, გიორგი ბერბიჭაშვილის ბრალდების საქმის სამსჯავრო განხილვის ოქმიდან 1941 წლის 25 დეკემბერი – 1942 წლის 5 იანვრის ამონაწერს, რომელიც ამ წიგნში უკვე რამდენჯერმე მოვიტანეთ. ბრალდებული ბერბიჭაშვილი სასამართლოსთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ამბობს: „პატივცემულ მოსამართ-

<sup>1</sup> გ. ყორანაშვილი, „წინამურის ტრაგედიის საიდუმლო“, 2004 წ. თბილისი;

ლენო! ჯერ ერთი ის, რომ ძიებაში ჩემი სიტყვები არა ჩანს, იქ სულ სხვა სიტყვებია ჩანერილი. თითქოს მე ჯაშს ვიცნობდი, როცა მისი სახე სულ არ მინახავს.) ... მე პირადად არაფერი არ ვიცოდი ჯაშის შესახებ. თქვენგან მესმის და პირველად შედის ჩემს ყურებში.. არ ვიცი ბატონო, ჯაშის შესახებ არა ვიცი რა. შეიძლება იყო, შეიძლება არ იყო მთავრობის ახლობელი ... რომ მეფის ოხრანკამ მოაწყო ილიას მკვლელობა და შემდეგ სოციალ-დემოკრატებს გადააბრალეს... ეს მე არ ვიცი...მე სრულიად არ ვიცი, ჯაში ვინ იყო. ახლა ვხედავ თქვენთან, თუ ვინ ყოფილა ჯაში.“<sup>1</sup>

**მკითხველს მივაწოდებთ საინტერესო ამონარიდს შუშანაშვილის წიგნიდან:**

„ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებათა დამდგენი კომისიის სხდომამზე გამოაქვეყნეს ერთი დოკუმენტი, საიდანაც ჩანს, რომ ერთ საღამოს ალექსანდრე კოჭლავაშვილი შესულა სიკვდილმისჯილ ბერბიჭაშვილის საკანში და უთქვამს, რომ შეწყალებაზე უარი ეთქვა, რამდენიმე საათში დაიხვრიტები და თუ რაიმე სათქმელი გაქვს, მითხარი, ხომ არ ერიდები ვინმეს, ვინმეს ხომ არ თვარავო. არა, არავინ არ დამითვარავსო, უპასუხია ბერბიჭაშვილს. სამჯერ გაუმეორებია კოჭლავაშვილს ეს შეკითხვა და სამიჯჯერ უარყოფითი პასუხი მიუღია. რამდენად ზნეობრივია კოჭლავაშვილის საქციელი, სხვა საკითხია, მაგრამ იგი ნამდვილად დაინტერესებული ყოფილა სიმართლის დადგენით...“<sup>2</sup>

მიუხედავად იმისა, რომ შუშანაშვილი ზნეობრივად საეჭვოდ მიიჩნევს კოჭლავაშვილის ამ საქციელს, იგი ვერ ხედავს, რომ კოჭლავაშვილი ცდილობს, გამოგონილი ცრუ ჩანაწერით მკითხველი დაარწმუნოს, რომ მან ბერბიჭაშვილისაგან სრული ინფორმაცია მიიღო. ასეთი „ობიექტური“ ქცევით, სამწუხაროდ, გამოცდილი იურისტი და მკვლევარი — შუშანაშვილიც დაურწმუნებია, რომ იგი „სიმართლის მაძიებელი“ იყო, თუმცა, ამავე წიგნის 93-ე გვერდზე რაც შუშანაშვილს მოტანილი აქვს, ამით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კოჭლავაშვილი არამართო ზნეობრივად საეჭვოდ იქცეოდა, არამედ დანაშაულს ჩადიოდა, როცა „ბერბიჭაშვილის საქმეს“ დამოუკიდებლად აგრძელებდა. ტყუილებსაც წერდა, მაგრამ შუშანაშვილს, რატომღაც, მკითხველის ყურადღება ამაზე არ გაუმახვილებია.

„როგორც ცნობილია, – განაგრძობს შუშანაშვილი, – ბერბიჭაშვილის პროცესი დამთავრდა 1942 წლის 5 იანვარს. მას მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. განაჩენის ბოლოს წერია: განაჩენი საბოლოოა და საკასაციო წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება. მიუხედავად ამ ჩანაწერისა, 1942 წლის 16 მაისს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: გიორგი პეგრეს ძე ბერბიჭაშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა შეეცვალოს ათი წლით თავისუფლების აღკვეთით, შრომა-გასწორების

<sup>1</sup> ალ.შუშანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“,გვ.251-254,1996 წ. „მერანი“,თბილისი;

<sup>2</sup> ალ.შუშანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“,გვ.251-254,1996 წ. „მერანი“,თბილისი;

კოლონიაში მოხდით. ვინ და რაგომ შეიწყალა იგი მოსკოვში, უცნობია. ბერბიჭაშვილის საკასაციო საქმე არ არსებობს. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს განაჩენი გამოქვეყნებისთანავე შედიოდა კანონიერ ძალაში და საკასაციო წესით მისი გასაჩივრება და გაპროტესტება არ შეიძლებოდა. ბერბიჭაშვილის შეწყალების საკითხი საქართველოს უმაღლესი საბჭოს მიერ არ განხილულა. 1942 წლის 9 იანვარს ბერბიჭაშვილის საქმე სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით გაითხოვა სსრკ უმაღლესმა სასამართლომ. ბერბიჭაშვილის შვილი, რომელიც ფრონტის ხაზზე იმყოფებოდა, მამის შეწყალების შესახებ ყველა უმაღლეს ინსტანციაში გზავნიდა დეპეშებსა და წერილებს. იმ დროს მოქმედი წესის თანახმად, ჭარისკაცთა მიმართეები აღრესაც სწრაფად ბარდებოდა და დაუყოვნებლივ განიხილებოდა. რაც შეეხება შეწყალების დასაბუთებას, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის ოქმის ამონაწერიდან ეს არ ჩანს. დოკუმენტების თანახმად, ბერბიჭაშვილი შრომა-გასწორების კოლონიაში არაღვის არ გაუყვანია, 1942 წლის 16 ივლისს იგი ციხის საავადმყოფოში მოკვდა. ამის შესახებ ჩინაწერი გაკეთებულია ბერბიჭაშვილის სააღრიცხვო ბარათში, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრში ინახება.<sup>1</sup>

ზემოთ აღნიშნულის მიხედვით ჩანს, რომ კოჭლავაშვილი ბერბიჭაშვილს სიმართლეს არ ეუბნება, როცა აცნობა სიკვდილმისჯილს, რომ მას რამდენიმე საათში დახვრეტდნენ. შესაბამისად, შედგენილი ხელნაწერი, რომელიც ამ ეპიზოდს ასახავს, საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად არის დაწერილი. შუშანაშვილის ცნობით ალექსანდრე კოჭლავაშვილს სიკვდილმისჯილ ბერბიჭაშვილისთვის უთქვამს, რომ შეწყალებაზე უარი ეთქვა, რამდენიმე საათში დაიხვრიტები.

ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ბერბიჭაშვილმა შეწყალების შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მაგრამ ბერბიჭაშვილის შეწყალების საკითხი საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, არ განუხილავს. თუ საკითხი არ განხილულა, კოჭლავაშვილმა საიდან გაიგო, რომ ბერბიჭაშვილს შეწყალებაზე უარი ეთქვა? იმ დროს უშიშროების მაიორმა კარგად იცოდა 1936 წლის კონსტიტუციის მუხლი 60-ით გათვალისწინებული შეწყალების ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულის შეწყალების უფლება იმავე რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ჰქონდა, მაგრამ იმავე კონსტიტუციის მუხლი 49<sup>ბ</sup>-პუნქტით, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში უფლებამოსილი იყო, განეხორციელებინა შეწყალება. ეს იმას ნიშნავდა, რომ, საქართველოს უმაღლესი საბჭო თუ არ განიხილავდა ბერბიჭაშვილის შეწყალების საკითხს, სიკვდილმისჯილ პირს შეეძლო შეწყალების თაობაზე მიემართა მოსკოვში სსრკ

<sup>1</sup> ალ. შუშანაშვილი, „წინამურის ტრაგედია“, გვ. 93, 2000 წ., თბილისი;

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისათვის, საიდანაც პასუხის მიღებამდე განაჩენის აღსრულება შეჩერდებოდა. ამას კი არანაკლებ რამდენიმე თვე დასჭირდებოდა. აღნიშნულიდან შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: ბერბიჭაშვილის დახვრეტა ორ საათში ვერ მოხდებოდა და როცა კოჭლავაშვილი წერდა – „გადავწყვიტე. დახვრეტის წინ, ციხეში, კიდევ ერთხელ მენახა გ. ბერბიჭაშვილი და გამომეკეთხა...“ - იგი ციხეში წერდა.

ამასთან, ისტორიული ფაქტია, რომ 1942 წლის 9 იანვარს, განაჩენის გამოტანიდან ხუთ დღეში, ბერბიჭაშვილის საქმე სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაავალებით სსრკ უმაღლესმა სასამართლომ გაითხოვა და სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 16 მაისის N8278 სხდომაზე განხილულ იქნა გიორგი ბერბიჭაშვილის შუამდგომლობა შეწყალების შესახებ. დაადგინეს: „გიორგი პეგრე ძე ბერბიჭაშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა შეეცვალოს ათი წლით თავისუფლების აღკვეთით შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.“<sup>1</sup>

ეს დოკუმენტი ალექსანდრე შუმანაშვილმა თავის 1996 წელს გამოცემულ წიგნში „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, მოიტანა 270-ე გვერდზე და წარმოადგინა 137-ე დოკუმენტის სახით, რომელსაც სათაურად აწერია: „1942 წლის 16 მაისი. ამონაწერი სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის ოქმიდან (საქ. რესპ. სუსა, ს, 17612-60, ტ.2. ს. ფ.281)“.

შუუძლებელია, ამის შესახებ კოჭლავაშვილს არ სცოდნოდა, რადგანაც გიორგი პეტრე ძე ბერბიჭაშვილის საქმეში ჩაკერებულია სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 16 მაისის N8278 სხდომის ოქმი. მით უფრო შესანიშნავად იცოდა ეს ფაქტი კოჭლავაშვილმა 1954 წელს, როცა ოდიშვილის წიგნის დამატებაში ხელით ჩაწერა: „...გადავწყვიტე, დახვრეტის წინ, ციხეში, კიდევ ერთხელ მენახა გ. ბერბიჭაშვილი“.

კოჭლავაშვილს დახვრეტის წინ ბერბიჭაშვილი არასოდეს უნახავს, რამდენადაც დახვრეტის ფაქტი არ შემდგარა. კოჭლავაშვილი, არც იმის შესახებ წერს, რომ 1942 წლის 16 ივლისს ბერბიჭაშვილი ციხის საავადმყოფოში მოკვდა. რომ დაეწერა, წინააღმდეგობაში მოვიდოდა ნაწერთან, რომლის მიხედვით საზოგადოებას აცნობა, რომ მან დახვრეტის წინ ბერბიჭაშვილი ნახა.

პროფესორი სიმაშვილი მიკვლეული საარქივო დოკუმენტებით გვაცნობებს, რომ რევოლუციონერი გიორგი ტატიშვილი 1933-1934 წლებში დაწერილ მოგონებებში გიგლა ბერბიჭაშვილს აქტიურ სოციალ-დემოკრატ რევოლუციონერად ასახელებს და დადებითად ახასიათებს, ხოლო 1936 წლიდან კი ბერბიჭაშვილს მხოლოდ უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებს. ამით გვინდა მოგახსენოთ, რომ, ერთი მხრივ, გიგლა ბერბიჭაშვილს რევოლუციურ დამსახურებად, სხვა საქმეებთან ერთად,

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „წიწამურის ტრაგედია“, 2000 წ., თბილისი;

ჩეთვალა ილიას მკვლელობაში მონაწილეობა, რაშიც, კოჭლავაშვილის აზრით, ჯამმა ჩაითრია. გიორგი ტატიშვილი ბერბიჭაშვილს 1936 წლიდან იმიტომ მოიხსენიებს უარყოფითად, რომ იმ დროისათვის ილიას მკვლელებიდან მხოლოდ ბერბიჭაშვილი იყო ცოცხალი და ბოლშევიკებს ილიას მკვლელობისთვის მასზე უნდა „გადაეტეხათ ჯონი“. ჯამი მას დაუკავშირეს, როგორც „ონრანკის“ ყოფილი თანამშრომელი, რომელსაც უნდა დაბრალებოდა ილიას მკვლელობის ხელმძღვანელობა. ეს ორი პერსონაჟი საზოგადოებას ისე უნდა დაენახა, რომ ილიას მკვლელობის უშუალო მონაწილე – ბოლშევიკებში „შეპარული“ ბერბიჭაშვილი – „ონრანკის“ თანამშრომელმა ჯამმა „ჩაითრია“. სწორედ კომუნისტების ამ ვერსიას ამაგრებს თავისი ტყუილებით გენერალი ალექსანდრე კოჭლავაშვილი.

1953 წლის ზაფხულში დაბეჭდილ ოდიშვილის წიგნს კოჭლავაშვილი დამატებებს რატომ ურთავდა 1954 წელს? ამის ერთი მიზეზი უკვე მოვასხენეთ მკითხველს. მეორე მიზეზი იყო ის, რომ კოჭლავაშვილის დართული შენიშვნებით ოდიშვილის წიგნის მეორე-სრულყოფილი გამოცემა მზადდებოდა. ცნობის სახით დავძენთ: ოდიშვილის წიგნი „წინამურის ტრაგედია“ მეორედ აღარ გამოცემულა.

კოჭლავაშვილის მიერ ჩაწერილ ბერბიჭაშვილის ჩვენებებს რომ იხილავს, ნოდარ გრიგალაშვილი ასკვნის: „ეს „ჩვენება“ არა მარტო სიყალბის, მისი შემქმნელის ჭკუასუსტობის გვირგვინიც არის... ამ სრულ ბოდვას კი „მეცნიერული წყაროების“ ფუნქცია დაეკისრა.“<sup>1</sup>

ნოდარ გრიგალაშვილი წერს: „გივლა ბერბიჭაშვილმა 1941-1942 წლების სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ იგი ჯამს არ იცნობდა. ამ პროცესს ესწრებოდნენ მწერლები, მათ შორის, გალაკტიონი და ლეო ქიაჩელი.

პროცესს ესწრებოდა ჯამის მეუღლე, დარია კობლაგაძე-ჯამი. იგი თავის მოგონებებში წერს: მიუხედავად იმისა, რომ ბერბიჭაშვილმა პროცესზე განაცხადა, ჯამს არ ვიცნობდიო, მოსამართლე ოდიშვილმა გამოაქვეყნა ილიას მკვლელობაზე წიგნი, სადაც ბერბიჭაშვილს ალაპარაკებს იმას, რაც სურს. ამის გამო დარია ჯამს უჩივლია ოდიშვილისთვის და წიგნის მეორე გამოცემა თვით პროკურატურის ბრძანებით ჩაშლილა. ბერბიჭაშვილი რომ ჯამს საერთოდ არ იცნობდა, მის ამ განცხადებას პროცესზე ადასტურებს პროცესის სხვა დამსწრეც, მაგ. აკაკი ძიძიგური“.<sup>2</sup>

კოჭლავაშვილს, რომელიც 1930-იანი წლების ბოლოს, სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე, ასეულობით ადამიანის დახვრეტის შესახებ მოხსენებით ბარათებს რომ წარუდგენდა ხოლმე საქართველოს კომპარტიის ცკ-ის სამდივნოს, სამსახურებრივი დავალებიდან გამომდინარე რომ დაეწერა ის, რაც ბერბიჭაშვილისა და ჯამის შესახებ დაწერა და ის კომუნისტური ეპოქის ზოგიერთ მკვლევარს

<sup>1</sup> ნ. გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“, ტ. II გვ. 457-458, 2011წ. თბილისი;

<sup>2</sup> ნ. გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“, ტ. II, გვ. 458, 2011წ. თბილისი;

ლიტერატურულ წყაროდ გამოეყენებინა, – არ არის გასაკვირი. გასაკვირია ის, რომ მისი დაწერილი XXI საუკუნეშიც კი ლიტერატურულ წყაროდ გამოიყენება.

ალექსანდრე კოჭლავაშვილი ამის შემდეგ შეუდგა ისტორიის მეცნიერებაში დოქტორის ხარისხის მოპოვებისაკენ აღმასვლას. მისი ინტერესი გახდა საქართველოს მრეწველობის ისტორია. 1961 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს სამთო-მეტალურგიული მრეწველობის ისტორია 1830-1900 წლებში“, 1966 წელს კი სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საბჭოთა საქართველოს მანქანათმშენებლობის ისტორია 1926-1941 წლებში“. წერდა და რედაქტორობდა 1968-1972 წწ. გამოცემულ წიგნებს: „საქართველოს სსრ მანქანათმშენებლობის ისტორია 1926-1941 წლებში“ და „საბჭოთა საქართველო“.

კოჭლავაშვილი, რომელიც ახალ „შემოქმედებით“ გზაზე დადგა, საქმის კურსში იყო დიმიტრი ჯაშის შვილის – იური ჯაშის საქმიანობასთან დაკავშირებით და არ გამოვრიცხავთ, რომ მას მისთვის ხელი შეეშალა.

მამის სახელის ღვეზის გამო, დიმიტრი ჯაშის შვილები იძულებული გახდნენ თბილისის სამუდამოდ გაცლოდნენ. უფროსი – გიორგი (ჟორჟიკა) 1935 წელს მოსკოვს გაემგზავრა და მას მერე საქართველოში აღარ დაბრუნებულა. უმცროსი ვაჟი - იური რომელიც დედასთან ერთად თბილისში ცხოვრობდა, დედაქალაქს გაერიდა და პერიფერიებში ცხოვრობდა. 1936 წელს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, საქართველოს მტს-ების (მანქანა-ტრაქტორთა სადგური) სისტემაში მუშაობდა, ჯერ საგარეჯოში და თეთრიწყაროში, შემდეგ დასავლეთ საქართველოს რეგიონებში. პროფესიით ინჟინერ-მექანიზატორმა, მძღოლების მომზადება და მათთვის წიგნების გამოცემა დაიწყო. 1948 წლიდან ბათუმში დასახლდა. რუსული ენიდან ქართულად თარგმნიდა და გამოსცემდა სასწავლო ლიტერატურას ავტომობილებზე. იგი არის ავტომობილის შესახებ საქართველოში ქართულ ენაზე გამოცემული პირველი წიგნის ავტორი. გამოცემების საქმეში დიდი წინააღმდეგობის გადალახვა უწევდა. ომისა და ომის შემდგომ პერიოდში მძღოლობა მოთხოვნად პროფესიად იქცა. 1943-1957 წლებში მან შეძლო მძღოლებისათვის რვა სახელმძღვანელო წიგნის გამოცემა. წიგნების ფორმატი, უმეტესად, შეზღუდული იყო, მაგრამ საერთო ტირაჟი დაახლოებით 30 000-ზე მეტ ეგზემპლარს შეადგენდა.<sup>1</sup>

1950-იან წლებში, საქართველოში ჩაის კულტურის აღმავლობასთან დაკავშირებით, ინჟინრებს ამოცანად დაუსახეს შეექმნათ ჩაის საკრეფი და ჩაის ბუჩქის სასხლავი მანქანები. იური ჯაშმა 1957 წელს შექმნა ჩაის ბუჩქის მცირე ზომის საკრეფი და სასხლავი ელექტრომექანიკური აპარატები, რომელთა დემონსტრირებას ბათუმის შემოგარენის ჩაის პლანტაციებში სპეციალურად შექმნილი სახელმწიფო კომისიის წინაშე ამ სტრიქონების ერთი-ერთი ავტორი ესწრებოდა. მიუხედავად

<sup>1</sup> ი. ჯაში, „ავტომობილის მოკლე ცნობარი“, 1943 წ., „ავტომობილი“, 1945 წ. ქობულეთი; „ავტომობილის მართვა და ექსპლოატაცია“, 1949 წ. ბათუმი; „ავტომობილი“ 1956 წ. ბათუმი; „ავტომობილის ტექნიკური“, 1959 წ. ბათუმი;

იმისა, რომ ჩაის საკრეფი და სასხლავი პორტატიული აპარატები სახელმწიფო კომისიამ საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მეორე მდივნის, ვასილ კოვანოვის თავმჯდომარეობით, მოიწონა, ის არ იქნა ჩამკვეთი სერიულ წარმოებაში.

შემდგომში, ეს პორტატიული აპარატი ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატად იქცა. ერთ დღეს, ბათუმში ჩამოსული იაპონელი ტურისტების დაინტერესება გამოიწვია. ფოტოაპარატით მრავალი კადრი აღბეჭდეს. უცხოელთა ასეთი ინტერესი შეუმჩნეველი არ დარჩენია მუზეუმის დირექტორს – ხარიტონ (ხუსეინ) ახვლედიანს, რომელიც იური ჯაშის კარის მეზობელი იყო.

რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოს ჩაის პლანტაციებში გამოჩნდა ჩაის სასხლავი იაპონური აპარატები, რომელთა ჩანთების ყვითელი ფერი პლანტაციებთან გამკვლევი მატარებლებისა თუ ავტომანქანების მგზავრებს შეუმჩნეველი არ რჩებოდათ. იური ჯაში, პროფესიით ინჟინერ-მექანიზატორი, დაინტერესდა მანქანის ტექნიკური მონაცემებით. გაცვებულმა აღმოაჩინა, რომ აპარატი, რომელიც შესაძლებლობებით ბევრად აღემატებოდა მის მიერ შექმნილს, საინჟინრო გადაწყვეტილებით აშკარად აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატის იდენტური იყო.



ხარიტონ (ხუსეინ) ახვლედიანი - მეცნიერი, აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი. ბათუმი, 1985 წ.

ვინაიდან წინამდებარე წიგნს ჩვენი მშობლების ნათელ ხსოვნას ვუძღვნი, თავს უფლებას ვაძლევთ, იური ჯაშის მიერ 1943-1959 წლებში გამოცემული ზოგიერთი









წიგნის ფოტოასლი წარმოგიდგინოთ. ეს წიგნები იმ დროს იქმნებოდა, როცა მისი ავტორის, როგორც ილიას მკვლელობის ხელმძღვანელის შვილის, სახელისა და გვარის გაგონება ბევრ პარტიულ მუშაკს არ სურდა. იური ჯაში იმ წლებშიც, როცა ამ წიგნებზე მუშაობდა, მამის დასაცავად დიდ ბრძოლაში იყო ჩართული, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ამასთან, თავის მოწინააღმდეგეებს უმტიკიცებდა საქართველოს მეურნეობისათვის ქართულად დაბეჭდილი წიგნების აუცილებლობას.

იური ჯაშის მიერ შექმნილი ჩაის საკრეფი და სასხლავი აპარატების საქართველოს მრეწველობის საწარმოებში სერიულად ჩაშვების საკითხის გადაწყვეტისას, არ გამოვრიცხავთ, რომ იური ჯაშს წინააღმდეგობები ალექსანდრე კოჭლავაშვილმა შეუქმნა.

კოჭლავაშვილი რომ ბერიას „დოქსოპულოსთან“ გავაგივეთ, ამით მის დაკნინებაზე არც გვიფიქრია. ჩვენ ჩვენი მშობლების გულისტკივილს გამოვხატავთ იმ ადამიანის საქციელის გამო, რომელიც საკუთარი კარიერული წინსვლისათვის გულგრილად უყურებდა კოლეგების რეპრესიებს, არაფრად აგდებდა უამრავი ადამიანის ბედსა და სიცოცხლეს.

სხვებთან ერთად, მან ათწლეულების წინ გარდაცვლილი დიმიტრი ჯაშის ბიოგრაფიაშიც ისეთი მონდომებით შეიტანა უმძიმესი კორექტივი, რომ ის ოჯახს დღემდე დამლად აზის. ამიტომ საკმაოდ საფუძვლიანად მიგვაჩნია ეჭვი იმის თაობაზე, რომ მან, როგორც საქართველოს მრეწველობის ისტორიის მკვლევარმა და გარკვეულ წლებში ამ დარგში „ავტორიტეტულმა პირმა“, ისიც იკადრა, რომ ცხოვრებასა და კარიერაში ბარიერები შეუქმნა დიმიტრი ჯაშის შვილს, იური ჯაშს – დიდი ოჯახის დამპყრებელ კაცს, რომელიც მეუღლესთან-მერი ჯაშთან ერთად ოთხ შვილს ზრდიდა.

სიმართლე ყველაზე სანდო მეგზურია. მასში ქვიშის მარცვლისოდენა სიყალბის გარევაც კი ფაქტებს ამახინჯებს. მკვლევარი, რომელსაც ასეთ ცდუნებაზე წასცდება ხელი, საბოლოოდ მაინც გამყალბებლად შერჩება ისტორიას, „ვინაიდან არ არსებობს დაფარული, რომელიც ცხადი არ გახდეს, არც დამალული, რომელიც არ გამჟღავნდეს და არ გაცხადდეს“ (ლუკას სახარება).



# ილიას მკვლელობის საზღოური ვერსიის რემიქსები

დამოუკიდებელი საქართველოს პირობებშიც ზოგიერთი მკვლევარი ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით ჯამის ბრალულობის შესახებ თუ წერდა, ამას 1942 წლის საბჭოთა სასამართლომდე შექმნილ მოგონებებზე და სასამართლოს განაჩენზე დაყრდნობით აკეთებდა. ასეთ გამოცემებს ყურადღებას არ ვაქცევდით, ვფიქრობდით, რომ სახელმწიფო ილიას მკვლელობის გარემოებებს წერტილს დაუსვამდა. სამწუხაროდ, საქართველოში ამ საქმისათვის ჯერ ვერ მოიცალეს.

2001 წელს, ტელეკომპანია რუსთავი 2-ზე ნაჩვენები იქნა ახალგაზრდა ჟურნალისტის, თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმი „საუკუნის მკვლელობა“<sup>1</sup>, სადაც ავტორმა დიმიტრი ჯამი საბჭოთა პერიოდში შექმნილი სტერეოტიპით წარმოგვიდგინა. დიმიტრი ჯამის შთამომავლებმა ამ ფილმის მიმართ განწყობა გადაცემის ავტორთან შეხვედრაში გამოვხატეთ, რომელსაც მოჰყვა ერთი პატარა საგაზეთო წერილი - „ჩვენი პოზიცია“, რომლის დაბეჭდვაც ბატონი ჩაგელიშვილის დამსახურებად მივიჩნიეთ.

ამასთან, საზოგადოებრივი აზრიც, რომელიც ათეული წლების მანძილზე დიმიტრი ჯამის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული, მის სასიკეთოდ იცვლებოდა, რასაც გვამცნობდა 1996 და 2000 წლებში გამოცემული ალექსანდრე შუმანაშვილის ზემოთ ხსენებული წიგნები და 1997 წელს მის მიერ დაცული სადოქტორო დისერტაცია, 2003 წელს შალვა მარკოზაშვილის გამოცემული წიგნი „ილიას ბოლო მოურავი“ და 2010 წელს ნოდარ გრიგალაშვილის ორტომული „თანამდევნი სული“. ამ წიგნების ავტორები ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით მის მოურავს - დიმიტრი ჯამს დამნაშავედ არ მიიჩნევენ. „თანამდევნი სული“ წიგნად გამოსვლამდე გაზეთ „24 საათში“ დიდი ხნის განმავლობაში ქვეყნდებოდა.

ასეთმა ვითარებამ, ალბათ, შეაშფოთა მკვლევრები, რომლებიც ჯამს ილიას მკვლელობაში მთავარ როლს ანიჭებდნენ და ჯერ 2004 წელს გამოიცა ისტორიისა და ფილოსოფიის პროფესორის, ბატონ გურამ ყორანაშვილის წიგნი: „წინამურის ტრაგედიის საიდუმლო“. ერთი წლის შემდეგ, 2005 წელს გამოიცა 2001 წელს გარდაცვლილი ისტორიის პროფესორის გივი ჟორდანიას წიგნი - „მარტივობა მესიისა“. შესაძლებელია სიტყვა „შეაშფოთა“ გადაჭარბებულად მოვიტანეთ, მაგრამ ფაქტია, ბატონი გურამი თავის წიგნში, როცა შეფასებას აძლევს ალექსანდრე შუმანაშვილის შრომებს, დადებით მხარეებთან ერთად, წუხილით აღნიშნავს, რომ ალექსანდრე შუმანაშვილმა დიმიტრი ჯამის ადვოკატობა ითავა. გივი ჟორდანიას კი წერს: „ამ ბოლო დროს ჯამს გამოუჩნდნენ ღამცველები“ და სქოლიოში მიანიშნებს 1997 წელს გაზეთებში გამოქვეყნებულ შალვა მარკოზაშვილის წერილებს. უფრო ადრე, 1996 წელს

<sup>1</sup> თ. ჩაგელიშვილი, დოკუმენტური ფილმი „საუკუნის მკვლელობა“, საქტელევიზია, 2001 წ.;

და შემდეგ - 2000 წელს გამოცემული წიგნების ავტორის - შუმანაშვილის გვარი რატომ-ღაც გამორჩა. ამასთან, ზემოთ ხსენებული წიგნების ავტორებმა ან არ იცოდნენ, ან არ განსვენებიათ ის ფაქტი, რომ დიმიტრი ჯაშს 1963 წლიდან მოყოლებული იცავდა მისი შვილი იური ჯაში, ამის მაგალითები წიგნში ზემოთ წარმოვადგინეთ.

ბატონ გურამ ყორანაშვილს და აწ გარდაცვლილ გივი ჟორდანიას ილიას მკვლელობის გარემოებების შესახებ, საკუთარი ნააზრევი, ადრე არ ჰქონდათ დაწერილი. გურამ ყორანაშვილი, 1987 წელს, სანამ ილიას მკვლელობის გარემოებებზე წერას დაიწყებდა, ათი წლით ადრე, 1978 წელს, სადოქტორო დისერტაციას წერდა. ამას მოწმობს იმავე წელს გამოცემული ავტორეფერატი თემაზე - „კაპიტალიზმამდელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების პრობლემა ისტორიულ მაგერიალიზმში“. იგი 1979 წელს განდა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. გივი ჟორდანიას კი 1979 წელს მიანიჭეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის წოდება.

საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, ისინი დაინტერესდნენ ილიას მკვლელობის გარემოებების საკითხებით და წლების შემდეგ ერთმა, 2004 წელს, გამოსცა მონოგრაფია „წინამურის ტრაგედიის საიდუმლო“, ხოლო 2005 წელს გამოიცა 2001 წელს გარდაცვლილი პროფესორის გივი ჟორდანიას წიგნი „მარტვილობა მესიისა“.

შევცდებით, თითოეულ წიგნში დიმიტრი ჯაშის შესახებ დაწერილს, ჩვენი აზრი მივუსადაგოთ.

წიგნი „წინამურის ტრაგედიის საიდუმლო“, შედგება თვრამეტი თავისაგან, რომელთა შორის, ჩვენთვის, განსაკუთრებულად საყურადღებოა. მე-10 თავი, სათაურით: „დიმიტრი ჯაშისა და „ოხრანკა“-ჟანდარმერიის როლი ილიას მკვლელობაში“. ჩვენთვის საყურადღებო თავის გარდა, მეტად ინტერესით იკითხება წიგნის ყველა თავი, რომლებიც სათანადო ისტორიულ წყაროებთან ერთად გაჯერებულია ავტორისეული კომენტარებით, ემოციებით და ამ ემოციებით გაკეთებული დასკვნებით. რაც შეეხება, თავებს: „ილიას დაღუპვის წინარე ისტორიული ფონი“, „როგორ იცოდნენ ნოე ჟორდანიამ, იოსებ სტალინმა და სხვებმა მარქსიზმი“, „ნოე ჟორდანიას წვლილი ილიას საწინააღმდეგო იდეურ კომპანიაში“, „ილიას საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტიურობის მატთან (1910-ანი წლები)“, „ბედკრული ჰეროსტატეს“- ფილიპე მახარაძის როლი წინამურის ტრაგედიაში“ და სხვა, მოტანილია ავტორისეული ნააზრევი, რომლის გარჩევის პრეტენზიას ჩვენ ვერ გამოვხატავთ, განსაკუთრებით, ბატონი გურამის იმ მსჯელობის მიმართ, სადაც იგი განიხილავს ილიას მკვლელობის გარემოებებში ორჯონიკიძისა და სტალინის როლს. ამ საკითხზე, მკვლევრების შოთა ბაღრიძის და შუმანაშვილის აზრები ზემოთ მოტანილი გვაქვს, ჩვენი ხედვაც წარმოდგენილია. ვფიქრობთ, რომ ბატონი გურამ

ყორანაშვილი ის ქართველი მეცნიერია, რომელმაც ოცდამეერთე საუკუნეში პირველმა საჯაროდ და დარწმუნებულად განაცხადა ილიას მკვლელობის გარემოებებში სტალინის როლის შესახებ.

მიუხედავად წიგნის მნიშვნელოვანი ხასიათისა, ამასთან ავტორის-მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ავტორიტეტისა, თავს უფლებას ვაძლევთ, ჩვენთვის საყურადღებო სკიოტების მიმართ, ჩვენი აზრი გამოვთქვათ. არის საკითხები, რაშიც ავტორს, ვერ დავეთანხმებით.

წიგნის II თავში, სადაც ავტორი იხილავს წყაროდმცოდნეობის ბაზას, ანუ, მისი აზრით, თუ რის საფუძველზეა შესაძლებელი ილიას მკვლელობის ისტორიის აღდგენა, აღნიშნავს: „ილიას მკვლელობის საკითხთან დაკავშირებული საისტორიო წყაროების თაობაზე დიდი დაბნეულობა შეიმჩნევა, რაც ცხადია პეიოტელებთან დებო-რიენცაციას იწვევს... თართოდ გავრცელებული შეხედულებების თანახმად, აღნიშნული პირველწყაროთა დიდი ნაწილი დაკარგულია.“<sup>1</sup> იგი უნდობლობას უცხადებს იურისტის ალექსანდრე შუმანაშვილის 1996 წელს გამოცემულ წიგნს, სადაც წერია: „სინამდვილეში არათფერი არაა დაკარგული და განადგურებული. 1907-1909 წლებში ჩატარებული გამოძიებისა და სასამართლოს განხილვის საქმეები საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივშია დაცული, ხოლო ბერბიჭაშვილის საქმე საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივში ინახება.“<sup>2</sup>

ბატონი გურამი ალექსანდრე შუმანაშვილს მოიხსენიებს იურისტად, ასეც არის, თუმცა, იმ დროს, როცა მუშაობდა წიგნზე, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, მას როგორც საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს სრული წვდომა ჰქონდა საარქივო დოკუმენტებთან.

გურამ ყორანაშვილი წერს, რომ ილიას მკვლელობის საგამოძიებო დოკუმენტების დაკარგვის შესახებ შეხედულება, თავდაპირველად, გაავრცელა სოციალ-დემოკრატიამ რუბენ ყიფიანმა. მას სწყინდა, რომ ილიას მკვლელობას სოციალ-დემოკრატებს აბრალებდნენ. სცადა გამოძიების ჩატარება და სამხედრო სასამართლოს ოქმების ასლების ხელში ჩაგდება მოახერხა. სამხედრო სასამართლოს ორ მოსამართლეს, ღამდამობით გამოჰქონდათ ეს საქმე და ნაფიცი მსაჯულის, სერგო ჯაფარიძის ბინაში მალულად ბეჭდავდნენ. ეს 1912 თუ 1913 წელს მომხდარა. ყიფიანის მოგონებებიდან სიტყვები მოაქვს: „ერთი სიტყვით, ოქმიდან სჩანს, რომ დიმიტრი ჯაში მონაწილეობდა მკვლელობის საქმეში, ხოლო ეს ჯაში იყო ამავე დროს ანდარპერის აგენტი.“<sup>3</sup> შემდეგ წერს რუბენ ყიფიანის დაკვირვების შესახებ, რომელმაც დაადგინა, რომ საქმიდან დაკარგული იყო ფაქტის დაკითხვის ოქმი

<sup>1</sup> გ.ყორანაშვილი, „წინამურის ტრაგედიის საიდუმლო“, 2004 წ. თბილისი;

<sup>2</sup> ალ. შუმანაშვილი, „წინამურის ტრაგედია“, „ორიონი“, 2000 წელი, თბილისი;

<sup>3</sup> გ.ყორანაშვილი, „წინამურის ტრაგედიის საიდუმლო“, 2004 წ. თბილისი;

(ხაზგასმა ჩვენია), რაც ადასტურებდა ილიას საგურამოს სახლის ეზოში მდგარ კაკლის ხეზე ჯამის ასვლის ფაქტს. ამ ოქმის დაკარგვით, რუბენ ყიფიანი არწმუნებდა საზოგადოებას, რომ დაიკარგა მნიშვნელოვანი ფაქტის ამსახველი დოკუმენტი, რამეთუ, კაკლის ხეზე ასული დიმიტრი ჯამი გასცქეროდა წიწამურის სანახებს, როცა იქ ილიას თავს ესხმოდნენ.

აქვე დავწერთ, რომ ილიას მკვლელობის შესახებ ჩატარებული გამოძიებების საქმეში არსებობს სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს 1907 წლის 30 აგვისტოს, დილით, საგურამოს სახლის ეზოში მდგარი კაკლის ხეზე დიმიტრი ჯამის ასვლის ფაქტს. ეს არის ურიადნიკ ემეცის 1907 წლის 2 სექტემბრის დაკითხვის ოქმი. ასე, რომ თუ ერთი დოკუმენტი, მართლა, დაიკარგა, მეორე დოკუმენტი დღესაც საქმეშია.

ჯამის კაკლის ხეზე ასვლის მიზანს, სერიოზულად არ აღიქვამს, ილიას მკვლელობის გარემოებების ერთ-ერთი მკვლევარი შოთა ბადრიძე, წიგნში „წიწამურის ტრაგედიის გამოცანები“, (ვინ მოკლა ილია?), რომელიც 1991 წელს გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. ბატონი გურამი ამ არასერიოზულ აღქმას, “გასარეებას” ადარებს. ბატონ ყორანაშვილს სჯერა რუბენ ყიფიანის „აღმოჩენის“ და წერს: „ამგვარი გასარეება საფუძველს არის მოკლებული. დიდი ფსიქოლოგობა არაა საჭირო იმის გასაგებად, რომ ჯამი, რომელიც საზიზღარი საქმის აღსრულებაში მონაწილეობდა და მის კურსში იყო, მართლაც დაინტერესდებოდა მომალე ადგილიდან, ხეზე ასულს დაენახა, თუ რა ხდებოდა წიწამურის სანახებში“.<sup>1</sup>

სამწუხაროა, რომ ბატონ გურამი თავად არ დარწმუნდა იმაში, რომ საგურამოდან არ მოჩანს წიწამურის სანახები. იგი ამ საკითხში არც ალექსანდრე შუმანაშვილს ენდობა, წარმოშობით დუშელ ადამიანს, რომელმაც კარგად იცოდა და წერს კიდევ, რომ საგურამოსა და წიწამურს შორის მაღალი მთებია აღმართული. ილიას ეზოში მდგარ კაკლის ხიდან შეუძლებელია წიწამურის დანახვა. ამ საკითხში ბატონი გურამი არც შალვა მარკოზაშვილს ენდობა, რომელიც წლობით, ილიას სახლმუხეუმში მუშაობდა და არც ნოდარ გრიგალაშვილს, რომლებიც წერენ, რომ ილიას სახლის ეზოდან წიწამურის დანახვა შეუძლებელია.

ჩვენ შეგნებულად გავამუქეთ სიტყვა- დაკითხვის ოქმი. როგორც სჩანს, რუბენ ყიფიანი ვერ ერკვეოდა იმ საკითხში, რომ ყარამან ფაღვა ილიას მკვლელობის დროს მხოლოდ მოკვლევის ოქმებს ადგენდა. გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ 1908-1909 წლებში შედგენილ სასამართლოს ოქმებში არ წერია დიმიტრი ჯამის ბრალეულობის შესახებ.

1908-1909 სასამართლოს ოქმებში დიმიტრი ჯამზე მსგავსი არ წერია, რადგან სამხედრო სასამართლოში მიდიოდა ილიას მკვლელობაში ბრალდებულთა სამჯავრო განხილვა. რუბენ ყიფიანმა 1912-1913 წლებში თუ შესძლო ილიას მკვლელობის

<sup>1</sup> გ.ყორანაშვილი, “წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო“, 2004 წ. თბილისი;

გამოძიების საქმის მასალების ასლების ხელში ჩაგდება, მასში სხვა დოკუმენტებთან ერთად ჩაკრული იქნებოდა ყარამან ფაღავას 1907 წლის 3-4 სექტემბრის მოკვლევის ოქმი და 1908 წლის 3 ივლისის ყარამან ფაღავას დამატებითი დაკითხვის ოქმი. რადგან რუბენ ყიფიანი წერს, რომ დიმიტრი ჯაში მონაწილეობდა მკვლელობის საქმეში, იგი დაეყრდნო ყარამან ფაღავას 1907 წლის 3-4 სექტემბრის მოკვლევის ოქმს, სადაც ყარამან ფაღავა ეჭვს გამოთქვამს ილიას მკვლელობაში დიმიტრი ჯაშის მონაწილეობაზე, ხოლო 1908 წლის 3 ივლისის დაკითხვის ოქმს, სადაც გამოძიებელმა ცვეტკოვმა შავით თეთრზე ჩაწერა ფაღავას ჩვენება: „...შემდგომი მოკვლევით დანაშაულის ჩადენაში ჯაშის მონაწილეობის დასადგენად რაიმე დადებითი და უტყუარი მონაცემები ვერ მოვიპოვე...“ ეს დოკუმენტი რუბენ ყიფიანის ყურადღების მიღმა დარჩა. ილიას მკვლელობაში დიმიტრი ჯაშის მონაწილეობის შესახებ ყარამან ფაღავას 1907 წლის 3-4 სექტემბრის მოკვლევის ოქმში გამოთქმულ ეჭვი, რუბენ ყიფიანს იმის უფლებას არ აძლევდა, რომ ხმები გაეზრცელებია ილიას მკვლელობაში ჯაშის მონაწილეობის შესახებ.

ყიფიანმა ილიას მკვლელობის გამოძიების მასალები, რაც 1912-1913 წლებში მოიპოვა, ჯაშის მისამართით არაკეთილსინდისიერად გამოიყენა. ამას ამტკიცებს ჯერ-ერთი ის, რომ 1908 წლის 3 ივლისის ყარამან ფაღავას დაკითხვის ოქმი უყურადღებოდ დატოვა და მეორე, ისიც, რომ წინადადება- „ჯაში იყო ამავე დროს ჟანდარმერიის აგენტი“, დაწერილი აქვს უსაფუძვლოდ, დამამტკიცებელი დოკუმენტის გარეშე. ილიას მკვლელობის გამოძიების მასალებში არ იყო „ოხრანკის“ დოკუმენტები. რუბენ ყიფიანი დიმიტრი ჯაშის ოხრანკასთან თანამშრომლობის ამბავს, მხოლოდ, 1917 წლის მარტში შეიტყობდა, როცა გაცხადდა საიდუმლო თანამშრომლების სია და 1917 წლის 2 მაისის დიმიტრი ჯაშის განცხადებიდან, რომელშიც აღიარა, რომ „ოხრანკასთან“ 1909-1911 წლებში თანამშრომლობდა. 1907 წლის 30 აგვისტოს იგი არ იყო „ოხრანკის“ აგენტი. მიუხედავად ამისა, რუბენ ყიფიანმა განზრახ ისე დაწერა, თითქოს მოპოვებული ოქმიდან სჩანდა, რომ ეს ჯაში იყო ამავე დროს ჟანდარმერიის აგენტი. ჩვენი აზრით, 1907 წლის 30 აგვისტოს ჯაშის „ოხრანკის“ აგენტობის დამტკიცება შეუძლებელია.

ეს იმის მაგალითია, როცა წყარო თავიდან არასწორ ინფორმაციას შეიცავს ანუ დეზინფორმაციაა, ხოლო მკვლევრები მის გადამოწმებას არ ახდენენ.

ერთსავე ავღნიშნავთ, ილიას მკვლელობის საკითხთან დაკავშირებული საისტორიო წყაროების თაობაზე თუ დიდი დაბნეულობა შეიმჩნევა, ამის ერთ-ერთი მიზეზი, სამწუხაროდ, ქართველ ემიგრანტთა მოგონებებში უნდა ვეძიოთ. მათ მიერ ისტორიული ფაქტების აღწერის საფუძველი, მხოლოდ, მეხსიერება და ზეპირსიტყვიერებაა, სადაც ფაქტების გადმოცემის სიზუსტე, 40-50 წლების დიაპაზონში, დიდი ცდომილებით არის გამოხატული.

გურამ ყორანაშვილი ამ თავში მიუთითებს, რომ „არ არის „საქმეში“ აგრეთვე ვითომდაც ჭაშისადმი გაგზავნილი მუქარის წერილი (სინამდვილეში ფსევდონწერილი, მის მიერვე შეთხზული)“.<sup>1</sup> ეს მისი, ავტორისეული, დასკვნა რას ეფუძნება ვერ გავარკვიეთ. თუ მისი სიტყვებია, ჩვენც იძულებული ვართ გავიხსენოთ გამომძიებელი ევტუშევსკის 1907 წლის 15 სექტემბრის მოკვლევის ოქმი, სადაც მან ჩაწერა, რომ ჯაშმა გადასცა მას მუქარის წერილი და თანაშემწის მიერ ქართულიდან რუსულად ნათარგმნი წერილის ტექსტი მოკვლევის ოქმში შეიტანა. ევტუშევსკიმ წერილის დედანი ოქმს არ დაურთო, რაც შედგენილი მოკვლევის ოქმის ხარვეზია. ამაზე მიაწინებდა ალექსანდრე შუშანაშვილიც. ევტუშევსკის, რომ თან დაერთო წერილის დედანი, ოქმშიც ჩაწერდა, რომ ოქმს თან ერთვის წერილის დედანი, მაგრამ რადგანაც არ ჩაწერა, ე.ი. არ დაურთო. და თუ ასეა, როგორ შეიძლება დაკარგულიყო ის, რაც თავიდანვე საქმეში არ იყო ჩაკერებული? ამ კითხვის პასუხი ბატონი გურამის ბრწყალეებში ჩასმული სიტყვაა - „საქმეში“ და აგრეთვე ის არის, რომ იგი ამ წერილს ფსევდონწერილად მიიჩნევს, ანუ ჯაშის მიერ შეთხზულად. ევტუშევსკის მოკვლევის ოქმისათვის რომ დაერთო წერილის დედანი, ხელნაწერის კრიმინალისტიკური გამოკვლევით ბატონი გურამი დაადგინდა მის ავტორს და მისივე სიტყვები რომ გავიმეოროთ არ გამოიწვევდა „მკითხველთა დეზორიენტაციას“. ისე, ჩვენც გვინტერესებს საიდან დაასკვნა ბატონ გურამ ყორანაშვილმა, რომ ეს წერილი დიმიტრი ჯაშმა შეთხზა? ალბათ ფილოსოფიური მიმართულების რაციონალიზმის გამოყენებით, რომლის მიხედვითაც სინამდვილის შეცნობა შეიძლება განსჯითა და ფაქტების ანალიზით.

ჩვენს გაკვირვებას იწვევს ბატონი გურამ ყორანაშვილის დამაჯერებელი მსჯელობა, რაც მოტანილი აქვს წიგნის IX თავში-„წიწამურთან მომხდარი მკვლელობის ისტორიის ზოგიერთი გამოცანა“. მეცნიერის აზრით (ჩვენი აზრითაც) რამდენიმე მომხდარ ფაქტებს შორის, რომლებიც გამოცანად დარჩა, ერთ-ერთია ილიას მსახურის გიგოლა მოძღვრიშვილის ბედი. იგი ყარამან ფალავას მონდომებით, მიუხედავად იმისა, რომ ილიას მკვლელობაში მისი დანაშაულის შესახებ ყველა სამხილი რომელიც ფალავამ გამოძიებას წარუდგინა, გაბათილებული იქნა სამედიცინო და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევებით, ყარამან ფალავას ჩვენებებით მოძღვრიშვილი მიჩნეული იქნა ილიას მკვლელობაში მონაწილე „ვიდაც იმერელად“ და ბრალდებულის სახით წარსდგა სამსჯავროზე. სახრჩობელას გადაურჩა ბუნებრივი სიკვდილის გამო, რაც ციხეში ყოფნისას ფილტვების ანთებამ გამოიწვია. ბატონ გურამს მოაქვს თედო ლაბაურის ჩვენება, რომელმაც განაცხადა: „ილიას მკვლელობაში გიგოლა მოძღვრიშვილის მონაწილეობის შესახებ ჩვენების მიცემა ყარამან ფალავასგან იმდენად დასაჯერებელია, რამდენადაც ჩვენების მიცემა ილიასგან“.

---

<sup>1</sup> გ.ყორანაშვილი, „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო“, 2004 წ. თბილისი;

ვამ მაიძულა“<sup>1</sup> ამის მიუხედავად პროფესორი ასეთ კითხვას სვამს: „რაგომ მოიძოქმედეს მეფის რუსეთის სასამართლოს მსახურებმა ასე მოძღვრიშვილის მიმართ - არაპროფესიონალიზმის თუ არაობიექტურობა- მიკერძოების გამოისობით? თუ ამას მიკერძოების გამო ჰქონდა ადგილი, მოხდა ეს ილიას უშულო მკვლელთა უკან მდგარი მრისხანე ტერორისტული ძალის, რათა დაეფარათ „იმერელი“?“

ჩვენი აზრით, პროფესორი წინააღმდეგობაში მოდის თავის „მტკიცე“ შეხედულებასთან, რომლის მიხედვით ილიას მკვლელობის საქმე იყო ერთობლივი ნამოქმედარი მეფის რუსეთის ხელისუფლების და ქართველი ბოლშევიკებისა. გაუგებრად გვეჩვენება, ის, რომ ერთობლივი დანაშაულის მონაწილეებს ერთმანეთის შანტაჟი დაეწყოთ. თუ შანტაჟში იგულისხმება ტერორი იმათ მიმართ, ვინც ბოლშევიკების ნებას არ დაჰყვებოდა, ასეთ ვითარებაში შეუძლებლად გვეჩვენება ერთობლივი ძალებით ილიას წინააღმდეგ ტერორი მოეწყოთ. უფრო რეალურად გამოიყურება ისეთი ვითარება, რომ ილიაზე ტერორი სოციალ-დემოკრატების მემარცხენე ფრთას მოეწყო და მეფის რუსეთის სამართალდამცავი ზოგიერთი მოხელესთვის, სიკვდილის მუქარით, შანტაჟი განეხორციელებინათ, რათა სასამართლო გამოძიება ისე წაეყვანათ, როგორც თვითონ უკარნახებდნენ.

ბატონი გურამი ადანაშაულებს რა მიკერძოებაში მეფის რუსეთის სასამართლოს მსახურებს, წიგნის ამ თავში ყარამან ფაღავას შეცდომაზე მიუთითებს და მის მიკერძოებაზეც წერს. გამოდის, რომ ბატონი გურამის აზრით, ყარამან ფაღავაც იმ მრისხანე ტერორისტული ძალის შანტაჟის ქვეშ იყო ან მათთან თანამშრომლობდა, რომლის მიზანი იყო, დაეფარათ „იმერელი“. თუ ასეა, ყარამან ფაღავა დიმიტრი ჯაშის წინააღმდეგ, ჯერ კიდევ 1907 წლებში და შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დროსაც, წინასწარ განსაზღვრული გეგმით მოქმედებდა. საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, რომ ილიას მკვლელობა განახორციელა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წითელრაზმელებმა. პროფესორის სიტყვებს თუ დავეყრდნობით, წითელრაზმელები იყო ის მრისხანე ტერორისტული ძალა, რომელიც ილიას მკვლელობის გამოძიების პერიოდში, მართლმსაჯულების წარმომადგენლებს, ჯერ მეფის რუსეთის დროს ამანტაჟებდნენ, შემდგომ ცხოვრებაში კი მის ნარჩენებსაც, განსაკუთრებით 1934 წლიდან, როცა ბოლშევიკები ხელისუფლებაში უკვე მყარად იდგნენ და გადაწყვიტეს ილიას მკვლელობა მეფის რუსეთის „ოხრანისთვის“ გადაებრალებინათ. ამ ლოგიკით, ყარამან ფაღავა მუდმივად შანტაჟის ქვეშ იმყოფებოდა. ჩვენთვის საოცარია ის, რომ დამანტაჟებული ყარამან ფაღავას მიერ „დადგენილი“ დანაშაულის გამო, ბატონი გურამ ყორანაშვილი დიმიტრი ჯაშს საშინელი ეპითეტებით ამკობს იმ დანაშაულისათვის, რომელ „დანაშაულშიც“, თვით მეცნიერი ყორანაშვილი, ყარამან ფაღავას მოკვლევის ოქმმა დაარწმუნა. მსჯელობით უნდა დავასკვნათ:

<sup>1</sup> გ.ყორანაშვილი, „წიწამურის ტრაგედიის საილუმო“, 2004 წ. თბილისი;

<sup>2</sup> გ.ყორანაშვილი, „წიწამურის ტრაგედიის საილუმო“, 2004 წ. თბილისი;

მანტაჟის ქვეშ მყოფი ფადავა იძულებული იყო ის ეთქვა და ისე მოქცეულიყო, რასაც ბოლშევიკები ავალებდნენ, მაგრამ გურამ ყორანაშვილს რატომ სჯერა დამანტაჟებული ყარამან ფადავასი, ეს ჩვენთვის გაუგებარია.

X თავის მეორე აბზაცში ავტორი ეყრდნობა რა ჯავახიშვილის „წიწამურას“, წერს: „...ცხადია გვერდს ვერ აუქცევთ ჯაშის აგბედით პიროვნებას. იგი გარეგნულად საბარელი პიროვნება ყოფილა...“ მკითხველს სთავაზობს რომაელების სენტაციის გახსენებას: „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია.“ ბატონი პროფესორი აგრძელებს: „რამდენადაც ეს გამოთქმა ჭეშმარიტებას შეიცავს, იმდენადვე ჭეშმარიტი გახლავთ მისი საწინააღმდეგო გამონათქვამიც (მახინჯ სხეულში მახინჯი სულია). ყოველ შემთხვევაში დიმიტრი ჯაშის მაგალითი ამას ადასტურებს.“<sup>1</sup>

აღნიშნულზე მოკლე კომენტარს გვაკეთებთ: მკითხველისთვის, ზემოთ, წარმოდგენილი გვაქვს თავი - „მიხეილ ჯავახიშვილის „წიწამურა“ და მისი სინამდვილე“, სადაც მოვიტანეთ დიმიტრი ჯაშის და მისი ოჯახის წევრების ფოტოები. სრულებით ვრწმუნდებით, რომ არც დიმიტრი ჯაშს და არც მის ოჯახის წევრებს საზარელი გარეგნობა არ ჰქონიათ. ბატონი გურამი დიმიტრი ჯაშის გარეგნობასთან დაკავშირებით შეცდომაში შეიყვანა ქართული მწერლობის ავტორიტეტმა-მიხეილ ჯავახიშვილმა.

მე-10 თავში ბატონი გურამი ეხება ფილიპე გოგიჩაიშვილის მოგონებას, თუ როგორ უნდოდა ჯაშს „ივერიაში“ ილიას საწინააღმდეგო წერილის გამოქვეყნება. ამ საკითხს შევხვთ ზემოთ, მიუხედავად ამისა, ერთხელ კიდევ წავიკითხოთ ნოდარ გრიგალაშვილის სიტყვები: „გოგიჩაიშვილმა 1913 წელს დაწერა „როგორ იწერებოდა „ნუთუ?“ და „უკვდავი ბოროტება“. ჯაშის ხსენება არ არის. ავტორი ლანძღავს ფილიპე მახარაძეს. 1937 წელს კი ქვეყნდება გოგიჩაიშვილის იგივე წერილი „როგორ იწერებოდა „ნუთუ?“ სადაც ხსენება არ არის ფილიპე მახარაძისა, სამაგიეროდ ლაპარაკია იმაზე, რომ ჯაში წინააღმდეგი იყო 1905 წელს „ივერიაში“ ილიას პასუხის დაბეჭდვისა... სად არის ლოგიკა? ლოგიკა იმაშია, რომ 1938 წელს გოგიჩაიშვილი და გუგუშვილი, მასწავლებელი და მისი ყოფილისგუდენგი, ასრულებენ კომუნისტების დავალებას და წერენ გყუილებს... დავაფიქსირათ, რომ ეს დოკუმენტი იდება მხოლოდ 1938 წელს, მანამდე არც ერთ მკვლევარს არ უხსენებია არც ჯაშის მუქარა და არც მისი ასოთამწყობად მუშაობის ამბავი. ...“<sup>2</sup>.

ახლა ალექსანდრე შუშანაშვილი წავიკითხოთ: „ნიშანდობლივია, რომ ამ წერილში (1913 წელს დაწერილ წერილში-ავტ.) დიმიტრი ჯაში საერთოდ არ არის ნახსენები... ფილიპე გოგიჩაიშვილი დიმიტრი ჯაშს კარგად იცნობდა და, რასაკვირველია,

<sup>1</sup> გ.ყორანაშვილი, „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო“, 2004 წ. თბილისი;

<sup>2</sup> ნ.გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“, გვ.448, 2010 წ. თბილისი;

იგი რომ ყოფილიყო დებოშის ამგები, მისი პიროვნების დასახელებასაც არ მოერიდებოდა და არც უცნობად მოიხსენიებდა.<sup>1</sup>

ბატონ პროფესორს X თავში მოტანილი აქვს 1917 წლის „გაზეთ სახალხო ფურცელში“ დაბეჭდილი ჯაშის პროვოკაციული ამბები, გაზეთ „ტბილისკი ლისტოკის“ რედაქტორის დაკითხვის ოქმიდან ამონაწერი, სადაც იგი ჯაშს ანარქისტად და ბუნტის თავად მიიჩნევს. შემდეგ, ისევ, მიხეილ ჯავახიშვილის „წიწამურას“ უბრუნდება და ჯავახიშვილის სიტყვებით ამკობს დიმიტრი ჯაშს. ეს სწორედ ის საკითხებია, რაზეც ამახვილებდნენ ყურადღებას 1930-იანი წლებში.

ბატონმა გურამმა დიმიტრი ჯაშის „პოლიტიკური მსოფლმხედველობის“ ნათელსაყოფად მიუთითა 1916 წლის 13 მაისის თხოვნა, რომელიც გაეგზავნა რუსეთის იმპერატორს, მეფისნაცვალს და მის თანამემწეს სამოქალაქო ნაწილში ნასამართლობის მოხსნის თაობაზე, „გამოთქვამდა სურვილს შესულიყო „პრაპორშიკთა სკოლაში“ და ემსახურა რუსეთის გოლიათურ არმიამში. მკითხველს აცნობებს, რომ „აქედან ჩანს, რომ იგი თავგადაკლულ მონარქისტად მიიჩნევა თავს.“ შემდეგ აკეთებს რეზიუმეს: „აი, ასეთმა უტიფარმა, თავხედმა პირმა მონღომა ილიასეული საგურამოს მამულების მოურაობა“.<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, თავგადაკლული მონარქისტის დასადასტურებლად, ბატონ გურამს, მიუგნია 1916 წლის 13 მაისის დიმიტრი ჯაშის თხოვნის დედანისთვის. ჩვენ მხოლოდ ეჭვს შევიტანთ ამ თხოვნის კომენტარში. 1916 წელს დიმიტრი 32 წლის იყო და უკვე ორი წელი გაზეთის „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რეპორტიორი. განათლების ცენზი მას საეროდ არ გააჩნდა და თუ პრაპორშიკთა სკოლაში შესვლის სურვილი გამოხატა, რა იყო ამაში დასაძრახი. ცნობისათვის, დუშეთის მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ყარამან ფაღავაც მილიციის პრაპორშიკი იყო<sup>3</sup>. თუ დიმიტრი ჯაში მინიმალური განათლების ცენზის მისაღებად სურვილს გამოთქვამდა, არ უნდა იყოს გასაკვირი. მკითხველი, ალბათ, გაეცნობა წიგნის დანართებზე მოტანილ გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ „კუჩუკის“ ფსევდონიმით დიმიტრი ჯაშის წერილებს. მათი შინაარსით ვერვინ იტყვის, რომ „იგი თავგადაკლულ მონარქისტად მიიჩნევა თავს.“ საგაზეთო წერილებში იგი ქებით მოიხსენიებს კავკასიის ფრონტზე ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლებში რუსეთის ჯარის გამარჯვებებს. „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რეპორტიორი სხვაგვარად ვერ დაწერდა.

ბატონ გურამს შევახსენებდით 1979 წელს, იმ დროს, როდესაც ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი დაიცვა. მის სადოქტორო დისერტაციის ნაშრომში, იმ მიზნით რომ გამხადრიყო საბჭოთა იდეოლოგიის ფილოსოფიის დოქტორი, 58 გვერდიან ავტორეფერატში, 20 გვერდზე გამოყენებული აქვს მარქსის,

<sup>1</sup> ა. შუმანაშვილი, „წიწამურის ტრაგედია“, „ორიონი“, 2000 წ., თბილისი;

<sup>2</sup> გ. ყორანაშვილი, „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო“, 2004 წ. თბილისი;

<sup>3</sup> „კავკასიის კალენდარი“ 1908 წელი;

ენგელსის, ლენინისა და საბჭოთა იდეოლოგიის იმდრინდელი ხელმძღვანელის სუსლოვის შრომებიდან მოკლე ციტატები.<sup>1</sup> თუ ბატონი ყორანაშვილი დიმიტრი ჯაშის მიერ 1916 წლის 13 მაისს რუსეთის იმპერატორისთვის ერთგვერდიანი თხოვნის გაგზავნის გამო, მას თავგადაკლულ მონარქისტად მიიჩნევს, ბატონი გურამი საბჭოთა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მატარებელი დღემდეა. ამ მიზეზით ეჭვის ქვეშ ხომ ვერ დავაყენებთ მის პატრიოტიზმსა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრის მსოფლმხედველობას?

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, ვფიქრობთ, კარგად ესმის ადამიანის ცხოვრების პრობლემები იმ საზოგადოებრივ ფორმაციაში, რომელშიც ცხოვრობს. არ მოსწონს. ამაზე დიად არ წერს, თუ არსებული ხელისუფლების ოპოზიციაში არ დგას, მაგრამ არა მარტო გამოსავალს ეძებს, არამედ მოცემულ საზოგადოებაში პირადი ცხოვრების პერსპექტივასაც. ვერავის ვერ გავამტყუნებთ, იმისათვის, თუ, ის რატომ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საბჭოთა კავშირში, ასევე ვერ გავამტყუნებთ დიმიტრი ჯაშსაც, თუ რატომ ცხოვრობდა მეფის რუსეთის იმპერიაში და რატომ ეძებდა კარგი ცხოვრებისთვის გზებს. როცა დიმიტრი ჯაშის მისამართით მკვლევარი ეძებს ილიას მკვლევლობაში მისი მონაწილეობის თუ არ მონაწილეობის შესახებ სიმართლეს, განხილვის მთავარი მიზანი უნდა იყოს ის ფაქტები, რაც დაკავშირებული არის დიმიტრის ილიასთან მოურაობის დროს მომხდარ ტრაგედიასთან და არა მისი შემდგომი საქმიანობა თუ მის მიერ ჩადენილი დანაშაული. ფაქტია: მისი შემდგომი საქმიანობა და ჩადენილი დანაშაული, საბჭოთა ხელისუფლებამ გამოიყენა იმ მიზნით, რომ დაებრალეებინათ მისთვის ილიას მკვლევლობა, რაც 1942 წლის 5 იანვრის სასამართლო განაჩენში ჩაწერეს.

იმისათვის, რომ დაუდგენელი, ყალბი ჩვენებებით 1942 წელს დანაშაულში შერაცხული ადამიანი, 21-ე საუკუნეშიც დამნაშავედ და მახინჯი სულის მატარებლად დაანახო საზოგადოებას, ისევ ყალბი ჩვენებები და დიმიტრი ჯაშის ასი წლის წინათ დაწერილი განცხადება, რაც არ არის ილიას მკვლევლობასთან კავშირში, არ უნდა იქნეს გამოყენებული. გავიმეორებთ, ბატონი გურამი წერს იმას, რაც 1930-1940-ან წლებში ფართოდ იწერებოდა გაზეთებში და რაც სასამართლოს 1942 წლის 5 იანვრის განაჩენს დაედო საფუძვლად. ჯაშის ვერაგობაში მკითხველის დასარწმუნებლად, ავტორმა წყაროდ გამოიყენა ის ლიტერატურა, რაც გამოიყენა საბჭოთა იდეოლოგიამ და საბჭოთა სასამართლომ.

აღნიშნულის მიუხედავად, პროფესორი კატეგორიულად არ ენდობა საბჭოთა თემიდას: „ილიას მკვლევლობა ჩაიდინა თითქოს მხოლოდ მეფის „ოხრანკა“ - ჟანდარ-

---

<sup>1</sup> გ. ყორანაშვილი, ავტორეფერატი „პიტალიზმამდელი საზოგადოებროვ-ეკონომიკური ფორმაციების პრობლემა ისტორიულ მატერიალიზმში“ თსუ-ს გამომცემლობა, 1978 წ. თბილისი;

მერამ, რომლის ჩანაფიქრი და ნახელავი გამოჩნდა დ.ჯამის პიროვნების სახით. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ვერსია ოდენ ჭეშმარიტების მომენტს შეიცავს.“<sup>1</sup>

დამსახურებულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ჩვენ ვერ შევედრავებით იმისათვის, თუ რატომ მოიხსენიებს დიმიტრი ჯამს უტიფარ, თავხედ პიროვნებად და „ოხრანკის“ საიდუმლო თანამშრომლად. დიმიტრი ჯამი 1909-1911 წლებში, რომ „ოხრანკის“ საიდუმლო თანამშრომლი იყო ეს დადგენილი ფაქტია, ცხოვრებაში თავხედობა და უტიფრობაც გამოუჩენია დიმიტრი ჯამს, მაგრამ ბატონმა პროფესორმა დიმიტრი ჯამი საზოგადოებას დაანახოს 1907 წლის 19 ივნისიდან, ერთდროულად, ილიას მოურავად და იმავე დროს „ოხრანკის“ თანამშრომლად, იმ მიზნით, რომ გაამართლოს ზემოთ მოტანილი თავისი სიტყვები, ვერ დავეთანხმებით, რადგან, არა მარტო ამ თავში არამედ, მთელ წიგნში, არ არის მოტანილი საარქივო დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს, რომ დიმიტრი ჯამი 1907 წლის ივნისში იყო „ოხრანკის“ აგენტი. მოვითხოვთ, ყველაზე ცოტა, საარქივო დოკუმენტის წარმოდგენას, რომელიც დაადასტურებს 1907 წლის ივნისში დიმიტრი ჯამის „ოხრანკის“ აგენტობას.

გურამ ყორანაშვილი წიგნის 102-ე გვერდზე წერს:

„გრიციუნაის შემდეგნაირ ჩვენებას იძლეოდა: „გლეხების განცხადებით იგი (ჯამი გ.ყ.) ზედმეტსაც მოითხოვდა, რის გამოც მათ გუბერნატორს და გენერალარ-გუბერნატორს საჩივრითაც კი მიმართეს.“<sup>2</sup> (სქოლიოში მიაჩნებებს ალ. შუშანაშვილის წიგნის 103-ე გვერდს). ესეც, ცხადია, გამიზნული პროვოკაციის მიზნით კეთდებოდა. მიხეილ ჭავჭავაძის მკვლელობის მეორე დღის ამბავს ასე იგონებდა: „რამოდენიმე თვის წინათ მოკლულს ილიას მოურავს ქებით იხსენიებდნენ, ხოლო ჯამზე კბილებს ილესავდნენ. ერთმა გლეხმა მითხრა: „კაცო, ილიამ ყაბახ-სალდათების ეგზეკუცია აგვაცილა და სამაგიეროდ ისეთი მოურავი დაგვიყენა, რომ ეგ კაცი ყველაფერს შეგვისრულებს, რაც ილიამ აგვაცდინაო“.<sup>3</sup>

ამ კონტექსტშიც ვერ დავეთანხმებით ბატონ პროფესორს, გურამ ყორანაშვილი დიმიტრი ჯამის უარყოფით პიროვნებად გამოსაჩინად, შეგნებულად ურევს ნაცვალ-სახელებს, სადაც ილიას მაგივრად გულისხმობს დიმიტრი ჯამს.

ალ. შუშანაშვილის წიგნის 103-ე გვერდზე (რასაც პროფესორი სქოლიოში მიუთითებს-ავტ.) მოტანილია ამონაწერი 1907 წლის 3 სექტემბრის სტანისლავ გრიციუნასის დაკითხვის ოქმიდან: „განსვენებულ თავად ჭავჭავაძის მიმართ გლეხების დამოკიდებულება მაინც და მაინც შესაშური არ იყო, რადგანაც იგი იჭარას მოითხოვდა მცირეოდენი დათმობის გარეშე. გლეხების განცხადებით იგი ზედმეტსაც მოითხოვდა“.

<sup>1</sup> გ.ყორანაშვილი, „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო“, გვ.102, 2004 წ. თბილისი;

<sup>2</sup> გ.ყორანაშვილი, „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო“, 2004 წ. თბილისი;

<sup>3</sup> გ.ყორანაშვილი, „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო“, 2004 წ. თბილისი;

და, რის გამოც მათ გუბერნატორს და გენერალ-გუბერნატორს საჩივრითაც კი მიმართეს...“<sup>1</sup> როგორც ვხედავთ სტანისლავ გრიცინაის დაკითხვისას მოურავი ჯაში არ უხსენებია და არც უგულისხმია, მაგრამ ბატონი ყორანაშვილი ფრჩხილებში ჯაშს მიუთითებს „(ჯაში გ.ყ.)“.

რაც შეეხება მიხეილ ჯავახიშვილის მიერ მკვლელობის მეორე დღის ამბების მოგონებას, ის სრულებითაც არ არის მკვლელობის მეორე დღეს, სგურამოში მოხდარი ამბების მოგონება, არამედ მკვლელობიდან 29 წლის შემდეგ ჯავახიშვილის ხელით დაწერილია ისეთი ტექსტი, რაც თავისი სურვილით დაწერა „ჩეკას“ საამებლად ან რისი დაწერაც ბერიას თანამშრომლებმა მოსთხოვეს. 1936 წლის ზაფხულში დაწერილ „წიწამურას“ ოცდამეერთე საუკუნის მკვლევარი დღესაც იმ მიზნით იყენებს, რა მიზნითაც ის გამოიყენეს ბერიას თანამშრომლებმა. ბატონი გურამი, ამ თავში დაკვირვებით აღნიშნავს და იმის შესახებ წერს, თუ როგორ იგონებდა მიხეილ ჯავახიშვილი ილიას მკვლელობის მეორე დღეს. ჩვენი წიგნის თავში, ზემოთ, მკითხველს დავანახეთ თუ როგორ „გაიხსენა“ მიხეილ ჯავახიშვილმა ილიას მკვლელობის მეორე დღე და როგორი „სიმართლე“ დაწერა.

ბატონი ყორანაშვილი შემდეგ აბზაცში ძალიან მოკლედ გადმოგვცემს 1941 წლის 25 დეკემბრის სამსჯავრო პროცესზე ყარამან ფაღავას ჩვენების შესახებ: „ერთი თვე ძლივს იყო გასული და ჯაშმა ილიას თავი მოაბეზრა. ამ საკითხზე უკანასკნელი გულახდილად ესაუბრა ზაალ ჭავჭავაძესა და ყარამან ფაღავას“.<sup>2</sup> პროფესორი, წყაროდ, ყარამან ფაღავას 1941 წლის 25 დეკემბერს სასამართლოსათვის მიცემულ ყალბ ჩვენებას იყენებს.

ბუნებრივია, რადგანაც არსებობს ასეთი ჩვენება, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ შეესაბამება სინამდვილეს, წყაროდ იქნეს გამოყენებული. მაგრამ მეცნიერმა ისტორიკოსმა და ფილოსოფოსმა რატომ არ გააანალიზა ნათქვამი იმის დასადგენად, თუ სიმართლის რამდენი „მარცვალი“ იღო ამ ჩვენებაში. ბატონი პროფესორი იცნობს დუშეთის მაზრაში ყარამან ფაღავას სამსახურის დაწყების ქრონოლოგიას. ფაღავა მაზრის უფროსის მოვალეობის შესრულებას შეუდგა 1907 წლის 14 აგვისტოს, როცა ახალქალაქის მაზრიდან გადმოიყვანეს. „ერთი თვე ძლივს იყო გასული და ჯაშმა ილიას თავი მოაბეზრა“, ალბათ, 20-22 ივლისი იქნებოდა. ამ დროს ფაღავა თბილისიდან 250 კმ-ის დაშორებით, ახალქალაქის მაზრაში მსახურობდა და იმის ფუფუნება არ ექნებოდა, როგორც პოლიციელს, რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ, გაძლიერებული რეპრესიების პირობებში, მიუხედავად მისი თავადობისა, 20-22 ივლისს თავად ილია ჭავჭავაძეს სტუმრად წვევოდა, მაგრამ ეს სიტყვები ყარამან ფაღავამ თავის ცრუ მოგონებაში 1937 წელს ჩაწერა, რომელიც

<sup>1</sup> ალ. მუშნაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ 1996 წ. თბილისი;

<sup>2</sup> გ. ყორანაშვილი, „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო“, 2004 წ. თბილისი;

პაატა გუგუშვილის „თხოვნით“ შექმნა და რომლის მიხედვითაც, 1941 წლის გამოძიებას და სასამართლოს ჩვენებები მისცა.

წიგნის მე-10 თავის მიხედვით, ბატონ გურამს არ სჯერა, რომ დიმიტრი ჯაში შემთხვევითი გასროლით დაიჭრა და საავადმყოფოში გარდაიცვალა. პროფესორი რამდენჯერმე ეყრდნობა დარია კოპლატაძის მოგონებებს, მაგრამ ამჯერად არა. დარია წერს: „...გასაბჭოების შემდეგ დიმიტრი სერგო ქაეთარაძის რეკომენდაციით დაინიშნა ქალაქის ერთ-ერთი რაიონის სურსათის მომმარაგებლად. სხვებს შორის დამზადებლის თანამდებობაზე მან აიყვანა ჩემი ძმა მიხეილ კობლატაძე, რომელსაც დიმიტრიმ მისცა რწმუნების ცნობა და მსხვილი თანხა ანგარიშის ქვეშ სურსათის შესაძენად კახეთში. ჩემმა ძმამ ეს თანხა გამოიყენა არადანიშნულებისამებრ: ლაგოდეხში გაეცნო ერთ ქალიშვილს, შეირთო ცოლად და სურსათის მაგივრად პატარძალი და მეზურნეები მოაყენა დიმიტრის კარზე...თანხა მთლიანად გაეფლანგა ძმას, მიხეილს. ამ სურათის დანახვაზე დიმიტრი მეგისმეგად გაბრაზდა და პატარძალთან მიხეილს სახეში სილა დარტყა ...მიხეილმა თავი შეურაცხყოფილად ჩათვალა და იარაღით დიმიტრის დაემუქრა. დიმიტრი ეცა და იარაღის წართმევა მოუნდომა. ამ დროს გავარდა იარაღი და მუხლის თავი დაუმსხვრია დიმიტრის. ბევრი სისხლი დაკარგა და გარდაიცვალა. ნიენისს დაკრძალეს ვერის სასაფლაოზე. ჩემი ძმა მიხეილი დაიჭირეს და ციფთი მეგების ციხეში გარდაიცვალა, სადაც იქნა დასაფლავებული...“<sup>1</sup>

ბატონი გურამი ამ ისტორიას ასე აღწერს: „იგი მოკლული იქნა თავის ცოლისძმის, მილიციელ მიხეილ კობლატაძის მიერ... თოფის წმენდისას „უცაბედად“ გავარდნილი ტყვიით. გავიდა რამდენიმე დღე და ჯაშის მკვლელებს ჯერ გათავისუფლებული იქნა პასუხისგებისგან, შემდეგ კი „გასაღებელი“ იქნა. რასაკვირველია ეს ფაქტები შემთხვევით როდი იყო, არამედ კანონზომიერება. საბჭოთა ხელისუფალნი ჭეშმარიტად განაფულ-დახელოვნებული“ იყვნენ.“<sup>2</sup>

სამწუხაროდ, ისევ უნდა გავუსწოროთ პროფესორს: დიმიტრი არ იქნა მოკლული თავის ცოლისძმის მიერ, არამედ ცოლისძმის ხელიდან შემთხვევით გავარდნილი ტყვიით დაიჭრა და სისხლისნაკლებობის შედეგად გარდაიცვალა. რაც შეეხება მიხეილ კოპლატაძის ხვედრს, ამ წიგნში, უკვე აღვნიშნეთ, მაგრამ დასაზუსტებლად მკვლევრებს ვთხოვთ, არქივში მიაკვლიონ მიხეილ კოპლატაძის გარდაცვალების მიზეზი და დასაფლავების ადგილი. იქნებ, ბატონი გურამი მართალს ბრძანებს.

დიმიტრი ჯაშის ცხოვრების ტრაგიზმი ილიას მკვლელობის შემდეგ დაიწყო. საპნის ბუმბიტით გაქრა უკეთესი ცხოვრების მომავალი. ილიასთან მოურავად დაღ-

<sup>1</sup> შ.მარკოზაშვილი,თბილისი, 2004 წელი „ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი მოურავი“გვ.63;

<sup>2</sup> გ.გორანაშვილი,“წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო“,2004 წ. თბილისი;

გომის მოტივაცია ჩვენ გადმოვეცით, მაგრამ ბატონი ყორანაშვილის აზრითა და თვალთ ვერ დავინახეთ იმ დანაშაულის მოტივაცია, რა დანაშაულის ჩამდენად იგი მიიჩნია წიგნის - „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო“-ს ავტორმა. ბატონმა გურამმა თავის წიგნში მკითხველს ვერ მოუტანა დოკუმენტალური დასაბუთება იმისა, (ყარამან ფაღავას ცრუ ჩვენების გარდა-ავტ.), როგორ დამნაშავედაც მას დიმიტრი ჯაში მიაჩნია, ვერც ლოგიკურად დაასაბუთა, თუ რატომ ჩაიდინა დიმიტრი ჯაშმა ის, რასაც ბატონი გურამი აბრალებს.

ბატონი პროფესორი ჯაშის მიმართ რასაც წერს, მე-20 საუკუნეში შექმნილ „დოკუმენტებს“ ეყრდნობა, რაც ჩვენ გაყალბებულ ნაწერებსა და დოკუმენტებს მივაკუთნეთ, ამის გამო ბატონ ყორანაშვილის ნაფიქრალი, რაც წიგნის სათაურის ქვეშ— „დიმიტრი ჯაშისა და „ოხრანკა“-ჟანდარმერიის როლი ილიას მკვლელობაში“ - დაწერა და გარკვეულად სხვა თავებშიც, ჩვენი აზრით, არის ბოლშევიკების მიერ 1930-იანი წლების მეორე ნახევარში ჯაშზე დაწერილი მოგონებებისა და 1942 წლის სასამართლოს განაჩენში ჯაშის დანაშაულის შესახებ ჩანაწერის 2004 წლის ტირაჟირება.

X თავის ერთ-ერთ ფურცელზე დაბეჭდილია: „დაბოლოს საბჭოური სასამართლოს მიმდინარეობისას გამომჟღავნდა ჯაშისა და ბერბიჭაშვილის ურთიერთობანი.“<sup>1</sup>

ეს წინადადება ამყარებს ამ კონკრეტული თავის შესახებ ჩვენს აზრს, რომ იგი 1930-იანი წლების მეორე ნახევარში ჯაშზე შედგენილი ყალბი მოგონებებისა და 1942 წლის სასამართლოზე გამოთქმული ყარამან ფაღავასა და გიგლა ბერბიჭაშვილის ცრუ ჩვენებების გამეორებაა.

2013 წელს გამომცემლობა „არტანუჯმა“ გამოსცა პროფესორ ყორანაშვილის წიგნი „ისევ წიწამურის ტრაგედიის საიდუმლოს შესახებ“, რომელიც წარმოადგენს კრიტიკული სტატიების კრებულს ისტორიკოსის თენგიზ სიმამშვილისა და ფილოლოგი პუბლიცისტის ნოდარ გრიგალაშვილის, თითოეულის მიერ, ცალ-ცალკე, შექმნილ ნაშრომებზე, რომლებშიც ახალი ხედვით არის დანახული ილიას მკვლელობის გარემოებები. სიახლე ის არის, რომ მათ მიერ საარქივო დოკუმენტების ანალიზით და მე-20 საუკუნის 20 -იანი წლების გაზეთ „რევოლუციური მათიანე“-ში ძველი რევოლუციონერების მოგონებების პუბლიკაციების გაცნობის შემდეგ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ილიას მკვლელობაში „იმერელის“ სახელით მონაწილე უნდა იყოს მცხეთელი რევოლუციონერი-ტერორისტი ილიკო იმერლიშვილი.

ბატონი ყორანაშვილი მათ კატეგორიულად არ ეთანხმება, არა მარტო ამ საკითხში, არამედ სხვა საკითხებშიც და, მათი მისამართით კრიტიკული წერილები შექმნა, რაც ერთ წიგნად შეკრა. ბატონი გურამი ფიქრობს, რომ „ვიდაც „იმერელის“ იდენტიფიკაცია მცხეთელ ყაჩაღ ილიკო იმერლიშვილთან, პრობლემის „გაუბრალო-

<sup>1</sup> გ.ყორანაშვილი, „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო“, 2004 წ. თბილისი;

ებაა. იგი დარწმუნებულია რომ „იმერელი“ იყო არამცხეთელი ყაჩაღი ილიკო იმერელიშვილი, არამედ სერგო ორჯონიკიძე.

რადგანაც, ჩვენს წიგნში, ილიას მკვლელობაში დიმიტრი ჯაშის არ მონაწილეობის არგუმენტებად, მის „ოხრანკასთან“ 1909-1911 წლებში თანამშრომლობის დამადასტურებელ საარქივო დოკუმენტად, მკვლევრების - გრიგალაშვილის და სიმაშვილის- მიკვლევული დოკუმენტები და მათი დასკვნებია, ჩვენც ვერ გავიზიარებთ ბატონი გურამ ყორანაშვილის წიგნში - „ისევ წიწამურის ტრაგედიის საიდუმლოს შესახებ“ მოტანილ კრიტიკულ წერილებს.

ახლა გივი ჟორდანია გარდაცვალების (2001წ.-ავტ.) შემდეგ 2005 წელს გამოცემული წიგნი - „მარტვილობა მესიისა“ განვიხილოთ. წიგნის პირველი ნაწილში წერს მარქსისტული იდეების დაპირისპირების შესახებ და ამ დაპირისპირების ფონზე განიხილავს ერის დამოღობის თუ დაუშლელობის საკითხებს, აგრეთვე, ქართველი სოციალისტების სხვაგვარად ნაზრევს. ეხება ქართველი მარქსისტების საქმიანობას მთელ რუსეთში, მათ შორის საქართველოში, მათი ლიდერების დაპირისპირებას რუს მარქსისტებთან და ასევე მათ ერთობლივ საქმიანობას. მსოფლიო მარქსისტული იდეების გავრცელების პირობებში განიხილავს ქართველი პატრიოტების ეროვნული ბრძოლის ტაქტიკასა და იდეოლოგიას, რომლის მთავარი ამოცანაა დიდი რუსეთის ფარგლებში ნაციონალური ავტონომიის შექმნა. ამ საქმეში ილია ჭავჭავაძის, როგორც ქართველი ერის წინამძღოლის როლს. განიხილავს ილიას მიმართ თავაშვებული აგიტაციის შედეგებს, რითაც ჯერ ერის წინამძღოლს ბევრჯერ გული ატკინეს — დაავადმყოფეს, შემდეგ, მისი აზრით, მეფის ხელისუფლებასთან შეთანხმებით სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, მისი გადაწყვეტილებით, სიცოცხლეს გამოასალმეს.

წიგნის პირველი ნაწილის ბოლოს გივი ჟორდანია წერს: „ამ თხუბულების ერთი მთავარი მიზანია ილიას ჭეშმარიტი მკვლელების გამოაშკარაება...დროა გაირკვეს: ვინ მოკლა ერის მამა და რა მიზნით!“

წიგნის „მარტვილობა მესიისა“ გარეკანზე, სათაურის ქვემოთ წერია: „ახალი მსალები ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ“. ახლისა რა მოგახსენოთ — წიგნის მეორე ნაწილში, თავმოყრილია ილიას მკვლელობის მეფის რუსეთის გამოძიების ავტორისეული კრიტიკა. მოტანილია საბჭოთა გამოძიებისა და სასამართლოს მასალები, რომლის შესახებაც ჟორდანია კრიტიკულია, მაგრამ დიმიტრი ჯაშის მიმართ, გამოტანილი განაჩენი გაზიარებულია, იმ განსხვავებით, რომ საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ილიას მკვლელობის გარემოებების შესახებ, უკვე საქვეყნოდ გახმოვანებული ანტიბოლშევიკური მიდგომა გაითვალისწინა.

ავტორი ცდილობს, რევიზია გაუკეთოს ილიას მკვლელობის 1907-1908 წლების მოკვლევასა და გამოძიების დოკუმენტებს. თავისი ანალიზითა და დასკვნებით მკითხველი დაარწმუნოს, რომ „ილიას მკვლელობა ერთობლივად მოამზადა მეფის

ქანდარმერიამ და სოციალ-დემოკრატიების მუშათა პარტიამ ფილიპე მახარაძის მეთაურობით.<sup>1</sup> ავტორის აზრით, როცა დიმიტრი ჯაში ილიას მოურავი გახდა, ანუ 1907 წლის ივნისამდე, იგი უკვე იყო ქანდარმერიის აგენტი, რომ „იმერელი“ ერმილუ დოლიძეა და ყოველივეს აბრალებს „ფილიპე მახარაძეს — შემოქმედელ იუდას და მის „ლაშქარს“. „ვინმე იმერელის“ უკან სერგო ორჯონიკიძეს არ მოიაზრებს. მოკლე წინადადებით აღნიშნავს: „ილია მოკლა არა მთლიანად ქართველ სოციალ-დემოკრატთა პარტიამ, არამედ — ამ პარტიის ექსტრემისტულად განწყობილმა ჯგუფმა.. არიან ისეთი მკვლელებიც, რომელნიც ილიას მკვლელობის ორგანიზაციის საქმეში იოსებ ჯულაშვილ-სგალინს რევენ... ამ ცილისწამების საფუძველს წარმოადგენს ქართველი სოციალ-დემოკრატის, მენშევიკ ირემაშვილის მოგონება...“<sup>2</sup>

ძველი აზრების გარდა, წიგნში გივი ჟორდანიას „ახლებურად“ განიხილავს ლიზა საგინაშვილის — ილიას დისა და მისი სახლის მმართველის — მიხეილ ჩიკვაიძის 1907 წლის სექტემბერში გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებს. კერძოდ, მისი აზრით, ისინი უფრო ადრე იცნობდნენ დიმიტრი ჯაშს, ვიდრე ეს ჩვენებაშია მითითებული.. ჟორდანიას სიტყვებით: „მაშასადამე, აშკარაა, რომ ჩიკვაიძე და საგინაშვილი დიდი ხანია (და არა „ოთხი თვე“ და ცოცხა მეტი) იცნობდნენ ჯაშს; მათ იცოდნენ, რომ ჯაში სოციალ-დემოკრატია იყო და ამ პარტიაში გარკვეული გავლენითაც სარგებლობდა, ასე, რომ შესძლებდა გამომძალველების შეჩერებას, რაც ქ-ნ ელისაბედს და ბ-ნ მიხეილს აწყობდა.“<sup>3</sup> ამ მიდგომით, ჟორდანიას ცდილობს, ეჭვი შეიტანოს საგინაშვილის და ჩიკვაიძის ჩვენებებში. მიაჩნია, რომ მათ დაკითხვისას შეგნებულად არ აჩვენეს ჯაშთან დიდი ხნის ურთიერთობის შესახებ იმ მიზეზით, რომ არ უნდოდათ გამოძიებისთვის გაეცხადებინათ, რომ საგინაშვილი მუქარის წერილებს იღებდა. გამოძიებამ მაინც შეიტყო, რომ საგინაშვილი მუქარის წერილებს ღებულობდა. გივი ჟორდანიას არ უნდა დაინახოს, რაც ელისაბედ საგინაშვილის ჩვენებაშია ჩაწერილი:

„...გამახსენდა ისიც, რომ ამ 11 წლის წინათ ჯაში, რომელიც მაშინ მთლად ბავში იყო, ნანახი მყავდა ჩემი განსვენებული ძმის გაბეთ „ივერის“ სტამბაში“.<sup>4</sup>

ზაალ ჭავჭავაძის სიტყვებით, საგინაშვილი ჯაშს დაეხმარა ილიასთან მოურავად დადგომაში ერთი მიზეზით: ამის შემდეგ იგი მუქარის წერილებს აღარ მიიღებდა. ამ კონტექსტით გივი ჟორდანიას მიგვანიშნებს ისე, როგორც 1930-იანი წლების საბჭოთა გამოძიება — ჯაში ილიასთან მოურავად მანტაჟის გზით მოხვდა.

ზაალ ჭავჭავაძე 1907 წლის 5 და 11 სექტემბრის დაკითხვის ოქმებში უჩვენებს ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს. 5 სექტემბერს ზაალ ჭავჭავაძე ამბობს: „განსვენე-

<sup>1</sup> გ. ჟორდანიას, „მარტვილობა მესიისა“, 2005 წ., თბილისი;

<sup>2</sup> გ. ჟორდანიას, „მარტვილობა მესიისა“, 2005 წ., თბილისი;

<sup>3</sup> გ. ჟორდანიას, „მარტვილობა მესიისა“, 2005 წ., თბილისი;

<sup>4</sup> ალ. მუშნაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ 1996 წ. თბილისი;

ბული თავადი ილია გრიგოლის ძე, მისივე სიგყვებით ვიცი, მუქარის წერილებს ღებულ-ლობდა... უკანასკნელად ამ წერილების შესახებ გავიგე 7-8 თვის წინათ, მას შემდეგ, რაც განსვენებულის დამ საგინოვამ მუქარის წერილი მიიღო...“<sup>1</sup> ამ ჩვენებით ზაალ ჭავჭავაძე უჩვენებს, რომ საგინოვამ მუქარის წერილი მიიღო 1907 წლის იანვარ-თებერვალში. დიმიტრი კი ლიზა საგინაშვილთან 1906 წლის შემოდგომის დასაწყისში მივიდა. ზაალ ჭავჭავაძის 11 სექტემბრის ჩვენებაში წერია: „როგორც ჩემთვის ცნობილია, მოურავად რეკომენდაცია ჯამს გაუნია ქალბატონმა საგინოვამ... როგორც მსმენია, რეკომენდაციის საფუძველი გახდა შემდეგი: ქალბატონი საგინოვა, როგორც ადრეც აღვნიშნე, მუქარის წერილებს ღებულობდა... ჩიკვაიძემ ურჩია, ჯამი როგორმე მოეწყო და ის თავისი გავლენებით წერილებისაგან იხსნიდა. დაინიშნა თუ არა მოურავად საგინოვას მიერ, მუქარის წერილების მიღებაც შეწყდა“.<sup>2</sup> ამ ორ ჩვენებას შორის წინააღმდეგობას გივი ჟორდანიას ვერ ხედავს. „...უკანასკნელად ამ წერილების შესახებ გავიგე 7-8 თვის წინათ...“ თუ ზაალმა ამ წერილების შესახებ გაიგო 1907 იანვარში, გამოდის, რომ მერე წერილების შესახებ არ გაუგია, მაგრამ დარწმუნებით ამბობს: „დაინიშნა თუ არა მოურავად საგინოვას მიერ, მუქარის წერილების მიღებაც შეწყდა“ ე. ი. წერილებს საგინოვა 1907 წლის მაისში და ივნისშიც ღებულობდა და მისი მიღება შეწყდა 19 ივლისიდან. გივი ჟორდანიას უნდა დაედგინა, ზაალ ჭავჭავაძის რომელ ჩვენებაშია სიმართლე.

გივი ჟორდანიას ჯამში სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრად მიაჩნია, მაგრამ ამის დამამტკიცებელი დოკუმენტი ვერ წარმოადგინა.

გივი ჟორდანიას ჯამის მოგონებები მოაქვს, რომლის ბეჭდვაც 1908 წლის სექტემბერში დაიწყო გაზეთში „სავაჭრო გზა“. ამ მოგონებებს როცა იხილავს ჟორდანიას წერს: „ჯამის სიხარული საგურამოს მამულების მოურავად დანიშნის შესახებ, ვფიქრობ, საკმაოდ დამაჯერებელია, რადგან იგი ბანკიდან გატაცებული ფულების გაფლანგვის შემდეგ „ქონებრივად ძლიერ ცუდ მდგომარეობაში“ ყოფილა“.<sup>3</sup>

ისტორიკოსი, რომელიც მრავალწლიანი კვლევის შედეგად ვერ მოიტანს ჯამის მიერ ბანკის ძარცვის დამადასტურებელ დოკუმენტს და ეყრდნობა დარია ჯამის 1941 წელს, ზეწოლით, მიცემულ ჩვენებებს, შესაბამისად იგი იზიარებს საბჭოთა გამოძიების დოკუმენტებს. ავტორს, აგრეთვე, ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ დიმიტრი ილიასთან მოურავად შანტაჟის გზით მოხვდა. ამის დამამტკიცებელი დოკუმენტი გივი ჟორდანიამ კი არა, 1930-ანი წლების გამოძიებამაც ვერ მოიძია. იმაზე აპელირება, რომ საგინაშვილმა მცდარი ჩვენება მისცა, სრულიად არ მიაინიშნებს იმას, რომ შანტაჟის გამო მან დამალა მუქარის წერილების მიღების ფაქტი. საგინაშვილმა გამომ-

<sup>1</sup> ალ. შუმნაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ 1996 წ. თბილისი;

<sup>2</sup> ალ. შუმნაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ 1996 წ. თბილისი;

<sup>3</sup> გ. ჟორდანიას, „მარტივობა მესიისა“, 2005 წ., თბილისი;

ძიებლის კითხვაზე — ღებულობდა თუ არა მუქარის წერილებს, უპასუხა, რომ ღებულობდა, ე. ი. არ დაუმალავს მუქარის წერილების მიღების ფაქტი და ამასთან, შანტაჟსაც გამოიციხავს — ჩვენებაში აღნიშნავს: „მისთვის არაფის არ უთქვამს, თუ ჭაშს დაეხმარებოდა, მუქარის წერილებს არ მიიღებდა“<sup>1</sup>.

გივი ჟორდანიას დიმიტრი ჯაშს ილიას მკვლელობის „შესაძლო ორგანიზატორად“ მიიჩნევს, ამასაც, მხოლოდ, დუშეთის მაზრის მმართველის მოვალეობის შემსრულებლის — ყარამან ფადავას 1941-1942 წლებში სასამართლოსთვის მიცემული ჩვენებით. ე.ი. ეყრდნობა საბჭოთა სასამართლოს დოკუმენტებს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ გივი ჟორდანიას, სამწუხაროდ, ვერ ერკვევა 1907 წლის საგამოძიებო დოკუმენტების მნიშვნელობაში, კერძოდ, იგი მოკვლევის ოქმს, ვერ ანსხვავებს დაკითხვის ოქმისაგან ან არ უნდა დაინახოს მათ შორის განსხვავება, როგორც ეს საბჭოთა სასამართლოს თავმჯდომარემ ისიდორე ოდიშვილმა გააკეთა, როცა 1942 წლის 5 იანვრის განაჩენს საფუძვლად დაუდო ყარამან ფადავას მოკვლევის ოქმი, განაჩენში იგი შეიტანა როგორც დაკითხვის ოქმი.

გივი ჟორდანიას აზრით დიმიტრი ჯაში 1907 წელს „ოხრანკის“ აგენტი იყო. ეს რომ ასე არ იყო, დამტკიცებულია საარქივო დოკუმენტებით. ამას ბატონი სიმაშვილიც ასაბუთებს.

ჟორდანიას ისეთ რამესაც წერს, რასაც ადგილი არ ჰქონია ილიას მკვლელობის 1907 წელს გამოძიების დროს: „თედო ლაბაურის პირველსავე დაკითხვის დროს გამოძიებამ მკვლელობის რამოდენიმე ქართველი მონაწილე გამოამჟღავნა. ესენი იყვნენ ბერბიჭაშვილი, ინაშვილი, ჭაში, ლაბაური, ორი უცნობი“<sup>2</sup>.

თედო ლაბაური, სტანისლავ გრიციუნაისის მიერ საგურამოში დაპატიმრებული, პირველად 1907 წლის 2 სექტემბერს დაიკითხა. 3 სექტემბერს თედო ლაბაური, როგორც ბრალდებული, დაკითხა სასამართლოს გამომძიებელმა ილიაშენკომ. ლაბაურს არც „პირველსავე დაკითხვაზე“, არც შემდგომ დაკითხვებზე და არც სასამართლო სხდომებზე ილიას მკვლელებს შორის დიმიტრი ჯაში არ უხსენებია. აქ გივი ჟორდანიას მკითხველი შეგნებულად შეცდომაში შეყავს.

პოლიტიკური რეალიების ცვლილებასთან დაკავშირებით, ჟორდანიას გაბედულად აკრიტიკებს „1941-1942 წლის სასამართლოს“ და წერს: „არანაკლებ არაკომპეტენტურად გამოიყურება „1941-1942 წლის ოდიშვილის სასამართლო“ გიგლა ბერბიჭაშვილის საქმეზე: დადგინდა, რომ ილია ვითომ „ოხრანკის“ აგენტებმა მოკლეს. მათ შორის, ბრალდებულმა ბერბიჭაშვილმა. უნდა ითქვას, რომ ამ საბჭოთა სასამართლომ

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილ.ჭავჭავაძის მკვლელობა“, 1996 წ., „მერანი“ თბ.;

<sup>2</sup> გ. ჟორდანიას, „მარტვილობა მესიისა“, 2005 წ., თბილისი.;

ვერ დაუბტვიცა ვერც ის, რომ იგი ირანში არ ყოფილა და ვერც „ოხრანკის“ აგენტი-ბა“.<sup>1</sup>

1942 წლის 5 იანვრის სასამართლოს განაჩენში ჩაწერილია: „ილიას მკვლელობა მოწყობილია მეფის ოხრანკის მიერ დაქირავებული აგენტის, ილია ჭავჭავაძის ყოფილი მოურავის, დიმიტრი სოფრომის ძე ჯაშის ხელმძღვანელობით, ინაშვილის, ბერბიჭაშვილის, ლაბაურის, ფშავლიშვილის (აფციაურის), ხიზანიშვილის და ფეიქრიშვილის მონაწილეობით.“

აქ თუ ვინმეზე წერია, რომ ის იყო მეფის „ოხრანკის“ მიერ დაქირავებული აგენტი, ეს დიმიტრი ჯაშია. დაქირავებული აგენტები - მრავლობით რიცხვში არ მოიხსენიება.

საქართველოში პარტოკრატიის ნგრევის პროცესში, 1980-იანი წლების მეორე ნახევარში, ილიას მკვლელობის ხელმძღვანელებად, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო, ამას უკვე არავინ მალავდა. უფრო მეტად, ხმამაღლა ამბობდნენ, მაგრამ ზოგიერთი წერდა კიდევ. ამ პერიოდში, თავიანთი შეხედულებების ტრანსფორმაცია განიცადეს იმ მკვლევრებმა, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ და რომლებიც 1934 წლიდან მოყოლებული ილიას მკვლელობას მეფის ხელისუფლების ჟანდარმერიას აბრალებდნენ. უკვე მათი აზრით, ილიას მკვლელობა ჩაიდინა მეფის ხელისუფლებამ და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელებმა, ერთობლივად. ზემოთ უკვე მივუთითეთ, რომ ბატონი გურამ ყორანაშვილი და აწ გარდაცვლილი გივი ჟორდანიას იმ მეცნიერთა ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებსაც მკვლელობის გარემოებების შესახებ საკუთარი ნააზრევნი ადრე არ ჰქონდათ დაწერილი, მაგრამ, 1987 წლიდან, საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღმავლობის დროს დაინტერესდნენ.

წიგნში ამ „აღმოჩენის“ საილუსტრაციოდ გივი ჟორდანიას წერს: „ძართალია, ილიას მოურავი, დიმიტრი ჯაში, ახლოს იყო ჟანდარმერიასთან, მაგრამ როცა იგი ორგანიზაციას უწევდა ი. ჭავჭავაძის მკვლელობას, ის მოქმედებდა არა რუსული ჟანდარმერიის, არამედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით“<sup>2</sup>.

გივი ჟორდანიას იმისიც სჯერა, რომ მახარაძემ ბერბიჭაშვილი და ჯაში — ეს ორი საპირისპირო მხარეს მდგომი ადამიანი — დაამეგობრა, რასაც ალექსანდრე სულხანიშვილზე დაყრდნობით წერს.

ჟორდანიას ჰგონია, რომ 1921 წლის მაისში დიმიტრი ბოლშევიკების დაკვეთით მოკლეს. ეს რომ არალოგიკური შეფასებაა, ამის შესახებ ზემოთ თავში უკვე აღვნიშნეთ.

წიგნის თავში „უდანაშაულო დამნაშავე“, ჟორდანიას სამართლიანად განხილული აქვს ყარამან ფაღავას მიერ დაშვებული მრავალი შეცდომა, მათ შორის უდანა-

<sup>1</sup> გ. ჟორდანიას, „მარტვილობა მესიისა“, 2005 წ., თბილისი;

<sup>2</sup> გ. ჟორდანიას, „მარტვილობა მესიისა“, 2005 წ., თბილისი;

მაულო მოძღვრიშვილის დადანაშაულება, მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც ბატონი ყორანაშვილიც, ყარამან ფადავას მოქმედებას ღრმა შეფასებას არ აძლევს, პირიქით ორივე ავტორი ერთნაირად იქცევა, უყოყმანოდ ენდობიან ფადავას ცრუ ჩვენებებს დიმიტრი ჯაშის მიმართ.

გივი ჟორდანიას დარწმუნებულია, რომ ილიას მკვლელობა ბახვის კრებაზე გადაწყდა და ალექსანდრე გრეკოვმა რამდენჯერმე მიცემული ალალ-მართალი ჩვენება ზეწოლის შედეგად გადათქვა. მას იმისიც სჯერა, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობდა ერთილე დოლიძე. ჟორდანიას მიიჩნევს, რომ „დოლიძის მკვლელობიდან გამოყვანა ნიშნავდა, საერთოდ, ქართველ სოციალურ-დემოკრატიული პარტიის სრულ რეაბილიტაციას“.<sup>1</sup>

ამ შემთხვევაშიც ჟორდანიას უსაფუძვლო განცხადებას აკეთებს, რადგან ილიას მკვლელებში იგი რატომღაც ვერ ხედავს სოცდემოკრატებს. თუ ყველა არა, სამი — ბერბიჭაშვილი, ინაშვილი, ფეიქრიშვილი—იყვნენ მცხეთის წითელრაზმელები, ანუ სოციალ-დემოკრატები.

გივი ჟორდანიამ გრეკოვის ჩვენება სინამდვილედ მიიღო, მიუხედავად ამისა, ვერ გვიჩვენა, თუ რა როლი ითამაშა გრეკოვის ჩვენებით კიდეც ორმა კენჭისყრით შერჩეულმა ტერორისტმა — კალენიკე დოლიძემ და დიომიდე ბასილაშვილმა. რატომ მათ მიმართ არ ჩატარდა გამოძიება. სამაგიეროდ, კარგად აგვიხსნა ილიაზე თავდასხმაში მონაწილეებში დასახელებული „ერთი იმერელის“ შესაძლო ვინაობა. ამას „ფორმალური ლოგიკის ელემენტარული კანონით“ ასკვნის.

„სხვა ლიხთიმერელი, ერთილე დოლიძის გარდა, ხომ არც ყოფილა ეჭვიგანილთა შორის.“<sup>2</sup>

გამოძიების არც პირველ ეტაპზე, მით უფრო, მომდევნო ეტაპებზე, ტერორისტები კალენიკე დოლიძე და დიომიდე ბასილაშვილი ნახსენები არ არიან. ჟორდანიას ლოგიკით, ეს ტერორისტებიც ხომ იყვნენ ლიხთიმერელები, მაგრამ მათი ხსენება არ არის.

ჟორდანიას, გელეიშვილის მსგავსად, წერს ჯაშისა და დოლიძის მეტენის ციხეში 1917 წელს დაგეგმილი დაპირისპირების შესახებ, რათა ილიას მკვლელობაში, ერთს მეორის მონაწილეობა დაედასტურებინა. დაპირისპირება ვერ შედგა, იმ მიზეზით, რომ დაავადებული დოლიძე გარდაიცვალა. მკვლევარ ჟორდანიას, როგორც გელეიშვილს, მიაჩნია, რომ ის მოკლეს და ეს ჯაშმა ჩაიდინა ან მისი დაკვეთით მოხდა. თუმცა, ამის მტკიცებულება გელეიშვილს არ ჰქონდა, მაგრამ ჟორდანიას მის სიტყვას ენდობა.

<sup>1</sup> გ. ჟორდანიას, „მარტვილობა მესიისა“, 2005 წ., თბილისი;

<sup>2</sup> გ. ჟორდანიას, „მარტვილობა მესიისა“, 2005 წ., თბილისი;

გივი ჟორდანიას წიგნში მოჰყავს პოლიტიკური ალექსანდრე სულხანიშვილის 1989 წელს მაისში მისთვის აშშ-ში ყოფნისას, სან-ფრანცისკოდან ტენესის მტატში გაგზავნილი წერილის ტექსტი. სულხანიშვილი ჟორდანიას წერს:

„დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო! ბოდიშს ვიხდი, რომ ასე დაგვიანებით გწერთ. ...რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის მკვლელობას, ეს უდიერი დიდი ღალატი ჩვენი სამშობლოსი, დიდი ხანია აღწერილი მქონდა, მაგრამ არ ვაქვეყნებდი, როგორც დამავალეს უფროსმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა: არ გამოაქვეყნო, მანამ საქართველო არ გათავისუფლდებო.“

...როდესაც ხელში ჩაგვივარდა ილიას მკვლეელი ვერბიჭაშვილი (ბერბიჭაშვილის ნაცვლად წერს ვერბიჭაშვილი-ავტ) საგურამოს რაიონში, მანამ ქაქუცასთან მიიყვანდნენ შეფიცულებს მისი გავლენა უნდოდათ და ყველა შეფიცული მას ზიზღით უყურებდა, მაგრამ ქაქუცამ ნაიყვანა ცალკე დასაკითხად ... ქაქუცა ბერბიჭაშვილის დაკითხვას მთლიანად შეფიცულებს არ უზიარებდა ...ბერბიჭაშვილის დაკითხვას მთლიანად ელიზბარ ვაჩნაძესა და მე გვაზიარებდა ქაქუცა ...ბერბიჭაშვილი დარჩა ჩვენს ბინაში მთელი დღე. დაღამებისას ქაქუცამ დაარიგა: არავის არ უთხრა, რომ შენ იყავი ჩვენთან დატუსაღებული, ან შენი დაკითხვის შესახებ ხმა არ უნდა ამოიღო არავისთან.“<sup>1</sup>

გივი ჟორდანია წერს: „ამ წერილს ალ. სულხანიშვილმა დაურთო ბერბიჭაშვილის დაკითხვის ჩანაწერი.“

„ბერბიჭაშვილის დაკითხვა:

1. ქაქუცა: ვინ დაგავალა ილიას მოკვლა, ან რა მიზეზით?

ბერბიჭაშვილი: ასე მეუბნებოდნენ: ილია თავადია და გლეხების მტერიო, მდიდარია და ფაეგონით დასეირნობსო.

2. ქაქუცა: რატომ პასუხს არ მაძლევ, ვინ დაგავალა, ან რა მიზეზით?

ბერბიჭაშვილი: მე მითხრეს ილია უნდა მოკვდეს, თორემ გლეხობას თავის დღეში შელავათი არ ექნებაო.

3. ქაქუცა: ვინ გითხრა? თქვი სინამდვილე!

ბერბიჭაშვილი: თვითონ მახარაძემ.

4. ქაქუცა: რას დაგპირდა მახარაძე ილიას მოკვლისათვის?

ბერბიჭაშვილი: ამას თუ გააკეთებ, შენ დიდი კაცი იქნებიო, და პენსია გექნება მთელი შენი სიცოცხლეო.

5. ქაქუცა: მაშინ მოლაპარაკებაში ფული არ მოგცა მახარაძემ?

<sup>1</sup> გ. ჟორდანია, „მარტვილობა მესიისა“, 2005 წ., თბილისი;

ბერბიჭაშვილი: ასე მითხრა ფილიპემ, აი ჯერჯერობით სამი თუმანი სახარჯოდ. მე-  
რე სხვა იქნებაო.

6. ქაქუცა: ვინ იყო შენთან ილიას მოკვლის დროს?

ბერბიჭაშვილი: მარტო ჯაში იყო ჩემთან.

7. ქაქუცა: როდის ან სად გაიცანი ჯაში?

ბერბიჭაშვილი: ფილიპესთან როდესაც ვიყავ, მეორე ოთახიდან შემოიყვანა ვინმე  
ჯაში და გვითხრა: აი, თქვენ ორმა უნდა გააკეთოდ გლეხების სასარგებლო საქმეო.  
ამის შემდეგ ჯაში და მე დაუმეგობრდით.

8. ქაქუცა: ვინ ვაგაგებინათ, როდის გამოივლიდა ილია წინამურში?

ბერბიჭაშვილი: თითონ ილიას კუჩერმა<sup>1</sup>.

**ტექსტს სულხანიშვილმა დაუმატა:** „ჩვენი გამოცდილებიდან: ჩვენი შეხედულებ-  
ბა ბერბიჭაშვილის და ჯაშის დამეგობრების შესახებ ასეთია. ფ. მახარაძემ იმისათვის  
დაამეგობრა და გააცნო ბერბიჭაშვილი და ჯაში, რადგან მთლიანად არ ენდობოდა ფ.  
მახარაძე ბერბიჭაშვილს და თუ რაიმე მიზეზით ბერბიჭაშვილი ვეღარ გაბედავდა,  
შეშინდებოდა ილიას მოკვლას, მაშინ ჯაში მოკლავდა ბერბიჭაშვილს, რომ ხმა არ  
გავრცელებულიყო ილიას მოკვლის შესახებ, რომელსაც ავალებდა ფ. მახარაძე.

ალ. სულხანიშვილი, მაისი, 1989 წ.<sup>2</sup>

დნელია ვიმსჯელოთ, რამდენად სწორად ჩამოაყალიბა ჭარმაგმა პატრიოტმა  
სულხანიშვილმა ეს წინადადება, აგრეთვე, არანაკლებ ასაკში შესულმა მეცნიერმა  
ჟორდანიამ, როცა ამას წერდა წიგნში („მარტვილობა მესიისა“, გვ. 276), მაგრამ, უდა-  
ვოა, აქ ჩნდება რამდენიმე კითხვა:

1. რატომ მიაჩნია სულხანიშვილს დიმიტრი ადამიანის მკვლელად და რატომ  
იზიარებს ამას ჟორდანია?

- ისტორიული დოკუმენტებითა და ფაქტებით დადასტურებული არ არის, რომ  
დიმიტრის ვინმე მოეკლას.

2. თუ ბერბიჭაშვილი შეშინდებოდა და ვერ მოკლავდა ილიას, მაშინ ჯაში მას  
მოკლავდა, მაგრამ გაუგებარია, სულხანიშვილის აზრით, ილია ვის უნდა მოეკლა?

- ალბათ ჯაშს, ხომ უთხრა მახარაძემ, „აი, თქვენ ორმა უნდა გააკეთოდ გლეხ-  
ბის სასარგებლო საქმეო.“ მაგრამ არც მახარაძეს და არც არავის სხვას, არ უნახავს, რომ  
დიმიტრი ადამიანთა ხოცვაში გაწაფული ტერორისტი ყოფილიყო. სულხანიშვილის  
წერილში მოყვანილი ეს წინადადება ჩვენთვის გაუგებარი შინაარსისაა, რადგან  
ისტორიულ ფაქტებს არ ეყრდნობა, იგი ჟორდანიას ფანტაზიის ნაყოფია.

<sup>1</sup> გ. ჟორდანია, „მარტვილობა მესიისა“, 2005 წ., თბილისი;

<sup>2</sup> გ. ჟორდანია, „მარტვილობა მესიისა“, 2005 წ., თბილისი;

სამწუხაროდ, მარტო ეს წინადადება არ არის ბუნდოვანი გარსით დაფარული.

სულხანიშვილი გადმოგვცემს, რომ ქაქუცამ წაიყვანა ბერბიჭაშვილი ცალკე დასაკითხად: „...ქაქუცა ვერბიჭაშვილის დაკითხვას შეფიცულებს არ უზიარებდა, დაკითხვას მთლიანად ელიბბარ ვაჩნაძესა და მე გვაზიარებდა“<sup>1</sup>. ე.ი. ჩანაწერი გააკეთეს იმისდა მიხედვით, რასაც ქაქუცა მათ გაუზიარებდა. შესაძლებელია, ინფორმაციის გაზიარება ხდებოდა იმ დღესვე ან მომდევნო დღეებში, თუმცა, როგორც სულხანიშვილი გვამცნობს, ბერბიჭაშვილის დაკითხვას ქაქუცა მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში, გვიანობამდე აწარმოებდა. თუ ბერბიჭაშვილის დაკითხვას მთლიანად ვაჩნაძესა და სულხანიშვილს უზიარებდა, ჩანაწერი როდის გაკეთდა - ამას სულხანიშვილი არ წერს. ჩანაწერი იმ დღესვე რომ გაეკეთებინათ და იგი გადაეცათ ქაქუცასათვის, როცა მასთან გვიანობამდე იმყოფებოდა ბერბიჭაშვილი, ქაქუცა ამ ჩანაწერს ბერბიჭაშვილს გააცნობდა და ხელსაც მოაწერიებდა. ქაქუცაც ხელს მოაწერდა და როგორც დაკითხვის ოქმს შეინახავდა. რადგან მასზე არც ქაქუცას და არც ბერბიჭაშვილის ხელმოწერები არ არის, ეს არ შეიძლება იყოს დაკითხვის ოქმი.

მკითხველი, ალბათ, იკითხავს: იმ დროს ქაქუცას და მისი შეფიცულების მდგომარეობა ისეთი იყო, რომ ქაქუცას ოქმის შედგენის ფორმალობისათვის არ ეცალა. ვერ დავეთანხმებით ამ მოსაზრებას, რადგან ქაქუცა პოლკოვნიკის ჩინით რუსეთის მეფის სამხედრო მოსამსახურე იყო, რომელიც კარგად აცნობიერებდა დამნაშავეს დაკითხვის პროცესს. თუ იგი ფიქრობდა, მომავალში გამარჯვების შემდეგ, ბერბიჭაშვილი აელაპარაკებინა, მისი დაკითხვის ოქმი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი იქნებოდა. იმისათვის, რომ გაეფორმებინათ ბერბიჭაშვილის დაკითხვის ოქმი, დრო ნამდვილად ჰქონდათ— ბერბიჭაშვილი დაღამებამდე მათთან ყოფილა და უფრო ვრცელი ჩვენებაც მიუცია, ვიდრე ეს სულხანიშვილის 1989 წლის მანძი გამოგზავნილი წერილის დანართშია გადმოცემული.

შემდეგ გივი ჟორდანიას წერს: „სულხანიშვილის მიერ დამახსოვრებულ რვა შეკითხვას და მათზე ბერბიჭაშვილის პასუხებს ... ისინი ეჭვს არ იწვევენ. საეჭვოა მხოლოდ რიცხვით შეეჭვსე კითხვა და მასზედ პასუხი, სახელდობრ: ვინ იყო ბერბიჭაშვილთან ილიას მოკვლის დროს? - „მარტო ჯაში იყო ჩვენთანო.“ რასაკვირველია, პასუხი გულისხმობდა ჯაშის ყოფნას ბერბიჭაშვილთან არა ილიას მოკვლის დროს, არამედ მაშინ, როცა ფილიპემ მიიღო იგი, დააგულა ილიას მოკვლა და „დაამეგობრა“ დიმიტრი ჯაშთან. რაც შეეხება ილიას მკვლელობას ეს სულ სხვა კითხვაა და ბერბიჭაშვილიც, ცხადია, სულ სხვა პასუხს გასცემდა. სახელდობრ, ალბათ, ჩამოუთვლიდა მკვლელებს. მაგრამ, სამწუხაროდ ბერბიჭაშვილის პასუხი ბ-ნ ალექსანდრეს არ დახსომებია და არცაა

---

1 გ. ჟორდანიას, „მარტვილობა მესიისა“, 2005 წ., თბილისი.;

გასაკვირი, ვინაიდან იგი ამას იხსენებდა ქაქუცას მიერ ბერბიჭაშვილის დაკითხვიდან 65 წლის შემდეგ...<sup>1</sup>.

ჟორდანიას, ამასთან ერთად, აღნიშნავს: „სამწუხაროდ, ეს ფრიალ მნიშვნელოვანი ამბავი ალექსანდრე სულხანიშვილს კანტიკუნტად აქვს განაგონი ჩოლოყაშვილისაგან.“<sup>2</sup> იგი წერილში გადმოცემულ ზოგიერთ საკითხს უნდობლობას უცხადებს. ამის საფუძველი ნამდვილად ჰქონდა გივი ჟორდანიას. ბერბიჭაშვილის დაკითხვის ჩანაწერი, რომელიც სულხანიშვილმა ვითომ ისტორიულ დოკუმენტად წერილს თან დაურთო, სულაც არ ყოფილა ასეთი, ის მის მიერ 1989 წლის მაისში ცალკე ფურცელზეა გაკეთებული.

ბერბიჭაშვილს შეფიცულთა მეთაურისთვის — ქაქუცასათვის — დიდი ჩვენება მიუცია, მაგრამ წერილის დანართში სულხანიშვილს ჩაუწერია მხოლოდ ბერბიჭაშვილისა და ჯაშის ვითომ დამეგობრების „ფრაგმენტი“, ისიც — „ჩოლოყაშვილისაგან კანტიკუნტად განაგონი“. ეს სიტყვები ბრჭყალებში შეგნებულად მოვაქციეთ, რადგან სულხანიშვილის მიერ . 1981 და 1985 წლებში გამოცემულ წიგნებში ბერბიჭაშვილისა და ჯაშის დამეგობრების შესახებ საერთოდ არაფერი წერია. 1989 წლის მაისში გაკეთებული ჩანაწერი სულხანიშვილმა, შესაძლებელია, ჟორდანიას თხოვნით გააკეთა.

ჩვენი აზრით, გარდა აღნიშნულისა, წერილი და მისი დანართი, სხვა მიზეზის გამოც, სანდო არ არის, რადგან ისტორიის ეს ეპიზოდი სულხანიშვილმა სხვადასხვა დროს — სხვადასხვანაირად აღწერა.

ალექსანდრე სულხანიშვილმა „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“ სან-ფრანცისკოში 1981 წელს, მანქანაზე ქართულად ნაბეჭდი და წიგნად აკინძული, ალბათ, რამდენიმე ათეული ეგზემპლარი გამოსცა-გამრავლა, ხოლო 1985 წელს ამავე საშუალებით გაამრავლა პატარა წიგნი, მაგრამ უფრო დიდი სათაურით: „რა ხდებოდა მეგების ციხეში ქართველებს შორის 1923 და 1924 წლებში და ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სინამდვილე“ (ტექსტი დაცულია, - ავტ.). გვხვდება თუ არა ამ მოგონებებში ის, რასაც სულხანიშვილი 1989 წლის მაისში წერილით ატყობინებდა გივი ჟორდანიას?

არც სან-ფრანცისკოში გამრავლებულ წიგნში „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“ და არც საქართველოში, გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ 2007 წელს გამოცემულ ამ წიგნში არ არის გადმოცემული ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ ბერბიჭაშვილის დაკითხვის დეტალები, საერთოდ არ არის ნახსენები ფილიპე მახარაძის მიერ ბერბიჭაშვილის და ჯაშის დამეგობრების ამბავი. რატომ? თუ ალექსანდრე სულხანიშვილი წიგნში „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“ იხსენებს შატილში ხევსურ ძაღლიკას მასპინძლობას და მისთვის ნათქვამ სიტყვებს, როცა ძაღლიკამ დასაძინებლად

<sup>1</sup> გ. ჟორდანიას, „მარტივობა მესიისა“, 2005 წ., თბილისი;

<sup>2</sup> გ. ჟორდანიას, „მარტივობა მესიისა“, 2005 წ., თბილისი;

მას სავარძელი შესთავაზა, ასე უთხრა: „აი, აქ დაიძინე შენ; მაგ სავარძელში ეძინა ფილიპე მახარაძეს; იგი იმისათვის მომიყვანეს, რომ ჩეჩნეთში გადამეყვანა; ფილიპე მახარაძემ გვილალაგა და შენც კი არ გვილალაგო“,<sup>1</sup> რატომ არ გაახსენდა ფილიპე მახარაძის მიერ ბერბიჭაშვილის და ჯამის დამეგობრების ისტორია? ეს ხომ ფილიპე მახარაძესთან ბერბიჭაშვილის შეხვედრას ეხებოდა! ეს გაუგებარია.

1985 წელს დაბეჭდილ პატარა წიგნში, სათაურით: „რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923 და 1924 წლებში და ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სინამდვილე“ მე-11 გვ-ზე სულხანიშვილი წერს: „ჩვენი ბრძოლების დროს, 1923 წ. ბათუმში, ჩავივიარდა ილიას ფიზიკური მკვლელი გ. ბერბიჭაშვილი (წინა ციგაგაში ვერბიჭაშვილად მოიხსენიებს - ავტ.). შეფიცვლები ზიზით უყურებდნენ და გაგლეჯა უნდოდათ მისი. მაგრამ ქაქუცამ აბაგია და დაჰკითხა. თითქმის ყველა კითხვაზე პასუხს იძლეოდა და ძლიერ შეშინებული იყო. დიდი დაკითხვის შემდეგ ქაქუცამ გაათავისუფლა იმ მოსაზრებით, თუ გავიმარჯვებთ, საჯაროდ გველაპარაკებინა. ბევრი გავიგეთ მისგან, პატარა ჯგუფის გვარები, რომლებმაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ილიას. აი, ვინ იყვნენ იმ ვერაგული ჯგუფის წევრები: თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე, ი. ჯიბლაძე, ის. რამიშვილი, ნოე რამიშვილი, ნ. ხომერიკი და პ. გელეიშვილი. ნ. ჟორდანიას მინწეული იყო ამ უდიერ კრებაზე. მაგრამ როდესაც გაიგო, რის შესახებ იყო კრება, თქვა, მე ხელები დამიბანია ამ საქმეშიო და წავიდა. ჟორდანიას წავიდა, მაგრამ არათფერი გააკეთა, რომ შეეჩერებინა ეს უდიერობა. ვერც გასცა პარტიული ამხანაგები, ალბათ იცოდა რომ გაცეცა მასაც მოკლავდნენ“.<sup>2</sup>

სულხანიშვილის მიერ 1985 წელს გამოქვეყნებული მოგონებიდან მ.მ. ეს ნაწყვეტი დაიბეჭდა 1991 წლის 12 აპრილს „ლიტერატურულ საქართველოში“, სათაურით: „მეტეხის ციხე - 1923-1924“.

ალექსანდრე შუმანაშვილი 1996 წელს გამოცემულ წიგნში „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ სულხანიშვილის მოგონების ამ ნაწყვეტს ასეთ კომენტარს უკეთებს: „...აღნიშნულ ფაქტს ქაქუცას არც ერთი თანამებრძოლი არ იხსენებს, თუმცა ბევრი მათგანის მოგონება ცნობილი და გამოქვეყნებულია. ქართველ ემიგრანტთა წრეებში თუ ასეთი რამ იყო ცნობილი, უშიშროების სამსახურს ეცოდინებოდა და ბერბიჭაშვილს ათქმევინებდნენ რამეს. სულხანიშვილის მიერ დასახელებულ პირებს, აბა, იმ დროს ვინ დაზოგავდა. საოცარია ის ფაქტი, რომ ალექსანდრე სულხანიშვილმა ეს ფაქტი ბერბიჭაშვილის გახმაურებული პროცესის დროს არ გაიხსენა და მხოლოდ ორმოცი წლის

<sup>1</sup> ალ.ექსანდრე სულხანიშვილი „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“ სან-ფრანცისკო, 1981 წელი;

<sup>2</sup> ალ.ექსანდრე სულხანიშვილი „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“ სან-ფრანცისკო, 1981 წელი;

შემდეგ თქვა...<sup>1</sup> მკითხველს ვთავაზობთ ამ ისტორიის კიდევ ერთ პუბლიკაციას, რომელიც სულხანიშვილმა მეცნიერ-ისტორიკოსს გოჩა საითიძეს უამბო. ბატონი გოჩა საითიძე 2011 წლის 11 ოქტომბერს „თბილისელებში“ დაბეჭდილ ინტერვიუში იმავე ეპიზოდს ასე გადმოგვცემს: „ქაქუცას ხელში ჩაუკარდა დიდი ილიას მკვლელი, გიგლა ბერბიჭაშვილი. რაზმელებს მისი მოკვლა უნდოდათ, მაგრამ ქაქუცამ ნება არ დართო და ცალკე დასაკითხად წაიყვანა. მკვლელის დაკითხვის ამბავი მას შემდგომ ალექსანდრე სულხანიშვილისთვის მოუყოლია. თურმე, დაკითხვის დროს ბერბიჭაშვილი მთლად ცახცახებდა და სიკვდილის შიშით სრული სიმართლე უთქვამს: ბერბიჭაშვილისთვის ილიას მკვლელობა თვით ფილიპე მახარაძეს დაუვალებია, თანაც, სამი თუმანი მიუცია სახარჯად, დანარჩენს კი სამომავლოდ შეჰპირებია. ...ილიას წინამძღვრში გამოვლის დრო კი ბერბიჭაშვილისთვის მწერლის მეტლეს, თედო ლაბაურს შეუტყობინებია. ქაქუცას ბერბიჭაშვილი გაუშვია - როცა დრო მოვა, მისი ჩვენება გამოგვადგება...“<sup>2</sup>

განსხვავება თვალსაჩინოა. ჯაში აქ ნახსენები არ არის. მხოლოდ წიგნში „მარტვილობა მესიისა“, ჟორდანია ახსენებს ჯაშს და მომდევნო წინადადებას სარკაზმითაც წერს: „ფილიპემ მაშინვე მისცა ჯაშს „სახარჯოთ“ სამი თუმანი, ოცდაათი მანეთი, არა, „ოცდაათი ვერცხლი!“ თვით განგებამ ინება ბ-ნ ფილიპეს მიეცა მომავალი მკვლელეზისთვის ისკარიოტელი იუდას კერძი — „ოცდაათი ვერცხლი...“

ქართველ პატრიოტს, იძულებით პოლიტიემიგრაციაში გადახვეწილ ალექსანდრე სულხანიშვილს, გულწრფელად სურდა ისტორიისათვის შეენახა ამბები, რაც მას 1923-1924 წლების საქართველოში სისხლიან ბრძოლებში, შემდეგ ემიგრაციაში, ქართველებს შორის ჩხუბის დროს გადახდენია, რაც ქართველ ემიგრანტთა შორის პოლიტიკური კამათისას გაუგონია და სხვისი მონაყოლი ამბები ჩაუწერია, თავი მოუყრია და წიგნებად დაუბეჭდავს.

წიგნში, „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“, როგორც აღვნიშნეთ, საერთოდ არ არის ნახსენები ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებები. ბერბიჭაშვილი ნახსენებია ერთხელ, რომელიც შეფიცულთა რაზმის მზარეული ყოფილა. წიგნის - „რახდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923 და 1924 წლებში და ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სინამდვილე“ (რომელიც მანქანაზე ნაბეჭდ 35 გვერდს შეადგენს) სათაურიდან ჩანს, რომ ის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სინამდვილეს ეხება. სულხანიშვილს რაც ილიას მკვლელობის შესახებ სინამდვილედ მიაჩნდა, წიგნის სამ გვერდზე დაუწერია. გივი ჟორდანია კი, ამას კანტიკუნტად გაგონილად მიიჩნევს, უნდობლობას უცხადებს. გამონაკლისია ერთი წინადადება - „ილიას

<sup>1</sup> ალ. სულხანიშვილი, „რახდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923 და 1924 წლებში და ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სინამდვილე“, 1985 წელი, სან-ფრანცისკო;

<sup>2</sup> ჟურნალი „თბილისელები“ გ. საითიძე, ინტერვიუ, 2011 წლის 11 ოქტომბერი;

ფიზიკური მკვლევლები იყვნენ ჯაში და ვერბიჭაშვილი“ — ჟორდანიას ამას სრულიად იზიარებს, მას ჯაში ბერბიჭაშვილთან ერთად ილიას ფიზიკურ მკვლელად მიაჩნია.

დომიტრი ჯაში ილიას ფიზიკურ მკვლელად არასოდეს, არავის მიუჩნევია, თვით დომიტრი ჯაშის ამკარა მტერსაც. არც ალექსანდრე შუმანაშვილმა გაიზიარა პოლიტიემიგრანტი სულხანიშვილის ეს სიტყვები. სამაგიეროდ, სულხანიშვილის ნაწერს ჟორდანიას იმეორებს. როგორც სულხანიშვილის, ისე ჟორდანიას ნაწერი ჯაშის მიმართ ასეთი კატეგორიული განცხადების შემდეგ სანდო არ არის. კიდევ უფრო არაობიექტურია ჟორდანიას ნაწერი, როცა მას მოაქვს „ვერბიჭაშვილის“ სიტყვები: „...ამის შემდეგ ჯაში და მე დავმეგობრდით“. ასეთი „ისტორიული“ ჩანაწერით უნდა დაგვარწმუნოს ჯაშისა და ბერბიჭაშვილის „დამეგობრების“ შესახებ. ვფიქრობთ, ჟორდანიას დეტალურად იცნობდა ბერბიჭაშვილის 1941-1942 წლების გამოძიებისა და სასამართლო დოკუმენტებს, მაგრამ ამ დოკუმენტებში მოტანილ სიტყვებს არ ეხება, სადაც ბერბიჭაშვილი ამბობს, რომ ჯაშს არ იცნობდა. მიუხედავად იმისა, რომ ბერბიჭაშვილს ჯაშზე ბევრი სიყალბე ათქმევინეს, მაინც მას სასამართლო სხდომაზე რამდენჯერმე წამოცდა, რომ იგი ჯაშს არ იცნობდა და ეს სიტყვები ჩაწერილია სასამართლოს დოკუმენტებში, რომელიც ამ წერილებში ზემოთ ორჯერ მოვიტანეთ.

სულხანიშვილი არც ერთ წიგნში არ წერს „ვერბიჭაშვილის“ სიტყვებს: „...ამის შემდეგ ჯაში და მე დავმეგობრდით“. მკითხველისათვის უნდა გავიმეოროთ, ეს მან, მხოლოდ, ჟორდანიასთვის გამოგზავნილ წერილში დაწერა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს წერილი ჟორდანიას დაკვეთით დაიწერა.

ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებში 1987 წელს და შემდეგ, საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენლები სულ უფრო ხშირად წერდნენ ილიას მკვლელობის ორგანიზატორებზე - ბოლშევიკებზე. მოგვიანებით გურამ შარაძე იტყვის: „ალექსი ინაურმა 80-იან წლებში „კაგებეს“ ერთ-ერთი ძველი თანამშრომელი ... გამომიგზავნა და მითხრა: ბატონო გურამ, დავალებული მაქვს, გადმოგცეთ ინაურის ბრძანება: ჩვენ ვხედავთ, რომ გურამ შარაძე ადგას ილიას მკვლელობის გამოძიების სწორ გზას, ილიას მკვლელობა სოციალ-დემოკრატიების ბოლშევიკური ფრთის ნამოქმედარია. ამიგომ ვუბრძანებთ, დადოს კალამიო“.<sup>1</sup>

1987 წელს, ილიას საიუბილეო დღეებზე, საქართველოს ბევრი ქართული დიასპორის წარმომადგენელი ეწვია. გამარტივდა ქართველ ემიგრანტებთან კავშირები და მათი მონახულება უცხოეთში.

ცნობილი ქართველი ჟურნალისტი და ხელოვნებათმცოდნე, პაატა ნაცვლიშვილი, 2007 წელს გამოცემულ სულხანიშვილის წიგნის „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“ წინასიტყვაობაში წერს: „1988 წელს სან-ფრანცისკოს გოლდენგეიგზარკში

<sup>1</sup> ჟურნალი „თბილისელები“, 2013 წ. 25 მარტი, ეკა პატარაია, ინერვიუ გ.შარაძესთან;

შემხვედრეს ალექსანდრე სულხანიშვილს. ძია საშამაც ამათვალიერ-ჩამათვალიერა, ამწონ-დამწონა, მიშა ნაცვლიშვილი შენი რა იყო, მკითხა და თუმცა ვუბასუხე, ნათესავი არ უნდა იყოს-მეთქი, ქაქუცას ხმალ-ხანჭალი უნდა წაიღო თბილისშიო, მთხოვა... მერე რაა, რომ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორად მუშაობ, ქართველი ხომ ხარო!“<sup>1</sup>

საქართველოში 1987 წელს შეიქმნა ილიას მკვლევლობის გარემოებების დამდგენი კომისია. ალექსანდრე შუშანაშვილი გვაცნობებს, რომ 1989 წელს ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის გარემოებათა დამდგენი კომისიის დავალებით აშშ-ში სამეცნიერო მივლინებით მყოფი გივი ჟორდანიას ტელეფონით ესაუბრა ალექსანდრე სულხანიშვილს („წინამურის ტრაგედია“, 2000 წ., გვ. 192). თავად გივი ჟორდანიას („მარტვილობა მესიისა“ გვ.274) წერს: „საქართველოს ლიტერატურის არქივის დირექტორის ვახტანგ გურგენიძის თხოვნის შესაბამისდ, მსურდა იქ ქართველი ემიგრანტი ალ.სულხანიშვილი გამეცნო... ვერ მოხერხდა ჩვენი შეხვედრა, რადგან ძალიან დაშორებული ვიყავით ერთმანეთისაგან: იგი სან-ფრანცისკოში ცხოვრობდა, მე კი, — ცენესის შტატში. ტელეფონით დაუკავშირდით მე და ჩემი მასპინძელი — ჩემი ვაჟი ვახტანგი — და ჩვენი საუბარი გაგრძელდა თითქმის მთელ საათს.“ ჟორდანიას შტატებში 1989 წლის თებერვლის დამლევადან დაწყებული სამი თვე იმყოფებოდა ტენესის შტატში. ავღნიშნავთ, რომ ოფიციალური მივლინება არ იყო, იგი მიიწვია საკუთარმა ვაჟმა, რომელიც აშშ-ში იყო გადასული საცხოვრებლად. გამოდის რომ 1989 წლის 1 მაისით დათარიღებული წერილი, მან სანფრანცისკოდან იქვე, აშშ-ი მიიღო.

ჩვენი აზრით, სატელეფონო საუბარში მნიშვნელოვანი იქნებოდა ჟორდანიას თხოვნა, რომ სულხანიშვილს მისთვის წერილი გაეგზავნა ისეთი ტექსტით, როგორც მას სჭირდებოდა, შესაბამისად, ალბათ, ტექსტიც უკარნახა. ამ საუბრის ჩანაწერი, როგორც ჟორდანიას წერს, დაცულია ლიტერატურის არქივში, ასლი — ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში. თუ ელექტრონული ჩანაწერია, დირს ნახვა, თუ არა, ხელით რასაც უნდა იმას დაწერდა. სულხანიშვილმა, თხოვნის შესაბამისი შინაარსის წერილი დაწერა და ჟორდანიას გაუგზავნა. ტექსტი ზემოთ უკვე მოვიტანეთ. ასეთი შინაარსის წერილი, არა მარტო ჟორდანიას, არამედ, გურგენიძესაც სჭირდებოდა, რომ გაემაგრებინათ 1942 წლის ბერბიჭაშვილის სასამართლოს განაჩენში არსებული ჩანაწერი — ილიას მკვლევლობის „ოხრანკისთვის“ გადაბრალდება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ნგრევასთან ერთად ძალას კარგავდა. 1981 და 1985 წლებში სანფრანცისკოში გამოცემულ მოგონებათა წიგნებში სულხანიშვილს დაბეჭდილი რომ ჰქონოდა ჯამისა და ბერბიჭაშვილის დამეგობრების ამბავი, საჭირო არ იქნებოდა ტელეფონით საუბრისას წერილის გამოგზავნის თხოვნაც, ალბათ, არც ერთ საათიანი საუბარიც. ჯამისა და ბერბიჭაშვილის დამეგობრების ამბავის გადმოსაცემად, სან-

<sup>1</sup> ალ.სულხანიშვილი, „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“, წინასიტყვაობა, „არტანუჯი“ 2007წ. თბილის;

ფრანცისკოში გამოცემული წიგნები ლიტერატურული წყარო იქნებოდა. სულხანი-შვილმა გივი ჟორდანას თხოვნა 1989 წლის 1 მაისს შეუსრულა, შესაბამისად, იგი ლიტერატურული წყარო გახდა და ამ წერილს ეყრდნობა, არა მარტო გივი ჟორდანია.

მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში არავის შეეძლო ისეთი სიმართლის ელფერი მიეცა 1941-1942 წწ. სასამართლოს ყალბი დოკუმენტებისთვის, როგორც ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცოცხალ თანამებრძოლს. ალბათ, სწორედ ამ მიზნით, 1924 წლის აჯანყების მონაწილეს წერილი დააწერიან. იგრძნობოდა საბჭოთა ხელისუფლების მოახლოებული ნგრევა. იმ მეცნიერებმა, რომლებიც ამავე დროს პარტიულ ნომენკლატურასაც წარმოადგენდნენ (ასეთები არსებობდნენ - ავტ.) და თავიანთ შრომებში მტკიცედ ეყრდნობოდნენ ილიას მკვლელობის 1942 წლის სასამართლო განაჩენს, 1924 წლის აჯანყების მონაწილეს, რომელსაც უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა მოგონებები, სადაც ნახსენები იყო ილიას მკვლელად ბერბიჭაშვილთან ერთად ჯამი, მაგრამ არაფერი ეწერა ჯამისა და ბერბიჭაშვილის „დამეგობრების“ შესახებ, რაც ძალიან სჭირდებოდათ. მისი წერილით კი მოინდომეს, სინამდვილედ გაესაღებინათ დიმიტრი ჯამის შესახებ ყოველივე ნაყალბევი, რაც, 1930-იანი წლებიდან მოყოლებული, წერეს.

სულხანიშვილმა ილიას მკვლელობის ორგანიზატორთა გვარები ახსენა 1985 წელს სან-ფრანცისკოში გამოცემულ წიგნში, ე.ი. ოთხი წლით ადრე, ვიდრე ჟორდანას წერილით აცნობებდა და რვა წლით ადრე გამოაქვეყნა ილიას მკვლელობის ინიციატორთა გვარები, ვიდრე საქართველო გათავისუფლდებოდა. მაშ, რისთვის იყო საჭირო 1989 წლის წერილში იმის ახსნა, რომ მას ილიას მკვლელობის ამბავი დიდი ხანია აღწერილი ჰქონდა, მაგრამ არ აქვეყნებდა დავალების შესაბამისად. გვჯერა სულხანიშვილის გულწრფელობის, ადამიანმა სამშობლოს თავისუფლებას შესწირა რაც კი ძვირფასი გააჩნდა, არ შეეძლო დაეწერა, ის რაც არ იცოდა, დაწერა ის, რაც ნანახი ჰქონდა და რაც სხვებისაგან გაგონილი. რა თქმა უნდა, შეცდომით ჩაწერისაგან არც ის იყო დაზღვეული. სულხანიშვილმა თავის წიგნში ჩაწერა, რაც მიაჩნდა ილიას მკვლელობის სინამდვილედ, რომელსაც მოკლედ მოვიყვანთ:

„დამნაშავენი არიან მაშინდელი მემარჯვენე ლიდერები, რომ მაშინვე არ გამოაქვეყნეს, ილიას მოკვლის განაჩენის გამომგანის გვარები... გამოიკვლიეს კიდევ, მაგრამ არ გამოაქვეყნეს იმ მოსაზრებით, რომ სამოქალაქო შეხლაში ქართველთა სისხლი არ დაღვრილიყო. ... რომ გამოექვეყნებინათ გვარები, ვინც გადაუწყვიტეს სიკვდილი ილიას, ამით სოცდემოკრატიის პარტია ძლიერ ალაგმული იქნებოდა და ისე ადვილად ვეღარ მოუსპობდნენ სიცოცხლეს მრავალ ქარ. პატრიოტებს... თავის დროზე რომ მაშინვე გამოქვეყნებულყო მათივე გვარები, ვინც სიკვდილი გადაუწყვიტეს ილიას, როდესაც რუსეთის იმპერია დაინგრა და საქართველოს მიეცა საშუალება დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა და თავისი მთავრობა ყოლოდა, მაშინ მარქსის-

ცების მთავრობას ცხვირსაც არავინ შეაყოფინებდა მთავრობის სასახლეში თბილისში... შემდეგ სწერდნენ და ხმებს ავრცელებდნენ სოც.დემოკრატიები ილიას სიკვდილს აბრალვებდნენ რუსეთის საიდუმლო ჟანდარმერიას. მეორეს მხრივ მის მებობელ გლეხკაცობას ...ილიას მოკვლის ამბავი ზუსტად ვიცით ორი ეროვნული. დემოკრატიებისაგან, ესენი იყვნენ ნევრები იმ სპეციალური კომისიისა, რომელსაც უნდა გამოეკვლია, ვინ იყვნენ ილიას მოკვლის განაჩენის გამომგანი, მე ეს ზევითა მაქვს მოყვანილი, მაგრამ ამ ორმა კომისიის ნევრმა ემიგრაციაშიც არ იკისრეს გამოქვეყნება და საიდუმლოდ ინახავდნენ საქართველოს განთავისუფლებამდე. რადგან ესენი, ხანში იყვნენ შესული, როგორც უფრო ახალგაზრდას მათზე, მე გამიზიარეს ეს საშინელი ამბავი, და სიცყვა ჩამომართვეს საიდუმლო შემენახა საქართველოს განთავისუფლებამდე. მათ ეკონათ ჩემ სიბერემდე საქართველო ვათავისუფლდებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და მეც მივბერდი ემიგრაციაში.”<sup>1</sup>

ძნელად დასაჯერებელია სულხანიშვილის სიტყვები, რომ ილიას მკვლელობის შემსწავლელი კომისიის ორმა წევრმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან ემიგრაციაში საიდუმლოდ ინახავდა და ვერ გაბედეს იმათი გვარების ხსენება, ვინც ილიას სიკვდილი გამოუტანეს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია საქართველოში შეიქმნა, მხოლოდ, 1917 წელს. 1917-1921 წლებში ილიას მკვლელობის შემსწავლელი კომისიის მუშაობის შესახებ არქივებში დოკუმენტები, არც საქართველოში და არც ემიგრაციაში არ არის მოძიებული. შესაბამისად სულხანიშვილის ინფორმაცია ამ კუთხით, ისტორიულ დოკუმენტებს არ ეყრდნობა.

მკითხველს გავაცნობთ იმ პირების ცხოვრების შესახებ ინფორმაციას, რომელთა გვარები საიდუმლოთ გაანდეს სულხანიშვილს. ფილიპე მახარაძე წითელ საქართველოში ცხოვრობდა და ილიას მკვლელის - ბერბიჭაშვილის სასამართლოს დაწყებამდე 10 დღით ადრე გარდაიცვალა; ნოე ხომერიკი - 1924 წელს, ხოლო ისიდორე რამიშვილი, 1922 წლიდან პატიმარი, 1937 წელს ბოლშევიკებმა დახვრიტეს; ნოე რამიშვილი 1930 წელს პარიზის ქუჩაში სოცდემოკრატიამ ჭანუყვაძემ მოკლა; პეტრე გელიევილი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკი გახდა და 1937 წელს გარდაიცვალა. ვიკითხოთ: ვისი უნდა შეშინებოდა ემიგრაციაში იმ ორ ეროვნულ დემოკრატს, რომელთა გვარებს სულხანიშვილი არ გვეუბნება? ალბათ, ნოე ჟორდანიასი, რომელიც 1953 წელს გარდაიცვალა. მაგრამ, სულხანიშვილის გადმოცემით, ჟორდანიას ილიას „განაჩენის“ გამოტანაში მონაწილეობა არ მიუღია, მას მხოლოდ უმოქმედებაში ადანაშაულებს. რატომ ინახავდნენ საიდუმლოდ ამ ამბავს, თან ასეთი პირობით - სანამ საქართველო არ გათავისუფლდებოდა. 1942 წელს, როცა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესი მიდიოდა, რატომ გაზეთებში არ გამოაქვეყნეს ილიას მკვლელობის

<sup>1</sup> ალ. სულხანიშვილი, „რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923 და 1924 წლებში და ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სინამდვილე“, 1985 წელი, სან-ფრანცისკო;

სინამდვილე, რაც მათთვის ცნობილი იყო და იმ ადამიანთა გვარები, ვინც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ილია ჭავჭავაძეს. ეს რომ მომხდარიყო, ბოლშევიკები თავიანთ გეგმას ვერ განახორციელებდნენ - ილიას სიკვდილს ვერ დააბრალებდნენ რუსეთის საიდუმლო ჟანდარმერიას და ცნობილი გახდებოდა მათი დანაშაული. ასეთია ჩვენი მოსაზრება იმაზე, თუ როგორ გამოიყენა გივი ჟორდანიამ ალექსანდრე სულხანიშვილის წერილი.

წიგნის წინათქმაში ბატონი ალექსი ჟორდანიას, გივი ჟორდანიას შვილი, წერს: „რასაკვირველია, ზოგი რამ, რაც მამას უდავო ჭეშმარიტებად მიაჩნდა, საკამათო იყო ჩემთვის. ყოველ შემთხვევაში მე თავს უფლება ვერ მივეცი ოდნავ შემეცვალა ავტორის ჩანაფიქრი. მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს ეს მომენტები“.

ვითვალისწინებთ ამ სიტყვებს, მხოლოდ დავამატებთ: ვფიქრობთ, წიგნი გამოიცა იმ მეცნიერთა ინიციატივით, ვინც იზიარებდა ილიას მკვლელობაში დიმიტრი ჯაშის ხელმძღვანელ როლს.

გივი ჟორდანია წერს: „...ვანო ინაშვილისა და დიმიტრი ჯაშის როლი ამ დანაშაულში უდავოა... ჩემს მოსაზრებებს ადასტურებს ერთი დოკუმენტი, რომელიც ალექსანდრე კოჭლავაშვილის პირად არქივში შემოგვინახა. ალექსანდრე კოჭლავაშვილი ბერბიჭაშვილის საქმის ერთ-ერთი გამომძიებელი იყო და შესანიშნავად ჰქონდა შესწავლილი ეს საქმე“.<sup>1</sup>

ალექსანდრე კოჭლავაშვილის — ბერბიჭაშვილის საქმის ერთ-ერთი „გამომძიებლის“ და, შემდგომში, 1950-1960-იან წლებში გაკეთებული ჩანაწერებისა და დამატებების ავტორის, რასაც 1942 წლის სასამართლოს განაჩენის გასამტკიცებლად აკეთებდა, მისი შემოქმედების ინტერესი და სინამდვილე, ჩვენი აზრით, ზემოთ დავანახეთ მკითხველს, ჩვენს მიერ მოტანილი არგუმენტებით. შესაბამისად, ობიექტური ვერ იქნება, და მის მიერ შექმნილ დოკუმენტებს სანდოთ არ ვღებულობთ.

ჟორდანიას წიგნის პირველივე გვერდზე მითითებულია მოკლე განმარტება, თუ რას ეხება წიგნი. პირველი აბზაცის ბოლო წინადადებაა: „წიგნის მეორე ნაწილში მოთხრობილია ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ; მიუვლელია მრავალი ახალი მასალა, გახსნილია მკვლელობის ორგანიზაცია“.<sup>2</sup>

შეუძლებელია, გივი ჟორდანიას გაეხსნა ილიას მკვლელობის ორგანიზაცია და საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს ამ ფაქტზე სათანადო რეაგირება არ გაეკეთებინათ. გივი ჟორდანიას, ისტორიკოსს, არ შეუძლო გაეხსნა ილიას მკვლელობის ორგანიზაცია, ეს საკითხი მის კომპეტენციას ცდებოდა.

<sup>1</sup> გ. ჟორდანია, „მარტვილობა მესიისა“, 2005 წ., თბილისი;

<sup>2</sup> გ. ჟორდანია, „მარტვილობა მესიისა“, 2005 წ., თბილისი;

ამით არ ვცდილობთ, ვინმეს შრომა დავაკნინოთ, მით უფრო, ბატონი ალექსის — შვილის, რომელსაც ამოძრავებდა მხოლოდ მამისადმი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობა. მივესალმებით ამ სულისკვეთებას.

ბატონი ალექსი ჟორდანია გადმოგვცემს, რომ წიგნის ხელნაწერს ავტორმა რამდენიმე უკანასკნელი წელი მოანდომა. გივი ჟორდანია გარდაიცვალა 89 წლის ასაკში, 2001 წელს. შესაძლებელია, ჭარმაგმა მეცნიერმა ხელნაწერი დასრულებული სახით ვერც დატოვა. წიგნის გამოცემაც იმას მიუთითებს, რომ ხუთი წლის განმავლობაში ავტორის ვაჟი - ბატონი ალექსი ჟორდანია, სანამ წიგნი გამოიცემოდა, გარკვეულ კონსულტაციებს გადიოდა იმ მეცნიერებთან, რომლებიც იზიარებდნენ წიგნში გადმოცემულ აზრებს. ამას თუ დავუმატებთ 1930-იანი წლების მეორე ნახევარში ჯაშუხე დაწერილი მოგონებების გავლენით ჟორდანიას წარმოსახვაში გაჩენილ დიმიტრი ჯაშის ქმედებებს, ეს წიგნი დიმიტრი ჯაშის მიმართ სხვა არაფერია, თუ არა ბოლშევიკების მიერ 1942 წლის სასამართლოს განაჩენში ჯაშის დანაშაულის შესახებ ჩანაწერის თანამედროვე გადამღერება — რემიქსი, რომელსაც მისამღერის სახით სან-ფრანცისკოში გამოცემული სულხანიშვილის მოგონებები მიემატა და მის მიერ გივი ჟორდანიასთვის გაგზავნილი 1989 წლის 1 მაისის წერილის ტექსტი.

ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ წიგნის გამომცემლებმა ეს წიგნი საქართველოს განათლებულ მომავალ თაობას - სტუდენტებს შესთავაზეს წასაკითხად, რომლებიც იმისთვის გაიმეტეს, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში ახსოვდეთ 1942 წლის საბჭოთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ყალბი განაჩენი.

21-ე საუკუნეში ილიას მკვლელობის გარემოებებთან დაკავშირებით გამოცემულ პროფესორ გურამ ყორანაშვილის მონოგრაფიას „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო“-სა და პროფესორ გივი ჟორდანიას წიგნს- „მარტვილობა მესიისა“ შორის, ჩვენ აღმოვაჩინეთ საერთოც და განსხვავებაც. სხვა სიტყვებით რომ გადმოვცეთ ჩვენი სათქმელი, ამ ორი წიგნის შინაარსი, რომლებიც ერთი წლის ინტერვალით გამოიცა, შეიცავს ერთმანეთისაგან განსხვავებულსა და საერთოს. გივი ჟორდანია წიგნში, რომელიც 2005 წელს გამოიცა წერია: „ილიას მკვლელობა ერთობლივად მოამბადა მეფის ანდრეასი და სოციალ-დემოკრატიის მუშათა პარტიამ ფილიპე მახარაძის მეთაურობით“. გურამ ყორანაშვილი, იგივე აზრს ერთი წლით ადრე, 2004 წელს გამოთქვამდა „სინამდვილეში ამ საბიბლარ დანაშაულში მონაწილეობდა ორივე მხარე: "ოხრანკა" - ანდრეასი და ქართველი სოციალ-დემოკრატები, განსაკუთრებით მისი რადიკალური ფრთა — ბოლშევიკები.“<sup>1</sup>

განსხვავებაც დავინახეთ: ჟორდანიას ცილისწამებად მიაჩნია ილიას მკვლელობის ორგანიზაციის საქმეში იოსებ ჯუღაშვილ-სტალინის ჩართვა, აგრეთვე, ის,

---

<sup>1</sup> გ. ყორანაშვილი „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო" 2004 წ.თბილისი,

რომ „იმერელი“ სერგო ორჯონიკიძე არ არის, არამედ ლიხთიმერელი ერმილე დოლიძეა. გივი ჟორდანიას აზრით ამ საქმეს ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატიების მუშათა პარტია ფილიპე მახარაძის მეთაურობით.

ბატონი გურამი ყორანაშვილი თავის მონოგრაფიის XV თავში სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით ასკვნის, რომ „აშკარად ჩანს კობა სგალინის ვერაგული როლი ილიას მკვლელობის საქმეში. რა თქმა უნდა, შესაბამის იდეურ ბრძოლაში კერძოდ ილიას საინალმდეგოდ, მას მონაწილეობა არ მიუღია (საერთო ბრძოლაში „ნაციონალისტების წინააღმდეგ“-კი, უცილოდ) და პილატესაფით განზე ვადგა, მაგრამ საბარელი ცერორისტული აქტის უკან იგი უთუოდ იდგა...უიმიხოდ სერგო ორჯონიკიძე (ილიას მკვლელობის წინა და შემდგომ ახლო ხანებში ასევე ბაქოში მცხოვრები და „მოლფანე“) „მოლფანე“) საქმეში ვერ გაერეოდა. ...“<sup>1</sup>

ორივე მეცნიერის აზრით, ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის არენიდან ჩამოშორების მთავარი დამგეგმავი და ამ გეგმის შემსრულებლები მეფის „ოხრანკა“ და ბოლშევიკებია და, ის რომ ილიას მკვლელობაში დიმიტრი ჯაშის მონაწილეობდა. დიმიტრი ჯაშის მონაწილეობის შესახებ მათი არგუმენტები, მხოლოდ ყარამან ფაღავას მოგონებებს ეყრდნობა, რაც 1942 წლის სასამართლოზე ყარამან ფაღავამ ჩვენების სახითაც გაიმეორა და აგრეთვე, ალექსანდრე კოჭლავაშვილის ჩანაწერებს. სხვა საარქივო დოკუმენტი მათ არ გააჩნიათ. გივი ჟორდანიამ სიცოცხლეშივე იზრუნა იმაზე, რომ ილიას მკვლელობაში ჯაშის მონაწილეობის შესახებ, უფრო ღირებულებითი არგუმენტი მოეძია და სან-ფრანცისკოში მცხოვრებ ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლს ალექსანდრე სულხანიშვილს სთხოვა გამოსაგზავნ წერილში დაეწერია ისეთი ამბავი დიმიტრი ჯაშზე, რაც სულხანიშვილს ადრე ამერიკაში გამოცემულ წიგნებში არ ჰქონდა ჩაწერილი.

ბატონი გურამ ყორანაშვილი დიმიტრი ჯაშს ილიას მკვლელობის შემსრულებელთა იმ ვერტიკალში აქცევს, რომელსაც ჯუღაშვილი ხელმძღვანელობს და პარტიულ თანამდებობრივ რიგში, მას ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე მოსდევს. იგი სიტყვიერად, იმასაც ადასტურებს, რომ დიმიტრი ჯაში იოსებ ჯუღაშვილს ახლოს იცნობდა. ამაზე დარია ჯაშს თავის მოგონებებში არ დაუწერია და, არც ჩვენთვის, - შვილიშვილებისათვის- უამბნია. რაც მნიშვნელოვანია, არც ისტორიული დოკუმენტებით დადასტურებულა.

ორი მეცნიერი - ბატონი გურამ ყორანაშვილი და აწ გარდაცვლილი გივი ჟორდანია - კომუნისტური საქართველოს გაქრობის შემდეგ - ილიას მკვლელობაში, თამამი განცხადებებით, სოციალ-დემოკრატების მემარცხენე ნაწილს -ბოლშევიკებს ბრალს დებენ, მაგრამ მეფის რუსეთის ხელისუფლების, უშუალოდ, „ოხრანკა-ჟან-

---

<sup>1</sup> გ. ყორანაშვილი „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო“ 2004 წ.თბილისი და 2012 წ.21 მაისს, ინერნეტგაზეთში maswavlebeli.ge

დარმერიის მონაწილეობა უთუოდ მიაჩნიათ. ილიას მკვლელობის საქმეში „ოხრანკისათვის“ თავისი ადგილის მიჩენით პროფესორებმა - ჟორდანიამ და ყორანაშვილმა, - საბჭოთა მეცნიერთა უფროსს თაობას, რომელებმაც შექმნეს და მტკიცედ იცავდნენ ილიას მკვლელობის „ოხრანკისულ“ ვერსიას, ამაგი არ დაუკარგეს. დიმიტრი ჯაში, კვლავ, „ოხრანკის“ სახეთ დატოვეს, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროფესიონალმა ისტორიკოსებმა თავიანთ წიგნებში ვერ მოიტანეს ისტორიული დოკუმენტი იმის შესახებ, რომ 1907 წლის 30 აგვისტოს დიმიტრი ჯაში „ოხრანკის“ აგენტი იყო.

ჩვენი აზრით, ბატონი გურამ ყორანაშვილი პირველი ქართველი მეცნიერია, რომელმაც დაწერა: „აშკარად ჩანს კობა სტალინის ვერაგული როლი ილიას მკვლელობის საქმეში...საზარელი ცერორისტული აქტის უკან იგი უთუოდ იდგა“.

## ბ ო ლ ო თ ე მ ა

ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით გამოთქმული ვარაუდები, გამოძიებისა და სასამართლო პროცესები აღწერილი აქვთ თავიანთ შრომებში თითქმის ოცდაათზე მეტ ქართველ მეცნიერ-მკვლევარს და საზოგადო მოღვაწეს. ილიას მკვლელობის შემდეგ და 1907 წლის 9 სექტემბრის - ილიას დასაფლავების შემდეგ, - ქართული საზოგადოებიდან, ვინც ილიას მკვლელობის გარემოებებს გამოეხმაურა იყო სილოვან ხუნდაძე პუბლიკაციებით: „ილია ჭავჭავაძის სახსოვრად“ და „მკვლელები და მცველები“, რომლებიც 1907 წლის ბოლოს გამოქვეყნდა;

დიმიტრი ჯაშმა 1908 წელს გაზეთ „სავაჭრო გზა“-ში, გამოაქვეყნა წერილები: 25 სექტემბერი- „შესავალი“, 2 ოქტომბერი - „საგურამოში წასვლამდე“, 5 ოქტომბერი - „საგურამოში პირველად“, 11-12 ოქტომბერი - „ახალ ბინაზე“. პუბლიკაციები შეწყდა და ამის მიზეზი უცნობია, მიუხედავად იმისა, რომ მკითხველებს პირდებოდა დაეწერა, ილიას მიმართ იმ შეუწყნარებელი გარემოებების შესახებ, რასაც ხედავდა.

კიტა აბაშიძემ, 1913 წელს გამოაქვეყნა წერილი- „ერთი პილატეთაგანი“.

1913 წელს ილიას საფლავზე იაკობ ნიკოლაძის სკულპტურული ძეგლის - ქალის ალეგორიული ფიგურის - „მწუხარე საქართველო“-ს აღმართვა, საბაბი გახდა, იმავე წელს, ფილიპე მახარაძესა და ფილიპე გოგიჩაიშვილს შორის გამართული საგაზეთო პოლემიკის, რომელიც ფილიპე გოგიჩაიშვილმა ილიას დასაცავად 6 წლის შემდეგ გაბედა და გააჩაღა. მას, თავის მართლებით გამოეპასუხა ფილიპე მახარაძე.

თითქმის, 24 წლის განმავლობაში, ილიას მკვლელობის გარემოებებს, გამოძიებას და მეფის რუსეთის გამართულ სასამართლოს არავინ შეხებია. ამ საკითხზე არც წიგნი გამოცემულა. 1937 წელს გამოიცა 131 გვერდიანი წიგნი -ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიული ნარკვევი და ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი წერილების კრებული, რომელიც საიუბილეო კომიტეტმა შექმნა.

1938 წელს „სახელგამმა“ გამოსცა პაატა გუგუშვილის წიგნი „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, რომელიც ილიას მკვლელობის შესახებ 1907 წელს ყარამან ფადავას ჩატარებული მოკვლევის, მის მიერ 1937 წელს დაწერილ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში დიმიტრი ჯაშის მონაწილეობის შესახებ „გამოძიების“ მასალებისა და მოგონებათა კრებულს წარმოადგენს, რომელმაც საბოლოოდ გააფორმა ილიას მკვლელობის „ოხრანკისეული“ ვერსია. ამ წიგნზე დაყრდნობით, სამი წლის შემდეგ ჩატარდა ილიას მკვლელობის ცოცხალი მონაწილის ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესი, 1942 წლის 5 იანვრის განაჩენით საბოლოოდ „სამართლებრივად“ გაფორმდა ბოლშევიკების მიერ შექმნილი ილიას მკვლელობის „ოხრანკისეული“ ვერსია.

1953 წელს ამ სასამართლოს თავმჯდომარემ ისიდორე ოდიშვილმა 1941-1942 წლებში გაყალბებული გამოძიებისა და სასამართლო დოკუმენტების თავმოყრით, შექმნა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ მონოგრაფია „წინამურის ტრაგედია“.

1957 წლის შემოდგომაზე თბილისში, ქუთაისში და თელავში ჩატარდა საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრების გაერთიანებული საიუბილეო სესია, მიძღვნილი დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 120 და გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი. ამ სესიებზე მოხსენებით გამომსვლელების აქცენტები გადატანილი იყო ილიას მკვლელობაზე, რომელიც მოაწყო მეფის რუსეთის „ოხრანკამ“, დაქირავებული აგენტის დიმიტრი ჯაშის ხელმძღვანელობით.

1983 -1984 წლებში აკადემიკოსმა გიორგი ჯიბლაძემ გამოსცა ორ ნაწილიანი წიგნი „ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება და პოეზია“ და „ილია ჭავჭავაძე. პროზა და მსოფლმხედველობა“ ილიას მკვლელობის გარემოებებს შეეხო პირველ წიგნში, სადაც „ოხრანკისეულ“ ვერსიას იმეორებს. 1987 წელს გამოიცა გიორგი ჯიბლაძის „თანამდევნი, უკვდავი სული“, ისევ ილია ჭავჭავაძის შესახებ.

1987 წლიდან, საბჭოთა იდეოლოგიის დასუსტებისა და სულ რაღაც ოთხ წელიწადში მის გაქრობასთან ერთად, უკვე, ილიას მკვლელობაში „ოხრანკის“ როლზე არ წერდნენ. XXI საუკუნეში ორი მეცნიერი ბატონი გურამ ყორანაშვილი და აწ გარდაცვლილი გივი ჟორდანიას გამოდის ახალი მეხედულებით: „ილიას მკვლელობის საქმე იყო ერთობლივი ნამოქმედარი მეფის რუსეთის ხელისუფლების, უშუალოდ ოხრანკა-ჟანდარმერიისა და ქართველი ესდეკების, ძირითადად მისი რადიკალური, მემარცხენე ნაწილისა (ბოლშევიკების).“ ამ პროფესორებმა, მეცნიერთა უფროს თაობას ამაგი არ დაუკარგეს და ილიას მკვლელობის საქმეში „ოხრანკას“ თავისი ადგილი მიუჩინეს.

უფრო ადრე შოთა ბაღრიძე, ილია ბაქრაძე, და გურამ შარაძე ილიას მკვლელობის გარემოებებში „ოხრანკის“-ა და დიმიტრი ჯაშის მონაწილეობას საერთოდ არ ახსენებენ. ამის შესახებ არც თავიანთ აზრს გადმოგვცემენ. 1942 წლის სასამართლო პროცესზე კი წერენ, როგორც მომხდარი ფაქტის შესახებ. დარწმუნებული ვართ, „ოხრანკის“-ა და დიმიტრი ჯაშის მიმართ 1942 წლის სასამართლოს განაჩენს რომ ეთანხმებოდნენ, ისინი ამის აღნიშვნას არ მოერიდებოდნენ.

მათი პოზიციის წარმოჩენა საჭიროდ მივიჩნიეთ, რათა მკითხველისთვის გვეჩვენებინა, რომ საბჭოთა პარტოკრატის პირობებშიც კი, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ ოფიციალურად ილიას მკვლელობის ხელმძღვანელად დიმიტრი ჯაში მიიჩნია და ცდილობდა მასების მენსიერებაში ეს სიცრუე სამუდამოდ აღბეჭდილიყო, საზოგადოებაში არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც 1942 წლის სასამართლო განაჩენს სინამდვილედ არ მიიჩნევდნენ.

ალექსანდრე შუმანაშვილმა, შალვა მარკოზაშვილმა და ნოდარ გრიგალაშვილმა თავიანთი წიგნებით შეძლეს ილიას მკვლელობის „ხელმძღვანელის“ — დიმიტრი ჯაშის ირგვლივ გამეფებული საზოგადოებრივი აზრის ჩამოშლა. მიუხედავად ამისა, არიან მკვლევრები, რომლებიც ჯაშის დანაშაულებრივ როლზე აზრს არ იცვლიან. გასათვალისწინებელია, ისიც, რომ ყველა წიგნი რომელიც ბოლო 30 წლის განმ-

ლობაში გამოიცა, ჩვენთვის უცნობია, რამეთუ არც შედიოდა ჩვენს ინტერესში გაგვეჩიხა ყველა გამოცემა. ჩვენ კარგად გვესმის, რომ იმ ავტორების წიგნები, რომლებიც ჯაშს არ განიხილავენ ილიას მკვლელობის მონაწილედ, სამართლებრივი დოკუმენტები არ არის, მაგრამ მათ ვეყრდნობით მხოლოდ ერთი მიზეზით, — მკითხველს დავანახოთ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული აზრი, რომლის მიხედვით, დიმიტრი ჯაშს ილიას მკვლელობაში უდანაშაულოა.

რაც შეეხება იმ მეცნიერ-მკვლევრებს რომლებიც მიიჩნევენ დიმიტრი ჯაშს როლს ილიას მკვლელობის ორგანიზებაში მათ ზურგს უმაგრებს 1942 წლის 5 იანვრის სასამართლოს განაჩენში დიმიტრი ჯაშს შესახებ ჩანაწერი, რომელიც, ამ წერილებში მოყვანილი არგუმენტებით, არაკანონიერია. საქართველოს სამართლებრივ სივრცეში ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით დიმიტრი ჯაშს დანაშაულის შესახებ არ მოიპოვება კანონიერი სასამართლოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილება. რასაც ისინი წერენ და აცხადებენ, მხოლოდ დაუსაბუთებელი ვარაუდებია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა პიროვნების პატივისა და ღირსების შელახვის გამო, შესაბამისად, უფლება გვაქვს, როგორც მემკვიდრეებმა, დიმიტრი ჯაშს მისი სიკვდილის შემდეგ სასამართლოს წესით დავიცვათ.

დიმიტრი რომ „ოხრანკის“ საიდუმლო თანამშრომელი იყო და სხვადასხვა დანაშაულისთვის დაპატიმრებული, — ეს, ბუნებრივია, რთული გადასალახია, მაგრამ როდესაც ჩვენს წინაპარს, სიკვდილის შემდეგ, დასაბუთების გარეშე, ორი მოწმის ცრუ ჩვენებით ილიას მკვლელობის ორგანიზატორად შერაცხავენ, გვიჩნდება დიდი სურვილი, დავიცვათ იგი. ამ წიგნში წარმოდგენილი წერილებით შევცვადეთ, რეალურად არსებული დოკუმენტებით და დადასტურებული ისტორიული ფაქტებით გავრკვეულიყავით სიმართლეში.

ალექსანდრე შუმანაშვილი თავისი სადოქტორო ნაშრომის დასკვნით ნაწილში და 2000 წელს გამოცემულ წიგნში „წიწამურის ტრაგედია“, დიმიტრი ჯაშთან დაკავშირებით წერს: „ჩვენამდე მოღწეული მასალებით, ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში არც დიმიტრი ჯაშს მიუღია მონაწილეობა... გამორიცხული არ არის, აღმოჩნდეს ახალი ფაქტები, დაზუსტდეს ცალკეული დეტალები და გარემოებები, მაგრამ ობიექტური მიდგომისა და კვლევის პირობებში ძალიან საეჭვოა არსებითად შეიცვალოს ნაშრომში გაკეთებული დასკვნები და შეფასებები“.<sup>1</sup>

წერილებში მოყვანილი არგუმენტები გვაძლევს საფუძველს, დავეთანხმოთ მის აზრს: „ილიას მკვლელობაში დიმიტრი ჯაშს მონაწილეობა არ მიუღია“.

---

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „წიწამურის ტრაგედია“, 2000 წ., თბილისი;

მეფის რუსეთის „ოხრანკას“ რომ ილია არ მოუკლავს, ამას იროდიონ ევლოშვილიც ადასტურებს.. „ეველოშვილის მიერ საკუთარი ამხანაგების მხილება ყველაზე ძვირფასი დოკუმენტია მეისტორიისათვის“<sup>1</sup>.

როგორც ზემოთ აღინიშნა 1930-იან წლებში, საბჭოთა საქართველოში სპეციალურად შეიქმნა პარტიული მუშაკებისა და მეცნიერების ჯგუფი, რომელსაც დაევალა ისეთი იდეოლოგიური ატმოსფეროს შექმნა, რომელიც დაარწმუნებდა საზოგადოებას, რომ ილია ჭავჭავაძე მოკლა მეფის „ოხრანკამ“.

დიმიტრი ჯაში — ილიას მკვლელობის დროს მისი მოურავი, ხოლო მოურავობის შემდეგ, 1909-1911 წლებში, „ოხრანკის“ თანამშრომელი, გარდაცვლილი 1922 წელს, — „შინსახკომის“ თანამშრომლებისათვის შესაფერისი ობიექტი გახდა ილიას მკვლელობის ხელმძღვანელობის დასაბრალებლად. ამ მიზნით, საბჭოთა ხელისუფლების სათანადო ორგანოების დავალებით, ცნობილ ადამიანებს: მიხეილ ჯავახიშვილს, ფილიპე გოგიჩაიშვილს, სანდრო შანშიაშვილს, ალექსანდრე სიგუას და კიდევ სხვებს, დიმიტრი ჯაშის დასაკნინებლად, დააწერივნეს ისეთი მოგონებები და წერილები, რომლითაც ზემოქმედება მოახდინეს საბჭოთა საზოგადოებრივ აზრზე და საზოგადოების უმეტესი ნაწილი დაარწმუნეს, რომ ილიას მკვლელობის ხელმძღვანელი მეფის „ოხრანკის“ ყოფილი აგენტი დიმიტრი ჯაში იყო.

ფაბრიკაციის — ილია მოკლა მეფის „ოხრანკამ“ მისი აგენტის გამოყენებით — შედგენა თავდაპირველად დაევალათ: გოგეშვილს — საქ. სსრ კპ(ბ) თბილისის კომიტეტის მე-3 მდივანს; ტორიშელიძეს — მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დირექტორს და მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს; მირცხულავას — საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ორგანიზაციის სახელობის რაიკომის მდივანს; ბედიას — საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და კულტურის განყოფილების გამგეს, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორს; კოტე გორდელაძეს — საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების უფროსს, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილეს, რომელმაც ჯერ შექმნა ხელნაწერი თეზისები, შემდეგ მანქანაზე ნაბეჭდი 160-გვერდიანი ნაშრომი, „ვინ მოკლა ილია“.

აღნიშნული პირების უმრავლესობა დახვრიტეს 1937 წელს.

ვერსიის — ილია მოკლა მეფის „ოხრანკამ“ მისი აგენტის გამოყენებით - შემდგენლები არიან:

1. ალექსანდრე სიგუა — მწერალი, ბერიას უშუალო დავალებით ეხმარებოდა კოტე გორდელაძეს; 1936 წლიდან 1980-იანი წლების ბოლომდე „ოხრანკისეული“ ვერსიის დამცველი. 1991 წელს გამოსცა წიგნი - „ვინ მოკლა ილია“, რომელშიც ილიას მკვლელობის გარემოებებში დიმიტრი ჯაშს უკვე ბოლშევიკებთან ერთად ხედავს;

---

<sup>1</sup> ნ.გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“, გვ.330, 2010წ.თბ.;

2. პაატა გუგუშვილი —ახალგაზრდა მეცნიერი-მკვლევარი, გორდელაძის შემდეგ ბერიას დავალების შემსრულებელი. 1938 წელს „სახელგამმა“ გამოსცა მისი წიგნი — „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, რომელიც „გზამკვლევი“ გახდა ილიას მკვლელობის საბჭოური — „ოხრანკისეული“ ვერსიისა და ბერბიჭაშვილის სისხლის სამართლის გამოძიების საქმის;

3. ისიდორე ოდიშვილი - 1941 წლის 14 დეკემბრიდან 1942 წლის 5 იანვრის ჩათვლით, პაატა გუგუშვილის სცენარით შედგენილი საბრალდებლო დასკვნის საფუძველზე გამართული გიგლა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესის თავმჯდომარე, საბჭოთა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1942 წლის 5 იანვრის განაჩენის გამომტანი, 1953 წელს გამოცემული მონოგრაფიის - „წიწამურის ტრაგედიის“ ავტორი;

4. ალექსანდრე კოჭლავაშვილი - 1937 წლიდან ბერიას აღზევებული კადრი, ჯერ საქართველოს კომპარტიის ცკ-ში, შემდეგ სახელმწიფო უშიშროების სისტემაში დაწინაურებული საგამოძიებო სამსახურის მაიორობიდან - შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეობამდე, გენერალი, ილიას მკვლელობის 1941 წლის გამოძიებისა და სასამართლოს სხდომების ზედამხედველი, ამ სასამართლოს თავმჯდომარის, ოდიშვილის მონოგრაფიაზე („წიწამურის ტრაგედია“) დართული შენიშვნებისა და ცვლილებების, ასევე, 1941-1956 წლებში შედგენილი ხელნაწერების ავტორი და მათი ერთად თავმოყრის ინიციატორი, რასაც მისი (კოჭლავაშვილის) სახელობის ფონდი ეწოდა.

ზემოთ ჩამოთვლილმა პირებმა უზრუნველყვეს არა მარტო ყალბი ვერსიის — ილიას მკვლელობის ფაბრიკაცია, არამედ შექმნეს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საბჭოთა ფუნდამენტური „ქრესტომათია“, რომელზედაც გაიზარდა თაობა. თაობა, რომელიც ამ „ქრესტომათიაზე“ დაყრდნობით თითქმის 80 წელი წერდა „მეცნიერულ“ კვლევებს. მასზე დაყრდნობით დღესაც გრძელდება ჯაშის დადანაშაულება.

სსრკ პროკურატურისა და საქართველოს სსრ პროკურატურის 1963-1964 წლების წერილებმა დაარღვია ილიას მკვლელობაში ჯაშის მონაწილეობის შესახებ გამეფებული სიცრუის ატმოსფერო. სწორედ ამ მიზეზით, ილიას მკვლელობის „ოხრანკისეული“ ვერსიის მხარდამჭერები აღნიშნული წერილების იგნორირებას ახდენდნენ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მკითხველს დავანახეთ ის სიცრუე, რაც დიმიტრი ჯაშის მიმართ გასაგები მიზეზით დაწერა მიხეილ ჯავახიშვილმა. წარმოვადგინეთ ალექსანდრე შუმანაშვილისა და ნოდარ გრიგალაშვილის შრომებიდან ფრაგმენტები, რომლებშიც კარგად ჩანს ფილიპე გოგიჩაიშვილის, ალექსანდრე სიგუას, პაატა გუგუშვილის ნაწერებში დიმიტრი ჯაშის მიმართ გამოთქმული სიცრუე.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი — ალექსანდრე სულხანიშვილი, ორჯერ დაბეჭდილ „მოგონებებში“ და ერთხელ — მისი მონაყოლით სხვის მიერ ჩაწერილში, ანუ ერთი და იგივე ისტორიული ეპიზოდის სამჯერ აღწერისას, მას სხვადასხვა შინაარსით გადმოგვცემს. ჯაშის გვარს მხოლოდ ერთხელ ახსენებს. ეს იმას მიგვანიშ-

ნებს, რომ მოგონებათა ავტორი სრულად არ არის დარწმუნებული ილიას მკვლელობის გარემოებებში ჯამის შესახებ. ამის თაობაზე ცნობები მიღებული აქვს მესამე პირისაგან, ნაამბობი კი ფაქტებით არ არის განმტკიცებული. რაც მთავარია, ადრე მის წიგნებად გამოცემულ მოგონებებში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორებისა და გარემოებების შესახებ დაწერილი ტექსტი არ ემთხვევა მის მიერ 1989 წლის მაისში პროფესორ ჟორდანიასათვის ამერიკიდან გამოგზავნილი წერილის შინაარსს.

ალექსანდრე შუმანაშვილის მიერ 1996 წელს და 2000 წელს გამოცემულმა წიგნებმა „ილ. ჭავჭავაძის მკვლელობა“ და „წიწამურის ტრაგედია“, ასევე, 2003 წელს გამოცემულმა შალვა მარკოზაშვილის წიგნმა „ილიას ბოლო მოურავი“ და ნოდარ გრიგალაშვილის ორტომეულმა „თანამდევნი სული“, რომელიც გამოიცა 2010 წელს, - ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით დიმიტრი ჯამის მიმართ საქართველოში ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრი შეცვალა.

1942 წლის 5 იანვრის სასამართლო განაჩენში ჩაწერილი — „დიმიტრი ჯამი ილიას მკვლელობის ხელმძღვანელი“ — რომ სიცრუეა, 1987 წელს აღიარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, მწერალთა კავშირმა და თვით საქართველოს კომპარტიამ სპეციალური კომისიის შექმნით, რომელსაც დაევა ილიას მკვლელობის ნამდვილი გარემოებებისა და მკვლელობის ხელმძღვანელების დადგენა. იმდროინდელი საზოგადოება და თავად კომისიის წევრები ვერ აღმოჩნდნენ იმ სიმაღლეზე, რომ დავალება შეესრულებინათ. კომისიის წევრების უმრავლესობა კომისიის სხდომებზე ილიას მკვლელობის ხელმძღვანელად მიიჩნევდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელებს და არა მეფის „ოხრანკას“. მიუხედავად ამისა კომისიას ოფიციალური დოკუმენტი არ შეუდგენია, რაც 1942 წლის 5 იანვრის სასამართლო განაჩენის გადახედვის საფუძველი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ კომისიის შექმნა ურყევი არგუმენტი გააჩინა იმისა, რომ 1942 წლის სასამართლო განაჩენში დიმიტრი ჯამის შესახებ არსებული ჩანაწერი სიმართლეს არ შეესაბამება.

საქართველოში ეროვნული მოძრაობის გაძლიერებისა და საბჭოთა წყობილების ნგრევის პირობებში, დიმიტრი ჯამს ახალ ბრალდებას უყენებენ. აცხადებენ, რომ ილიას მკვლელობის მიზნით, ის მოურავად „ოხრანკამ“ კი არა, სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ შეგზავნა, ან ორივე მხარემ ერთად. ჯამის ბრალდების ასეთი ტრანსფორმაცია ემსახურება ერთ მიზანს: 1942 წლის სასამართლოს განაჩენი ისევ დიმიტრი ჯამს მოარგონ, რათა მკვლელობის ნამდვილი ხელმძღვანელები კვლავ ჩრდილში დარჩნენ.

დიდი ილიას მკვლელობის გარემოებების კვლევისას, თენგიზ სიმაშვილს მიკვლევული აქვს მრავალი საგულისხმო დოკუმენტი, მაგრამ მისი ახალი ხედვის დასამტკიცებლად, ჩვენი აზრით, არც ერთი არ გამოდგება.

ინტერნეტბლოგზე გამოქვეყნებულ მასალებში თენგიზ სიმაშვილი თავის შრომებთან დაკავშირებით წერს: „ეკითხებო, ვფიქრობ, თქვენს წინაშე წარმოდგენილი ეს

მცირე საარქივო მასალა, საპირნონედ დადებული ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ აქამდე არსებულ ვერსიებთან, მონონებს თუ არა, უშვერი სიგყვებით მოხსენიება-ძაგებას ნამდვილად არ იმსახურებს“.<sup>1</sup>

ეს სიტყვები, დარწმუნებული ვართ, ჩვენ არ გვხება, მაგრამ აღვნიშნავთ: თენგიზ სიმაშვილის შრომებში თუ რაიმე აღმოვაჩინეთ დაწერილი ჩვენი ახლო წინაპრის მიმართ, ჩვენთვის მიუღებელი, არათუ არ დაგვიწერია, არამედ აზრადაც არ მოგვსვლია ბატონი თენგიზის მისამართით უკადრისი სიტყვები. მიუხედავად ჩვენი შეხედულებით, ზოგიერთი საინტერესო დასკვნისა და ამავე დროს, ზოგიერთი საკითხის მიმართ, კვლავაც ჩვენი აზრით, მცდარი შეხედულებისა, მისი მადლიერები ვართ იმ დიდი შრომისთვის, რაც მეცნიერმა გასწია. შრომის შედეგი თუ საფუძვლად დაედება დიმიტრი ჯაშის გასამართლებას, კიდევ უფრო ღირსეულად ჩავთვლით მის ნაღვანს. ამას იმიტომ ვწერთ, რომ, თუ ასე მოხდა, დიმიტრი ჯაში ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობისათვის საბოლოოდ გათავისუფლება დაუსაბუთებელი ბრალდებებისგან. იგი დასაბუთებულად შევა ისტორიაში, როგორც დამნაშავე ან უდანაშაულო. რადგან არ არსებობს ისეთი ფაქტი, რომელიც დაგვარწმუნებდა, რომ მან ჩაიდინა ისეთი დიდი ცოდვა, რასაც მოჰყვა დიდი ილიას სიკვდილი, ეს გარემოება ოპტიმისტურად განგვაწყობს სამართლებრივად საკითხის გადაწყვეტისთვის.

1934-1938 წლებში საბჭოთა სახელმწიფომ მოამზადა იდეოლოგიური ფონი და 20 წლის გარდაცვლილი ჯაში ილიას მკვლელობის ორგანიზატორად შერაცხა. რეპრესიები სწორედ იმ პერიოდში ჩატარდა. ბოლშევიკებმა მრავალი ადამიანი დახვრიტეს. თხუთმეტი წლის შემდეგ, დახვრეტილთა დიდი უმრავლესობა მართლმსაჯულებამ უდანაშაულოდ სცნო. აბა იმ დროს ვინ გაბედავდა დაეცვა დიმიტრი ჯაში. მოურავობის შემდეგ „ოხრანკის“ აგენტობა გახდა მიზეზი იმისა, რომ დიმიტრი ჯაში ჩაქოლვის ობიექტად იქცა. ცოცხალი არ იყო და რეპრესიები მას ვერ შეეხებოდა და მორალური განაჩენი გამოუტანეს — განაჩენი, რომელიც მხოლოდ მის შვილებს შეეხო. დიას, ეს ჩვენს მშობლებს შეეხო, მათი მორალური ტკივილებისა და განცდის მოწმენი ჩვენ ვართ — მათი შვილები. ილიას მოურავის — დიმიტრი ჯაშის ყოველი ხსენება, დაუმტკიცებელი ბრალდებებით, მათში უსამართლობის გრძნობას და სულიერ ტანჯვას იწვევდა.

ყალბი ბრალდებებით ადამიანების სახელისა და ღირსების შელახვა, მათი თავისუფლებისა და სიცოცხლის წართმევა, მორალურად და ფიზიკურად გატყუვა-განადგურება - იმ ბოროტების შემადგენელია, რასაც საბჭოთა ხელისუფლება რეპრესიების პერიოდში სჩადიოდა.

---

<sup>1</sup> თ. სიმაშვილი, ინერნეტბლოგი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და დოკუმენტების დაღაღი“, 2015 წ.;

ერთხელ კიდევ მოვიტანთ ალექსანდრე შუმანაშვილის სიტყვებს: „ ... 1942 წლის სასამართლომ დიმიტრი ჯაშის ბრალეულობის საკითხიც გამოიკვლია და სამართლებრივი შეფასება მისცა, რითაც უხეშად დაარღვია იმ დროს მოქმედი საქართველოს სსრ 1923 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის დევნა არ შეიძლება აღრძული იქნას, ხოლო აღრძული დევნა არ შეიძლება განგრძობი იქნას და უნდა მოისპოს პროცესის რა სტადიაშიც უნდა იყოს საქმე. უკეთუ ბრალდებული გარდაიცვალა. გარდაცვალებულის მიმართ საქმის წარმოება მაშინაც და ახლაც დასაშვებია იყო და არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა,ეს საჭიროა მისი რეაბილიტაციისათვის. მკვდრის გასამართლება უკანონოცაა, უზნობაც და უაზრობაც. მკვდრებს რომ არ ასამართლებენ,ეს პოსტულატი უძველესი დროიდანაა ცნობილი.“<sup>1</sup>

ვინმემ რომ არ იფიქროს,ისე, თითქოს ალექსანდრე შუმანაშვილის სიტყვები მოვიტანეთ, იმიტომ რომ დიმიტრი ჯაშმა ილიას მიმართ საშინელი დანაშაული ჩაიდინა და ამის გამო იგი ბრალდებული იყო, მაგრამ გარდაიცვალა ისე, რომ სამართალდამცავებმა ვერ მოასწრეს მისი გასამართლება, მკითხველს მოკლედ შევასხენებთ, რაც ზემოთ დაიწერა: დიმიტრი ილიას მკვლელობაში ეჭვიმითანილი, ადმინისტრაციული წესით დააპატიმრეს 1907 წლის 14 სექტემბერს. დანაშაულში სამხილების არ არსებობის გამო სამ თვეში გაათავისუფლეს. 1917 წელს, რუსეთის მეფის ტახტიდან გადადგომისთანავე, საქართველოს გარდამავალ მთავრობის წარმომადგენლებმა შექმნეს სპეციალური კომისია, სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური), სოციალ-ფედერალისტური და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებისაგან. კომისიას დაევალა რუსეთი პოლიციის საიდუმლო განყოფილების - „ოხრანკის“- აგენტების გამოვლენა და გასამართლება. 1917 წლის მარტში დიმიტრი ჯაშიც დააპატიმრეს, როგორც „ოხრანკის“ 1909-1911 წლებში მომქმედი საიდუმლო აგენტი - „სლუჩაინი“. რადგან დიმიტრი ჯაში 1907 წლის ზაფხულში, ილიას მკვლელობის დროს მისი მამულების მოურავი იყო, მოინდომეს მისთვის ილიას მკვლელობაში მონაწილეობის ბრალდების წაყენებაც.

„ოხრანკის“ აგენტობის გამო გაასამართლეს და რამდენიმე თვეში გათავისუფლდა. ილიას მკვლელობაში დიმიტრი ჯაში ვერ დაადანაშაულეს, მიუხედავად იმისა, რომ ილიას მკვლელობის გარემოებების შესასწავლად პარტიის დავალებით დუშეთის მაზრის სოფლებში მუშაობდა სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის რამდენიმე წევრი. ილიას მკვლელობაში მისი დანაშაულის სამხილები იმ დროსაც არ გამოჩნდა, არც მოწმეები. სხვა ხერხსაც მიმართეს, ბევრი ეცადნენ დიმიტრის აღიარებითი ჩვენება მიეცა, რაზეც კატეგორიული უარი მიიღეს.

<sup>1</sup> ალ..შუმანაშვილი, „წინამურის ტრაგედია“, “ორიონი“2000 წ.თბილისი;

ზემოთ მოტანილი ფაქტებით, ჩვენ მკითხველს დავანახეთ, რომ სიცოცხლეში დიმიტრი ჯაში ილიას მკვლელად ვერვინ შერაცხა. ეს ისტორიული ფაქტია. მხოლოდ, სიკვდილის შემდეგ, ბერბიჭაშვილის განაჩენში უკანონოდ ჩაწერეს მისი დანაშაულის შესახებ და, ამ უკანონობაზე წერს ალექსანდრე შუშანაშვილიც.

დიმიტრი ჯაში ცოცხალი არ იყო, ამიტომ, სოციალ-დემოკრატიული მუშათა ბოლშევიკური პარტიის დანაშაული ილია ჭავჭავაძის მიმართ, მის მოურავს, რომელიც 1909 წელს „ოხრანკის“ აგენტი გახდა, გადააბრალეს. მის სახელს ილიას მკვლელობის ხელმძღვანელის იარლიყი დააკერეს, რადგან ადვილად გასაწირი გახდა. საზოგადოებაში „ოხრანკის“ აგენტობის გამო მისი დანაშაული ადვილად დაიჯერა. სიცოცხლეში, ბევრმა სცადა ილიას სისხლით მოსვრილი ხელი მასზე შეეხოცა, მაგრამ, რარიც გასაკვირიც არ უნდა იყოს, მათ ეს ვერ შეძლეს. მხოლოდ სიკვდილის შემდეგ „გააფორმეს“ ილიას მკვლელობის ხელმძღვანელად და მერე მთელი 50 წელი საქართველოს ამაში არწმუნებდნენ. ამ საქმის დამწყები პარტიული და საბჭოთა ორგანოების თანამშრომლები, უკვე ითქვა, რომ 1936-1938 წლებში დახვრიტეს, როგორც ხალხის მტრები და მოღალატეები, სინამდვილეში უდანაშაულონი, ამასთან, შესაძლებელია, ილიას მკვლელობის გარემოებების კარგად მცოდნენი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მოთავენი საზოგადოებისათვის ოფიციალურად ცნობილი არ უნდა ყოფილიყვნენ. დღესაც არ არიან ცნობილი. საუკუნე გავიდა, მაგრამ მათი გამომჟღავნება და ლუსტრირება არ მომხდარა. ამ ცხოვრებიდან სისხლით მოსვრილი ხელებით წავიდნენ ისინიც კი, ვინც ილიას მკვლელობის ნამდვილი გარემოებები გააყალბა, რადგან ილიას მკვლელობის თანამზრახველებად დარჩნენ.

თენგიზ სიმაშვილი ალბათ, არ დაფიქრებულა იმ თანმხვედრ ატმოსფეროზე, რომელიც საქართველოში ბოლშევიკურმა პარტიულმა ნომენკლატურამ და საბჭოთა მართმსაჯულებამ შექმნა: ერთი მხრივ, ჩართული იყვნენ სისხლიან რეპრესიებში, მეორე მხრივ ასრულებდნენ რა ისევ კრემლის დავალებას, ილიას მკვლელობის „ოხრანკისეული“ ვერსია შექმნეს და დიმიტრი ილიას მკვლელობის ხელმძღვანელად სასამართლოს განაჩენით დაადგინეს. მით უფრო არ დაფიქრებულა იმ ადამიანთა ბოროტებაზე, რომლებმაც, კონკრეტულად, ამ დავალებებს ასრულებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ბატონი თენგიზ სიმაშვილი, თავის ნაშრომებში არასოდეს გამოიყენებდა საქართველოს იმდროინდელი პარტიული ნომენკლატურის კარნახით შექმნილ ფაბრიკაციებს, რომლებიც დიმიტრი ჯაშის საწინააღმდეგოდ, საკუთარი სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ჯალათების მიერ განწირულმა ადამიანებმა შექმნეს.

საქართველოს ხელისუფლების ნებით, 2011-2013 წლებში საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა უდანაშაულოდ დახვრიტილთა და გადასახლებულთა გვარები, მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც ადამიანთა დახვრეტას, გადასახლებას, სახელის გატეხას და მათზე ჩირქის მოცხებას კონკრეტული საქმით ასრულებდნენ,

საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი არიან. ამისათვის საჭირო იყო ქვეყანას მიედო ლუსტრაციის კანონი.

დღეს ეს უკვე დაგვიანებულია. თუმცა არსებობს მსგავსი დოკუმენტი — კანონი „თავისუფლების ქარტია“, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის 31 მაისს მიიღო. კანონი ითვალისწინებს კომისიის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ყოფილი სსრკ-ის სპეციალური სამსახურების თანამშრომელთა, შტატიანის ან ნებაყოფლობით მომუშავეთა, რომელთა საქმიანობა ხორციელდებოდა ყოფილი სსრკ-ის სპეციალური სამსახურების მითითებით ან / და ზედამხედველობით, რეესტრის შექმნას. რეესტრში შეყვანილ ადამიანებს ეკრძალებათ კანონით დათქმული თანამდებობების დაკავება. რეესტრში ვერასოდეს მოხვდებიან გარდაცვლილები, შესაბამისად, უცნობი დარჩება მათი ვინაობა.

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი გოჩა გვასალია წერს:

„ბღვა მასალა გამოქვეყნდა ილიას მკვლევლობაზე. მაგრამ დღესაც დაუდგენელია, თუ ვინ მოკლა ერის წინამძღოლი. ილიას მგრობდნენ არა მარტო მენშევიკები და ბოლშევიკები. ილიას მკვლევლობაზე ამდენი ლაპარაკი მნეობრივი მოჩვენებითობის მიზნით გამოიყენეს ქართველებმა.“<sup>1</sup>

ალექსანდრე შუშანაშვილი, თავისი ბოლო წიგნის - „წინამურის ტრაგედიის“ მე-4 გვერდზე პაატა გუგუშვილის, მიხეილ კაკელიასა და ალექსანდრე სიგუას მოსაზრებებს რომ გადმოგვცემს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეებიდან დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვის შესახებ, ამის პასუხად წერს: „სინამდვილეში არაფერი არაა დაკარგული და განადგურებული. 1907-1909 წლებში ჩატარებული გამოძიებისა და სასამართლოს განხილვის საქმეები საქართველოს ცენტრა-ლურ სახელმწიფო საისტორიო არქივშია დაცული, ხოლო ბერბიჭაშვილის საქმე საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივში ინახება“.<sup>2</sup> ამას თუ დავყრდნობით და ახალ გამოკვლევებსაც შევმატებთ, სავსებით შესაძლებელია ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით სიმართლეში გარკვევა.

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 40, პუნქტი 1: „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით“. კონსტიტუციის ეს მუხლი დიმიტრი ჯაშის მიმართ დარღვეულია. ამის მიზეზია ის დრო, როდესაც ილიას მკვლელი ბერბიჭაშვილის სასამართლო გაიმართა და ის სივრცე, რომელშიც გაიმართა — საბჭოთა კავშირი.

წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვებია: „უარგია, რომ არც ძალიან გეშინოდეს უსამართლო ბრალდებებისა, მაგრამ არც სრულიად უგულებელს ყოფდე მათ“.

<sup>1</sup> გ. გვასალია, საავტორო ბლოგი, „ლუსტრაციის შესახებ ქართულ საზოგადოებაში“ 2.12.2012;

<sup>2</sup> ალ. შუშანაშვილი, „წინამურის ტრაგედია“, „ორიონი“, 2000 წელი, თბილისი;

ჩვენც სწორედ ასე ვიქცევით.

ბატონ თენგიზ სიმაშვილს ვთხოვთ, თავი შეიკავოს დიმიტრი ჯაშის მისამართით სამართლებრივად დაუდგენელი ბრალდებებისაგან. დაამთავროს კვლევა, არგუმენტები და მტკიცებულებითი სამხილები მიაწოდოს პროკურატურას. გამოძიების შემდეგ, თუ სასამართლო მიიჩნევს დიმიტრი ჯაშს დამნაშავედ, დაბეჭდოს და გამოაქვეყნოს იქ, სადაც მოესურვება. დანამდვილებით რომ ვიცოდეთ, რომ დანაშაული ჩადენილია, ამისათვის მართო მკვლევრის შრომა საკმარისი არ არის — აუცილებელია გამოძიება და სასამართლო.

წინამდებარე წიგნში მოტანილი ილიას მკვლელობაში დიმიტრი ჯაშის მისამართით გამოთქმული დაუდგენელი ბრალდებები და აგრეთვე, ზოგიერთი დაინტერესებული პირის შექმნილი ცრუ მოგონებები, რომლებიც მე-20 საუკუნეში საქართველოში ხშირად იბეჭდებოდა და რადიოშიც ისმოდა, ჩვენი მშობლები, სიცოცხლეში, მეტად მტკივნეულად აღიქვამდნენ. ეს, მათი შვილების მეხსიერებაში დიდი დოზითა და გრძნობით შემორჩა. სწორედ ამ მიზეზით მიეძღვნა ეს წიგნი მათ ხსოვნას.

ზემოთ აღვნიშნეთ და კიდევ გავიმეორებთ, რომ ჩვენი წიგნით მეცნიერული კვლევის პრეტენზიას არ გამოვხატავთ. დიმიტრი ჯაშის უსაფუძვლო ბრალდებებისგან დასაცავად, წიგნის ლიტერატურულ წყაროდ გამოვიყენეთ ბატონ თენგიზ სიმაშვილის და აწ განსვენებული მეცნიერების - შოთა ბადრიძის, ალექსანდრე შუშანაშვილის, გურამ შარაძის, შალვა მარკოზაშვილის და ნოდარ გრიგალაშვილის შრომები. ამასთან, ჩვენი აზრი გამოვხატეთ XXI საუკუნეში შექმნილ წიგნებზე: „წინამურის ტრაგედიის საიდუმლო“ და „მარტვილობა მესიისა“. შესაძლებლად მიგვაჩნია გამოჩნდეს ისეთი პიროვნება, რომელიც ჩვენს ნაწერს მიიჩნევს არაკომპეტენტურად, სხვა სიტყვებით, არაპროფესიონალების შექმნილად. ამას ვერ შევეწინააღმდეგებით. მაგრამ, თუ ვინმე იკადრებს და ბრძანებს იმას, რომ ამ არაპროფესიონალებმა როგორ გაბედეს ამ თემაზე წერა და აზრის გამოხატვა, ჩვენი ვაღიას ყველას შევახსენოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 153 — „სიტყვის თავისუფლების ხელყოფა“.

ყველა პატივცემულ მეცნიერს, რომელიც დაინტერესებულია ილიას მკვლელობის გარემოებების კვლევით, ვთხოვთ, მიაკვლიონ და დოკუმენტურად დაასაბუთონ ილიას მკვლელობის მთავარი დამკვეთების, სხვა არანაკლებად მნიშვნელოვანი მონაწილე პირების ვინაობა, გაარკვიონ მათი როლი ილიას მკვლელობაში, ისტორიული დოკუმენტებით და არა 1930-იან წლებში შექმნილი სიყალბეებით, შემდეგ იმსჯელონ ამ სასტიკ მკვლელობაში დიმიტრი ჯაშის მონაწილეობა- არ მონაწილეობაის შესახებ. ყოველივე კი საბოლოო ვერდიქტისათვის საქართველოს მართლმსაჯულებას გადასცენ.

საქართველოს ინტერესებშია, დავადგინოთ სიმართლე — ვისი დაკვეთით მოკლეს დიდი ილია? ვინ იღებდა მონაწილებას? ვფიქრობთ, ამ საქმეში თავისი საბოლოო სიტყვა მხოლოდ სასამართლომ უნდა ბრძანოს.

დაახ, საბოლოო სიტყვა მხოლოდ სამართლიან სასამართლოს ეკუთვნის. თორემ, გვაქვს საბჭოთა სასამართლოს 1945 წლის 5 იანვრის განაჩენი, რომელიც მიღებული იქნა სქართველოს სსრ 1923 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის უხეში დარღვევით.

**P.S.**

ინტერნეტსივრცეში გამოჩნდა ახალი, 2017 წელს შექმნილი წიგნი „ილია ჭავჭავაძის ცხოვრების და შემოქმედების მატრიანე“. ნაშრომი, რომლის გამოცემა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, მეტად მნიშვნელოვანია და მასში დიდი შრომაა ჩადებული. ფონდის მესვეურებმა წინდახედულება გამოიჩინეს და შრომას დასაწყისშივე წაუმძღვარეს: „წიგნში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს“.<sup>1</sup>

ვფიქრობთ, სამწუხაროა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ნაშრომშიც დიმიტრი ჯაშის შესახებ დოკუმენტურ წყაროდ იმ საბჭოთა მკვლევრების შრომები აქვთ გამოყენებული, რომელთა ნაწერებმა ჯერ უზრუნველყვეს 1942 წლის 5 იანვრის სასამართლოს განაჩენის გაფორმება, შემდეგ კი, მასზე დაყრდნობით, გაგრძელდა სიყალბის ტირაჟირება. ავტორთა კოლექტივის მიერ ჯაშის შესახებ წარმოდგენილი ცნობები არაობიექტურია. საილუსტრაციოდ მხოლოდ ორ ფაქტს მოვიტანთ:

ქრონოლოგიაში წერია: „1907 ივლისი. სამსახურებრივ საქმეებთან დაკავშირებით საგურამოში საღამო ხანს ასული ღუმეთის მაზრის უფროსი ყარამან ფაღავა ვახშმად ილია ჭავჭავაძესთან რჩება. ილია წუხილს გამოთქვამს, მოურავად ისეთი კაცი მომხვეიეს თავს, ხალხში დაძვრება და ჩემს წინააღმდეგ ამხედრებსო...“<sup>2</sup> ქრონოლოგიის ავტორებს ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის წყაროდ მითითებული აქვთ ყარამან ფაღავას მოგონება შეტანილი პ. გუგუშვილის წიგნში „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, საგამომცემლო მასალები, 1938, გვ. 25, 26.

მათ მიერ მითითებული წყარო რომ სიცრუეა, ამას ადასტურებს დუშეთის მაზრის უფროსის თანამემწედ დაქვეითებული ყარამან ფაღავა, 1907 წლის 6 დეკემბერს მიცემულ ახსნა-განმარტებაში: „...ახალქალაქის მაზრიდან გადმომიყვანეს დუშე-

<sup>1</sup> მ. ნინიძე, ქ. ხითარიშვილი, ნ. ფრუიძე, შ. კვანტალიანი, ა.უჯმაჯურიძე .გამომცემლობა „მთაწმინდა“ „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე“ თბილისი, 2017წ.;

<sup>2</sup> მ. ნინიძე, ქ. ხითარიშვილი, ნ. ფრუიძე, შ. კვანტალიანი, ა.უჯმაჯურიძე .გამომცემლობა „მთაწმინდა“ „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე“ თბილისი, 2017წ.;

თის მმართველობაში 14 აგვისტოს, ხოლო თავად ჭავჭავაძის მკვლელობა მოხდა 30 აგვისტოს“<sup>1</sup>

ფაღავა დუშეთის რაიონის მაზრაში დანიშნეს 1907 წლის 14 აგვისტოს, რის გამოც იგი 1907 ივლისში არ იყო დუშეთის მაზრის უფროსი და სამსახურებრივ საქმეებთან დაკავშირებით საგურამოში ვერ ჩავიდა და ვახშმად ილია ჭავჭავაძესთან ვერ დარჩებოდა, რადგან იმ დროს ახალქალაქში მუშაობდა.

ქრონოლოგიის ავტორებს 1907 წლის 30 აგვისტოს მომხდარი ფაქტის სახით შეტანილი აქვთ: „ილია ჭავჭავაძის ეკლის თბილისიდან გამოსვლის შემდეგ ქარცვავენ მის საცხოვრებელ სახლს თბილისში. მიაქვთ საოჯახო ნივთები, საქმიანი ქაღალდები და პირადი წერილები.“<sup>2</sup>

1907 წლის 7 სექტემბერს, სასწრაფოდ და სრულიად საიდუმლოდ, თბილისის პოლიცემისტერმა თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორისაგან მიიღო დავალება - შეემოწმებინა ფარულად მიღებული ცნობები, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღეს, თბილისიდან საგურამოში მისი გამგზავრებისთანავე, თბილისში, ანდრეევის ქ. N22-ში მისი სახლის გაძარცვის შესახებ. 1907 წლის 13 სექტემბერს თბილისის მე-10 უბნის ბოქაულის შეტყობინებაში, რომელიც თბილისის პოლიცემისტერს გაუგზავნა, ვკითხულობთ: „სრულიად საიდუმლოდ... ფარული შემონშებით აღმოჩნდა, ანდრეევის ქუჩა N22-ში მდებარე თავად ჭავჭავაძის სახლზე თბილისიდან საგურამოში თავად ილია ჭავჭავაძის გამგზავრებამდე და შემდეგ, თავდასხმა არ მომხდარა. დღემდე სახლიდან არაფერი დაკარგულა და ამის თაობაზე განცხადება არ შემოსულა. სახლს და მთელ ქონებას თავად ჭავჭავაძის ოჯახის ერთგული ვაცი იცავს.“<sup>3</sup>

ავტორთა ჯგუფისათვის ცნობილი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ 1987 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, მწერალთა კავშირმა და თვით საქართველოს კომპარტიამ, ილიას მკვლელობის ნამდვილი გარემოებების დასადგენად, 23 წევრისაგან შემდგარი სპეციალური კომისია შექმნა. მართალია, ამ კომისიას არანაირი დასკვნა საზოგადოებისთვის არ მიუწოდებია, მაგრამ თვით კომისიის შექმნის ფაქტით, დასახელებულმა ორგანიზაციებმა და სრულიად საქართველოს საზოგადოებამ აღიარა, რომ 1942 წლის 5 იანვრის სასამართლო განაჩენში მკვლელობის ხელმძღვანელის შესახებ ჩანაწერი სიცრუეა. ვიმედოვნებთ, „ილია ჭავჭავაძის ცხოვრების და შემოქმედების მატთანის“ ავტორები გაითვალისწინებენ ამ შენიშვნებს.

<sup>1</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილ. ჭავჭავაძის მკვლელობა“, „მერანი“, თბ., 1996 წ.;

<sup>2</sup> მ. ნინიძე, ქ. ხითარიშვილი, ნ. ფრუიძე, შ. კვანტალიანი, ა.უჯმაჯურიძე. გამომცემლობა „მთაწმინდა“ „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთან“ თბილისი, 2017წ.;

<sup>3</sup> ალ. შუმანაშვილი, „ილ. ჭავჭავაძის მკვლელობა“, გვ. 116, 123. დოკუმენტი - 22 და 31, „მერანი“, 1996 წ. თბ.;

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. წმ. იოანე ოქროპირი ,“სულიერი მდელი”,გვ.344,w.w.w. sibrdzne.ge
2. ალექსანდრე სულხანიშვილი, „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“, 1981წ. სან-ფრანცისკო,;
3. ალექსანდრე სულხანიშვილი, “რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინაღვილე“,1985 წ.სან-ფრანცისკო;
4. ალექსანდრე შუმანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“. 1996 წ. გამომცემლობა „მერანი“თბილისი;
5. ალექსანდრე შუმანაშვილი, „წინამურის ტრაგედია“, „ორიონი“, 2000 წელი, თბილისი;
6. გაზეთი „დროება“ ილია ჭავჭავაძე, „ლიტერატურული პატიოსნება“, 1875 წელი, თბილისი;
7. გაზეთი „ივერია“,ილია ჭავჭავაძე, „ასი წლის წინათ“, 1899 წლის ნოემბერი;
8. გაზეთი „ივერია“ 1905 წ. დამატება ,ილია ჭავჭავაძე, „ნუთუ?“
9. გაზეთი „კომუნისტი“ N154, 1921 წლის 7 სექტემბერი;
10. გაზეთი „კომუნისტი“,1921 წ. 22 ივნისი ;
11. გაზეთი „შრომა“ N74, სურათებიანი დამატება N26,1906 წ. 6 ივლისი;
12. გაზეთი „ცნობის ფურცელი“,N 2858, ივლ.სურათ. დამატება N329 1905 წ. ;
13. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ N2972,1906 წ. 4 იანვარი;
14. გაზეთი „ივერია“ , N216, 1904 წ.19 სექტემბერი;
15. გაზეთი „ივერია“ , N217, 1904 წ. 21 სექტემბერი;
16. გაზეთი „ივერია“ , N226, 1904 წ. 1 ოქტომბერი;
17. გაზეთი „ივერია“ , N242, 1904 წ. 23 ოქტომბერი;
18. გაზეთი „ივერია“ , N290, 1904 წ. 19 დეკემბერი;
19. გაზეთი „ივერია“ , N17, 1905 წ. 6 თებერვალი;
20. გაზეთი „ივერია“ , N125, 1905 წ. 23 ივლისი;
21. გაზეთი „ივერია“ , N126, 1905 წ. 24 ივლისი;
22. გაზეთი „ისარი“, მად-ლი, „მოკლეს პოეტი“1907 წ. 31 აგვისტო;
23. გაზეთი „ისარი“, „პირველი ცნობები ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ“, 1907 წ. 31 აგვისტო;
24. გაზეთი „დროება“1908 წლის 2 დეკემბერი;
25. გაზეთი „ასავალ-დასავალი“,31.მარტი 2014 წ., „როგორ დაუბრუნა სტალინმა საქართველოს უძველესი სიწმინდეები“,თბილისი;
26. გივი ჟორდანიას, „მარტვილობა მესიისა“თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 2005 წ. თბილისი;
27. გიორგი ლასხიშვილი, „მემუარები“,1935 წ.თბილისი;
28. გოჩა გვასალია, საავტორო ბლოგი ,“ლუსტრაციის შესახებ ქართულ საზოგადოებაში“ 2.12.2012;

29. გოჩა საითიძე, \*ჟურნალი „თბილისელები“ ინტერვიუ, 2011 წლის 11 ოქტომბერი;
30. გურამ შარაძე, ორთომეული „ილია ჭავჭავაძე“ „ხელოვნება“, 1990 წ. თბილისი;
31. გურამ ყორანაშვილი, „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო“, 2004 წ. თბილისი;
32. გურამ ყორანაშვილი, „ისევ წიწამურის ტრაგედიის საიდუმლოს შესახებ“, 2013 წ. „არტანუჯი“, თბილისი;
33. გურამ ვასილის ძე ყორანაშვილი, ავტორეფერატი „პიტალიზმამდელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების პრობლემა ისტორიულ მატერიალიზმში“ თსუ-ს გამომცემლობა, 1978 წ. თბილისი;
34. დარია კოპლატაძე-ჯაში, „მოგონებები“ საბეჭდო მანქანაზე დაბეჭდილი, 1965 წ. ბათუმი;
35. თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საერთაშორისო საზოგადოება „მემორიალი“, „სტალინური სიები საქართველოდან“, 2011-2013 წლები;
36. თენგიზ სიმაშვილი, ინტერნეტბლოგი, „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და დოკუმენტების დადადი“, 2015წ;
37. თენგიზ სიმაშვილი, „სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები და ილიას მკვლელობა“, 2011წ. თბილისი;
38. თენგიზ სიმაშვილი, „უახლესი დოკუმენტები და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა (ილიას მკვლელობიდან გასულა 105 წელი) შრომები, ტ. VI, „მერიდიანი“ 2012 წ. თბილისი;
39. თენგიზ სიმაშვილი, „დიმიტრი ჯაშის ვინაობისათვის (ვინ იყო ილია ჭავჭავაძის მოურავი დიმიტრი ჯაში - სოციალ-დემოკრატი თუ „ოხრანკის აგენტი?)“, ბლოგი, 4.07. 2015 წ;
40. თენგიზ სიმაშვილი რუსეთის იმპერიის საიდუმლო (პოლიტიკური) პოლიცია და აგენტურა „ბლოგი, 4 ივლისი 2015წ.
41. თომა ჩაგელიშვილი, „საუკუნის მკვლელობა“ ,სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, 2001 წელი;
42. ილია რუხაძე, ქართული პრესის კომპიუტერული არქივი, „საგურამომი (ნახული და გაგონილი) 1908-1911 წლები“ 2001-11-01, თბილისი;
43. იური ჯაში, „ავტომობილის მოკლე ცნობარი“, 1943წ;
44. იური ჯაში, „ავტომობილი“ 1945წ. ქობულეთი;
45. იური ჯაში, „ავტომობილის მართვა და ექსპლოატაცია“, 1949 წ. ბათუმი;
46. იური ჯაში, „ავტომობილი“ 1956წ. ბათუმი;
47. იური ჯაში, „ავტომობილისტის ტექმინიმუმი“, 1959 წ. ბათუმი;
48. იური ჯაში, დოკუმენტები, პირადი არქივი;
49. მაია ნინიძე, ქეთევან ხითარიშვილი, ნანა ფრუიძე, შარლოტა კვანტალიანი, ავთანდილ უჯმაჯურიძე. გამომცემლობა „მთაწმინდა“ „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანე“ თბილისი, 2017წ.;
50. მანანა ხომერიკი, „პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს“, 1996 წ., თბილისი;

51. მიხეილ ბერინაშვილი, დოკუმენტურ-მხატვრული ფილმი - „ვინ მოკლა ილია...“ - 2014წ., თბილისი;
52. მიხეილ ჯავახიშვილი, „როგორ ვწერ“ 1933 წ. ოქტომბერი, კრ. „ილიას სამრეკლო“, თბილისი, 1987წ.;
53. მიხეილ ჯავახიშვილი, „ავტობიოგრაფია“, 1936 წ. ნოემბერი, კრ. „ილიას სამრეკლო“, თბილისი, 1987წ.;
54. მიხეილ ჯავახიშვილი, „შარავანდელით შეიმოსება“, 1936 წ. 10 დეკემბერი, კრ. „ილიას სამრეკლო“, თბილისი, 1987წ.;
55. მიხეილ ჯავახიშვილი, „წიწამურა“ (მოგონება), 1936 წ. 8 ივლისი, კრ. „ილიას სამრეკლო“, თბილისი, 1987წ.;
56. მიხეილ ჯავახიშვილი, „ჩანაწერები უბის წიგნაკებიდან“ გამომცემლობა „ინტელექტი“, 2011 წ. თბილისი;
57. მე-2 ინტერნაციონალი, თავისუფალი ენციკლოპედია, ვიკიპედია რუსულ ენაზე;
58. ნესტან-ელისაბედ კირთაძე, „1924 წლის აჯანყება საქართველოში“, 1996 წელი, ქუთაისი;
59. ნოდარ გრიგალაშვილი, ორთომეული „თანამდევნი სული“ 2010 წ. თბილისი;
60. ჟურნალი „კავკასია“, ვასილ წულაძე, „როგორ აღმოვაჩინეთ „ოხრანის აგენტები“, პარიზი, 1967 წ.;
61. ჟურნალი „კლდე“ N 18, 1914 წ. 4 მაისი;
62. რევაზ გაბაშვილი, „რაც მახსოვს“, პარიზი, 1959 წელი, მიუნხენი;
63. სამსონ ფირცხალავა „მოკლეს პოეტი“ 1907 წლის, სექტემბერი.
64. საქართველოს შსს არქივის ინტერნეტგვერდი, ინფორმაცია – პარტიული ფონდები, 2016 წ. თბილისი;
65. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, 1928 წ. რედაქციით, თბილისი, ცვლილებებით 1944 წლის მარტის 1-დე, 1944წ. თბილისი;
66. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ცვლილებებით 1936 წლის ოქტომბრის 1-მდე, 1938წ. თბილისი;
67. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით;
68. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2016 წლის პირველი მარტის მდგომარეობით;
69. შალვა მარკოზაშვილი „ილიას ბოლო მოურავი“, 2003 წ. თბილისი;
70. შოთა ბადრიძე, „წიწამურის ტრაგედიის გამოცანები“, თბილისი, 1991 წ.
71. Газета „Кавказ“ N 113;
72. Газета „Кавказ“ N 115;
73. Газета „Кавказ“ N129;
74. Газета „Кавказ“ N 133;
75. Газета „МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ“, N113, 17 МАЯ, 1916;
76. Газета „МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ“, N300, 28 Декабря, 1914;
77. Газета „МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ“, N302, 31 Декабря, 1914;

78. Газета "МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ", N11, 15 Января, 1915;
79. Газета "МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ", N23, 29 Января, 1915;
80. Газета "МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ", N36, 14 Февраля, 1915;
81. Газета "МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ", N38, 17 Февраля, 1915;
82. Газета "МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ", N46, 26 Февраля, 1915;
83. Газета "МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ", N80, 7 Апреля 1916;
84. Газета "МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ", N85, 14 Апреля 1916;
85. Газета "МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ", N125, 1 Юня 1916;
86. Газета "МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ", N128, , 4 Юня 1916;
87. Газета "МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ", N 192, 17 Августа 1916;
88. Газета "МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ", N194, 23 Августа 1916;
89. Газета "МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ", N195, 24 Августа 1916;
90. Газета "МОСКОВСКІЯ ВЕДЕМОСТИ", N207, 7 Сентября 1916;
91. ЗАКОН РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ „О реабилитац политических репрессий“ (с изменениями на 30 ноября 2011 года) 1991 г. Москва;
92. Петров Н.В. «Кто руководил органами госбезопасности 1941-1954», Справочник, Международное общество «Мемориал», Издательский дом «Зенья», Москва 2010;



**ოსმალეთის ხონთქარის მურად მე-V სიკვდილი.**

შორეულ აღმოსავლეთის უსაშინელეს-  
მა ომმა იმდენად მიიქცია მთელის ქვეყ-  
ნიერობის ყურადღება, რომ ყველა და-  
ნარჩენ საყურადღებო ამბავთა მსვლელო-  
ბას თავი მიანებეს. ეს ომი რომ არა ყო-  
ფილიყო, ოსმალეთის ხონთქარად ნამყოფის  
მურად მე-V გარდაცვალება ეურნალო-  
გაზეთობასა და საზოგადოებაში ისეთ  
მოთქმა-მოთქმას გამოიწვევდა, რომ, შე-  
საძლოა, სალაპარაკო საგნად მხოლოდ  
ეს ამბავი გამხდარიყო, იმდენად მრავალ-  
ტანჯულია მისი ისტორია და უკანასკნელ  
აღმოსუნთქვის ხანა.

სიკვდილმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა,  
რომ ის ყოვლის შემძლეა. ვინ იფიქრებდა,  
რომ ოსმალეთის ხონთქარად ნამყოფის  
მურად მე-V სახელი კიდევ სალაპარაკოდ  
გახდებოდა? 30 წლის განმავლობაში ის  
დაპატიმრებული იყო და სასტიკ ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებო-  
და. ამ ხნის განმავლობაში მას არ დაუ-  
ნახავს არც მშის სინათლე და არც ერთი  
სულიერი ადამიანი, გარდა ციხის ზედამხედველთა...  
თუ ყველა არა, ბევრი მაინც, რომელთაც კი იციან, თუ რა  
არის ოსმალეთის შარტლ-მსაჯულება ან  
ციხეები, ჰფიქრობდა, რომ მურადი დი-  
დი ხანია, რაც წუთისოფელს გამოესალ-  
მო, მაგრამ სინამდვილემ კი სულ სხვა  
დაგვანახვა — მურადი თურმე ცოცხალი  
იყო.

30 წელიწადი იჯდებოდა სატატუსადოში,  
ზნელსა და ნოტიო ოთახში, არ იცოდებოდა,  
რა ჰხდებოდა შენს გარშემო, არავითარი  
წარმოდგენა არა მქონდეს მსოფლიო  
ცხოვრების მსვლელობისა, არა გყავ-  
დეს ხმის გამცემი, დავიწყებული ჰყავ-  
დებოდა ნაცნობს, მეგობარს, ნათესავს, ძმას,  
მეოც კიდევ ისეთს ძმას, რომელიც ოს-  
მალეთის „ბრწყინვალე“ ტახტზედა ზის  
ფენმორთხმული, — განა რომ საშინელე-  
ბაა, განა რომ ზღაპრულ ამბავსა ჰგავს,  
მაგრამ მწარე სინამდვილე კი არის!...

მაგრამ აი, გამოჩნდა სიკვდილი, რო-  
მელმაც იხსნა წამებისაგან, აღადგინა და-  
ვიწყების საფლავიდან, რომელშიაც ის  
დამარხა მისმა ისტორიამ, და კვლავ აა-  
ლაპარაკა მთელი ქვეყანა.

მთელი ცხოვრება განსვენებულის ex-  
ხონთქარისა მძიმე ტრაგედიაა. მთელი  
თავისი სიყმაწვილე მურადმა ტყვეობაში  
გაატარა და მუდამ შიშში იყო, ვაი თუ,  
დღეს არა ხვალ, წუთი სოფელს გამომა-  
სალომონო?!

მაგრამ ერთბაშად დადგა ისეთი დღე,  
რომ არაჩვეულებრივი რამ მოჰხდა: რო-  
დესაც მურადი იმის ფიქრში იყო, რომ  
დადგა ჩემის სიციოცხლის უკანასკნელი  
საათიო, უცბად გაიღო მისი ციხის  
ზნელ ოთახის კარები და შიგ შევიდა  
რანდენიმე უცნობი ადამიანი; ამათ მოჰ-  
კიდეს ხელი მურადს, გაიყვანეს სინათლე-  
ზედ, აჩვენეს ცა, ქალაქი, შემდეგ შეიყვა-  
ნეს ხონთქარის სასახლეში, რომელიც  
ჰარწყინავდა სიმდიდრითა და დიდებულ  
მორთულებით, და დასვეს ფადი-შაის  
ტახტზედ!...

ორის საათის წინად საპურობილოში  
მჯდომი ტუსადი ახლა ხონთქარი შეიქმ-  
ნა!.. მაგრამ მურადს ბედმა თავის ახალ  
მდგომარეობით დიდხანს დატეობა არ  
არგუნა. მან სულ სამ თვეს იმეფა. პირ-  
ველ ხანს ჰფიქრობდნენ, რომ მურადი  
რეფორმატორი იქნებოდა, მაგრამ აღმო-  
ჩნდა, რომ ახალი ხონთქარი ნორმალუ-  
რის ქვეა-გონებისა არ იყო. შესაძ-  
ლოა აგრედვე, რომ უფრო მურადის  
კარგის თვისებანი იყო მიზეზი, ვიდრე  
მისი ფიზიკური სისუსტე, რომ მან ვერ  
შეინარჩუნა ტახტი; დედა მისი სლავიან-  
თა შთამომავალი იყო და, როგორც ვი-  
ციოთ, ოსმალეთი მილიონობით სლავიან-  
ნებს სულსა ჰხუთავდა და ეხლაც ჰხუ-  
თავს; ამიტომ მურადს ჰქენჯნიდა სინი-  
დისი. წინად მურადს კაცისმკვლელის და-  
ნისა ეშინოდა, ეხლა კი, როდესაც მისს  
თავს გვირგვინი ამკობდა, სტანჯავდა ის  
გარემოება, რომ ამნაირმავე მკვლელობამ  
უანდერძა მას ტახტი (მისი წინამოადგი-  
ლე მოკლულ იქმნა).

ამბობდნენ, რომ მურადის წინა მოად-  
გილემ ხანთქარმა აბდულაზისმა თვითონ  
მოიკლა თავიო, მაგრამ მურადს ეშინო-  
და, ვაი თუ მისი მოკვლა მე დამარბა-  
ლონო. ეს შიში მას თავიდან არ შორ-  
დებოდა, მოსვენებას არ აძლევდა და  
ამიტომ მიჰყუა ხელი მძას:

— დარდების გასაქარებლად!  
ამ გარემოებამ ის იქამდე მიიყვანა,

რომ ერთხელ თვით ჩერაგანის სახლის მეჩეთში — ეიუბში — განიზრახა სარტყელით თავის ჩამოღობა, სწორედ იმ მეჩეთში, სადაც ხონთქარი აბდულ-აზისი გარდაიცვალა.

ყოველ შემთხვევაში, ის გარემოება რომ მან შესძლო და ოსმალეთის ციხის ატმოსფეროში 30 წელიწადს იტოცხლა, რაც მეტად საარაკოა, ამტკიცებს იმას, რომ მტრადი მართლა ქუთაზედ შეშლილი ყოფილა, თორემ ეს რომ ასე არა ყოფილიყო, შეუძლებელია, მის სხეულს სჯლის სიძლიერე დაემორჩილებინა.

განსვენებული მტრადი იყო ეხლანდელის ოსმალთა ხონთქარის აბდულ-ჰამიდის მკვიდრი ძმა, დაიბადა 1840 წელს და, როგორც ხონთქარ აბდულ-მეჯიდის შვილი, პრინციის სახელწოდებას ატარებდა; სახელად უწოდებდნენ მაჰმად მურად-ფენდის. როდესაც 1861 წელს აბდულ-აზისი ტახტზედ ავიდა, პრინცი, რომელსაც ევროპიული განათლება ჰქონდა მიღებული პარიეში, სახელმწიფოს საქმეებს ამოაშორეს და სასტიკად ექცეოდნენ. აბდულ-აზისმა 15 წელიწადი დაჰყო ტახტზედ. მის მბრძანებლობის დროს ოსმალეთი უფრსკულის ნაპირს დაადგა, — საკ აო იყო ერთი ხელის კვრა, რომ დაღუპულიყო. აბდულ-აზისი ძლიერ ღორმუცელა კაცი გამოდგა, გაუმადარ წურბელსავით დაუწყო წუწნა სახელმწიფო ხაზინას, ააგო თავისთვის უზარმაზარი კოშკები, ჰარამხანებზედ მილიონობითა ჰხარჯავდა და მეტიც ველარ შესძლო ისედაც სუსტმა ხაზინამ! ამ ღორმუცლობამ თვითონაც დაასწულა და დაიწყეს ხხლში ლაპარაკი, რომ აბდულ-აზისს ამის შემდეგ ტახტის შენარჩუნება აღარ შეუძლიანო. ამასთანავე თავქარიან ხონთქარს აზრად მოუვიდა, დაერღვია ოსმა-

ლეთის ტახტის მემკვიდრეობის კანონი თავის შვილის იუსუფიძედინის სასარგებლოდ, რომელიც დაიბადა 1857 წლის 9 ოქტომბერს, ესე იგი იმ დროს, როდესაც ჯერ მისი მამაც არ იყო ხონთქარდ. ამას წინააღმდეგენ მოხუცი-თურქნი, ეგრედ-წოდებული „ულემების“ დასი, როგორც სანფრანგეთსა და ინგლისში იყო. უცბად ხონთქარმა თავისი შვილი, ოსმალთა ჩვეულების წინააღმდეგ, დანიშნა მთელის მხედრობის მთიფარ-სარდლად და ამავე დროს დაიჭირა და ციხეში დაატუსაღა თავისი ძმისწული მაჰმად-მურად-ჰამიდი, ეხლანდელი ხონთქარი ოსმალეთისა. ამ გარემოებამ უფრო გაამწვა საქმე და ცეცხლზედ ნავთი დაასხა, მით უფრო, რომ ოსმალებს დიდის ხნიდგანვე დიდი იმედი ჰქონდათ აბდულ-მეჯიდის უფროსის შვილის მურადისა, რადგანაც ის სიყრმიდგანავე მრავალ-ტანჯული იყო და ამით დაიმსახურა ხალხის თანაგრძობა. მართლაც, ხალხიუკი ღურეს მდგომარეობაში იყო, წელიწადებოდა და ყველანი ჰფიქრობდნენ, მტრადი გაქირვებაში გამოცდილი კაცია, იცის ჩვენი გაქირვება «ჩინოვნიკურად» არ მოგვეცევა და ძირითად რეფორმებს მოახდენსო... (შემდეგი იქმნება)



ოსმალეთის ხონთქარის მურად მე-V სიკვდილი.

შემდეგი \*)

საზოგადო მღელვარება და უკმაყოფილება თან და თან იზრდებოდა. 30 მაისს 1876 წელს მაჰმად-მურადი, რომელიც მაშინ 36 წლისა იყო, გაიყვანეს ციხიდან, სადაც დაპატიმრებული ჰყავდათ, და დასვეს ოსმალეთის ტახტზედ. ეს ამბავი სრულიად უინციდენტოდ მოჰხდა, ისე მიეგებნენ, როგორც ყოველად ჩვეულებრივსა და ბუნებრივს ამბავს...

ეს რევოლუცია კი არა, უფრო მინისტრთა აჯანყება იყო, რომელთაც აბდულ-აზისი ტახტიდან ჩამოაგდეს, შეიპულ-ისლამის თანხმობით.

ტახტიდან ჩამოგდებულნი ხონთქარი აბდულ-აზისი და მისი მეუღლე დააპატიმრეს ტოფანის სასახლეში, სადაც ხონთქარი მოკვდა კიდევ ოცი დღის 1876 წ. ოფიციალური ცნობები იუწყებოდა, რომ ხონთქარმა თვითონ მოიკლა მაკრატილით თავიო, მაგრამ ამას არ უჯერებდნენ და არც დასაჯერებელი იყო. ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ხონთქარი დაადრჩვეს.

ახალის ხონთქარის მურადისა ყველას დიდი იმედი ჰქონდა. ჰფიქრობდნენ, რომ მურადი დააბოლოვებს მაჰმად მე-II-ის მიერ დაწყებულ საქმეს, რომელმაც იანიჩრები ამოსწყვიტა, და დესპოტიურ ოსმალეთს საკონსტიტუციო იმპერიად გადაქცევსო.

ეს იმედი რომ საფუძვლიანი იყო, სჩანდა თვით ხონთქარის ბრძანებიდან, რომელიც აუწყებდა მართლ-მორწმუნეთ ოსმალეთის ტახტზედ ცვლილებების მოხდენას: მურად მე-V ბრძანა, რომ გამოეცხადებინათ „ხონთქარდ წყალობითა ღვთისათა და ნებითა ხალხისათა“ და აქ-

ვე გამოაქვეყნა ვრცელი პროგრამა განზრახულ რეფორმათა.

მითად-ფაშა, ოსმალ რეფორმატორთა მეთაური, დანიშნულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარედ. დაიწყო მინისტრთა კრებანი, რომელმაც შეიმუშავა თავისებური კონსტიტუცია მთელის ოსმალეთის იმპერიისათვის.

გავიდა ერთი კვირა. ოსმალთა საზოგადოებაში ხმა დადიოდა, რომ მურადი სულით ავადმყოფიაო. ყველასა სჯეროდა ეს ამბავი, რადგანაც მურადს ბავშვობაში მეტად სასტიკად ეპყრობოდნენ, თავში სცემდნენ და მერე ხომ ციხეშიაც იჯდა და, ვინ იცის, როგორ იმოქმედა მურადის სუსტ აგებულებაზედ ყველა ამანაო!..

როდესაც ეს ამბავი იმდენად გავრცელდა, რომ მთავრობის ყურამ. ეც მიადწია, ამ უკანასკნელმა ოფიციალურად უარჰყო, ხონთქარი სრულიად კარგად არისო, მისი ავადმყოფობა მოგონილია, ქორიაო, მაგრამ მალე მთავრობა იძულებული გახდა გამოეცხადებინა, ხონთქარის ქკუაზედ შეშლა ნამდვილიაო და ეს სენი გამოაჩნდა ტახტზედ ასვლიდან მეცხრე დღეზედაო. ამის გამო მეჩით-ვიუბში ხონთქარის გვირგვინის კურთხევა ვეღარ მოჰხდა (ოსმალებს ჩვეულებად აქვთ, გვირგვინის კურთხევის დროს ახალ ხონთქარს წელიწად მახვილი ჩამოჰკიდონ საგანგებო სარტყლით).

ამასობაში სენი უფრო გაუძლიერდა მურადს. მთავრობამ გარდასწყვიტა, რომ ხონთქარი მკურნალებს შეემოწმებინათ. 1876 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში სტამბოლში ამ აზრით მოწვეულ იქმნა ვენის უნივერსიტეტის პროფესორი,

\*) იხ. „იერია“, № 216.

ფსიხიატრი ლეიდესდორფი, რომელმაც დაამტკიცა, ხონთქარი მართლა სულით-ავადმყოფია და ეს სენი გასჩენია ნერვების მოშლილობითაო.

ციხეში ყოფნის დროს ხონთქარს უშისაგან აკანკალებდა და ყოველთვის მოელვოდა სიკვდილით დასჯას, და რომ დაევიწყებინა ყოველივე, მიჰყო ხელი მაგარ სასმელების სმას. ცნობილია აგრედვე, რომ მოულოდნელი სიხარულიც ჰქუაზედ არყევს ადამიანს, და როდესაც მურადი ციხიდან გაანთავისუფლეს, სიხარულისაგან გული შეუწუხდა და ბოღდა დაიწყო...

როგორც ზევეითაც მოვიხსენეთ, მურადს ეგონა, ეგ არის წუთისოფელს უნდა გამომასალმონო, თორემ რას წარმოიდგენდა, რომ გაანთავისუფლებდნენ და ხონთქრობასაც მიუძღვნიდნენ!... მერე ავადმყოფობა გაუძლიერა კიდევ იმ საშინელომა ღამემ, როდესაც ხონთქარდ ნამყოფი აბდულ-აზისი გარდაიცვალა ციხეში.

კოტათი ამაზედ წინად მურადმა ტუსალისაგან (აბდულ-აზისი) მიიღო წერილი, რომლითაც სთხოვდა:

— შეიბრალეთ ჩემი კოლშვილი, სიკოცხლე მაპატიეთო!

და სულ რამდენისამე დღის შემდეგ გაიგო მისი სიკვდილი! მაშინ ცხადი შეიქმნა, რომ ხონთქარდ ნამყოფი აბდულ-აზისი ვილასიც ხელით იყო დამღრჩვალი...

ამ ამბავმა ისე ააშფოთა მურადი, რომ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, ხშირად ჰბოდავდა და იმეორებდა:

— მეც დამაბრალებენ, რომ ხალხს სასტიკად ვეპყრობი და ჩემს სიტყვას ვარღვევო!...

მურადს ძილი აღარ ეკარებოდა, შიში თავზარსა სცემდა, ქანცი გაუწყდა, მოლალა.

პროფ. ლეიდესდორფმა გამოაცხადა, სულთანის განკურნება შეიძლებაო, მაგრამ ამასთანავე დასძინა, რომ ამისთვის პირდაპირი სპეციფიკური საშუალება არ არის და ხონთქარს ესაჭიროება ხანგრძლივი რაციონალური მოვლა,

ამ დროს სტამბოლში არსებობდა ერთგვარი დასი, რომელსაც სურდა ხონთქარის ვამოცვლა. ამ დასმა პროფესორ ლეიდესდორფის განცხადებას ყური არ ათხოვა და გადასწყვიტა თავის განზრახვის განხორციელება. 1876 წლის 37 აგვისტოს მურად მე-V ჩამოაყენა ტახტიდან შეიპ-ულ-ისლამმა, ხოლო იმის მაგივრად გამეფებულ იქმნა მისი ძმა აბდულ-ჰამიდი. შეიპ-ულ-ისლამის ბრძანებით, ოსმალეთის ყველა ქვეშევრდომთ ეცხადებოდათ შემდეგი:

«თუ მართლ-მორწმუნეთა მბრძანებელი სულით ავადმყოფია და ეს სენი უშლის სახელმწიფო საქმეთა ხელმძღვანელობას, და თუ სამის თვის განმავლობაში ავადმყოფობის აღმოჩენიდან არ განიკურნა, მაშინ მის მაგივრად ფადი-შაის ტახტზედ უნდა ავიდეს კანონიერი მემკვიდრე ტახტისაო».

1876 წლის 1-ლ სექტემბერს ტახტზედ ავიდა აბდულ-ჰამიდი, რომელიც ამ ეამადაც მეფობს. მურადი გაგზავნეს ჩერყანის სასახლეში.

ყოველივე დაწყნარდა...

ხონთქარის გამოცვლამ უინციდენტოდ ჩაიარა. მურადი გამოაცხადეს განუკურნებელ ავადმყოფად და ამ ნაირად კოცხლად დამარხეს სამეფო სასახლეში, რომელიც მისთვის ერთსა და იმავე დროს ციხეც იყო და სამარც...

დ.მ. ჯაში.

(შემდეგი იქნება)



**ოკეა.** სამშაბათს, 28 სექტემბერს, სახაზინო თეატრში წარმოადგინეს «კარმენი», ოპერა 4 მოქმედ. მუსიკა ბიზესი (ამ ოპერის ხიუფეტი აღებულია პროსპერ მერიმეს მოთხრობიდან მელიაკისა და ვალევის-მიერ). უმთავრესს პარტის (კარმენ) ასრულებდა ქ-ნი შიხუცკაია-მინჩენკო და უნდა ითქვას, რომ კარგადაც შეასრულა, როგორც სიმღერით, ისე თამაშობითაც. ყოველი მიხვრა-მოხვრა, ყოველი სახის გამომეტყველება გათვალისწინებული ჰქონდა ქ-ნ შიხუცკაიას და დირიჟორის წკვბლას არ შესწერებოდა, როგორც ზოგიერთებს, სწვევით ხოლმე. განსაკუთრებულის ხელოვნებით იმღერა პირველ მოქმედებაში საყარაულოსთან არია: «**Меня не любишь, но люблю я, такъ берегись любви моей!**», რაც საზოგადოებამ გაამეორებინა.

ბ-ნ ლ. დ. დონსკოის ნ. ნ. ფიგნერზედ ძლიერი ტენორი აქვს და მაღალ რეგისტრებში ნოტის აღება და ერთბაშად შეწყვეტა არ უჭირდება. როგორც თამაშობით, ისე სიმღერითაც ბ-ნმა დონსკოიმ საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა თავიდან ბოლომდე. განსაკუთრებით საუცხოოდ ჩაატარა მეოთხე მოქმედების უკანასკნელი სცენა, სადაც კარმენი ცირ-

კისაყენ მიისწრაფვის. ქ-ნი ეიზენვალდონსკოის უცბად ავადსყოფოლის გამო მიქელას პარტიას ასრულებდა ქ-ნი ანტონოვისა, რომელმაც სავსებით ვერ დაგწავაყოფილა, მაგრამ მაინც არ გაიმტყუნება, რადგანაც, როგორცა სჩანდა, მოუშვადებლად გამოვიდა სცენაზედ ეიზენვალდონსკოს მაგივრად.

ესკამილის ტორეადორის პარტიას ასრულებდა ბ-ნი ობრაზცოვი, რომელსაც, როგორც წინადაც აღენიშნეთ, პატარა, მაგრამ ტკბილი, ტენორი აქვს და ამ საღამოს მაკმაო ხელოვნებით ჩაატარა მისდამი მინდობილი პარტია. ბალეტი და ხორო რიგიანი იყო, ხოლო ორკესტრს კი აკლდა დირიჟორის ხელმძღვანელობა. ბ-ნი ნ. მიკლაშევსკი ჯერ ახალგაზდა და გამოუცდელი დირიჟორია, ბიზეს მუსიკა კი იმდენად რთულია და მელოდიებით სავსე, რომ გამოცდილისა და დახელოვნებულის დირიჟორის ხელმძღვანელობა სჭირია. ამას ბ-ნმა დონსკოიმ უნდა მიაქციოს ყურადღება. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ბ-ნ დონსკოის არც ისე სუსტი დასი ჰყავს, როგორც ზოგიერთ გახეთქებში იყო მოხსენებული.

წარმოდგენას საზოგადოება ბევრი დაესწრო.

ქუჩუა.



### თეატრი და ხელოვნება

მეორე წარმოდგენა სახაზინო თეატრში. ოთხშაბათს, 20 ოკტომბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა გაჰმართა მეორე წარმოდგენა სახაზინო თეატრში. წარმოდგენის «ექიმი შტოკმანის», ჰენ. იბსენისა. მთავარს როლს—ექიმის შტოკმანისას—თამაშობდა ბ-ნი კ. მესხი და ძალიან უფერულადაც თამაშობდა. ბ-ნი კ. მესხს, ჩვენის ფიქრით, არ შესწევს ძალ-ღონე ამ როლის შესრულებისათვის. არც დანარჩენ როლებს ამსრულებელნი იყვნენ შესაფერნი. ამიტომ წარმოდგენა უფერული გამოდგა და საზოგადოება უკმაყოფილო დარჩა. ხალხი ცოტა დაესწრო.

#### უკანანდელ ქართულ წარმოდგენის გამო.

(წერილი რედაქციას მიმართ)

ოთხშაბათს, 20 ოკტომბერს, დავესწარი სახაზინო თეატრში ქართულ წარმოდგენას, მაგრამ ვაი იმ დასწრებას! ნეტავი, ბ-ნი განის სიტყვისა არ იყოს, ფეხები მომტეხოდა და არ დავსწრებოდი. თქვენმა გაზეთმაც ხომ საქმე გააქირა: გულგრილიად ნუ ექცევით ქართველ მსახიობთა და ქართულ თეატრსაო; დავესწროთ ქართულ წარმოდგენასაო და სხვა, და სხვა. აი, ბატონებო, დავესწარი, მაგრამ თავ-ბედს ვიწყევლი. სხვა არა იყოსრა, რუსულ დრამის მსახიობნი მაინც არ დასწრებოდნენ ოთხშაბათის „შტოკმანს“ და მით სირცხვილი მაინც არ ექამა ქარ-

თულ ხელოვნებას უცხოთა თვალში. ნუ თუ ბ-ნი კოტე მესხმა შარშანდელს აქეთ ვერ შეიგნო, რომ «ექიმი შტოკმანის» როლი მისი ძალ-ღონეს აღემატება, მაყურებელსაც სტანჯავს და თავის თავსაც იჯახირებს? სხვისა რა მოგახსენოთ და, მე რომ მესხის ადგილასა ვყოფილიყავ, თეატრი სულ მთლად რომ დაენგრიათ კიდევ, არ გამოვიდოდი თავის დასაკრავად... სხვებიც ბ-ნი მესხს ხელს უწყობდნენ პიესის საერთო... გაფუჭებაში, მაგრამ ეგეც კია, თუ «შტოკმანის» როლის აღმასრულებელი სუსტია, მთელი პიესაც ფერს ჰკარგავს.

მე ნერვები აშლილი არა მაქვს, მაგრამ არც რკინის ნერვების პატრონი ვარ! დიად, ჩემმა ნერვებმა ვერ შესძლო მესხისაგან დამახინჯებულ შტოკმანის ყურება და, მეოთხე მოქმედება რომ დაიწყო, შინისაკენ მოვცოცხე.

ტყუილად კი არ არის ნათქვამი—ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო. გვისაყვედურებენ—თეატრში არ დადიხართო და თვითონ კი თავიანთის უხეირობით თეატრს გვაძულებენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ—გადასაყრელი ფული ვისა აქვს, მეტადრე ამ გაქირვების დროს!

ამასთანავე უნდა დავსძინო, რომ პირადად ბ-ნი კოტე მესხს, როგორც სრულიად კერძო კაცს, არა შტოკმანის როლში, რასაკვირველია, დიდ პატივს ვსცემ და ნურას უკაცრავად, თუ ეს მწარე, მაგრამ სიმართლით აღსავსე, — შენიშნვა გულს მოხვდება და ეწყინება მასაც და სხვებსაც.

ქუჩუა.



ს ა ხ ე ლ დ ა ხ ე ლ ო .

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი).

დიად, „ასე შეუძლებელია!“.

რამდენ საუკუნეს თქვენი ჭირი წაუღია, რამდენ წყალს ჩაუვლია, რამდენის თავი გამხმარა და მტერად ქცეულა მას აქეთ, რაც ქართული ენა და მწერლობა არსებობს, მაგრამ არ იქნა და არა, ჯერაც ვერ არის გამოკვეთილი და შემუშავებული ხეირიანად ქართულ ლიტერატურულ ენის საზოგადო ხმარების ფორმა. სწერენ ისე, ვისაც როგორ სურს და ვინც როგორ მიჩვეულა.

ასეთ საგულისხმიერო საგანზედ ყბად-ასაღებსა და წყალ-წასაღებს განყოფილებაში კი არ უნდა იწერებოდეს, მაგრამ მოდი და ნუ აიღებ ყბად ისეთს ქართულს, რომელიც ყურს ეხამუშება და პირდაპირ სკვითიციზმის გავლენითაა დაწერილი.

ხშირად ისეთი უწუნებს ამა თუ იმ მწერალს ენას, რომელიც თვითონაც ძალიანა ჰკოჭლობს. მაგრამ საკვირველი ის უფროა, რომ დღიურ ვარამის ფელეტონისტებიც კი, რომელთაც პუბლიცისტის სახელი აქვთ მოხვეჭილი, ნაკლებად მცოდნენი არიან იმ ენისა, რომელზედა-

ცა სწერენ. ენის სიკოჭლე ეტყობა, მაგ., ბ-ნ სიტყვასაც, რომელიც «ცნ. ფურ.»-ს მულმივი თანამშრომელია და საკვირაო ფელეტონების მონოპოლისტი.

აბა, სადაური ქართულია, თქვენი ჭირიმე, ესა:

«ამ ბოლო დროს მწარე ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ (ა) ვახტანგ კ—ელექს. მთელი მისი არსება დახურეს (ა) და დაიმონეს (ა), მის თავში სხვა ადრადგური დარჩა, უაჯუღივე (სა) კუნჭულს დაეპატრონა კრთა და იგავე აზრება, ცოცხალ არსებას ვით დახტოდნენ და მოძრაობდნენ (ჭო-ჭო-ჭო-ჭო) მის სხეულში, მიდიოდნენ და მოდიოდნენ აქეთ-იქით (რა მარდი ფეხები ჰქონია და)! იარქოდნენ». და სხვ., და სხვ., და სხვ.

საზოგადოდ მიღებულია და ხალხშიაც ასე ჰხმარობენ, რომ, როცა უსულო საგანზეა ლაპარაკი, მრავლობით რიცხვს მხოლოობითის რიცხვით დააბოლოვებენ ხოლმე, რაც უფრო საამო სასმენელია. მაგალითად, „ფიქრები მოსვენებას არ აძლევდა“, „მთელი მისი არსება ფიქრებმა დაიპყრა“ და, თუ მაინცა და მაინც უამისობა არ შეიძლებოდა, „ფიქრები ცოცხალ არსებასავით დახტოდა და მოძრაობდა“ და სხვ...

იმედია, ამ შენიშვნას არ გვიწყენს ბნი სიტყვა და, ვგონებ, თითონაც დაი-

ჯერებს ამის სიმართლეს და იტყვის: დიად, «ასე შეუძლებელია!..».

ამიტომ საჭიროა და აუცილებლად საჭირო, რომ დაუყოვნებლივ შესდგეს კომისია (რადგან, საუბედუროდ, არც ჩვენში და არც სხვაგან უკომისიოდ არაფერი კეთდება!) ქართულის ენის მკოდნეკატაგან, მოიწვიონ ერთ საზოგადო კრებაზედ ქართველი ლიტერატორები და შეიმუშაონ საერთო ფორმა ქართულ სალიტერატურო ენისა, რომ ყველამ ერთსა და იმავე წესით სწეროს და ილაპარაკოს. თუ სარგებლობას არა, ზარალს ხომ მაინც არ მოიტანს ლიტერატორთა კრებაზედ წარმოთქმული და გამორკვეული აზრები ქართულის ენის თაობაზედ. ჩემის აზრით, ბევრი არაფერი დაეხარჯებათ. კრებაზედ უნდა მოწვეულ იქმნან აგრედვე ჩვენი არტიტებიც, თორემ ისეთი მკოდნენი არიან ზოგნი მათგანნი ქართულის ენისა, რომ უკეთესის ნატვრაც კი არ შეიძლება!.. ამას ისე კი ნუ მიიღებენ, ვითომ მეც, თქვენი უმორჩილესი მონა, დიდი მკოდნე ვიყო ქართულის ენისა—სრულიადაც არა!..

ვიცი, მეტყვიან: არა, შენ თუ კი კაცი ხარ, მაგაზედ უკეთესი საგანი ვერაფერი გამონახეო?

ვაი, ისე მეც ვიცოცხლო და, ნუ გენადვლებათ—თქვენც იცოცხლეთ, რომ

ტემა აუარებელია, მაგრამ თევზის ანდაზა არ დაივიწყოთ: «სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო. ჩვენ კი, ჟურნალ-გაზეთებში მწერალ ორფეხებს, არამც-თუ მარტო წყლითა, არამედ ბურთითაც სავსე გვაქვს პირი. კი ბიჭი ხარ და, ერთი დამისახელებთ, რომელ საგანზედ შეიძლება წერა! თუ რამე დასწერე, ჯერ რედაქტორი გააძვალტყავებს—რა ჰქნას აბა, ეშინიან ენა-ბოროტებმა შარი არ მომდონო,—მერე ასოთ-ამწყობნი წაიკითხავენ და, თუ შეატყეს საშიშიაო, აღარ ააწყობენ—ტყუილად თავი უნდა ვიტეხოთ, სულ ერთია, გაზეთში არ გამოვია; ბოლოს, თუ ოდნავ გადაურჩა წითელ ხაზებს, ისე დამახინჯებული მაინც იქნება, რომ დამწერიც ვერ გაუგებს თავს და ბოლოს, გულ-ღვიძლს ისე გამოჰფიტავენ. მკითხველმა კი რა იცის, რა შია საქმე, და ამბობს: რას აბრაზუნებს, რას ჯღაბნისო; აფსუსი არაა, დრო დაუკარგავსო! მოდი ახლა შენა და სწერე ასეთს გარემოებაში!..

ქუჩუკი.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა



იძიოს, რომ ალღო-მართალიც არ ყვეს „პროგნოზებში“.

ჭართველი.

**ს ა ხ ე ლ დ ა ხ ე ლ ო .**

(ცხად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

**„ბოროტ-განმზრახველი“.**

რომეა ნაენობა მითხრა:

— კაცო, ეს რა ღეთის წყრობაა: ქვეყნისთვის გულშემატკაობარი მენა და მგონია, ვინც ხალხისთვის ენავს, ვისაც საზოგადოების სიკეთეს და თავი გადაუღვია ქვეყნის ალოცვისთვის, ყველას „ბოროტ-განმზრახველი“ დაირქვეს. რომელი გაზეუ კი წუიკითხე, ყველგან ასე სწვრობი ამისხენი, თუ ღმერთი გწამს, რასაქმე.

— ეს, მეგობარო, პოლიტიკური საქმეა სხვათადად არ შეიძლება წერა—ღმერთ რედაქტორს, ასოთამწყობს, მგეტყვას, კორექტორს და ყველას, ასე რომ დასწვრონ-მეთქი,—ფუბასუხე.

— კარგი, მაგრამ „კეთილ-განმზრახველი“ ვინა არიან?

— თუ არ იცრუვე, ხომ ვერ იცოცხლებ ქვეყანაში მეც ვიცრუე და თავის ქვერუბასუხე:

— კეთილ-განმზრახველი? არიან მათანეებიც: აი, მავალითად, თავ. შემუსკი, კომპროვი, სუვორინი-მამა, გრინტუი, პიზნო, კრუშევიანი და... პალონიკი. მავათი ბამბაც ჩხრიალეს და ვასავაც მავათ სიტყვასა აქეს.

— აი, კი მოგვივა, კი ხალხი შენსახლე. შე რომ ერთ ღღეს მომცენ ეობა, 24 საათში სუვეელას სიკვლით დასჯას გადაუწყვეტილ მავათ...

— კიდევ იმითკმ არა ხარ მეფე-მეთ-ღვთხარა და გამოგეთხოვეთ ერთი-მეთის.

— მინც იმისმა სიტყვებმა ძლიერ დამაქრა.

— მართალა-და, ვინ არიან „კეთილ-მზრახველი“?

— არიან კი, მაგრამ მათი დასახე-ება ძვირად დამოუღდება. შეიქნება „დასხები“, გამოკითხვა, „სლესტიები“ ათასი ჯანაბა. მართლა, ზურგი კი მქავა, რომ ერთის სიტყვის გულის-ს არა-სასტყველ ალაგას მიკრან...

— ბაზონელები და ინგლისელები რომ ბოროტ-განმზრახველი? არიან, ცხა-ბა. აბა, რა საკადრისია 18 მილიონის ოგზაენა რუსეთის მუშებისათვის და ამ ლით „ბუნტობაზე“ წაქეზება. სხვა არა ხსრა, შრომა დაჯავა მოღმბით ამ 18-მილიონმა სარატკოვის სახელოვან მღვდელს

მამა ორლოვს; კიდევ მადლობა ღმერთს, რომ მამა ორლოვი კარგი მათემატიკოსი ყოვილა და ხელად გაუყვია 18 მილიონი მანათი რუსეთის მუშებზე და ეგამოუნგარიშნია, რომ სარატკოვის მუშებს თითოს ღღეში 30 კაპ. ჰრგეზიათ.

